რომან შენგელია
ეკატერინე შენგელია

საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი

(თეორია და პრაქტიკა)

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2015

სამოქალაქო კანონმდებლობაში უკანასკნელ პერიოდში შეტანილმა არსებითი ხასიათის ცვლილებებმა და შესაბამისი ლიტერატურის იშვიათობამ დღის წესრიგში დააყენა საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლის ახალი სასწავლო წიგნის შექმნის აუცილებლობა. ამასთან, საჭირო გახდა პრაქტიკისა და უცხოური გამოცდილების უფრო მეტად გათვალისწინება. სწორედ ამას ისახავს მიზნად წარმოდგენილი შრომა. მასში განხილულია ოჯახთან და მემკვიდრეობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა სამართლებრივი საკითხი.

წიგნი განკუთვნილია მომავალი და მოქმედი იურისტებისათვის, აგრეთვე საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლის საკითხებით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის.

რედაქტორები – **ჯონი ხეცურიანი**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ლადო ჭანტურია, საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

შემფასებლები – **ზურაბ ძლიერიშვილი**, სამართლის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე

შალვა ქურდაძე, სამართლის დოქტორი, პროფესორი, ადვოკატი

დავით იმნაძე, სამართლის დოქტორი, პროფესორი, ნოტარიუსი

რეკომენდებულია სახელმძღვანელოდ სტუდენტებისთვის

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2015

© რ. შენგელია, ე. შენგელია

SBN 978-9941-25-121-4

შინაარსი

ავტორებისაგან 7

თავი I. საოჯახო სამართლის საგანი და რეგულირების მეთოდი 11

1.1. ოჯახის ცნება 11
1.2. საოჯახო ურთიერთობათა განვითარების ძირითადი ეტაპები 17
1.3. საოჯახო სამართალი და მისი ადგილი სამართლის სისტემაში 21

თავი II. საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობანი 28

2.1. საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობათა ცნება და სახეები 28
2.2. იურიდიული ფაქტები საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებში 31
2.3. საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტები და მათი ინტერესების დაცვა 38

თავი III. ქორწინების წესი და პირობები 47

3.1. ქორწინების ცნება და შინაარსი 47
3.2. ქორწინების პოზიტიური პირობები 57
3.3. ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებანი 66
3.4. ქორწინების რეგისტრაცია 73

თავი IV. ქორწინების შეწყვეტა 83

4.1. ქორწინების შეწყვეტის ცნება და სახეები 83
4.2. განქორწინება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში 86
4.3. განქორწინების საქმეთა განხილვა სასამართლოში 90
4.4. განქორწინების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება 97

თავი V. ქორწინების ბათილობა 100

5.1. ქორწინების ბათილობის ცნება და საფუძვლები.... 100
5.2. ქორწინების ბათილობის მომენტი და შედეგები..... 106

თავი VI. მეუღლეთა სამართლებრივი ურთიერთობანი.. 111

6.1. მეუღლეთა პირადი ურთიერთობანი..... 111
6.2. მეუღლეთა კანონისმიერი ქონებრივი
უფლება-მოვალეობანი 117
6.3. მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის წესი..... 124
6.4. მეუღლეთა სახელშეკრულებო ქონებრივი
ურთიერთობები..... 132
6.5. მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა 145

**თავი VII. მშობლებისა და შვილების სამართლებრივი
ურთიერთობანი..... 151**

7.1. მშობლებსა და შვილებს შორის სამართლებრივ
ურთიერთობათა წარმოშობის საფუძვლები 151
7.2. მშობლებისა და შვილების ძირითადი
უფლება-მოვალეობანი 164
7.3. მშობლის უფლება-მოვალეობათა შეზღუდვა,
შეჩერება და შეწყვეტა..... 177

თავი VIII. საალიმენტო ვალდებულებანი 186

8.1. საალიმენტო ვალდებულების ცნება და სახეები 186
8.2. მშობლების საალიმენტო ვალდებულებანი
შვილების მიმართ..... 192
8.3. შვილების საალიმენტო ვალდებულებანი
მშობლების მიმართ..... 200
8.4. ოჯახის სხვა წევრების საალიმენტო
ვალდებულებანი 204
8.5. ალიმენტის გადახდისა და გადახდევინების წესი... 212

თავი IX. მეურვეობა, მზრუნველობა და მხარდაჭერა..... 220

9.1. მეურვეობის, მზრუნველობისა და მხარდაჭერის
ცნება და მნიშვნელობა..... 220

9.2. მეურვის, მზრუნველისა და მხარდამჭერების დანიშვნის წესი და პირობები 226
9.3. მეურვის, მზრუნველისა და მხარდამჭერის უფლება-მოვალეობანი 233
9.4. მეურვეობის, მზრუნველობისა და მხარდაჭერის შეწყვეტა 248

თავი X. შვილად აყვანის სამართლებრივი რეგულირება. 252

10.1. შვილად აყვანის ცნება, დანიშნულება და ზოგადი წესი 254
10.2. გასაშვილებელი ბავშვებისა და შვილად აყვანის მსურველ პირთა რეესტრი 264
10.3. მშობლების, მშვილებლებისა და ნაშვილების უფლება-მოვალეობები 270
10.4. შვილად აყვანის შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები 282
10.5. საერთაშორისო შვილება-გაშვილება 291

თავი XI. ბავშვის მინდობით აღზრდა (შვილობილობა) 297

11.1. მინდობით აღზრდის ცნება და მნიშვნელობა 297
11.2. მინდობით აღზრდის ხელშეკრულების გაფორმება . 301
11.3. მინდობით აღზრდის ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობანი და შვილობილობის შეწყვეტა ... 306

თავი XII. მემკვიდრეობის სამართლის ზოგადი დებულებანი 311

12.1. მემკვიდრეობის არსი და მნიშვნელობა 311
12.2. მემკვიდრეობის სამართლის ძირითადი ცნებები .. 316
12.3. მემკვიდრეობის სამართლის თავისებურებანი 334

თავი XIII. მემკვიდრეობა ანდერძით 341

13.1. ანდერძის ცნება და შინაარსი 341
13.2. ანდერძი და სამკვიდრო ქონება 349
13.3. ანდერძის ფორმა 355
13.4. სავალდებულო წილი 363

13.5. საანდერძო დანაკისრი 372
13.6. ანდერძის შეცვლა, მოშლა და ბათილობა 381
13.7. ანდერძის აღსრულება 388

თავი XIV. მემკვიდრეობა კანონით 393

თავი XV. სამემკვიდრეო უფლება-მოვალეობათა განხორციელება 409

15.1. სამკვიდროს მიღება 409
15.2. უარის თქმა სამკვიდროს მიღებაზე 418
15.3. სამკვიდროს გაყოფა 424
15.4. მამკვიდრებლის კრედიტორთა დაკმაყოფილება ... 437
15.5. სამკვიდროს დაცვა 441
15.6. სამკვიდრო მოწმობა 443

დანართები 447

I სამართლებრივი აქტები 447
II ტესტები და კაზუსები საოჯახო სამართალში 471
III ტესტები და კაზუსები მემკვიდრეობის სამართალში ... 483

ავტორებისაგან

საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლის ჩვენ მიერ ადრე შექმნილი სახელმძღვანელოები რამდენჯერმე ცალ-ცალკე გამოიცა. მათ თანდართული ჰქონდათ შესაბამისი ტესტები და კაზუსები, აგრეთვე სასამართლო და სანოტარო პრაქტიკის მასალები. ამჟამად, რადგან უმაღლეს სასწავლებლებში მათი ერთ საგნად სწავლებაა დამკვიდრებული, მიზანშეწონილად ჩაითვალა, არსებული სახელმძღვანელოების გადამუშავება და უახლესი საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, ერთ სასწავლო წიგნად წარმოდგენა. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლის საკითხების გაერთიანება მათ შორის არსებული შინაარსობრივი და ლოგიკური კავშირითაცაა განპირობებული.

საოჯახო სამართალი იმ ნორმების ერთობლიობაა, რომელიც ოჯახის წევრებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს არეგულირებს. ოჯახი კი ქორწინებით ან ნათესაობით ერთმანეთთან დაკავშირებული პირთა ჯგუფია. მათ შორის წარმოიშობა მრავალმხრივი სოციალურ-ეკონომიკური და ბიოლოგიურ-ყოფითი ურთიერთობების ფართო სპექტრი. ამ ურთიერთობათა ერთი ნაწილი ზნეობრივი ნორმებით რეგულირდება, მეორე კი – განსაკუთრებით ისინი, რომელთაც დიდი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა გააჩნიათ, სამართლებრივი რეგულირების სფეროს წარმოადგენს. საოჯახო ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობა ოჯახის უდიდესი მნიშვნელობითაა განპირობებული. ოჯახი საზოგადოების ძირითადი უჯრედია. მის სიმტკიცეზე ბევრად არის დამოკიდებული არა მარტო ოჯახის წევრთა კეთილდღეობა, არამედ მთელი საზოგადოების წინსვლა და წარმატებაც. ოჯახური ურთიერთობის ფორმები ისტორიულად ხშირად იცვლებოდა. მათი შეცვლა არც მომავალშია გამორიცხული. მიუხედავად ამისა, ოჯახი ყოველთვის იყო და იქნება მის წევრებს შორის ურთიერთპატივისცემის, სიყვარულის, ერთგულებისა და თანადგომის საფუძველზე შექმნილი მყარი ერთობა.

ოჯახის წევრთა და სხვა ნათესავთა ქონებრივი და პირადი ურთიერთობების განსაზღვრული ნაწილი ამ ურთიერთობათა მონაწილის გარდაცვალებით არ წყდება, მათ ნაცვლად მსგავს ურთიერთობებში მათი უფლებამონაცვლეები ებმებიან. გარდაცვლილი პირის უფლებამოვალეობების მის უფლებამონაცვლეზე გადასვლა მემკვიდრეობას წარმოადგენს. უფლებამონაცვლე გარდაცვლილის მემკვიდრეა. მემ-

კვიდრეობის უფლება ბუნებრივად არსებობს დასაბამიდან და მარადიულად იქნება ადამიანის არსებობის თანამდევი აუცილებლობა. საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იცვლებოდა მემკვიდრეობის შინაარსი. მასში მეტ-ნაკლები სისრულით აისახებოდა, ერთი მხრივ, მამკვიდრებლის ინდივიდუალური ნება და, მეორე მხრივ, საზოგადოებისა და სახელმწიფოს პოზიცია და ინტერესი. ინდივიდუალურ ნებას სხვადასხვა დოზით ენაცვლებოდა სახელმწიფოს მიერ დადგენილ ქცევის ზოგად წესში გამოხატული კოლექტიური ნება. აქედან გამომდინარე, იცვლებოდა მემკვიდრეობის სახეები და ფორმები. ეს, უპირველეს ყოვლისა, შეეხებოდა ანდერძისმიერი და კანონისმიერი მემკვიდრეობის როლსა და მნიშვნელობას. მემკვიდრეობის ორივე სახე კი საბოლოო მიზნად გარდაცვლილის ოჯახის წევრთა და ნათესავთა ინტერესების დაცვას ისახავდა. მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმების ერთობლიობა მემკვიდრეობის სამართალია.

საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი სამოქალაქო სამართლის, როგორც დამოუკიდებელი დარგის, შემადგენელი ნაწილებია.

საოჯახო სამართლის განვითარებას საქართველოში საფუძველი ჩაუყარა პროფესორმა სერგო ჯორბენაძემ. 1957 წელს გამოქვეყნებული მისი სახელმძღვანელო ათეული წლების მანძილზე სტუდენტების და არა მარტო მათ სამაგიდო წიგნს წარმოადგენდა. სამეცნიერო კვლევებსა და სასამართლო პრაქტიკის სტაბილურობის განხორციელებას სწორედ ეს წიგნი აძლევდა მნიშვნელოვან სტიმულს. 1997 წლიდან საქართველოს საქორწინო და საოჯახო კოდექსმა დამოუკიდებელი არსებობა შეწყვიტა და მისი ნორმები ინტეგრირებულ იქნა სამოქალაქო კოდექსში, რამაც ახალი სიცოცხლისუნარიანობა შესძინა მათ. საბაზრო მეურნეობის პრინციპების დანერგვამ და ახალი სახის საოჯახო ინსტიტუტების შექმნამ დააჩქარა საოჯახო სამართლის პრობლემებისადმი ახლებურად მიდგომის პროცესი. 2000 წელს შეიქმნა საოჯახოსამართლებრივი ნორმების კომენტარები (ავტორი პროფესორი რომან შენგელია), 2004 წელს გამოქვეყნდა პროფესორ შალვა ჩიკვაშვილის სახელმძღვანელო საოჯახო სამართალში, რომელიც, ამავე დროს, მონოგრაფიული კვლევის ელემენტებსაც შეიცავს და წარმოადგენს მის მიერვე 1999 წელს გამოცემული შრომის – „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი" (რედაქტორი პროფესორი რომან შენგელია) გადამუშავებულ ვარიანტს.

ახალი სამოქალაქო კანონმდებლობის შემუშავებამ მემკვიდრეობის პრობლემათა ახლებურად ხედვისა და გადაწყვეტის აუცილებლობაც დააყენა დღის წესრიგში. მოქმედი სამართლებრივი ნორმების გამოყენების პროცესში გამოიკვეთა სასამართლო და სანოტარო პრაქტიკის დადებითი და ნაკლოვანი მხარეები. სამართლებრივ დოქტრინაში გაჩნდა წინადადებები მემკვიდრეობის სადავო საკითხების რაციონალურად გადაწყვეტის სურვილით.

მემკვიდრეობის სამართლებრივი პრობლემების კვლევაში გამორჩეული წვლილი პროფესორ ზურაბ ახვლედიანს მიუძღვის. ახალი კოდექსის მიღების შემდეგ პირველი გამოკვლევა მემკვიდრეობის სამართალში მან განახორციელა. მასვე ეკუთვნის მემკვიდრეობის სამართლის ნორმების მეცნიერულ-პრაქტიკული კომენტარებიც. ეს შრომები საფუძვლად დაედო შემდგომ პერიოდში მემკვიდრეობის საკითხებისადმი მიძღვნილი კვლევითი სამუშაოების განხორციელებას.

სამოქალაქო სამართლის სუბიექტების სტატუსის შინაარსის განმსაზღვრელ დებულებად მათი თავისუფლებისა და ავტონომიურობის დამკვიდრებამ მემკვიდრეობის სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობის საფუძვლების როლი არსებითად შეცვალა – კანონით მემკვიდრეობის ნაცვლად წინა პლანზე ანდერძით მემკვიდრეობა ინაცვლებს. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში ანდერძით მემკვიდრეობის მაგალითები კანონით მემკვიდრეობასთან შედარებით ნაკლებია (ალბათ იმიტომ, რომ ზოგი ვერ ასწრებს ანდერძის შედგენას, ზოგს კი მიაჩნია, რომ ეს აუცილებელი არ არის და სხვ.), ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ გარდაცვლილი პირის ქონებრივ სიკეთეთა განკარგვაში მამკვიდრებლის ინდივიდუალურ ნებაზე წინ კანონში გამოხატული ზოგადი ნება დგას. სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების უპირველესი პრინციპი – დისპოზიციურობა მემკვიდრეობის სამართლისთვისაც მთავარი უნდა იყოს. გარდა ამისა, აუცილებელია იმის მხედველობაში მიღებაც, რომ კანონით მემკვიდრეობას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ და იმდენად, როცა და რამდენადაც იგი არ არის შეცვლილი ან გაუქმებული ანდერძით. ნიშანდობლივია ისიც, რომ მემკვიდრეობის სამართლებრივი ურთიერთობა უშუალოდ კანონის საფუძველზე არასოდეს წარმოიშობა. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია უმნიშვნელოვანესი პირობის არსებობა – სამკვიდროს გახსნა. ასევე შეიძლება დადგეს სხვა საკითხების ახლებურად გააზრების მიზანშეწონილობა.

საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლებრივი საკითხების კვლევაში, ზემოაღნიშნული მეცნიერების გარდა, სერიოზული წვლილი შეიტანეს: ი. დოლიძემ, გ. ნადარეიშვილმა, ი. ფუტკარაძემ, გ. ლობჟანიძემ, ბ. ზოიძემ, თ. ნინიძემ, ლ. ჭანტურიამ, ჯ. ხეცურიანმა, ზ. ძლიერიშვილმა, შ. ქურდაძემ, ე. ზარნაძემ, დ. იმნაძემ, ლ. ნადიბაიძემ, ა. გუგავამ, ე. კარტოზიამ, ნ. და ლ. შოშიაშვილებმა, დ. ხვედელიანმა, ნ. ძნელაძემ და სხვებმა. მათი შრომები უკვე იშვიათობას წარმოადგენს და ზოგიერთი მათგანი განსაზღვრულ კორექტირებას საჭიროებს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის თვალსაზრისით. ამ საკითხებისადმი მკითხველთა ინტერესი კი მკვეთრად იზრდება. სწორედ ამან განაპირობა საოჯახო და მემკვიდრეობის საკითხების კომპლექსურად და შედარებით სრულად დამუშავების ჩვენეული სურვილი.

სიამოვნებით მივიღებთ ყველა გონივრულ შენიშვნას და გავითვალისწინებთ შემდგომ მუშაობაში.

რომან შენგელია,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ემერიტუსი

ეკატერინე შენგელია,
სამართლის დოქტორი, პროფესორი, ნოტარიუსი, თსუ სანოტარო სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

თავი I

საოჯახო სამართლის საგანი და რეგულირების მეთოდი

1.1. ოჯახის ცნება

ტერმინი „ოჯახი" თურქული წარმოშობისაა და ნიშნავს კერას, სახლს, სახლეულს. იგი ძველ ქართულში არ გვხვდება. მის სინონიმად გამოიყენებოდა „სახლი", რომელიც ქმრისა და ცოლ-შვილისაგან შემდგარი პატარა ერთობის აღმნიშვნელი იყო. „ოჯახი" შუა საუკუნეებიდან ჩაენაცვლა „სახლს". მის პარალელურად დამკვიდრდა „კომლის" ცნებაც.[1] ყველა შემთხვევაში სამივე ტერმინი მეტ-ნაკლები ხარისხით ასახავდა ცოლქმრობაზე, ნათესაობასა და ქონების მფლობელობაზე დამყარებულ ურთიერთობას.

თანამედროვე გაგებით, ოჯახი არსებითად იმავე შინაარსისაა, თუმცა ხასიათდება ბევრი სპეციფიკური თავისებურებით. არსებობს ოჯახის ზოგად-სოციოლოგიური და სპეციალურ-სამართლებრივი ცნება. **სოციოლოგიური გაგებით** ოჯახი არის პირთა ქორწინებაზე, ნათესაობასა და ბავშვების აღზრდაზე დაფუძნებული კავშირი, რომელიც განპირობებულია ერთად ცხოვრების, ინტერესთა ერთიანობისა და ურთიერთზრუნვის ფაქტორით. ოჯახური კავშირი წარმოადგენს მეტად რთულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნაირსახეობას, რომელშიც აისახება არა მარტო პირთა განსაზღვრული წრის მრავალწახნაგოვანი ინტერესები, არამედ ამა თუ იმ ეპოქის საზოგადოებისა და სახელმწიფოს შესაბამისი თავისებურებანი.

ოჯახში ერთმანეთს ერწყმის ბუნებრივ-ბიოლოგიური და მატერიალურ-ეკონომიკური საწყისები. პირველი, ძირითადად, ვლინდება ბავშვების შობადობისა და საზოგადოების აღწარმოების ფუნქციის განხორციელებაში. ეს ფუნქცია, ამავე დროს, წარმოადგენს წარმოების ძირითადი ფაქტორის – ადამიანის არსებობის საფუძველს. მეორე საწყისი თავის გამოხატულებას პოულობს ოჯახის წევრთა მიერ საოჯახო მეურნეობის წარმართვასა და მატერიალურ სიკეთეთა

---

[1] **ივ. ჯავახიშვილის** ენციკლოპედიური ლექსიკონი. მთავარი რედაქტორი **რ. მეტრეველი.** თბ., 2002. გვ. 516, 597.

შექმნა-გამრავლებაში. თანამედროვე ოჯახი ხელს უწყობს ადამიანის შრომითი და სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირებას. ოჯახი იძლევა იმის რწმენას, რომ ადამიანის შრომითი საქმიანობის შედეგად მიღებული ქონება უმიზნოდ კი არ იქნება გახარჯული, არამედ მოხმარდება ოჯახის წევრთა მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. საბაზრო მეურნეობის პირობებში, ძირითადად, ოჯახის მეშვეობით ხდება კაპიტალის კონცენტრაცია და მისი ეფექტური გამოყენება. ამასთან, ადამიანები ოჯახის შექმნისას არა იმდენად ეკონომიკური ამოცანების მიღწევას ისახავენ მიზნად, რამდენადაც ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემის ნიადაგზე მოდგმის გაგრძელებას. ბიოლოგიური და ეკონომიკური საწყისების ერთიანობა განაპირობებს ოჯახის შექმნისა და მისი არსებობის დროს წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სპეციფიკურ ხასიათს. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება საოჯახო ურთიერთობათა დაყოფა პირად და ქონებრივ ურთიერთობებად, აგრეთვე მათთვის დამახასიათებელი თავისებურებების გამოვლენა და მსგავსი ურთიერთობებისაგან განსხვავება.

ოჯახი განსაკუთრებული, სოციალურად ორგანიზებული ადამიანთა ერთობაა. **მისი შექმნის საფუძველი უმეტესად ქორწინებაა.** ამიტომ ცოლ-ქმარი საწყის ეტაპზე ოჯახის წევრებს წარმოადგენენ. მათ შორის არსებულ ურთიერთობას ლოგიკურად მოჰყვება ბავშვების გაჩენა, რაც მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის საფუძველი ხდება. სწორედ მეუღლეებს შორის, მშობლებსა და შვილებს შორის წარმოშობილი ურთიერთობები ქმნიან საოჯახო ურთიერთობათა ძირითად ბირთვს. ამ ურთიერთობათა სუბიექტები წარმოადგენენ ძირითადად მყარ საოჯახო ერთობას. მათთან ერთად ოჯახის შემადგენლობაში მოიაზრებიან ახლო ნათესავები, მათ შორის: ცოლის ან ქმრის მშობლები, ზოგჯერ კი – დები და ძმებიც. შესაძლებელია აგრეთვე ოჯახური ურთიერთობის არსებობა მარტოხელა მშობელსა და შვილებს, მშვილებელსა და ნაშვილებს, აღმზრდელსა და აღსაზრდელებს შორის.

ოჯახის წევრის დროებითი არყოფნა საფრთხეს არ უქმნის საოჯახო ერთობას. სამხედრო სამსახურში ყოფნა, სასწავლებლად ან სამუშაოდ სხვა ადგილზე გამგზავრება არ წყვეტს საოჯახო ურთიერთობას. მაგრამ, განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობისას, შესაძლებელია საოჯახო კავშირის შეწყვეტა. ეს იმას ნიშნავს, რომ ოჯახი უკვე არ არსებობს. თუ მეუღლეებმა ფაქტობრივად გაწყვიტეს ერთმანეთთან

ურთიერთობა და შექმნეს კიდეც სხვა პირებთან ახალი ოჯახები, მათი ადრინდელი ოჯახი გაუქმებულად ჩაითვლება. შესაძლებელია, რომელიმე წევრი გამოეყოს საოჯახო ერთობას და თავიც აარიდოს სხვა წევრებზე ზრუნვას, ასეთ შემთხვევაში დანარჩენ წევრებს შორის ხდება საოჯახო ურთიერთობათა შენარჩუნება.

სამართლებრივი გაგებით, ოჯახი მისი წევრების იურიდიული კავშირია. საოჯახო ურთიერთობებს იურიდიულ ხასიათს ანიჭებს მათი რეგულირება სამართლებრივი ნორმებით. ეს კი შესაძლებელია ოჯახის წევრთა ქცევაზე სახელმწიფოს მხრივ ზემოქმედების შესაძლებლობისა და საზღვრების ფარგლებში სავალდებულო წესების მოქმედების დადგენით. საოჯახო ურთიერთობათა განსაზღვრული ნაწილი სამართლებრივი ზემოქმედების გარეთ რჩება. ისინი უმეტესად ზნეობრივი ნორმებით რეგულირდებიან. არ შეიძლება, მაგალითად, სამართალმა განსაზღვროს ცოლქმრული ერთგულების, ან მშობლებისა და შვილების ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემის ხარისხი. მხოლოდ ზოგიერთი, არა მარტო თვით ოჯახისათვის, არამედ სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი კავშირები, ექვემდებარება სამართლებრივ რეგულირებას. სწორედ ასეთი კავშირის დადასტურებას წარმოადგენს ცოლ-ქმარს შორის ისეთი საქორწინო ურთიერთობის არსებობა, რომელიც რეგისტრირებულია კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო ორგანოში. მხოლოდ სახელმწიფოს მიერ რეგისტრირებული ქორწინება წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს. **ასეთ რეგისტრაციას კონსტიტუციური, ანუ უფლების წარმომქმნელი მნიშვნელობა გააჩნია.** რეგისტრირებულ ქორწინებაში გაჩენილ ბავშვს თავის მშობლებთან სამართლებრივად აკავშირებს ორი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი – ქორწინება და ნათესაობა. თუმცა, შესაძლებელია, ოჯახური კავშირი მხოლოდ ნათესაობის საფუძველზე წარმოიშვას ბავშვის მამასთან არარეგისტრირებულ ურთიერთობაში მყოფ დედასა და შვილს შორის. უფრო მეტიც – შეიძლება არც ქორწინება და არც ნათესაობა არ იყოს სახეზე და საოჯახო კავშირი წარმოიშვას შვილად აყვანის ან ოჯახში ბავშვის აღსაზრდელად მიღების, აგრეთვე მეურვეობის ან მზრუნველობის დაწესების საფუძველზე. ყველა შემთხვევაში სახეზეა განსაზღვრული უფლებებისა და მოვალეობების წარმომშობი იურიდიული ფაქტები, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია სრულყოფილი საოჯახო კავშირების არსებობა.

ამგვარად, **სამართლებრივი გაგებით, ოჯახი არის იმ პირთა წრე,**

რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ქორწინების, ნათესაობის, შვილად აყვანის ან ბავშვის აღსაზრდელად მიღების სხვა ფორმების საფუძველზე წარმოშობილი უფლებებითა და მოვალეობებით.

ოჯახის როგორც სოციოლოგიური, ისე სამართლებრივი გაგება შინაარსობრივად ერთმანეთის მსგავსია. ამასთან, მათ შორის არის სერიოზული სხვაობაც. ოჯახი, როგორც სამართლებრივი კავშირი, მაშინაც ინარჩუნებს თავის სახეს, როცა პირველი გაგებით იგი უკვე აღარ არსებობს. მაგალითად, შესაძლებელია მეუღლეები ფაქტობრივად არ ცხოვრობდნენ ერთად, არც ოჯახის აღდგენა შედიოდეს მათ მიზნებში, მაგრამ, ვიდრე განქორწინება არ მომხდარა, სამართლებრივი კავშირი ერთმანეთთან კვლავ შენარჩუნებულია. მათ შეუძლიათ ერთმანეთს მოსთხოვონ მატერიალური დახმარება, მოითხოვონ ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების გაყოფა და სხვ. ასევე, მართალია, არარეგისტრირებულ ურთიერთობაში გაჩენილი ბავშვი თავის მამასთან ერთად არ ქმნის დამოუკიდებელ ოჯახს, მაგრამ სამართლებრივი კავშირი მათ შორის წარმოიშობა მამობის სასამართლო წესით დადგენის შემდეგ, რაც გვარის, ალიმენტისა და ბავშვის აღზრდაში მონაწილეობის მოთხოვნის უფლებაში გამოიხატება. განქორწინება მეუღლეობრივი უფლება-მოვალეობების შეწყვეტას ნიშნავს. ამ მომენტიდან ოჯახი, სამართლებრივი გაგებით, შეწყდა, მისი შენარჩუნება შეიძლება სოციოლოგიური გაგებით, მეუღლეთა შორის ფაქტობრივი ურთიერთობის საფუძველზე. ფაქტობრივი საოჯახო ურთიერთობის არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს სამართლებრივი კავშირების არსებობას. არც ოჯახის წევრთა შორის არსებული სამართლებრივი კავშირები ნიშნავს, სოციოლოგიური გაგებით ოჯახის არსებობას. მაგალითად, დედა, რომელმაც თავისი შვილი აღსაზრდელად ჩააბარა საბავშვო დაწესებულებას და მის შესახებ მთელი წლის განმავლობაში არაფერი უკითხავს, ცხადია, მასთან ოჯახს ვერ შექმნის, მაგრამ სამართლებრივი კავშირი შენარჩუნებული აქვს და ისინი იურიდიულად ერთი ოჯახის წევრები არიან. ასევე, მამობის იძულებითი წესით დადგენა, მართალია, შვილსა და მამას შორის სამართლებრივი კავშირის დასტურია, მაგრამ ასეთი მამა ვერც შვილთან და ვერც მის დედასთან საოჯახო ერთობას ვერ შექმნის.

სამართლებრივი კავშირები შეიძლება არა მარტო ერთი, არამედ სხვადასხვა ოჯახის წევრებს შორისაც არსებობდეს. მაგალითად, სრულწლოვანი წევრები თავიანთ დამოუკიდებელ ოჯახებს ქმნიან,

თუმცა მათ უნარჩუნდებათ სხვა ოჯახში მცხოვრები არასრულწლოვანი და-ძმების მიმართ მატერიალური დახმარების ვალდებულება. ერთი ოჯახის ქმარი და მამა შეიძლება სამართლებრივად დაკავშირებული იყოს თავის შვილთან, რომელიც სხვა ოჯახში მის პირველ მეუღლესთან იზრდება. იგივე შეიძლება ითქვას მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობაზე, რომლებიც სხვადასხვა ოჯახში ცხოვრობენ.

ფაქტობრივი საოჯახო ურთიერთობანი, მიუხედავად იმისა, რომ ქალი და მამაკაცი ერთად ცხოვრობენ და საერთო მეურნეობაც გააჩნიათ, საოჯახო უფლებებისა და მოვალეობების არსებობის დასტურად არ გამოდგება, ვინაიდან სახეზე არ არის ოჯახის შექმნის უმთავრესი იურიდიული ფაქტი – ქორწინება.

ოჯახის არაერთგვაროვანი გაგება განაპირობებს მისი შემადგენლობისადმი სხვადასხვანაირ მიდგომას თვით სამართლებრივი გაგების ფარგლებში. კანონმდებლობით არამცთუ ოჯახის ცნებაა დაზუსტებული, არამედ განუსაზღვრელია ოჯახის წევრთა სტატუსიც. ოჯახის სამართლებრივი მოდელის ძირითად საფუძვლად თუ ქორწინებასა და ნათესაობას მივიჩნევთ, მაშინ ოჯახის წევრთა რიცხვს, უპირველეს ყოვლისა, უნდა მიეკუთვნოს მეუღლეები და მათი შვილები. ისინი ოჯახის პირველი და ყველაზე გავრცელებული წრის წევრები არიან. მეორე წრის წევრები შეიძლება იყვნენ მეუღლეთა მშობლები და და-ძმები. მაგრამ ოჯახის წევრობისათვის აუცილებელი იქნება პირველი წრის წევრებთან ერთად ცხოვრება და საოჯახო მეურნეობის წარმოება. რადგან **ნათესაობა სისხლით კავშირს გულისხმობს**, ხოლო ნათესაობის ხარისხი დაბადებათა რაოდენობის მიხედვით განისაზღვრება, ზემოაღნიშნულ ოჯახის წევრებს შორის შესაძლებელია ახლო ნათესაური კავშირის დაფიქსირება. ნათესაობასთან ერთად ოჯახის წევრობისათვის შეიძლება მოყვრობაც გახდეს საკმაო საფუძველი. **მოყვრობა მეუღლის ნათესავებთან დამოკიდებულებას განსაზღვრავს.** ახლო ნათესავთან და მოყვარესთან ერთად შესაძლებელია ოჯახის წევრთა ფართო გაგებაში სხვა ხარისხის ახლობელი პირებიც მოიაზრებოდნენ. ასეთ პირებს მიეკუთვნებიან: დედინაცვალი, მამინაცვალი, გერი და ოჯახში აღსაზრდელად სხვადასხვა ფორმით მიღებული პირი. მათთვისაც აუცილებელია საოჯახო ერთობაში ჩართვა. ოჯახის წევრთა სამართლებრივი კავშირის ანალიზისას ძირითადად სამოქალაქო (საოჯახო) სამართლის რეგულირების სფერო და მიზნები უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, რადგან სხვა დარგებისათვის საოჯახო

ურთიერთობების მოწესრიგება არ არის დამახასიათებელი და ოჯახის წევრთა ფართო ან შეზღუდული გაგება შეიძლება მათ სფეროში შემავალი რომელიმე კონკრეტული საკითხის გადაწყვეტასთან იყოს დაკავშირებული. ამიტომ ბუნებრივად უნდა იქნეს მიჩნეული ოჯახის წევრის განსხვავებული გაგება საფინანსო-საგადასახადო ან სოციალური უზრუნველყოფის (საპენსიო) სამართალში. იგივე შეიძლება ითქვას, თვით სამოქალაქო სამართლის ცალკეულ ინსტიტუტებში გამოყენებული ოჯახის წევრის სტატუსის შესახებაც. ძირითადი და განმსაზღვრელი უნდა იყოს საოჯახო-სამართლებრივი პოზიცია.

ოჯახისა და მისი წევრობის სამართლებრივი გაგება ყოველთვის არ ემთხვევა ნათესაობის ან მოყვრობის საფუძველზე წარმოშობილ კავშირებსა და აქედან გამომდინარე უფლება-მოვალეობებს. მაგალითად, ერთ ოჯახში დაბადებული ძმა ალიმენტს თუ უხდის მისი მამის მეორე ქორწინებაში გაჩენილ დას, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ერთი ოჯახის წევრები არიან. შეიძლება მათ საერთოდ არც კი უნახავთ ერთმანეთი. ამ შემთხვევაში, მართალია, მათ შორის არსებობს სამართლებრივი კავშირი, რაც სისხლით ნათესაობაზეა დამყარებული, მაგრამ ისინი ერთი ოჯახის წევრები არ არიან. ოჯახის წევრობა მხოლოდ სამართლებრივი კავშირი არ არის. აუცილებელია ერთად ცხოვრება და საერთო მეურნეობაში ჩართვა. აქედან გამომდინარე, ოჯახის ყველა წევრი ერთმანეთთან სამართლებრივ კავშირში იმყოფება, მაგრამ სამართლებრივ კავშირში მყოფი ყველა პირი არ არის ერთი ოჯახის წევრი. ორი ძმა, რომელთაც დამოუკიდებელი ოჯახები გააჩნიათ, ერთმანეთთან სამართლებრივ კავშირში იმყოფებიან, მაგრამ ერთმანეთის ოჯახის წევრები არ არიან. ასევე შეიძლება დამოუკიდებელი ოჯახი ჰქონდეს სრულწლოვან შვილს და იგი არ ითვლებოდეს მშობლებისა და არასრულწლოვანი და-ძმის ოჯახის წევრად, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის არსებობს მჭიდრო საოჯახო-სამართლებრივი კავშირი. ამიტომ ოჯახის წევრობის განმსაზღვრელ უნივერსალურ საფუძვლად ცალკე აღებული არც ქორწინება და სისხლით ნათესაობა გამოდგება და მით უმეტეს, არც ერთად ცხოვრება და საოჯახო მეურნეობის ერთობლივად წარმართვა. ისინი კომპლექსურად, ერთმანეთთან კავშირში ქმნიან ასეთ საერთო და ზოგად საფუძველს.

1.2. საოჯახო ურთიერთობათა განვითარების ძირითადი ეტაპები

ოჯახი რთული სოციალური ფენომენია. საზოგადოებრივ ურთიერთობათა არც ერთი ფორმა არ წარმოადგენს უფრო მნიშვნელოვანსა და მრავალმხრივს, უძველესსა და აუცილებელს, როგორიც ქორწინება და ოჯახია. იგი საზოგადოების აღწარმოებისა და მისი განვითარების უპირველესი საფუძველია. ოჯახი ლაკმუსის ქაღალდივით ასახავს ყველა იმ თავისებურებას, რომელიც დამახასიათებელია მთელი საზოგადოებისათვის მისი განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე. იგი საზოგადოების აქტიური ელემენტია და მუდმივად განიცდის ცვალებადობას, ვითარდება უმარტივესიდან უმაღლესი ფორმებისაკენ.

საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურზე, როცა ადამიანები ჯოგებად ცხოვრობდნენ, მათ არ ჰქონდათ მყარი საცხოვრებელი ადგილი, სამეტყველო ენა და საკუთრება. ჯოგური ცხოვრება მათი თავდაცვის საშუალებას წარმოადგენდა. პარალელურად ისინი ქმნიდნენ შრომის უმარტივეს იარაღებს, რომლებსაც საარსებოდ აუცილებელი საკვების მოსაპოვებლად იყენებდნენ. ამ ფაქტორების საფუძველზე ადამიანებმა მოახერხეს ზოოლოგიურიდან საზოგადოებრივ მდგომარეობაში გადასვლა. მიუხედავად ამისა, მათ შორის ადგილი ჰქონდა მოუწესრიგებელ სქესობრივ ურთიერთობას. არ იყო ჩამოყალიბებული ქორწინებისა და ოჯახის საწყისი ფორმებიც კი. ჯოგის ყველა ქალი ყველა მამაკაცს ეკუთვნოდა. სქესთა შორის ურთიერთობა არავითარ შეზღუდვას არ ცნობდა[1].

განვითარების შემდგომ ეტაპზე, შრომისა და თავდაცვის იარაღების სრულყოფას ლოგიკურად მოჰყვა შრომითი ფუნქციების ბუნებრივი დანაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით. მამაკაცები ძირითადად ნადირობაში ხელოვნდებოდნენ, ქალები კი – მცენარეული საკვების მოპოვებასა და საშინაო საქმეების წარმართვაში. მეურნეობის ასეთი პირველყოფილი ფორმის შექმნამ დღის წესრიგში დააყენა, ადამიანთა ცვალებადი და ერთმანეთთან სუსტად დაკავშირებული ჯოგების ნაცვლად, მტკიცე და მყარი საოჯახო ერთეულების შექმნის აუცილებლობა. ამის საფუძველი გახდა მუდმივი ხასიათის ერთობლივი შრომა და სისხლით ახლობლობა. ასე ჩამოყალიბდა გვაროვნული თემი,

[1] ს. ჯორბენაძე, საბჭოთა საოჯახო სამართალი. თბ., 1975, გვ. 12.

პირველყოფილი თემური ურთიერთობა. საზოგადოების განვითარების ამ საფეხურზე შეიქმნა ერთმანეთთან სისხლითი ნათესაობით დაკავშირებული ადამიანების პირველი საოჯახო ფორმა.

პირველყოფილ თემში სქესობრივი ურთიერთობა გამორიცხული იყო მხოლოდ მშობლებსა და შვილებს შორის, წინაპრებსა და შთამომავლებს შორის. ცოლქმრული საქორწინო ჯგუფები თაობების მიხედვით იქმნებოდა. ჯგუფებში შედიოდნენ: პაპები და ბებიები, მამები და დედები და ა.შ. ჯგუფის წევრები ერთმანეთის ცოლ-ქმარს წარმოადგენდნენ. ძმები, დები, დეიდაშვილები და ბიძაშვილები ერთმანეთის და-ძმანი იყვნენ, ამიტომაც – ცოლ-ქმარნიც.

ოჯახის შემდგომ განვითარებაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო და-ძმებს შორის ცოლქმრული ურთიერთობის აკრძალვა. ეს შესაძლებელი გახდა თემების ახლებური წესით შექმნის საფუძველზე. ერთი ან რამდენიმე წყება დებისა ახალი თემის ძირითადი ბირთვი ხდებოდა, ხოლო მათი ძმები – სხვა თემისა. ასეთ თემებში ჰყავდათ საერთო ქმრები და საერთო ცოლები. ქმრების ან ცოლების ერთობა თემური ოჯახების ნიშანდობლივ თავისებურებებად გადაიქცა. ასეთ ოჯახებში უკვე არ შედიოდნენ ქმრების დები და ცოლების ძმები. საერთო ცოლებსა და ქმრებს ერთმანეთი კომპანიონებად მიაჩნდათ. თანაც ცოლების ან ქმრების სისხლით ნათესაობა თემში მათი გვარის დამკვიდრებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. თუმცა საერთო ქმრების არსებობისას შეუძლებელი იყო ბავშვის მამის დადგენა. ბავშვის წარმოშობა დედის მეშვეობით განისაზღვრებოდა. ბავშვიც დედის გვარს მიეკუთვნებოდა. მართალია, საერთო ოჯახის ყველა ბავშვი ნებისმიერ ცოლს თავის შვილად მიაჩნდა, თუმცა, ამავე დროს, თითოეულ მათგანს თავისი ღვიძლი შვილების სხვებისაგან განსხვავების შესაძლებლობაც ჰქონდა.

საერთო ოჯახში ცოლების განსაკუთრებულმა მდგომარეობამ შვილების აღზრდისა და საოჯახო მეურნეობის წარმართვის სფეროში, ქმრებთან შედარებით მათ ფუნქციონალურმა პრიორიტეტმა განსაზღვრა ჯგუფური ოჯახის საწყის ეტაპზე მატრიარქატის არსებობა. ამ ფაქტის უარყოფა მეცნიერებაში ერთ დროს გაბატონებული პატრიარქალური თეორიის სასარგებლოდ, რომლის მიხედვითაც ისტორია იცნობს მხოლოდ პატრიარქალურ ოჯახს მისი უფროსის – მამის შეუზღუდველი ძალაუფლებით, უსაფუძვლო და არალოგიკური მიდგომა იქნებოდა იმ პერიოდში არსებული რეალობისადმი. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ცნობილი მეცნიერებისა და მკვლევრების

ი. ბახოფენის, ლ. მორგანის, ფ. ენგელსის, მ. კოვალევსკის, ა. ზაგოროვსკისა და სხვათა შრომები, რომლებშიც ნათლად ჩანს პირველ საოჯახო გაერთიანებათა თავისებურებანი.

მატრიარქატის განვითარებამ საფუძველი დაუდო ჯგუფურიდან წყვილად ქორწინებაზე გადასვლის პროცესს. დაქორწინების ინიციატორი ქალი გახდა. მან დაიწყო მამაკაცის – ქმრის არჩევა. გაჩნდა პრიმიტიული საქორწინო ცერემონიალის ფორმებიც. ქალის ასეთი აქტიურობა სრულებითაც არ ნიშნავდა მისი თავისუფლებისა და უპირატესობის აღიარებას. უბრალოდ, პირველყოფილი ადამიანი დაბეჩავებული იყო არსებობის სიძნელით და მის დაძლევაში ქალს მეტი ჯაფა და ტვირთი ეკისრებოდა. წყვილად ქორწინებაზე გადასვლა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ინდივიდუალური ოჯახების შექმნას. ეს მოგვიანებით მოხდა.

წყვილადი ქორწინების დამკვიდრების პარალელურად კვლავ რჩებოდა ჯგუფური ქორწინების ისეთი გადმონაშთები, როგორიცაა: მრავალქმრიანობა (პოლიანდრია), ერთი მამაკაცის რამდენიმე დაზე დაქორწინება (სორორატი), ქვრივი ქალის დაქორწინება გარდაცვლილი ქმრის ძმაზე (ლევირატი) და სხვ. ჯგუფური ცოლქმრობის გადმონაშთია აგრეთვე ცოლიანი მამაკაცის სქესობრივი კავშირის თავისუფლება უქმრო ქალებთან (ჰეტერიზმი). მიუხედავად ამისა, საზოგადოებაში სულ უფრო მყარად მკვიდრდებოდა წყვილადი ქორწინების აუცილებლობის მოთხოვნილება. პოლიგამია (ჯგუფობრივი ქორწინება) ადგილს უთმობდა მონოგამიას (ერთქორწინება). წყვილად ქორწინებაზე გადასვლამ ხელი შეუწყო ინდივიდუალური ოჯახების მომრავლებას. მცირე ოჯახებმა აქტიურად შეუწყო ხელი გვაროვნული თემის შიგნით არსებული საერთო ინტერესების ნგრევას. თემური მეურნეობა თანდათან კარგავდა თავის მნიშვნელობას. მცირე ოჯახების მიერ საარსებო საშუალებების საჭიროზე მეტი ოდენობით მოპოვებამ და დაცვის აუცილებლობამ, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარებამ თანდათან გამოიწვია ქალის როლის დაკნინება ოჯახისა და მეურნეობის წარმართვაში. გაუქმდა დედის ხაზით შვილების დადგენისა და მემკვიდრეობის წესი. უკვე მამაკაცი ხდება ჯერ გვაროვნული თემის, შემდეგ კი ინდივიდუალური ოჯახის მეთაური. მისი შრომა უფრო ეფექტურია და მნიშვნელოვანი. ქალის ძირითად ფუნქციად ბავშვის შობა და მოვლა გახდა. ასე მიმდინარეობდა მატრიარქატიდან პატრიარქალურ ოჯახზე გადასვლა. ამ

პროცესში სულ უფრო გარკვევით იკვეთებოდა მამაკაცის ეკონომიკური მდგომარეობის გაძლიერება და მისი გაბატონება ოჯახში. ქალი ქმრის მსახურად და მისი ნების შემსრულებლად გადაიქცა.

ინდივიდუალური ოჯახები, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების სრულყოფის პირობებში, წარმატებით ზრდიდნენ თავიანთ ქონებას და ცდილობდნენ, ამ მიზნით სხვისი შრომის გამოყენებასაც. ამ პროცესის ლოგიკური შედეგი გახდა კერძო საკუთრებისა და მონობის დამკვიდრება. წყვილადი ქორწინების არტახებში ადამიანების მოქცევამ და საზოგადოების წევრებს შორის ქონებრივი მდგომარეობის განსხვავებულობამ საზოგადოებაში წარმოშვა მისი მუდმივი თანამდევი ნიშანი – პროსტიტუცია. მონებისა და მათი მფლობელების ურთიერთობათა მარეგულირებელი ჩვეულებები და წერილობითი სამართლებრივი აქტები საქორწინო-საოჯახო სფეროში საკუთრების უფლებასა და ქმრის გაბატონებულ მდგომარეობას განამტკიცებდნენ. მონაც საკუთრებად მიიჩნეოდა. იგი სამართლის სუბიექტი კი არა, ობიექტი იყო. მას არავითარი უფლება არ გააჩნდა, მათ შორის, თავისუფლად დაქორწინებისა. მართალია, მონოგამიურ ოჯახზე გადასვლა გარკვეულ პროგრესს წარმოადგენდა, მაგრამ კერძო საკუთრებისა და მონობის პირობებში იგი ფიქციად იქცეოდა. ქმარს ყოველთვის ჰქონდა ერთქორწინების პრინციპის დარღვევის უფლება. მამაკაცს შეეძლო ეყიდა საცოლე, გაექირავებინა ან გაეყიდა ოჯახის ნებისმიერი წევრი. ცოლი და შვილები მამაკაცის ხელისუფლების ქვეშ იმყოფებოდნენ. ქმრისა და მამის დესპოტური უფლებების ფონზე არარაობად ჩანდა დედისა და შვილების ის უმნიშვნელო უფლებები, რომლებიც ფორმალურად იყო აღიარებული.

მონათმფლობელობიდან მოყოლებული საუკუნეების მანძილზე მეტ-ნაკლები სისრულითა და ხარისხით ხდებოდა მონოგამიური ოჯახის განვითარება, მაგრამ უმეტესად ეს მამაკაცის უფლებების გაფართოებისა და ქალის უფლებრივი შეზღუდვის ასპარეზი იყო. არც ფეოდალისა და ბატონის ურთიერთობა გამხდარა მათი უფლებრივი და ქონებრივი გავლენის ქვეშ მყოფთა მიმართ გამორჩეულად ლოიალური. მართალია, ადრე მონების სრულ უუფლებობასა და ოჯახის შექმნის აკრძალვას, შემდეგ ჩაენაცვლა ქორწინებაზე ნებართვის გაცემის შესაძლებლობა (ზოგჯერ „პირველი ღამის უფლების“ გამოყენებითაც), მაგრამ დიდი ხნის მანძილზე საზოგადოების სხვადასხვა ფენას შორის სოციალური, პოლიტიკური და სამართლებრივი უთანასწორობა საოჯახო ურთიერ-

თობათა განვითარების პროცესზე უარყოფითად მოქმედებდა. მხოლოდ უკანასკნელ პერიოდში შეიქმნა ოჯახის განმტკიცებისა და უმაღლეს ფორმამდე აყვანის შესაძლებლობა.

1.3. საოჯახო სამართალი და მისი ადგილი სამართლის სისტემაში

სამოქალაქო კანონმდებლობის კოდიფიკაციის პროცესში მიღწეული წარმატებები ფართოდ აისახა 1997 წლის სამოქალაქო კოდექსში. იგი საფუძვლად დაედო საბაზრო მეურნეობის პრინციპების დანერგვას, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, ქონებრივ თავისუფლებასა და სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე პირთა თანასწორობას. საზღვარგარეთული გამოცდილების, ქართული სამართლებრივი დოქტრინისა და პრაქტიკის სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი შეიქნა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ახლებურად მოწესრიგება, სამოქალაქო კანონმდებლობის სრულყოფა და მისი პროგრესული სისტემატიზაცია. სამოქალაქო კოდექში გაერთიანდა ყველა ის ნორმა, რომლებიც სამოქალაქო კანონმდებლობის პარალელურად, სამართლის ცალკე დარგებს ქმნიდა, თუმცა არსებითად არ განსხვავდებოდა ქონებრივი და პირადი არაქონებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმებისაგან. ეს ნოვაცია შეეხო საოჯახო სამართალსაც. 1970 წლიდან დამოუკიდებლად არსებობდა საქართველოს საქორწინო და საოჯახო კოდექსი. მისი რეგულირების სფეროდ მიჩნეული იყო ოჯახთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ურთიერთობები. ისინი შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც პირადი, ისე ქონებრივი ხასიათისა. სპეციფიკა იმაში გამოიხატებოდა, რომ მათ ჰქონდათ საოჯახო შინაარსობრივი დატვირთვა. ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებით გაუქმებულ იქნა საქართველოს საქორწინო და საოჯახო კოდექსი, ხოლო საოჯახო ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირება შევიდა სამოქალაქო კოდექსის ფუნქციებში. ახალი დროის შესაბამისი საოჯახო-სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა მოთავსდა საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნში. იგი პანდექტური სისტემით შექმნილი კონტინენტური სამართლის ოჯახის სახელმწიფოთა კოდექსების მსგავსად, ქართული კოდ-

ექსის ერთ-ერთ დასკვნით ნაწილს წარმოადგენს.

საოჯახო სამართლის ასეთმა ტრანსფორმაციამ დღის წესრიგში დააყენა მისი სტატუსის განსაზღვრა და იმ თავისებურებათა ანალიზის აუცილებლობა, რაც საოჯახო ურთიერთობათა სამართლებრივ რეგულირებას ახასიათებს. მნიშვნელოვანია აგრეთვე წმინდა საოჯახო-სამართლებრივი ნორმების საერთო სამოქალაქო-სამართლებრივ ნორმებთან ინტეგრირების პროცესი. სამოქალაქო კოდექსის პირველივე მუხლში აღნიშნულია, რომ იგი „აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს". ამით გაცხადდა, რომ საოჯახო ურთიერთობები სამოქალაქო ურთიერთობათა ნაირსახეობას წარმოადგენს. ამასთან, კერძო ხასიათის ქონებრივი და პირადი ურთიერთობების გვერდით საოჯახო ურთიერთობათა დაყენება ლოგიკურად წარმოშობს კითხვას – ისინი ერთი და იმავე ხასიათის ურთიერთობებია (მაშინ რა საჭიროა მათი ცალ-ცალკე აღნიშვნა) თუ საოჯახო ურთიერთობებს მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურებები ახლავს, რის გამოც მათი მარეგულირებელი ნორმები ცალკეა მოთავსებული სამოქალაქო კოდექსში.

ტრადიციული განმარტებით, საოჯახო სამართალი არეგულირებს ოჯახის წევრთა შორის წარმოშობილ პირად და ქონებრივ ურთიერთობებს. მასში ძირითადად ორ კრიტერიუმზეა ყურადღება გამახვილებული. პირველი ეხება საოჯახო ურთიერთობათა მონაწილეებს. მათი წრე განსაზღვრულია. მეორე კი – ურთიერთობათა შინაარსს. ისინი კერძო ხასიათის პირადი და ქონებრივი ურთიერთობებია. ეს კრიტერიუმები საოჯახო სამართლის საგნის დასადგენად საკმარისი არ არის. მართალია, პირთა წრე, რომელთა შორისაც შეიძლება წარმოიშვას კერძო ხასიათის პირადი და ქონებრივი ურთიერთობანი, შეზღუდულია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ შორის სხვა ხასიათის ურთიერთობები არ წარმოიშობა. მაგალითად, ერთ ორგანიზაციაში მომუშავე ცოლ-ქმარს შორის შეიძლება არსებობდეს შრომითი ან ადმინისტრაციული ურთიერთობა. მეორე მხრივ, ოჯახის წევრებს შორის წარმოშობილი კერძო ხასიათის პირადი ან ქონებრივი ურთიერთობანი შეიძლება საერთოდ არ იყოს საოჯახო სამართლის რეგულირების სფერო. მაგალითად, ერთი ოჯახის წევრ და-ძმას შორის სასესხო ურთიერთობა რეგულირდება სახელშეკრულებო სამართლის ნორმებით, ხოლო შვილის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის

ანაზღაურების ვალდებულება დადგენილია დელიქტური სამართლით. ასევე არაა საოჯახო სამართლის რეგულირების სფერო ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელებისათვის პასუხისმგებლობის დადგენა.

აღნიშნული კრიტერიუმები არ იძლევა იმის სრულ საფუძველს, რომ შესაძლებელი გახდეს საოჯახო ურთიერთობების მკვეთრი გამიჯვნა სამართლის სხვა დარგების ან ინსტიტუტების ნორმებით რეგულირებული მსგავსი საზოგადოებრივი ურთიერთობებისაგან. ასეთ პირობებში, როგორც სწორადაა აღნიშნული ლიტერატურაში[1], იქმნება ჩაკეტილი წრე – საოჯახო სამართალი არეგულირებს ოჯახის წევრებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს, ხოლო ოჯახი კი წარმოადგენს იმ პირთა ერთობლიობას, რომელთა შორის ურთიერთობა რეგულირდება საოჯახო სამართლით. ამ წრის გასარღვევად საჭიროა დამატებითი კრიტერიუმები. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია ოჯახის წევრთა შორის პირადი და ქონებრივი ურთიერთობების წარმოშობის საფუძვლების ხასიათი – ისინი წარმოიშობიან ქორწინების, ნათესაობის, შვილად აყვანისა და აღსაზრდელად ბავშვის მიღების, მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესების საფუძველზე. სწორედ ეს საფუძვლები აძლევს აღნიშნულ ურთიერთობებს ღრმად პირადულ ხასიათს, რაც მათი რეგულირების სპეციფიკასაც განაპირობებს. ამასთან, აღნიშნული საფუძვლები ეხება არა მარტო ოჯახის წევრებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს, არამედ ისეთებსაც, რომლებიც წარმოიშობა ოჯახის წევრებსა და სხვა პირებს შორის. მაგალითად, მშობლის მიერ შვილის პირადად აღზრდის უფლება, როგორც აბსოლუტური ხასიათის უფლება, საფუძვლად ედება საოჯახო ურთიერთობას მშობელსა და იმ პირს შორის, რომელიც უკანონოდ ამყოფებს მასთან ბავშვს. ასეთი ურთიერთობა წყდება ბავშვის დაბრუნების ფაქტით.

საოჯახო სამართლით რეგულირებული პირადი და ქონებრივი ურთიერთობები განსხვავდება სამოქალაქო სამართლის სხვა ცალკეული ინსტიტუტებით რეგულირებული მსგავსი ურთიერთობებისაგან. წმინდა სამოქალაქო ქონებრივი ურთიერთობები, ძირითადად, ეკონომიკურ-სამეურნეო მოთხოვნილებებზეა დაფუძნებული, ხოლო საოჯახო კი – ფიზიკური მოთხოვნილებებისა და ზნეობრივი გრძნობების ერთობაზე.

---

[1] **Антокольская М. В.** Семейное право, М., 1996. с. 7. **Гражданское право.** Учебник. Под редакцией **А. П. Сергеева, Ю. К. Толстого.** Том 3. М., 2001. с. 251.

საოჯახო ურთიერთობები უმეტესად ისეთი უფლებების წარმოშობას ედება საფუძვლად, რომლებიც ოჯახის ერთი წევრის პირად დამოკიდებულებას განსაზღვრავს მეორის მიმართ და ამით ოჯახის წევრთა სტატუსის დადგენა ხდება მაშინ, როცა სხვა სახის ქონებრივი ურთიერთობები განსაზღვრულ ქონებასთან დამოკიდებულებით არის განპირობებული. ასეთი ქონებრივი უფლებების ოდენობა და ზღვარი შედარებით ადვილი დასადგენია, მაშინ როცა, საოჯახო ურთიერთობებში ეს გაძნელებულია მათი უფრო მეტად ზნეობრივი, ვიდრე იურიდიული ხასიათის გამო. გარდა აღნიშნულისა, საოჯახო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელია ის, რომ: მათი წარმოშობა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაშია დამოკიდებული მონაწილე პირების ნებაზე (ქორწინება), უმეტეს შემთხვევაში ისინი მათი ნების საწინააღმდეგოდ წარმოიშობიან (მშობლებისა და შვილების კავშირი); მათი შეწყვეტა ძირითადად საოჯახო ურთიერთობათა მონაწილეების ნების საწინააღმდეგოდ ხდება; საოჯახო უფლებების სხვაზე გადაცემა დაუშვებელია, ისინი განსაზღვრულ პირებთან არის დაკავშირებული; შეუძლებელია საოჯახო უფლებებსა და მოვალეობებზე უარის თქმა; საოჯახო უფლებები და მოვალეობები მხოლოდ ფიზიკურ პირებს ახასიათებთ და მათი დროის განსაზღვრული მონაკვეთით შემოფარგვლა დაუშვებელია; ამ თავისებურებათა გათვალისწინებით, შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ თუ სხვა სახის ქონებრივ და პირად ურთიერთობებში კერძო ავტონომიასა და პირად თავისუფლებას განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება, საოჯახო ურთიერთობებს აბსოლუტური ხასიათი გააჩნიათ და მათი მონაწილეების ნება გადამწყვეტი იურიდიული მნიშვნელობისა არ არის. აქედან გამომდინარე, საოჯახო სამართალი უფრო საჯარო ხასიათისაა, ვიდრე სხვა სახის ქონებრივ და პირად ურთიერთობათა მარეგულირებელი ნორმები. ამ უკანასკნელთ გამოკვეთილი პრივატული ბუნება გააჩნიათ.

ამგვარად, **საოჯახო სამართალი არეგულირებს ქორწინების, ნათესაობის, შვილად აყვანისა და ბავშვის აღსაზრდელად მიღების, მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესების საფუძველზე ოჯახის წევრებს შორის, აგრეთვე ოჯახის წევრებსა და სხვა პირებს შორის წარმოშობილ პირად და ქონებრივ ურთიერთობებს.**

ოჯახის წევრებს შორის მრავალმხრივი პირადი არაქონებრივი და ქონებრივი ხასიათის ურთიერთობები წარმოიშობა. მათი სამართლებრივი რეგულირებისას ხშირად კეთდება აქცენტი ამა თუ იმ სახის

მნიშვნელობაზე. ჩვეულებრივ, უპირატესობა პირად ურთიერთობებს ეძლევა. ასეთ ურთიერთობათა საფუძველია სიყვარული, ერთგულება, ურთიერთპატივისცემა, მეგობრობა, თანასწორობა და სხვ. მათი აბსოლუტური უმეტესობა არ ექვემდებარება სამართლებრივ ზემოქმედებას და არ წარმოადგენს არამცთუ საოჯახო სამართლის, არამედ არც ერთი სამართლებრივი ინსტიტუტის რეგულირების საგანს. ისინი მორალურ-ეთიკური და ზნეობრივი ნორმების რეგულირების სფეროს განეკუთვნებიან. პირად ურთიერთობებში სამართლებრივი ელემენტის შეტანა ვერავითარ დადებით ეფექტს ვერ აღწევს და უმეტეს შემთხვევაში მათ გართულებასაც კი იწვევს. პირად ურთიერთობათა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი, რომლებსაც განსაკუთრებული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი დატვირთვა გააჩნია, წარმოადგენს სამართლებრივი რეგულირების სფეროს. სწორედ ამიტომაა, რომ სულ რამდენიმე მუხლი ეთმობა მეუღლეთა შორის გვარის, საცხოვრებელი ადგილის, პროფესიისა და შვილების აღზრდის საკითხებს. ოჯახის სხვა წვერთა ურთიერთობაშიც მცირეა პირადი სამართლებრივი კავშირი. მიუხედავად ამისა, სწორედ პირადი არაქონებრივი ურთიერთობანი წარმოადგენს ოჯახის შექმნის ძირითად ქვაკუთხედს და მნიშვნელობის მიხედვით მათ პირველხარისხოვანი როლი ენიჭება.

რაც შეეხება ქონებრივ ურთიერთობებს, მათ უმეტესად ფარდობითი ხასიათი აქვთ და მჭიდროდ არიან დაკავშირებული საოჯახო ურთიერთობებთან. ოჯახში წარმოშობილი ქონებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება განპირობებულია მათი საზოგადოებრივ-ეკონომიკური მნიშვნელობით. ოჯახი, როგორც სოციალური ფენომენი, უნდა ატარებდეს სტაბილურ ხასიათს და არ უნდა იყოს დამოკიდებული მეუღლეთა და ოჯახის სხვა წევრთა შინაგან გრძნობებსა და განცდებზე. ამასთან, მეუღლეთა, აგრეთვე ოჯახის სხვა წევრთა ქონებრივი უფლება-მოვალეობანი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებსაც ეხება. მეუღლეების ურთიერთრჩენის ვალდებულება, მშობლებსა და შვილებს შორის საალიმენტო ურთიერთობები, ოჯახის წევრთა ქონებრივი სტატუსის განსაზღვრა სწორედ ამიტომ ექცევა სამართლებრივი რეგულირების სფეროში. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოებას უნდა ეკისრა მთლიანად ამ დროს წარმოქმნილ ქონებრივ პრობლემათა მოგვარება.

საბაზრო მეურნეობის პირობებში, მართალია, იზრდება საოჯახო ქონებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების მნიშ-

ვნელობა, მკვიდრდება ისეთი მექანიზმები, რომლებიც მეუღლეთა ქონების სტაბილურობის ეკონომიკურ-სახელშეკრულებო გარანტიებს უზრუნველყოფენ, ოჯახის წევრთა ქონებრივი დამოუკიდებლობის მეტი შესაძლებლობები იქმნება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ოჯახის სიმტკიცე და დანიშნულება, ადამიანური ბედნიერების განცდა და თვითკმაყოფილების მიღწევა, მხოლოდ პირად ურთიერთობათა სიწრფელეზეა დამოკიდებული.

იურიდიულ ლიტერატურაში არაერთგვაროვანი აზრი არსებობს საოჯახო სამართლის ადგილზე სამართლის სისტემაში. საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის დამოუკიდებლად არსებობა ბევრი მეცნიერის წარმოდგენაში ქმნიდა საოჯახო სამართლის, როგორც დარგისა და მეცნიერების დამოუკიდებლობის ილუზიას. ისინი უმეტესად სამოქალაქო სამართლისაგან მისი გამიჯვნის საფუძვლად მიიჩნევდნენ საოჯახო ქონებრივი ურთიერთობების არაეკვივალენტურ ხასიათს და პრივატული ბუნების სხვა სამოქალაქო-სამართლებრივი ინსტიტუტებისაგან ავტონომიური არსებობის შესაძლებლობას[1]. ავტორთა მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ არ არსებობს საოჯახო სამართლის დამოუკიდებლობის მატერიალური საფუძველი[2]. ქონებრივ-ეკვივალენტური და პირადი არაქონებრივი ურთიერთობის ურთიერგანპირობებულობამ განსაზღვრა ოჯახში მათი პირად-ნდობითი ხასიათი, რაც სხვა სახის სამოქალაქო ურთიერთობებისაგან მათი ფარდობითი დამოუკიდებლობისა და სამოქალაქო სამართლის ქვედარგად აღიარების საფუძველია. ამ შეხედულების მიხედვით საოჯახო სამართალს ურთიერთობათა რეგულირებისათვის დამახასიათებელი თავისი მეთოდი გააჩნია[3]. საოჯახო კანონმდებლობის სამოქალაქო სამართალში ჩართვამ, ზოგიერთი ავტორის აზრით, საოჯახო სამართალს „წაართვა სამართლის დამოუკიდებელ დარგად არსებობის უფლება და სამოქალაქო სამართლის ქვედარგად გადააქცია"[4].

საოჯახო ურთიერთობათა შინაარსის ანალიზი და მათი სამართლებრივი რეგულირების თავისებურებანი იმაზე მეტყველებს, რომ

---

[1] **Рясенцев В. А.** Семейное право. М., 1971, с. 16; **Ворожейкин Е. М.** Семейные правоотношения. М., 1972. с. 5;

[2] **Иоффе О. С.** Развитие цивилистической мысли в СССР. М., 1975, ч. I, с. 39. **Антокольская М. В.** Семейное право 1996. с. 14.

[3] **Гражданское право**, учебник, Под редакцией **А. П. Сергеева, Ю. К. Толстого**, том. 3. М., 2001. с. 265.

[4] **შ. ჩიკვაშვილი**, საოჯახო სამართალი, თბ., 2004, გვ. 18.

საოჯახო სამართალი არასდროს ყოფილა დამოუკიდებელი დარგი ან ქვედარგი და მის მიერ რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი სამოქალაქო ურთიერთობათა ნაირსახეობაა. მათი სამართლებრივი რეგულირების პროცესში თავს იჩენს განსაზღვრული არაარსებითი ხასიათის სპეციფიკა, რის გამოც **საოჯახო სამართალი უნდა ჩაითვალოს სამოქალაქო სამართლის დამოუკიდებელ ინსტიტუტად**. იგი, თავის მხრივ, მოიცავს რამდენიმე ურთიერგანპირობებულ მცირე ინსტიტუტს. ამ უკანასკნელთ მიეკუთვნება: ქორწინება, ოჯახი, მეურვეობა და მზრუნველობა. საოჯახო ურთიერთობანი სამოქალაქო სამართლის რეგულირების სფეროს წარმოადგენს და ამიტომაც რეგულირების მეთოდიც საერთოა სამოქალაქო სამართლის ყველა ინსტიტუტისა და მათ შორის საოჯახო სამართლისთვისაც, მხარეთა იურიდიული თანასწორობა მაშინაც კი სახეზეა, როცა მშობლები თავიანთი არასრულწლოვანი შვილების მიმართ ერთგვარი „ხელისუფლებითი ელემენტების“ გამოყენებით სარგებლობენ. ასეთი ურთიერთობა არ ხელყოფს მშობლებისა და შვილების სამართლებრივ თანასწორობას.

საოჯახო ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების მეთოდების შინაარსში არსებითი ხასიათის ცვლილებები არ შეაქვს სხვა სახის ინსტიტუციონალური კომპონენტების წინა პლანზე წამოწევასაც. მაგალითად, სამოქალაქო სამართლის საერთო პრინციპების პარალელურად საოჯახო სამართლის ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი პრინციპების – ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაცია, ქორწინებისა და განქორწინების თავისუფლება, ერთქორწინების განმტკიცება, ოჯახის წევრთა უფლებების თანაბარმნიშვნელოვნად დაცვა და სხვ. – განხორციელება მაინც სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების საერთო ჩარჩოებში მიმდინარეობს. ამიტომ საოჯახო სამართლის აღიარება სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად და სპეციფიკურ ინსტიტუტად, ლოგიკურ კანონზომიერებას წარმოადგენს.

თავი II

საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობანი

2.1. საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობათა ცნება და სახეები

საოჯახო ურთიერთობათა მხოლოდ განსაზღვრული ნაწილი რეგულირდება სამართლებრივი ნორმებით. შესაბამისად, საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებს წარმოადგენს საოჯახო სამართლის ნორმებით რეგულირებული კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობები. სამართლებრივი რეგულირებისას ისინი იცვლიან ფორმას, ხოლო შინაარსი იგივე რჩება. აქედან გამომდინარე, საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობები იგივე საოჯახო ურთიერთობებია, ოღონდ სამართლით მოწესრიგებული. ე.ი. სამართლებრივი ნორმებითაა განსაზღვრული საოჯახო ურთიერთობათა მონაწილეების უფლებები, მოვალეობები, მათი განხორციელების საშუალებები და პირობები, პასუხისმგებლობა და სხვა. საოჯახო ურთიერთობათა მეორე ნაწილი კი ზნეობრივი ნორმებით რეგულირდება და ზნეობრივ ურთიერთობათა ნაირსახეობას წარმოადგენს. ეს უკანასკნელი მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართლებრივ ურთიერთობებთან, მათ განმაპირობებელ საფუძვლებსაც წარმოადგენს, მაგრამ შინაარსით ისინი ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება.

საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობანი ასევე განსხვავდება ფაქტობრივი საოჯახო ურთიერთობებისაგან. ამიტომაა, რომ საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა ყოველთვის არ გულისხმობს ოჯახის არსებობას. მაგალითად, მშობელი, რომელმაც თავისი შვილი მეუღლესთან ერთად მიატოვა და სხვა ოჯახი შექმნა, მიტოვებულ შვილთან ოჯახს არ ქმნის, თუმცა მათ შორის საოჯახო-სამართლებრივი (საალიმენტო) ურთიერთობა არსებობს. ამიტომ საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობა ოჯახის წევრებს გარდა, შეიძლება არსებობდეს მათსა და სხვა პირებს შორისაც. ასევე, საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობად არ შეიძლება ჩაითვალოს ქალისა და მამაკაცის ფაქტობრივი თანაცხოვრებისა და თუნდაც საერთო შვილის აღზრდის თაობაზე წარმოშობილი ურთიერთობა,

რადგან ისინი არ იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში და სამართლით არ არის დადგენილი მათი უფლება-მოვალეობანი.

საოჯახო ურთიერთობათა შინაარსისა და სახეების შესაბამისად საოჯახო-სამართლებრივი ურთიერობები რამდენიმე ძირითად ჯგუფად იყოფა. დაყოფა შეიძლება სხვადასხვა საფუძველზე მოხდეს. იმის მიხედვით, თუ რა სიკეთეების თაობაზე წარმოიშობა საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობები, ისინი შეიძლება დაიყოს პირად არაქონებრივ და ქონებრივ სახეებად. პირად საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებს საფუძვლად ედება არამატერიალური სიკეთეები. ისინი წარმოიშობა სახელის, ღირსების, პირადი ხელშეუხებლობის, ქორწინების, მშობლიური უფლების განხორციელებისა და სხვა უფლებების რეალიზაციის პროცესში. ქონებრივი საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობათა საფუძველი კი მატერიალური სიკეთეებია. მათ, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების ქონება და მატერიალური უზრუნველყოფის საშუალებები. ქონება შეიძლება ნებისმიერ მათგანს გააჩნდეს და მის თაობაზე კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში ჩაებან სხვა პირებთან. რადგან საოჯახო სამართალი მეუღლეთა საკუთრების განსაკუთრებულ რეჟიმს განსაზღვრავს, მხოლოდ მათ შორის შეიძლება წარმოიშვას საკუთრების საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობები. საოჯახო სამართლის სხვა სუბიექტებს შორის არსებული საკუთრებითი ურთიერთობები სამოქალაქო სამართლის საერთო ნორმებით რეგულირდება. მატერიალური უზრუნველყოფა კი დაკავშირებულია საალიმენტო ვალდებულებებთან (ლათ. alimentum – სარჩო). ასეთი სამართლებრივი ურთიერთობები შეიძლება ოჯახის თითქმის ყველა წევრს შორის წარმოიშვას. ქონებრივი საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობებისათვის დამახასიათებელია ის, რომ მათ არ გააჩნიათ ეკვივალენტური ხასიათი და მჭიდროდ არიან დაკავშირებული მათ მონაწილეთა პიროვნებასთან.

საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობანი, იმის მიხედვით თუ რამდენად ინდივიდუალიზებულია მათი სუბიექტები, იყოფა **ფარდობით და აბსოლუტურ სახეებად**. რადგან პირადი ხასიათი თითქმის ყველა საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობისთვისაა დამახასიათებელი, მათი უმეტესობა ფარდობითობის პრინციპზეა აგებული – ერთი კონკრეტულად განსაზღვრული სუბიექტის უფლებას შეესაბამება მეორე სუბიექტის ვალდებულება. ასეთია, მაგალითად, საალიმენტო სამართლებრივი ურთიერთობა. გამონაკლის შემთხვევებში შესაძლე-

ბელია მრავალსუბიექტიანი ფარდობითი საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა, რომელშიც თითოეულ მათგანს დამოუკიდებელი უფლებები და ინტერესები გააჩნია. მაგალითად, მშობლებსა და შვილებს შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებში თითოეულ მშობელს ან შვილს (ერთი შვილის ან ყველას მიმართ, ერთი მშობლის ან ორივეს მიმართ) შეიძლება ჰქონდეს კონკრეტული უფლება ან ვალდებულება. ასეთი მრავალსუბიექტიანობა არსებითად განსხვავდება სხვა სახის სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულებისათვის დამახასიათებელ პირთა სიმრავლისაგან, რომელშიც აქტიური თუ პასიური სიმრავლე მათ ვალდებულებასთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება აბსოლუტურ საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებს, ისინი შედარებით მცირერიცხოვანია. ამ მხრივ ყველაზე უფრო გამოკვეთილია მეუღლეთა საკუთრებით-სამართლებრივი ურთიერთობანი. ყველა დანარჩენი (მესამე) პირი ვალდებულია თავი შეიკავოს მათი უფლებებისა და ინტერესების დარღვევისაგან. შესაძლებელია აბსოლუტური ხასიათი ჰქონდეს ზოგიერთ ფარდობით-სამართლებრივ ურთიერთობასაც. ასეთი კომპლექსური ხასიათი აქვს, მაგალითად, სამართლებრივ ურთიერთობას, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია მშობელმა განახორციელოს შვილის პირადად აღზრდის უფლება და მოითხოვოს ნებისმიერი პირისაგან მასთან უკანონოდ მყოფი შვილის დაბრუნება.

წარმოშობის საფუძვლებისა და სუბიექტური შემადგენლობის მიხედვით საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობები შეიძლება დაიყოს რამდენიმე ჯგუფად. მათ შორის მნიშვნელოვანია: ა) საქორწინო-სამართლებრივი ურთიერთობები. მათი საფუძველია ქორწინება, სუბიექტები კი არიან მეუღლეები ან ყოფილი მეუღლეები; ბ) მშობლიური სამართლებრივი ურთიერთობანი. ისინი წარმოიშობა ბავშვის გაჩენის საფუძველზე და არა მარტო შვილებთან ურთიერთობას, არამედ ერთმანეთთან ურთიერთობასაც მოიცავს; გ) შვილად აყვანისა და ბავშვებზე ზრუნვის მსგავსი ფორმების სამართლებრივი ურთიერთობები. მათ წარმოშობის საფუძველია შვილება, ბავშვის მინდობით აღზრდა, მეურვეობა და მზრუნველობა. სუბიექტები არიან მშვილებლები და ნაშვილებნი, დედობილ-მამობილები და შვილობილები, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები და მეურვეობა-მზრუნველობას მოკლებული პირები; დ) ოჯახის სხვა წევრების საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობანი. ისინი ძირითადად ნათესაობის საფუძველზე წარ-

მოიშობა (ბებია-პაპა და შვილიშვილები, და-ძმები), შესაძლებელია აგრეთვე ქორწინებასთან (დედინაცვალ-მამინაცვალი და გერი) ან ბავშვის ფაქტობრივ აღზრდასთან (ფაქტობრივ აღმზრდელი და აღსაზრდელი) იყოს დაკავშირებული.

საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობათა აღნიშნულ კლასიფიკაციას მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული დანიშნულება გააჩნია. მისი მეშვეობით შესაძლებელი ხდება ძირითადი სამართლებრივი ბლოკების გამოყოფა საერთო საოჯახო-სამართლებრივი სივრციდან და მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ერთი და იგივე პირი რამდენიმე ბლოკში ღებულობდეს მონაწილეობას, საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობათა აღნიშნული სახეები მაინც განსხვავებული შინაარსისაა. ამასთან, ასეთი კლასიფიკაცია უფრო გასაგებს ხდის საოჯახო კანონმდებლობის სტრუქტურას და მის ადგილს საერთო სამოქალაქო კანონმდებლობის სისტემაში.

2.2. იურიდიული ფაქტები საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებში

სამოქალაქო სამართლის სხვა ინსტიტუტებისაგან განსხვავებით, საოჯახო სამართალში იურიდიულ ფაქტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა და სპეციფიკა ახასიათებს. საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობები წარმოიშობა არა ხელშეკრულებებისა და დელიქტების, არამედ, ძირითადად, იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ისინი, თავის მხრივ, იყოფა **მოქმედებებად და ხდომილებებად**. დაყოფა კი იმის მიხედვით ხდება, დაკავშირებულია ისინი ცალკეულ სუბიექტთა ნებასთან თუ არა. მოქმედებანი, როგორც ნებელობითი ქცევები, რომლებთანაც დაკავშირებულია სამართლებრივი შედეგები, შეიძლება იყოს მართლზომიერი (შვილად აყვანა, განქორწინება და სხვ.) და არამართლზომიერი (ახლო ნათესავებს შორის ქორწინება, ალიმენტის გადახდისაგან თავის არიდება და სხვ.). საოჯახო-სამართლებრივი ნორმების შესაბამისი (მართლზომიერი) **მოქმედებები კი იყოფა საოჯახო-სამართლებრივ აქტებად და საოჯახო-სამართლებრივ ქცევებად**.

საოჯახო-სამართლებრივი აქტები ისეთი მოქმედებებია, რომლებიც სპეციალურადაა მიმართული განსაზღვრული სამართლებრივი შედე-

გების მისაღწევად. ასეთ აქტებს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება: დაქორწინება, მამობის აღიარება, საქორწინო ხელშეკრულების დადება და სხვ. ზოგიერთი მოქმედება, მართალია, დამოუკიდებლად არ იწვევს სამართლებრივ შედეგს, მაგრამ ხელს უწყობს მის მიღწევას. ასეთია, მაგალითად, ერთი მეუღლის თანხმობის გამოხატვა მეორე მეუღლის მიერ შვილად აყვანისას. ამიტომ ასეთი მოქმედებაც უნდა ჩაითვალოს საოჯახო-სამართლებრივ აქტად. საოჯახო-სამართლებრივი აქტები სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებების ნაირსახეობას წარმოადგენენ, თუმცა გარკვეული თავისებურებებიც ახასიათებთ:

ა) საოჯახო სამართალში გარიგებების უმეტესობა ცალმხრივი ხასიათისაა. სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობათა უმრავლესობა კი ორმხრივ გარიგებებს – ხელშეკრულებებს ეფუძნება. ხელშეკრულებები საოჯახო სამართალშიც გვხვდება და ზოგჯერ წმინდა სამოქალაქო-სამართლებრივი ფორმითაც (საქორწინო ხელშეკრულება, შეთანხმება ალიმენტის გადახდის თაობაზე), მაგრამ მათში გამოხატულია საოჯახო ურთიერთობათა მონაწილეების ერთიანი მიზნისკენ სწრაფვა (მეუღლეთა მიერ საცხოვრებელი ადგილის არჩევა, ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული საკითხების ურთიერთშეთანხმებით გადაწყვეტა). სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებები კი უმეტესად მათ მონაწილეთა სხვადასხვა ინტერესისაკენ მიმართული ურთიერთშეთანხმებულ ნებათა გამოვლენაა.

ბ) საოჯახო-სამართლებრივი გარიგებების უმრავლესობისათვის დამახასიათებელია სპეციფიკური ფორმა. მხოლოდ საქორწინო ხელშეკრულებაშია კლასიკური სახით გამოხატული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების ნიშნები. საოჯახო-სამართლებრივი გარიგებების ერთი ნაწილი იდება სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოებში, რადგან ისინი სხვა პირთა ან მთელი საზოგადოების ინტერესებს შეიძლება ეხებოდეს. აუცილებელია ქორწინების, შვილად აყვანის, მამობის აღიარებისა და სხვა გარიგებათა რეგისტრაცია. სხვა საოჯახო-სამართლებრივი გარიგებები კი შეიძლება სამოქალაქო სამართალში ცნობილი ნებისმიერი ფორმით იქნეს დადებული.

გ) საოჯახო-სამართლებრივი გარიგებები უმეტესად პირად არაქონებრივ ურთიერთობებს ეხება, მაშინ, როცა სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის სხვა გარიგებები ძირითადად ქონებრივ-სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობას ედება საფუძვლად. ეს იმითაა განპირობებული, რომ საოჯახო სამართალში პირად არაქონე-

ბრივ ურთიერთობებს სტაბილური ხასიათი არ გააჩნია და უმეტესად ქონებრივ ურთიერთობებთან ერთად წარმოიშობა. სამოქალაქო სამართალში კი მათ ავტონომიურობის მეტი ხარისხი აქვთ.

მართლზომიერი მოქმედების მეორე სახეს წარმოადგენს საოჯახო-სამართლებრივი ქცევა. ისიც ნებელობითი ხასიათისაა. მაგრამ გარიგებისაგან განსხვავებით, იგი არ არის სპეციალურად მიმართული საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, თუმცა განსაზღვრულ სამართლებრივ შედეგებთან მაინც არის დაკავშირებული. იურიდიული ქცევა შეიძლება იყოს ერთჯერადი ხასიათისა, როცა, მაგალითად, ერთი მეუღლე მნიშვნელოვან სახსრებს გაიღებს მეორე მეუღლის საკუთრებაში არსებული ქონების კაპიტალური შეკეთებისათვის, რაც შეიძლება ამ ქონებაზე მეუღლეთა თანაზიარი საკუთრების წარმოშობის საფუძველი გახდეს. ამას გამონაკლისი ხასიათი აქვს. უმეტესად საოჯახო სამართლის სუბიექტები იურიდიულ ქცევებს სისტემატურად ახორციელებენ. ასეთია, მაგალითად, ფაქტობრივი აღმზრდელების, დედინაცვლისა ან მამინაცვლის მოქმედებანი ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით, რაც მათ აღზრდილთაგან სარჩოს მიღების უფლებას წარმოშობს. ასევე სამართლებრივ შედეგებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული ერთად ცხოვრება და საოჯახო მეურნეობის წარმოება, ბავშვის აღზრდაში ან რჩენაში მონაწილეობის მიღება და სხვ.

საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობა, შეცვლა და შეწყვეტა შეიძლება დაკავშირებული იყოს ხდომილებებთან. ისინი, როგორც საოჯახო სამართლის სუბიექტების ნებისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. მაგალითად, მხოლოდ სიკვდილი წარმოადგენს სისხლით ნათესავებს შორის სამართლებრივ ურთიერთობათა შეწყვეტის საფუძველს. ხდომილებიდან გამომდინარე უფლებებისა და მოვალეობების შეწყვეტა არაა დამოკიდებული სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების ნებაზე. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მშობლების შეთანხმებას შვილისათვის ალიმენტის გადახდაზე უარის თქმის თაობაზე, რადგან საალიმენტო სამართლებრივი ურთიერთობა წყდება მხოლოდ ბავშვის მიერ კანონით დადგენილი ასაკის მიღწევის მომენტიდან.

ხდომილების ნაირსახეობად მიჩნეულია ვადები. მათთან, როგორც იურიდიულ ფაქტებთან, ხშირად დაკავშირებულია სამართლებრივი შედეგები. უმეტესად ისინი ატარებენ იმპერატიულ ხასიათს და

საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა შეთანხმებით შეუძლებელია მათი შეცვლა. საოჯახო სამართალში მნიშვნელოვანია ისეთი ვადები, როგორიცაა: ხანდაზმულობის ვადები, ქორწინების რეგისტრაციის, აგრეთვე განქორწინების რეგისტრაციის ვადები, საქორწინო უფლება-მოვალეობათა წარმოშობის ვადები, საოჯახო-სამართლებრივ უფლება-მოვალეობათა წარმოშობის ან ხელის შემშლელი ვადები (პირის გარდაცვალებიდან 10 თვის ვადაში ბავშვის დაბადებისას მისი მამად აღიარების პრეზუმფცია ან ცოლის ორსულობის პერიოდში და ბავშვის გაჩენიდან ერთი წლის განმავლობაში ქმრისათვის განქორწინების შესახებ სასამართლოში სარჩელის წარდგენის შეუძლებლობა) და სხვ.

იურიდიული ფაქტები სამართლებრივი შედეგების მიხედვით შეიძლება იყოს: **უფლებაწარმომშობი, უფლებააღმდგენი, უფლებაშემცვლელი და უფლებაშემწყვეტი** შინაარსისა.

უფლებაწარმომშობია ისეთი ფაქტები, რომლებთანაც დაკავშირებულია საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობა (ქორწინება, ბავშვის დაბადება, შვილად აყვანა). უფლებააღმდგენია ისეთი ფაქტები, რომლებიც საფუძვლად ედება ადრე არსებული უფლებების აღდგენას (მშობელის უფლებების აღდგენა, მშობლის უფლებების შეზღუდვის გაუქმება). უფლებაშემცვლელია საოჯახო სამართლის სუბიექტის ან მისი ქონების სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლის ფაქტები (მცირეწლოვანი ბავშვის მეურვეობიდან მზრუნველობაში გადასვლა, ქონებისათვის მეურვის დანიშვნა, მშობლის უფლების ჩამორთმევა). უფლებაშემწყვეტი იურიდიული ფაქტების საფუძველზე ხდება კონკრეტული საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობების შეწყვეტა (განქორწინება, საოჯახო ურთიერთობათა სუბიექტის გარდაცვალება, შვილად აყვანის გაუქმება).

ზოგჯერ ერთი და იგივე იურიდიული ფაქტი საფუძვლად ედება ერთი სახის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, მეორე სახის სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლას და მესამე სახის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტას. მაგალითად, შვილად აყვანის დროს, მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოიშობა მშობლიურთან გათანაბრებული უფლება-მოვალეობები, იცვლება ნაშვილების სახელი და გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, წყდება სამართლებრივი ურთიერთობანი გაშვილებულსა და ბიოლოგიურ მშობლებს შორის.

იურიდიული ფაქტების მსგავსად, ცალკეულ საოჯახო-სამართ-

ლებრივ შედეგებთან შეიძლება დაკავშირებული იყოს ამა თუ იმ **სუბიექტის კონკრეტული მდგომარეობა**, რომელიც პერიოდულად ან მუდმივად განსაზღვრავს მის ცხოვრებისეულ გარემოებებს. მათი არსებობა ზოგჯერ უშუალოდ არის დაკავშირებული საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობასთან, შეცვლასა და შეწყვეტასთან. ამიტომ მათ ხდომილებათა ნაირსახეობადაც მიიჩნევენ. მაგალითად, თუ ბავშვის დაბადება მოკლევადიანი ხდომილებაა, **გრძელვადიან ხდომილებებს სუბიექტის თვისებრივი მდგომარეობა ეწოდება.** ასეთია, მაგალითად, ორსულობა, შრომისუუნარობა, არასრულწლოვნება, ნათესაობა და სხვ. ერთმანეთთან ახლო მყოფი ასეთი ფაქტების ერთობლიობა ხშირად კრებსითი სახელითაც აღინიშნება. მაგალითად, „ოჯახური მდგომარეობა" ან „მატერიალური მდგომარეობა" ასახავს იმ კონკრეტულ ფაქტებს, რომლებიც პირის ოჯახურ ან მატერიალურ პირობებს განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, სასამართლო, ალიმენტის ოდენობის დადგენისას ან საერთოდ საალიმენტო ვალდებულების დაკისრებისას, ამ გარემოებებზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებებს. ოჯახური ან მატერიალური მდგომარეობის შეცვლა (ოჯახის წევრის გარდაცვალება, მატერიალური მდგომარეობის გაუარესება) შეიძლება საფუძვლად დაედოს საალიმენტო ვალდებულებების შეცვლას ან მოსპობას.

სუბიექტის თვისებრივი მდგომარეობის ამსახველი ცალკეული ფაქტი კონკრეტული უფლების წარმოშობაზე წინააღმდეგობრივ ზემოქმედებას ახდენს. მაგალითად, დაქორწინება პირისთვის ადრინდელთან შედარებით განსხვავებულ საოჯახო მდგომარეობას გულისხმობს და იგი სხვასთან ქორწინებისათვის დამაბრკოლებელ გარემოებად ითვლება. არ შეიძლება არასრულწლოვანი პირი იყოს მშვილებელი, ქმარს არ შეუძლია განქორწინება მოითხოვოს ცოლის ორსულობის პერიოდში მისი თანხმობის გარეშე და სხვ. თვისებრივი მდგომარეობის უმეტესობა სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში ავლენს თავის სამართლებრივ შესაძლებლობებს და ამით ხელს უწყობენ ამა თუ იმ სამართლებრივი შედეგის დადგომას. ისინი დამოუკიდებლად არ წარმოშობენ სამართლებრივ შედეგებს, არამედ გამოხატავენ ოჯახის წევრთა შორის არსებულ საზოგადოებრივ კავშირებს.

თვისებრივი მდგომარეობის მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს **ნათესაობა და მოყვრობა.** ნათესაობა არის სისხლით კავშირი იმ პირებს შორის, რომლებიც ერთმანეთისაგან ან ერთი წინაპრისაგან

არიან წარმოშობილი. **განასხვავებენ ნათესაობის ხაზსა და ნათესაობის ხარისხს.** ნათესაობა პირდაპირი ხაზისაა, როცა პირები ერთმანეთისაგან არიან წარმოშობილი. პირდაპირი ნათესაობა აღმავალია, როცა იგი შთამომავლობიდან წინაპრისაკენ მიიმართება. მაგალითად, შვილიშვილი, შვილი, მამა, პაპა და ა.შ. დაღმავალია ნათესაობა, თუ იგი წინაპრიდან შთამომავლობისაკენ მიიმართება. მაგალითად, პაპა, მამა, შვილი, შვილიშვილი და ა.შ. ნათესაობა გვერდითი შტოსია, ანუ ხაზისაა, როცა საერთო წინაპრისაგან მომდინარეობს. მაგალითად, ძმები და დები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები და ა.შ. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა დებსა და ძმებს ორივე მშობელი ჰყავთ საერთო თუ – ერთი. მათი სამართლებრივი მდგომარეობა ერთნაირია. ნათესაობის სიახლოვე იზომება ნათესაობის ხარისხით, რაც თავის მხრივ დაბადებათა იმ რაოდენობით განისაზღვრება, რომლებიც ამ პირებს ერთმანეთთან აკავშირებთ. ნათესაობის ხარისხის გამოთვლის ეს რომაული სისტემა თავის დროზე გენიალურ აღმოჩენად იქნა მიჩნეული.

ნათესაობის ხარისხის განსაზღვრის დროს წინაპრის დაბადება მხედველობაში არ მიიღება. მაგალითად, მამა და შვილი პირველი ხარისხის ნათესავები არიან. ასეთი ნათესაობის წარმოსაშობად საკმარისია ერთი (შვილის) დაბადება. პაპა და შვილიშვილი მეორე ხარისხის ნათესავები არიან, რადგან მათ აკავშირებთ ორი დაბადება – ჯერ შვილისა, შემდეგ კი – შვილიშვილისა. ბიოლოგიური და-ძმა მეორე ხარისხის გვერდითი ნათესავები არიან – მათი ნათესაობისათვის აუცილებელია ორი დაბადება – დისა და ძმისა. ამ შემთხვევაში მშობელთა დაბადება არ ითვლება. ბიძა და ძმისშვილი მესამე ხარისხის ნათესავები არიან, ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები – მეოთხე ხარისხისა და ა.შ.

ნათესაობა ბიოლოგიური ცნებაა და მასში გამოხატულებას პოულობს ადამიანის ბუნებრივი წარმოშობა. იგი სისხლითი კავშირის დადასტურებაა. ნათესაობას, როგორც ბიოლოგიურ მოვლენას, სახელმწიფო სამართლებრივ ხასიათს აძლევს. **საოჯახო სამართალში იურიდიული ფაქტის მნიშვნელობა გააჩნია ახლო ნათესაობას.** ახლო ნათესავებად ითვლებიან პირდაპირი ხაზის პირველი და მეორე ხარისხის ნათესავები – მშობლები და შვილები, პაპა-ბებია და შვილიშვილები. ნათესაობის სიახლოვის მიხედვით განისაზღვრება ბავშვის რჩენის ვალდებულების შესრულების რიგითობა. მაგალითად, ეს ვალდებულება პირველ

რიგში მშობლებს ეკისრებათ, ხოლო მეორე რიგში – პაპა-ბებიასა და და-ძმას თუ მშობლებისაგან სარჩოს მიღების შესაძლებლობა არ არსებობს. ახლო ნათესავები არიან აგრეთვე ბიოლოგიური დები და ძმები. აღნიშნულ პირთა ახლო ნათესავებად მიჩნევის სისწორე იმითაც დასტურდება, რომ მათ შორის დაქორწინება აკრძალულია. საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობათა სტაბილურ სუბიექტებს არ წარმოადგენენ სხვა ხარისხის ნათესავები. მაგალითად, საოჯახო სამართლის ნორმებით არ რეგულირდება ბიძაშვილებს ან დეიდაშვილებს შორის წარმოშობილი ურთიერთობები, აგრეთვე წინაპარსა და მესამე ხარისხის შთამომავალს შორის წარმოშობილი ქონებრივი ან პირადი ურთიერთობები. გამონაკლისის სახით შესაძლებელია საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობა მიიღოს შორეულმა ნათესავმა, როცა იგი ობიექტური მიზეზების საფუძველზე დაინიშნება მშობლის უფლებაჩამორთმეული პირის შვილის მეურვედ ან მზრუნველად. ასეთ შემთხვევებს ეპიზოდური ხასიათი გააჩნია და ისინი განმსაზღვრელი არ არის საოჯახო ურთიერთობებისათვის. ნათესაობა ერთნაირად განისაზღვრება როგორც მამის, ისე დედის ხაზით. შვილისათვის ერთნაირი სამართლებრივი მნიშვნელობისაა მამის ხაზით ნათესავები და დედის ხაზით ნათესავები. მას ერთნაირი უფლება-მოვალეობები გააჩნია როგორც ერთი, ისე მეორე ხაზის ნათესავებთან ურთიერთობაში. მათ შორის ფორმალური სხვაობა ყოფაში დამკვიდრებული კრიტერიუმებით განისაზღვრება. **მამის ხაზით ნათესაობას ჯიში ეწოდება, დედის ხაზით ნათესაობას კი – ჯილაგი.** შვილად აყვანისას, მართალია, მშვილებელსა და ნაშვილებს ერთმანეთთან არ აკავშირებთ სისხლით ნათესაობა, მაგრამ მათი ურთიერთობა კანონით გათანაბრებულია პირველი ხარისხის სისხლით ნათესაობასთან. ეს იმითაც დასტურდება, რომ ნაშვილებსა და მშვილებლის ნათესავებს შორის მყარდება სამართლებრივი ურთიერთობა.

ნათესაობის დამადასტურებელი დოკუმენტების არარსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია მისი დადგენა სასამართლო წესით. ნათესაობასა და მისი ხარისხის განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს კერძო-სამართლებრივი ხასიათის სხვა ინსტიტუტებისთვისაც (დაზღვევა, სოცუზრუნველყოფა და სხვ.).

ნათესაობისაგან არსებითად განსხვავდება მოყვრობის ინსტიტუტი. მოყვრობა არის ერთ-ერთი მეუღლის ურთიერთობა მეორე მეუღლის ნათესავებთან ან ურთიერთობა მეუღლეთა ნათესავებს შორის. მოყვ-

რობა არ ნიშნავს სისხლით კავშირს ურთიერთობის მონაწილეთა შორის, მათ სისხლით ნათესაობა აკავშირებთ მხოლოდ ერთ-ერთ მეუღლესთან. მოყვრობის საფუძველს წარმოადგენს ქორწინება, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს არა მარტო მეუღლეებს, არამედ მათ ნათესავებსაც. ამიტომ ზოგჯერ მოყვრობას ქორწინებითი ნათესაობის სახედ მიიჩნევენ. მოყვრობა ქორწინების გვერდითი ეფექტია. მოყვრებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: სიდედრი, სიმამრი, დედამთილ-მამამთილი, სიძე, რძალი, მაზლი, მული, ცოლისძმა, ცოლისდა და ა.შ. მოყვრობა არ წარმოიშობა მაშინ, როცა არც ერთ მეუღლეს არ ჰყავს ნათესავები. მოყვრობის ზრდის ან შემცირების საფუძველია მეუღლის ნათესავის დაბადება ან გარდაცვალება. მოყვრობა არ წარმოადგენს საოჯახო სამართლის რეგულირების სფეროს. იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს დედინაცვალ-მამინაცვალსა და გერებს შორის წარმოშობილი ურთიერთობა. მათ შორის არსებული მოყვრობა კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობის შემთხვევაში საფუძვლად ედება საალიმენტო ურთიერთვალდებულებებს.

ქმარი და ცოლი ერთმანეთის არც ნათესავები არიან და არც მოყვრები. ისინი ერთმანეთთან იმყოფებიან ქორწინებაში, რომლის საფუძველზეც წარმოიშობა განსაკუთრებული და უნიკალური ურთიერთობა – მეუღლეობრივი სამართლებრივი ურთიერთობა.

2.3. საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტები და მათი ინტერესების დაცვა

სამართლებრივი ურთიერთობანი ოჯახის წევრებს შორის წარმოიშობა პირადი ან ქონებრივი სიკეთეების თაობაზე და კონკრეტული უფლებებისა და მოვალეობების განაწილებას გულისხმობს. სხვაგვარად სამართლებრივ ურთიერთობათა ტრადიციული ელემენტები სრულყოფილად არ იქნება წარმოდგენილი და თვით სამართლებრივ ურთიერთობათა არსებობის საკითხი ეჭვქვეშ დადგება.

საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობათა უშუალო სუბიექტებად მხოლოდ ფიზიკური პირები გამოდიან. იურიდიული პირები, სახელმწიფო ფედერალური (ცენტრალური) ან მუნიციპალური ორგანოები და სხვა საზოგადოებრივი წარმონაქმნები ასეთი ურთიერთობების სუბიექტებად არ ითვლებიან. მართალია, მათი მონაწილეობით ხდება

ზოგიერთი საოჯახო-სამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების განხორციელება, მაგალითად, საალიმენტო თანხის დაკავება სამუშაო ადგილის მიხედვით, ქორწინების რეგისტრაცია, შვილად აყვანის გაფორმება და სხვ., მაგრამ მსგავს შემთხვევებში წარმოიშობა არა საოჯახო-სამართლებრივი, არამედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ან სამოქალაქო პროცესუალურ-სამართლებრივი ურთიერთობანი. საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკურ სუბიექტებს წარმოადგენენ: მეუღლეები, მშობლები, შვილები, მეურვეები, მზრუნველები, მშვილებლები, და-ძმები და სხვ.

ზოგიერთი მათგანი შეიძლება რამდენიმე სახის საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე იყოს. ამ გაგებით საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობები უნიკალურ ხასიათს ატარებს. საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტებს სპეციფიკური უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა გააჩნიათ. მათი შინაარსი საოჯახო უფლება-მოვალეობებითაა განპირობებული. საოჯახო უფლებაუნარიანობა დაბადებიდანვე წარმოეშობა ფიზიკურ პირს, შემდეგ კი, ასაკისა და ფსიქოფიზიკური პირობების გათვალისწინებით უფართოვდება სამართლებრივ შესაძლებლობათა სფერო და გარდაცვალებით წყდება. განსაზღვრული ასაკის მიღწევის შემდეგ იძენს პირი დაქორწინების უფლებას. იგი უნდა იყოს სრული ქმედუნარიანი, რომ შეძლოს შვილად აყვანა და სხვ. საოჯახო უფლებაუნარიანობა შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მაგალითად, კანონით არ შეიძლება ერთი სქესის პირების მიერ ბავშვის შვილება, არ შეიძლება მშობლის უფლებაჩამორთმეული პირი შვილის მემკვიდრე იყოს და სხვ.

საოჯახო ქმედუნარიანობა სრული მოცულობით 18 წლის ასაკიდან წარმოიშობა. ამასთან, საოჯახო უფლება-მოვალეობის განხორციელების შესაძლებლობა ამ ასაკის მიღწევამდეც სრულად ექმნება საოჯახო კანონმდებლობის შესაბამისად დაქორწინებულ არასრულწლოვანებს. ასევე, 10 წლიდან აუცილებელია გასაშვილებელი პირის თანხმობა, 14 წლიდან არასრულწლოვანს უფლება აქვს დამოუკიდებლად მიმართოს სასამართლოს მშობლების მხრივ თავიანთ მოვალეობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში და სხვ.

სხვა მდგომარეობაა მაშინ, როცა პირს ეზღუდება სამოქალაქო ქმედუნარიანობა. იგულისხმება, რომ ასეთ შემთხვევებში პირს ენიშნება მზრუნველი და მისი მეშვეობით იგი სრულად ახორციელებს თავის

სამართლებრივ შესაძლებლობებს. მაგრამ საოჯახო სამართალში ასეთ პირს საერთოდ არა აქვს უფლებამოსილება თუნდაც მზრუნველის დახმარებით მოიპოვოს, მაგალითად, შვილად აყვანასთან დაკავშირებული სამართლებრივი შესაძლებლობა. სხვა შემთხვევებში ასეთ პირს მზრუნველის თანხმობით შეუძლია საქორწინო ხელშეკრულების დადება, ალიმენტის გადახდისა და ან მისი ოდენობის განსაზღვრის თაობაზე შეთანხმებაში მონაწილეობა და სხვ. ასეთ დროს სახეზეა საოჯახო ქმედუნარიანობის არა შეწყვეტა, არამედ შეზღუდვა. საოჯახო სამართალში გათვალისწინებულია მშობლის უფლების შეზღუდვის სპეციფიკური საფუძველი. შესაძლებელია მშობლის უფლების შეზღუდვა, თუ პირის ფსიქოფიზიკური მდგომარეობა ცუდ ზეგავლენას ახდენს ბავშვის აღზრდაზე. ასეთ შემთხვევაში მშობელი ჩამოსცილდება ბავშვის აღზრდის პროცესს მშობლის უფლების ჩამორთმევის გარეშე. ასეთი მდგომარეობა შეიძლება საოჯახო უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის ერთდროულ შეზღუდვად ჩაითვალოს.

საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს წარმოადგენს ის კონკრეტული უფლება-მოვალეობები, რომლებიც გააჩნიათ მათ სუბიექტებს. უფლება არის საოჯახო სამართლის სუბიექტის შესაძლებელი ქცევის ზომა. ამ შემთხვევაში იგულისხმება აქტიური მოქმედებანი, რომელთა მეშვეობითაც ხდება სუბიექტის პირადი და ქონებრივი ინტერესების დაკმაყოფილება. დაქორწინება ან ბავშვის შვილად აყვანა წარმოადგენს მოქალაქეთა მიერ თავიანთი მოქმედებით იმ შესაძლებლობათა რეალიზების საშუალებას, რომელიც მათ კანონის მიერ აქვთ მინიჭებული. სხვა სახის უფლებებში ყურადღება მახვილდება ვალდებული პირისაგან განსაზღვრულ მოქმედებათა შესრულების მოთხოვნის შესაძლებლობაზე. ასეთია, მაგალითად, ალიმენტის მოთხოვნის უფლება და სხვ. უმეტეს საოჯახო უფლებებში სუბიექტის აქტიური მოქმედება შერწყმულია განსაზღვრულ მოქმედებათა მოთხოვნის შესაძლებლობასთან. ასეთია, მაგალითად, შვილის აღზრდის პროცესში რეალიზებადი უფლებები და სხვ.

საოჯახო-სამართლებრივი ვალდებულება ნიშნავს უფლებამოსილი პირის მოთხოვნის ან კანონის საფუძველზე მოქმედების შესრულების აუცილებლობას ვალდებული პირის მიერ. ასეთი ვალდებულებები უმრავლეს შემთხვევაში კანონითაა განსაზღვრული და მაშინვე წარმოიშობა, როგორც კი შესაბამისი იურიდიული ფაქტის არსებობა რეალობა გახდება (ქორწინება, ბავშვის დაბადება, შვილად აყვანა და

სხვ.). ამასთან, შესაძლებელია ნებაყოფლობით დამატებითი საოჯახო-სამართლებრივი ვალდებულებების აღებაც (საქორწინო ხელშეკრულების დადება, ალიმენტის გადახდის თაობაზე შეთანხმება და სხვ.).

საოჯახო-სამართლებრივი უფლებები და მოვალეობები უმეტესად ერთდროულად წარმოიშობა და ერთი სახის სამართლებრივ ურთიერთობაში წარმოშობილი უფლება მეორე სახის სამართლებრივ ურთიერთობაში შეიძლება ვალდებულების სახით არსებობდეს. მაგალითად, მშობლები არა მარტო უფლებამოსილნი არიან იზრუნონ შვილების სულიერ, გონებრივ და ფიზიკურ აღზრდაზე, არამედ ვალდებულნიც არიან გააკეთონ ეს შვილების ინტერესებიდან გამომდინარე. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ უფლება-მოვალეობათა მნიშვნელოვანი ნაწილი უშუალოდ არის დაკავშირებული კონკრეტულ სუბიექტებთან, გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია მათი სხვა პირებისათვის გადაცემა (შვილების აღზრდაში ნათესავების, ძიძების, შინამოსამსახურეების ჩაბმა და სხვ.). საოჯახო უფლება-მოვალეობათა მნიშვნელოვანი ნაწილი, მათი ხანგრძლივი ხასიათიდან გამომდინარე, სახეცვლილებას განიცდის.

საოჯახო უფლებათა განხორციელება ნიშნავს მათ რეალიზაციას კანონისა და ზნეობრივი ნორმების მოთხოვნათა შესაბამისად. არ შეიძლება უფლებათა გამოყენება მათი დანიშნულების საწინააღმდეგოდ. საოჯახო უფლებათა ერთი ნაწილის განხორციელება შესაძლებელია ცალკეულ სუბიექტთა შესაბამისი ნების გამოვლენის საფუძველზე და იგი სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. მაგალითად, შვილისაგან ალიმენტის მიღების შესაძლებლობა მშობელმა შეიძლება არ გამოიყენოს და გააგრძელოს მომჭირნედ ცხოვრება. მეორე ნაწილის რეალიზაციას კანონი სავალდებულო ხასიათს უკავშირებს. ისინი ისეთი უფლებებია, რომლებიც იმავდროულად ვალდებულებებსაც წარმოადგენს. მაგალითად, მეურვის მიერ მცირეწლოვანი ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობების განუხორციელებლობა საოჯახო კანონმდებლობის დარღვევას წარმოადგენს და ამისათვის შესაბამისი სანქციებიცაა გათვალისწინებული. საოჯახო უფლებათა მესამე ნაწილის განხორციელება დაკავშირებულია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების საკონტროლო ფუნქციებთან და მათი რეალიზაცია ხდება ამ ორგანოების ნებართვით. არ შეიძლება, მაგალითად, მეურვეობაში მყოფი პირის სახელით ისეთ გარიგებებში მონაწილეობა, რომლებშიც მისი ინტერესების დარღვევის რისკი არსებობს,

თუ არ იქნა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი თანხმობა (ქონების გასხვისება, სესხის აღება, ბინის გაცვლა და სხვ.). ასევე არ შეიძლება მზრუნველმა თანხმობა მისცეს არასრულწლოვანს მსგავსი გარიგებების დადებაზე, თუ ამის წინააღმდეგია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

საოჯახო უფლებათა განხორციელების პროცესში ერთი სუბიექტის უფლების რეალიზაცია არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მეორის ინტერესებს. თუ განქორწინების შემდეგ ბავშვი ერთ მშობელთან ცხოვრობს, მეორესაც უნდა ჰქონდეს მასთან ურთიერთობის თანაბარი შესაძლებლობა. ზნეობრივი ნორმების მოთხოვნათა დაცვის აუცილებლობა არ გულისხმობს ამ ნორმებით სამართლებრივი ნორმების შეცვლას. მთავარია, ისინი კონფლიქტში არ მოდიოდნენ ერთმანეთთან და მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული კონკრეტული უფლების დანიშნულება. მაგალითად, ზნობრივად გაუმართლებელია ცოლმა ალიმენტი მოსთხოვოს ქმარს, რომელთან ერთადაც ზრდის ბავშვს ამ უკანასკნელის მატერიალური უზრუნველყოფისათვის მხოლოდ ერთადერთი მიზნით – შემცირდეს ალიმენტის ოდენობა იმ ბავშვისათვის, რომელიც მის ქმარს ჰყავს ყოფილ მეუღლესთან. ასევე მიუღებელია ალიმენტვალდებული პირის სპეციალურად გადასვლა ნაკლებანაზღაურებად სამუშაოზე მხოლოდ იმ მიზნით, რომ შემცირდეს გადასახდელი ალიმენტის ოდენობა. მსგავს შემთხვევებში სასამართლომ სარჩელი არ უნდა დააკმაყოფილოს.

საოჯახო უფლებების არადანიშნულებისამებრ რეალიზება, მათი გამოყენება სხვისი ინტერესების საწინააღმდეგოდ, ითვლება ამ უფლებათა ბოროტად გამოყენებად და აქედან გამომდინარე – სერიოზულ სამართალდარღვევად, რასაც მოჰყვება შესაბამისი პასუხისმგებლობა.

საოჯახო უფლებათა დარღვევის შემთხვევაში წარმოიშობა მათი დაცვის უფლება. ამ უფლების სუბიექტებს წარმოადგენენ საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილენი. საოჯახო უფლებათა დაცვის შესაძლებლობა მათი უფლებაუნარიანობის განუყოფელი ელემენტია. ამ აბსტრაქტული შესაძლებლობის კონკრეტული დაცვის უფლებად გარდაქმნა მაშინ ხდება, როცა სახეზეა საოჯახო უფლებათა დარღვევის შემთხვევები. მისი გამოყენება, ძირითადად, საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების ნება-სურვილით ხდება. ამასთან, რადგან ასეთ ურთიერთობებში ქმედუუნარო პირებიც მონაწილეობენ, მათი საოჯახო უფლებების დაცვა ხდება სხვა პირების მიერ.

მაგალითად, მშობლები თავიანთი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან სპეციალური დანიშვნის გარეშე. მათ ვალდებულებას წარმოადგენს ბავშვების საოჯახო უფლებების სრულად დაცვა, ხოლო 10 წლის ასაკიდან კი – მათი სურვილების გათვალისწინებითაც. 14 წლიდან არასრულწლოვან პირს დამოუკიდებლად შეუძლია მიმართოს სასამართლოს მისი კანონიერი წარმომადგენლების მხრივ ჩადენილი სამართალდარღვევის აღმოსაფხვრელად. მცირეწლოვანი და არასრულწლოვანი შვილების, აგრეთვე სრულწლოვანი შეზღუდულქმედუნარიანი პირების საოჯახო უფლებების დაცვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებსაც ევალებათ.

დაცვის ობიექტია საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტის კონკრეტული საოჯახო უფლება, რომლის აღიარებაც არ მოხდა ან სადავო გახდა. გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კანონიერი ინტერესების დაცვას. მაგალითად, სასამართლო ვალდებულია მშობლის უფლებებში პირის აღდგენის საკითხის გადაწყვეტისას გაითვალისწინოს შეესაბამება ეს შვილის აღზრდის ინტერესებს თუ არა ან საქორწინო ასაკამდე პირის დაქორწინებისას მისი გაბათილება არ შეიძლება, თუ ეს ეწინააღმდეგება არასრულწლოვანი მეუღლის ინტერესებს.

საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების **უფლებების დაცვა ძირითადად ხორციელდება იურისდიქციული ფორმით.** ტრადიციული დაცვის სასამართლო და ადმინისტრაციული წესისაგან განსხვავებით, სიახლეს წარმოადგენს სანოტარო მედიაცია.

უფლებათა დაცვის **სასამართლო წესი** ძირითადია და იგი გამოიყენება ყოველთვის, როცა კანონში სპეციალურად არ არის მითითებული უფლებათა დაცვის სხვა კონკრეტულ წესზე. უფლებათა დაცვა ხდება საერთო იურისდიქციის სასამართლოების მიერ. დაცვის საშუალებაა სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვა. ამ დროს ხდება სასამართლოსადმი მიმართვა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესუალური მოთხოვნით და მოპასუხისათვის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის წაყენება ამა თუ იმ ვალდებულების შესრულების ან განსაზღვრულ მოქმედებათა შესრულებისაგან თავის შეკავების შესახებ. გარდა ამისა, სასამართლოში საოჯახო უფლებების დაცვა ხდება უდავო წესით საქმეთა განხილვის დროსაც. ასეთ შემთხვევებში უფლების დაცვის საშუალებას წარმოადგენს სასამართლოსადმი განცხადებით მიმართვა (ბავშვების მიტოვებულად აღიარება, შვილად

აყვანა და სხვ.). საოჯახო უფლებათა დაცვის სასამართლო წესისათვის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ საოჯახო-სამართლებრივ დავათა მნიშვნელოვანი ნაწილი სასამართლოში განიხილება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მონაწილეობით (შვილების აღზრდასთან დაკავშირებული დავები, შვილად აყვანისა და მისი გაუქმების, მშობლის უფლების ჩამორთმევისა ან აღდგენის საკითხები და სხვ.).

საოჯახო უფლებათა დაცვის **ადმინისტრაციული წესი** ძირითადად გამოიყენება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მიერ საოჯახო დავების გადაწყვეტის დროს. მაგალითად, ცალკე მცხოვრებ მშობელს შეუძლია განცხადებით მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს და მოითხოვოს ბავშვთან მცხოვრები მშობლისაგან იმ წინააღმდეგობათა აღმოფხვრა, რაც მას ხელს უშლის ბავშვთან ურთიერთობაში. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება სასამართლოში გასაჩივრდეს. ზოგიერთი ორგანოს მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია საოჯახო უფლებათა დარღვევასთან, პირადი ან ქონებრივი ინტერესების შელახვასთან (სარეგისტრაციო ორგანოების მიერ უსაფუძვლო უარი ქორწინების რეგისტრაციაზე, განქორწინების რეგისტრაციის ვადების დარღვევა და სხვ.), შეიძლება უშუალოდ სასამართლოში გასაჩივრდეს.

სანოტარო მედიაციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ნოტარიუსი შეიძლება იყოს **მედიატორი** საოჯახო (გარდა შვილად აყვანისა, მისი ბათილად ცნობისა, მშობლის უფლების შეზღუდვისა ან ჩამორთმევისა), სამემკვიდრეო, სამეზობლო და სხვა დავებზე. ამისათვის აუცილებელია მოდავე მხარეთა თანხმობა. მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში მორიგების აქტი უნდა დადასტურედს სანოტარო წესით და მისი აღსრულება იძულებით მოხდება ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე[1].

საოჯახო უფლებათა დაცვის **არაიურისდიქციულ** ფორმაში იგულისხმება სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტის მიერ დამოუკიდებლად, ოფიციალური ორგანოებისადმი მიმართვის გარ-

[1] კერძო სამართლის სუბიექტებს შორის ქონებრივი დავების გადაწყვეტის ალტერნატიული გზების შესახებ იხ.: **გიორგი ცერცვაძე**, მედიაცია, თბ., 2010; **ნიკოლოზ ფიცხელაური**, ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან, დისერტაცია, თბ., 2015.

ეშე, თვითდაცვის ღონისძიებათა განხორციელება. ამ ღონისძიებებს ზოგჯერ უფრო ეფექტური შედეგები მოაქვს, ვიდრე სასამართლოს ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. მაგალითად, მეუღლეთა თანასწორუფლებიანობა ოჯახში და შვილების აღზრდის საქმეში შეიძლება რეალურად იქნეს განხორციელებული, თუ მეუღლეები თავიანთი საოჯახო უფლებების დასაცავად მიმართავენ ფაქტობრივ მოქმედებებს. იგულისხმება, რომ ასეთი მოქმედებები მართლზომიერების ფარგლებში ხორციელდება და გამორიცხულია ურთიერთშეურაცხყოფა, პირადი ხელშეუხებლობის დარღვევა და თვითნებობა.

საოჯახო უფლებათა დაცვის თავისებურება იმაშიც გამოიხატება, **რომ მოთხოვნათა მნიშვნელოვან ნაწილზე, რომელთაც პირადი არაქონებრივი ხასიათი გააჩნიათ, ხანდაზმულობის ვადების მოქმედება არ ვრცელდება.**

საოჯახო უფლებათა დაცვის საშუალებებს წარმოადგენს ის იძულებითი ხასიათის მატერიალურ-სამართლებრივი ზემოქმედების ზომები, რომელთა მეშვეობითაც ხდება დარღვეული უფლებების აღდგენა და სამართალდამრღვევების მიმართ კანონით განსაზღვრული სანქციის გამოყენება. ზოგადად ისინი ემთხვევა სხვა სახის დარღვეული სამოქალაქო უფლებების დაცვისას გამოყენებულ საშუალებებს. ამასთან, საოჯახო სამართალში მათ განსაზღვრული სპეციფიკა ახასიათებთ. დარღვეული საოჯახო უფლების დაცვის საშუალებებიდან რომელიმეს არჩევა დამოკიდებული არ არის დაზარალებული პირის ან სამართალდამრღვევის სურვილზე. გამოყენებულ უნდა იქნეს დაცვის მხოლოდ ის საშუალება, რომელიც საოჯახო კანონმდებლობით არის განაზღვრული. მაგალითად, პაპა-ბებიის შვილიშვილებთან ურთიერთობის უფლების მშობლების მიერ დარღვევისას, იგი დაცულ უნდა იქნეს უფლების დამრღვევი მოქმედების აღკვეთით. კანონის მიერ დაცვის რამდენიმე საშუალების გათვალისწინების შემთხვევაში, გამოიყენება დაზარალებულის მიერ მოთხოვნილი საშუალება. დაცვის საშუალებები თავისთავად შეიძლება სხვადასხვა იყოს, მათ შორის – დარღვეული უფლების აღიარება, უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა, მზრუნველის ნებართვის გარეშე დადებული გარიგების გაბათილება და სხვ.

საოჯახო უფლებათა დაცვის კონკრეტული საშუალების გამოყენებასთან ერთად ზოგჯერ შესაძლებელია სამართალდამრღვევის მიმართ

ამა თუ იმ სანქციის დაწესებაც. უკანასკნელ შემთხვევაში საოჯახო სამართალდარღვევის შემადგენლობაში აუცილებელ ელემენტს უნდა წარმოადგენდეს სამართალდამრღვევის ბრალეული ქმედება. პასუხისმგებლობის სახე და ზომა განისაზღვრება სამართალდარღვევის ხარისხის მიხედვით. მაგალითად, ქონებრივი უფლებების დარღვევისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს არამართლზომიერი მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება (ალიმენტის დროულად გადაუხდებლობის შემთხვევაში). ამასთან, დასაშვებია ბრალეული პირისათვის მორალური ზიანის ანაზღაურებაც (კეთილსინდისიერი მეუღლის სარჩელით, როცა ქორწინების გაბათილება ხდება მეორე მეუღლის მიერ ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოების შეგნებულად დამალვის გამო).

საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა ან შეცვლა, მიუხედავად მათი გამომწვევი საფუძვლებისა, შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც საოჯახო უფლებათა დაცვის საშუალებად, ისე სამართალდამრღვევის მიმართ პასუხისმგებლობის ზომადაც. მაგალითად, მშობლის უფლების ჩამორთმევა, ერთი მხრივ, წარმოადგენს მშობლიური უფლების ბოროტად გამოყენების აღკვეთის საშუალებას და მეორე მხრივ – პასუხისმგებლობის ზომას, რადგან მშობლის უფლებაჩამორთმეულ პირს შვილთან უწყდება ნათესაობაზე დამყარებული ყველა ურთიერთობა, გარდა შვილის მატერიალური უზრუნველყოფის ვალდებულებისა. მშობლის უფლების შეზღუდვისას (დროებითი ფსიქიკური მოშლილობისას) ბავშვის მშობელთან დატოვება საშიშია. მაგრამ, რადგან მშობელს ამაში ბრალი არ მიუძღვის, ბავშვის აღზრდისაგან მისი ჩამოცილება ითვლება ბავშვის უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებად და არა პასუხისმგებლობის ზომად.

თავი III

ქორწინების წესი და პირობები

3.1. ქორწინების ცნება და შინაარსი

ოჯახის შექმნის უძველეს და ყველაზე გავრცელებულ საფუძველს ქორწინება წარმოადგენს. მას შემდეგ, რაც საზოგადოების განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე ინდივიდუალური ოჯახების შექმნის მოთხოვნილება გაჩნდა, ქორწინება დღევანდლამდე ინარჩუნებს ადამიანური არსებობისა და ურთიერთობის საუკეთესო შესაძლებლობებს. ოჯახის შექმნა შესაძლებელია ქორწინების გარეშეც. ეს უმეტესად დაუქორწინებელი ქალის მიერ ბავშვის გაჩენის ან მარტოხელა პირის მიერ ბავშვის შვილად აყვანის შედეგად ხდება. შესაძლებელია ქალისა და კაცის არარეგისტრირებული კავშირი საოჯახო ურთიერთობის ელემენტებს შეიცავდეს. ასეთი ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობა ზოგჯერ კანონიერ ქორწინებასთანაა გათანაბრებული. ყურადსაღებია ბავშვის მინდობით აღზრდის, მეურვეობისა და მზრუნველობის საფუძველზე წარმოშობილი საოჯახო ურთიერთობებიც. ოჯახის შექმნის არატრადიციული და ნაკლებად გავრცელებული საფუძვლები იურისპრუდენციაში საკმაოდ არის შესწავლილი, თუმცა ოჯახური ურთიერთობის ახალი ფორმების დამკვიდრება მეცნიერების სხვა დარგებსაც საკმაო საზრუნავს უმზადებს მომავალში.

ქორწინება, ოჯახის მსგავსად, რთული და მრავალმხრივი ფენომენია, რომელშიც მკვეთრად ჩანს არა მარტო სამართლებრივი, არამედ ზნეობრივი, სოციალური და ეკონომიკური წახნაგები. მათი ერთიანობა ქმნის ქორწინების იდუმალებით მოცული შინაარსის გარკვევის სრულყოფილ შესაძლებლობას. **ქორწინება უმრავლეს შემთხვევაში არის ოჯახის შესაქმნელად მიმართული ქალისა და მამაკაცის ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულზე დამყარებული კავშირი.** სიყვარული კი მათი ურთიერთობის უმაღლესი ფორმაა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია მყარი და სრულყოფილი ოჯახის შექმნა. სიყვარულის აუცილებელი პირობაა ქალისა და მამაკაცის ესთეტიკური ურთიერთმოწონება და ურთიერთლტოლვა, როგორც საპირისპირო სქესის წარმომადგენლებისა. მაგრამ სიყვარულის შინაარსი მარტო

ამ ორი ფაქტორით არ განისაზღვრება, რადგან გემოვნება ხშირად იცვლება, ხოლო სქესობრივი ლტოლვა მობეზრების გამო სუსტდება. ამიტომ სრულყოფილი სიყვარულისათვის საჭიროა აგრეთვე ქალსა და მამაკაცს შორის არსებობდეს ურთიერთდაფასება, პატივისცემა და ერთგულება. ეს კი შესაძლებელია მაშინ, როცა არსებობს სულიერი ინტერესებისა და ზნეობრივი იდეალების, გემოვნებისა და მისწრაფებების ერთიანობა. ასეთი ერთიანობა ქმნის საფუძველს ხასიათთა მსგავსებისათვის, რაც ნამდვილი სიყვარულის აუცილებელი პირობაა. ამასთან დაკავშირებით შეიძლება დაისვას კითხვა – ქალსა და მამაკაცს შორის სიყვარული ყოველთვის უნდა იყოს თუ არა დაკავშირებული ქორწინებასა და ოჯახის შექმნასთან. უმრავლეს შემთხვევაში პასუხი დადებითია, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ სიყვარულს თავისი კანონები აქვს. ზოგჯერ იგი შეიძლება არც იყოს მიმართული საოჯახო ურთიერთობათა წარმოშობისაკენ. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს მის სრულ თავისუფლებას. უახლოეს წარსულში, ახალი ტიპის ოჯახის ფორმირების პროცესში, ვრცელდებოდა თეორიები, რომელთა მიხედვითაც სიყვარულის არსებობის პირობებში შესაძლებელი უნდა ყოფილიყო პარტნიორთა ხშირი ცვლა და მონოგამიის პრინციპის დარღვევა. ამით ფაქტობრივად სქესობრივი თავაშვებულობის წახალისება ხდებოდა. გარდა ამისა, სიყვარული ყოველთვის არ მიიჩნეოდა აუცილებლად. ქორწინებისათვის საკმარისად ითვლებოდა მეუღლეთა ფიზიოლოგიური, რელიგიური და პოლიტიკური ერთიანობა. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ფროიდის მოძღვრებაზე დამყარებული „ჭიქა წყლის" თეორია. მის მომხრეებს სიყვარული დაჰყავთ ელემენტარულ მოთხონილებამდე, რომლის დაკმაყოფილებაც თითქოს ისევე შეიძლებოდა, როგორც წყურვილისა – ჭიქა წყლის დალევისას ყოველგვარი პირობის გარეშე. სიყვარულისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება დღესაც ნათლად ჩანს უამრავ საქორწინო განცხადებაში, მომავალ პარტნიორთა შემრჩევ სხვადასხვა ტიპის ელექტრონული მანქანების მომსახურებაში და სხვ. სიყვარულის თავისუფლების ასეთი გაგება ეწინააღმდეგება საზოგადოების უმრავლესობის ზნეობრივ პრინციპებს. სიყვარული თავისუფალი უნდა იყოს მატერიალური, ეროვნული, რელიგიური, პოლიტიკური და სხვა ფაქტორებისაგან.

ქალისა და მამაკაცის სიყვარულის ლოგიკური შედეგი, როგორც წესი, ოჯახის შექმნაა. ქორწინება სიყვარულისა და ოჯახის შექმნის

მიზნის გარეშე უზნეობაა, ადამიანური გრძნობებისა და ღირსების უარყოფაა. ანგარებასა და ქვენაგრძნობებზე დამყარებული ცოლქმრობა ოჯახური ცხოვრების ილუზიაა. ასეთ ურთიერთობას ზნეობრივ ღირებულებას ვერც ბავშვის შეძენის სურვილი მიანიჭებს და ვერც მეუღლის ინტერესებისათვის ანგარიშის გაწევა. ასეთი ოჯახი უმეტესად დასანგრევადაა განწირული და იგი არა მარტო ყოფილ ცოლ-ქმარს უმსხვრევს ადრინდელ ოცნებებს, არამედ ასეთ ქორწინებაში გაჩენილ ბავშვებსაც ცხოვრების სწორი გზიდან აცდენის დიდ საფრთხეს უქმნის. ნამდვილი ოჯახი მატერიალური ანგარიშიანობისა და რელიგიური ზეგავლენისაგან თავისუფალი ქალისა და მამაკაცის სამისდღემშიო კავშირია, რომელიც მათი სულიერი, ფიზიოლოგიური, მშობლიური, ყოფით-მეურნეობრივი და მატერიალური მოთხოვნილებების, შესაძლებლობებისა და მისწრაფებების მაქსიმალური რეალიზაციის საშუალებაა.

ზემოაღნიშნულ კატეგორიებზე მსჯელობა შეიძლება მხოლოდ ქორწინების ეთიკურ-ზნეობრივ წანამძღვრად ჩაითვალოს. სამართალი მსგავს ურთიერთობათა რეგულირებაში არ ერევა. ქორწინებასთან დაკავშირებით სამართალს თავისი სფერო გააჩნია. კანონმდებლობა და შესაბამისი დოქტრინა მაქსიმალურად ითვალისწინებენ მათ შინაარსს.

ქორწინება, უპირველეს ყოვლისა, ქალისა და მამაკაცის სამართლებრივი კავშირია. ქორწინებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს ურთიერთობებს სამართლებრივი ნორმები არეგულირებს. ისინი განსაზღვრავენ ქორწინების წესსა და პირობებს, ქორწინების შეწყვეტისა და გაბათილების საფუძვლებსა და სხვ. სამართლებრივ ნორმებში მოცემულია ქორწინების ცნების ძირითადი მახასიათებლებიც. მართალია, ქორწინების ცნების ერთიან და სრულყოფილ მოდელს ვერც ერთი საკანონმდებლო აქტი ვერ იძლევა, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ გვერდს უვლიან მასთან დაკავშირებული სირთულეების გადაწყვეტას. ქორწინების შინაარსის განმსაზღვრელ ნორმებში ნათლად ჩანს კანონმდებლის პოზიცია ქორწინების ცნებასთან დაკავშირებით. ბევრი ქვეყნის კანონმდებლობით საერთოდ არ არის განსაზღვრული ქორწინება. ეს, ალბათ, ქორწინების ცნების ყოვლისმომცველობის შეუძლებლობით არის განპირობებული. ამიტომ კანონმდებელი უმეტესად სარგებლობს ქორწინების საყოველთაოდ მიღებული ზოგადი ცნებით და შემდეგ ცდილობს მისი ცალკეული ელემენტების დაკონკრეტებას.

ქორწინების ცნება ერთგვაროვნად არც იურიდიულ ლიტერატურაშია შემუშავებული, თუმცა აქ უფრო მეტი შესაძლებლობა არსებობს მისი სრულყოფილად განმარტებისათვის[1].

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, სამართლებრივი დონის მიხედვით დაწინაურებული ბევრი ქვეყნის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, იძლევა ქორწინების განსაზღვრებას. მისი 1106-ე მუხლის მიხედვით, ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში (შემდგომში – სააგენტოს ტერიტორიული სამსახური ან სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო)[2]. მართალია, ასეთი განმარტება სრულყოფილი არ არის, მაგრამ საკმაო საფუძველს წარმოადგენს ქორწინების დოქტრინალური განმარტებისათვის.

კოდექსის მიერ მოცემულ განმარტებაში **ქორწინება მიჩნეულია ქალისა და მამაკაცის კავშირად**. ამ შემთხვევაში სიტყვას „კავშირი" განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება. იგი მიუთითებს იმაზე, რომ ქორწინება არ არის სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების ადეკვატური ცნება, თუმცა არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ქორწინებაში გარიგების ელემენტების არსებობა თვალნათლივია. გარდა ამისა, სიტყვა „კავშირი" ქორწინების რელიგიურ იდუმალებასაც გულისხმობს, რაშიც სამართლებრივთან ერთად ზნეობრივ-ეთიკური, რელიგიური და სულიერი, მათ შორის ინტიმური ურთიერთობებიც მოიაზრება. აქედან გამომდინარე, როცა კანონმდებელი ქალისა და მამაკაცის კავშირზე ამახვილებს ყურადღებას, ქორწინების ცნებაში ორ მნიშვნელობას დებს: პირველი მნიშვნელობით ქორწინება იურიდიული ფაქტია, რასაც შედეგად მოჰყვება ქალსა და მამაკაცს შორის მეუღლეობრივი ურთ-

---

[1] ს. ჯორბენაძე, საბჭოთა საოჯახო სამართალი, თბ., 1957. შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბ., 2004; რ. შენგელია, საოჯახო სამართალი, თბ., 1999. Г. Ф. Шершеневич, Учебник русского гражданского права. М., 1907; М. В. Антокольская, семейное право. М., 1996; Гражданское право, Под редакцией А. П. Сергеева и Ю. К. Толстого. М. 2001. Love N. douglas G., Family Law, London, 1998.

[2] სააგენტოს გარდა, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია შესაძლებებია საზღვარგარეთ – დიპლომატიურ წამომადგენლობებსა და საკონსულოებში, ქვეყნის შიგნით კი – ქორწინებისა და განქორწინებისა – სანოტარო ბიუროებში.

იერთობის წარმოშობა. მეორე მნიშვნელობით ქორწინება განსაზღვრავს ცოლისა და ქმრის განსაკუთრებულ სამართლებრივ სტატუსს. ამ ორი მნიშვნელობის გაერთიანებით კანონმდებელმა შეძლო ქორწინების ერთიან ცნებაში მოექცია ქორწინების რეგისტრაციაცა და ქორწინებაში მყოფ პირთა სამართლებრივი მდგომარეობაც. **ქორწინების ცნების პირველი ნაწილი გარიგებაა ქორწინების შესახებ.** ამ შემთხვევაში სახეზეა ორივე მექორწინის ნება. ამიტომ შეთანხმება ქორწინების შესახებ სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების ნაირსახეობაა. თუმცა ასეთ ხელშეკრულებაში საჯარო-სამართლებრივი ელემენტებიც უხვადაა ჩართული. მიუხედავად ამისა, შეთანხმება ქორწინების შესახებ, შეიძლება განისაზღვროს როგორც ორმხრივი სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება. **ქორწინების ცნების მეორე ნაწილი საქორწინო გარიგებისაგან განსხვავებულ სამართლებრივ საწყისებს ეფუძნება და ქორწინებაში მყოფ პირთა უფლება-მოვალეობების განაწილებას გულისხმობს.** საქორწინო გარიგება საფუძვლად ედება ახალი სახის ინსტიტუტის – მეუღლეობრივი სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობას. ასეთი ურთიერთობების სუბიექტები მხოლოდ კონკრეტულად განსაზღვრული პირები – მეუღლეები არიან. ამიტომ ისინი არა აბსოლუტური, არამედ ფარდობითი სამართლებრივი ურთიერთობებია. ქორწინებაში მყოფ პირებს ერთმანეთის მიმართ წარმოეშობათ არა ჩვეულებრივი, ტრადიციული, არამედ სპეციფიკური, მეუღლეობასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობანი. ისინი შეიძლება იყოს როგორც ქონებრივი (მაგალითად, მეუღლის ქონების მემკვიდრეობით მიღება მისი გარდაცვალების შემდეგ), ისე არაქონებრივი (მაგალითად, შვილის აღზრდაში მონაწილეობა) ხასიათისა. ამასთან, შესაძლებელია მეუღლეობრივ ურთიერთობაში ჩართული იყოს წმინდა სამოქალაქო-სამართლებრივი ელემენტებიც (მაგალითად, წარმომადგენლობითი, საკუთრებითი და სხვა ურთიერთობები). მიუხედავად ამისა, მეუღლეობრივი სამართლებრივი ურთიერთობები სამოქალაქო სამართლის არც ერთ სხვა ინსტიტუტს არ ემსგავსება. მას არავითარი კავშირი არა აქვს **საქორწინო ხელშეკრულების** სახით ცნობილ ინსტიტუტთანაც, რომელიც მეუღლეებს შორის არსებული კანონისმიერი ქონებრივი ურთიერთობების ალტერნატიული რეგულირების შესაძლებლობას წარმოადგენს. ისინი განსაკუთრებული სახის ინსტიტუტს ქმნიან და მათ მონაწილეებს განსაკუთრებულ სტატუსს აკუთვნებენ. ესაა ქორწინებაში მყოფი პირის სტატუსი. ამგვარად, ქორწინება არის ისეთი

სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება, რომელიც მეუღლეებისათვის წარმოშობს პირადი და ქონებრივი ხასიათის უფლება-მოვალეობებს.

საქართველოს სამოქალქო კოდექსში მოცემული ქორწინების ცნება კიდევ რამდენიმე თავისებურების გამოყოფის საფუძველს იძლევა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ **ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით მიღწეული შეთანხმებაა.** თუ ქორწინება ოჯახის შექმნას არ ისახავს მიზნად და ამის შესახებ წინასწარ არის ცნობილი, მაშინ არ უნდა მოხდეს მისი რეგისტრაცია. მაგრამ თუ რეგისტრაციის შემდეგ გამოვლინდა ეს, მაშინ დაინტერესებული მხარის ინიციატივით მოხდება ქორწინების გაბათილება. ოჯახის შექმნას შედეგად მოჰყვება ბავშვების გაჩენა და საზოგადოებრივი აღწარმოების პრობლემებზე ზრუნვა. ოჯახი მეუღლეთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებაა, ამიტომ ოჯახის შექმნის მიზნით სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებასაც გულისხმობს. მართალია, არსებობს უშვილო ოჯახებიც, მაგრამ მათი რიცხვი თანდათან მცირდება მედიცინის მიღწევათა პრაქტიკაში წარმატებულად დანერგვის კვალობაზე.

ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის შეთანხმება ოჯახის შექმნის თაობაზე. ამ დებულებაში რამდენიმე მომენტზეა ყურადღება გამახვილებული. ჯერ ერთი, კანონმდებელი აქ იცავს მონოგამიის პრინციპს. ლაპარაკია ერთი ქალისა და ერთი მამაკაცის შეთანხმებაზე. ამით უარყოფილია ყოველგვარი შეთანხმება პოლიგამიური კავშირების შესახებ. საქართველო, ისე როგორც კონტინენტური ევროპისა და ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნები, ქორწინების მონოგამიურ მოდელს ეყრდნობა მუსულმანური სამართლისა და აფრიკის იმ ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც პოლიგამია ჯერ კიდევ მისაღებადაა მიჩნეული[1]. მეორეც, ქორწინება ქალისა და მამაკაცის კავშირია და არა ერთი სქესის მქონე პირებისა. უკანასკნელ პერიოდში საკმაოდ გაიზარდა იმ ქვეყნების რიცხვი, სადაც შესაძლებლადაა მიჩნეული ერთი სქესის ადამიანებს შორის დაქორწინება. ძირითადად, სკანდინავიის ქვეყნებში აქცევენ მომეტებულ ყურადღებას სქესობრივ უმცირესობათა უფლებების დაცვას. შვედეთში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულია ერთი სქესის მქონე პირთა შორის დაქორწინების წესი და მექორწინეთა

---

[1] **რენე დავიდი**, თანამედროვეობის ძირითადი და სამართლებრივი სისტემები. თარგმანი და წინასიტყვაობა **თედო ნინიძისა**. თბ., 1993. გვ. 350. **Heun Stefanie**, Gleichgeshechtliche Ehen in rechtsgleichender Sicht, Berlin, 1999.

უფლება-მოვალეობანი. მაგალითად, ერთსქესიანთა დაქორწინება შეიძლება, თუ ერთ-ერთი მათგანი მაინც არის შვედეთის მოქალაქე და ცხოვრობს მის ტერიტორიაზე. უცხოელ ერთი სქესის მქონე პირთა დაქორწინება შვედეთში აკრძალულია, თუ მათი ქვეყანა არ უშვებს ასეთ ქორწინებას. გარდა ამისა, კანონმდებლობით დადგენილია სხვა შეზღუდვებიც. მაგალითად, არ შეიძლება ერთი სქესის მქონე პირთა ქორწინების საფუძველზე შექმნილი ოჯახის წევრებს აღსაზრდელად ჰყავდეთ ბავშვი როგორც ბიოლოგიური შვილი, ისე ნაშვილები, არ შეიძლება მათი დაშვება ხელოვნური განაყოფიერების სამედიცინო პროცედურებზე და სხვ. მიუხედავად მრავალმხრივი შეზღუდვებისა, ერთი სქესის მქონე პირთა ქორწინების საკანონმდებლო აღიარება სახელმწიფოს მხრივ სქესობრივ უმცირესობათა წარმომადგენლობის პრობლემების რეალური გადაწყვეტისაგან თავის არიდების მცდელობა უფროა, ვიდრე ოჯახურ გარემოში მათი მოქცევის შესაძლებლობა.

ქორწინება ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია. ეს ნიშანი ქორწინების თავისუფლების პრინციპს ემყარება, რაც იმას ნიშნავს, რომ ქორწინების შესახებ შეთანხმება, აგრეთვე მისი შეწყვეტა მექორწინეთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული. ქორწინება, რომელიც ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედების საფუძველზე ჩატარდა, შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი. ქორწინების ნებაყოფლობა მექორწინეთა თანასწორუფლებიანობასაც გულისხმობს. ქალი და მამაკაცი თანაბარი უფლებებით სარგებლობენ არა მარტო ქორწინების დროს, არამედ მეუღლეობრივ უფლება-მოვალეობათა რეალიზაციის პროცესშიც.

ქორწინება ქალისა და მამაკაცის მუდმივი კავშირია. მუდმივ ხასიათს განაპირობებს ბავშვების ერთობლივად აღზრდისა და ერთმანეთზე ზრუნვის ვალდებულება, ჭირსა და ლხინში ერთმანეთის გვერდით დგომა. შეუძლებელია დაქორწინება განსაზღვრული ვადით ან რაიმე პირობით. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ თუ პირი დაქორწინდა, იგი სიცოცხლის ბოლომდე თავის მეუღლეზე უნდა იყოს მიჯაჭვული. როცა მეუღლეთა ერთად ცხოვრება, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, შეუძლებელია, შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს განქორწინება წარმოადგენს. ამიტომ ქორწინებისას სხვადასხვა ვადის წინასწარ განსაზღვრა (გამოსაცდელი, ერთმანეთზე შესაჩვევი და სხვ.) მიუღებელია. ქორწინება აპრიორულად სამისდღემშიო ხასიათს უნდა ატარებდეს. იგულისხმება, რომ იგი გრძელდება მეუღლეთა მთელი

სიცოცხლის მანძილზე ან იმ მომენტამდე, როდესაც ისინი გადაწყვეტენ განქორწინებას. ქორწინების ასეთი ხასიათისადმი დამოკიდებულება უფრო მკვეთრად იყო გამოხატული ადრინდელ ქართულ და ბევრი სხვა ქვეყნის კანონმდებლობაში. უკანასკნელ პერიოდში, იმასთან დაკავშირებით, რომ მნიშვნელოვნად მატულობს განქორწინებათა რიცხვი და თანდათან ინერგება ქორწინების ამხანაგურ-პარტნიორული ფორმები, რომლებიც დროებით საოჯახო ურთიერთობებს ეყრდნობა, კანონმდებლის პოზიცია ოჯახის მუდმივი ხასიათის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად შესუსტდა. უკვე არც განქორწინებათა გართულება მოქმედებს ამ პროცესზე დადებითად. ამჟამად ქორწინება, როგორც სამისდღემშიო კავშირი, უფრო ეთიკურ-ზნეობრივ და არა კანონის იმპერატიული მოთხოვნის სფეროს განეკუთვნება. მიუხედავად ამისა, ქორწინების მუდმივი ხასიათის განმტკიცება კანონის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მაინც რჩება.

ზემოაღნიშნულის ფონზე საინტერესოა ე.წ. „დროებითი ქორწინების ფორმის" არსებობა ძველ რომში და მასთან საქართველოში საკმაოდ დამკვიდრებული ტერმინის – „ქალის გათხოვება" – დაკავშირება. როგორც ცნობილია, რომში უძველესი დროიდან არსებობდა მონოგამიური პატრიარქალური ოჯახი, რომელსაც სათავეში ედგა შეუზღუდავი უფლებების მქონე უფროსი მამაკაცი – paterfamilias. ასეთ ოჯახში ქმრის ძალაუფლება ცოლზე მყარდებოდა სამი ფორმით – რელიგიური ქორწინებით, ყიდვითა და თხოვებით, ანუ სარგებლობის უფლებით. პირველი ორი ფორმის დროს ცოლი მთლიანად ემორჩილებოდა ოჯახის უფროსს ან თავის ქმარს როგორც პირადად, ისე ქონებრივად. იგი ქმრის ოჯახის წევრი ხდებოდა და კავშირს წყვეტდა მამის ოჯახთან, კარგავდა მამის მემკვიდრეობის უფლებას და სხვ. მესამე ფორმა კი შედარებით პროგრესული იყო და XII ტაბულის კანონებით იყო შემოღებული (V საუკუნე ჩვ. წელთაღრიცხვამდე). მისი ძირითადი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ დაქორწირებისას ქალს შეეძლო ქმრის ოჯახში შესვლა არა მუდმივად, არამედ დროებით, შთამომავლობის გამრავლების მიზნით. ეს იყო ქორწინება თხოვების წესით. ცოლს მხოლოდ შვილების გაჩენის ფუნქცია ეკისრებოდა. იგი არ ითვლებოდა ქმრის ოჯახის წევრად და არ ექვემდებარებოდა „პატერფამილიას" ან ქმრის ხელისუფლებას. მამის ოჯახთან კი შენარჩუნებული ჰქონდა ყოველგვარი ურთიერთობა.

ოჯახის უფროსისა და ქმრისათვის არ იყო მისაღები მათ ოჯახში

შესული ქალის ასეთი თავისუფალი სამართლებრივი მდგომარეობა. ამიტომ ისინი ცდილობდნენ, რომ ქალი მუდმივად დაეტოვებინათ ოჯახში, მასზე გაევრცელებინათ ოჯახის უფროსის ან ქმრის ხელისუფლება. ცოლს კი მათი ქვეშევრდომობა და სრულიად უუფლებო მდგომარეობაში ყოფნა არ სურდა. ამიტომ იყო დაწესებული ის, რომ თუ ქალი გათხოვდებოდა და ქმრის ოჯახში მუდმივად ერთი წლით მაინც დარჩებოდა, იგი ქმრის ხელისუფლებაში მოექცეოდა. ამის თავიდან ასაცილებლად ცოლი ყოველი წლის ბოლოს სამი დღით ტოვებდა ქმრის სახლს, რაც მას საშუალებას აძლევდა კვლავ თავისუფალ მდგომარეობაში დარჩენილიყო. ქმრის ოჯახში მუდმივი ცხოვრების ათვლა თავიდან უნდა დაწყებულიყო. ასე შეიძლებოდა თავისუფლების შენარჩუნება ხანგრძლივი დროის განმავლობაში. დროებითი საქორწინო ურთიერთობების არსებობა დამახასიათებელია საქართველოს ისტორიისთვისაც[1]. აქედან გამომდინარე, ლოგიკურად უნდა ჩაითვალოს „გათხოვება" საქართველოში ქორწინების თავდაპირველი ფორმის – დროებითი ქორწინების არსებობის პერიოდიდან შემორჩენილ ტერმინად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით **ქორწინება მხოლოდ მაშინ წარმოშობს მეუღლეობრივ უფლება-მოვალეობას, როცა ხდება მისი სახელმწიფო რეგისტრაცია** სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში. ასეთ რეგისტრაციას კონსტიტუციური, ანუ უფლებაწარმომქმნელი მნიშვნელობა ენიჭება. რეგისტრაცია წარმოადგენს ქორწინების ერთადერთ დამადასტურებელ საშუალებას. ქორწინების მოწმობის გარდა სხვა რაიმე დოკუმენტი ქორწინების ფაქტის დასადასტურებლად საჭირო არ არის. ეს თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ არ შეიძლება დავა სარეგისტრაციო ჩანაწერის შესახებ ან თვით ქორწინების რეგისტრაციის გაბათილება. თუ სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოში არ მოიპოვება ჩანაწერი ქორწინების შესახებ, შესაძლებელია ქორწინების მოწმობის საფუძველზე მოხდეს მისი აღდგენა. ქორწინების მოწმობის წარდგენის საფუძველზე შეიძლება აგრეთვე საალიმენტო, საპენსიო და სამემკვიდრეო უფლების განხორციელების მოთხოვნა და სხვ. საქართველოს ტერიტორიაზე სხვა რომელიმე ორგანოში, თუნდაც ეკლესიაში რეგისტრირებულ ქორწინებას იურიდიული ძალა არ გააჩნია.

---

[1] **ივ. ჯავახიშვილი,** ქართული სამართლის ისტორია, თბ., 1982. თხზ. ტ. VI, გვ. 153.

მართალია, საქართველოში ნებადართულია საეკლესიო ქორწინება, მაგრამ მას სამოქალაქო ქორწინების მსგავსი სამართლებრივი შედეგები არ მოჰყვება. ასეთი პოზიცია გამოხატულია საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში (საფრანგეთი, გერმანია, შვეიცარია, ჰოლანდია და სხვ.). ზოგან საეკლესიო ქორწინება სახელმწიფოს მიერ რეგისტრირებულ ქორწინებასთანაა გათანაბრებული (ინგლისი, ავსტრალია, შვედეთი, ფინეთი და სხვ.). ქართული საოჯახო კანონმდებლობა, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, ზოგიერთი პოლიტიკური პარტია და არასამთავრობო ორგანიზაცია პერიოდულად აყენებს საკითხს ქორწინების საეკლესიო რეგისტრაციის, როგორც ალტერნატიული წესის შემოღების შესახებ, ჯერჯერობით მხოლოდ სამოქალაქო ქორწინებას ცნობს.

კანონის ამ მოთხოვნას არა აქვს უკუქცევითი ძალა იმ ქორწინებათა მიმართ, რომელთა რეგისტრაცია ადრე არსებული წესების მიხედვით ხდებოდა ეკლესიებში ან ომის დროს – სამხედრო ნაწილებში. ასეთ შემთხვევებში სასამართლოს შეუძლია ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობა, თუ მისი დამადასტურებელი საკმაო საბუთები არსებობს, აღიაროს კანონიერად. აქედან გამომდინარე, **ქალისა და მამაკაცის კავშირი, თუ იგი რეგისტრირებული არ არის შესაბამის სახელმწიფო ორგანოში, იურიდიული თვალსაზრისით, ქორწინებად არ ითვლება და წარმოადგენს ქალისა და მამაკაცის მხოლოდ თანაცხოვრებას.**

ასეთი ფაქტობრივი ქორწინება, რეგისტრირებულისაგან განსხვავებით, სრულყოფილად არ წარმოშობს მექორწინეებისათვის სასურველ სამართლებრივ შედეგებს. მათ შორის ურთიერთობაში არ მოქმედებს მეუღლეთა თანაზიარი საკუთრების რეჟიმი. ერთად შეძენილი ქონება, მათ საერთო წილობრივ საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეთ, ასეთ ქორწინებაში გაჩენილი ბავშვის აღზრდის ვალდებულება მშობლებს ერთნაირად არ ეკისრებათ და სხვა. მიუხედავად ამისა, ფაქტობრივი ქორწინებები საკმაოდ არსებობს. არავითარ საკანონმდებლო აკრძალვას არ შეუძლია სრულად აღმოფხვრას ქალისა და მამაკაცის ხანგრძლივი, ქორწინების გარეშე კავშირები, რასაც ისინი ოჯახის შექმნის საფუძვლად მიიჩნევენ. ახალგაზრდა წყვილთა ნაწილს სურს მოგვიანებით გააფორმოს ქორწინება ან საერთოდ უარი თქვას რეგისტრაციაზე. ეს პრობლემა სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს, მით უმეტეს, რომ უკანასკნელ პერიოდში ევროპისა და ამერიკის ქვეყნები მკვეთრად არ ასხვავებენ რეგისტრირებულ და ფაქტობრივ

ქორწინებებს განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როცა ქორწინება რელიგიური წესების დაცვითაა ჩატარებული. საზოგადოებრივი აზრიც უფრო შემწყნარებლური ხდება ქორწინების გარეშე კავშირების მიმართ. მიუხედავად ასეთი ტენდენციისა, საქართველოში ფაქტობრივი ქორწინება კანონგარეშედაა მიჩნეული.

კანონი არ ითვალისწინებს ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობათა აღიარებას სასამართლოს მიერ. პირის გარდაცვალების ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში, მასთან ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში ადრე ნამყოფ არც ერთ პირს უფლება არა აქვს მოითხოვოს მისი აღიარება კანონიერ მეუღლედ და აქედან გამომდინარე, რომელიმე სამემკვიდრეო ან საპენსიო უფლების განხორციელება.

ქორწინებისათვის დამახასიათებელი ნიშნებისა და თავისებურებების ანალიზის შემდეგ შესაძლებელია ჩამოყალიბებულ იქნეს მისი ზოგადი ცნება. ამგვარად, **ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულზე დამყარებული, ნებაყოფლობითი, სამისდღემშიო და სახელმწიფოს მიერ რეგისტრირებული კავშირი, რომელიც მეუღლეთა შორის წარმოშობს სპეციფიკურ პირად და ქონებრივ უფლება-მოვალეობებს.**

3.2. ქორწინების პოზიტიური პირობები

ქორწინების სახელმწიფოებრივი რეგულირება გულისხმობს ქორწინების პირობების განსაზღვრას. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო კანონის მეშვეობით ადგენს როდისაა ქორწინების რეგისტრაცია შესაძლებელი და რა გარემოებები მიიჩნევა რეგისტრაციისათვის ხელის შემშლელად. საოჯახო კანონმდებლობით მნიშვნელოვნადაა გამარტივებული ქორწინებისა და განქორწინების წესი და პირობები. ამის აუცილებლობა ნაკარნახევია არა მარტო საქართველოში ადრე მოქმედი შესაბამისი სამართლებრივი აქტების, არამედ სხვა ქვეყნების საქორწინო-საოჯახო კანონმდებლობის არქაული და რელიგიური მოსაზრებების საფუძველზე ხელოვნურად შექმნილი ბარიერების დიდი ხნის მანძილზე მოქმედებით, რაც მეტად ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა ფაქტობრივ და ფიქციურ საქორწინო ურთიერთობათა წარმოსაშობად

და შესანარჩუნებლად. საქართველოს ამჟამინდელი კანონმდებლობით განსაზღვრული ქორწინების ან განქორწინების წესის შემდგომი გამარტივება თითქმის შეუძლებელია. არასდროს დადგება ალბათ ის დრო, როცა დაქორწინებისას ყურადღება არ მიექცევა მექორწინეთა მინიმალურ ასაკსა და ურთიერთთანხმობას, უახლოეს ნათესავებს შორის ქორწინების აკრძალვას და სხვ. სწორედ ასეთ პირობებს აწესებს მოქმედი კანონმდებლობა ქორწინების ნამდვილობისათვის.

ქორწინების პირობები ორ ჯგუფად იყოფა: პოზიტიური პირობები, რომელთა არსებობის დროს დასაშვებია ქორწინების რეგისტრაცია და ნეგატიური პირობები, რომელთა არსებობა ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1107-ე მუხლის მიხედვით ქორწინების პოზიტიური პირობებია – **საქორწინო ასაკი და დასაქორწინებელ პირთა თანხმობა.** ეს ისეთი პირობებია, რომელთა გარეშეც დაქორწინება წარმოუდგენლად შეიძლება ჩაითვალოს. აღნიშნული პირობების დაცვა, ოღონდ არაერთგვაროვანი გაგებით, სავალდებულოდაა მიჩნეული თითქმის ყველა ცივილიზებული ქვეყნის კანონმდებლობით.

ქორწინებისათვის აუცილებელია, რომ მექორწინეები განსაზღვრულ ასაკს იყვნენ მიღწეული. საქორწინო ასაკად საქართველოში დადგენილია 18 წელი როგორც ქალებისათვის, ისე მამაკაცებისათვის. ამასთან, შესაძლებელია ამ ასაკის ორი წლით შემცირება, თუ მშობლები ან სხვა კანონიერი წარმომადგენლები ამაზე წინასწარ განაცხადებენ წერილობით თანხმობას. იგულისხმება, რომ მშობლების პარალელურად ასეთი უფლება სხვას არავის გააჩნია. თუ მშობლები არ არიან ცოცხალნი, ჩამორთმეული აქვთ მშობლის უფლება ან აღიარებულნი არიან გარდაცვლილად, მხოლოდ მაშინ შეიძლება სხვა კანონიერმა წარმომადგენელმა, ანუ მზრუნველმა გასცეს ასეთი თანხმობა. 16 წელზე ნაკლები ასაკის პირთა დაქორწინება არ შეიძლება. მინიმალური საქორწინო ასაკის განსაზღვრა მეუღლეთა და მათი მომავალი ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნვით არის განპირობებული. ადრეულ ასაკში ქორწინება უარყოფითად მოქმედებს როგორც ქალზე, ისე მამაკაცზე, რადგან მათ ჯერ კიდევ არ მიუღწევიათ ფიზიკური განვითარების საკმარისი დონისათვის. ასეთ ასაკში სქესობრივი ცხოვრება ცუდად მოქმედებს ჯანმრთელობაზე, ფსიქიკასა და საერთოდ, ადამიანის განვითარებაზე. ძალზე ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ვერ იძლევა

ჯანმრთელ თაობას, ვერ უზრუნველყოფს მათ აღზრდას. ადრეული ქორწინება ხელს უშლის მეუღლეებს, განსაკუთრებით ქალებს, განათლების მიღებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თავისი ადგილის დაკავებაში. სწორედ ამიტომ არის, რომ საოჯახო კანონმდებლობა სავალდებულო ასაკის დარღვევით მომხდარ ქორწინებას ბათილად თვლის. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაა დაწესებული იმ პირთან სქესობრივი კავშირისათვის, რომელსაც თექვსმეტი წელი არ შესრულებია, თუნდაც ეს ქალის მხრივ ნებაყოფლობის გამოვლენის საფუძველზე მოხდეს.

საქორწინო ასაკი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად რეგულირდება. ათეულობით ქვეყანაში მინიმალურ საქორწინო ასაკად დადგენილია 12 წელი. ზოგიერთ ქვეყანაში საქორწინო ასაკი საერთოდ არ არის განსაზღვრული. საფრანგეთში ქალებისათვის დადგენილია 15 წელი, მამაკაცებისათვის კი – 18 წელი. მხოლოდ პროკურორს აქვს უფლება სერიოზული საფუძვლების არსებობისას იშუამდგომლოს დადგენილ ასაკამდე ქორწინების თაობაზე. ინგლისში მინიმალური საქორწინო ასაკია 16 წელი როგორც ქალებისთვის, ისე მამაკაცებისათვის. მისი შემცირება დაუშვებელია. გერმანიაში ორივე მექორწინისათვის 18 წელია განსაზღვრული, შემცირება შეიძლება მშობლების თანხმობით. თუ მშობლები წინააღმდეგნი არიან, მაშინ შეიძლება სასამართლოსადმი მიმართვა ნებართვის მისაღებად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთ მექორწინეს შეუსრულდა 16, ხოლო მეორეს კი – 18 წელი. მოლდავეთში საქორწინო ასაკად დადგენილია 16 წელი ქალებისათვის და 18 წელი მამაკაცებისათვის. ამავე დროს, შესაძლებელია ორივესათვის 2 წლით მისი შემცირება. რუსეთში საქორწინო ასაკი და სრული ქმედუნარიანობა 18 წლიდან იწყება. 2 წლით შეუძლია შეამციროს საქორწინო ასაკი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს. 16 წელზე ნაკლები ასაკის პირთა დაქორწინება შესაძლებელია, თუ ეს გათვალისწინებულია ფედერაციის სუბიექტთა კანონმდებლობით.

საქართველოს ისტორიიდან ცნობილია დაქორწინება შედარებით დაბალი ასაკიდან. 1103 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლისწერაში“ მოცემული ნორმების საფუძველზე იგულისხმება, რომ XII საუკუნემდე ფართოდ ყოფილა გავრცელებული არასრულწლოვანთა დაქორწინება. ამ ძეგლის მიხედვით, ქალ-ვაჟთა დანიშვნა შესაძლებელია ადრეულ ასაკში, მაგრამ დაქორწინება კი ქალისათვის მხოლოდ 12 წლიდან იყო შესაძლებლად მიჩნეული. აქედან ითვლებოდა იგი

ასაკოვნად. ვაჟები 15 წლის ასაკიდან ქორწინდებოდნენ. საეკლესიო სამართლის ეს მოთხოვნა საერო კანონმდებლობაშიც დამკვიდრდა. მართალია, ეს ასაკიც არ იყო სრულწლოვანების საერთოდ მიღებული ზღვარის შესაბამისი, მაგრამ ადრე არსებულთან შედარებით იგი დავით აღმაშენებლის პროგრესული საკანონმდებლო პოლიტიკის მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

აღნიშნულის ფონზე საქართველოში მინიმალური საქორწინო ასაკის განსაზღვრის ამჟამად მოქმედი წესი ნინ გადადგმული ნაბიჯია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 16 წელს მიღწეული მექორწინისათვის მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების დაქორწინებაზე უარის თქმის გასაჩივრების შესაძლებლობის გათვალისწინება. ჯერ ერთი, მშობლების თანხმობის ინსტიტუტის შემოღება თავისთავად წარმოადგენს საქორწინო ურთიერთობათა რეგულირების სრულყოფის ნიმუშს. იგი სავსებით შეესაბამება საბაზრო მეურნეობის პრინციპების დამკვიდრების შინაარსს. ქორწინება ქონებრივ მხარესთანაც არის დაკავშირებული და სწორედ მშობლები უნდა წყვეტდნენ უპირველესად თავიანთი არასრულწლოვანი შვილების დაქორწინების მიზანშეწონილობის საკითხს. მეორეც, არ შეიძლება მშობლების ახირება ან მერკანტილისტური დამოკიდებულება დაედოს საფუძვლად შვილის დაქორწინებაზე თანხმობის გაცემას. ამასთან, თუ პატივსადები მიზეზიც (ფაქტობრივი ქორწინება, ბავშვის გაჩენა და სხვ.) არსებობს, დასაქორწინებელ პირებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს და მშობლების უარის მიუხედავად, მიიღონ დაქორწინების ნებართვა. სასამართლოს გადაწყვეტილება ქორწინების ნებართვის შესახებ სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოსათვის სავალდებულოა და ქორწინების რეგისტრაცია აუცილებლად უნდა ჩატარდეს. სასამართლოს მიერ არასრულწლოვანისათვის ქორწინებაზე ნებართვის გაცემა ნიშნავს იმას, რომ მომავალში თუ ასეთი პირი ხელახლა დააპირებს დაქორწინებას სრულწლოვანების მიღწევამდე, ვინმეს ნებართვა არ დასჭირდება, ვინაიდან სასამართლომ იგი ერთხელ უკვე ჩათვალა ქორწინებაუნარიანად. ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან არასრულწლოვანი მეუღლეები სრულ ქმედუნარიანობას იძენენ. ამ მომენტიდან ძალაშია საქორწინო გარიგება და იწყება მეუღლეობრივი უფლებამოვალეობების წარმოშობა. ამასთან დაკავშირებით შესაძლებელია წარმოიშვას ერთგვარი გაურკვევლობა, რომ არასრულწლოვანი პირი სასამართლოსადმი უშუალოდ მიმართვის უფლებით როგორ უნდა

სარგებლობდეს, როცა 16 წლის პირი არ არის სრული ქმედუნარიანი (სამოქალაქო კოდექსის მე-14 მუხლი) და მისი ინტერესების დაცვა ევალება მზრუნველს – ამ შემთხვევაში მშობელს (სამოქალაქო კოდექსის 1275-ე მუხლი). გამოდის, რომ, ჯერ ერთი, მზრუნველი არ იძლევა თანხმობას და მეორეც, მზრუნველმა უნდა დაიცვას სამზრუნველო პირის ინტერესები სასამართლოში. სახეზე მართლაც არის წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, იმ ზოგად ნორმებსა, რომლებიც განსაზღვრავენ არასრულწლოვანის სამართლებრივ მდგომარეობას და მეორე მხრივ, სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის ბოლო ნაწილს შორის, რომელიც აღნიშნულ შემთხვევაში არასრულწლოვანის სასამართლოსადმი უშუალოდ მიმართვის შესაძლებლობას აწესებს. ასეთ შემთხვევაში სახეზეა კოლიზია ზოგად და კერძო ნორმებს შორის. სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მიხედვით, „კოდექსით გათვალისწინებულ ზოგად ნორმებსა და სპეციალურ ნორმებს შორის კოლიზიისას გამოიყენება სპეციალური ნორმები". ამგვარად, არასრულწლოვანი მექორწინე პირის შესაძლებლობა, დამოუკიდებლად მიმართოს სასამართლოს ქორწინებაზე ნებართვის შესახებ, არ ეწინააღმდეგება მისი სამოქალაქო-სამართლებრივი მდგომარეობის განმსაზღვრელი ნორმების შინაარსს.

კანონი მხოლოდ მინიმალურ საქორწინო ასაკს განსაზღვრავს. ქორწინების მაქსიმალური ასაკი განსაზღვრული არ არის. სრულწლოვან პირს ნებისმიერ ასაკში შეუძლია დაქორწინება, თუ იგი ნამდვილად ოჯახის შექმნის მიზნით ხდება. არ არის განსაზღვრული აგრეთვე ისიც, თუ რა ასაკობრივი სხვაობა უნდა იყოს მომავალ მექორწინეებს შორის.

საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ამოცანებიდან გამომდინარე, ზოგჯერ დგება საკითხი მინიმალური საქორწინო ასაკის კიდევ უფრო შემცირების შესახებ, რომ ამით საგრძნობლად გაიზარდოს ქორწინებათა რიცხვი. არსებული პრობლემისადმი ასეთი მიდგომა უსაფუძვლოა. ნაადრევი ქორწინებისათვის დამახასიათებელი უარყოფითი მხარეების გარდა, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ამჟამად საქართველოში საშუალო საქორწინო ასაკი 26-28 წელია. ათიათასობით ადამიანმა გაუშვა მინიმალური საქორწინო ასაკი და მომდევნო 8-10 წლის მანძილზეც ვერ გადაწყვიტეს ოჯახის შექმნის საკითხი. გარდა ამისა, უამრავი დაუქორწინებელი ადამიანი შედის იმ ასაკში, როცა კიდეც რომ დაქორწინდეს, შთამომავლობას ვერ შექმნის. ასეთი მდგომარეობა, უპირველეს ყოვლისა, აიხსნება დასაქორწინებელ პირთა მისწრაფებით

– მიაღწიონ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და მოაგვარონ საბინაო პრობლემა. თუმცა არანაკლები მნიშვნელობისაა ქვეყანაში არსებული რთული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა. ამიტომ საქორწინო ასაკის დაწევა კი არაა მთავარი, არამედ – სხვა უფრო სერიოზული პრობლემების გადაწყვეტა.

დაქორწინება შეუძლიათ აგრეთვე იმ სრულწლოვან პირებს, რომლებსაც აქვთ მყარი ფსიქიკური და გონებრივი დარღვევები და საჭიროებენ ფსიქოსოციალურ დახმარებას. მათ სასამართლოს მიერ უწესდებათ მხარდაჭერა, ენიშნებათ მხარდამჭერები, რომელთა მოვალეობაა მხარდაჭერის მიმღებისთვის დახმარების გაწევა ქორწინების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ქორწინებისათვის აუცილებელ და გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს მომავალ მეუღლეთა ურთიერთთანხმობა. ამ პირობაში თავის გამოხატულებას პოულობს დაქორწინების ნებაყოფლობის პრინციპი. ნების თავისუფალი გამოვლინება მარტო დაქორწინების კი არა, მთელი საოჯახო ურთიერთობის სიმტკიცის ამოსავალი პრინციპია. ქალიცა და მამაკაციც თანაბრად თავისუფალი არიან საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობისას. მართალია, დაქორწინების საკითხის გადაწყვეტისას გარკვეულ როლს თამაშობს მშობლების, მეგობრებისა და ნათესავების რჩევა-დარიგებები, მაგრამ ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. სრულწლოვან პირთა დაქორწინებისას მთავარია თვითონ მექორწინეთა სურვილი. ისეთ შემთხვევებში, როცა თანხმობა ქორწინებაზე მიღებულია მოტყუებით, დაშინებით, ფსიქიკური ან ფიზიკური ძალადობით, კანონი ასეთ ქორწინებას ბათილად აცხადებს. დაქორწინების ნებაყოფლობის პრინციპის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მისი დარღვევა ზოგჯერ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული. მაგალითად, ქალის მოტაცება რა „კეთილშობილურ“ მიზნებთანაც არ უნდა იყოს დაკავშირებული, დანაშაულად ითვლება და სხვისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის მომტაცებელს თავად კანონიერად დაეკისრება თავისუფლების აღკვეთა.

სამოქალაქო კოდექსის 1109-ე მუხლში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული დაქორწინებულ პირთა **წინასწარ თანხმობაზე, ანუ ნიშნობაზე**. ეს ინსტიტუტი საქართველოსთვის არასდროს არ ყოფილა უცხო. ცნობილი იყო იგი რომაული სამართლისთვისაც. ოღონდ ადრე მასში სხვა შინაარსი იყო ჩადებული. წარმართობის პე-

რიოდში, როცა ქალის ყიდვისა და მისი ნების საწინააღმდეგო სხვა საშუალებების საფუძველზე დაქორწინება შესაძლებლად იყო მიჩნეული, ნიშნობას არავითარი ფუნქცია არ გააჩნდა. შემდგომ, ქრისტიანობის წარმოშობისა და დამკვიდრების კვალობაზე, არსებითად შეიცვალა ქორწინებისადმი დამოკიდებულება. ქალი უკვე აღარ წარმოადგენდა ნივთს, მამის ან ქმრის ხელისუფლებაში მყოფ უუფლებო არსებას. მას დაქორწინებისას მზითვის მიღების უფლებაც გაუჩნდა. ქორწინებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა უკვე არა ერთპიროვნულად და მამაკაცისათვის უსაზღვროდ გაზრდილი უფლებების, არამედ მშვიდობიანი მოლაპარაკებისა და შეთანხმების საფუძველზე ხდებოდა. აქედან მოყოლებული ნიშნობა თანდათან მკვიდრდებოდა, მისი შინაარსი სულ უფრო სრულყოფილი ხდებოდა და უმეტეს შემთხვევებში წინასაქორწინო აუცილებელი მოქმედების სახეს ღებულობდა.

ნიშნობა იუსტინიანეს დიგესტებში განმარტებულია როგორც „მომავალი ქორწინების დათქმა და ორმხრივი დაპირება". იქვე მოცემულია ცნობილი რომაელი იურისტის ულპიანეს განმარტება ნიშნობის წარმომავლობასთან დაკავშირებით. ნიშნობის ლათინური სახელწოდებაა sponsalia და ნიშნავს დაპირებას. მისი მიღწევა შესაძლებელია ზეპირი (ვერბალური) გარიგების საფუძველზე. აქედან წარმოიშვა ტერმინები საქმრო (sponsus) და საცოლე (sponsa), რაც დაპირებულს, ანუ დანიშნულს ნიშნავს. ლათინური „sponsalias" შესატყვისი ქართული ტერმინი „ნიშნობა" საცოლისათვის საჩუქრის, ნიშნის მირთმევასთან არის დაკავშირებული. ქალის დანიშვნას „ნიშნის შებმა" ეწოდებოდა. ის, ვისაც ნიშანს მიუტანდნენ, ანუ ნიშანს შეაბამდნენ, ნიშანშებმული ანუ დანიშნული იყო. „ნიშანთან" ერთად გამოიყენებოდა სხვა ტერმინებიც. მაგალითად, „წინდი", „ბელგი" და სხვა. აქედან – „დაწინდვა" ან „დაბელგვა" ნიშნობის ადეკვატური შინაარსის შემცველია.

ქალის დანიშვნის დროს ნიშნის სახით უმეტესად ძვირფას ბეჭედსა და სხვა სამკაულებს იყენებდნენ. ბეჭედი დანიშვნისა და ქორწინების ძირითადი სიმბოლო იყო შორეულ წარსულში და ამ მიზნით დღესაც ფართოდ გამოიყენება[1]. ნიშნობის ბეჭედი ქალზე იძულებით დაქორწინებას უკავშირდება. იგი მიჩნეულია იმ ჯაჭვის ნარჩენ ერთ-ერთ რგოლად, რომელიც პირველყოფილ საზოგადოებაში ქალის მოტაცებისა

[1] ი. ფუტკარაძე, ქორწინების წესები ქართული სამართლის მიხედვით. ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის შრომები, თბ., 1977. გვ. 31.

და მოსათვინიერებლად დაბმისათვის გამოიყენებოდა[1]. მოგვიანებით ნიშნობის ბეჭედი პიროვნული თავისუფლების შეზღუდვასთან ერთად მომავალი მეუღლისა და ოჯახის ერთგულების სიმბოლოდ იქცა. სწორედ ამიტომ, საქორწინო ბეჭედს ადრე თუ მხოლოდ ქალები ატარებდნენ, მამაკაცებმა მისი ტარება კარგა ხნის შემდეგ დაიწყეს.

რომაული სამართლის ზეგავლენით ნიშნობა ბევრ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც მეტ-ნაკლებად ერთნაირი შინაარსით ჩამოყალიბდა. ნიშნობა ქორწინებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოთხოვნად ითვლებოდა. იგი უმეტესწილად მშობლების სურვილითა და ურთიერთშეთანხმებით ხორციელდებოდა. მომავალ მექორწინეთა დასწრება ნიშნობაზე აუცილებელი არ იყო. ნიშნობისათვის მინიმალურ ასაკად უმეტესად დაწესებული იყო შვიდი წელი. საქართველოში შეიძლებოდა აკვანშიც დანიშვნა. ნიშნობას არ აუქმებდა სულით ავადმყოფობა, თუ იგი ნიშნობის შემდეგ დადგებოდა. ნიშნობის ფორმა ვერბალური იყო. ნიშნობისას გამოხატული წინასწარი თანხმობა დაქორწინების ვალდებულებას წარმოშობდა. ნიშნობის რიტუალში უმეტესად შუამავალი პირები მონაწილეობდნენ. ნიშნობის შესახებ მიღწეული გარიგება განსაზღვრულ პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა.[2]

საქართველოში ნიშნობა, ჩვეულებრივ, დიდი ხნით უსწრებდა ქორწინებას. ნიშნობის დროს ქალ-ვაჟის ნება-სურვილს არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, მხოლოდ მშობლების შეთანხმება იყო მთავარი. ეს განპირობებული იყო იმითაც, რომ დანიშვნა ხდებოდა მცირე ასაკიდან. მცირეწლოვან ქალ-ვაჟთა დანიშვნა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ქორწინების ქრისტიანული წესის დამკვიდრების შემდეგ დანიშვნას ქორწინებასთან თითქმის გათანაბრებული მნიშვნელობა ჰქონდა[3]. მოგვიანებით საერო კანონმდებლობამაც იგივე პოზიცია გაიზიარა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ნიშნობა და ქორწინება დროში უფრო დაუახლოვდა ერთმანეთს. ნიშნობა განსაზღვრულ ვალდებულებებს წარმოშობდა შეთანხმებულ მხარეთათვის. მაგალითად, ერთ საცოლესთან დანიშნული პირი თუ მეორეს შეირთავდა, იგი მიიჩნეოდა ორცოლიანად. ერთ-ერთი დანიშნულის გარდაცვალების შემთხვევაში, მეორის დაქორწინება მისთვის მეორედ დაქორწინებად

---

[1] **Чурсин Г.**, Свадебные обычай и обряды на Кавказе. М., 1903. ст. 36.

[2] **ლ. შოშიაშვილი**, ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში. თბ., 2003. გვ. 14.

[3] **გ. ნადარეიშვილი**, ძველი ქართული საოჯახო სამართალი. თბ., 1996. გვ. 6-17.

ითვლებოდა. ორცოლიანობა ან მეორედ დაქორწინება კი გასაკიცხად ცხადდებოდა. ნიშნობის დროს მიღწეული შეთანხმებით განისაზღვრებოდა ქალის მზითვისა და ვაჟის მიერ ქალისათვის მირთმეული ნიშნის სამართლებრივი მდგომარეობა. მაგალითად, თუ ქალი მოშლიდა ნიშნობას, უარის მთქმელს წინდი, ანუ ნიშანი უკან უნდა დაებრუნებინა. ასეთივე ვალდებულება ჰქონდა ვაჟის მხარესაც – თუ ვაჟის ინიციატივით ჩაიშლებოდა ნიშნობა, იგი უფლებას კარგავდა წინდად მიტანილ ქონებაზე[1].

ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებამ დღის წესრიგში მომავალ მექორწინეთა ნების გამოვლენისადმი სამართლებრივი მნიშვნელობის მიცემის საკითხი დააყენა და დანიშნულთა აუცილებელი დაქორწინების ვალდებულების შინაარსი მნიშვნელოვნად შეასუსტა.

ნიშნობის ინსტიტუტის ლოგიკური განვითარებისა და საკითხისადმი ცივილიზებული მიდგომის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექში გამოხატული პოზიცია. კანონი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ: 1. ნიშნობის დროს მთავარი და გადამწყვეტი არა მშობლებისა და სხვა ნათესავების თანხმობაა, არამედ დასაქორწინებელ პირთა წინასწარი თანხმობა; 2. ნიშნობა დანიშნულ პირთა შორის არ წარმოშობს შემდგომი დაქორწინების ვალდებულებას; 3. რადგან ნიშნობა არ იწვევს მომავალში აუცილებელი დაქორწინების მოვალეობას, იგი არ შეიძლება იძულებითი დაქორწინების შესახებ სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვის საფუძველი გახდეს; 4. ნიშნობა არავითარ ქონებრივ ვალდებულებას არ წარმოშობს იმ პირთა შორის, რომელთაც წინასწარი თანხმობა განაცხადეს დაქორწინებაზე; 5. ნიშნობასთან დაკავშირებით ერთმანეთისადმი მირთმეული განსაზღვრული ღირებულების საჩუქრები დაუქორწინებლობის შემთხვევაში მხარეებს უკან უბრუნდებათ.

საჩუქრის უკან დაბრუნების საფუძველს წარმოადგენს მომავალ მექორწინეთაგან ერთ-ერთის მიერ უარის თქმა დაქორწინებაზე. თუ საპატიო მიზეზის გამო ერთ-ერთი მათგანი დროებით ითხოვს ქორწინების რეგისტრაციის გადატანას (ავადმყოფობა, მძიმე ოჯახური მდგომარეობა და სხვ.), ეს არ ჩაითვლება საჩუქრის უკან დაბრუნების საფუძვლად. პატივსადები მიზეზების არსებობისას, საჩუქარდ მირთმეული ნივთის უკან გამოთხოვა, თუ დასაჩუქრებული ნებაყოფლობით

[1] ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები და კომენტარი. თბ., 1963. გვ. 243, 539.

არ აბრუნებს მას, შესაძლებელია სასამართლოს მეშვეობით. ამასთან, მიზანშეწონილია დაუქორწინებლობით გამოწვეული ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხის მოწესრიგებაც.

3.3. ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებანი

სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლში (აგრეთვე სამოქალაქო აქტების შესახებ კანონის 54-ე მუხლში) ზუსტად არის განსაზღვრული ის გარემოებები, რომელთა არსებობაც ქორწინებისათვის ხელის შემშლელად ითვლება და ქორწინება არ დაიშვება. ასეთ გარემოებათა გამო ქორწინების აკრძალვა დაკავშირებულია საქორწინო სამართლის ძირითადი პრინციპების განუხრელად დაცვის აუცილებლობასთან. მათ შორის **განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთქორწინების პრინციპი.** არ შეიძლება ქორწინების რეგისტრაციაში გატარდეს ის პირი, რომელიც უკვე იმყოფება სხვა ქორწინებაში. ახალი ქორწინება შესაძლებელია მხოლოდ ადრინდელ მეუღლესთან განქორწინების შემდეგ. ქორწინებათა ოდენობა განსაზღვრული არ არის, თუ იგი არ ეწინააღმდეგება მონოგამიის შინაარსს. ერთქორწინების პრინციპის განხორციელებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჯანსაღი და მტკიცე ოჯახის შექმნისათვის. კანონის მიხედვით თუ ერთ-ერთი ან ორივე მეუღლე სხვა ქორწინებაში იმყოფება და მაინც მოხდა ქორწინების რეგისტრაცია, ასეთი ქორწინება აუცილებლად უნდა გაბათილდეს. ორცოლიანობა ან მრავალცოლიანობა, ანუ ორ ან რამდენიმე ქალთან ერთად ცხოვრება საერთო მეურნეობის წარმოების მიზნით მიუღებელია ზნეობრივადაც. ორცოლიანობა არ იქნება სახეზე, როცა მამაკაცი სარეგისტრაციო სახელმწიფო ორგანოში არასწორი ცნობების წარდგენის საფუძველზე ახერხებს მეორე ქალთან ქორწინების რეგისტრაციას, რასაც შეიძლება არ ჰქონდეს ოჯახის შექმნისა და საერთო მეურნეობის წარმოების მიზანი. ასეთი შემთხვევა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოების დამალვად უნდა ჩაითვალოს. ქალის შეცდენა, ანუ მოტყუება, ე.ი. მასთან სქესობრივი კავშირის დამყარება ქორწინების სარეგისტრაციო ფორმის გამოყენებით, ადრე სისხლისსამართლებრივი წესით ისჯებოდა. ახლა მხოლოდ ზნეობრივი ნორმების გამოყენებაა შესაძლებელი. ქალის შეცდენა ყოველთვის არ გულისხმობდა ქალწუ-

ლობის დაკარგვას. მთავარია, იმ ქალთან საქორწინო რეგისტრაციაში გატარების ფაქტი, რომელთანაც მამაკაცს არ სურს ოჯახის შექმნა. ქალის მოტყუებას შეიძლება მაშინაც ჰქონდეს ადგილი, როცა მამაკაცი პირველად ქორწინდება. სარეგისტრაციო ორგანოსათვის ძნელია ქორწინების რეგისტრაციის დროს მამაკაცის ნამდვილი სამომავლო განზრახვა ამოიცნოს, ამიტომ მისი როლი მსგავსი ფაქტების აღმოფხვრაში მინიმალურია. სარეგისტრაციო ორგანოს ამოცანაა დარწმუნდეს, რომ პირი არ იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში. ეს კი შესაძლებელია ისეთი საბუთების წარდგენის საფუძველზე, როგორიცაა: მეუღლის გარდაცვალების მოწმობა, მეუღლის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება, განქორწინების მოწმობა ან სასამართლოს გადაწყვეტილება ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ. ერთქორწინების დამადასტურებელი ფორმალური პირობების დაცვის შემდეგ შესაძლებელია ქორწინების რეგისტრაციაში გატარება. ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობა არ წარმოადგენს დამაბრკოლებელ გარემოებას ქორწინების რეგისტრაციისათვის.

ერთქორწინების პრინციპიდან გამომდინარე, პირს სრულწლოვანების შემდეგ ყოველთვის შეუძლია დაქორწინება, თუ იგი სხვასთან არ იმყოფება ქორწინებაში. არა აქვს მნიშვნელობა იმას, იყო თუ არა იგი ადრე ქორწინებაში ან რა მიზეზით შეწყდა იგი. ამიტომ, როცა პირი ხელახლა ქორწინდება, მან აუცილებლად უნდა წარადგინოს ადრინდელი ქორწინების დამადასტურებელი საბუთი. თუ ქორწინება შეწყდა იმის გამო, რომ ერთ-ერთი მეუღლე გარდაიცვალა, აუცილებელი არ არის მეორე მეუღლემ მოითხოვოს ქორწინების შეწყვეტის ოფიციალურად გაფორმება. იგულისხმება, რომ ქორწინება შეწყვეტილია. ამიტომ მეორე ქორწინების რეგისტრაცია უნდა მოხდეს ყოფილი მეუღლის გარდაცვალების მოწმობის საფუძველზე. კანონით არ არის განსაზღვრული მეუღლის გარდაცვალებიდან რამდენი ხნის შემდეგ შეუძლია მეორე მეუღლეს ხელახალი დაქორწინება. ზოგიერთ ქვეყანაში მეუღლის გარდაცვალებიდან ხელახლა დაქორწინებამდე დადგენილია ე.წ. „სამგლოვიარო ვადა". მაგალითად, დანიაში ასეთ ვადად დადგენილია ერთი წელი ქალებისათვის და სამი თვე მამაკაცებისთვის; პორტუგალიაში – ერთი წელი ქალებისათვის და ექვსი თვე მამაკაცებისათვის; ჰოლანდიაში მხოლოდ ქალები არიან ვალდებულნი ათი თვე იგლოვონ და შემდეგ შეუძლიათ ხელმეორედ დაქორწინდნენ.

ასეთი შეზღუდვების დაწესება ნაკარნახევია ზნეობრივი ნორმების დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე.

კანონის მიერ განსაზღვრული სხვა დამაბრკოლებელი გარეგანი მოებებიდან რამდენიმე ნათესაობის საერთო შინაარსით შეიძლება გაერთიანდეს. **ნათესავებს შორის ქორწინების აკრძალვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია საოჯახო სამართალში.** არ შეიძლება დაქორწინება პირდაპირი აღმავალი ან დაღმავალი შტოს ნათესავებს შორის, ბიოლოგიურ და არაბიოლოგიურ და-ძმებს შორის, აგრეთვე მშვილებელსა და ნაშვილებს შორის. ნათესაობის არა ყოველი ხაზისა და ხარისხის დროს იკრძალება ქორწინება, არამედ კანონით დადგენილი ნათესაობის შიგნით.

კანონის შინაარსიდან გამომდინარე, აკრძალულია დაქორწინება პირდაპირი ხაზის ყველა ხარისხის ნათესავებს შორის. კერძოდ – პაპა-ბებიას, მშობლებს, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს შორის. რაც შეეხება გვერდით ხაზს, აქ მხოლოდ ყველაზე ახლო ხარისხის ნათესავებს – დებსა და ძმებს შორის იკრძალება ქორწინება. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს იმას, დები და ძმები ორივე მშობელით არიან ერთნი, თუ – დედით ან მამით. არაბიოლოგიურ და-ძმას შორის სისხლით კავშირია განმსაზღვრელი. ახლო ნათესავებს შორის ქორწინების აკრძალვა ემყარება არა მარტო ზნეობრივ ნორმებს, არამედ მომავალი თაობის ჯანმრთელობის დაცვის შესახებ მეცნიერულ მედიკობიოლოგიურ მოსაზრებასაც. ახლო ნათესავებს შორის ქორწინება, სისხლის აღრევა, ანუ ინცესტი, უარყოფითად მოქმედებს მომავალი თაობის ჯანმრთელობაზე. ამან შეიძლება გამოიწვიოს გარეგნულად შეუმჩნეველი პათოლოგიური გადახრები. ავადმყოფობა შეიძლება გამოვლინდეს არა მხოლოდ შვილებში, არამედ მომდევნო თაობებშიც. ასეთ მემკვიდრეობით ავადმყოფობას მიეკუთვნება ჭკუასუსტობის ზოგიერთი სახე, ყრუმუნჯობა და სხვა. რაც შეეხება მშვილებელსა და ნაშვილებს შორის ქორწინების აკრძალვას, იგი განპირობებულია მათ შორის არა სისხლით კავშირის არსებობით, არამედ ბიოლოგიურ მშობლებსა და შვილებს შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივად მასთან გათანაბრების ფაქტით. რადგან ნაშვილებს უწყდება ნათესაობაზე დამყარებული ურთიერთობა ბიოლოგიურ მშობლებთან, მისი მსგავსი ურთიერთობა მშვილებლისა და მისი ნათესავების მიმართ წარმოეშობა. ამიტომ ლოგიკურად უნდა ჩაითვალოს მშვილებელსა და ნაშვილებს შორის ქორწინების აკრძალვა.

ნათესავებს შორის ქორწინების აკრძალვა საქართველოში საუკუნეების მანძილზე ეყრდნობა საზოგადოებაში გავრცელებულ წესჩვეულებებსა და ზნეობრივ წარმოდგენებს. წარმართულ პერიოდში ახლო ნათესავებს შორის დაქორწინება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. დასაშვები იყო დაქორწინება ბიძაშვილებს, დეიდაშვილებსა და სხვა ახლო ნათესავებს შორის. ცნობილი ფაქტია, რომ იბერიის მეფის – ფარსმანის ძმას – მითრიდატეს, რომელიც რომაელთა დახმარებით სომხეთის ტახტს დაეუფლა, ცოლად ჰყავდა ფარსმანის ქალიშვილი. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ეკლესიამ ნათესავებს შორის საქორწინო ურთიერთობა განსაზღვრულ ჩარჩოებში მოაქცია. თანდათან ფართოვდებოდა იმ ნათესავთა და მოყვარეთა წრე, რომელთა შორისაც ქორწინება იკრძალებოდა. **საეკლესიო კანონმდებლობით ბავშვის ან ოჯახის მოზრდილი წევრის ნათლობის მეშვეობით საფუძველი ჩაეყარა სულიერი ნათესაობის შემოღებას.** იგი სისხლით ნათესაობასთან გათანაბრდა და ზოგჯერ აღმატებულადაც კი ყოფილა მიჩნეული. ფეოდალურ საქართველოში სულიერ ნათესავთა შორის მეშვიდე ხარისხამდე იკრძალებოდა ქორწინება, ხოლო სისხლით ნათესავთა შორის – ჯერ ოთხ-ხუთ ხარისხამდე, ხოლო შემდეგ მეტ ხარისხზეც მოქმედებდა ასეთი აკრძალვა. აკრძალვა მოქმედებდა არა მარტო მამის ხაზით ნათესავებს, ანუ გვარის წარმომადგენლებს შორის, არამედ დედის მხრიდან ნათესავებს შორისაც. უფრო მეტიც – ქორწინება აკრძალული იყო მოყვრების განსაზღვრულ კატეგორიებს შორის. მაგალითად, არ შეიძლებოდა დაქორწინება ცოლის დაზე ან სიდედრზე, თუ მამაკაცს ცოლი გარდაეცვლებოდა. ასევე ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში ქორწინება იკრძალებოდა მამამთილსა და რძალს შორის. იგივე წესი ვრცელდებოდა ქმრისა და ცოლის და-ძმებს შორის. არ ითვლებოდა დამაბრკოლებელ გარემოებად ძმების დაქორწინება დებზე, თუ ჯვრისწერა მოხდებოდა ერთდროულად. ასევე არ იკრძალებოდა ცოლ-ქმრის ბიძაშვილებს, დეიდაშვილებსა და სხვა მოყვრებს შორის დაქორწინება. საეკლესიო და საერო კანონმდებლობით არა, მაგრამ ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე საკმაო ხნის მანძილზე ითვლებოდა ქორწინება შეუძლებლად წოდებრივი განსხვავებისა და გვარიშვილობის მტკიცედ დამკვიდრების გამო. იშვიათად ხდებოდა, რომ დიდგვაროვანი მამაკაცი გლეხის ქალზე დაქორწინებულიყო ან, პირიქით.

ნათესავებს შორის ქორწინების აკრძალვის მიუხედავად, ამ წესის დარღვევა მაინც ხდებოდა. ვახტანგ გორგასალმა ომში წასვლის

წინ ანდერძით გამოხატა თავისი სურვილი, რომ მისი და – ხუარანძე ბიძაშვილს – მირიანს შეერთო ცოლად. მოგვიანებით ენდოგამიის ცალკეული შემთხვევები უმეტესად განპირობებული იყო პოლიტიკური მიზნით და ეკლესიაც თვალს ხუჭავდა ასეთ ფაქტებზე ან თვითონ აძლევდა დასტურს. მაგალითად, თამარ მეფე და მისი მეორე ქმარი დავით სოსლანი მეშვიდე ხარისხის ნათესავები იყვნენ. ამ ქორწინებამ კათოლიკოსის უმაღლესი ლოცვა-კურთხევა მიიღო. თეიმურაზ პირველსა და მის მეუღლე ხორეშანს – ქართლის მეფის ლუარსაბის დას – მეექვსე ხარისხის ნათესაობა აკავშირებდათ.

აღნიშნულის ფონზე შედარებით უხერხულად ჩანს თანამედროვე კანონმდებლობით ქორწინების აკრძალვა გვერდითი ხაზის მხოლოდ უახლოესი ხაზის ნათესავებს შორის. თუმცა, და-ძმების გარდა სხვა ნათესავებს შორის ქორწინების აუკრძალველობა, სრულებითაც არ ნიშნავს ბიძაშვილებს, დეიდაშვილებსა და სხვა ნათესავებს შორის ქორწინების წახალისებას. კანონი უფრო მეტი ხარისხის გვერდით ნათესავებს შორის ქორწინებას იმიტომ არ კრძალავს, რომ უხერხულობაში არ ჩავარდეს ის ხალხი, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ და ტრადიციულად დასაშვებად მიაჩნიათ ასეთი ქორწინება. გარდა ამისა, ახლო ნათესავებს შორის ქორწინების წინააღმდეგ ზნეობრივი ნორმების გამოყენება მნიშვნელოვან ეფექტს იძლევა და მათი გამოყენებისათვის არავითარი შეზღუდვა არ არსებობს. მიუხედავად ამისა, ლიტერატურაში არცთუ უსაფუძვლოდ აყენებენ საკითხს ახლო ნათესავებს შორის მეტი ხარისხით ქორწინების აკრძალვის შემოღების შესახებ. მაგალითად, შ. ჩიკვაშვილის აზრით, ქორწინება უნდა აიკრძალოს ბიძაშვილებს, დეიდაშვილებს, ბიძაშვილ-მამიდაშვილებს, ბიძებსა და ძმისშვილებს (დისშვილებს), დეიდასა და დისშვილებს, მამიდასა და ძმისშვილებს შორის[1]. იგივე პოზიციაზეა ს. ჯორბენაძე. იგი ახლო ნათესავების გარდა ქორწინების აკრძალვას მიზანშეწონილად თვლის ახლო მოყვრების გარკვეულ კატეგორიებს შორისაც, მაგალითად, რძალსა და მაზლს, მამინაცვალ-დედინაცვალსა და გერს შორის, სიძესა და ცოლისდას, მულსა და რძლის ძმას შორის და სხვა[2].

ნათესაობისაგან განსხვავებით, რადგან მოყვრობა არ არის განპირობებული სისხლით კავშირით, ამიტომ ქორწინების შეწყვეტის შემდეგ ყოფილი მეუღლის ნათესავზე დაქორწინება მოქმედი კანონ-

[1] **შ. ჩიკვაშვილი**, საოჯახო სამართალი. თბ., 2004. გვ. 83.

[2] **ს. ჯორბენაძე**, საბჭოთა საოჯახო სამართალი, თბ., 1957. გვ. 181.

მდებლობით არ იკრძალება.

სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლის მეორე ნაწილი შეიცავს მეტად მნიშვნელოვან მითითებას შვილად აყვანის დროს ნათესაურ ურთიერთობათა შინაარსისა და ქორწინებაზე მათი გავლენის შესახებ. არსებული წესის მიხედვით შვილად აყვანა არ წარმოშობს ნათესაურ ურთიერთობას, ერთი მხრივ, მშვილებლისა და მეორე მხრივ, ნაშვილების ნათესავებს შორის. ამიტომ მათ შორის ქორწინება დასაშვებად უნდა ჩაითვალოს. კანონი მხოლოდ მშვილებელსა და ნაშვილებს შორის ქორწინებას კრძალავს. რაც შეეხება გაშვილების ფაქტს, იგი, მართალია, წყვეტს ნათესაურ ურთიერთობას გაშვილებულსა და ბიოლოგიურ მშობლებს, აგრეთვე წარმოშობით ნათესავებს შორის, მაგრამ ეს მხოლოდ სამართლებრივი კავშირის შეწყვეტაა, ხოლო სისხლით კავშირი მათ შორის კვლავაც რჩება. გამოდის, რომ ნათესაობა ამ შემთხვევაში ფორმალურად წყდება, რეალურად კი ძალაშია. ამიტომ სისხლის აღრევის თავიდან აცილების მიზნით კანონი ადგენს, რომ გაშვილებულსა და მის სისხლით ნათესავებს შორის ქორწინების შესაძლებლობის საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში იქნეს მიღებული ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებათა მათ მიმართ მოქმედების აუცილებლობა. კერძოდ, **არ შეიძლება გაშვილებული პირი მომავალში დაქორწინდეს თავისი პირდაპირი ხაზის ნებისმიერი ხარისხის ბიოლოგიურ ნათესავზე ან თუნდაც ნახევარ დაზე (ძმაზე), მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ნათესაობაზე დამყარებული სამართლებრივი ურთიერთობა შეწყვეტილია გაშვილების მომენტიდან.**

ნაშვილებისაგან განსხვავებულ პრინციპზეა აგებული მშვილებლის საქორწინო სამართალსუბიექტობის შინაარსი. შვილად აყვანის ფაქტი, კანონის მიხედვით, არ წარმოშობს ნათესაურ სამართლებრივ ურთიერთობას მშვილებელსა და ნაშვილების ბიოლოგიურ ნათესავებს შორის. ამიტომ მათ შორის ქორწინება არ არის აკრძალული. **მშვილებელს მხოლოდ ნაშვილებზე დაქორწინება ეკრძალება.** მშვილებელსა და ნაშვილების ნათესავებს შორის არ არსებობს სისხლით კავშირი და ამიტომ გამორიცხულია სისხლის აღრევის შედეგად შესაბამის პათოლოგიათა არსებობა. კანონმდებელმა ეს გაითვალისწინა და შესაძლებლად დაუშვა, მაგალითად, მშვილებელსა და ნაშვილების ბიოლოგიურ მშობელს შორის დაქორწინება, თუ მეუღლე არც ერთს არა ჰყავს. იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ მშვილებლისა და ნაშვილების ნათესავებს შორის ქორწინების საკითხის

გადაწყვეტისას უნდა მოქმედებდეს იგივე აკრძალვები, რაც არსებობს პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავებს შორის[1].

ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად ადრე ითვლებოდა სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო პირის აღიარება ქმედუუნაროდ. ამჟამად ასეთ პირებს სასამართლოს მიერ ენიშნებათ მხარდამჭერები, რომელთა დახმარებით შეუძლიათ ნებისმიერ სამოქალაქო, მათ შორის საქორწინო ურთიერთობებში მიიღონ მონაწილეობა. ისინი, მართალია, ქმედუნარიანებად მიიჩნევიან, მაგრამ ქორწინებისათვის აუცილებელია მომავალ მეუღლესთან საქორწინო ხელშეკრულების გაფორმება. ასეთი ხელშეკრულებით მხარდაჭერის მიმღების მეუღლე საქმის კურსში შედის პარტნიორის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და განსაზღვრულ პასუხისმგებლობასაც ინაწილებს მისი მოქმედების მართლზომიერებაზე.

თუ მხარდამჭერი მხარდაჭერის მიმღებზე ქორწინდება, მაშინ, ამ უკანასკნელის ინტერესების სრულყოფილი დაცვისათვის, საჭიროა დამატებით, დროებითი მხარდამჭერის გამოყოფა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ. აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობა ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად ჩაითვლება.

ნებისმიერი სახის ავადმყოფობა, რა მძიმეც არ უნდა იყოს იგი, დაქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად არ მიიჩნევა. თუმცა ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულებები ზოგიერთი ავადმყოფობის, მაგალითად, შიდსის ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად მიჩნევის მიზანშეწონილობის შესახებ[2]. მსგავს მოსაზრებებს კანონმდებელი სამართლიანად არ იზიარებს იმის გამო, რომ მექორწინეებს ევალებათ ერთმანეთს გააცნონ ინფორმაცია თავიანთი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და ამის შემდეგ თვითონ უნდა გადაწყვიტონ დაქორწინდნენ თუ არა. ასეთ შემთხვევაში ქორწინების აკრძალვას აზრი არა აქვს.

სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი ქორწინების პოზიტიური და ნეგატიური პირობები ამომწურავია. არც სარეგისტრაციო ორგანოს, არც მშობლებს ან სხვა პირებს არა აქვთ უფლება ქორწინებისათვის რაიმე სხვა პირობა ან შეზღუდვა დააწესონ. კანონი არ ცნობს ქონებრივი ხასიათის რაიმე მოთხოვნას გამოსასყიდის, მზითვის

---

[1] Комментарий к семейному кодексу Р. Ф. Под редакцией **Крашенникова П. В. и Седугина П. А. М.**, 1997. с. 41.

[2] **შ. ჩიკვაშვილი**, საოჯახო სამართალი, თბ., 2004. გვ. 86.

ციის ფაქტის ცნობა. აღნიშნულ შემთხვევებში მოხდება ქორწინების კანონიერების დადასტურება.

ქორწინების გაფორმება ხდება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის და სანოტარო ბიუროს მიერ, რომელთაც განცხადებით უნდა მიმართონ მექორწინეებმა. კანონით მექორწინეთა განცხადებას ძალა აქვს შეტანიდან ორი თვის განმავლობაში. ამასთან, მათ უფლება აქვთ მიუთითონ კონკრეტულ დღეზე, როცა ქორწინების რეგისტრაცია სურთ. მათ შეუძლიათ მოითხოვონ ადრე მითითებული ვადის შეცვლა როგორც შემცირების, ისე გაზრდის მიზნით. ადრინდელი წესის მიხედვით აუცილებელი იყო განცხადების შეტანიდან ქორწინების რეგისტრაციამდე ერთთვიანი ვადის გასვლა, რათა შექმნილიყო მომავალი ოჯახის სიმტკიცის ერთგვარი გარანტია. ამავე დროს, იგი მექორწინეთა გრძნობების შემოწმების შესაძლებლობადაც იყო მიჩნეული. ამჟამად, მართალია, მსგავსი დრო არ არის განსაზღვრული, მაგრამ გაზრდილია განცხადების მოქმედების ვადა, ხოლო რეგისტრაციის დღის განსაზღვრა მთლიანად მექორწინეებზეა დამოკიდებული. დაქორწინების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების სიმყარის ხარისხის მიხედვით მათ შეუძლიათ განცხადების შეტანიდან მეორე დღესვე მოითხოვონ ქორწინების რეგისტრაცია ან კიდევ ერთხელ დასაფიქრებლად ორთვიან ვადაში ამოირჩიონ ნებისმიერი დღე. დაქორწინების დროის შეცვლის შესაძლებლობაც საბოლოო გადაწყვეტილების მართებულობის უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს. პრაქტიკა ადასტურებს იმას, რომ განცხადების შეტანიდან ქორწინების რეგისტრაციამდე მექორწინეთა მიერ განსაზღვრული დრო მათ საშუალებას აძლევს ღრმად დაფიქრდნენ და მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ ცხოვრებაში გადასადგმელ მნიშვნელოვან ნაბიჯს. არც ისე იშვიათია შემთხვევები, როცა განცხადების შეტანის შემდეგ გადაუფიქრებიათ ქორწინება. განმცხადებელთა ნაწილი ორთვიან ვადაში უარს ამბობს ქორწინებაზე ან არ ცხადდება სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოში. სხვადასხვა სახის სოციოლოგიური გამოკვლევის მიხედვით, რაც უფრო კარგად და დიდხანს იცნობენ ერთმანეთს მექორწინეები, ოჯახიც უფრო მყარია და ხანგრძლივი თანაცხოვრება კი გაცნობაში არ იგულისხმება სქესობრივი სიახლოვე ქორწინებამდე, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი საბაზრო მეურნეობისათვის დამახასიათებელი პრინციპების დამკვიდრებით ხსნის. მათი აზრით, სიყვარული და ურთიერთმოწონება კი არა, მთა-

ვარია სქესობრივი თავსებადობა და საერთო ქონებრივი ინტერესები. ასეთი შეხედულება თავისი შინაარსით ციინიკურია და მას არავითარი რეალური საფუძველი არ გააჩნია. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ განქორწინებულ წყვილთა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც დაქორწინებამდე იყვნენ ერთმანეთთან ახლო კავშირში, მაგრამ მაინც განქორწინდნენ. საქართველოში ქალწულობის დაკარგვა ქორწინებამდე ყოველთვის სამარცხვინოდ ითვლებოდა. ოჯახის სიწმინდისათვის, მეუღლეთა ერთგულებისა და მომავალი თაობის ჯანსაღად აღზრდისათვის ქორწინებამდელი კავშირები გაუმართლებელია.

ქორწინების რეგისტრაციისათვის დადგენილი ორთვიანი ვადის გასვლის შემდეგ მექორწინეთა განცხადება ძალას კარგავს. თუ ისევ სურთ დაქორწინება, მათ თავიდან უნდა მიმართონ სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოს. არა აქვს მნიშვნელობა იმას, ვადის გაშვება საპატიო მიზეზით (ხანგრძლივი ავადმყოფობა, სასწრაფო მივლინებაში გამგზავრება და სხვ.) მოხდა თუ დაქორწინება დროებით გადაიდო. განცხადების ხელახლა შეტანისას გაშვებული ვადის კომპენსაცია შესაძლოა მეორე დღესვე რეგისტრაციის საფუძველზე მოხდეს.

ქორწინების რეგისტრაცია გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება განცხადების შეტანის დღესვე მოხდეს. ამისათვის აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობა. კანონი ასეთ გარემოებად მიიჩნევს ბავშვის დაბადებას, ერთ-ერთი მექორწინის სიცოცხლისათვის რეალური საფრთხის არსებობას და სხვა მსგავს გარემოებებს. ქორწინების რეგისტრაციის დამაჩქარებელ გარემოებათა მიჩნევა განსაკუთრებულად სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოს პრეროგატივაა. მას შეუძლია გაითვალისწინოს მექორწინეთა დიდი ხნის ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობა, სხვადასხვა უწყებისა და ორგანიზაციის შუამდგომლობა ან რეკომენდაცია. ყველა შემთხვევაში მექორწინეთა ინტერესები უნდა იყოს განმსაზღვრელი.

განცხადების შეტანის დღეს ქორწინების რეგისტრაციაზე უარის თქმა შესაძლებელია სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოში შეტანილ განცხადებათა სიმრავლის გამო. ასეთ შემთხვევაში მექორწინეებს შეუძლიათ დაელოდონ შეთავაზებულ დროს ან მიმართონ სხვა ტერიტორიულ სარეგისტრაციო ორგანოს. განცხადებით მიმართვა მექორწინისათვის არავითარ ვალდებულებას არ წარმოშობს ქორწინების რეგისტრაციის აუცილებლობასთან დაკავშირებით.

ქორწინების რეგისტრაციის შესახებ განცხადება მექორწინეებს

შეუძლიათ შეიტანონ ნებისმიერი ქალაქის ან რაიონის სამოქალაქო აქტების რეგისტრაცის ორგანოში. კანონით განსაზღვრული არ არის კონკრეტული სარეგისტრაციო ორგანო, რომელშიც უნდა იქნეს შეტანილი განცხადება, მაგალითად, მექორწინეთა ან მათი მშობლების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ჩვეულებრივ, მექორწინეები თავიანთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ტარდებიან რეგისტრაციაში. შესაძლებელია ისეთი შემთხვევები, როცა მექორწინეები სხვა რეგიონში იმყოფებიან ხანგრძლივად და იქ გადაწყვიტეს დაქორწინება ან არ სურთ დაქორწინების ფაქტის ფართოდ გახმაურება და უნდათ მეზობელ ქალაქში გააფორმონ იგი. **ყველა შემთხვევაში ქორწინების რეგისტრაცია უნდა მოხდეს დასაქორწინებელ პირთა უშუალო მონაწილეობით.** არ არის დაშვებული წარმომადგენლის მეშვეობით დაქორწინება, ანუ როცა რეგისტრაციის დროს ადგილზე არ არის საცოლე ან საქმრო და მათ ცვლიან სხვა პირები – მექორწინეთა წარმომადგენლები. საქართველოში XII საუკუნემდე შესაძლებლად იყო მიჩნეული ასეთი ქორწინება. მას „კიდით კიდე გვირგვინთა კურთხევა" ეწოდებოდა. ეს წესი საშუალებას იძლეოდა, რომ მეფე-დედოფლის ქორწინება მომხდარიყო ცალ-ცალკე, ანუ „კიდით კიდე". გვირგვინთა კურთხევა ხდებოდა ცალ-ცალკე საცოლისა და საქმროს სახლებში. გვირგვინის კურთხევის ცერემონიალში მონაწილეობას ღებულობდნენ სხვაგან მყოფი მექორწინის წარმომადგენლები. როცა საცოლეს უკურთხებდნენ გვირგვინს, იქ მისი საქმროს ნაცვლად გვირგვინის ქვეშ სხვა მამაკაცი იდგა, მაგრამ ჯვრისწერის დროს მისი სახელი კი არ იხსენიებოდა, არამედ ნამდვილი საქმროსი. სხვა შემთხვევაში, ხშირად, პატარძლის ნაცვლად ქალი კი არა, მამაკაცი იდგა გვირგვინის ქვეშ. ძველ საქართველოში წარმომადგენლობითი ქორწინება არც ისე პოპულარულად ითვლებოდა. იგი პატივისა და ღირსების შემლახველად იყო მიჩნეული, განსაკუთრებით ქალებისათვის. ამიტომაც იყო ალბათ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ რომ აკრძალა ასეთი ქორწინება. წარმომადგენლობითი ქორწინება ცივილიზებული ქვეყნების უმრავლესობისათვის მიუღებლად ითვლება. თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ასეთი ქორწინება. მაგალითად, ინდოეთის, ესპანეთის, პერუს, არგენტინისა და კანადის კანონმდებლობით დასაშვებადაა მიჩნეული წარმომადგენლობითი ქორწინება. საყურადღებოა ნაპოლეონის ქორწინების ფაქტი ავსტრიის იმპერატორის ქალიშვილთან. ქორწინება ვენის საკათედრო ტაძარში

შედგა. ნაპოლეონის ინტერესებს, მის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე, მარშალი ბერტე წარმოადგენდა.

ქორწინების სარეგისტრაციო ორგანოში მექორწინეთა მიერ საქორწინო განცხადების პირადად შეტანა დაკავშირებულია მათ მხრივ განსაზღვრულ ურთიერთვალდებულებათა შესრულების მოვალეობასთან. გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია მექორწინეთა ნების გამომხატველი განცხადების წარდგენა მათი წარმომადგენლების მიერაც. არ შეიძლება დასაქორწინებელი პირის ნაცვლად განცხადება დაქორწინების სურვილის შესახებ სხვამ, მაგალითად, ნათესავმა, მეგობარმა ან თუნდაც მომავალმა მეუღლემ შეიტანოს. კანონი ამიტომ მიუთითებს დასაქორწინებელ პირთა და არა ერთ-ერთი მათგანის მიერ განცხადების შეტანის აუცილებლობაზე. განცხადებაში მათ უნდა დაადასტურონ ზოგიერთი ისეთი ფაქტი, რომელთაც შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს ქორწინების რეგისტრაციის მართლზომიერებისათვის. კერძოდ, მათ უნდა დაადასტურონ ის, რომ არ არსებობს მათი ქორწინების ხელის შემშლელი არც ერთი გარემოება, რომლებზეც მითითებულია სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლში, იცნობენ ერთმანეთის ოჯახურ მდგომარეობას, იციან მერამდენეა თითოეული მათგანისათვის ეს ქორწინება და ჰყავთ თუ არა შვილები. ქორწინების ხელის შემშლელი გარემოებების გამოვლენისას, მექორწინეებს არ გაატარებენ რეგისტრაციაში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეიძლება ასეთ შემთხვევაშიც თანახმა იყვნენ ქორწინებაზე. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მაგალითად, რეგისტრაციაში გატარდეს მშვილებლისა და ნაშვილების ან არაბიოლოგიური და-ძმის ქორწინება და სხვ. ოჯახური მდგომარეობის ცოდნაში იგულისხმება ის, რომ მექორწინეებმა იციან ერთმანეთის ოჯახის წევრთა შემადგენლობის, მათი საქმიანობის, საბინაო და მატერიალური მდგომარეობის შესახებ და სხვ. მექორწინეებმა ერთმანეთს ისიც უნდა აცნობონ თუ მერამდენეა მათთვის ეს ქორწინება და ჰყავთ თუ არა შვილები. ადრინდელ ქორწინებათა ან შვილის ყოლის ფაქტის დამალვა ქორწინების რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი არ შეიძლება გახდეს. მას მხოლოდ მექორწინეთა მიმართ აქვთ განსაზღვრული მნიშვნელობა. ამიტომ, თუ მექორწინენი ასეთი ფაქტების გამოვლენის შემდეგ მაინც თანახმანი არიან ქორწინებაზე, მისი რეგისტრაცია აუცილებლად უნდა მოხდეს. ქორწინების პერიოდში ასეთი ფაქტების გამოვლენა შეიძლება მხარეთა სურვილით განქორწინების საფუძველი გახდეს და არა ქორ-

წინების გაბათილებისა. კანონით განსაზღვრული ქორწინების ხელის შემშლელი გარემოებების დამალვის შემთხვევაში თუ რეგისტრაცია მოხდა და შემდეგ გამოვლინდა რომელიმე მათგანი, ეს უკვე საფუძვლად დაედება ქორწინების გაბათილებას და არა განქორწინებას.

საქორწინო განცხადების შეტანისას შესასრულებელ მოვალეობათა გარდა, მექორწინეებს უკვე რეგისტრაციის დროს ევალებათ განაცხადონ იმის შესახებ, რომ იციან ერთმანეთის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ეს იმიტომ, რომ ზოგიერთი ავადმყოფობა საშიშროებას უქმნის არა მარტო მეორე მეუღლის, არამედ შვილის ჯანმრთელობასაც. ზოგიერთი ავადმყოფობისაგან განკურნებას ხანგრძლივი პერიოდი სჭირდება. ქორწინების პერიოდში რომ არ გახდეს აღნიშნული გარემოება მეუღლეებს შორის გაუგებრობის მიზეზი, ამ მხრივ ყველაფერი თავიდან უნდა გაირკვეს. მაგალითად, დასაქორწინებელმა პირმა თავის მომავალ მეუღლეს უნდა განუცხადოს იმის შესახებ, რომ იგი დაავადებულია მძიმე ვენერიული სნეულებით, ტუბერკულოზით, შიდსით ან აქვს ფსიქიკური დარღვევები. ასეთ დაავადებათა გამოაშკარავება ქორწინების პერიოდში შეიძლება განქორწინების საბაბიც გახდეს. ამიტომ, თუ დასაქორწინებელმა პირებმა იციან ერთმანეთის ჯანმრთელობის შესახებ და მაინც სურთ დაქორწინება, სარეგისტრაციო ორგანომ ისინი რეგისტრაციაში უნდა გაატაროს. ამ ორგანოს თანამდებობის პირი მოვალეა დასაქორწინებელ პირთათვის შექმნას ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის გაცნობის შესაძლებლობა.

ქორწინების რეგისტრაციის დროს სარეგისტრაციო ორგანოს სხვა მოვალეობათა შესახებ კანონი სპეციალურად ამახვილებს ყურადღებას. ამით ეს ორგანო საქორწინო ურთიერთობათა აქტიური რეგულატორის როლში გამოდის. საქორწინო განცხადების მიღების დროს სარეგისტრაციო ორგანო ვალდებულია მექორწინეებს გააცნოს ქორწინების რეგისტრაციის პირობები და წესი, ქორწინების რეგისტრაციის დანიშნულება და ის უფლება-მოვალეობანი, რომლებიც წარმოეშობათ მექორწინეებს როგორც მეუღლეებს და შემდეგ როგორც მშობლებს. ქორწინების სარეგისტრაციო ორგანოები ყოველნაირად უნდა ცდილობდნენ მყარი ოჯახის შექმნაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ და საჭიროების შემთხვევაში იზრუნონ ხელის შემშლელ გარემოებათა თავიდან აცილებისათვის. ამიტომაა, რომ კანონი მათ პირდაპირ ავალებს მექორწინეთა გაფრთხილებას იმის თაობაზე, რომ ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების დაფარვა იწვევს განსაზღვრულ

ვნელობის მინიჭებისა და ოჯახის სიმტკიცისათვის ახლობელთა და ნათესავთა მხრივ ზნეობრივ ვალდებულებათა დამკვიდრების მიზნით, აგრეთვე ქორწინებისათვის საჯარო ხასიათის მისაკუთვნებლად **კანონი აუცილებელს ხდის ქორწინების რეგისტრაციისას ორი ან მეტი სრულწლოვანი მოწმის მონაწილეობას.** ქორწინების რეგისტრაციის უშუალო მოწმე შეიძლება სხვა პირებიც იყვნენ, მაგრამ მათგან სულ ცოტა ორი ოფიციალური მოწმე უნდა იყოს. ისინი სარეგისტრაციო წიგნში ტარდებიან როგორც ჯვრისწერის მოწმენი. საქართველოში ხელისმომკიდეობის, ანუ მეჯვარეობის ინსტიტუტი დიდი ხანია არსებობს და მასთან დაკავშირებულია რელიგიურ ურთიერთობათა მნიშვნელოვანი მომენტები (ბავშვის მონათვლა, სულიერ-ნათესაობრივი კავშირის დამყარება, ნათელმირონობისადმი მოკრძალებული დამოკიდებულება თაობათა მანძილზე და სხვ.). ოჯახის წინაშე რაიმე ოფიციალური ვალდებულება მოწმეებს არ ევალებათ. არც დაქორწინებულები არიან იურიდიულად ვალდებულნი მოწმეთა წინაშე.

ქორწინების რეგისტრაციისას ოფიციალურ მოწმეთა დასწრებას ის მნიშვნელობაც აქვს, რომ ზოგჯერ მათი დახმარებით შეიძლება სასამართლომ, განადგურებული სარეგისტრაციო მასალების აღდგენისას, ქორწინების რეგისტრაციის ფაქტი დაადგინოს. არ შეიძლება ქორწინების რეგისტრაციაში არასრულწლოვანი მოწმეები ღებულობდნენ მონაწილეობას, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ მექორწინეები შეიძლება არასრულწლოვანები იყვნენ.

ქორწინების რეგისტრაციის ბოლო ეტაპია სარეგისტრაციო წიგნში შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება, რასაც ხელს აწერენ: მექორწინეები, მოწმეები და სარეგისტრაციო ორგანოს თანამდებობის პირი. მათ მიერ შედგენილი დოკუმენტი დასტურდება ბეჭდით. **ქორწინების რეგისტრაციის დამთავრების შემდეგ მეუღლეებს ეძლევათ ქორწინების მოწმობა.**

განსაზღვრული თავისებურებები ახასიათებს საქართველოში უცხოელთა ქორწინების რეგისტრაციას. ქართული კანონმდებლობით შესაძლებელია როგორც უცხოელის დაქორწინება საქართველოს მოქალაქეზე, ისე თავად უცხოელთა დაქორწინებაც საქართველოში. ორივე შემთხვევაში დაქორწინება უნდა მოხდეს შესაბამისი ქვეყნების კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით. საქართველოს მოქალაქის დაქორწინება უცხოელზე ავტომატურად არ იწვევს მოქალაქეობის შეცვლას. იგი კვლავ რჩება საქართველოს მოქალაქედ.

ქორწინების სარეგისტრაციო ორგანომ შესაძლებელია მექორ-

წინეებს უარი უთხრას ქორწინების რეგისტრაციაზე. უარის თქმა შეიძლება გამოწვეულ იყოს სხვადასხვა საფუძვლით. დაქორწინების წესი და პირობები ბევრ ისეთ მომენტს შეიცავს, რომელთა მიმართ სარეგისტრაციო ორგანოს დამოკიდებულება შეიძლება არაერთგვაროვანი იყოს. მაგალითად, საქორწინო ასაკის ზუსტი დღის დადგენის, ახლო ნათესაობის ხარისხის განსაზღვრის ან რომელიმე ავადმყოფობის ქორწინებისათვის ხელის შემშლელ გარემოებად ჩათვლის საკითხის გადაწყვეტისას დაინტერესებულმა პირმა შეიძლება სარეგისტრაციო ორგანოს პოზიცია არასწორად მიიჩნიოს. ამიტომ მას ყოველთვის უნდა ჰქონდეს ქორწინების რეგისტრაციაზე უარის თქმის გასაჩივრების შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევებში სადავო საკითხები იმდენად მაღალპროფესიულ დონეზეა გადასაწყვეტი, რომ კანონმა ადმინისტრაციული გზით გასაჩივრება კი არ დააწესა, არამედ სასამართლოს მიანდო საკითხის გადაწყვეტა. სასამართლოში დავის განხილვის შესახებ საკითხის დაყენება შეუძლიათ დასაქორწინებელ პირებს, მათ მშობლებს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს. თუ სასამართლომ ჩათვალა, რომ ქორწინების ყველა პირობა დაცულია და მისი დამაბრკოლებელი კანონით გათვალისწინებული არც ერთი გარემოება არ არსებობს, გამოიტანს გადაწყვეტილებას ქორწინების რეგისტრაციის აუცილებლობის შესახებ. ქორწინების სარეგისტრაციო ორგანო, ასეთ შემთხვევაში, ვალდებულია მოახდინოს ქორწინების რეგისტრაცია.

დაქორწინება ადამიანის ცხოვრებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ღირსახსოვარი მომენტია. ამიტომ მექორწინე ყოველთვის ცდილობს, რაც შეიძლება შთამბეჭდავად აისახოს იგი არა მარტო მის, არამედ ნათესავთა და მეგობართა მეხსიერებაში. საქართველოში, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, არსებობს ქორწინების საზეიმო ვითარებაში აღმნიშვნელი წეს-ჩვეულებანი. მათი დახვეწა და თანამედროვე ვითარებასთან შესაბამისობაში მოყვანა მეტ შინაარსსა და ელფერს შესძენს ქორწინების აღნიშვნას. ქორწინების რეგისტრაციის საზეიმო ვითარებაში ჩატარება, თუ ამაზე მექორწინენი თანახმა არიან, ევალება ქორწინების სარეგისტრაციო ორგანოს. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება რეგისტრაციის ჩატარება საჯაროდ – მოწმეების, მეგობრებისა და ნათესავების თანდასწრებით სხვადასხვა სიმბოლიკისა და რიტუალების ფონზე. ქორწინების საზეიმო ვითარებაში გაფორმება მექორწინეებისა და დამსწრეთა მიმართ მნიშვნელოვან ზნეობრივ და

სამართლებრივი ზემოქმედების საშუალებას წარმოადგენს. იგი ადასტურებს მექორწინეთა მიერ ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემის საფუძველზე ოჯახის შექმნის სურვილის მიზანშეწონილობას, ასეთი ოჯახის სახელმწიფოებრივ აღიარებას და ზრდის მეუღლეთა პასუხისმგებლობას არა მარტო ერთმანეთის, არამედ საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე. კანონი შემთხვევით არ უსვამს ხაზს იმას, რომ ქორწინება საზეიმო ვითარებაში ტარდება მხოლოდ დასაქორწინებელ პირთა თანხმობით. ზოგჯერ იმის გამო, რომ დასაქორწინებელ პირს რაიმე ფიზიკური ნაკლი აქვს, მექორწინეები ასაკოვანნი არიან ან მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, არ სურთ ახლობელთა ფართო წრის თანდასწრებით დაქორწინდნენ, მიზანშეწონილი არაა გამორჩეული საზეიმო ვითარების შექმნა. მსგავს შემთხვევებში ქორწინების რეგისტრაცია უნდა ჩატარდეს მექორწინეთა სურვილის მიხედვით. მაგრამ ის წესები, რაც დადგენილია ქორწინების რეგისტრაციისათვის, ყველა შემთხვევაში სავალდებულოდ უნდა შესრულდეს.

ქორწინების რეგისტრაციის საზეიმო ვითარების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს საქორწინო ნადიმის – ქორწილის გადახდა. საქორწინო ნადიმი საქართველოში ყოველთვის იყო და არის ყურადღების ცენტრში. ძველ საქართველოში, განსაკუთრებით შეძლებულთა წრეებში, ქორწილი რამდენიმე დღე გრძელდებოდა. „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ქორწილი ფრიდონის სამფლობელოში რვა დღე მიმდინარეობდა. არჩილს აღწერილი აქვს თეიმურაზ მეფის ქორწილი, რომელიც 40 დღე გრძელდებოდა. ხანგრძლივი და მდიდრული ქორწილის გადახდა ღირსების საქმეს წარმოადგენდა შეძლებულთათვის. საშუალო ფენა შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობდა მას, რომ არაფერი ითქვას დაბალ ფენაზე. ქორწინება და ქორწილი მძიმე ტვირთად აწვებოდა ასეთ ოჯახებს. შემდგომი პერიოდის განმავლობაში, ოჯახის მიერ ქალის გათხოვებისას, მზითვის აუცილებელი მიცემის ტრადიციის თანდათანობით შეზღუდვამ და ქორწილების მასშტაბების შემცირებამ ხელი შეუწყო ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ქართული ქორწილი თანდათან კიდევ უფრო იხვეწება და ცივილიზებულ ხალხთა მსგავსად, ოღონდ ქართული ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების უპირატესობათა შენარჩუნებისა და გამოვლენის საფუძველზე, ჩვენი ყოფითი ურთიერთობის ამსახველი და კულტურის შემადგენელი აუცილებელი ნაწილი ხდება.

წინება, ერთი მხრივ, შეიძლება უარყოფით მოვლენად ჩაითვალოს. იგი უდავოდ ქმნის მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ სიძნელეებს მეუღლეებისათვის. მშობელთა განქორწინება განსაკუთრებით ცუდად მოქმედებს შვილებზე. დიდ ტრავმად რჩება იგი განქორწინების ინიციატორისათვის. მეორე მხრივ, განქორწინებას დადებითი მხარეებიც გააჩნია. სახელმწიფო და საზოგადოება დაინტერესებულია, რომ განქორწინება რაც შეიძლება ნაკლები იყოს, ხოლო საქორწინო-საოჯახო ურთიერთობანი სულ უფრო მტკიცდებოდეს სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმებით აღიარებული პრინციპების საფუძველზე. მაგრამ, თუ მეუღლეთა ურთიერთობა ეწინააღმდეგება ამ პრინციპებს, თუ ოჯახი ფაქტობრივად დაინგრა და შვილების აღსაზრდელად აუცილებელი ნორმალური პირობები მოისპო, აზრი არა აქვს მისი ხელოვნურად შენარჩუნებისათვის ზრუნვას. ასეთ ვითარებაში განქორწინება აუცილებელია და შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთ სწორ გამოსავალს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, განქორწინების თავისუფლება საოჯახო კანონმდებლობის დამახასიათებელი თავისებურებაა.

განქორწინების თავისუფლების საკითხი ისტორიულად სხვადასხვანაირად წყდებოდა. რომის სამართალი ქორწინებას განიხილავდა რა სამოქალაქო გარიგების ნაირსახეობად, უშვებდა განქორწინების სრულ თავისუფლებას. საქორწინო გარიგების მოშლა ყოველთვის იყო შესაძლებელი. ცნობილია, რომ ციცერონმა თავისი ცოლი – ტერენცია იმიტომ გააგდო, რომ ახალი ცოლის მზითევით ვალები გაესტუმრებინა. განქორწინების თავისუფლება მათ რიცხვს მნიშვნელოვნად ზრდიდა. სენეკას აზრით, რომაელები იმისათვის ქორწინდებოდნენ, რომ განქორწინებულიყვნენ და იმისათვის განქორწინდებოდნენ, რომ ხელახლა დაქორწინებულიყვნენ. რომაელი ქალები თავიანთ ხნოვანებას ითვლიდნენ არა წლების, არამედ გამოცვლილი ქმრების რაოდენობის მიხედვით. ასე იყო რომის გაყოფამდე და ბიზანტიის შექმნამდე. ქრისტიანობის გავრცელებიდან მოყოლებული განქორწინება თანდათან იზღუდებოდა. ფეოდალიზმის პერიოდში, როცა სამართალმა რელიგიური იდეოლოგიის გავლენა განიცადა, განქორწინების თავისუფლება დავიწყებას ეძლეოდა. კათოლიკური რელიგიური დოქტრინა განუქორწინებლობის პრინციპზეა დამყარებული. იმ ქვეყნებში, სადაც კათოლიციზმი გავრცელდა, განქორწინება უკანასკნელ პერიოდამდე ურთულეს პროცესს წარმოადგენს. ასეთი ქვეყნებია: ვატიკანი, სანმარინო, არგენტინა, კოლუმბია და სხვ. მხოლოდ 1970 წელს მიიღო

იტალიის პარლამენტმა კანონი განქორწინების შესახებ. მანამდე კი აკრძალული იყო. ევროპაში ანაქრონიზმად იყო მიჩნეული „განქორწინება იტალიურად". მართალია, ზოგიერთი ასეთი ქვეყნისათვის ცნობილია სეპარაციის ინსტიტუტი, რაც მხოლოდ და მხოლოდ მეუღლეთა ცალ-ცალკე ცხოვრების შესაძლებლობაში გამოიხატება. ამ დროს ქორწინება არ წყდება და მეუღლეებს სხვაზე დაქორწინების უფლება არა აქვთ. ასეთი წესი ფაქტობრივად განუქორწინებლობის პრინციპის შენარჩუნებას ნიშნავს. მისგან ბევრად არ განსხვავდება იმ ქვეყნების კანონმდებლობა, სადაც ფორმალურად დასაშვებია განქორწინება, მაგრამ მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მაგალითად, თუ სახეზე არ იქნა ადიულტერი, ანუ ცოლქმრული ღალატი, ერთმანეთის მიმართ სერიოზული შეურაცხყოფა, ან კანონით განსაზღვრული სხვა რომელიმე საფუძველი და მეუღლის თანხმობაც, განქორწინება არ დაიშვება (დანია, შვედეთი, იაპონია, მექსიკა და სხვა). ცივილიზებულ სახელმწიფოთა უმრავლესობაში განქორწინების თავისუფლებაა დამკვიდრებული. განქორწინების აკრძალვა ან მისი პროცედურის გართულება ყოველთვის იწვევდა და იწვევს ფაქტობრივ საქორწინო და საოჯახო ურთიერთობათა ზრდას.

განქორწინების თავისუფლება სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი შესაძლებელია ნებისმიერ დროს და ნებისმიერი საფუძვლით, ან ამის გამო კლებულობს მეუღლეთა და მათი არასრულწლოვანი შვილების პირადი და ქონებრივი ინტერესების დაცვის შესაძლებლობა. პირიქით, განქორწინების დაშვება და მისი პროცესის გამარტივება საოჯახო-სამართლებრივი სუბიექტების უფლება-მოვალეობა რეალური განხორციელების გარანტიებით უნდა იყოს განპირობებული. განქორწინების პროცედურის გამარტივებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მოქმედი კანონმდებლობით **განქორწინება დასაშვებია არა მარტო სასამართლოს მეშვეობით, არამედ უფრო მარტივად, კერძოდ, სასამართლო პროცესის მოწყობისა და მოწმეთა დაკითხვის გარეშეც. ესაა განქორწინება ადმინისტრაციული წესით – სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში.** შედეგების მიხედვით ორივე წესი ერთნაირია. ორივე შემთხვევაში მეუღლეებს შორის წყდება ადრე არსებული საქორწინო ურთიერთობა. ორივე შემთხვევაში საჭიროა განქორწინების რეგისტრაცია მოხდეს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში.

საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების ინტერე-

სების დაცვის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ კანონის მიხედვით ცოლს ყოველთვის შეუძლია მოითხოვოს ქორწინების შეწყვეტა, მაშინ, როდესაც ორსული ცოლის ქმარი ან ერთ წლამდე ასაკის ბავშვის მამა ასეთ უფლებას მიიღებს მხოლოდ მას შემდეგ, თუ ორსული ცოლი ან ჩვილი ბავშვის დედა განქორწინებაზე თანახმაა[1]. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო განქორწინების შესახებ ქმრის სარჩელს არ მიიღებს.

4.2. განქორწინება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში

სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოში განქორწინება შეიძლება მოხდეს ორი სხვადასხვა სახის გარემოების არსებობისას. პირველი, როცა მეუღლეები არ დაობენ, ორივე თანახმაა განქორწინებაზე და შეაქვთ ერთობლივი განცხადება განქორწინების შესახებ და მეორე, როცა განქორწინებას ითხოვს ერთ-ერთი მეუღლე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. პირველ გარემოებაზე ყურადღებას ამახვილებს საქართველოს კანონი სამოქალაქო აქტების შესახებ (თავი VI). მასში გადმოცემულია ორივე მეუღლის სურვილით განქორწინების წესი. ასეთ შემთხვევებში განქორწინების საკითხი მარტივად არის გადასაწყვეტი. განქორწინება ეხება მხოლოდ მეუღლეთა ინტერესებს. მათ არა აქვთ პირადი ხასიათის ან ქონებრივი დავა. იგულისხმება, რომ ყოველგვარი უთანხმოება თვითონვე გადაწყვიტეს, მათ შორის არასრულწლოვანი შვილის რჩენასა და აღზრდასთან დაკავშირებული საკითხებიც. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ, თუ ადრე არასრულწლოვანი შვილის ყოლის ფაქტი განქორწინების სასამართლო წესით გადაწყვეტის საფუძველი იყო, ამჟამად მსგავს შემთხვევებში შესაძლებელია განქორწინება სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანომ მოახდინოს. მთავარია, ორივე მეუღლე თანახმა იყოს განქორწინებაზე. სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანო არ არის ვალდებული გამოარკვიოს მიზეზები, რამაც მეუღლეები მიიყვანა განქორწინების აუცილებლობამდე ან მათ შესარიგებლად მიიღოს რაიმე ზომები.

---

[1] **რ. შენგელია,** ქორწინება და მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი, თბ., 1999. გვ. 39.

მეუღლეები კი მოვალენი არიან სარეგისტრაციო ორგანოსადმი მიმართვის დროს განცხადებაში მიუთითონ, რომ ერთმანეთის მიმართ არა აქვთ პრეტენზიები და თანახმანი არიან განქორწინებაზე. ასეთ წესს პასუხისმგებლობა გადააქვს განმცხადებლებზე იმ შემთხვევისათვის, თუ განქორწინების შემდეგ რაიმე გაუგებრობა წარმოიშობა ამ ფაქტთან დაკავშირებით. განცხადება შეიტანება მეუღლეთა ან ერთ-ერთი მათგანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ასეთ შემთხვევებში იმდენად ნათელია ყველაფერი, რომ კანონი შესაძლებლად მიიჩნევს განქორწინებას ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის დაუსწრებლად, თუ მათ საპატიო მიზეზით არ შეუძლიათ სარეგისტრაციო ორგანოში გამოცხადება. ამასთან, აუცილებელია განქორწინებაზე მათი თანხმობის დამადასტურებელი, სათანადო წესით დამოწმებული განცხადების წარდგენა. სარეგისტრაციო ორგანო მიიღებს გადაწყვეტილებას განცხადების შეტანიდან 5 სამუშაო დღის შემდეგ. გამონაკლის შემთხვევაში, განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობისას, განქორწინება შეიძლება მოხდეს განცხადების შეტანის დღესაც. განცხადების შეტანიდან განქორწინების დაფიქსირებამდე არსებული ვადა მეუღლეებს მათ მიერ გადადგმული ამ მეტად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ნაბიჯის შესახებ კიდევ ერთხელ დაფიქრების შესაძლებლობას აძლევს. თუ ისინი მივლენ იმ გადაწყვეტილებამდე, რომ თავი შეიკავონ განქორწინებისაგან, მათი განცხადების საფუძველზე საქმისწარმოება სარეგისტრაციო ორგანოში შეწყდება. თუ ერთ-ერთი მეუღლე უარს იტყვის განქორწინებაზე, მაშინ მეორეს უფლება აქვს განქორწინების საკითხი განსახილველად დააყენოს სასამართლოში. სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოში განქორწინების დაფიქსირება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ქორწინების შეწყვეტას. საჭიროა მისი რეგისტრაციაში გატარება. ქორწინება შეწყვეტილად ითვლება სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოში მისი რეგისტრაციის მომენტიდან. განქორწინების რეგისტრაციის შემდეგ გაიცემა განქორწინების მოწმობა.

სამოქალაქო აქტების შესახებ კანონის 56-ე მუხლის საფუძველზე სარეგისტრაციო ორგანოში განქორწინება შესაძლებელია ერთ-ერთი მეუღლის განცხადების საფუძველზე. ასეთი უფლების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ წინასწარ განსაზღვრულ ორ შემთხვევაში. კერძოდ, თუ მეორე მეუღლე კანონით დადგენილი წესით აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად და სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ სამი

წლისა. ორივე შემთხვევაში სარეგისტრაციო ორგანოში განქორწინების მოთხოვნა მეუღლის უფლებაა და არა ვალდებულება. განცხადების შეტანა ერთ-ერთი მეუღლის მიერ იმაზე მეტყველებს, რომ აღნიშნული საფუძვლების არსებობისას, მეუღლეთა შორის არ არის ქორწინების შენარჩუნების სურვილი. ყოველი შემთხვევისათვის წინააღმდეგობას არ გამოთქვამს ის მეუღლე, რომელსაც განცხადება შეაქვს განქორწინების შესახებ.

პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შემთხვევაში, მის მეუღლეს განქორწინების უფლება წარმოეშობა სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან. სამ წელზე მეტი ვადით თავისუფლებააღკვეთილი პატიმარი თუ თანახმა არაა განქორწინებაზე, ეს მხედველობაში არ მიიღება, მაგრამ თუ იგი დაობს ქონების ან შვილების თაობაზე, ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა განიხილოს განქორწინების საკითხი და არა სარეგისტრაციო ორგანომ. განქორწინება შეიძლება მოითხოვოს იმ მეუღლემ, რომელსაც მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა სამ წელზე მეტი ვადით. იგულისხმება, რომ მეორე მეუღლეს არ სურს განქორწინება. ამიტომ ასეთ შემთხვევაში განქორწინების საკითხი უნდა განიხილოს სასამართლომ.

განსაზღვრული თავისებურებებით ხასიათდება იმ განქორწინებათა რეგისტრაცია, რომლებიც ხდება სარეგისტრაციო ორგანოში ერთ-ერთი მეუღლის განცხადების საფუძველზე. განქორწინების განხილული შემთხვევებიდან პირველ შემთხვევაში საჭიროა სასამართლოს გადაწყვეტილება, მეორეში კი – სასამართლოს განაჩენი. როცა ერთ-ერთი მეუღლე ითხოვს განქორწინებას სარეგისტრაციო ორგანოში, მან განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ან განაჩენის სათანადოდ დამოწმებული ასლი. სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებულ მეუღლესთან განქორწინება მარტივად მოხდება და არც ამ განქორწინების რეგისტრაცია იქნება დაკავშირებული რაიმე სირთულესთან. რაც შეეხება ისეთ მეუღლესთან განქორწინებას, რომელსაც სასამართლომ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ სამი წლისა, კანონი მათი ინტერესების დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე, განსხვავებულ წესს ადგენს. სარეგისტრაციო ორგანომ განქორწინების თაობაზე მეორე მეუღლის მიერ შეტანილი განცხადების შესახებ უნდა აცნობოს პატიმრობაში მყოფ მეუღლეს და ერთი თვის, საზღვარგარეთიდან კი – ექვსი თვის განმავლობაში მათგან უნდა მიიღოს პასუხი

შემდეგ კითხვებზე: ა) აქვს თუ არა დავა ბავშვების თაობაზე და ბ) ითხოვს თუ არა წილს მეუღლის თანასაკუთრებიდან. თუ არც ერთ საკითხზე არ იქნა პრეტენზია გამოთქმული, სარეგისტრაციო ორგანო მოახდენს განქორწინებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, განქორწინების საქმე სასამართლომ უნდა განიხილოს. სარეგისტრაციო ორგანომ განქორწინება უნდა მოახდინოს არა მარტო მაშინ, როცა მან მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ დავა არ არსებობს, არამედ მაშინაც, როცა შესაბამისად ერთთვიან ან ექვსთვიან ვადაში პასუხი საერთოდ არ იქნა მიღებული. განქორწინების რეგისტრაციის საფუძველზე შესაძლებელია შესაბამისი მოწმობის გაცემა.

კანონი სპეციალურად ამახვილებს ყურადღებას გარდაცვლილად ან დაკარგულად გამოცხადებული მეუღლის დაბრუნებისას ქორწინების აღდგენის საკითხზე. პირის გარდაცვლილად გამოცხადების დროს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება მისი გარდაცვლილად რეგისტრირება. მასთან დაკავშირებულია სხვადასხვა სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგები. მაგალითად, მემკვიდრეობის გახსნა მის ქონებაზე, ქორწინების შეწყვეტა და სხვ. ერთ-ერთი მეუღლის უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადება მის ქონებაზე მეურვეობის დაწესებას ინვევს და მეორე მეუღლის ინიციატივით სარეგისტრაციო ორგანოში განქორწინების საფუძველია. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში შეიძლება ქორწინება შეწყვეტილ იქნეს. მაგრამ, ისეთ შემთხვევაში, თუ გამოჩნდება მეუღლე, რომელიც გამოცხადებული იყო გარდაცვლილად ან დაკარგულად და სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებაც გაუქმებულ იქნება, სარეგისტრაციო ორგანოს უფლება აქვს ორივე მეუღლის ერთობლივი განცხადების საფუძველზე აღადგინოს ქორწინება. იგულისხმება, რომ მეუღლის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება ახალი გადაწყვეტილებით, საფუძვლად ედება ასეთი პირის სარეგისტრაციო ორგანოში გარდაცვლილად რეგისტრაციის ანულირებას. უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადებული მეუღლის დაბრუნებისას სასამართლო აუქმებს ადრინდელ გადაწყვეტილებას და სარეგისტრაციო ორგანო ანულირებას გაუკეთებს შესაბამის ჩანაწერებს. ამის შემდეგ შეიძლება იმ ქორწინების აღდგენა, რომელიც შეწყდა სარეგისტრაციო ორგანოში განქორწინებით.

ამავე წესით ხდება ქორწინების აღდგენა იმ მეუღლეთა შორის, რომელთა განქორწინებაც სასამართლოში მოხდა, მაგრამ არ მომხდარა

მისი რეგისტრაცია. მეუღლეთა ერთობლივი განცხადების საფუძველზე სასამართლო აუქმებს ადრინდელ გადაწყვეტილებას განქორწინების შესახებ.

ქორწინების აღდგენა ხდება ავტომატურად. მეუღლეებს არ ევალებათ რაიმე ფორმალურ მოქმედებათა შესრულება. არ შეიძლება ქორწინების აღდგენა იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს მიერ გარდაცვლილად გამოცხადებული ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის მეუღლე კანონიერად არის დაქორწინებული სხვა პირზე. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს ჯერ განქორწინება და შემდეგ – ყოფილი მეუღლეების ხელახალი დაქორწინება.

4.3. განქორწინების საქმეთა განხილვა სასამართლოში

განქორწინების სასამართლო წესით განხილვა უფრო რთულ პროცედურასთანაა დაკავშირებული. საჭირო ხდება საქმის დეტალურად შესწავლა, მეუღლეთა შორის წარმოშობილ ურთიერთობათა შინაარსში გარკვევა, მოწმეთა დაკითხვა, დოკუმენტების გამოთხოვა და სხვა. სასამართლომ საქმის განხილვის პროცესში ყველა საშუალებას უნდა მიმართოს ოჯახის გადასარჩენად და საბოლოო გადაწყვეტილება განსაზღვრული დროის შემდეგ უნდა მიიღოს. ამიტომ კანონმა ზუსტად განსაზღვრა ის გარემოებები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს საქმის სასამართლოში განხილვას. ასეთი გარემოება, უპირველეს ყოვლისა, არის **მეუღლეებს შორის დავის არსებობა**. იგი შეიძლება იყოს როგორც პირადი, ისე ქონებრივი ხასიათისა. არასრულწლოვანი შვილის ყოლის ფაქტს დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს. შეიძლება მისი აღზრდისა და რჩენის საკითხებთან დაკავშირებით მეუღლეები ვერ შეთანხმდნენ და საჭირო გახდეს სასამართლოს ჩარევა. თუ დავა არ არსებობს, მარტო არასრულწლოვანი შვილის ყოლის ფაქტი არ შეიძლება განქორწინების განხილვას დაედოს საფუძვლად.

განქორწინების საქმეებს სასამართლო განიხილავს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი სასარჩელო წესით[1].

---

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეზე. 2006. №9, გვ. 25.

განცხადება განქორწინების შესახებ სასამართლოში შეაქვს ორივე მეუღლეს ან ერთ-ერთ მათგანს, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მასში აღნიშნული უნდა იყოს განქორწინების მიზეზები. არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ ერთ-ერთი მეუღლე განქორწინების წინააღმდეგია და სასამართლოში განცხადების შეტანაზე უარს ამბობს. მეორე მეუღლის განცხადების საფუძველზე სასამართლო მაინც განიხილავს საქმეს. ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს ის, რომ ქმარს არ შეუძლია განქორწინების თაობაზე დააყენოს საკითხი ცოლის თანხმობის გარეშე, ამ უკანასკნელის ორსულობისას და ბავშვის ერთი წლის ასაკის მიღწევამდე. ასეთი შეზღუდვა დროებითია და აღნიშნულ გარემოებათა მოსპობის შემდეგ მას უფლება ეძლევა მოითხოვოს განქორწინების საქმის განხილვა.

განქორწინების სასამართლო წესიც ორი ეტაპის არსებობას ითვალისწინებს. პირველია სასამართლოს მიერ საქმის არსებითად გადაწყვეტა და მეორე – სასამართლოს გადაწყვეტილების რეგისტრაციაში გატარება.

კანონში არ არის ჩამოთვლილი ის მიზეზები, რომელთა არსებობისას სასამართლომ მეუღლეები უთუოდ უნდა განაქორწინოს. ოჯახური ურთიერთობა მეტად რთული და ფაქიზია. მეუღლეებს შორის საერთო მეურნეობის წარმოებასთან დაკავშირებული ხშირი კონტაქტები ზოგიერთ წვრილმან უთანხმოებათა გამოვლენის საფუძველი ხდება. არაარსებითი ხასიათის უთანხმოება ზოგჯერ სერიოზულ სახეს იღებს, როცა მეუღლეები მათ თავიდან აცილებას ვერ ახერხებენ. განქორწინების საფუძვლად ამა თუ იმ მიზეზის გადაქცევა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სიტუაციაში წარმოიშვა იგი და როგორი დამოკიდებულება გამოავლინეს მეუღლეებმა მის მიმართ. ამიტომ, ზოგჯერ ის, რაც მეუღლეთა ერთი წყვილისათვის განქორწინების მიზეზი ხდება, შეიძლება მეორე წყვილისათვის სრულებითაც არ იყოს ოჯახური ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი. სწორედ ამიტომ შეიკავა თავი კანონმდებელმა განქორწინების მიზეზების თუნდაც კაზუისტური ჩამოთვლისაგან. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სასამართლოს ყველა შემთხვევაში აქვს შესაძლებლობა, რომ განაქორწინოს მსურველნი. სასამართლო ვალდებულია, მთელი სერიოზულობით შეისწავლოს ის მიზეზები, რომლებსაც მეუღლეები განქორწინების საფუძვლად თვლიან და მიიღოს ზომები მეუღლეთა შესარიგებლად. ამ მიზნით შესაძლებელია საქმის განხილვის გადადება და მეუღლეებისათვის შეს-

არიგებელი ვადის მიცემა. ასეთი ვადა არ უნდა იყოს ექვს თვეზე მეტი. სასამართლომ მას შემდეგ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება განქორწინების შესახებ, როცა დარწმუნდება, რომ ოჯახი ფაქტობრივად დანგრეულია, ყველა საშუალებაა გამოყენებული მის გადასარჩენად, მეუღლეთა შერიგება შეუძლებელია და ოჯახში შექმნილი მდგომარეობა ბავშვის აღზრდაზეც ცუდად მოქმედებს.

განქორწინების შესახებ საქმე სასამართლოში განიხილება საჯაროდ, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როცა მეუღლეთა თხოვნით სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია დახურული სხდომის ჩატარება. განქორწინების მიზეზებიდან პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულია: მეუღლეთა შორის საერთო შეხედულებებისა და ინტერესების არარსებობა, ხასიათების შეუთავსებლობა, ცოლქმრული ერთგულების დარღვევა, ეჭვიანობა, ცოლქმრული მოვალეობებისადმი ქარაფშუტული დამოკიდებულება, ლოთობა, სქესობრივი დაუკმაყოფილებლობა, უმუშევრობით გამოწვეული მძიმე სოციალური მდგომარეობა, ცუდი საბინაო პირობები და სხვ. როგორც ჩანს, განქორწინების მიზეზებს შორის საკმაოდ არის როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური ფაქტორები. საქართველოში დაქორწინებათა რიცხვის მომატება საკმაოდ შესამჩნევია. ამასთან, სერიოზულად იზრდება განქორწინებათა ოდენობაც. განსაკუთრებით მატულობს იგი თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებში. აქ ქორწინებათა მნიშვნელოვანი ნაწილი კრახით მთავრდება. ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, მექორწინეთა უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაა ოჯახის შექმნისადმი. ეს უმეტესად ხდება მაშინ, როცა ახალგაზრდები ნაჩქარევად ქორწინდებიან და ღრმად არ უკვირდებიან ვისთან აპირებენ ოჯახის შექმნას.

დაქორწინებისას გადასადგმელი ნაბიჯის შეფასების უნარის დაკარგვა, მშობლებისა და ნათესავ-მეგობრების რჩევა-დარიგებათა უსაფუძვლო უარყოფა ზოგჯერ გამოუსწორებელი შეცდომის საფუძველია. დაქორწინების შემდეგ, როცა ვნებათაღელვა ქრება და ცხოვრებისეულ სიძნელეებს აწყდებიან, იღვიძებს საღი აზრი, იწყებენ ერთმანეთის ნაკლოვანებათა შემჩნევას და გრძნობენ დაშვებულ შეცდომას. ასეთ ვითარებაში ნაწილი ეგუება მდგომარეობას, ნაწილი კი ოჯახს ანგრევს. ბუნებრივია, მარტო სარეგისტრაციო ორგანოს გერბიანი ქაღალდი ვერავის შეუნარჩუნებს ოჯახსა და მის სიმტკიცეს. მათ გარკვეულ ნაწილს ღრმად არა აქვთ შეგნებული ცოლქმრული ცხოვრების არსი. მათ არ აქვთ გათვითცნობიერებული, რომ ოჯახური

ბედნიერება ურთიერთსიყვარულის, პატივისცემისა და მეგობრობის საფუძველზეა შესაძლებელი, ცხოვრებისეული სიძნელები დროებითია და ერთობლივი ძალისხმევაა აუცილებელი მათ დასაძლევად, რომ უფრო ადვილია მშობლად გახდომა, ვიდრე მისი შენარჩუნება, რომ ოჯახის დანგრევით გამოწვეული სულიერი ტრავმა დამღუპველად მოქმედებს ოჯახის სხვა წევრებზეც. სამწუხაროდ, ოჯახთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას გაურბიან არა მარტო ახალგაზრდა წყვილები, არამედ საკმაო ცხოვრებისეული გამოცდილების მქონენიც. განქორწინებათა ზრდის პროცესის შეჩერების საკითხი სულ უფრო აქტუალური ხდება სახელმწიფოსა და ეკლესიისათვის.

განქორწინების საქმეთა განხილვის დროს სასამართლო უარს ეტყვის მეუღლეებს განქორწინებაზე, თუ მათ შორის კონფლიქტებს დროებითი ხასიათი აქვს, აგრეთვე, თუ არ არსებობს სერიოზული არგუმენტები ერთად ცხოვრების საწინააღმდეგოდ. ასეთ შემთხვევებში სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას განქორწინებაზე უარის თქმის შესახებ. თუ მეუღლეები შერიგდნენ სასამართლოს მიერ მიცემულ ვადაში, მაშინ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას საქმისწარმოებით შეწყვეტის შესახებ. სასამართლოს მიერ გამოტანილი ნებისმიერი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში.

ძველ საქართველოში განქორწინების წესის დადგენა შედიოდა როგორც საეკლესიო, ისე საერო ხელისუფლების კომპეტენციაში. ქრისტიანული ეკლესიის ნორმებითა და ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით განქორწინების უპირველესი მიზეზი იყო ცოლის მხრივ მრუშობა. საბას მიხედვით მრუშობა არის „მეუღლიანის ბოზობა“. მეუღლეობრივი ერთგულება მამაკაცისთვის უფლებას წარმოადგენდა, ქალისთვის კი – მოვალეობას. ამიტომ ცოლის მრუშობა განქორწინების უთუო საფუძველი იყო, ქმრის მრუშობა კი – ზნეობრივი გადაცდომა. საერო კანონმდებლობამ ამ მხრივ, შემდგომ პერიოდში უფრო ცივილიზებული მიდგომა გამოავლინა. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით, ცოლის ღალატი საკმაო საფუძველია განქორწინებისათვის, მაგრამ ქმარი ვალდებული არაა მრუშ ცოლს გაეყაროს. განქორწინება ქმრის უფლებაა და არა მოვალეობა. ფეოდალურ საქართველოში მრუშობის გარდა განქორწინების მიზეზებად მიჩნეული იყო: ერთ-ერთი მეუღლის ბერად ან მონაზვნად აღკვეცა, ცოლის ხანგრძლივი ავადმყოფობა, ქორწინებამდე ქალწულობის დაკარგვა მრუშობად

ითვლებოდა, ქორწინებამდელი ორსულობა, სოდომური ცოდვა (მამათმავლობა). თამარმა თავისი პირველი ქმარი სწორედ სოდომური ცოდვისათვის მოიშორა. თამარი ორ წელზე მეტხანს ითმენდა ქმრის უზნეობას, აპატია მას დანაშაული, რომელიც სიკვდილით ისჯებოდა, მაგრამ მასთან ქორწინება შეწყვიტა. განქორწინების საფუძველი იყო პირუტყვთმავლობაც და ისიც სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა პირუტყვიანად როგორც მამაკაცისთვის, ისე ქალისთვის. განქორწინების საფუძველი იყო ცოლის სიგიჟე და ბნედიანობა, თუ იგი დაავადებული იყო დაქორწინებამდე. თუ ასეთ ქალს შეატყუებდნენ ქმარს, იგი ვალდებული იყო სამი წელი ემკურნალა მისთვის და თუ არ გამოჯანმრთელდებოდა, შემდეგ გაყროდა. ქმრის ავადმყოფობის შემთხვევაში ცოლს მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ ეძლეოდა განქორწინების უფლება. განქორწინების ერთ-ერთი საფუძველი იყო ცოლის უშვილობა და ქმრის სქესობრივი შეუღლების (და არა განაყოფიერების) უუნარობა. საფრანგეთში ასეთი უუნარობა უნდა დადასტურებულიყო საჯაროდ, ექიმის, ნოტარიუსისა და რამდენიმე „გამოცდილი" ქალის წინაშე. ასეთი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო საქართველოშიც, რადგან უცხოური სამართლის ნორმები ხშირად გამოიყენებოდა. ცნობილია ასეთი ფაქტიც – სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა როცა გაიგო, რომ მისი ცოლი – აფხაზეთის მთავრის ასული მას ღალატობდა, ასე დასაჯა: გააგდო ცოლი და ბიზანტიური წესის მიხედვით ცხვირი მოსჭრა, შეკრიბა ჯარი და ქალი მამამისს მიჰგვარა, ხოლო აფხაზეთი მოარბია. ქართულ სამართალში ცოლის ღალატისათვის ასეთი სასჯელი არ იყო გათვალისწინებული. ვახტანგ VI-მდე თვითნებობა მართლმსაჯულებაში საკმაოდ იყო გავრცელებული. მისი სამართალი, ქალის უფლებების გაფართოების თვალსაზრისით, საკმაო პროგრესულობით გამოირჩეოდა იმდროინდელი ქვეყნების სამართლისაგან. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს გიორგი XII შვილის – დავით ბატონიშვილისა და მისი მეუღლის – ელენეს განქორწინების საქმე დიკასტერიაში – საეკლესიო სასამართლოში, სადაც მხარეები თითქმის თანაბარი უფლებებით გამოდიოდნენ. ამგვარად, საქართველოში ვიდრე ურვადით (ყალიმით), ანუ ცოლის ყიდვით ქორწინება არსებობდა, განქორწინებაც ქმრის ნებაზე იყო დამოკიდებული. როცა მზითვით ქორწინება დამკვიდრდა (IX საუკუნიდან), ცოლსაც მიეცა განქორწინების უფლება, მაგრამ შეზღუდულად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით სასამართლო გან-

ქორწინების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად აუცილებელ ზომებს იღებს არასრულწლოვანი შვილებისა და შრომისუუნარო მეუღლის ინტერესების დასაცავად. ასევე შეიძლება სასამართლომ მეუღლეთა ქონების გაყოფისა და ბაჟის საკითხიც გადაწყვიტოს.

განქორწინების მსურველი მეუღლეები, ჩვეულებრივ, წინასწარ თანხმდებიან იმის თაობაზე, თუ ვისთან იცხოვრებენ მათი არასრულწლოვანი შვილები და რომელი მშობელი რა რაოდენობით გადაიხდის ალიმენტს. ამის შესახებ სასამართლო უნდა დაინტერესდეს საქმის განხილვის დაწყებამდე ან მის პროცესში. თუ მშობლებს შორის აღნიშნულ საკითხებზე შეთანხმება არ არსებობს, მაშინ სასამართლომ განქორწინების საკითხთან ერთად უნდა განსაზღვროს ბავშვის ამა თუ იმ მშობლისადმი მიკუთვნებისა და ალიმენტის საკითხი. ამ შემთხვევებში გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს ბავშვის სწორად აღზრდის ინტერესებს. თუ შვილები ერთ მშობელთან დარჩებიან, ალიმენტის გადახდა მეორეს დაეკისრება. მშობლებს შორის შვილების განაწილების შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტს, თუ რომელს უნდა გადახდეს ალიმენტი, მათი მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე.

განქორწინების საქმის განხილვის პროცესში, თუ არასრულწლოვანი შვილები იმყოფებიან მესამე პირებთან (პაპა, ბებია, ბიძა, დეიდა ან სხვა ახლო ნათესავი) და განქორწინების შემდეგ მათ ამა თუ იმ მშობელთან დაბრუნების შესახებ დავა წარმოიშვა, იგი უნდა გადაწყდეს სასამართლოში დამოუკიდებელი სარჩელის წარდგენის საფუძველზე. შვილებთან დაკავშირებული ყოველგვარი დავის გადაწყვეტისას საქმეში, საჭიროებისამებრ, ჩართულ უნდა იქნეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. მისი დასკვნა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სასამართლოს მიერ არასრულწლოვანი ბავშვების ინტერესების შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში.

განქორწინების დროს შესაძლებელია სასამართლომ განიხილოს ერთ-ერთი მეუღლის მიერ მეორესათვის გადასახდელი სარჩოს საკითხიც. ამისათვის საჭიროა, რომ სასამართლოს მიმართოს იმ მეუღლემ, რომელსაც ამის უფლება კანონის საფუძველზე გააჩნია. აქედან გამომდინარე, იგი უნდა იყოს შრომისუუნარო და საჭიროებდეს მატერიალურ დახმარებას. ასეთ შემთხვევაში განქორწინების საკითხის გადაწყვეტასთან ერთად, განსაზღვრავს ალიმენტის იმ ოდენობას, რაც უნდა იხადოს მეორე მეუღლემ. მაგრამ თუ უფლებამოსილმა მეუღლემ

სასამართლოს არ მიმართა ალიმენტის თაობაზე, მაშინ სასამართლო მხოლოდ განქორწინების საკითხს განიხილავს.

განქორწინების საქმესთან ერთად სასამართლომ შეიძლება განიხილოს მეუღლეთა იმ ქონების გაყოფის საკითხიც, რომელიც მათ თანასაკუთრებას წარმოადგენს. ამისათვის აუცილებელია სასამართლოს მიმართონ მეუღლეებმა ან ერთ-ერთმა მათგანმა, ამასთან, მეუღლეთა ქონების გაყოფის საკითხი არ უნდა ეხებოდეს მესამე პირის უფლებებს. მაგალითად, თუ სამეწარმეო საზოგადოების საწესდებო კაპიტალში ჩადებული სახსრების გაყოფას ითხოვენ მეუღლეები, ეს, ბუნებრივია, ეხება ამ საზოგადოების ინტერესებს და იგი უნდა გადაწყდეს არა განქორწინების საკითხთან ერთად, არამედ ცალკე წარმოების წესით. თუ მეუღლეები არ მიმართავენ სასამართლოს, თანასაკუთრების გაყოფის შესახებ, საკითხი განქორწინებასთან ერთად არ განიხილება.

განქორწინების მოწმობის გაცემისას, რასაც ახდენს სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანო, დაწესებულია ბაჟის გადახდა. მისი ოდენობა განისაზღვრება სასამართლოს მიერ განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის დროს. სასამართლო განსაზღვრავს, თუ რომელ მეუღლეს უნდა გადახდეს იგი. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ბაჟი ორივე მეუღლემ უნდა გადაიხადოს, მაშინ იგი ზუსტად განსაზღვრავს ბაჟის თითოეულის მიერ გადასახდელ წილს. ბაჟის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს ორ ფაქტორს: მხარეთა მატერიალურ მდგომარეობასა და იმ მეუღლის ბრალეულ მოქმედებას, რამაც განაპირობა განქორწინება. მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, შეიძლება ერთ-ერთ მეუღლეს შეუმცირდეს ბაჟის გადახდა ან საერთოდ გათავისუფლდეს მისგან მეორე მეუღლის უკეთესი მატერიალური პირობების ხარჯზე. თუ ორივე მეუღლეს უჭირს მატერიალურად, მაშინ მათ მინიმალური ოდენობის ფარგლებში დაეკისრებათ ბაჟის გადახდა. როცა ერთ-ერთი მეუღლისადმი ბაჟის დაკისრება განპირობებულია განქორწინების გამომწვევი ბრალეული მოქმედებით, მეორე მეუღლე საერთოდ თავისუფლდება ბაჟის გადახდისაგან. ბაჟის გადახდა, შედარებით მცირე ოდენობით, ეკისრებათ ყოფილ მეუღლეებს სარეგისტრაციო ორგანოში განქორწინებისა და რეგისტრაციის შემთხვევაშიც.

4.4. განქორწინების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება

განქორწინების შესახებ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ქორწინების შეწყვეტას. ამით მხოლოდ განქორწინების პირველი ეტაპი მთავრდება. მეორე ეტაპი კი სარეგისტრაციო ორგანოში უნდა გაგრძელდეს. კანონით „სამოქალაქო აქტების შესახებ" განქორწინებისათვის სავალდებულოა მისი რეგისტრაცია. სწორედ რეგისტრაციის მომენტიდან ითვლება განქორწინების მეორე ეტაპი დამთავრებულად და ქორწინება – შეწყვეტილად – მანამდე კი მეუღლეები ერთმანეთთან კვლავ საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებში იმყოფებიან.

სასამართლო ვალდებულია განქორწინების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესვლიდან ხუთ სამუშაო დღეში გადაუგზავნოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს. განქორწინების რეგისტრაციის წესის დადგენა იუსტიციის მინისტრის კომპეტენციას განეკუთვნება. მის მიერ 2012 წლის 31 იანვარს დამტკიცებული წესის მიხედვით სასამართლოს მიერ განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების წარდგენიდან 30-ე კალენდარულ დღეს ტერიტორიული სამსახური ახდენს განქორწინების რეგსტრაციას გადაწყვეტილებაში მითითებული მონაცემების შესაბამისად. უფლებამოსილი პირის განცხადებით შესაძლებელია განქორწინების რეგისტრაცია მოხდეს აღნიშნული ვადის ამოწურვამდეც. ადრე მოქმედი წესის მიხედვით სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე განქორწინების რეგისტრაციისთვის დადგენილი იყო სამწლიანი ვადა. რეგისტრაციისათვის ერთთვიანი ვადის დაწესება ყოფილ მეუღლეთა სტატუსის ოპერატიულად გარკვევის გონივრულ საფუძვლად უნდა ჩაითვალოს.

განქორწინების რეგისტრაცია წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას. ამ მომენტიდან ქორწინების აქტის ჩანაწერში მიეთითება ქორწინების შეწყვეტისა და მისი თარიღის შესახებ. განქორწინების პროცედურის დამთავრების შემდეგ შესაძლებელია გაიცეს სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის დოკუმენტი – განქორწინების მოწმობა.

განქორწინების საკითხის გადაწყვეტისას დღის წესრიგში დგება თითოეული მეუღლის განქორწინების შემდგომი გვარის საკითხი.

თუ დაქორწინებისას ერთ-ერთმა მეუღლემ შეიცვალა გვარი, მას უფლება აქვს იგივე გვარი ატაროს განქორწინების შემდეგაც. ამაზე მეორე მეუღლის ნებართვა საჭირო არ არის. მეუღლეებს აგრეთვე უფლება აქვთ დაიბრუნონ ქორწინებამდელი გვარი. გვარის საკითხის გადაწყვეტისას მნიშვნელობა არა აქვს განქორწინება სასამართლოში მოხდა თუ სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოში. განქორწინების შემდეგ გვარის საკითხი საბოლოოდ უნდა გადაწყდეს მეორე ეტაპზე – განქორწინების რეგისტრაციის დროს. მას ფაქტობრივად წყვეტს სარეგისტრაციო ორგანო მეუღლის სურვილის მიხედვით. თუ მას სურს ატაროს ქორწინებამდელი გვარი, ამის შესახებ უნდა განაცხადოს სარეგისტრაციო ორგანოში. ქორწინების რეგისტრაციის დროს სარეგისტრაციო ორგანო ამის შესახებ სათანადო ჩანაწერს აკეთებს და გაცემულ განქორწინების მოწმობაშიც ახალი გვარი ჩაიწერება. თუ მეუღლეს არ სურს ქორწინებამდელი გვარის დაბრუნება, მეორე მეუღლეს უფლება არა აქვს აუკრძალოს მას ქორწინების დროს მიღებული გვარის ტარება და მოითხოვოს მისთვის ქორწინებამდელი გვარის მიკუთვნება. განქორწინების შემდეგ გვარის არჩევის საკითხი მეუღლის პირად უფლებათა კატეგორიას განეკუთვნება და მას მხოლოდ თვითონ წყვეტს.

განქორწინების სარეგისტრაციოდ საჭიროა მეუღლეებმა ან ერთ-ერთმა მათგანმა ამის შესახებ განცხადებით მიმართოს სარეგისტრაციო ორგანოს. განცხადებასთან ერთად მეუღლეებმა ან ერთ-ერთმა მათგანმა უნდა წარადგინოს განქორწინების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი და ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება გააჩნია იმ მეუღლესაც, რომელიც სასამართლომ გაათავისუფლა ბაჟის გადახდისაგან. განქორწინების რეგისტრაციის შესახებ სარეგისტრაციო ორგანოსადმი ერთ-ერთი მეუღლის მიმართვისას, ამ ორგანომ უნდა შეამოწმოს, ხომ არ იყო განქორწინება რეგისტრირებული მეორე მეუღლის განცხადების საფუძველზე. თუ აღმოჩნდა, რომ განქორწინება უკვე რეგისტრირებულია, მაშინ სარეგისტრაციო ჩანაწერს დაემატება ზოგიერთი მონაცემი, რაც ცნობილი გახდა მეორე მეუღლის ახალი მიმართვის შემდეგ და მასვე მიეცემა განქორწინების მოწმობა იმავე თარიღით, რომლითაც იგი მიეცა პირველ მეუღლეს.

განქორწინების რეგისტრაცია არ შეიძლება მოხდეს სასამართლოში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში. განქორწინების

რეგისტრაციას მხოლოდ სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოები ახდენენ და არა ავტომატურად, არამედ ორივე მეუღლის ან ერთ-ერთი მათგანის განცხადების საფუძველზე. როცა ერთ-ერთი მეუღლე ითხოვს განქორწინების რეგისტრაციას, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, სარეგისტრაციო ორგანო ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს მეორე მეუღლეს. თუ მისთვის ცნობილი არ არის მეორე მეუღლის ან იმ ორგანოს მისამართი, რომელმაც მოახდინა ქორწინების რეგისტრაცია, მაშინ მისამართის დადგენა სხვა საშუალებებით არ მოხდება და განქორწინება რეგისტრაციაში გატარდება მეორე მეუღლისათვის შეტყობინების გარეშე. განქორწინების რეგისტრაციას ყველა შემთხვევაში ლოგიკურად მოჰყვება განქორწინების მოწმობის გაცემა.

განქორწინების რეგისტრაციის შემდეგ ყოფილ მეუღლეებს შეუძლიათ თავიანთი მომავალი ცხოვრება გადაწყვიტონ საკუთარი სურვილისა და შეხედულებების მიხედვით. მონოგამიის პრინციპის დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე, სრულწლოვან და ქმედუნარიან პირს შეუძლია რამდენჯერმე იქორწინოს. განქორწინებულ პირს ხელახლა დაქორწინება ყოველთვის შეუძლია. უბრალოდ, იგი არ უნდა იყოს სხვაზე დაქორწინებული. შესაძლებელია აგრეთვე ყოფილი მეუღლეების ერთმანეთზე ხელახალი დაქორწინებაც. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა მეუღლეებს განქორწინება შეცდომად ჩაუთვლიათ და ხელახლა დაქორწინებულან. ასეთ შემთხვევებს ადგილი აქვს მაშინაც, როცა ერთ-ერთი მეუღლე სასამართლოს მიერ გამოცხადებული იყო გარდაცვლილად ან აღიარებული იყო უგზო-უკვლოდ დაკარგულად და მეორე მეუღლე ნაადრევად ქორწინდება სხვაზე. ყოფილი მეუღლის გამოჩენა საფუძვლად ედება ასეთი ქორწინების შეწყვეტასა და ძველი მეუღლეების ხელახლა დაქორწინებას. ქორწინების აღდგენისაგან განსხვავებით, ხელახლა ქორწინება გულისხმობს ყველა იმ ფორმალურ მოქმედებათა შესრულებას, რაც ქორწინების წესითა და პირობებითაა განსაზღვრული.

თავი V

ქორწინების ბათილობა

5.1. ქორწინების ბათილობის ცნება და საფუძვლები

ქორწინების ბათილობა წარმოადგენს იმ იურიდიული შედეგების გაუქმებას, რომელსაც კანონი ნამდვილ ქორწინებასთან აკავშირებს. იგი დგება მაშინ, როცა დარღვეულია ქორწინების აუცილებელი პირობები ან იგი მომხდარია იმ დამაბრკოლებელ გარემოებათა არსებობისას, რომლის დროსაც ქორწინება აკრძალულია ან კიდევ ყველა ფორმალური ნიშნის დაცვით, მაგრამ იმ განზრახვის გარეშე, რომ ნამდვილად შეიქმნას ოჯახი. **ქორწინების ბათილად ცნობა იმას ნიშნავს, რომ მან თავიდანვე არ წარმოშვა ის იურიდიული შედეგები, რაც ნამდვილ ქორწინებას მოსდევს. ქორწინების ბათილად ცნობა მხოლოდ სასამართლოს შეუძლია.** ამასთან, პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისაგან სასამართლოში ქორწინების ბათილობისა და განქორწინების წესები.

განქორწინების პროცედურის შინაარსი იმით არის განპირობებული, რომ მომავალი პერიოდისათვის წყვეტს მოქმედებას მეუღლეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობანი. ბათილობის დროს კი იგულისხმება, რომ საქორწინო-საოჯახო ურთიერთობა თავიდანვე არ ყოფილა წარმოშობილი. ეს გარემოება არსებით და გადამწყვეტ შედეგებს იწვევს, როცა ქორწინება ბათილად იქნება აღიარებული[1].

ქორწინების გაბათილება შეიძლება მიჩნეულ იქნეს იმ პირთა მიმართ გამოყენებულ სანქციად, რომლებიც კანონის მოთხოვნათა დარღვევით გატარდნენ ქორწინების რეგისტრაციაში.

ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულება იმის შესახებ, რომ ქორწინების გაბათილება არაა პასუხისმგებლობის ზომა კანონის მოთხოვნათა შესრულებისაგან ბრალეულად თავის არიდებისათვის, თუმცა განსაზღვრულ უარყოფით სამართლებრივ შედეგებს უდავოდ იწვევს. იგი მხოლოდ ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის იურიდიულ

---

[1] ს. ჯორბენაძე, საოჯახო სამართლის საფუძვლები, კრებულში „სამართლის საფუძვლები", თბ., 1977. გვ. 485.

უარყოფას ისახავს მიზნად[1]. ქორწინების ბათილობის სიღრმისეული ანალიზი უდავოდ ადასტურებს იმას, რომ მსგავს შემთხვევებში რეგისტრირებული ქორწინების უარყოფასთან ერთად ხდება პასუხისმგებლობის სპეციფიკური ფორმის გამოყენებაც[2].

ქორწინების გაბათილება, როგორც სანქციის განსაკუთრებული სახე, მეუღლეთა მიმართ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა მექორწინეთა განზრახვა კანონის მოთხოვნათა გვერდის ავლით გატარებულიყვნენ ქორწინების რეგისტრაციაში. მაგრამ პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა მეუღლეებმა არაფერი იცოდნენ იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც კრძალავენ ქორწინების შესაძლებლობას. მაგალითად, შესაძლებელია, ქორწინების რეგისტრაციის დროს მათ არ იცოდნენ ის, რომ არაღვიძლი და-ძმა ყოფილან, რაც ქორწინებიდან განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ გახდა ცნობილი. ასეთ შემთხვევაში მოქმედებს ქორწინების ნამდვილობის პრეზუმფცია და ქორწინება წყდება სასამართლოში ამ გარემოების დადგენის მომენტიდან. ამ დრომდე გასული პერიოდისათვის ქორწინება წარმოშობს ყველა იმ სამართლებრივ შედეგს, რაც ნამდვილი ქორწინებისთვისაა დამახასიათებელი. მაგალითად, თუ ასეთი ქორწინების დროს ერთ-ერთმა მეუღლემ შეიცვალა გვარი და გადაწყვიტა მეორე მეუღლის გვარზე გადასვლა, ამ გვარის ტარების უფლება დარჩება ქორწინების შეწყვეტის შემდეგაც ან თუ ასეთ ქორწინებაში გაჩნდა ბავშვი (თუნდაც ქორწინების შეწყვეტის შემდეგ), მას თავისი მშობლების მიმართ ყოველგვარი საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობა უნარჩუნდება. ამგვარად, ქორწინების ნამდვილობის პრეზუმფციის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში მათთვის მოულოდნელად, მართალია, აღმოჩნდება მათი ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოების არსებობა, რაც კანონის მიხედვით ქორწინების გაბათილების საფუძველია, მაგრამ მას, საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების ინტერესებიდან გამომდინარე, ფაქტობრივად ქორწინების გაბათილება კი არ მოჰყვება, არამედ – მისი შეწყვეტა. ეს ეხება ქორწინების ბათილობის არა ყველა საფუძველს და არა ყოველთვის, არამედ მხოლოდ მაშინ, როცა სასამართლო ჩათვლის მას საცილოდ და მიიღებს

---

[1] Гражданское право. Учебник под редакцией Сергеева А. П. и Толстого Ю. К. М., 2001. с. 336.

[2] Антокольская М. В. Семейное право. М., 1996. с. 125.

ქორწინების შემდგომი შეწყვეტის დასაბუთებულ გადაწყვეტილებას. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო იმსჯელებს ქორწინების გაბათილების მიზანშეწონილობის შესახებ. ეს კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახითაა წარმოდგენილი ქორწინების ბათილობის ეს თუ ის საფუძველი. მიზანშეწონილია ზოგიერთი მათგანის მიმართ ყურადღების გამახვილება.

ქორწინების გაბათილება შესაძლებელია მაშინ, თუ ქორწინება მოხდა პირთან, რომელსაც საქორწინო ასაკისათვის არ მიუღწევია და არც კანონით გათვალისწინებული ნებართვა ყოფილა სახეზე 16-დან 18 წლამდე პირის დაქორწინებასთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში ქორწინების გაბათილება განპირობებულია იმ პირის ინტერესებით, რომელიც საქორწინო ასაკის მიღწევამდე დაქორწინდა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ დაქორწინების გაბათილების აუცილებლობა მოიხსნება თუ საქმის განხილვის მომენტისათვის არასრულწლოვანმა მეუღლემ საქორწინო ასაკს მიაღწია ან იგი ორსულადაა. ასეთ შემთხვევაში მხოლოდ მისი მოთხოვნით შეიძლება გაბათილდეს ქორწინება. იგულისხმება, რომ არასრულწლოვანი მეუღლე თვითონ გამოხატავს თავის ინტერესებს. სხვა შემთხვევაში არასრულწლოვანი მეუღლის ინტერესების განსაზღვრა სასამართლოს კომპეტენციაში შედის. მაგალითად, თუ სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქორწინების გაგრძელება უარყოფითად იმოქმედებს არასრულწლოვანი მეუღლის ჯანმრთელობაზე, მაშინ აუცილებლად უნდა გაბათილდეს ქორწინება. ეს მაშინაც შეიძლება, როცა არასრულწლოვანმა მეუღლემ საქმის განხილვის მომენტისათვის საქორწინო ასაკს მიაღწია და, პირიქით, სასამართლომ შეიძლება არ გააბათილოს ქორწინება, თუ ასეთ ქორწინებაში გაჩნდა ბავშვი, ან ცოლი ორსულადაა, ან კიდევ არასრულწლოვანი მეუღლე საჭიროებს სერიოზულ და ხანგრძლივ მკურნალობას. საქორწინო ასაკის დარღვევით ქორწინების შემთხვევაში, მისი გაბათილების მოთხოვნის უფლება აქვს თვითონ არასრულწლოვან მეუღლეს, მის მშობლებს, მეურვეს ან მზრუნველს, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

ქორწინების გაბათილების სერიოზულ საფუძველს წარმოადგენს მექორწინეთა ნებაყოფლობის პრინციპის დარღვევა. ნამდვილ ქორწინებას საფუძვლად უდევს მექორწინეთა მიერ ურთიერთანხმობისა და ნება-სურვილის თავისუფალი გამოვლენა. მექორწინეთა ნება შეიძლება დეფექტური ხასიათისა იყოს. ეს ხდება მაშინ, როცა დაქორწინება

იძულებითია. იძულება კი შეიძლება გამოიხატოს ფსიქიკაზე ზემოქ-მედებაშიც. ფსიქიკაზე ზემოქმედება მუქარის გზით უნდა იყოს კანონ-საწინააღმდეგო ხასიათისა და მიმართული დასაქორწინებელი პირის ანდა მისი ახლო ნათესავის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან პატივისა და ღირსების წინააღმდეგ. იძულებითი დაქორწინების გავრცელებული ფორმაა ქალის მოტაცება, რაც სისხლისსამართლებრივ დარღვევად არის მიჩნეული. ხშირად ქალის მოტაცება მასთან ქორწინების მიზნით ხდება მისივე თანხმობით. ეს ქალის მოტაცების სიმულაციაა და სამართალდარღვევად არ უნდა ჩაითვალოს. ამას ადასტურებს ის, რომ თუ სახეზე მართლაცაა ქალის მოტაცება ქორწინების მიზნით, არ არსებობს სამართლებრივი ნორმა, რომლის საფუძველზეც შესაძლებ-ელია მოტაცებული ქალის უკან დაბრუნება, თუ ამის სურვილს თვითონ მოტაცებული არ გამოთქვამს. სწორედ ამიტომ ითვალისწინებს კანონი იმ მეუღლის ინიციატივით დაქორწინების გაბათილების საკითხის სასამართლოში დაყენებას, რომლის მიმართაც ქორწინების დროს გამოყენებული იყო ძალადობა. მის მიმართ კი ძალადობა შეიძლება გამოიყენოს როგორც მომავალმა მეუღლემ, ისე მისმა მშობლებმა ან ნათესავებმა. იძულებითი დაქორწინება ყოველთვის როდი გულისხმობს ქალის ნებაზე კანონსაწინააღმდეგო ზემოქმედებას. შესაძლებელია ზემოქმედება მოხდეს მამაკაცის ნებაზეც. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში, მას აქვს უფლება სარჩელით მიმართოს სასამართლოს. ყველა შემთხ-ვევაში იძულებითი ქორწინების ფაქტი უნდა დაადგინოს სასამართლომ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დარწმუნდება სასამართლო, რომ დაქორწინება მოხდა იძულებით, რამაც მნიშვნელოვნად შელახა ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის (როცა ორივე მეუღლის ნება ქორწინებაზე დეფექტურია) ინტერესები და დაინტერესებული მხარე ითხოვს ქორ-წინების გაბათილებას, იგი ვალდებულია გამოიტანოს გადაწყვეტილება ასეთი ქორწინების გაბათილების შესახებ.

სასამართლომ შეიძლება ბათილად ცნოს ისეთი ქორწინება, რო-მელიც გაფორმდა: ა) იმ პირებს შორის, რომელთაგანაც თუნდაც ერთი სხვა ქორწინებაში იმყოფებოდა. ამ დროს არა აქვს მნიშვნელობა ამის შესახებ მეორემ იცოდა თუ არა. ასეთ შემთხვევაში ყოველთვის მეორე ქორწინება უნდა გაბათილდეს და არა პირველი; ბ) პირდაპირი აღმა-ვალი და დაღმავალი შტოს ნათესავებს შორის, თუნდაც დაქორწინების დროს მათ ამის შესახებ არ სცოდნოდათ; გ) ბიოლოგიურ და არაბი-ოლოგიურ და-ძმას შორის. არა აქვს მნიშვნელობა იმას, იცოდნენ თუ

არა ამის შესახებ; დ) მშვილებლებსა და ნაშვილებს შორის, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ქორწინებისას გამორიცხულია სისხლის აღრევასთან დაკავშირებული უარყოფითი შედეგები; ე) იმ პირებს შორის, რომელთაგან თუნდაც ერთ-ერთი ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად და არ გაუფორმებია საქორწინო ხელშეკრულება. პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა წინ უნდა უსწრებდეს დაქორწინებას.

სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლით გათვალისწინებული ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა, მისი გაბათილების უდავო საფუძველს არ წარმოადგენს. სასამართლოს უფლება აქვს და არაა ვალდებული ყველა შემთხვევაში გააბათილოს ქორწინება. ეს უნდა გააკეთოს მხოლოდ მაშინ, როცა დარწმუნდება გაბათილების აუცილებლობაში.

შესაძლებელია ისეთი შემთხვევები, როცა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოება, მართალია, არსებობდა ქორწინების რეგისტრაციის დროს, მაგრამ საქმის განხილვის მომენტისათვის იგი მოისპო. ასეთი რამ შეიძლება მოხდეს ნებისმიერი გარემოების მიმართ. არ შეიძლება მხოლოდ სისხლით ნათესაობასთან დაკავშირებული დამაბრკოლებელი გარემოების მოსპობა. თუ საქმის განხილვის მომენტისათვის აღარ არსებობს ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები, მაშინ სასამართლოს შეუძლია ქორწინება ცნოს ნამდვილად იმ მომენტისათვის, როცა ასეთი გარემოებები მოისპო და არა ქორწინების რეგისტრაციიდან. მსგავს შემთხვევაში ფაქტობრივად ბათილდება ქორწინების ის ნაწილი, რომელიც არსებობდა მისი რეგისტრაციიდან ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოების არსებობის მთელი პერიოდის მანძილზე, ე.ი. მის მოსპობამდე. მაგალითად, თუ პირველი ქორწინება შეწყდა მეორე ქორწინების პერიოდში, ეს უკანასკნელი უნდა გაბათილდეს მისი რეგისტრაციის მომენტიდან, რადგან იმ მომენტში ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოება, პირველი ქორწინების სახით, სახეზე იყო. მეორე ქორწინება ნამდვილად უნდა ჩაითვალოს პირველი ქორწინების შეწყვეტის მომენტიდან.

ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოების არსებობის საფუძვლით ქორწინების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება აქვთ მეუღლეებს და იმ პირებს, რომელთა უფლებებიცაა დარღვეული ამ ქორწინებით. მათ შეიძლება მიეკუთვნოს: ნათესავები, ყოფილი მეუღლე, შვილები და სხვ., აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები.

ქორწინების გაბათილების ერთ-ერთ სერიოზულ საფუძველს

წარმოადგენს მექორწინეთა ნების ისეთი გამოვლენა, რაც მიზნად არ ისახავს ოჯახის შექმნას. ასეთ დროს ქორწინებისათვის აუცილებელი ფორმალური მოთხოვნები ზუსტადაა შესრულებული, ოღონდ მექორწინეთა შინაგანი ნება და მისი გარეგანი გამოხატულება ერთმანეთს არ ემთხვევა. შინაგანად ისინი ცდილობენ დაქორწინება გამოიყენონ სულ სხვა მიზნისათვის, ვიდრე ოჯახის შექმნაა. ასეთი მიზანი შეიძლება იყოს: სამემკვიდრეო ქონების მიღება, პენსიის დანიშვნა, სამხედრო სამსახურისაგან თავის დაღწევის სურვილი და სხვ. გარეგნულად მათი ნება ოჯახის შექმნის სურვილს გამოხატავს. ასეთი ქორწინება ფიქციურია და სასამართლომ შეიძლება იგი გააბათილოს. იგულისხმება, რომ დაქორწინებულ პირს ამ დროს არ სურს ოჯახის შექმნა. თუ ერთ-ერთ მათგანს გულწრფელად ჰქონდა ოჯახის შექმნის სურვილი და არაფერი იცოდა მეორის ნამდვილი განზრახვის შესახებ, ასეთ შემთხვევაში ქორწინება არ შეიძლება ჩაითვალოს ფიქციურად, რადგან კეთილსინდისიერი მექორწინის ინტერესები უნდა იქნეს გათვალისწინებული. თუ დაქორწინებისას კეთილსინდისიერი მექორწინე მოატყუა მისმა მომავალმა მეუღლემ და ამით სინამდვილეში ხელი შეეშალა ურთიერთანხმობის ჭეშმარიტ გამოვლენას, ამის გამო მას შეუძლია მოითხოვოს ქორწინების გაბათილება. მეუღლეთა შორის ხანმოკლე სიახლოვე არ შეიძლება ქორწინების ფიქციურად აღიარებისათვის ხელის შემშლელ გარემოებად იქნეს მიჩნეული, მით უმეტეს, თუ იგი გამიზნული იყო ქორწინების ნამდვილობის გარემოს შესაქმნელად. როცა ორივე მეუღლეს მიზნად ჰქონდა ფიქციური ქორწინების შედეგად არა ოჯახის შექმნა, არამედ რაიმე გამორჩენის მიღება, სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება ქორწინების გაბათილების შესახებ გააჩნია სარეგისტრაციო ორგანოს, ხოლო, თუ ერთ-ერთი მეუღლე დაქორწინდა ისე, რომ მიზნად არ ისახავდა ოჯახის შექმნას, ასეთი სარჩელის აღძვრა მეორე მეუღლესაც შეუძლია[1].

ქორწინების გაბათილება არ შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ მექორწინეებმა სასამართლოს მიერ საქმის განხილვამდე ფაქტობრივად უკვე შექმნეს ოჯახი. ამ დროს ქორწინების გაბათილების საფუძველი ისპობა. არ შეიძლება ქორწინების გაბათილება იმ შემთხვევაში, როცა ქორწინება მოხდა არა სიყვარულითა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, არამედ ანგარებითა და მერკანტილური მოსაზრებე-

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე. თბ., 2003. №12. გვ. 3288.

ბით. ასეთ შემთხვევაში, მართალია, ზნეობრივად გაუმართლებელი მოტივებითაა განპირობებული ქორწინება, მაგრამ ოჯახის შექმნას მაინც ისახავს მიზნად.

5.2. ქორწინების ბათილობის მომენტი და შედეგები

განქორწინებისაგან განსხვავებით, რაც მომავალში საქორწინო და საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობათა შეწყვეტას ედება საფუძვლად, **ქორწინების ბათილობას უკუქცევითი ხასიათი გააჩნია.** იგი ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდანვე არ წარმოშობს მეუღლეთა უფლებებსა და მოვალეობებს. ასეთი ქორწინება ითვლება არარსებულად, თავიდანვე არშემდგარად. თუ საქმის განხილვის მომენტისათვის არ არსებობს ქორწინების ბათილად აღიარების საფუძველი, სასამართლოს შეუძლია ქორწინება კანონიერად ცნოს ასეთი საფუძვლის მოსპობის მომენტიდან. რადგან ქორწინების გაბათილება ნიშნავს მექორწინეთა შორის მეუღლეობრივი უფლება-მოვალეობების არსებობის უარყოფას, ყოველგვარი ქონებრივი დავა მათ შორის უნდა გადაწყდეს, როგორც კერძო პირებს შორის საერთო საკუთრების თაობაზე წარმოშობილი დავა. მათ მიერ შექმნილი ქონება თანაზიარი კი არაა, არამედ საერთო წილობრივ საკუთრებად მიიჩნევა და ქორწინების გაბათილების შემდეგ გაიყოფა არა საოჯახო-სამართლებრივი (1168-ე მუხლი), არამედ წმინდა სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმის (173-ე მუხლი) საფუძველზე. ქორწინების გაბათილება მოქმედებს არა მარტო ქონებრივ, არამედ პირადი ურთიერთობების მიმართაც. ყოფილ მეუღლეებს არა აქვთ მეორე მეუღლის გვარის ტარების უფლება. შრომისუუნარო მეუღლე, რომელიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებს, კარგავს მეორე მეუღლისაგან ალიმენტის მოთხოვნის უფლებას. ასეთი შედეგების დადგომა იმ მეუღლის მიმართ, რომელმაც არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოების არსებობის შესახებ, უსამართლობა იქნებოდა. ამიტომ **კანონით კეთილსინდისიერ მეუღლეს უფლება ენიჭება მეორე მეუღლისაგან მოითხოვოს სარჩო და ქორწინების ბათილად ცნობამდე შეძენილი ქონების გაყოფა საოჯახო-სამართლებრივი ნორმების საფუძველზე,**

როგორც მეუღლეთა თანასაკუთრებისა. კეთილსინდისიერ მეუღლეს შეუძლია კვლავაც ატაროს ქორწინების რეგისტრაციის დროს მიღებული გვარი და ა.შ. ამგვარად, ზოგიერთი ქონებრივი ურთიერთობა ერთ-ერთი მეუღლის კეთილსინდისიერების დროს მთლიანად კი არ წყდება, არამედ კარგავს თავის ორმხრივ ვალდებულებით ხასიათს. იგი შენარჩუნებულად ითვლება კეთილსინდისიერი მეუღლის უფლებებთან და მეორე მეუღლის ვალდებულებებთან მიმართებაში.

ქორწინების გაბათილება წარმოადგენს ურთიერთობის გარკვევას მხოლოდ იმ პირთა შორის, რომლებიც ქორწინების რეგისტრაციაში იყვნენ გატარებული. ამიტომ არ შეიძლება მათ, ერთმანეთის გარდა, რაიმე პრეტენზია წარმოეშვათ მესამე პირთა მიმართ (მშობლების ან იმ ნათესავების მიმართ, რომელთა რჩევითაც ისინი დაქორწინდნენ) ან სახელმწიფოსთან. ქორწინების გაბათილებისას შესაძლებელია ერთი ან თუნდაც ორივე მეუღლის ინტერესების შელახვა, რაც, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება ქონებრივ ზიანში გამოიხატოს. ასეთ შემთხვევაში მხოლოდ კეთილსინდისიერ მეუღლეს აქვს უფლება მოითხოვოს მეორე მეუღლისაგან იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას ქორწინების გაბათილებით მიადგა (გაყიდული ბინის საფასური, რომელიც მოხმარდა მეორე მეუღლის პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, შრომის უნარის დაკარგვა ქორწინების პერიოდში, მეუღლის ქორწინებამდელი ვალების გადახდა პირადი დანაზოგის საფუძველზე და სხვ.). დავის შემთხვევაში საქმე უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ. კანონი კეთილსინდისიერი მეუღლის მხოლოდ ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ადგენს. სამოქალაქო კოდექსის 1147-ე მუხლში არაფერია ნათქვამი მორალური ზიანის ანაზღაურებაზე. არადა, ქორწინების გაბათილება უმრავლეს შემთხვევაში კეთილსინდისიერი მეუღლის პატივისა და ღირსების შელახვას უთუოდ იწვევს. ამიტომ სწორად უნდა ჩაითვალოს ლიტერატურაში საკითხის დაყენება იმის თაობაზე, რომ მიზანშეწონილია მსგავს შემთხვევებში არა მარტო ქონებრივი, არამედ მორალური ზიანის ანაზღაურების საკანონმდებლო წესის შემოღება[1].

ქორწინების გაბათილების შედეგები ეხება მხოლოდ მეუღლეებს. რაც შეეხება ბავშვებს, მათ უფლებებს ქორწინების გაბათილება არ ხელყოფს. ასეთ ქორწინებაში გაჩენილ ბავშვს თავისი [illegible] ოიდისა და

[1] **შ. ჩიკვაშვილი,** საოჯახო სამართალი, თბ., 2004. გვ. 264.

მამის მიმართ სამართლებრივი ურთიერთობა წარმოეშვა დაბადების ფაქტის საფუძველზე და იგი შენარჩუნებულ უნდა იქნეს ქორწინების ბათილად ცნობის შემდეგაც. ბავშვს უნარჩუნდება დაბადების დროს მიკუთვნებული გვარი, მშობლებისაგან ალიმენტის მიღების უფლება და სხვ. ასეთ შემთხვევაში არავითარ ეჭვს არ იწვევს ის, ეკისრებათ თუ არა მშობლებს კანონით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულება. ასეთი მოვალეობები არსებობს მაშინაც, როცა ბავშვი არარეგისტრირებულ ქორწინებაში ჩნდება. რაც შეეხება ქორწინებას, რომელიც გაბათილდა, იგი კანონიერად ითვლება ბავშვთან მიმართებაში. იგულისხმება, რომ ბავშვი რეგისტრირებულ ქორწინებაშია გაჩენილი და ამიტომ რაიმე დამატებით მტკიცებულებას არ საჭიროებს.

ქორწინების გაბათილება განსხვავდება ქორწინების შესახებ ჩანაწერის ბათილად ცნობისაგან. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა ქორწინების რეგისტრაცია ხდება დადგენილი ძირითადი წესების დარღვევით. მაგალითად, ქორწინების რეგისტრაციას ახდენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, დასაქორწინებელი ერთ-ერთი პირის ნაცვლად სხვა ღებულობს მონაწილეობას რეგისტრაციაში და სხვ. **ასეთი ქორწინება ითვლება არშემდგარ ქორწინებად.** მას პირობითად შეიძლება ეწოდოს ქორწინება. იურიდიულად იგი არ არსებობს და არც რაიმე სამართლებრივ შედეგს წარმოშობს. არშემდგარი ქორწინება იურიდიული ნულია. ასეთ ქორწინებაში გაჩენილი ბავშვი ითვლება არარეგისტრირებულ ქორწინებაში გაჩენილად, ქორწინების გარეშე გაჩენილად, აქედან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით.

ქორწინების რეგისტრაციის პირობების უმნიშვნელო დარღვევა, მაგალითად, ჯანმრთელობის შესახებ არაარსებითი ცნობების დამალვა არ წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ ქორწინება ჩაითვალოს არშემდგარად ან მით უმეტეს – ბათილად. პრაქტიკაში ზოგჯერ ბათილი და არშემდგარი ქორწინება ერთი და იგივედ მიაჩნიათ, რაც არასწორია.

ქორწინების გაბათილება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციაა და არავის არა აქვს უფლება ქორწინება გაბათილებულად ჩათვალოს, თუ არ იქნება სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოება ცნობილი გახდა ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ, მაგრამ მხოლოდ ერთი მეუღლე ცდილობს შეცდომის გამოსწორებას, მეორე კი ამის წინააღმდეგია და ყოველნაირად ცდილობს მიაღწიოს ქორწინების შენარჩუნებას. ამის გამო კეთილსინდისიერ მეუღლესა და მეორე

მეუღლეს შორის ფაქტობრივად შეწყვეტილია საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობანი. მიუხედავად ამისა, მას ხელახლა დაქორწინება მაინც არ შეუძლია, რადგან ქორწინება, რომელშიც იგი ფორმალურად იმყოფება, ჯერ კიდევ არ გაბათილებულა სასამართლოს მიერ. გაბათილების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანიდან მოხდება მისი რეგისტრაცია სარეგისტრაციო ორგანოში და ყოფილ მეუღლეებს მიეცემათ ქორწინების ბათილობის მოწმობა. ამის შემდეგ მათ შეუძლიათ სხვაზე დაქორწინება. აქედან გამომდინარე, ქორწინების გაბათილების შესახებ სასამართლომ უნდა აცნობოს იმ სარეგისტრაციო ორგანოს, რომელმაც გააფორმა აღნიშნული ქორწინება. თვით სარეგისტრაციო ორგანოს კი არ შეუძლია ქორწინების გაბათილება იმ შემთხვევაშიც, როცა ორივე მეუღლე ითხოვს მის გაბათილებას. ორივე მეუღლის თანხმობის შემთხვევაში სარეგისტრაციო ორგანოს მხოლოდ მათი განქორწინების უფლება აქვს და არა ქორწინების გაბათილებისა.

ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალება, ჩვეულებრივ, ქორწინების შეწყვეტას იწვევს. ასეთ შემთხვევაში ცოცხალ მეუღლეს უფლება აქვს დააყენოს იმ ქორწინების გაბათილების საკითხი, რომლის რეგისტრაცია თავის ყოფილ მეუღლესთან მოხდა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოების არსებობის მიუხედავად. ასეთი ქორწინებისათვის ზუსტი კვალიფიკაციის მიცემა, ცოცხალი მეუღლის ღირსების დაცვის ან სხვა პირადი ან ქონებრივი ინტერესებით შეიძლება იყოს ნაკარნახევი. აქედან გამომდინარე, როცა გარდაცვლილი პირის მეუღლე აყენებს მათი ქორწინების გაბათილების საკითხს, ეს ლოგიკურად შეიძლება ჩაითვალოს. სულ სხვა მდგომარეობაა მაშინ, როცა ორივე მეუღლე გარდაიცვლება. ასეთ შემთხვევაში მესამე პირების ან თუნდაც სარეგისტრაციო ორგანოს მიერ არ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ქორწინების გაბათილება. ორივე მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში ქორწინება ფაქტობრივად და იურიდიულადაც არ არსებობს. არ არსებობენ საქორწინო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები, რომელთა ინტერესებთანაც უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ქორწინების გაბათილება. ასეთ შემთხვევაში სარეგისტრაციო ორგანო სათანადო ჩანაწერებს გააკეთებს მეუღლეთა გარდაცვალების შესახებ.

ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების უმრავლესობა მუდმივი ხასიათისა არ არის. ამიტომ შესაძლებელია მათი მოსპობა. ქორწინების გაბათილების შემდეგ თუ მოისპო ის გარემოება, რომელიც საფუძვლად დაედო მის გაბათილებას, შესაძლოა, ადრე ქორწინებაში

მყოფი პირები ხელახლა დაქორწინდნენ საერთო წესით. იგულისხმება, რომ არ არსებობს ქორწინების დამაბრკოლებელი სხვა, ახალი გარემოება და დაცულია საქორწინო ასაკისა და ქორწინებაზე ურთიერთთანხმობის პირობები. ხელახალი დაქორწინებისათვის აუცილებელია ქორწინების ბათილობის მოწმობის წარდგენა სარეგისტრაციო ორგანოში.

თავი VI

მეუღლეთა სამართლებრივი ურთიერთობანი

6.1. მეუღლეთა პირადი ურთიერთობანი

ქორწინება მეუღლეებს შორის წარმოშობს მრავალმხრივ და რთულ ურთიერთობებს. მათი განსაზღვრული ნაწილი ზნეობრივი ნორმებით რეგულირდება. უმნიშვნელოვანესი პირადი და ქონებრივი ხასიათის ურთიერთობები სამართლებრივი რეგულირების სფეროს განეკუთვნება. პირადთან შედარებით ქონებრივი ურთიერთობები უფრო დეტალურადაა მოწესრიგებული სამართლებრივი ნორმებით. მათი ერთობლიობა წარმოადგენს საქორწინო-სამართლებრივ ურთიერთობებს.

ქორწინების მთელი პერიოდის განმავლობაში მეუღლეები სრული მოცულობით ინარჩუნებენ სამოქალაქო უფლებაუნარიანობასა და ქმედუნარიანობას. აქედან გამომდინარე, მათ შეიძლება ჰქონდეთ ნებისმიერი სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება და მოვალეობა ნებისმიერ პირთან და ერთმანეთთან ურთიერთობაშიც. ამასთან, **საქორწინო-სამართლებრივი ურთიერთობების ფარგლებში მეუღლეთა უფლება-მოვალეობათა მნიშვნელოვანი ნაწილი მოდიფიცირებულ ხასიათს ღებულობს, აგრეთვე წარმოიშობა ახალი უფლება-მოვალეობები.** სწორედ ეს ცვლილებები განაპირობებს მეუღლეობრივ სამართლებრივ ურთიერთობათა სპეციფიკურ შინაარსს.

საქორწინო-სამართლებრივი ურთიერთობა საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობათა ნაირსახეობაა, რომლის წარმოსაშობად მარტო ქალისა და მამაკაცის სურვილი დაქორწინების შესახებ არ კმარა. საჭიროა აგრეთვე ქორწინების რეგისტრაცია მოხდეს სახელმწიფო ორგანოში. ეს იმაზე მეტყველებს, რომ საქორწინო ურთიერთობათა მოწესრიგება სახელმწიფოს კომპეტენციაა. მართალია, ქორწინებათა სახელმწიფოებრივი რეგისტრაცია მნიშვნელოვნად ზრდის მეუღლეთა პასუხისმგებლობას ოჯახის შექმნისა და მისი სიმტკიცის შენარჩუნებისათვის, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ოჯახის ბედი მთლიანად სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოს მიერ გაცემულ ქორწინების მოწმობაზეა დამოკიდებული. მთავარია, მეუღლეთა მხრივ ოჯახის შექმნისადმი სერიოზული დამოკიდებულება. მიუხედავად

ამისა, ქორწინების სამართლებრივი მხარე, კერძოდ, ქალისა და მამაკაცის ცოლქმრული ურთიერთობა, მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი მხოლოდ მაშინ წარმოიშობა, როცა სახეზეა ქორწინების სახელმწიფოებრივი რეგისტრაცია.

მეუღლეთა შორის პირადი თუ ქონებრივი უფლება-მოვალეობების განაწილებისას სამართალი გამოდის მათი თანასწორობის პრინციპიდან. მას, საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებთან ერთად, საფუძვლად საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის შინაარსი უდევს. კონსტიტუციური დებულება – ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობას – შედარებით დეტალურ გამოხატულებას პოულობს სამოქალაქო კოდექსის 1152-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც მეუღლეებს თანაბარი უფლებები და მოვალეობები გააჩნიათ. თანაბარი უფლებები თანაბარი მოვალეობებითაა განპირობებული. რეგისტრირებული ქორწინების შედეგად წარმოშობილი პირადი უფლებები და მოვალეობები არსებითად განსხვავდება ქონებრივი ხასიათის უფლება-მოვალეობებისაგან. **პირადი უფლებების მნიშვნელოვანი ნაწილი მეუღლეებს შეიძლება ჰქონდეთ დაქორწინებამდეც.** მაგალითად, პროფესიის არჩევა ან საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის უფლება მიეკუთვნება მათ შრომით ან საერთო სამოქალაქო უფლებაუნარიანობას და არავითარი კავშირი საოჯახო სამართლის სფეროსთან არ გააჩნია. მაგრამ ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან ასეთი პირადი უფლებები მეუღლეთა საოჯახო უფლებათა სახითაც არსებობს. არასაოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებში მათი რეგულირება ხდება სამართლის სხვა დარგებით, ხოლო საოჯახო ურთიერთობებში მათი დაცვა ხორციელდება საოჯახო კანონმდებლობით. პროფესიის არჩევის საკითხი დაქორწინებამდე პირის შრომის სამართლებრივ უფლებას წარმოადგენს, დაქორწინების შემდეგ რომ მეორე მეუღლის ნებაზე არ არის იგი დამოკიდებული, ეს უკვე საოჯახო სამართლის სფეროა.

მეუღლეთა შორის ურთიერთობაში განმსაზღვრელი მნიშვნელობა გააჩნია პირად ურთიერთობებს. ქორწინება მეუღლეთა პირადი კავშირია, რასაც საფუძვლად ურთიერთპატივისცემა და მტკიცე ოჯახის შექმნის სურვილი უდევს. პირადი ურთიერთობებია არა მარტო ქორწინების ნამდვილი შინაარსის ძირითადი საფუძველი, არამედ მთელი შემდგომი საოჯახო ურთიერთობის აუცილებელი ინგრედიენტი. რაც შეეხება ქონებრივ ურთიერთობებს, მას ფარდობითი ხასიათი

გააჩნია, მიუხედავად იმისა, რომ საბაზრო მეურნეობის პრინციპების დამკვიდრება მნიშვნელოვნად ცვლის მეუღლეთა შორის ადრე არსებულ ქონებრივ ურთიერთობათა შინაარსს. ფული და სიმდიდრე უკვე შექმნილი ოჯახის ეკონომიკური სიძლიერის მაჩვენებელია და არა ის საფუძველი, რასაც მომავალი მეუღლეები უნდა დაეყრდნონ როგორც ოჯახის შექმნისა და შენარჩუნების ერთადერთ საშუალებას.

ანგარება და სიმდიდრის დაგროვების ავადმყოფური სურვილი იდეალური ოჯახის შექმნას ვერ უზრუნველყოფს. ფული არ არის ბედნიერების საფუძველი, იგი მხოლოდ დროებით ამშვიდებს ადამიანს[1].

პირად უფლებათა მსგავსად, ქონებრივი უფლებების განსაზღვრული ნაწილი პირს შეიძლება ქორწინებამდეც ჰქონდეს, მაგრამ დაქორწინება, საოჯახო ურთიერთობათა ფარგლებში მოხვედრილ ქონებრივ ურთიერთობას განსაკუთრებულ სპეციფიკას ანიჭებს. ამის დადასტურებას წარმოადგენს მეუღლეთა თანაზიარი საკუთრების ინსტიტუტის არსებობა. ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან მეუღლეთა პირადი და ქონებრივი უფლება-მოვალეობების თანაბრობა საოჯახო ურთიერთობათა არსებობის ყველა ეტაპისათვის კანონით გარანტირებული აუცილებლობაა. მის დამკვიდრებასა და ცხოვრების წესად გადაქცევას საუკუნეები დასჭირდა. ქალისა და მამაკაცის უფლებრივი მდგომარეობის გათანაბრებისათვის ბრძოლა ყოველთვის წარმოადგენდა საზოგადოების პროგრესულობის მაჩვენებელს. საქართველოში ქალთა უფლებრივი მდგომარეობა ადრეფედერალურ ხანაში გაცილებით დაბალ დონეზე იდგა, ვიდრე განვითარებული ფეოდალიზმის ან გვიანი შუა საუკუნეების დროს. ადრინდელ ეტაპზე, მეზობელი სახელმწიფოების მსგავსად, საქართველოში საცოლის ყიდვის ჩვეულება არსებობდა. ნაყიდი ცოლი არა მარტო პირად, არამედ ქონებრივ ურთიერთობაშიც მთლიანად ქმარზე იყო დამოკიდებული. ამ

[1] ყოველი შემთხვევისათვის, ფულის ყოვლისშემძლეობის შესახებ საბაზრო მეურნეობის პირობებში ადრე არსებული წარმოდგენა დღეს არ შეიძლება გამოიხატოს ცნობილი სიტყვებით: „თუმცა მე მახინჯი ვარ, მაგრამ შემიძლია ვიყიდო ულამაზესი ქალი და, მაშასადამე, მე უკვე მახინჯი აღარა ვარ, ვინაიდან სიმახინჯის მოქმედება, მისი დამაფრთხობელი ძალა ქრება ფულით. დაე, მე ჩემი ინდივიდუალობით კოჭლი ვიყო, მაგრამ ფული მომანიჭებს 24 ფეხს და მე უკვე აღარ ვკოჭლობ. მე ცუდი, უნამუსო, უსინდოსო, გონებაჩლუნგი ადამიანი ვარ, მაგრამ ფული სათაყვანოა, მაშასადამე, სათაყვანოა ფულის მფლობელიც. ფული – ეს უმაღლესი ბედნიერებაა, მაშასადამე, ბედნიერია მისი მფლობელიც. ფული, გარდა ამისა, მათავისუფლებს უსინდისობის სიძნელისაგან, იგულისხმება, რომ მე პატიოსანი ვარ“.

პერიოდში ქმარს ისეთი უფლებები გააჩნდა ცოლის მიმართ, როგორც ბატონს მონის მიმართ. ამის ნათელი დადასტურებაა იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“. განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდიდან საფუძველი ეყრება მზითვის ინსტიტუტს, რაც ქალის უფლებრივი მდგომარეობის მაღალი დონის მაჩვენებელია. ქალი უკვე ნივთი კი არა, პიროვნებაა. იგი შეიძლება მშობლის ქონების მემკვიდრეც იყოს. გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში, პოლიტიკური ძლიერების ხანაში, ფეოდალთა წრისა და სამეფო საგვარეულოს ქალებს არა მარტო სამოქალაქო-სამართლებრივი, არამედ პოლიტიკური მემკვიდრეობის უფლებაც გააჩნდათ. ქალები დიდი მამულებისა და ქონების, აგრეთვე სამეფო ტახტის მფლობელებადაც გამოდიოდნენ. ისინი თავიანთ მოძრავ და უძრავ ქონებას დამოუკიდებლად განაგებდნენ, მონასტრებს სწირავდნენ და სხვ. მეფე ქალების ქმრებს ბევრი უფლება შეზღუდული ჰქონდათ. მათ არ შეეძლოთ, მაგალითად, საკუთარი გვარის ახალი დინასტიის დამკვიდრება. ამიტომ იყო, რომ ლაშა-გიორგი თამარის ძედ იყო ცნობილი, ხოლო დავით ნარინი კი – რუსუდანის ძედ. ქალის მაღალი უფლებრივი მდგომარეობა დამახასიათებელი იყო ქართული სინამდვილის შემდგომი პერიოდისთვისაც. ქალთა უფლებრივი მდგომარეობა, ნელი პროცესით, მაგრამ მაინც იზრდებოდა საზოგადოების დაბალი ფენების ოჯახებშიც, რაც ნათლად ჩანს ქართული სამართლის საერო და საეკლესიო ძეგლებში.

მეუღლეთა პირად და ქონებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირებისას კატეგორიულად არის აკრძალული ყოველგვარი დისკრიმინაცია. მეუღლეთა სრული თანასწორუფლებიანობა და არა რაიმე პირდაპირი ან არაპირდაპირი უპირატესობის მინიჭება წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებათა მიხედვით, წარმოადგენს საოჯახო სამართლის ამოსავალ პრინციპს, რაც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ანტიდისკრიმინაციული პოზიციის ნათელი გამოხატულებაა.

მეუღლეთა პირადი უფლებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ქორწინების მომენტიდან წარმოშობილი უფლებები. მათ მიეკუთვნება გვარის არჩევისა და საოჯახო საკითხების ერთობლივად გადაწყვეტის უფლება.

დაქორწინებისას მეუღლეები თავიანთი სურვილის მიხედვით ირჩევენ ერთ-ერთი მეუღლის გვარს ან თითოეული მათგანი ინარჩუნებს ქორწინებამდელ გვარს. ქმარს არა აქვს უფლება იძულებით ჩაწეროს ცოლი თავის გვარზე. უფრო მეტიც, ცოლს უფლება აქვს დაიტოვოს პირველი ქორწინებისდროინდელი გვარი, რომ არაფერი ითქვას მისი ქალიშვილობის გვარის შენარჩუნების შესაძლებლობაზე. დასაშვებია მეუღლეთა შეერთებული გვარების ტარება. კანონით არ შეიძლება სამი ან ოთხი გვარის შეერთება, როცა ორივე მეუღლეს ან ერთ-ერთ მათგანს უკვე აქვს შეერთებული გვარი. ჩვეულებრივ, მეუღლეები საერთო გვარს – უმეტესად ქმრისას – ატარებენ, რომ შვილებთან ერთად საერთო გვარი ჰქონდეთ. საერთო გვარი პრაქტიკულად უფრო ადვილს ხდის ქორწინებასა და შვილების ყოლასთან დაკავშირებული უფლებებისა და შეღავათების განხორციელებას. ქორწინებამდელ გვარს მეუღლეები უფრო ხშირად მაშინ იტოვებენ, როცა თითოეული მათგანი ამ გვარითაა ცნობილი. გვარის არჩევის უფლება მეუღლეებს აქვთ ქორწინების რეგისტრაციის მომენტამდე. შემდეგ კი გვარის შეცვლა შეიძლება საერთო საწყისებზე. ერთი მეუღლის მიერ გვარის გამოცვლა ავტომატურად არ იწვევს მეორე მეუღლის გვარის გამოცვლას. განქორწინების შემდეგ ყოფილ მეუღლეს შეუძლია ატაროს ქორწინების დროს მიღებული გვარი ან სასამართლოს სთხოვოს ქორწინებამდელი გვარის აღდგენა. ამ შემთხვევაში მეორე მეუღლის სურვილს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ქორწინების გაბათილების შემთხვევაში კი მხოლოდ კეთილსინდისიერ მეუღლეს აქვს უფლება ატაროს ქორწინების რეგისტრაციის დროს მიღებული გვარი.

საოჯახო საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია შვილების გაჩენასა და აღზრდას. მეუღლეები თვითონ წყვეტენ იყოლიონ თუ არა შვილი ან როდის და რამდენი. მათ უფლება აქვთ პირადად აღზარდონ თავიანთი შვილები. ყველა სხვა პირი ვალდებულია თავი შეიკავოს ამ უფლების დარღვევისაგან, გარდა კანონით გათვალისწინებული განსაკუთრებული შემთხვევებისა. არ შეიძლება, მაგალითად, ბავშვის გაჩენის მიზანშეწონილობა მეუღლეთა მშობლების ან სხვა ნათესავების გადასაწყვეტი იყოს. კანონის საფუძველზე მშობლის უფლებაჩამორთმეულ პირს ერთმევა შვილის პირადად აღზრდის უფლება. ამავე დროს, მშობლები ვალდებულნი არიან შვილები აღზარდონ ფიზიკურად, გონებრივად და ზნეობრივად. მშობლები ამ უფლება-მოვალეობებს ურთიერთშეთანხმებით ახორციელებენ. არც ერთ მშობელს არა აქვს

უფლება დამოუკიდებლად გადაწყვიტოს შვილის აღზრდასთან დაკავშირებული რომელიმე საკითხი, როგორიცაა, მაგალითად, ზაფხულში ბავშვის ნათესავებთან გაგზავნა ან სპეციალურ სასწავლებელში მისი მიბარება და სხვა. როგორც წესი, ერთად მცხოვრებ მეუღლეებს შორის ასეთ საკითხებზე დავა იშვიათია. მაგრამ, რადგანაც დავის წარმოშობის შესაძლებლობა გამორიცხული არ არის, მით უმეტეს, ცალკე მცხოვრებ მეუღლეებს შორის, სადავო საკითხების გადაწყვეტა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოთა კომპეტენციას წარმოადგენს. ასევე ურთიერთშეთანხმებით წყვეტენ მეუღლეები საოჯახო ურთიერთობის სფეროში წამოჭრილ ყველა მნიშვნელოვან საკითხს. ასეთ შემთხვევებში დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახის ინტერესებს საერთოდ და კერძოდ კი – არასრულწლოვანი შვილების უფლებების დაცვის გარანტიების უზრუნველყოფას.

მოდიფიცირებული პირადი უფლებებიდან სამართლის სფეროს მიეკუთვნება მეუღლეთა მიერ საქმიანობისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლება.

საქმიანობის სახისა და პროფესიის არჩევაში თითოეული მეუღლე თავისუფალია. ეს იმას ნიშნავს, რომ, მართალია, მეუღლეებმა ეს საკითხი ურთიერთშეთანხმებითა და ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა გადაწყვიტონ, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება თითოეულმა მათგანმა მაინც დამოუკიდებლად უნდა მიიღოს. არავითარი სამართლებრივი მნიშვნელობა არა აქვს მეუღლეთა შორის ისეთ შეთანხმებას, რომელიც აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას ითვალისწინებს რომელიმე მეუღლის პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვას.

თითოეული მეუღლის მიერ თავისი საქმიანობის სახის ან პროფესიის განსაზღვრის დროს გადამწყვეტია ამა თუ იმ მეუღლის მიდრეკილება, ინტერესი, შემოქმედებითი შესაძლებლობები, ფიზიკური განვითარების მდგომარეობა, ბუნებრივი მონაცემები და სხვ. საქმიანობის სახისა და პროფესიის არჩევა, ამასთან ერთად, განპირობებული უნდა იყოს როგორც საკუთარ მიზანსწრაფვათა, ისე ოჯახის წევრთა სულიერი და მატერიალური ინტერესების დაკმაყოფილების მხრივ.

თითოეულ მეუღლეს ასევე თავისუფლად შეუძლია აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი. ეს იმას ნიშნავს, რომ მეუღლეების საცხოვრებელ ადგილად შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც ქმრის, ისე ცოლის საცხოვრებელი ადგილი. კანონი არ ცნობს ძველი ქართული

საოჯახო სამართლით გათვალისწინებულ წესს – ქმრის საცხოვრებელი ადგილი ითვლება სავალდებულოდ ცოლისთვისაც.

ადრეფეოდალურ საქართველოში ქორწინებისას, ჩვეულებრივ, ქალი გადიოდა მამის ოჯახიდან და რძლად შედიოდა ქმრის ოჯახში. მოგვიანებით კი გავრცელდა ისეთი ქორწინებაც, როცა მხოლოდ-შობილი ქალი რჩებოდა მამის ოჯახში და ქმარი ქალის მშობლების ოჯახში მიჰყავდათ. ქალს ასეთ შემთხვევაში „საძეო" ეწოდებოდა. იგი სამკვიდროს პატრონად და მემკვიდრეობის განმგრძობ-აღმდგენად ითვლებოდა. ამიტომ მაშინ სიტყვა „ძე" ნიშნავდა შვილს, მაგრამ მემ-კვიდრე შვილს, რომელიც შეიძლებოდა როგორც ვაჟიშვილი, ასევე ქალიშვილი ყოფილიყო. ამიტომ ითვლებოდა თინათინი როსტევანის „ძედ". ასეთი წესი პროგრესული იყო საცხოვრებელი ადგილის განსაზ-ღვრის სფეროში. ამასთან, ცოლის ოჯახში სიძედ მისული ქმარი, ჩასი-ძებული კაცი, ცოლთან შედარებით, თავისი ერთგვარად დაკნინებული უფლებრივი მდგომარეობითა და ფუნქციით ხასიათდებოდა. ამი-ტომ, ტრადიციულად, ჩასიძებული პირი ხალხში არასრულფასოვანი მეუღლის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ამ საკითხს ამჟამად მეუღლეები ურთიერთშეთანხმებით წყვეტენ. უფრო მეტიც, მეუღლეებს შეუძლიათ ცალკ-ცალკე საცხოვრებელი ადგილი ჰქონდეთ. ერთი მეუღლის მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა არ იწვევს იგივეს მეორისათვის, ე.ი. კანონით არ არის დადგენილი მეუღლეთა ერთად ცხოვრების ვალდებულება. ეს კი, თავის მხრივ, არ ეწინააღმდეგება მეუღლეთა აბსოლუტური უმრავლესობის სურვილს – ერთად იცხოვრონ. მოქმედი კანონმდებლობა ყოველნაირად ცდილობს სტიმული მისცეს მეუღ-ლეთა ერთად ცხოვრებას, საცხოვრებელი ადგილის არჩევის საკითხში მეუღლეთათვის მიკუთვნებული უფლების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ოჯახის ინტერესებს.

6.2. მეუღლეთა კანონისმიერი ქონებრივი უფლება-მოვალეობანი

საოჯახო ურთიერთობათა განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმ მატერიალურ ბაზაზე, რაც საფუძვლად ედება ოჯახის შექმნას. მეუღლეებს თავიანთ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად სჭირდებათ განსაზღვრული

ქონება. მეუღლეთა შორის კანონით დადგენილ ქონებრივ უფლება-მოვალეობათა შინაარსის გარკვევა, მათი ქონებრივი ინტერესების დაცვის საშუალებას წარმოადგენს. ქონებრივია ყველა ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც დაკავშირებულია განსაზღვრულ ქონებასთან, მის მფლობელობასთან, სარგებლობასა და განკარგვასთან.[1] მის ცნებაში მოიაზრება არა მარტო ნივთები, არამედ მოთხოვნებიც, ე.ი. როგორც სანივთო, ისე ვალდებულებითი ხასიათის ელემენტები. უფრო მეტიც, ქონებრივი ხასიათისაა არა მარტო აქტივი, არამედ პასივიც – ერთი მხრივ, მოთხოვნის უფლება (ვალის დაბრუნების, დივიდენდის მიღების, სამკვიდრო ქონებიდან წილის გამოყოფის უფლება და სხვ.) და მეორე მხრივ, შესრულების ვალდებულება (საბანკო სესხის დაფარვის, აღებული ვალის გადახდის ვალდებულება და სხვ.). ამიტომ მეუღლეთა ქონების შედარებით ფართო გაგება უფრო შეესაბამება კანონმდებლობის შინაარსსა და პრაქტიკის მოთხოვნებს[2], ვიდრე მისი ვიწრო გაგება და მეუღლეთა თანასაკუთრებაში ქონებრივი უფლებების და არა ვალდებულებების ჩართვა.[3]

მეუღლეთა საკუთრების რეჟიმის გარკვევისას, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ მეუღლეთა საკუთრებაში არსებული ქონება შეიძლება სხვადასხვა სამართლებრივი რეჟიმისა იყოს. მათი მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა სხვადასხვა საფუძველზე ხდება. **საოჯახო კანონმდებლობით მეუღლეთა საკუთრება იყოფა ორ ნაწილად – ინდივიდუალურ, ანუ განცალკევებულ და საერთო თანაზიარ საკუთრებად, ანუ თანასაკუთრებად.**

ინდივიდუალურია ისეთი ქონება, რომელიც ერთ-ერთ მეუღლეს ეკუთვნის და თვითონვე განკარგავს. ასეთია: ქორწინებამდელი, აგრეთვე ქორწინების პერიოდში მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული ქონება, პირადი მოხმარებისათვის შეძენილი ნივთები და სხვ. მეუღლეთა საერთო თანაზიარი საკუთრებაა მათ მიერ ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონება. მათ, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება მეუღლეთა ერთობლივი მოხმარების საგნები, ხელფასი და სხვა ფუ-

---

[1] **ბ. ზოიძე**, ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, გვ. 26.

[2] **შ. ჩიკვაშვილი**, საოჯახო სამართალი, თბ., 2004, გვ.123. **Пчелинцева Л.М.**, Семейное право России, М., 1999, с. 184. **Граве К. А.** Имущественные отношения в семье. М., 1969. с. 35. **Белякова А. М., Ворожейкин Е. М.**, Советское семейное право. М., 1974, с. 131.

[3] **Рясенцев В. А.** Семейное право. М., 1971. с. 94. **Антокольская М. А.**, Семейное право. М., 1996, с. 153.

ლადი შემოსავალი, მათი მიღების წყაროს მიუხედავად. თანაზიარი საკუთრება მეუღლეებს ეკუთვნით თანაბრად, წილთა განუსაზღვრელად და გამოიყენება საერთო ინტერესებიდან გამომდინარე. არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რომელი მეუღლის სახელზეა ქონება გაფორმებული. მართალია, კანონი კონკრეტულად არ განსაზღვრავს ქონების იმ სახეებს, რომლებიც ინდივიდუალურ ან თანაზიარ საკუთრებას მიეკუთვნება, მაგრამ იმდენად გამოკვეთილია მათი დაყოფის ზოგადი კრიტერიუმები, რომ სავსებით შესაძლებელია მეუღლეთა საკუთრებაში არსებული ნებისმიერი ქონების სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრა. ასეთი კრიტერიუმებიდან გამომდინარეობს დებულება იმის შესახებ, რომ მეუღლეებმა შეიძლება საქორწინო ხელშეკრულებით გაითვალისწინონ ქონების ამა თუ იმ სახისათვის დამახასიათებელი ტრადიციული სამართლებრივი რეჟიმის შეცვლა. მაგალითად, ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ავტომანქანა ჩათვალონ მეუღლეთა თანაზიარ საკუთრებად. ასეთ შემთხვევაში მეუღლეთა ნებას პრიმატი ენიჭება. საქორწინო კონტრაქტის არარსებობა ედება საფუძვლად მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების თანაზიარ საკუთრებად აღიარებას. უფრო მეტიც, ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონება თანაზიარად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ერთ-ერთი მეუღლე ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო (ავადმყოფობა, სწავლა და სხვ.) არ ჰქონდა დამოუკიდებელი შემოსავალი. მნიშვნელობა არა აქვს იმას, ქონება შეძენილია სასყიდლით თუ უსასყიდლოდ, ერთ-ერთი მეუღლის თუ ორივე მათგანის მიერ.

მეუღლეებს გააჩნიათ თანაზიარი საკუთრების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის თანაბარი უფლებები. ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც მიზნად ისახავს რომელიმე მეუღლის, როგორც მესაკუთრის უფლებამოსილებათა რაიმე ფორმით შეზღუდვას, ბათილად უნდა ჩაითვალოს, რადგან ეწინააღმდეგება კანონის იმპერატიულ დებულებას მეუღლეთა უფლებების თანაბრობის შესახებ. ერთ-ერთი მეუღლის მოქმედება, მიმართული თანაზიარი საკუთრების მართვის ან განკარგვის მიზნით, იმავდროულად ითვლება მეორე მეუღლის ნების გამოვლენადაც. კანონით გათვალისწინებულ ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროა მეორე მეუღლის წერილობითი თანხმობა. ეს უმეტესად იმ შემთხვევაშია აუცილებელი, როცა საქმე ეხება სანოტარო წესით დასამოწმებელ სამოქალაქო-სამართლებრივ გარიგებაში მეუღლეთა

მონაწილეობას. **მეუღლეთა თანაზიარი საკუთრება თავისი არსით განსხვავდება საერთო წილობრივი საკუთრებისაგან.** წილობრივი საკუთრება შეიძლება გააჩნდეთ ორ ან მეტ პირს, მათ შორის არარეგისტრირებულ ურთიერთობაში მყოფ ქალსა და მამაკაცს. საერთო წილობრივი საკუთრების სუბიექტებისაგან განსხვავებით, მეუღლეს უფლება არა აქვს მოითხოვოს წილის გამოყოფა თანაზიარი საკუთრებიდან და მისი დამოუკიდებლად განკარგვა, რადგან ეს იქნება არა მისი წილის გამოყოფა, არამედ თანაზიარი საკუთრების გაყოფა. საერთო წილობრივი საკუთრება შეიძლება ორზე მეტ პირს ეკუთვნოდეს და მისგან ერთ-ერთი მათგანის წილის გამოყოფა არ სპობს საერთო საკუთრებას. მეუღლეთა თანაზიარი საკუთრების გაყოფა კი მისი ინდივიდუალურ საკუთრებად გადაქცევის საფუძველია, რადგან თანაზიარი საკუთრების სუბიექტები მხოლოდ მეუღლეები არიან.

მეუღლეთა სიცოცხლეში მათ შვილებს არ გააჩნიათ საკუთრების უფლება მშობლების ქონებაზე. ამიტომ შვილების ყოლის ფაქტი ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს მეუღლეთა ქონების სამართლებრივ მდგომარეობაზე. იგი შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული განქორწინების შემთხვევაში მეუღლეთა შორის ქონების გაყოფისას და ისიც არა იმიტომ, რომ შვილი საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობის დამოუკიდებელი სუბიექტია და მშობლების ქონების თანამესაკუთრე, არამედ მეუღლეთა მიერ მშობლიური უფლება-მოვალეობების მიზნობრივად განხორციელების უზრუნველსაყოფად.

მეუღლეთა თანაზიარ საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის ყველაზე გავრცელებულ საშუალებას სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება წარმოადგენს. ქონების განკარგვა შეუძლია ერთ-ერთ მათგანს ან ორივე მეუღლეს ერთად. ორივე შემთხვევაში, გარიგების დადებისას მეუღლეთა ნება თავისუფლად უნდა იყოს გამოვლენილი. როცა ერთი მეუღლე განკარგავს თანაზიარ საკუთრებას, იგულისხმება, რომ მეორე მეუღლეც თანახმაა ამაზე და არაა საჭირო ამ უკანასკნელის მინდობილობა გარიგების დასადებად. თანაზიარი ქონების განკარგვასთან დაკავშირებული გარიგების მონაწილე მესამე პირები, რომლებიც ერთ-ერთ მეუღლესთან დებენ გარიგებას, არ არიან ვალდებული დარწმუნდნენ მეორე მეუღლის თანხმობის არსებობაში და მოითხოვონ ამის დამადასტურებელი რაიმე საბუთი. ერთი მეუღლის მიერ დადებული გარიგება არ შეიძლება მეორემ სადავოდ გახადოს იმის გამო, რომ მას თანხმობა არ მიუცია. გამონაკლის შემთხვევაში, ასეთი გარიგება

ბათილად იქნება აღიარებული მხოლოდ მაშინ, თუ თანაზიარი ქონების განმკარგავ მეუღლეს არ ჰქონდა ამის უფლებამოსილება და მან ეს იცოდა ან უნდა სცოდნოდა. იგულისხმება, რომ გარიგების მეორე მხარე ამის შესახებ საქმის კურსში არ იყო. თუ ქონების განმკარგავი მეუღლის კონტრაგენტი ყველაფრის საქმის კურსში იყო და მაინც დადო გარიგება, ეს შეიძლება გარიგების გაბათილების დამატებით არგუმენტად გამოდგეს. ძირითადი კი მაინც ქონების განმკარგველი მეუღლის არამართლზომიერი მოქმედებაა. მაგალითად, თუ ქმარმა ცოლის საავადმყოფოში ყოფნის დროს გაყიდა მეწველი ძროხა და ამით ოჯახი მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩააყენა, სასამართლო ამ გარიგებას გააბათილებს, რადგან შეიძლება დამტკიცდეს ის, რომ ქმარმა იცოდა ასეთი უფლება ცოლის თანხმობის გარეშე რომ არ ჰქონდა და მაინც დადო გარიგება. ასეთი გამონაკლისების გარდა, სხვა შემთხვევებში, ერთი მეუღლის მიერ თანაზიარ საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისებისას, მეორე მეუღლის თანხმობის პრეზუმირება გამომდინარეობს თვით მეუღლეთა და აგრეთვე მესამე პირთა ინტერესებიდან, რადგან ყოველი ასეთი გარიგების დროს ისპობა მეორე მეუღლის თანხმობის მოთხოვნის აუცილებლობა.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, შეიძლება პრაქტიკაში გარკვეული გაუგებრობა წარმოიშვას თანაზიარი საკუთრების უძრავი ქონების ერთ-ერთი მეუღლის მიერ განკარგვასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, მოძრავი და უძრავი ქონების სამართლებრივი მდგომარეობა განსხვავებულია. უძრავ ქონებაზე უფლებების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს მისი სახელმწიფო რეგისტრაცია. ასეთი ქონება შეიძლება დარეგისტრირდეს ერთ-ერთი მეუღლის სახელზე, რაც მას, ფაქტობრივად, განსაკუთრებულ უფლებამოსილებას ანიჭებს, რადგან მხოლოდ მისთვის წარმოიშობა საკუთრების უფლება. გამოდის, რომ მესაკუთრედ რეგისტრირებული მეუღლის გარდა, ქონება სხვასაც ეკუთვნის. ამ შემთხვევაში იგულისხმება მეორე მეუღლე, რომელიც არ არის რეგისტრირებული როგორც მესაკუთრე. ამიტომ უძრავი ქონების შემძენი სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოს მონაცემთა უტყუარობას ვერ დაეყრდნობა. ასევე გაურკვეველია იმ მეუღლის მდგომარეობა, რომელიც ფაქტობრივად საერთო ქონების თანამესაკუთრეა, მაგრამ არ არის რეგისტრირებული როგორც მესაკუთრე და ამიტომ მოკლებულია შესაძლებლობას განკარგოს თანაზიარი ქონება. მას მხოლოდ ქონების განკარგვით მიღებული

სარგებლის მოთხოვნის უფლება აქვს. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლში დამატებულ იქნეს თანაზიარი უძრავი ქონების ორივე მეუღლის სახელზე რეგისტრაციის აუცილებლობა ან მესაკუთრედ არარეგისტრირებული მეუღლისა და მესამე პირის – თანაზიარი საკუთრების შემძენის – ინტერესების დამცავი სპეციალური მექანიზმი. ამის აუცილებლობას ადასტურებს სასამართლო პრაქტიკა[1].

ქორწინების ფაქტი არ შეიძლება საფუძვლად დაედოს მეუღლეთა თანასაკუთრებაში იმ ქონების ჩართვას, რომელიც თითოეულ მათგანს დაქორწინებამდე ეკუთვნოდა. ასეთი ქონება მათი ინდივიდუალური საკუთრებაა და მისი მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა თითოეული მეუღლის მიერ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ხდება. ქორწინების მომენტთან მეუღლეთა ქონების ინდივიდუალური თუ თანაზიარი საკუთრების ხასიათის დაკავშირება სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ქორწინების შემდეგ შეძენილი ყველა სახის ქონება აუცილებლად თანაზიარ საკუთრებას წარმოადგენს. თანაზიარი იქნება მხოლოდ ის ქონება, რომელიც შეძენილია მეუღლეთა საერთო სახსრებით და განკუთვნილია საერთო სარგებლობისათვის.[2]

შესაძლებელია ისიც, რომ ერთ-ერთი მეუღლის განმგებლობაში აღმოჩნდეს ისეთი ქონება, რომელიც მოკლებულია იდივიდუალური მოხმარების ხასიათს. მაგალითად, საცხოვრებელი სახლი, ავტომანქანა, ფულადი სახსრები, ნივთების კოლექცია და სხვ. ასეთი ქონება ჩაითვლება ინდივიდუალურად, თუ იგი მან მიიღო მემკვიდრეობით ან ჩუქებით. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ შესაძლებელია სამკვიდროს დამტოვებელმა ქონება მემკვიდრეობით დაუტოვოს ორივე მეუღლეს ან ქონების გამჩუქებელმა მეუღლეები დაასაჩუქროს. ასეთ შემთხვევაში მიღებული ქონება მეუღლეთა თანასაკუთრებად უნდა ჩაითვალოს. იგულისხმება, რომ მეუღლეები საკუთრებას იძენენ ერთი და იმავე სახის ქონებაზე. მაგალითად, როცა საცხოვრებელი სახლი ორივე მეუღლემ მიიღო მემკვიდრეობით და არა, ვთქვათ, ერთი და იმავე პირმა ერთ მეუღლეს საცხოვრებელი სახლი უანდერძა, მეორეს კი – ავტომანქანა. მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული ქონება თა-

---

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი. სამოქალაქო სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე. თბ., 2006, №9. გვ. 7.

[2] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე. თბ., 2003. №2. გვ. 393.

ვისი სამართლებრივი ბუნებით ინდივიდუალური ხასიათისა უნდა იყოს. უფრო მეტიც, შეიძლება ქონება, მართალია, ქორწინების პერიოდში იყო შეძენილი და საერთო მოხმარების დანიშნულებაც გააჩნდეს მას, მაგალითად, ავტომანქანა, მაგრამ, თუ შეძენილია მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული სახსრების საფუძველზე, იგი მაინც ინდივიდუალური საკუთრების ქონებად უნდა ჩაითვალოს.

მეუღლეთა საერთო სახსრებით შეძენილი ყველა ქონება არ ითვლება მათ თანასაკუთრებად. თუ ქონება, მართალია, შეძენილია მეუღლეთა საერთო სახსრების საფუძველზე, მაგრამ განკუთვნილია ერთი მათგანის ინდივიდუალური სარგებლობისათვის, აუცილებლად უნდა ჩაითვალოს ინდივიდუალურ საკუთრებად. ასეთია, მაგალითად, ტანსაცმელი, საყურე, ყელსაბამი, კოსმეტიკური ნივთები და სხვ. კანონი ასეთი ქონების კატეგორიიდან გამორიცხავს მეუღლეთა მიერ შეძენილ ძვირფასეულობას, თუმცა არ აზუსტებს რომელი ნივთები მიეკუთვნება მას. პრაქტიკაში დამკვიდრებული გაგებით, ძვირფასეულობას მიეკუთვნება ისეთი ნივთები, რომლებიც არაა აუცილებელი ყოფითი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მათ მიეკუთვნება ძვირფასი ლითონებისა და იშვიათი ქვებისაგან დამზადებული საგნები, ანტიკვარული ნივთები, ორიგინალური და ფასეული მხატვრული ნაწარმი და სხვ. ასეთი ქონება, მიუხედავად იმისა, რომ იგი შეიძლება განკუთვნილი იყოს რომელიმე მეუღლის ინდივიდუალური სარგებლობისათვის, მეუღლეთა თანაზიარ საკუთრებას წარმოადგენს. დავა იმის შესახებ, მიეკუთვნება თუ არა ესა თუ ის ნივთი ძვირფასეულობას, უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ.

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შესაძლებელია მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრება გადაიქცეს თანაზიარად. ქონების სამართლებრივი რეჟიმის ასეთი ტრანსფორმირება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ქორწინების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ქონების ღირებულება, რომელიც ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენდა. ეს შესაძლებელია, მაგალითად, საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულების, არსებითად გადაკეთების, შენობის ან ავტომანქანის კაპიტალური რემონტისა და სხვა შემთხვევებში. იმავე საფუძვლად შეიძლება გამოდგეს სპეციფიკაციაც, როცა ერთი მეუღლის მასალის გადამუშავებაში მეორე მეუღლეც იღებს მონაწილეობას და იქმნება უფრო მეტი ღირებულების ახალი ნივთი. იგულისხმება, რომ ამ დროს ხდება მეორე მეუღლის სახს-

რების გამოყენებაც. თუ ერთ-ერთი მეუღლე არ მუშაობს საპატიო მიზეზის გამო და მას არ გააჩნია დამოუკიდებელი შემოსავალი, ეს არ შეიძლება მნიშვნელოვნად ღირებულებამომატებული ინდივიდუალური საკუთრების მეუღლეთა თანასაკუთრებად გარდაქმნის საწინააღმდეგო არგუმენტად გამოდგეს. მაგრამ, თუ სახეზეა შენობის ან ავტომანქანის მიმდინარე რემონტი ან ხარჯების ისეთი რაოდენობით გაწევა, რომელიც მათ ღირებულებას მნიშვნელოვნად არ ზრდის, მაშინ ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ქონების სამართლებრივი რეჟიმი არ შეიცვლება. სამოქალაქო კოდექსის 1163-ე მუხლის მიერ დადგენილი ეს ზოგადი წესი არ გამოიყენება, თუ მეუღლეთა შორის დადებული საქორწინო კონტრაქტით სხვა რამ არის გათვალისწინებული. მაგალითად, შესაძლებელია კონტრაქტით მეუღლეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ინდივიდუალური საკუთრების ყველა ობიექტი ან ნაწილი ჩაითვალოს თანაზიარ საკუთრებად. თუ ერთი მეუღლე თავის ინდივიდუალური საკუთრების ქონებას სარგებლობაში გადასცემს მეორე მეუღლეს ან ოჯახის რომელიმე სხვა წევრს, ამით მისი ქონების სამართლებრივი მდგომარეობა არ იცვლება. ასეთი ქონება კვლავ ინდივიდუალური საკუთრების ობიექტად ჩაითვლება.

6.3. მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის წესი

მეუღლეთა თანაზიარი საკუთრება მათ ეკუთვნით თანაბრად, წილის წინასწარ განუსაზღვრელად. თითოეული მათგანის წილის განსაზღვრა შეიძლება მოხდეს ერთ-ერთი მეუღლის ან ორივე მათგანის მიერ თანაზიარი ქონების გაყოფის მოთხოვნის შემთხვევაში. საერთო ქონების გაყოფის საკითხი, ჩვეულებრივ, განქორწინების დროს დგება. ქორწინების შეწყვეტა იწვევს არა მარტო პირად, არაქონებრივი ხასიათის ურთიერთობათა, არამედ ქონებრივ უფლება-მოვალეობათა შეწყვეტასაც. უნდა შეწყდეს თანაზიარი საკუთრების უფლებაც. ამიტომ ხდება იმ ქონების გაყოფა, რომელიც მეუღლეებმა ერთად ცხოვრების პერიოდში შეიძინეს. მეუღლეთა თანაზიარი ქონების გაყოფა შესაძლებელია აგრეთვე ქორწინების განმავლობაშიც. ეს უმეტესად მაშინ ხდება, როცა მეუღლეები სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, იძულებულნი არიან ცალ-ცალკე იცხოვრონ. ასეთი მიზეზი შეიძლება იყოს ჯანმრთელობის მდგომარეობის

გაუარესება, ხანგრძლივი პერიოდით სხვა რეგიონში მუშაობა და სხვ. თუ მეუღლეები ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდანვე ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ, მათ მიერ შეძენილი ქონებაც თანაზიარად ჩაითვლება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მეუღლეები ასეთი ქონების სხვა რეჟიმზე თანხმდებიან. მაგალითად, შესაძლებელია მეუღლეთა შორის დადებული საქორწინო კონტრაქტით, ინდივიდუალურ საკუთრებად იქნეს მიჩნეული ქონების ის ნაწილი, რომელსაც თითოეული მათგანი შეიძენს თავისთვის და გამოიყენებს თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ასეთი ქონება მეუღლეებს შორის არ გაიყოფა.

საერთო ქონების გაყოფა შეიძლება მეუღლეთა ერთად ცხოვრების შემთხვევაშიც, მაგალითად, ერთად ცხოვრების პერიოდში საერთო ქონების გაყოფის აუცილებლობის საკითხი შეიძლება მაშინ დადგეს, როცა ერთ-ერთ მეუღლეს საკმაო სახსრები სჭირდება პირველი ქორწინებიდან შვილისათვის ან მშობლებისათვის მატერიალური დახმარების გასაწევად და მეორე მეუღლე ნებას არ რთავს აგარაკის ან რომელიმე ნივთის გაყიდვაზე. ამიტომ, თუ ქონება არ გაიყო, ისე წილის გაყიდვა შეუძლებელი იქნება. ეს კი საფუძვლად ედება თანაზიარი ქონების გაყოფის მოთხოვნას.

მეუღლეთა თანაზიარი საკუთრების გაყოფის დროს გადასაწყვეტია არა მარტო თითოეულის კუთვნილი წილის განსაზღვრის, არამედ ამა თუ იმ კონკრეტული ნივთის ბედის საკითხიც, აგრეთვე ყველა ის ნიუანსი, რომელიც მეუღლეთა შორის არსებულ ქონებრივ ურთიერთობასთან არის დაკავშირებული. ამ საკითხების გადაწყვეტა, ჩვეულებრივ, მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით ხდება. მათ შეუძლიათ შეადგინონ საერთო ქონების გაყოფის აქტი და სანოტარო ორგანოში დაამოწმონ იგი. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია სანოტარო ორგანომ მეუღლეთა თხოვნის საფუძველზე გასცეს მოწმობა თანაზიარ ქონებაში თითოეული მეუღლის წილის შესახებ. მაგრამ ისეთ შემთხვევებში, როცა მეუღლეები ვერ თანხმდებიან ქონების გაყოფასთან დაკავშირებით, დავა უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ[1]. ქორწინების განმავლობაში მეუღლეთა შორის დავა ქონების გაყოფაზე იშვიათად ხდება ან მას სერიოზული ხასიათი არ გააჩნია. წინააღმდეგ შემთხვევაში თვით ასეთი დავა შეიძლება განქორწინების მიზეზი გახდეს. ამიტომ სასამართლო ძირითადად განქორწინების დროს ერევა მეუღლეთა

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე. თბ., 2006. №9, გვ. 7.

შორის წამოჭრილი ქონებრივი დავის გადაწყვეტაში. ქორწინების მთელი პერიოდის განმავლობაში მეუღლეთა შორის მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ვადა შეჩერებულია, ისე როგორც მშობლებსა და შვილებს შორის ამ უკანასკნელთა სრულწლოვანებამდე. დავის შემთხვევაში სასამართლო განსაზღვრავს თითოეული მეუღლის წილს საერთო საკუთრებაში და აგრეთვე იმას, თუ რომელი ნივთი რომელ მეუღლეს უნდა მიეკუთვნოს. მნიშვნელოვანია აგრეთვე მეუღლეთა შეთანხმება იმის თაობაზე თუ განქორწინებისას რომელმა მეუღლემ უნდა იცხოვროს დაქირავებულ ბინაში. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ. მნიშვნელობა არა აქვს თუ რომელი მეუღლეა დამქირავებელი. სასამართლო თუ იმ მეუღლის უფლებას ცნობს ბინაზე, რომელიც არ არის დამქირავებელი, მაშინ ეს მეუღლე ხდება ქირავნობის ურთიერთობის მონაწილე.

კანონმა მეუღლეთა თანაზიარ საკუთრებაში ზოგიერთი სახის ქონების სამართლებრივი მდგომარეობა წინასწარ განსაზღვრა. ასეთი ქონებაა პროფესიული საქმიანობის საგნები. მართალია, ისინი თანაზიარი საკუთრების ობიექტებია, მაგრამ მათი განსაკუთრებული დანიშნულების ფაქტიდან გამომდინარე, შეძენის მომენტიდანვე ცნობილი ხდება, თუ რომელი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებაში გადავა ისინი საერთო ქონების გაყოფისას. სამოქალაქო კოდექსის 1165-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნის საფუძველზე პროფესიული დანიშნულების საგნები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მეუღლეთა საერთო სახსრებით იყო შეძენილი, გადაეცემა იმ მეუღლეს, რომელსაც ისინი თავისი საქმიანობისათვის სჭირდება. მაგალითად, მუსიკოსს მუსიკალური ინსტრუმენტები მეიკუთვნება, ექიმს – საექიმო მოწყობილობა, კოლექციონერს – კოლექცია და ა.შ. მეუღლეთა თანაზიარი ქონების ასეთმა, ერთი შეხედვით, არათანაბარმა გაყოფამ არ უნდა გამოიწვიოს მეორე მეუღლის ქონებრივი ინტერესების შელახვა.

მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფისას სასამართლომ ჯერ უნდა გამორიცხოს ყველა ის ნივთი, რომელიც ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენს, შემდეგ კი უნდა დაადგინოს საერთო ქონების ოდენობა ნივთობრივი და თანხობრივი გამოხატულებით. თითოეული მეუღლის წილის შესაბამისად, მათ მიეკუთვნებათ თანაზიარი საკუთრების ობიექტები ნატურით ან ფულადი გამოხატულებით. ქონების ნატურად გაყოფის დროს შესაძლებელია ცალკეული ნივთები თავისი ღირებულების მიხედვით თანაბრად არ გაიყოს და ერთ-ერთი მეუღლის

წილად აღმოჩნდეს უფრო მეტი ღირებულების, ვიდრე მისი წილის შესაბამისი იყო. ასეთ შემთხვევაში ზედმეტად მიღებული ქონების ფულადი კომპენსაცია უნდა მიეცეს მეორე მეუღლეს. შესაძლებელია აგრეთვე ნამეტი ღირებულების შესაბამისი სხვა ნივთის გადაცემა კომპენსაციის სახით. ასეთ შემთხვევებს უმეტესად ადგილი აქვს მაშინ, როცა პროფესიული დანიშნულების საგნების მიკუთვნება ხდება ერთ-ერთი მეუღლისათვის. პიანისტისათვის როიალის მიკუთვნებისას, თუ იგი მის წილს აჭარბებს საერთო საკუთრებაში, მეორე მეუღლის წილის შევსება უნდა მოხდეს დაკლებული ქონების შესაბამისი სხვა ქონებით ან ფულადი სახსრებით. ისეთ შემთხვევებში, როცა ერთ-ერთი მეუღლე მეორე მეუღლის წილის შემცირების მიზნით ყიდის ან მალავს საერთო ქონების ნაწილს, სასამართლომ დარჩენილი ქონების გაყოფისას უნდა გაითვალისწინოს ეს და მოახდინოს დაკლებული ქონების კომპენსირება. მაგრამ თუკი ერთ-ერთმა მეუღლემ საერთო ქონების ნაწილი გამოიყენა მისი ან ოჯახის სხვა წევრების მოსავლელად და სარჩენად იმ პერიოდში, როცა მეორე მეუღლე მას არ ეხმარებოდა, ეს ფაქტი სასამართლოს მიერ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული და მისი კუთვნილი წილი ამის გამო არ უნდა შემცირდეს.

ქორწინების განმავლობაში საერთო სახსრებით შეძენილი ქონების გაყოფისას, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ დავა შეიძლება არსებობდეს არა მთელ საერთო ქონებაზე, არამედ მხოლოდ მის ნაწილზე. ამასთან, გაიყოფა მეუღლეთა შორის დავის მომენტისათვის არსებული საერთო ქონება. საერთო ქონების ნაწილის გაყოფისას აუცილებელია მთელი თანაზიარი საკუთრების ოდენობის გარკვევა და თითოეული მეუღლის წილის შესაბამისად, მისი მატერიალური ან ფულადი გამოხატულების დანაწილება მეუღლეთა შორის. მაგალითად, მხოლოდ ავეჯის გაყოფისას განსაზღვრულ უნდა იქნეს თითოეული მეუღლის წილი სხვა საერთო ქონებაში (ბინა, ავტომანქანა, აგარაკი, საექიმო მოწყობილობა და სხვ.) და რადგან პროფესიული დანიშნულების საგნები აუცილებლად მის მოსარგებლე მეუღლეს უნდა მიეკუთვნოს, ამან შეიძლება საბოლოოდ გასაყოფი ქონების არათანაბრად განაწილების აუცილებლობა გამოიწვიოს. სწორედ ამიტომაა საჭირო საერთო ქონების წილზე დავის გადაწყვეტისას გათვალისწინებულ იქნეს სხვა ნაწილის ოდენობაც და თითოეული მეუღლის მთლიანი წილი მთლიან თანასაკუთრებაში. ასეთ შემთხვევაში თანაზიარი ქონების განსაზღვრული ნაწილი გადავა მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრე-

ბაში. რაც შეეხება საერთო ქონების იმ ნაწილს, რომელსაც მეუღლეები მომავალში შეიძენენ, იგი მეუღლეთა თანაზიარ საკუთრებაში უნდა ჩაითვალოს. კანონის ეს დებულება შეიძლება შეიცვალოს თვით მეუღლეთა ნება-სურვილით. მაგალითად, შესაძლებელია საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნეს საერთო საკუთრებაში არსებული, გაუყოფელი ავტომანქანის კაპიტალური რემონტის ჩატარების შემდეგ იმ მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებაში გადასვლა, რომელიც უფრო მეტ სახსრებს გაიღებს ამ დროს.

ქორწინების პერიოდში საერთო ქონების ან მისი ნაწილის გაყოფის შესახებ შეთანხმება ან სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება მეუღლეთა სურვილის საფუძველზე გაუქმებულ იქნეს. ასეთ შემთხვევაში მეუღლეთა განცალკევებული ქონება კვლავ ჩაითვლება თანაზიარ საკუთრებად.

სამოქალაქო კოდექსი თანასაკუთრების რეჟიმის დადგენისას გამოდის იმ დებულებიდან, რომ ასეთი ქონება შეძენილია მეუღლეთა საერთო შრომითა და მეცადინეობით. დახარჯული შრომის რაოდენობასა და ფორმას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. აქედან გამომდინარე, თანაზიარი საკუთრების გაყოფისას მეუღლეთა წილი თანაბარი უნდა იყოს. ეს დებულება ძალაშია მხოლოდ მაშინ, თუ სხვა რამ შეთანხმება მეუღლეთა შორის არ არსებობს. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ შეუძლებელია მეუღლეთა წილის თანაბრობის პრეზუმფციიდან გადახვევა. პირიქით, თვითონ კანონი (1168-ე მუხლი) ითვალისწინებს ამის შესაძლებლობას. მისი საფუძველი უნდა იყოს არასრულწლოვანი შვილების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობა. კერძოდ, საერთო ქონების გაყოფისას შეიძლება ერთ-ერთი მეუღლის წილი გაიზარდოს იმ შემთხვევაში, როცა არასრულწლოვანი შვილები მასთან ცხოვრობენ ან უნდა იცხოვრონ ანდა, როცა იგი შრომისუუნაროა და მეორე მეუღლე უარს ამბობს მატერიალურ დახმარებაზე. სასამაროთლოს შეუძლია მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისიდან გადაუხვიოს მაშინაც, როცა ერთ-ერთი მეუღლე არამცთუ მონაწილეობას ღებულობდა საერთო ქონების შექმნაში, არამედ, პირიქით, საერთო ქონებას ფლანგავდა ოჯახის ინტერესების საზიანოდ. კანონით გათვალისწინებული ამ საფუძვლების თანდამთხვევა აუცილებელი არ არის. თუ ერთ-ერთი მათგანი სახეზეა, შესაძლებელია ქონების არათანაბრად გაყოფა. კანონის მიერ ჩამოთვლილი საფუძვლები ამომწურავია და სასამართლოს

უფლება არა აქვს სხვა შემთხვევებშიც არათანაბრად გაყოს მეუღლეთა საერთო ქონება.

აღნიშნული საფუძვლების არსებობისას სასამართლოს არა მარტო ის შეუძლია, რომ მეუღლეთა საერთო საკუთრება არათანაბრად გაყოს, არამედ ისიც, რომ თანაზიარ საკუთრებად არ ჩათვალოს ქონება, რომელიც ქორწინების პერიოდში, მაგრამ ცალ-ცალკე ცხოვრების დროს ან ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის შემდეგ არის შეძენილი თითოეული მათგანის მიერ. ასეთი ქონება, როგორც მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრება, გაყოფას არ ექვემდებარება. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ სასამართლომ ეს უფლება მაშინ უნდა გამოიყენოს, როცა დარწმუნდება საერთო ქონების არათანაბრად გაყოფის იმ საფუძვლებიდან თუნდაც ერთ-ერთის არსებობაში, რომლებზეც კანონშია მითითებული. თორემ პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა, მართალია, მეუღლეები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მაგრამ ერთი მათგანი აქტიურად მონაწილეობს მეორის მიერ ქონების შეძენაში ან ოჯახის აღდგენის სურვილით ერთი მეუღლე მეორეს მატერიალურად ეხმარება ქონების შეძენისას, მიუხედავად იმისა, რომ ქორწინების შეწყვეტა ჯერ კიდევ არ არის ოფიციალურად გაფორმებული. ასეთ შემთხვევებსა და პირობებში შეძენილი ქონება შეიძლება თანაზიარ საკუთრებად ჩაითვალოს და გაიყოს მეუღლეებს შორის[1].

სასამართლოსათვის აღნიშნული უფლებების მინიჭება მეუღლეთა ქონებრივი ინტერესების დაცვის თვალნათელი გამოხატულებაა.

მეუღლეთა ქონების სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრა მჭიდროდაა დაკავშირებული მათი პირადი და საერთო ვალის ცნებასთან. ქონების სხვადასხვა სამართლებრივი რეჟიმი მეუღლეთა შორის ქონებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნის საფუძველია. პირად, ანუ ერთ-ერთი მეუღლის ვალად ჩაითვლება ისეთი ვალი, რომელსაც კერძო ხასიათი გააჩნია და მხოლოდ მის ინტერესებთან არის დაკავშირებული. პირადია ვალი, რომელიც აღებული იყო ქორწინებამდე ან თუნდაც ქორწინების პერიოდში, მაგრამ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. მაგალითად, თუ ერთ-ერთმა მეუღლემ თავისი ძველი მეგობრის რესტორანში დასაპატიჟებლად თანამშრომლისაგან ისესხა ფული ან ერთ-ერთ მეუღლეს სამკვიდრო ქონების მიღებასთან ერთად, ეკისრება სამკვდიროს დამტოვებლის ვალის გასტუმრება. საერთო კი

[1] დაწვრილებით იხ: ნ. შოშიაშვილი, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები სანოტარო პრაქტიკაში. დისერტაცია. თბ., 2004.

ისეთი ვალია, რომელიც აღებულია ორივე მეუღლის მიერ ან თუნდაც ერთ-ერთის მიერ, მაგრამ მეორე მეუღლის ან ოჯახის სხვა წევრთა ინტერესებიდან გამომდინარე. ასეთია მაგალითად, საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად აღებული სესხი, ოჯახის რომელიმე წევრის სამკურნალოდ ნასესხები ფული და სხვ. მეუღლეთა საერთო ვალები მათ შორის იყოფა ქონების იმ წილის თანაზომიერად, რომელიც თითოეულ მათგანს გააჩნია თანაზიარ საკუთრებაში. ვალებისათვის პასუხისმგებლობის საკითხი დგება არა მარტო განქორწინებისას, არამედ ქორწინების პერიოდშიც და არა მარტო მაშინ, როცა მეუღლეებს შორის საერთო ქონება უნდა გაიყოს, არამედ მაშინაც, როცა საერთო ქონების გაყოფის საკითხი საერთოდ არ დამდგარა. პასუხისმგებლობის წარმოშობის საფუძვლად, ჩვეულებრივ, მიიჩნევა კრედიტორის მოთხოვნა მეუღლეების ან ერთ-ერთი მათგანის დაუბრუნებელი სესხის დაფარვის, სხვისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ და სხვ. კრედიტორის მოთხოვნის განსაკუთრებულ, სპეციფიკურ სახეს წარმოადგენს არასრულწლოვანი შვილის მიერ სხვისთვის მიყენებული ზიანის მშობლების ქონებიდან ანაზღაურების საკითხის დაყენება. ასეთ დროს მეუღლეთა ქონებაზე გადახდევინების მიქცევა ხდება დელიქტური ვალდებულებების მარეგულირებელი სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმების საფუძველზე.

კანონი იცავს მეუღლის ქონებრივ ინტერესებს, თუ მეორე მეუღლე მონაწილეობს სხვადასხვა ქონებრივ გარიგებაში თავისი და არა ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე. ასეთ დროს, მოვალე მეუღლის ვალის დასაფარად გადახდევინების მიქცევა ხდება მის ინდივიდუალურ საკუთრებაზე და იმ წილზე, რომელიც მას თანასაკუთრებაში ეკუთვნის. თუ ვალის დასაფარავად საკმარისია ინდივიდუალური საკუთრების ქონება, მაშინ გადახდევინება მისგან მოხდება. ეს მარტივად ხორციელდება და არ არის დაკავშირებული საერთო საკუთრებაში მეუღლეთა წილის განსაზღვრასთან. მაგრამ, თუ მოვალე მეუღლეს სურს ვალის გადახდა თანაზიარ საკუთრებაში მისი წილიდან ან ინდივიდუალური საკუთრება არ ჰყოფნის ვალის დაფარვას, მაშინ უნდა მოხდეს საერთო ქონების გაყოფა და მოვალე მეუღლის ვალდებულების შესრულება. ასეთ შემთხვევაში მეორე მეუღლის ინდივიდუალური ქონება და წილი თანაზიარ საკუთრებაში ხელუხლებელია. თუ ვალი აღებულია ერთ-ერთი მეუღლის მიერ, მაგრამ ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე, იგულისხმება, რომ ვალი საერთოა და გადახდილ უნდა იქნეს ორივე

მეუღლის თანაზიარი საკუთრებიდან. იყო თუ არა ვალის აღება განპირობებული ოჯახის ინტერესებით, უნდა დაადგინოს სასამართლომ. სასამართლომ ასეთ შემთხვევაში უნდა გაარკვიოს ვალის აღების მიზანი და მისი გამოყენების შედეგები. არასწორად მოიქცა ქუთაისის საქალაქო სასამართლო, როცა მოსარჩელე ერთი მეუღლისაგან ითხოვდა სესხის სახით მეორე მეუღლისათვის მიცემულ თანხას და სარჩელი არ დააკმაყოფილა იმ საფუძვლით, რომ ვალის ამღებმა პირადი საჭიროებისთვის აიღო იგი. სინამდვილეში კი მსესხებელი მეუღლე ნასესხები თანხით საბერძნეთში გაემგზავრა და იქ დაიწყო მუშაობა. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოვალე მეუღლე საბერძნეთში მუშაობს და მიღებული ანაზღაურებით არჩენს ოჯახს. ამიტომ ასეთი ვალი მან ჩათვალა არა პირად, არამედ მეუღლეთა საერთო ვალად. ასეთი პოზიცია გაიზიარა საკასაციო ინსტანციამაც[1] და ვალის გადახდა საბოლოოდ დაეკისრა ორივე მეუღლეს.

ისეთ შემთხვევაში, როცა მეუღლეთა საერთო ვალი აღემატება თანაზიარი ქონების ღირებულებას, გადახდევინება უნდა გავრცელდეს თითოეული მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებაზეც. თანაზიარი საკუთრების აღმატებული ვალის ნაწილი თანაბრად უნდა დაიფაროს მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრებიდან.

ერთ-ერთი მეუღლის მიერ დანაშაულებრივი მოქმედებით სხვისთვის მიყენებული ზიანი ანაზღაურებულ უნდა იქნეს მეუღლეთა თანაზიარი საკუთრებიდან, თუ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით დადგინდა, რომ ეს ქონება დანაშაულებრივი გზითაა შეძენილი. ასეთ შემთხვევაში მეორე მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებაზე გადახდევინება არ ვრცელდება. თუ განაჩენით არ არის დადგენილი თანაზიარი საკუთრების დანაშაულებრივი გზით მიღებული სახსრებით შეძენის ფაქტი, მაშინ გადახდევინება უნდა გავრცელდეს მხოლოდ ზიანის მიმყენებელი მეუღლის წილზე საერთო საკუთრებაში და მის ინდივიდუალურ საკუთრებაზე. მეორე მეუღლე ამ დროს საერთოდ გამორიცხულია ქონებრივი ვალდებულებებიდან.

მეუღლეთა შორის თანაზიარი ქონების გაყოფა ყოველთვის არ უკავშირდება მათი ქორწინების შეწყვეტის მომენტს. ჯერ ერთი, შეიძლება მეუღლეებმა თვითონ გადაწყვიტონ ეს საკითხი. მეორეც, განქორწინების შემდეგაცაა დასაშვები ქონებრივი საკითხების გადაწყვეტა.

---

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე. თბ., 2006. №9. გვ. 3.

განქორწინების შემთხვევაში, თუ მეუღლეთა თანაზიარი საკუთრება მათ შორის არ გაყოფილა, იგი შეიძლება ერთ-ერთი მეუღლის მფლობელობაში იყოს ან თუნდაც ორივესთან ცალ-ცალკე, მაგრამ არათანაბარი ოდენობით. ამის გამო თითოეულ მათგანს ან ორივეს შეიძლება ჰქონდეს მეორე მეუღლესთან არსებული ქონების არამცთუ მფლობელობის, არამედ სარგებლობის შესაძლებლობაც. ამიტომ განქორწინება ყველა შემთხვევაში განსაზღვრულ უარყოფით გავლენას ახდენს ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის საკუთრებითი უფლებამოსილების განხორციელებაზე. რადგან ეს თითოეული მეუღლისათვის კარგად არის ცნობილი, ისინი შეეცდებიან ყოველგვარი გაურკვევლობა მოხსნან სასამართლოს მეშვეობით. მაგრამ ეს უნდა მოხდეს არა ნებისმიერ დროს, არამედ კანონით დადგენილ ვადაში. კანონი კი ადგენს სამწლიან ხანდაზმულობის ვადას იმ მოთხოვნებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია მეუღლეთა თანაზიარი ქონების გაყოფასთან. ამ ვადის დენა იწყება ქორწინების შეწყვეტის მომენტიდან, ე.ი. სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოში განქორწინების რეგისტრაციის დღიდან. ამ ვადის გასვლის შემდეგ ყოფილი მეუღლეები კარგავენ ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონებრივი უფლებების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობას.

6.4. მეუღლეთა სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობები

კერძო საკუთრებითი ურთიერთობებისა და საბაზრო მეურნეობისათვის დამახასიათებელი სხვა პრინციპები დღის წესრიგში აყენებს მეუღლეთა ტრადიციული ქონებრივი ურთიერთობების ახლებურად გააზრების აუცილებლობას. სოციალისტურ სამეურნეო ურთიერთობებს სავსებით შეესაბამებოდა მეუღლეთა საკუთრების სამომხმარებლო ხასიათი, რაც სახელმწიფო საკუთრების შინაარსთან თანაფარდობაში მეორეხარისხოვანი იყო. ყოველ მოქალაქესა და მათ შორის მეუღლეებსაც შეიძლებოდა ჰქონოდათ მხოლოდ შრომითი შემოსავალი და ისიც სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმების მიხედვით. არაშრომითი შემოსავალი კონფისკაციას ექვემდებარებოდა და მისი მფლობელი შეიძლებოდა პასუხისგებაში მიცემულიყო. მეუღლეთა ქონება მხოლოდ საყოფაცხოვრებო ხასიათის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუ-

ალებას წარმოადგენდა. მისი ყველაზე გავრცელებული და სტანდარტული სახე იყო: საცხოვრებელი სახლი ან მისი ნაწილი, აუცილებელი ავეჯი, ხელფასი და უმნიშვნელო დანაზოგი. ასეთ პირობებში მეუღლეთა თანაზიარ საკუთრებაში ერთად ცხოვრების პერიოდში მიღებული ყველა შენაძენის ჩართვა და განქორწინების შემთხვევისათვის მისი თანაბრად გაყოფა მოდავე მეუღლეებს შორის, მათი ქონებრივი ინტერესების დაცვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა. საბაზრო ურთიერთობები განსხვავებულ პრინციპებზეა აგებული და მეუღლეთა ქონება, თავისი ოდენობისა და შინაარსის მიხედვით, სპეციფიკურ თავისებურებებს იძენს. ამჟამად, ერთ-ერთ მეუღლეს შეიძლება კერძო საკუთრებაში აღმოაჩნდეს ფაბრიკები და ქარხნები, რკინიგზები და ბანკები, ფასიანი ქაღალდები და დივიდენდები, მიწა და წიაღისეული სიმდიდრეები და სხვა ქონება, რომელთა შემოფარგვლა საოჯახო დანიშნულებით ყოვლად შეუძლებელია. ასეთ პირობებში გაუმართლებელი იქნებოდა მეუღლეთა საკუთრების სამართლებრივი რეჟიმის მოქცევა სოციალისტურ არტახებში. სწორედ ამიტომ ამკვიდრებს კანონი მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის ახალ სახეს – **სახელშეკრულებო ქონებრივ, ანუ საქორწინო-საკონტრაქტო ურთიერთობას.** გარდა ამისა, კანონის მიერ განსაზღვრული მეუღლეთა ქონების სამართლებრივი რეჟიმი მექორწინეებს ან მეუღლეებს მიუღებლად და ზოგჯერ უსამართლოდაც მიაჩნდათ. საოჯახო სამართლის იმპერატიული ნორმების ზემოქმედებისაგან თავის დასაღწევად ბევრი წყვილი უარს ამბობდა დაქორწინებაზე. ახლა კი მათ მიეცათ შესაძლებლობა, საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე გადაწყვიტონ ერთმანეთს შორის ქონებრივი ურთიერთობის ნებისმიერი საკითხი.

საქორწინო ხელშეკრულება, გარდა იმისა, რომ იგი მექორწინეთა შეთანხმებაა ქორწინების რეგისტრაციის თაობაზე, არის აგრეთვე მეუღლეთა შორის ქორწინების განმავლობაში და განქორწინების შემთხვევისათვის ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების განაწილების თაობაზე მიღწეული კონსენსუსი[1]. საქორწინო ხელშეკრულებით გამოიხატება როგორც დაქორწინების, ისე ქონებრივი ურთიერთობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება. პირველი ნაწილი ფორმდება

---

[1] **Braduy D.**, Family law and Polital Culture, London. 1996. **Игнатенко А.А., Скрибников И. Н.** Брачный договор, М., 1997. **Злобина И. В.**, О юридической сущности брачного контракта. М., 2001. **ᲗᲔ. ᲙᲐᲠᲗᲝᲖᲘᲐ**, საქორწინო ხელშეკრულება. დისერტაცია. თბ., 2004.

ქორწინების რეგისტრაციის დროს, მეორეს კი დამოუკიდებელი ფორმა გააჩნია. სწორედ ამ უკანასკნელი მნიშვნელობით წარმოადგენს საქორწინო ხელშეკრულება სიახლეს.

სამოქალაქო კოდექსის 1172-ე მუხლის მიხედვით, **მეუღლეებს შეუძლიათ დადონ საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათ შორის ქონებრივი ურთიერთობების წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტის საფუძვლები.** საერთოდ, საქორწინო ხელშეკრულების დადება სავალდებულო არ არის, იგი მეუღლეთა სურვილზეა დამოკიდებული. მაგრამ თუ ხელშეკრულება დაიდება, იგი მეუღლეთა შორის ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების განაწილების სამართლებრივი საფუძველის ხასიათს იძენს და უნდა პასუხობდეს ნებისმიერი ხელშეკრულებისათვის კანონით წაყენებულ ზოგად მოთხოვნებს. საქორწინო ხელშეკრულების დადება ქორწინების რეგისტრაციამდე სავალდებულოა მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როცა ერთ-ერთი მექორწინე მხარდაჭერის მიმღებია. ხელშეკრულების დადების პროცესში აუცილებლად უნდა ჩაირთოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, აგრეთვე მხარდამჭერი იმ ნაწილში, რომელიც განსაზღვრულია სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით. მხარდამჭერის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებაზე ზედამხედველობა და შესაბამისი პასუხისმგებლობა ეკისრება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. საქორწინო ხელშეკრულებით შეიძლება განსაზღვრული იყოს მეუღლეთა ქონებრივი უფლებები და მოვალეობები როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინების შემთხვევისათვის. თუ მეუღლეები არ გააფორმებენ საქორწინო ხელშეკრულებას, მათი ქონებრივი ურთიერთობები მოწესრიგდება კანონის მოთხოვნათა მიხედვით.

საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მეუღლეთა შორის პირადი ურთიერთობების რეგულირება (თავდავიწყებამდე უყვარდეთ ერთმანეთი, არავითარ შემთხვევაში არ უღალატონ ერთმანეთს, მეუღლისადმი უღრმესი პატივისცემის ნიშნად მხოლოდ მისი ნათესავების სახელები დაარქვან ბავშვებს და სხვ.). მათგან ისინი, რომლებიც საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესების სფეროს განეკუთვნება, უკვე მოწესრიგებულია კანონით და ალტერნატიული რეგულირება არცაა მიზანშეწონილი. დანარჩენი ნაწილი კი ზნეობის სფეროს განეკუთვნება და მათში სამართლებრივი ჩარევა შეუძლებელია.

საქორწინო ხელშეკრულება წარმოადგენს ქონებრივ საკითხებზე

მეუღლეთა ნების თავისუფალი გამოვლენის შესაძლებლობას. ამიტომ კანონი ზუსტად არ განსაზღვრავს იმ მომენტს, როცა მეუღლეებს შეეძლებათ ერთმანეთთან ხელშეკრულების დადება. არ არის იგი დაკავშირებული რაიმე პირობასთანაც. **საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ქორწინებამდე და ქორწინების განმავლობაშიც – ნებისმიერ დროს.** პირველ შემთხვევაში მხარეებს შორის უნდა განაწილდეს ქონებრივი უფლება-მოვალეობები ერთად ცხოვრების პერიოდისათვის და განქორწინების შემთხვევისთვისაც კი. მეორე შემთხვევაში მეუღლეებს შეუძლიათ ქორწინების პერიოდში, ხელშეკრულების დადებამდე შეძენილი ქონების სამართლებრივი რეჟიმი შეცვალონ და თანაც მომავალი პერიოდისათვის, თავიანთი ინტერესების შესაბამისად გაანაწილონ ქონებრივი უფლება-მოვალეობები.

საქორწინო ხელშეკრულება, ბუნებრივია, ქორწინებასთან არის დაკავშირებული და მხოლოდ მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობების რეგულატორად გამოდის. ამიტომ, თუ ხელშეკრულება დაიდო მომავალ მეუღლეებს შორის, იგი ძალაში არ შევა მანამდე, ვიდრე არ მოხდება ქორწინების რეგისტრაცია. იმ შემთხვევაში კი, როცა საქორწინო ხელშეკრულება დაიდო წინასწარ, ქორწინების რეგისტრაციამდე, მაგრამ შემდეგ ქორწინება არ შედგა, იგი უნდა გაუქმდეს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქორწინო ხელშეკრულება ქორწინების რეგისტრაციის გარეშე არავითარ უფლება-მოვალეობებს არ წარმოშობს.

საქორწინო ხელშეკრულება, როგორც ქონებრივი კონტრაქტის ნაირსახეობა, იდება კანონით განსაზღვრული ფორმითა და წესით. კანონი კი იმპერატიულად ითხოვს მის დადებას წერილობით და სანოტარო წესით დადასტურებას. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება, რომ საქორწინო ხელშეკრულება დაიდოს ზეპირად ან მარტივი წერილობითი ფორმით, სანოტარო წესით დადასტურების გარეშე. სანოტარო დადასტურება სანოტარო დამოწმებისაგან იმით განსხვავდება, რომ ამ დროს ხდება ხელშეკრულების მხარეთა ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურება და არა ხელშეკრულების შინაარსის კანონიერების შემოწმება[1].

საქორწინო ხელშეკრულებას უნდა გააჩნდეს ნებისმიერი ხელშეკრულებისათვის აუცილებელი რეკვიზიტები. მათ მიეკუთვნება:

---

[1] ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997. გვ. 352.

ხელშეკრულების დადების ადგილი და თარიღი; იმ პირთა ვინაობა და საცხოვრებელი ადგილი, რომელთა შორისაც იდება ხელშეკრულება; ხელშეკრულების შინაარსი და ხელშეკრულების მხარეთა ხელმოწერები[1]. საქორწინო ხელშეკრულების ძირითადი ნაწილია მისი შინაარსი, რომელშიც გადმოცემულია მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის ყველა ნიუანსი. შინაარსი შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე ნაწილისაგან, რომელთაც სხვადასხვა ფუნქციონალური დატვირთვა გააჩნია. მაგალითად, ზოგად ნაწილში შეიძლება გადმოცემული იყოს საერთო ხასიათის ის დებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ საქორწინო ხელშეკრულებისა და მოქმედი საოჯახო კანონმდებლობის თანაფარდობის საკითხს, ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ვალდებულებებს ქორწინების შენარჩუნებისა და საოჯახო ურთიერთობათა განმტკიცების სფეროში, განქორწინების შემთხვევისათვის თანაზიარი საკუთრების ობიექტებზე ინდივიდუალური ქონების რეჟიმის დაწესებას, განქორწინებაში თითოეული მეუღლის ბრალეულობის გათვალისწინებას და სხვ. ხელშეკრულების შინაარსის ძირითად ნაწილში შეიძლება განისაზღვროს მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების ცალკეული სახეების სამართლებრივი რეჟიმი. მაგალითად, შეიძლება მეუღლეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ერთ-ერთის სახელზე საკრედიტო დაწესებულებაში შეტანილი ანაბარი, თუნდაც იგი ერთად ცხოვრების პერიოდში იყოს შექმნილი, წარმოადგენს მეანაბრის ინდივიდუალურ საკუთრებას ან სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების გზით მიღებული შემოსავალი იმ მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებად ჩაითვალოს, რომელმაც მიიღო იგი. ასევე შესაძლებელია ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ძვირფასეულობა განქორწინების შემთხვევაში ჩაითვალოს იმ მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებად, რომელიც სარგებლობდა ასეთი ნივთებით და სხვ. ხელშეკრულებაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს დამატებითი პირობები. მაგალითად, ერთ-ერთი მეუღლის კუთვნილი ბინა კაპიტალური რემონტის შემდეგ, რომელიც ჩატარდება ორივე მეუღლის სახსრებით, არ გადაიქცევა თანაზიარ საკუთრებად ან ერთ-ერთი მეუღლე ქორწინების პერიოდში ღებულობს უფლებას თავის ნათესავებს დროებით დაუთმოს მეორე მეუღლის ინდივიდუალური აგარაკი, ხოლო განქორწინებისას კი უნდა უზრუნველყოს აგარაკის დაუყოვნებლივ გათავისუფლება. დასკვნით

[1] **თ. ზარანდია, ლ. ლაზარაშვილი, შ. ჯანხოთელი,** ტიპური ხელშეკრულების ნიმუშები, თბ. 2006, გვ. 270.

დებულებებში ყურადღება უნდა გამახვილდეს ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და მოქმედების წესზე.

საქორწინო ხელშეკრულება მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ უნდა დადასტურდეს სანოტარო ორგანოს მიერ. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი რჩება სანოტარო ორგანოში, ხოლო თითო-თითო კი გადაეცემა ხელშეკრულების მონაწილე მეუღლეებს. მეუღლეებს შორის დადებული საქორწინო ხელშეკრულება ძალაშია მისი სანოტარო წესით დადასტურების მომენტიდან და მოქმედებს ქორწინების მთელი პერიოდის განმავლობაში, თუ მასში სხვა ვადა არ არის მითითებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქორწინო ხელშეკრულება არის კონსენსუალური და ორმხრივი ხასიათისა. მისი კონსენსუალურობა იმაში ვლინდება, რომ ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ დადგენილი ფორმით შეთანხმების მიღწევის მომენტიდან. მართალია, როცა მექორწინეები ქორწინების რეგისტრაციამდე დებენ ხელშეკრულებას, იგი ძალაში შედის ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხელშეკრულება დადებულად ითვლება გადადების პირობით[1] და მაინც ინარჩუნებს კონსენსუალურ ხასიათს. ხელშეკრულების ორმხრივობას კი განაპირობებს მეუღლეებისათვის ერთდროულად როგორც უფლებების, ისე მოვალეობების მიკუთვნების შესაძლებლობა. არ შეიძლება ხელშეკრულებით ერთ მეუღლეს მხოლოდ უფლებები გააჩნდეს, ხოლო მეორეს – მხოლოდ მოვალეობები. ეს მეუღლეთა თანაბარუფლებიანობის პრინციპის დარღვევა იქნებოდა. დაბოლოს, საქორწინო ხელშეკრულების მახასიათებლად მისი ნაწილობრივ ანაზღაურებითი ხასიათი შეიძლება ჩაითვალოს. რადგან საქორწინო

---

[1] ქორწინების რეგისტრაციამდე დადებული საქორწინო ხელშეკრულება იურიდიულ ლიტერატურაში სავსებით კანონზომიერად არის მიჩნეული პირობითი გარიგების ნაირსახეობად (ლ. **ჭანტურია**, შესავალი საქართველოს კოდექსის ზოგად ნაწილში. თბ., 1997. გვ. 403; **Антакольская М. В.** Семейное право, М., 1996, с. 167.), თუმცა ზოგიერთ ავტორს ასეთი პოზიცია არასწორად მიაჩნია (**შ. ჩიკვაშვილი**, საოჯახო სამართალი, თბ., 2004, გვ. 197), რადგან მექორწინეებმა თუ გადაწყვიტეს მომავალში დაქორწინება, იგი აუცილებლად მოხდება და რაიმე გარემოებაზე არ იქნება დამოკიდებული. უკანასკნელი შეხედულება სადავოა, რადგან, ჯერ ერთი, საქორწინო ხელშეკრულება არ მოქმედებს თუ ქორწინების რეგისტრაცია არ მოხდა. მეორეც, დაქორწინების თაობაზე პირთა წინასწარი შეთანხმება ყოველთვის მისი რეგისტრაციით არ მთავრდება. სწორედ ამიტომ წარმოადგენს ქორწინება ისეთ გარემოებას, რომლის შესახებაც უცნობია დადგება იგი თუ არა. აქედან გამომდინარე, დაქორწინებამდე დადებული საქორწინო ქონებრივი კონტრაქტი პირობით გარიგებად უნდა ჩაითვალოს.

ხელშეკრულება ცვლის მეუღლეთა ქონების კანონით დადგენილ რეჟიმს და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იდება, მასში ყოველთვის არის შემხვედრი ქონებრივი შეთავაზებები. მაგალითად, ერთ-ერთი მეუღლის კანონით განსაზღვრული ვალდებულების შეცვლა შეიძლება მოხდეს მისთვის საზღაურის სახით დამატებითი უფლების მიცემის საფუძველზე და, პირიქით. საბოლოოდ, საქორწინო ხელშეკრულებაში შეიძლება ანაზღაურებითობის სპეციფიკური ელემენტების პოვნა[1].

საქორწინო ხელშეკრულება სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების ნაირსახეობაა და მისი ნამდვილობისათვის სხვა პირობებთან ერთად, აუცილებელია მისი მონაწილენი სამართალსუბიექტურნი იყვნენ. რადგან სრული ქმედუნარიანობა იწყება 18 წლის ასაკიდან, ხოლო დაქორწინება შესაძლებელია 16 წლიდან მშობელთა თანხმობით ან სასამართლოს ნებართვით, ასეთ შემთხვევაში, ქორწინების რეგისტრაციამდე საქორწინო ხელშეკრულების დასადებად აუცილებელია არასრულწლოვანი პირის მზრუნველის თანხმობა. ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ კი თანხმობა არაა საჭირო, რადგან მექორწინე სრული ქმედუნარიანი ხდება. როცა მშობლები არასრულწლოვანი შვილის ქორწინების წინააღმდეგი არიან და სასამართლო რთავს დაქორწინების ნებას, ეს არ ნიშნავს იმას, რომ არასრულწლოვან პირს ამით ქორწინების რეგისტრაციამდე ეძლევა საქორწინო ხელშეკრულების დადების უფლებაც. ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში სპეციალურად მიუთითებს ამის თაობაზე. თუმცა ამის საჭიროება პრაქტიკულად გამორიცხულია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ საქორწინო ხელშეკრულება ძალაში უნდა შევიდეს დაქორწინების მომენტიდან. მანამდე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ასეთ ხელშეკრულებას. მეორეც, რეგისტრაციის მომენტიდან არასრულწლოვანი მეუღლე სრულქმედუნარიანი ხდება და მისი ნება ხელშეკრულების დადებაზე არავის დადასტურებას არ საჭიროებს. გარდა ამისა, თუ ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან ძალაში შესული საქორწინო ხელშეკრულება ლახავს არასრულწლოვანი მეუღლის ქონებრივ ინტერესს, შესაძლებელია მისი გაბათილება ძალაში შესვლის მომენტიდანვე. ხოლო თუ იგი ამ ხელშეკრულებით სარგებელს იღებს, მაშინ სამოქალაქო კოდექსის მე-15 მუხლის საფუძველზე საერთოდ არ არის საჭირო კანონიერი წარმომადგენლის

---

[1] **Гражданское право,** Учебник, под редакцией **А. С. Сергеева и Ю. К. Толстого. М.,** 2001. т. 3, с. 368.

თანხმობა და არც ხელშეკრულების გაბათილების საკითხი დადგება. რაც შეეხება სრულწლოვან, შეზღუდულქმედუნარიან პირს, მის მიერ ქორწინების რეგისტრაციამდე საქორწინო ხელშეკრულების დადებისას აუცილებელია კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. დაქორწინება შეიძლება საფუძვლად დაედოს მისი შეზღუდული ქმედუნარიანობის გაუქმებას. სრულწლოვან პირს, რომელიც არ არის აღიარებული შეზღუდულქმედუნარიანად, მაგრამ თავისივე თხოვნის საფუძველზე დაენიშნა მზრუნველი, შეუძლია დაქორწინებამდე დადოს საქორწინო ხელშეკრულება ამ უკანასკნელის ნებართვის გარეშე.

საქორწინო ხელშეკრულებით მეუღლეები თავიანთი შეხედულებისამებრ ანაწილებენ ერთმანეთში ქონებრივ უფლება-მოვალეობებს. მართალია, ამ სფეროში მეუღლეებს სრული თავისუფლება გააჩნიათ, მაგრამ სამოქალაქო კოდექსი მაინც ამახვილებს ყურადღებას საქორწინო ხელშეკრულების შინაარსის ზოგიერთ მხარეზე და ხელშეკრულების მონაწილეებს სთავაზობს უფლება-მოვალეობათა განხორციელების შესაძლო მიმართულებებს. კოდექსი ადგენს აგრეთვე მათი შეზღუდვის საფუძვლებს.

ქორწინების პერიოდში მეუღლეებმა შეიძლება სხვადასხვა დროს შეიძინონ ესა თუ ის ქონება. მათ უფლება აქვთ არაერთგვაროვანი სტატუსი განუსაზღვრონ თითოეულ მათგანს. ამიტომ სავსებით შესაძლებელია მეუღლეთა შორის დაიდოს რამდენიმე ხელშეკრულება როგორც უკვე არსებულ, ისე მომავალში შესაძენ ქონებაზე. ამასთან, მათ უფლება აქვთ მხედველობაში არ მიიღონ კანონის მიერ მეუღლეთა საერთო საკუთრებისათვის დადგენილი რეჟიმი და საკითხი გადაწყვიტონ თავიანთი შეხედულებისამებრ. მაგალითად, შესაძლებელია საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნეს ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების არათანაბრად გაყოფა ან თითოეული მათგანის მიერ საერთო საოჯახო მიზნებისათვის შეძენილი ქონების ჩათვლა შემძენის ინდივიდუალურ საკუთრებად. **საქორწინო ხელშეკრულება თუ კანონისაგან განსხვავებულად არეგულირებს მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობებს, პრიმატი ხელშეკრულებას ეკუთვნის. ასეთ დროს საქორწინო ხელშეკრულება ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების სპეციალურ წყაროდ უნდა ჩაითვალოს.**

მეუღლეთა შორის წარმოშობილ ქონებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების პროცესში თითოეული მათგანის ნების თავისუფლად გამოვლენის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს კანონით

გათვალისწინებული შესაძლებლობა – საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე მეუღლეებმა გააერთიანონ მთელი თავიანთი ქონება. ასეთ ქონებაში ჩაირიცხება არა მარტო ინდივიდუალური საკუთრების ობიექტები, არამედ თანაზიარი საკუთრებაც. შესაძლებელია არა მთელი ქონების, არამედ ინდივიდუალური და თანაზიარი ქონების მხოლოდ ნაწილის გაერთიანება. დარჩენილი ნაწილი კვლავ შეინარჩუნებს კანონით მათთვის დადგენილ სამართლებრივ რეჟიმს. რაც შეეხება გაერთიანებულ ქონებას, იგი მეუღლეთა შეთანხმების საფუძველზე შეიძლება იყოს მათი საერთო საკუთრება როგორც თანაზიარი, ისე წილობრივი ფორმით. თუ საერთოდ უარს იტყვიან მთელი ქონების ან მისი ნაწილის გაერთიანებაზე, მეუღლეებს შესაძლებლობა ეძლევათ ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების მიმართ დააწესონ წილობრივი ან განცალკევებული ქონების სამართლებრივი რეჟიმი. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საქორწინო ხელშეკრულებით განსაზღვრული საერთო წილობრივი საკუთრების მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა თანაზიარი საკუთრებისაგან განსხვავებულად ხდება. ამიტომ მსგავს შემთხვევებში მოქმედებს სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლით დადგენილი წესი.

საქორწინო ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს შემოსავლებში თითოეული მეუღლის მონაწილეობის პირობები. მაგალითად, თუ ერთი მეუღლე სამეწარმეო საქმიანობას ეწევა, მეორე მეუღლის საჯარო სამსახურში ყოფნა, მიუხედავად შრომითი ანაზღაურების ოდენობისა, მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში მიღებული შემოსავლების თანაზიარად ან წილობრივად აღიარების საფუძვლად შეიძლება იქნეს მიჩნეული ან ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ქონების იჯარიდან მიღებული შემოსავალი ორივე მეუღლის საერთო საკუთრებად ჩაითვალოს. საქორწინო ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს თითოეული მეუღლის მიერ საოჯახო ხარჯების გაწევის წესი, რომლის მიხედვითაც, მაგალითად, შესაძლებელი იქნება საერთო შემოსავლებიდან ყოველწლიური დასასვენებელი, სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ან საოჯახო ავეჯის განსაზღვრული ნაწილის გამოსაცვლელი ფულადი სახსრების გამოყოფა და სხვ. ასევე შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მეუღლეთა საერთო ქონების განაწილების წესი განქორწინების შემთხვევისათვის. მაგალითად, შესაძლებელია თანაზიარი საკუთრებით რომელიმე ობიექტი (საცხოვრებელი სახლი,

ავტომანქანა, მიწის ნაკვეთი) განქორწინებისას არათანაბრად გაიყოს ან ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებად ჩაითვალოს.

მეუღლეთა შორის ქონებრივი ურთიერთობების კანონით რეგულირების დროს არ არის გათვალისწინებული მათი უფლება-მოვალეობის შეზღუდვა. საქორწინო ხელშეკრულებით კი, მეუღლეებს შეუძლიათ თავიანთი ნების გამოვლენის საფუძველზე შეზღუდონ ისინი, ოღონდ ერთი პირობით – შეზღუდვის საერთო საფუძვლებს განსაზღვრავს კანონი. მათი კონკრეტული რეალიზაცია მეუღლეებზეა დამოკიდებული. კანონი ადგენს, რომ **საქორწინო ხელშეკრულებით შესაძლებელია მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობებით შეზღუდვა განსაზღვრული დროით ან რომელიმე პირობის დადგომით.** სხვა საფუძვლით მათი შეზღუდვა არ შეიძლება. მეუღლეების უფლება-მოვალეობათა შეზღუდვა მათი ინტერესებიდან გამომდინარე შეიძლება მოხდეს და იმის დამადასტურებელია, თუ რა სრულად ქმნის საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტი, ახალი პირობების შესაბამისად, მეუღლეთა ნება-სურვილის გათვალისწინების შესაძლებლობას.

ვადით შეზღუდვას მაშინ ექნება ადგილი, როცა საქორწინო ხელშეკრულება იდება განსაზღვრული დროით. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, მეუღლეთა მიერ განსაზღვრული ქონებრივი უფლება-მოვალეობები მოქმედებს შესაბამისი ვადით. ამასთან, შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც, როცა ვადიან საქორწინო ხელშეკრულებაში ვადასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვაც იქნეს გათვალისწინებული. მაგალითად, შეიძლება მეუღლეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ მათ შორის დადებული ათწლიანი საქორწინო ხელშეკრულების პირველი ხუთი წლის მანძილზე, თითოეულის მიერ მიღებული შემოსავალი მათი ინდივიდუალური საკუთრება იყოს, ხოლო მეორე ხუთი წლის მანძილზე მიღებული კი – საერთო თანაზიარი. ასეთი სურვილი შეიძლება განპირობებული იყოს ერთ-ერთი მეუღლის მერყევი დამოკიდებულებით მტკიცე ოჯახის შექმნის საკითხისადმი ან იმით, რომ ნათესავებისა და ახლობლების უმრავლესობა სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად გამგზავრებას აპირებს, რის გამოც არ არის გამორიცხული მისი წასვლა და ქორწინების შეწყვეტა.

კანონი ზუსტად არ მიუთითებს იმ პირობაზე, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს მეუღლეთა ქონებრივ უფლება-მოვალეობათა შეზღუდვას. ასეთი პირობის განსაზღვრა მეუღლეთა კომპეტენციაში შედის. მაგალითად, შესაძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ

იქნეს მეუღლეთა მიერ ქორწინების პერიოდში შვილის სასკოლო ასაკის მიღწევამდე მიღებული ყველა საჩუქარი ჩაითვალოს თანაზიარ საკუთრებად და გამოყენებულ იქნეს ბავშვისათვის დამატებითი განათლების მისაღებად ან თუ ლატარეაში ერთ-ერთი მეუღლე მოიგებს განსაზღვრულ თანხას, იგი გამოყენებულ იქნება ინდივიდუალური საკუთრების დაძველებული ავტომანქანის შესაცვლელად და სხვ.

საქორწინო ხელშეკრულება რეგულირების შესაძლებლობით მოიცავს მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობის თითქმის ყველა სფეროს. მეუღლეთა ქონების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა მთლიანად დამოკიდებულია მათ ნება-სურვილზე. ამ სფეროში კანონის მხრიდან არავითარი შეზღუდვა არ არსებობს. რაც შეეხება მეუღლეთა ქონებრივ უფლება-მოვალეობათა სხვა სახეებს, მათ მიმართ კანონი განსაზღვრულ სიფრთხილეს იჩენს, რაც მეუღლეთა და ოჯახის სხვა წევრთა ინტერესების დარღვევის თავიდან აცილების მიზნითაა განპირობებული. ეს სფერო ძირითადად მოიცავს მეუღლეთა ქონებრივ ვალდებულებებს და ზოგიერთ მათთან დაკავშირებულ უფლებას. კერძოდ: საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება მეუღლეთა სურვილის მიხედვით შეიცვალოს კანონით დადგენილი ურთიერთრჩენის ვალდებულება, რადგან მის შეცვლას ყოველთვის შეიძლება მოჰყვეს ერთ-ერთი მეუღლის ან ორივეს მატერიალური მდგომარეობის გაუარესება; არ შეიძლება მშობლები შეთანხმდნენ იმაზე, რომ შვილები მხოლოდ ერთ-ერთმა მეუღლემ არჩინოს და აღზარდოს, ხოლო მეორე საერთოდ გათავისუფლდეს მშობლიური უფლებამოსილებისაგან; არ შეიძლება მეუღლეთა შეხედულებით შეიცვალოს საალიმენტო ვალდებულებანი არა მარტო ერთმანეთის ან შვილების მიმართ, არამედ სხვა პირთა მიმართაც; არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს, მხარეთა შორის დავის შემთხვევაში, მის გადასაწყვეტად სასამართლოსადმი მიმართვის კანონით განსაზღვრული უფლების შეცვლა, რადგან ეს ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა შესახებ კონსტიტუციურ პრინციპებსა და დებულებებს. კანონი სპეციალურად ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება ისეთი პირობების გათვალისწინება, რომელიც მძიმე მატერიალურ და ზნეობრივ მდგომარეობაში აყენებს ერთ-ერთ მეუღლეს. მაგალითად, არ შეიძლება შეთანხმება იმაზე, მატერიალური გაჭირვების დროს შრომისუუნარო მეუღლემ დაიწყოს მათხოვრობა ან ქმრის მიერ სამუშაოს დაკარგვისას ცოლმა პროსტი-

ტუციით არჩინოს ოჯახი და ა.შ. ასეთი პირობების გათვალისწინება ერთი მეუღლის მოთხოვნით არ შეიძლება მაშინაც კი, როცა მეორე მეუღლე ამაზე თანახმაა.

სამოქალაქო კოდექსის 1179-ე მუხლის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება ისეთი პირობების გათვალისწინება, რომელიც მძიმე მდგომარეობაში აყენებს ერთ-ერთ მეუღლეს, სავალდებულოა ხელშეკრულების დამდები ორივე მხარისათვის. როცა ეს მოთხოვნა არ სრულდება, შეიძლება იგი ხელშეკრულების შეწყვეტის (როცა პირობა დგება ხელშეკრულების დადებიდან განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ) ან გაბათილების (თუ ხელშეკრულება მხოლოდ ასეთ პირობებზეა აგებული) საფუძველი გახდეს. ასეთი მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით კანონი ითვალისწინებს საქორწინო ხელშეკრულების შესრულების პროცესში სასამართლოს აქტიურ ჩარევას. კერძოდ, დაინტერესებული მეუღლის თხოვნის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია შეცვალოს ის პირობები, რომელთა შესრულებაც უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს მას. ამისათვის სასამართლოს უნდა გააჩნდეს პატივსადები მიზეზები. ასეთია, მაგალითად, ბავშვის დაბადებამდე ერთ-ერთი მეუღლის მიერ მეორესათვის ავტომანქანის ყიდვა თავისი მშობლების ხარჯზე, ერთ-ერთი მეუღლის მიერ შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში, მისი ინდივიდუალური საკუთრების ყველა მნიშვნელოვანი ღირებულების ნივთის გადასვლა მეუღლეთა თანაზიარ საკუთრებაში და სხვ. სასამართლოს მიერ საქორწინო ხელშეკრულების პირობების შეცვლა საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებში დაინტერესებული მეუღლის ქონებრივი ინტერესების დაცვის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს.

საქორწინო ხელშეკრულება, ისე როგორც ნებისმიერი შეთანხმება მხარეთა შორის, ნებელობითი აქტია. ამიტომ მისი დადებაცა და შეწყვეტაც მეუღლეთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომაა მითითებული სამოქალაქო კოდექსის 1180-ე მუხლში იმის შესახებ, **რომ საქორწინო ხელშეკრულების შეცვლა ან შეწყვეტა ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით.** ხელშეკრულების შეცვლის ან შეწყვეტის შესახებ ურთიერთშეთანხმების საფუძველი შეიძლება გახდეს ერთ-ერთი მეუღლის ან ორივე მათგანის ფიზიკური ან მატერიალური მდგომარეობის შეცვლა (ხანგრძლივი ავადმყოფობა, შრომის უნარის დაკარგვა, უმუშევრობა და

სხვ.). შესაძლებელია ერთ-ერთი მეუღლის მდგომარეობის შეცვლამ გამოიწვიოს ხელშეკრულების შეწყვეტა. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს შესაძლებელი იყოს ცალმხრივი უარის საფუძველზე საქორწინო კონტრაქტის შეწყვეტა. ცალმხრივი უარი ასეთ შემთხვევაში შეიცავს მეორე მეუღლის მძიმე მდგომარეობის უარყოფითი გავლენისაგან საკუთარი ქონებრივი ინტერესების დაცვის ცდას. ასეთ დროს მეუღლეები უნდა შეთანხმდნენ ხელშეკრულების შეწყვეტაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო გახდება არახელსაყრელ პირობებში მყოფი მეუღლის ინტერესების დაცვა.

საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტის გავრცელებულ საფუძველს წარმოადგენს განქორწინება. შესაძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყოს თანაზიარი საკუთრების განაწილების წესი განქორწინების შემთხვევისათვის. ხელშეკრულება შეწყდება აღნიშნული წესის შესრულების შემდეგ. თუ ხელშეკრულებით მეუღლეთა შორის შემდგომი პერიოდის რაიმე ვალდებულების შესრულება იყო გათვალისწინებული (მკურნალობის ხარჯებში მონაწილეობა, ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალური საკუთრების აგარაკის კაპიტალური რემონტის ჩატარებაში მეორე მეუღლის მონაწილეობა და სხვ.), ხელშეკრულება ამ ნაწილში განქორწინების შემდეგაც ძალაში რჩება. იმ შემთხვევაში, როცა საქორწინო ხელშეკრულება განსაზღვრული ვადით იყო დადებული, ამ ვადის გასვლა იწვევს ხელშეკრულების შეწყვეტას, მიუხედავად იმისა, არის თუ არა სახეზე მეუღლეთა ურთიერთშეთანხმება. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მათ შეუძლიათ ახალი საქორწინო ხელშეკრულების დადება. **შესაძლებელია საქორწინო ხელშეკრულების გაბათილებაც.** ამის საფუძველს, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსით საქორწინო ხელშეკრულებისათვის დადგენილი აკრძალვების გაუთვალისწინებლობა. აუცილებლად უნდა გაბათილდეს, მაგალითად, ისეთი საქორწინო ხელშეკრულება, რომელშიც გათვალისწინებულია უარის თქმა ურთიერთრჩენის მოვალეობაზე, საალიმენტო მოვალეობის შესრულებაზე, სასამართლოსადმი მიმართვის უფლებაზე და სხვ. გარდა ამისა, საქორწინო ხელშეკრულება უნდა გაბათილდეს იმ შემთხვევაშიც, თუ იგი დაიდო შემდგომში ბათილად ცნობილი ქორწინების რეგისტრაციამდე.

საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტა, თუ ძირითადად, მეუღლეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხდება, მისი გაბათილება სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

6.5. მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა

ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ მეუღლეები ვალდებულნი არიან იზრუნონ ერთმანეთზე და მატერიალურად დაეხმარონ ერთმანეთს. ეს მარტო ზნეობრივი მოვალეობა კი არა, იურიდიული ვალდებულებაცაა. მატერიალური დახმარების ვალდებულება ეკისრებათ მეუღლეებს, რომელთა შორის ქორწინება კანონით დადგენილი წესითაა რეგისტრირებული. ქალისა და მამაკაცის ფაქტობრივი თანაცხოვრება მატერიალური დახმარების იურიდიულ ვალდებულებას არ წარმოშობს. მეუღლეთა ცალ-ცალკე ცხოვრება ან ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტა განქორწინების ოფიციალურ გაფორმებამდე არ სპობს მეუღლეთა ვალდებულებას ურთიერთდახმარების შესახებ. მეუღლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ამ მოვალეობას ნებაყოფლობით ასრულებს, ყოველგვარი იძულებისა და ხშირი შეხსენებების გარშე. მაგრამ, თუ მეუღლეები უარს ამბობენ მატერიალური დახმარების განევაზე, ანდა ვერ თანხმდებიან სარჩოს სახეობის ან მისი ოდენობის შესახებ, მატერიალური დახმარების საჭიროების მქონე მეუღლეს უფლება აქვს სასამართლო წესით მოითხოვოს სარჩოს (ალიმენტის) მიღება. კანონი ზუსტად განსაზღვრავს იმ პირობებს, რომელთა არსებობაც აუცილებელია სარჩოს მისაღებად. სამოქალაქო კოდექსის 1182-ე მუხლის საფუძველზე, სარჩოს მიღების შესახებ მოთხოვნით **სასამართლოსადმი მიმართვის უფლება აქვს მეუღლეს, რომელიც შრომისუუნაროა და მატერიალურ დახმარებას საჭიროებს, აგრეთვე ცოლს ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში.**

ერთ-ერთი მეუღლის შრომისუუნარობა და მატერიალური დახმარების საჭიროება ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს. თუ მეუღლე, მართალია, შრომისუუნაროა, მაგრამ მატერიალურად არ უჭირს, იგი ვერ ისარგებლებს მეორე მეუღლისაგან სარჩოს მოთხოვნის უფლებით. შრომისუუნაროდ ითვლება პირი, რომელმაც საპენსიო ასაკს მიაღწია ან ინვალიდია, ჯანმრთელობის გამო არ შეუძლია იშრომოს და ირჩინოს თავი. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ როდის დადგა შრომისუუნარობა – დაქორწინებამდე თუ ქორწინების პერიოდში. შრომისუუნარიანობის დროებით დაკარგვა არ წარმოადგენს სასამართლო წესით სარჩოს მიღების საფუძველს. მატერიალური დახმარების საჭიროებაში იგულისხმება მეუღლისათვის იმ სახსრების უქონლობა, რომელიც მისი არსებობისთვისაა საჭირო. მატერიალური დახმარების

საჭიროება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება იურიდიული მნიშვნელობის ფაქტად, თუ იგი შრომის უნარის დაკარგვასთანაა დაკავშირებული. როცა მეუღლეს ჯერ კიდევ არ მიუღწევია საპენსიო ასაკისათვის, ჯანმრთელია, შეუძლია მუშაობა, მაგრამ არ მუშაობს იმიტომ, რომ არ მოსწონს შეთავაზებული სამუშაო, უფლება არა აქვს ოფიციალურად მოსთხოვოს სარჩო მეორე მეუღლეს. იგივე მდგომარეობაა მაშინაც, როცა მას საკრედიტო დაწესებულებაში გააჩნია ფულადი დანაზოგი. ის ფაქტი, რომ შრომისუუნარო მეუღლეს ინდივიდუალურ საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეს აგარაკი ან სხვა საგნები, არ ართმევს უფლებას მოითხოვოს სარჩო, თუკი ასეთი ქონება არ გამოიყენება შემოსავლის მიღების წყაროდ. ასევე არ ნიშნავს სარჩოს მოთხოვნის უფლების დაკარგვას ის, რომ მას დანიშნული აქვს პენსია ან სხვა ნათესავისაგან ღებულობს დახმარებას, თუ ეს სახსრები არაა საკმარისი აუცილებელი კვებისა და მოვლისათვის.

შრომისუუნარობის მიჩნევა მატერიალური დახმარების მოთხოვნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძვლად საბაზრო მეურნეობის პირობებში ვერ ქმნის სოციალური სამართლიანობის შესახებ სრულ წარმოდგენას. შრომისუნარიანი, მაგრამ უმუშევარი მეუღლე, არსებობისათვის აუცილებელი სახსრების მოპოვების პროცესში არავითარი უპირატესობით არ სარგებლობს შრომისუუნაროსთან შედარებით. ამ გარემოებისადმი ყურადღების მიქცევა აუცილებელია არა მარტო საოჯახო, არამედ სამართლის სხვა სფეროებშიც[1].

შრომისუუნარო და მატერიალური დახმარების საჭიროების მქონე მეუღლის სარჩელის განხილვის დროს სასამართლომ უნდა გაარკვიოს მეორე მეუღლის მატერიალური მდგომარეობა და თუ მივა იმ დასკვნამდე, რომ შესაძლებელია მისგან ალიმენტის გადახდევინება, მაშინ დააკმაყოფილებს მოთხოვნას. თუ ალიმენტის დაკისრება გამოიწვევს მეორე მეუღლის მატერიალური მდგომარეობის ისე გაუარესებას, რომ საარსებო მინიმუმიც არ დარჩება, მაშინ, ბუნებრივია, სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ცოლის უფლება ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში მოითხოვოს სარჩო ქმრისაგან, არ არის კატეგორიულად განპირობებული მატერიალური დახმარების საჭიროებით, მაგრამ მაინც იგულისხმება, რომ ორსულ ქალს ჯანმრთელობაზე

---

[1] **რ. შენგელია, ე. შენგელია,** მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2011, გვ. 85.

ზრუნვისა და მოვლისათვის ჩვეულებრივზე მეტი სახსრები სჭირდება, ხოლო ჩვილი ბავშვის მოვლასა და კვებას დამოუკიდებლად დედა ვერ შეძლებს. ამიტომ ქმარი ვალდებულია აღნიშნულ ვითარებაში ცოლის სასარგებლოდ გადაიხადოს ალიმენტი. სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ქმრის მატერიალური მდგომარეობაც. პირველ შემთხვევაში საალიმენტო ვალდებულება გაგრძელდება ორსულობის მთელი პერიოდის განმავლობაში, ხოლო მეორე შემთხვევაში – ბავშვის სამი წლის შესრულებამდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, ცოლმა ქმრისაგან სარჩოს მიღების საკითხი ხელახლა უნდა დააყენოს საერთო წესის საფუძველზე.

მეუღლეთა შორის საალიმენტო-სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს მათი განქორწინების შემდეგაც. სარჩოს სასამართლო წესით მისაღებად, ამ შემთხვევაში, აუცილებელია ტრადიციული პირობები – შრომისუუნარობა და მატერიალური დახმარების საჭიროება. ამასთან ერთად, მათ ემატებათ ახალი პირობა – თუ შრომისუუნარობა დადგა განქორწინებამდე ან განქორწინებიდან ერთი წლის განმავლობაში. ქორწინების პერიოდში თუ რა ხნის მანძილზე იყო მეუღლე შრომისუუნარო, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. თუ განქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ გახდა პირი შრომისუუნარო, იგი ყოფილი მეუღლისაგან ალიმენტის მიღების უფლებას კარგავს. განქორწინების შემდეგ ყოფილი მეუღლის მიმართ სარჩოს გადახდის დაკისრება არატიპური მოვლენაა და სასამართლოს მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მოსარჩელეს უფლება აქვს თავის სრულწლოვანი შვილებისგანაც მოითხოვოს ალიმენტის გადახდა და თუ არ ითხოვს, სასამართლოს შეუძლია ჩართოს ისინი საალიმენტო ვალდებულებათა შესრულებაში ან გაითვალისწინოს ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის დროს. აღნიშნულისა და თვით მოპასუხის მატერიალური მდგომარეობის დეტალური ანალიზის საფუძველზე უნდა გადაწყდეს ყოფილი მეუღლისათვის ალიმენტის გადახდის დაკისრება. ასეთ შემთხვევაში ალიმენტის გადახდის ვალდებულება იარსებებს განუსაზღვრელი დროის განმავლობაში. ყურადსაღებია საალიმენტო-სამართლებრივი ურთიერთობის შენარჩუნების საკითხი იმ შემთხვევისათვის, როცა სარჩოს გადახდის ვალდებულება ქორწინების პერიოდში დაეკისრა ერთ მეუღლეს მეორის სასარგებლოდ. ასეთი ურთიერთობა შენარჩუნებულ იქნება განქორწინების შემდეგაც, თუ ერთი მეუღლის შრომისუუნარობა

ქორწინების პერიოდში დადგა. დაქორწინებამდე შრომის უნარის დაკარგვა მხოლოდ ქორწინების პერიოდში წარმოადგენს საალიმენტო ვალდებულების წარმოშობის საფუძველს და განქორწინებისას ასეთი ვალდებულება შეწყდება.

სასამართლოს უფლება აქვს გაათავისუფლოს ერთი მეუღლე მეორის რჩენის ვალდებულებისაგან ან განსაზღვრული დროით შეზღუდოს ეს მოვალეობა. ამ უფლების გამოყენება შეიძლება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. ესენია: 1. ქორწინებაში ხანმოკლე ვადით (ჩვეულებრივ, ერთ ან ორ წლამდე) ყოფნა; 2. სარჩოს მომთხოვნი მეუღლის მიერ უღირსი საქციელის (ცოლქმრული ადიულტერი, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელება და სხვ.) ჩადენა სარჩოს გადამხდელის მიმართ; 3. სარჩოს მომთხოვნი მეუღლის შრომისუუნარობის გამოწვევა ალკოჰოლური სასმელების ან ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენებით; 4. მოსარჩელის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენა.

საკითხი იმის შესახებ, მთლიანად გათავისუფლდეს მოპასუხე ალიმენტის გადახდის ვალდებულებისაგან ან შეეზღუდოს მას ეს მოვალეობა განსაზღვრული ვადით (ერთი, სამი და ა.შ. წლით), სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ყველა იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომელიც დაკავშირებულია მოსარჩელის ქცევასთან და მხარეთა მატერიალურ მდგომარეობასთან. გადამწყვეტი მნიშვნელობისა კი მაინც სარჩოს მომთხოვნი მეუღლის უღირსი საქციელი, ბრალეული და სუბიექტური მოქმედებაა.

მეუღლის ან ყოფილი მეუღლის სასარგებლოდ გადასახდელი ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს ყოველთვიური მყარი თანხის სახით. მისი ოდენობა დამოკიდებული უნდა იყოს მხარეთა მატერიალურ და ოჯახურ მდგომარეობაზე. ამიტომ სავსებით შესაძლებელია მსგავსი საკითხების არაერთგვაროვანი გადაწყვეტა. ყოველი კონკრეტული საქმე ალიმენტის დანიშვნის შესახებ კონკრეტულ მიდგომას საჭიროებს. შესაძლებელია ისიც, რომ მოპასუხის მძიმე მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გამო მოსარჩელეს უარი ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე. ეს ისეთი შემთხვევებია, როცა მოპასუხის კმაყოფაზე იმყოფება რამდენიმე პირი ან იგი ალიმენტს უკვე უხდის სხვა წევრებს, ხშირად ავადმყოფობს და საჭიროებს ხანგრძლივ მკურნალობას და სხვ. ამიტომ სასამართლომ დეტალურად უნდა გამოიკვლიოს საქმესთან დაკავშირებული ყველა გარემოება.

კერძოდ, რა ოდენობისაა მოპასუხე მეუღლის ხელფასი, პენსია ან სხვა შემოსავალი; გააჩნია თუ არა მას რაიმე ვალდებულება სხვა პირების მიმართ; როგორია მისი ყოფითი პირობები; როგორია მოსარჩელე მეუღლის შრომისუუნარობის ხარისხი, შეუძლია თუ არა დამოუკიდებლად მოუაროს თავის თავს; ჰყავს თუ არა სრულწლოვანი შვილები, რომლებიც ვალდებულნი არიან მატერიალური დახმარება გაუწიონ მას; შემოსავლის რა რეალური წყაროები გააჩნია და სხვ.

მეუღლეთა მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა დიდი ხნის მანძილზე არ შეიძლება მყარი იყოს. ერთ-ერთი მეუღლის ან ორივეს მატერიალური ან ოჯახური მდგომარეობის შეცვლის შემთხვევაში თითოეულ მეუღლეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს ადრე დადგენილი ალიმენტის ოდენობის შეცვლის შესახებ. მაგალითად, კმაყოფაზე მყოფი პირის გარდაცვალება ალიმენტის გადამხდელისათვის შეიძლება მისი ოდენობის გაზრდის საფუძველი გახდეს, ხოლო ალიმენტის მიმღებისათვის – შემცირების. ალიმენტის გადამხდელის შრომისუნარიანობის დაკარგვამ კი შეიძლება ალიმენტის ოდენობის შემცირება გამოიწვიოს. ალიმენტის ოდენობის შეცვლის ან ალიმენტის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლების საკითხი შეიძლება პერიოდულად იქნეს დაყენებული სასამართლოში.

მეუღლისაგან სარჩოს მიღების უფლების არსებობა არ არის განსაზღვრული დროის გარკვეული მონაკვეთით. ასეთი უფლება მეუღლეს გააჩნია მანამდე, ვიდრე მისი საჭიროება იარსებებს. კანონი ზოგადად განსაზღვრავს იმ პირობას, რომლის დადგომაც წყვეტს სარჩოს მოთხოვნის უფლებას. ესაა იმ საფუძვლების მოსპობა, რომლებმაც განაპირობეს სასამართლოს მიერ ალიმენტის დანიშვნა. აქედან გამომდინარე, მეუღლეებს შორის საალიმენტო-სამართლებრივი ურთიერთობა შეწყდება თუ: შრომის უნარი აღუდგა იმ მეუღლეს, რომელიც სარჩოს იღებდა (ე.ი. შეუძლია იმუშაოს და თავი ირჩინოს დამოუკიდებლად); აღარ არსებობს მატერიალური დახმარების საჭიროება იმ მეუღლის მიმართ, რომელიც სარჩოს იღებდა (დაენიშნა პენსია, დაენიშნა ხელფასი, მოიგო ან მემკვიდრეობით მიიღო ქონება, რაც საკმარისია მის სარჩენად); ადრე შეწყდა სარჩოს მიმღები ცოლის ორსულობა (აბორტის ან სხვა მიზეზის გამო); დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში გარდაიცვალა ბავშვი, რომლის დედაც სარჩოს იღებდა ქმრისაგან; სარჩოს მიმღები ყოფილი მეუღლე ხელახლა დაქორწინდა. გარდა აღნიშნულისა, საალიმენტო ვალდებულება შეიძლება შეწყდეს

ალიმენტის გადამხდელი პირის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესებისას, რის გამოც მას არა აქვს საშუალება გადაიხადოს ალიმენტი. საალიმენტო ვალდებულების შეწყვეტას გამოიწვევს მისი მონაწილე ერთ-ერთი მხარის გარდაცვალებაც.

მეუღლისაგან სარჩოს მიღების უფლების მოსპობის საფუძვლების არსებობისას, მეორე მეუღლის სარჩელის საფუძველზე სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას საალიმენტო ვალდებულებათა შეწყვეტის შესახებ. იმ შემთხვევაში კი, როცა სარჩოს გადახდა ხდებოდა მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით, ამ საფუძვლების წარმოშობა ავტომატურად წყვეტს საალიმენტო ვალდებულებას.

თავი VII

მშობლებისა და შვილების სამართლებრივი ურთიერთობანი

7.1. მშობლებსა და შვილებს შორის სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობის საფუძვლები

მოქმედი საოჯახო კანონმდებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თავისებურებას წარმოადგენს მშობლებისა და შვილების უფლება-მოვალეობათა ურთიერთგანპირობებულობა. არა მარტო მშობლებს ეკისრებათ განსაზღვრული მოვალეობები და გააჩნიათ უფლებები შვილების მიმართ, არამედ შვილებიც სარგებლობენ მშობლების მიმართ შესაბამისი უფლებებით და ეკისრებათ განსაზღვრული მოვალეობები. **მშობლებსა და შვილებს შორის სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობის ძირითადი საფუძველია ბავშვის დაბადება რეგისტრირებული ქორწინების დროს და სისხლით ნათესაობა.** დედასა და შვილს შორის უფლება-მოვალეობების წარმოშობისათვის საკმარისია მათ შორის სისხლით ნათესაობის ფაქტი – დედისაგან ბავშვის დაბადება. არა აქვს მნიშვნელობა იმას, იმყოფებოდა თუ არა დედა რეგისტრირებულ ქორწინებაში იმ პირთან, ვისგანაც ბავშვი შეეძინა. რაც შეეხება მამასა და შვილს შორის მსგავსი ურთიერთობის წარმოშობას, იგი სისხლით ნათესაობასთან ერთად, ძირითადად, დაკავშირებულია ქორწინების რეგისტრაციასთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პირი ნებაყოფლობით აღიარებს არარეგისტრირებული ქორწინების დროს გაჩენილი ბავშვის მამობას ან მისი მამობა დადგენილია სასამართლო წესით. ამგვარად, მშობლებისა და შვილების ურთიერთუფლება-მოვალეობებს საფუძვლად უდევს შვილების წარმოშობა, რაც დადასტურებულ უნდა იქნეს კანონით დადგენილი წესით. კანონის მიხედვით კი ბავშვის დაბადება იურიდიულ ფაქტად იქცევა მხოლოდ მას შემდეგ, როცა მოხდება მისი რეგისტრაცია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში. ამ ორგანოს მიერ გაცემული დაბადების მოწმობა წარმოადგენს იმის დამადასტურებელ საბუთს, რომ ბავშვის მშობლები არიან ამ მოწმობაში მითითებული პირები.

ბავშვის დაბადების რეგისტრაციის საფუძველია ჯანმრთელობის

დაცვის დაწესებულების მიერ გაცემული საბუთი ბავშვის დაბადების თაობაზე და შესაბამისი წერილობითი განცხადება. ბავშვის დაბადების განცხადების ვალდებულება, ჩვეულებრივ, მშობლებს ეკისრებათ. ამასთან, მსგავსი ვალდებულება გააჩნია: პირს, რომლისთვისაც მშობლებს წერილობით მინდობილი აქვთ ბავშვის დაბადების განცხადება; სახელმწიფო ან კერძო სამშობიაროს, სხვა სამედიცინო დაწესებულებას, თუ ბავშვი ამ სამედიცინო დაწესებულებაში დაიბადა ან იმყოფება; მშობიარობის დამსწრე პირს, თუ ბავშვი ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულების გარეთ დაიბადა და მშობლებს არ შეუძლიათ ბავშვის დაბადების განცხადება; თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას, თუ ბავშვი იქ დაიბადა; ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოს, თუ ზემოაღნიშნულმა პირებმა არ განაცხადეს ბავშვის დაბადების თაობაზე და ეს ცნობილი გახდა ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოსათვის, კერძოდ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის.

განცხადებას თან უნდა დაერთოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ კანონით განსაზღვრული საბუთები. რეგისტრაცია წარმოებს ბავშვის დაბადების ან ერთ-ერთი მშობლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ბავშვის დაბადების ადგილად კი მიიჩნევა ის ადმინისტრაციული ტერიტორია, სადაც დაიბადა იგი. თუ ბავშვი მგზავრობისას დაიბადა, მისი დაბადების რეგისტრაცია წარმოებს ერთ-ერთი მშობლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. დაბადების მოწმობაში აუცილებლად უნდა მიეთითოს დაბადების ადგილის შესახებ. მშობლების სურვილისამებრ დაბადების ადგილად შეიძლება მითითებულ იქნეს დაბადების რეგისტრაციის ადგილი.

დაბადების რეგისტრაციის დროს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო ბავშვს ანიჭებს პირად ნომერს, რაც ასახავს მონაცემებს რეგისტრაციის ადგილის, მარეგისტრირებელი ორგანოსა და დაბადების აქტის შესახებ.

ტყუპების ან რამდენიმე ბავშვის დაბადების შემთხვევაში ყოველი ბავშვის დაბადების რეგისტრაცია ცალ-ცალკე ხდება. დაბადების აქტის ჩანაწერში მითითებულ უნდა იქნეს ბავშვების დაბადების თანმიმდევრობა. ნაპოვნი ახალშობილი ბავშვის დაბადების რეგისტრაცია ხდება პოლიციისა და სამედიცინო დაწესებულების მიერ მოპოვებული ცნობების საფუძველზე თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოს მიერ დადგენილი სავარაუდო დროისა და ადგილის მიხედვით. ეს ორგანო

აძლევს ასეთ ბავშვს სახელსა და გვარს. ნაპოვნი ბავშვის სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრისათვის აუცილებელია შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ კანონის საფუძველზე მოხდეს სასამართლოს მიერ მისი აღიარება მიტოვებულად. მკვდრადშობილი ბავშვის რეგისტრაცია ხდება მხოლოდ დაბადების აქტის ჩანაწერში მისთვის პირადი ნომრის მითითებით. გარდაცვალების რეგისტრაცია ასეთ შემთხვევაში არ ხდება. აქტში აღინიშნება იმის შესახებ, რომ ბავშვი გარდაცვლილი დაიბადა ან გარდაიცვალა მშობიარობისას. თუ ბავშვი დაბადებიდან რეგისტრაციამდე გარდაიცვალა, ხდება მისი როგორც დაბადების, ისე გარდაცვალების რეგისტრაცია. საერთო წესით ხდება ემბრიონის იმპლანტაციის შედეგად გაჩენილი ბავშვის დაბადების რეგისტრაცია, იმ განსხვავებით, რომ ამ დროს სხვა საბუთებთან ერთად აუცილებელია ბავშვის გამჩენ ქალსა და გენეტიკურ მშობლებს შორის დადებული ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებული დედნის წარდგენა.

ბავშვის დაბადების რეგისტრაციის საფუძველზე გაცემული დაბადების მოწმობა სრულ წარმოდგენას იძლევა მისი წარმოშობის იურიდიული საფუძვლების ანალიზისათვის. იგი მშობლებსა და შვილებს შორის იურიდიული კავშირის დამადასტურებელი ძირითადი საბუთია.

როგორც ცნობილია, საოჯახო კანონმდებლობა აღიარებს და იცავს ისეთ ქორწინებას, რომელიც რეგისტრირებულია კანონით დადგენილი წესით. ქორწინების რეგისტრაცია დაწესებულია არა მარტო მეუღლეების, არამედ მათი შვილების ინტერესების დაცვის მიზნით, სწორედ შვილების ინტერესების დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარეობს ბავშვის დედასთან რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მამობის პრეზუმფცია. მართლაც, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, გაჩენილი ბავშვის მამა დედის ქმარია. ამიტომ უსაფუძვლოა დედას მოეთხოვოს იმის მტკიცება, რომ გაჩენილი ბავშვის მამა მასთან ქორწინებაში რეგისტრირებული პიროვნებაა, ან პირიქით – მამამ ამტკიცოს, რომ სწორედ იგია რეგისტრირებული ქორწინებით გაჩენილი ბავშვის მამა. ეს არ შეესაბამება საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ წარმოდგენებს და შეიძლება მძიმე მდგომარეობაში ჩააყენოს ბავშვის მშობლები.[1]

---

[1] **რ. შენგელია**. ოჯახის წევრთა სამართლებრივი ურთიერთობანი. თბ., 1999, გვ. 10.

რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლეები ერთობლივი განცხადების საფუძველზე ჩაიწერებიან მათი შვილის მშობლებად. დედის შესახებ ჩანაწერი სრულდება ბავშვის დაბადების თაობაზე ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულების მიერ გაცემული საბუთის, ხოლო მამის შესახებ – ქორწინების მოწმობის მიხედვით.

თუ ბავშვი დაიბადა იმ პირის სიკვდილის შემდეგ, რომელიც რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ბავშვის დედასთან, მაშინ სარეგისტრაციო ორგანოში და ბავშვის დაბადების მოწმობაში ბავშვის მამად გარდაცვლილი ჩაიწერება იმ პირობით, თუ მისი გარდაცვალებიდან ბავშვის დაბადებამდე გასულია არა უმეტეს 10 თვისა. ბავშვის დაბადებამდე მეტი ხნის გასვლის შემთხვევაში, საკმაო საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ გაჩენილი ბავშვის მამად სხვა პირი ჩაითვალოს.

მნიშვნელოვან სიძნელეებთან არის დაკავშირებული რეგისტრირებული ქორწინებისას ხელოვნური განაყოფიერებისა და ემბრიონის იმპლანტაციის გზით გაჩენილი ბავშვის რეგისტრაცია და დაბადების მოწმობაში მშობლების ჩაწერის საკითხი. ხელოვნური განაყოფიერების დროს რთულად დგას დონორი მამაკაცის პრობლემა. ასეთ შემთხვევაში ქალის კვერცხუჯრედის განაყოფიერება ხდება მამაკაცის სპერმის მეშვეობით. ამიტომ დღის წესრიგში დგას დონორის ჯანმრთელობის საკითხი. მართალია, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და რაიმე დაავადების გავრცელებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის შესახებ სპეციალურად ხდება დონორის გაფრთხილება, მაგრამ ეს არაა სრული გარანტია ნაყოფისა და დედის ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, პრაქტიკაში, ერთი და იმავე დონორის სპერმის მრავალჯერ გამოყენება ხელოვნური განაყოფიერებისათვის ბევრ უხერხულობასთანაა დაკავშირებული. ასეთი გზით გაჩენილი, მამით ერთი და-ძმები, რომლებმაც ერთმანეთის წარმოშობის შესახებ არაფერი იციან, დაქორწინების შემთხვევაში სისხლის აღრევასთან დაკავშირებული ანომალიური შედეგებისათვის არიან განწირულნი, რომ არაფერი ითქვას ზნეობრივ მხარეზე. დაბოლოს, შესაძლებელია დონორმა სადავოდ გახადოს ყოველგვარი შეთანხმება და მოითხოვოს გაჩენილი ბავშვის მამად მისი აღიარება. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დავები დონორს უმეტესად მარტოხელა ქალთან შეიძლება ჰქონდეს, არც ქორწინებაში მყოფ ქალთან არის იგი გამორიცხული. ქმრის სპერმით ცოლის კვერცხუჯრედის განაყოფიერება არავითარ პრობლემასთან არ არის დაკავშირებული, რადგან ასეთ შემთხვევაში ბავშვი

გენეტიკური მშობლებისაგან წარმოიშობა. ემბრიონის იმპლანტაციის დროს ხდება დონორი ქალის ორგანიზმში სხვა ქალის უკვე განაყოფიერებული კვერცხუჯრედის გადანერგვა. ეს უმეტესად ისეთ შემთხვევებში ხდება, როცა ქორწინებაში მყოფი ქალი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ორსულობას თავს არიდებს, დონორი ქალი კი დროებითი დედის ფუნქციას ასრულებს. ბავშვის გაჩენის შემდეგ აქაც არის შესაძლებელი დავა წარმოიშვას ბავშვის გენეტიკურ მშობლებსა და სუროგატ დედას შორის.

ქალის ხელოვნური განაყოფიერება და ემბრიონის იმპლანტაცია მეუღლეთა (ან მარტოხელა ქალის) წერილობითი თანხმობით ხორციელდება კომპეტენტურ სამედიცინო დაწესებულებაში. ჩატარებული ოპერაციებისა და დონორების შესახებ ცნობები საექიმო საიდუმლოებას წარმოადგენს.

ხელოვნური განაყოფიერების დროს ქალი დონორ მამაკაცს არ იცნობს და აქედან გამომდინარე, მათ შორის რაიმე შეთანხმება გამორიცხულია. თუ საიდუმლო დაირღვა და დონორის ვინაობა გაცხადდა, ბავშვის მშობლებს უფლება არა აქვთ წაუყენონ მას მოთხოვნა მამობის აღიარების შესახებ, ისე როგორც დონორს არა აქვს მამობაზე პრეტენზიის უფლება. რაც შეეხება ხელოვნურად განაყოფიერებული ქალის ქმარს, რადგან თანხმობა განაცხადა ამ პროცედურაზე, მას უფლება არა აქვს სადავო გახადოს თავისი მამობა, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ არის ამ გზით გაჩენილი ბავშვის ბიოლოგიური მამა.

ემბრიონის იმპლანტაციის დროს დონორი ქალის ვინაობა ცნობილია და მეუღლეები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მასთან აფორმებენ ხელშეკრულებას ემბრიონის იმპლანტირების, ნაყოფის მუცლით ტარებისა და მშობიარობის შემდეგ ბავშვის მათთვის გადაცემის შესახებ. ასეთი ხელშეკრულება შეიძლება სასყიდლიანი იყოს. გასამრჯელო შეიძლება განხილულ იქნეს როგორც კომპენსაცია ორსულობით გამოწვეული გარკვეული დისკომფორტისა და ჯანმრთელობის გაუარესების რისკისათვის.[1] ხელშეკრულების შესრულების ლოგიკური შედეგი იქნება ბავშვის მშობლებად შეთანხმების მონაწილე ცოლ-ქმრის ჩაწერა. ისინი ხომ ამ გზით გაჩენილი ბავშვის ბიოლოგიური მშობლები არიან.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მნიშვნელოვანი

---

[1] **Малейна Н. М.,** Человек и медицина в современном праве. М., 1995, с. 98.

დარღვევების შემთხვევაში შესაძლებელია გაჩენილი ბავშვის მშობლად ჩაწერის პრეტენზია სუროგატ დედას გაუჩნდეს. ამიტომაც ითხოვს კანონი ბავშვის გამჩენ ქალსა და გენეტიკურ მშობლებს შორის დადებული ხელშეკრულების წარდგენას ბავშვის დაბადების რეგისტრაციის დროს.

ამგვარად, ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად ბავშვის გაჩენასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები, თუ ამ პროცესების მონაწილე მხარეები ვერ ახერხებენ მათ მოგვარებას, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს. სასამართლოს გადაწყვეტილება საფუძვლად დაედება ბავშვის დაბადების რეგისტრაციისა და დაბადების მოწმობაში ბავშვის მშობლებად სასამართლოს მიერ მითითებული პირების ჩაწერას.

ბავშვის დაბადების რეგისტრაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს ბავშვი რეგისტრირებული ქორწინებიდან გაჩნდა თუ არარეგისტრირებულ ურთიერთობაში მყოფი მშობლებისაგან. რეგისტრაცია აუცილებლად უნდა მოხდეს როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში. განსხვავება მხოლოდ რეგისტრაციის წესებშია.

დაუქორწინებელი მშობლებისაგან გაჩენილი ბავშვის წარმოშობის დადგენას, მიუხედავად იმისა, რომ მას არ გააჩნია გავრცელებული ხასიათი, დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი საფუძვლად ედება ასეთი ბავშვის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრას. მიზეზი, რომლის გამო ერთმანეთთან ახლო ურთიერთობაში მყოფ პირებს ქორწინების რეგისტრაცია არ სურთ, შეიძლება სხვადასხვა იყოს. მიუხედავად ამისა, ისინი უმრავლეს შემთხვევაში ნებაყოფლობით კისრულობენ იმ მოვალეობებს, რასაც კანონი აწესებს ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით. სწორედ ასეთ შემთხვევას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც ბავშვის გაჩენა ისეთი მშობლებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებიან, დასტურდება სარეგისტრაციო ორგანოში დაბადების ფაქტის რეგისტრაციის შესახებ ბავშვის დედისა და მამის ერთობლივი განცხადების შეტანის საფუძველზე. გაჩენილი ბავშვის დედად პირის აღიარება ეყრდნობა მისგან ამ ბავშვის გაჩენის ფაქტს. დედის მიერ ბავშვის გაჩენის ფაქტი კი შეიძლება დადასტურდეს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის ან გამონაკლის შემთხვევებში – სხვა პირთა განცხადების საფუძველზე. აღნიშნული ფაქტის დადასტურება და მისთვის ოფიციალური ხასიათის

მიცემა ხდება ბავშვის დაბადების რეგისტრაციის დროს. მამად პირის ცნობა კი ხდება მისივე განცხადების საფუძველზე.

მამობის ნებაყოფლობითი აღიარება ცალმხრივი იურიდიული აქტია, რომელიც მამასა და შვილს შორის განსაკუთრებულ სამართლებრივ ურთიერთობას წარმოშობს. ქორწინების გარეშე გაჩენილი ყველა ბავშვის მამობის აღიარება დასაშვებია. არა აქვს მნიშვნელობა, როდის გაჩნდნენ ისინი, არასრულწლოვნები არიან თუ სრულწლოვანები, ბავშვი ხანგრძლივი თანაცხოვრების პერიოდშია დაბადებული თუ შემთხვევითი კავშირის შედეგად. ყველა შემთხვევაში მშობლებს ერთობლივი განცხადება შეაქვთ სამოქალაქო აქტების სარეგისტრაციო ორგანოში. ეს ქმნის იმის ფორმალურ საფუძველს, რომ მამობის დადგენის დროს დედის ნება-სურვილიც გადამწყვეტი იყოს. სინამდვილეში, ბავშვთან სამართლებრივი კავშირის დასადგენად, მთავარია მხოლოდ მამის სურვილი. დედა მხოლოდ თანხმობას აცხადებს იმაზე, რომ კონკრეტული პირი აღიარებულ იქნეს ბავშვის მამად. თვითონ დედა უკვე იმყოფება ბავშვთან სამართლებრივ ურთიერთობაში. მამობის აღიარების დროს პრეტენზიის მქონე პირის სურვილის გადამწყვეტ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ სარეგისტრაციო ორგანოში პირი მამად შეიძლება გატარდეს დედის გარდაცვალების ან მისი საცხოვრებელი ადგილის დადგენის შეუძლებლობისა და ზოგიერთ სხვა შემთხვევაშიც.

მამობის აღიარება პირს შეუძლია ბავშვის დედასთან დაქორწინების შემთხვევაშიც, მაგრამ სარეგისტრაციო ორგანოში მისი სურვილი აუცილებლად უნდა იქნეს გაცხადებული. მისი განცხადება საფუძვლად დაედება თავისი ცოლის შვილის მამად მის აღიარებას. თუ პირი თავისი ცოლის შვილის მამად მისი თანხმობის გარეშე იქნა გატარებული, მას შეუძლია ჩანაწერის გაუქმება მოითხოვოს.

მამობის აღიარების ფაქტს უკუქცევითი ძალა გააჩნია. სამართლებრივი ურთიერთობა მამისა და მისი ნათესავების მიმართ წარმოშობილად ითვლება ბავშვის დაბადების მომენტიდან.

სრულწლოვანი პირის მიმართ მამობის აღიარებისათვის საჭიროა მისი თანხმობა. თუ იგი ქმედუუნაროა, მის ნაცვლად თანხმობას იძლევა მეურვე ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

მამობის ნებაყოფლობით აღიარება შეუძლია არა მარტო სრულწლოვან, არამედ არასრულწლოვან პირსაც. ეს იმ შემთხვევაში, როცა მამა შეიძლება გახდეს არასრულწლოვანი ვაჟი. ასეთ შემთხვევაში

მას აქვს თავისი შვილის მამად რეგისტრაციაში გატარების უფლება. ეს უნდა მოხდეს მისი მზრუნველის თანხმობით. ამასთან დაკავშირებით ლიტერატურაში სავსებით კანონზომიერად დადგა მამად რეგისტრირებული არასრულწლოვანი პირის სრულ ქმედუნარიანად აღიარების საკითხი.[1] მართლაც, რატომ არ უნდა იქნეს ასეთი პირი სრულ ქმედუნარიანად აღიარებული, თუ საოჯახო კანონმდებლობით არასრულწლოვანი პირის დაქორწინება იწვევს მისთვის სრული ქმედუნარიანობის მინიჭებას. დაქორწინების ფაქტზე არანაკლები მნიშვნელობისაა არასრულწლოვანი პირის მამად ცნობა. მისთვის სრული ქმედუნარიანობის მინიჭება, მართალია, ეს ასოცირდება ზოგიერთ შეზღუდვასთან, მაგალითად, ასეთ პირს შეიძლება შეუწყდეს თავისი მშობლებისაგან სარჩოს მოთხოვნის უფლება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი სრულქმედუნარიანად აღიარება მაინც მიზანშეწონილია, ამასთან, იმ პირობით, რომ სრულწლოვანების მიღწევამდე არასრულწლოვან მამას შეუნარჩუნდეს თავისი მშობლებისაგან სარჩოს მიღების უფლება. ასეთი პოზიციის საკანონმდებლო წესით განმტკიცება ხელს შეუწყობს არასრულწლოვან პირთა საოჯახო უფლებების დაცვას.

მამობის აღიარების უფლებას არ არის მოკლებული ისეთი პირი, რომელსაც სასამართლოს მიერ შეზღუდული აქვს ქმედუნარიანობა, რადგან ასეთი შეზღუდვა საოჯახო არაქონებრივი ხასიათის ურთიერთობებზე არ ვრცელდება. ასეთ პირს, შესაძლებელია, ბავშვის დედამ ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ არ მიაღებინოს უშუალო მონაწილეობა ბავშვის აღზრდაში.

იმ შემთხვევაში, **როცა ბავშვის მშობლები დაქორწინებულნი არ არიან და პირი აცხადებს, რომ იგი არ არის გაჩენილი ბავშვის მამა, შეიძლება მამობა სასამართლო წესით დადგინდეს.** მამობის დადგენის შესახებ სასამართლოში განცხადების შეტანა შეუძლიათ: ბავშვის დედას; მეურვეს ან მზრუნველს; პირს, რომლის კმაყოფაზეც იმყოფება ბავშვი; თვითონ ბავშვს სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ. ასეთი საქმე სასამართლოში განიხილება სასარჩელო წარმოების წესით. ნებისმიერი განცხადება მამობის დადგენის შესახებ სასამართლომ განსახილველად უნდა მიიღოს, დეტალურად განიხილოს მამობის დადგენისათვის კანონით განსაზღვრული აუცილებელი საფუძვლები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. საქმის განხილვისას სასამართლო

---

[1] **Антокольская М.В.**, Семейное право. М., 1999, с. 221.

საკითხს წყვეტს ბიოლოგიური ან ანთროპოლოგიური გამოკვლევების შედეგების შესაბამისად. თუ ამ გზით მამობის დადგენა შეუძლებელია, მაშინ იგი მხედველობაში იღებს შემდეგ გარემოებებს: 1. ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრება და საერთო მეურნეობის წარმოება ბავშვის დაბადებამდე; 2. ბავშვის ერთად აღზრდა ან რჩენა; 3. დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც სავსებით ადასტურებენ მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას.

ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრება და საოჯახო მეურნეობის წარმოება ბავშვის დაბადებამდე სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი ურთიერთობა ბავშვის დაბადებამდე უნდა გაგრძელდეს. ხშირად ქალის დაორსულება საფუძვლად ედება მასთან მამაკაცის ურთიერთობის შეწყვეტას. ამიტომ ასეთი ურთიერთობის შეწყვეტა ბავშვის დაბადებამდე არ შეიძლება მამობის დადგენის შესახებ სარჩელის დაუკმაყოფილებლობის საფუძველი გახდეს. ამასთან, მხედველობაში არ მიიღება ქალისა და მამაკაცის ერთად ცხოვრება, თუ იგი ბავშვის ჩასახვამდე შეწყდა. ამ დროს მთავარია დადგინდეს, რომ მშობლები ერთად ცხოვრობდნენ ბავშვის ჩასახვის მომენტიდან და ასე გრძელდებოდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებაში იგულისხმება: ერთ საცხოვრებელ ბინაში ცხოვრება, ერთად კვება, ურთიერთზრუნვა, ნივთების შეძენა საერთო სარგებლობისათვის და სხვ.

ბავშვის ერთად აღზრდასა და რჩენაში არ იგულისხმება ამ ორი მომენტის თანდამთხვევა, საკმარისია ერთ-ერთი მათგანის არსებობა. შეიძლება მამა ბავშვის სარჩენად ხარჯებს არ იღებდეს, მაგრამ ზრუნავდეს მის აღზრდაზე და, პირიქით, შეიძლება მამა უშუალოდ არ ზრდიდეს ბავშვს, მაგრამ გარკვეულ ხარჯებს იღებდეს მის სარჩენად.

დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც სავსებით ადასტურებენ მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას, შეიძლება იყოს: წერილები, ანკეტები, მოპასუხის განცხადებები და სხვა ფაქტობრივი მონაცემები. შეიძლება ირიბი მტკიცებულების მნიშვნელობა ჰქონდეს მოწმეთა და თვითმხილველთა ჩვენებებს. მათი ანალიზის საფუძველზე უნდა დადგინდეს, რომ მოპასუხე თავისად აღიარებდა არა მარტო გაჩენილ ბავშვს, არამედ ჩასახულ ბავშვს, რომლის დაბადებასაც მოუთმენლად ელოდა.

ზემოაღნიშნულ გარემოებათაგან ერთ-ერთის არსებობა მამობის სასამართლო წესით დადგენის საფუძველია. სხვა გარემოებანი, მათ

შორის სხვადასხვა სახის ექსპერტიზა, მამობის დადგენის სრულყოფილ ან უდავო საფუძვლად არ მიიღება. ადრე ფართოდ გამოიყენებოდა სისხლის ექსპერტიზა. მისი მტკიცებულებითი მნიშვნელობა ეფუძნება სისხლის ჯგუფისა და ტიპის მშობლებიდან შვილებზე გადასვლის მექანიზმს. იგი სისხლის ჯგუფობრივი ან ტიპობრივი და არა ინდივიდუალური კუთვნილების დადგენის საშუალებას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, სისხლის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა იძლევა მამობის გამორიცხვისა და არა დადგენის საშუალებას.[1] განსაზღვრული მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე გინეკოლოგიურ ექსპერტიზას, რომლის ძირითადი დანიშნულებაა ბავშვის ჩასახვის ვადების დადგენა. ასეთი ექსპერტიზის საფუძველზე შეიძლება მოპასუხემ საეჭვოდ ჩათვალოს მოსარჩელესთან ერთად ცხოვრების პერიოდში ბავშვის ჩასახვის ფაქტი. უროლოგიური ექსპერტიზა მოპასუხის განაყოფიერების უნარის დადგენას ისახავს მიზნად. გრაფიკული ექსპერტიზით კი იმ საბუთის მოპასუხის მიერ შექმნა შეიძლება დადასტურდეს, რომლითაც მისი მამობაა აღიარებული. აღნიშნული ექსპერტიზების მონაცემების გამოყენებამ შეიძლება ხელი შეუწყოს სასამართლოს ობიექტური გადაწყვეტილების მიღებაში. მათ სხვა მტკიცებულებათა მიმართ რაიმე უპირატესობა არ გააჩნია.

უკანასკნელ პერიოდში დიდი მნიშვნელობა შეიძინა გენეტიკური ექსპერტიზის მონაცემების პრაქტიკაში გამოყენებამ სამედიცინო და ბიოლოგიური მეცნიერებების განვითარების კვალობაზე, მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული გენურ ინჟინერიაში. დადგენილია, რომ ყველა ადამიანის გენებში არსებული ცილა-დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა (დნმ) განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს კი საფუძვლად დაედო პიროვნების იდენტიფიკაციისა და ნათესაობის დადგენის ახალ მეთოდებს – გენური დაქტილოსკოპიის დამკვიდრებას. იგი ემყარება ადამიანის მემკვიდრეობით ნიშან-თვისებათა ერთობლიობის ბაზაზე შექმნილი უნიკალური კომბინაციის შთამომავლობისათვის გადაცემის მექანიზმს. მის საფუძველზე ჩატარებული გენეტიკური ექსპერტიზა თითქმის ასპროცენტიანი სიზუსტით ადგენს ბავშვების ამა თუ იმ პირებისაგან წარმოშობის ფაქტს. გამოკვლევის ობიექტად გამოიყენება სისხლი, ნერწყვი, თმა, სხეულის ძვლის ნაწილები და სხვ. გენეტიკური

---

[1] **ლ. ნადიბაიძე**, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი მდგომარეობა. ჟ. „სამართალი", 1996, №1-2, გვ. 59. **შ. ჩიკვაშვილი**, საოჯახო სამართალი, თბ., 2004, გვ. 279.

ექსპერტიზის მასალების გამოყენება ფართოდ შეიძლება არა მარტო მაშინ, როცა მამობის სასამართლო წესით დადგენა ხდება, არამედ, როცა პირს გარკვეული პრეტენზია გააჩნია ბავშვის მშობლობაზე, ამა თუ იმ პირთან სისხლით ნათესაობაზე და ა.შ.

მამობის სასამართლო წესით დადგენისათვის კანონით განსაზღვრული საფუძვლების არსებობა სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მოპასუხეს არ შეუძლია სასამართლოში წარადგინოს მისი მამობის გამაბათილებელი საბუთები (ბავშვის ჩასახვის მომენტში ხანგრძლივ მივლინებაში ყოფნა, განაყოფიერების უნარის უქონლობა, იმპოტენტობა და სხვ.). მხოლოდ მას შემდეგ, როცა დამტკიცდება მამობის დადგენისათვის აუცილებელი რომელიმე საფუძვლის არსებობა, სასამართლო მოპასუხეს აღიარებს ბავშვის მამად. ასეთი პირი რეგისტრაციაში გატარდება როგორც ბავშვის მამა და მას დაეკისრება ბავშვის რჩენა-აღზრდასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები.[1]

სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლში გადმოცემული მამობის იძულებით დადგენის გარემოებების დეტალური ანალიზი იძლევა იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ მსგავს შემთხვევებში სასამართლოს უმთავრეს მიზანს არ წარმოადგენს ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა იმის თაობაზე, რომ ბავშვი ნამდვილად მოპასუხისაგან წარმოიშვა. მან უნდა განსაზღვროს ბავშვსა და მის დედასთან ურთიერთობის ის ხარისხი, რაც საფუძვლად დაედება მოპასუხისათვის მშობლიურ უფლება-მოვალეობის დაკისრებას. სწორედ ამიტომაა, რომ სასამართლო ზოგჯერ უარს ამბობს სარჩელის დაკმაყოფილებაზე ისეთ შემთხვევებში, როცა ქალსა და მამაკაცს შორის არსებობდა შემთხვევითი, ხანმოკლე კავშირი და მამაკაციც არ უარყოფს იმას, რომ შესაძლებელია ბავშვი ასეთი კავშირისაგან იყოს გაჩენილი.[2] ბავშვის გაჩენისადმი არასერიოზული და ქარაფშუტული დამოკიდებულება, შემთხვევითი სქესობრივი კავშირები და მოსალოდნელი შედეგების გაუთვალისწინებლობა არ შეიძლება მოპასუხისათვის სერიოზული ზნეობრივი და მატერიალური ვალდებულებების დაკისრების საფუძველი გახდეს. არც ექსპერტიზის დასკვნას შეიძლება მიეცეს, ასეთ

---

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე. თბ., 2006. №9, გვ. 22.

[2] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე. თბ., 2003, №12, გვ. 3420.

შემთხვევებში, გადამწყვეტი მნიშვნელობა.[1] მით უმეტეს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლს დაემატა ახალი ნორმა იმის შესახებ, რომ სასამართლოს შეუძლია უარი თქვას ბავშვის მამობის დადგენაზე თუ ეს ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს (მიუხედავად იმისა, რომ გენეტიკურმა ექსპერტიზამ დაადასტურა მამობა).

სასამართლო წესით მამობის დადგენისას ბავშვს მშობლების მიმართ, აგრეთვე მათი ნათესავების მიმართ წარმოეშობა ისეთი უფლებები და მოვალეობები, როგორიც გააჩნიათ რეგისტრირებულ ქორწინებაში გაჩენილ ბავშვებს.

რადგან შვილების უფლება-მოვალეობათა წარმოშობის საფუძველია შვილების წარმომავლობა და არა ამ წარმომავლობის ფაქტის დამოწმება, ამიტომ შვილებს მშობლებისა და მათი ნათესავების მიმართ უფლება-მოვალეობები წარმოეშობათ დაბადებიდან და არა იმ მომენტიდან, როცა მამობა სასამართლო წესით იქნა დადგენილი.

მშობლებსა და შვილებს შორის სამართლებრივი ურთიერთობის ანალიზისას მნიშვნელოვანია არა მარტო შვილების წარმოშობის დადგენა, არამედ ბავშვის დაბადების რეგისტრაციის (ჩაწერის) წიგნში მშობლების ჩაწერის წესის განსაზღვრა. ამას სამოქალაქო კანონმდებლობა დეტალურად აწესრიგებს.

განსხვავებულად ხდება რეგისტრირებულ ქორწინებაში და არარეგისტრირებული ურთიერთობის დროს გაჩენილი ბავშვების მშობლების დადგენა-რეგისტრაცია. თუ ბავშვს აჩენს ქორწინებაში მყოფი ქალი, ეს ნიშნავს იმას, რომ მისი ქმარი ამ ბავშვის მამაა. ეს პრეზუმფცია ძალაშია მანამდე, ვიდრე თვით ქმარი სასამართლოს გზით არ დაამტკიცებს, რომ ბავშვი სხვა პირთანაა ჩასახული. თუ ბავშვის დედა თვითონ უარყოფს მასთან რეგისტრირებული მეუღლის მამობას, ეს უკანასკნელი თავისუფლდება ამის დამტკიცების ვალდებულებისაგან.

დაბადების ჩაწერის წიგნში ბავშვის დედად ან მამად ჩაწერილ პირს უფლება აქვს სადავოდ გახადოს ჩანაწერი ერთი წლის განმავლობაში იმ დროიდან, როდესაც მან გაიგო ან უნდა გაეგო ჩანაწერის შესახებ. ჩანაწერი შეიძლება სადავოდ გახადოს მხოლოდ სრულწლოვანმა პირმა. თუ დედად ან მამად ჩაწერილი პირი ჩაწერის მომენტში არასრულწლოვანი იყო, მას სრულწლოვანების მიღწევიდან ერთი წლის განმავ-

---

[1] **რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია,** მამობის დადგენის სამართლებრივი საფუძვლები. გურამ თავართქილაძის სასნავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, თბ., 2012, გვ. 45.

ლობაში ყოველთვის შეუძლია ჩანაწერის გასაჩივრება.

კანონით ზუსტადაა განსაზღვრული იმ პირთა წრე, რომელთაც უფლება აქვთ სადავოდ გახადონ ჩანაწერი მშობლების შესახებ. ეს უფლება იმდენად მჭიდროდაა დაკავშირებული მშობლის პიროვნებასთან, რომ დედად ან მამად ჩაწერილი პირის გარდა, სხვას არავის აქვს ასეთი უფლება და არც წარმომადგენლის მიერ შეიძლება მისი განხორციელება. ამიტომ არასრულწლოვანი დედის ან მამის მშობლებსაც კი არა აქვთ უფლება გაასაჩივრონ ჩანაწერი.

ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლების მიერ ბავშვის გაჩენისას მარტივად ხდება დედის ჩაწერა მშობლად. ამისათვის საკმარისია დედის განცხადება. ბავშვის მამის შესახებ ჩანაწერის გასაკეთებლად აუცილებელია ორივე მშობლის ერთობლივი განცხადება. ასეთი წესი გამორიცხავს რომელიმე მშობლის მხრივ ჩანაწერის სადავოდ გახდომის შესაძლებლობას. თუ ერთ-ერთ მშობელს საპატიო მიზეზის გამო არ შეუძლია პირადად გამოცხადდეს სარეგისტრაციო ორგანოში, მაშინ მისი ხელმონერა ერთობლივ განცხადებაზე დამოწმებულ უნდა იქნეს კანონით დადგენილი წესით. შესაძლებელია ისეთი შემთხვევა, როცა დედის ორსულობის პერიოდში პირი თავის თავს აღიარებს ჯერ კიდევ არშობილი ბავშვის მამად და ბავშვის დაბადების მომენტისათვის ხანგრძლივი მივლინების ან სხვა ობიექტური მიზეზების გამო, მას არა აქვს შესაძლებლობა ბავშვის დედასთან ერთად შეიტანოს სარეგისტრაციო ორგანოში განცხადება ბავშვის მამად მისი ჩაწერის შესახებ. მსგავს შემთხვევებში გაჩენილი ბავშვის მამად იმ პირის ჩაწერა, რომელმაც ადრიდანვე აღიარა თავი ასეთად, შესაძლებელია შესაბამისი საბუთების საფუძველზე. ბავშვის მამად პირის ჩასაწერად არ არის საჭირო მშობლების ერთობლივი განცხადება იმ შემთხვევაშიც, როცა მამობა დადგენილია სასამართლოს მიერ. ამ დროს სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს ბავშვის მამად გადაწყვეტილებაში მითითებული პირის ჩაწერის საფუძველს.

დედის მსგავსად, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შეიძლება მამასაც ჰქონდეს განსაკუთრებული უფლება ბავშვის მამად მისი ჩაწერის შესახებ. ეს ისეთი შემთხვევებია, როცა ობიექტური საფუძვლების არსებობა შეუძლებელს ხდის მშობლების ერთობლივი განცხადების შეტანას სარეგისტრაციო ორგანოში. ასეთ საფუძვლებს მიეკუთვნება: ბავშვის დედის გარდაცვალება; დედისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევა და მისი საცხოვრებელი ადგილის დადგენის

შეუძლებლობა. ასეთ შემთხვევებში მამის შესახებ ჩაწერის გასაკეთებლად საკმარისია მხოლოდ მამის განცხადება. სხვა არც ერთი პირის ან ორგანოს ნებართვა საჭირო არ არის.

დაუქორწინებელი პირების მიერ გაჩენილი ბავშვის მშობლებად მათი ჩაწერის ყველაზე ლოგიკურ საფუძვლად მიჩნეულია მშობლების ერთობლივი განცხადება და სასამართლოს მიერ პირის მამად ცნობა. მაგრამ შესაძლებელია ისეთი შემთხვევებიც, როცა ბავშვის დედას სხვადასხვა მოტივით არ სურს გაამხილოს ბავშვის მამის ვინაობა, ამასთან, არც სარჩელი შეაქვს სასამართლოში მამობის დადგენის შესახებ და არც სხვა პირებს აძლევს ამის შესაძლებლობას. თუმცა ეს არ გამორიცხავს თვითონ ბავშვის მამის უფლებას, მიმართოს სასამართლოს მამობის დადგენის თაობაზე. გარდა ამისა, შესაძლებელია ისიც, რომ მამობის დადგენის მიზნით სასამართლოსადმი მიმართული სარჩელი არ დაკმაყოფილდეს. ასეთ შემთხვევებში, დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის გვარად დედის გვარი დაფიქსირდება, ხოლო მამის მონაცემები არ მიეთითება.

იმ შემთხვევაში, როცა ბავშვი გაჩენილია რეგისტრირებულ ქორწინებაში და დაბადების აღრიცხვის წიგნში ჩაწერილი არიან მისი მშობლები, შვილსა და ორივე მშობელს შორის გარკვეული უფლება-მოვალეობა წარმოიშობა. მსგავსი სიტუაციაა მაშინ, როცა მამობა ნებაყოფლობით ან სასამართლოს მიერაა დადგენილი. მაგრამ, როცა ბავშვი ჩნდება არარეგისტრირებული ქორწინებით და მამობა არ არის დადგენილი, მაშინ ასეთი უფლება-მოვალეობები წარმოიშობა ბავშვსა და მხოლოდ დედას შორის.

7.2. მშობლებისა და შვილების ძირითადი უფლება-მოვალეობანი

ბავშვის დედობასა და მამობაზე დამყარებული მრავალმხრივი სამართლებრივი ურთიერთობები წარმოიშობა მშობლებსა და შვილებს შორის. მშობლების უფლება-მოვალეობანი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ხშირად ურთიერთგანპირობებულია. ასევე ურთიერთგანპირობებულია მშობლებისა და შვილების უფლება-მოვალეობები. საოჯახო კანონმდებლობა, მშობლებისა და შვილების

სამართლებრივი ურთიერთობის განსაზღვრის დროს ხელმძღვანელობს იმ საერთაშორისო სამართლებრივი დებულებებისა და პრინციპების დაცვისა და განმტკიცების აუცილებლობით, რომლებიც დადგენილია ბავშვთა და მშობელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით. უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვების (არასრულწლოვნების) სამართლებრივი სტატუსის საკითხს. საზოგადოებაში ჩამოყალიბდა ბავშვის როლის ახლებური ხედვა. შეიქმნა ბავშვებისათვის საკუთარი აზრის გამოხატვის უფლების მიკუთვნების აუცილებლობა ისეთი საკითხების გადაწყვეტისას, რომლებიც მათ ინტერესებს ეხება. მწვავედ დადგა ბავშვთა დაცვის პრობლემა ნებისმიერი და მათ შორის საოჯახო ძალადობისაგან.[1] ბევრ ქვეყანაში შეიქმნა ბავშვთა უფლებების დაცვის ომბუდსმენის ინსტიტუტი. ბავშვთა უფლებების დაცვის პრიორიტეტულ განხორციელებას საფუძვლად დაედო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1989 წლის კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ და 1993 წლის ჰააგის კონვენცია ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ. ამ კონვენციების რეკომენდაციები, რომლებსაც სახელმწიფოების უმრავლესობა და მათ შორის საქართველოც აღიარებს, მშობლებისა და შვილების ურთიერთობის ახალი და აშკარად პროგრესული ხედვის წარმოჩენას ემსახურება. გაეროს კონვენციაში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული იმაზე, რომ: **ბავშვს გააჩნია სიცოცხლის ხელშეუხებელი უფლება;** ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნება და ჯანსაღი განვითარება სახელმწიფოსა და საზოგადოების უპირველეს საზრუნავს წარმოადგენს; ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია იგი იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში; ბავშვი სრულყოფილად უნდა იყოს მომზადებული საზოგადოებაში დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და აღიზარდოს მშვიდობის, შემწყნარებლობის, თავისუფლებისა და თანასწორობის სულისკვეთებით.

საქართველოს საოჯახო კანონმდებლობა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით არეგულირებს არასრულწლოვანი შვილების უმნიშვნელოვანეს პირად უფლებებს. ამ პროცესში ნათლად იკვეთება მშობლების როლი მათ განხორციელებაში. ამ მხრივ **განსაკუთრებით**

---

[1] დანვრილებით იხ. **კ. ბოჭორიშვილი, ა. ლორია**, პრაქტიკული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე. თბ., 2009.

აღსანიშნავია შვილების სახელის უფლება, მშობლებთან ერთად ცხოვრებისა და მათთან ურთიერთობის უფლება, განათლების მიღების, მოქალაქეობისა და სხვა უფლებები.

შვილს დაბადებიდანვე აქვს უფლება ჰქონდეს სახელი და შეიძინოს მოქალაქეობა, აგრეთვე იცნობდეს მშობლებს და იღებდეს მათ მზრუნველობას. შვილისათვის სახელის მიკუთვნება მშობლების პრეროგატივას წარმოადგენს. რადგან ორივე მშობელს ერთნაირი უფლება აქვს, საჭიროა მათი შეთანხმება. მამის სახელი ბავშვს მიეკუთვნება გენეტიკური მამის სახელის მიხედვით (ადრე არარეგისტრირებულ ქორწინებაში გაჩენილ ბავშვს მამის სახელი დედის მითითებით ეძლეოდა. ამჟამად იგი არ მიეთითება). მშობლების სურვილით შესაძლებელია სახელის გამოცვლა. ათი წლის მიღწევის შემდეგ გასათვალისწინებელია შვილის თანხმობაც. სრულწლოვანებიდან სახელის გამოცვლა შეიძლება შვილის მიერ საერთო წესის მიხედვით. შვილის გვარი მშობლების გვარის მიხედვით განისაზღვრება, თუ ისინი საერთო გვარს ატარებენ. მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული საერთო გვარის არჩევა. იმ შემთხვევაში, როცა მშობლები ქორწინებამდელ გვარებს ატარებენ, შვილისათვის გვარის მიკუთვნება მშობლების შეთანხმებით ხდება. ამ შემთხვევაში უპირატესობა არც ერთ მშობელს არ ეძლევა. მიტოვებულად აღიარებული ბავშვისათვის სახელისა და გვარის მიკუთვნება ძირითადად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს კომპეტენციას წარმოადგენს. გამონაკლის შემთხვევაში ასეთი უფლება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსაც გააჩნია. შვილისათვის სახელისა და გვარის მიკუთვნებისას, მშობლებს შორის წამოჭრილი დავა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ უნდა გადაწყვიტოს. დავის გადაწყვეტისას ძირითადი საზრუნავი უნდა იყოს შვილის ინტერესების მაქსიმალური დაცვა. მშობლებიდან რომელიმეს გვარის მიკუთვნება შვილისადმი თავისთავად არ მოქმედებს შვილის ან მშობლის უფლება-მოვალეობების მოცულობაზე. თუმცა, ზოგჯერ სასურველია ბავშვისათვის იმ მშობლის გვარის მიკუთვნება, რომელიც პირადი დამსახურებისა და ღვაწლის გამო საყოველთაოდაა ცნობილი. არასასურველია ბავშვისათვის ისეთი გვარის მიკუთვნება, რომელიც სასიამოვნოდ არ ჟღერს და შეიძლება ბავშვის დაცინვის ობიექტად გახდეს. თუ მშობლები სხვადასხვა გვარს ატარებენ, შესაძლებელია მათი შეთანხმებით შვილს მიეკუთვნოს შეერთებული გვარი. ეს, შესაძლებელია, მშობლებს შორის ამ საკითხზე დავის გადაწყვეტის საფუძვლად

გამოდგეს. თუ მშობელთაგან ერთს უკვე ჰქონდა შეერთებული გვარი, არ შეიძლება მისთვის მეორე მშობლის გვარის დამატება და, საბოლოო ჯამში, სამი ან მეტი გვარის გაერთიანება.

შვილისათვის მიკუთვნებული გვარის გამოცვლა შესაძლებელია კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას. მშობლებს შორის ქორწინების შეწყვეტა ავტომატურად არ იწვევს შვილის გვარის გამოცვლას. მშობელს, რომელთანაც საცხოვრებლად დარჩა არასრულწლოვანი შვილი, ქორწინების შეწყვეტის ან ბათილად ცნობის შემდეგ, უფლება აქვს სასამართლოში დააყენოს საკითხი შვილისათვის ადრე მიკუთვნებული გვარის გამოცვლისა და მისთვის თავისი გვარის მიკუთვნების შესახებ. თავისად იგულისხმება ის გვარი, რომელსაც იგი ამ დროს ატარებს. არ შეიძლება ამ უფლების ვიწროდ გაგება და მშობლისათვის მისი შემოფარგვლა მხოლოდ ქორწინებამდელი გვარით. ამიტომ მშობლის თხოვნის დაკმაყოფილება სასამართლოს მიერ შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა განქორწინების შემდეგ მან შეიცვალა გვარი საერთო წესით ან ხელახალ ქორწინებასთან დაკავშირებით. ბუნებრივია, მსგავს შემთხვევაში შვილისათვის მშობლის ქორწინებამდელი გვარის მიკუთვნებას აზრი არ ექნება.

გვარის გამოცვლისათვის საჭირო არ არის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობა. არ არის მეორე მშობლის თანხმობა საჭირო იმ შემთხვევაში, როცა შვილი ატარებს ამ უკანასკნელის გვარს. მას მხოლოდ ეცნობება სასამართლოში დაყენებული შუამდგომლობის შესახებ და მისი აზრი შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს საქმის სხვა გარემოებებთან ერთად. ათ წლამდე ბავშვის სურვილსაც არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ათი წლის მიღწევის შემდეგ გვარის გამოსაცვლელად საჭიროა მისი თანხმობა. სრულწლოვან შვილს უფლება აქვს დამოუკიდებლად დააყენოს გვარის გამოცვლის საკითხი საერთო წესის მიხედვით.

გვარის გამოცვლა, პრაქტიკაში, ზოგჯერ უკავშირდება მამის სახელის გამოცვლის საკითხს. ეს მაშინ ხდება, როცა შვილთან ერთად ცალკე მცხოვრები დედა ყოფილ მეუღლეზე გაბრაზებული, ითხოვს შვილისათვის მამის გვარისა და სახელის ერთდროულად გამოცვლას. კანონით მამის სახელის გამოცვლა შეუძლებელია თუ თვითონ მამამ არ გამოიცვალა სახელი.

საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონის საფუძველზე შვილების მოქალაქეობა განისაზღვრება

მათი მშობლების მოქალაქეობით. ბავშვი, რომლის ორივე მშობელი საქართველოს მოქალაქეა, ითვლება საქართველოს მოქალაქედ, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში დაიბადა. მშობლების სხვადასხვა მოქალაქეობისას, თუ ბავშვის დაბადების მომენტისათვის ერთ-ერთი მათგანი საქართველოს მოქალაქეა, ბავშვი ითვლება საქართველოს მოქალაქედ, თუ: ა) დაიბადა საქართველოს ტერიტორიაზე; ბ) დაიბადა საქართველოს ფარგლებს გარეთ, მაგრამ მის ერთ-ერთ მშობელს მუდმივი საცხოვრებელი აქვს საქართველოს ტერიტორიაზე; გ) ერთ-ერთი მშობელი დაბადების მომენტისათვის (დაბადების ადგილის მიუხედავად) საქართველოს მოქალაქეა, ხოლო მეორე – მოქალაქეობის არმქონე პირი.

მშობელთა სხვადასხვა მოქალაქეობისას, თუ ბავშვის დაბადების მომენტისათვის ერთ-ერთი მათგანი საქართველოს მოქალაქეა და ორივე ცხოვრობს საქართველოს ფარგლებს გარეთ, საზღვარგარეთ დაბადებული ბავშვის მოქალაქეობის საკითხი წყდება მშობელთა შეთანხმებით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში – ბავშვის დაბადების ქვეყნის კანონმდებლობით.

საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არამქონე პირთა ბავშვები საქართველოს მოქალაქეები არიან, თუ ისინი საქართველოში დაიბადნენ.

ორივე მშობლის მოქალაქეობის შეცვლა ავტომატურად იწვევს 14 წლამდე ასაკის შვილების მოქალაქეობის შეცვლას. 14-დან 18 წლამდე საჭიროა შვილების თანხმობა, ხოლო სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ – დამოუკიდებლად, საერთო საწყისებზე. ერთ-ერთი მშობლის მიერ მოქალაქეობის შეცვლისას, ბავშვი ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას. ერთ-ერთი მშობლის საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა ან მის მიერ მოქალაქეობის დაკარგვა, არ იწვევს შვილის მოქალაქეობის შეწყვეტას.

საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი ბავშვი, რომლის მშობლები უცნობია, ითვლება საქართველოს მოქალაქედ.

ბავშვების ეროვნული კუთვნილება დამოკიდებულია მშობლების ეროვნებაზე. თუ მშობლები ერთი და იმავე ეროვნების არიან, მათი შვილების ეროვნებაც იგივე იქნება. თუ ისინი სხვადასხვა ეროვნების არიან, მაშინ მშობლების შეთანხმებასთან ერთად ეროვნების არჩევა შვილების სურვილზეა დამოკიდებული.

ოჯახის ძირითადი ამოცანაა ბავშვის აღზრდა. ბავშვი ეკუთვნის

არა მარტო მშობლებს, არამედ მთელ საზოგადოებას, სახელმწიფოს. ამიტომ ბავშვის აღზრდა განიხილება, როგორც დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმე და მიიჩნევა არა მარტო ზნეობრივ, არამედ სამართლებრივ მოვალეობადაც. შვილების აღზრდაში მშობლებს თანაბარი უფლებები გააჩნიათ და თანაბარი მოვალეობები ეკისრებათ. არც ერთ მშობელს არ ენიჭება რაიმე უპირატესობა. ამ ფონზე სავსებით ლოგიკურია სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ბავშვს უფლება აქვს ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. ეს უფლება ბავშვთა დაცვის შესახებ გაეროს კონვენციის შინაარსის გამოხატულებას წარმოადგენს და საფუძვლად ედება მშობლების უფლება-მოვალეობათა მთელ სისტემას.

შვილების აღზრდას უდიდესი ზნეობრივი და იურიდიული პასუხისმგებლობა ახლავს თან. მშობლებსა და შვილებს შორის დამოკიდებულება ურთიერთსიყვარულსა და პატივსცემას უნდა ემყარებოდეს. მშობლიური გრძნობა ყველაზე წმინდა და უმწიკვლოა, ხოლო შვილის სიყვარული სიყვარულის უმაღლესი ფორმაა. მშობლიური სიყვარული და ალერსი მძლავრი საშუალებაა ბავშვის ქცევაზე გავლენის მოსახდენად. მშობლები ბავშვებს ზრდიან არა მარტო მაშინ, როცა ჭკუას არიგებენ, არამედ მთელი თავისი არსებობით. შვილები მშობლების არა მარტო ბიოლოგიურ-გვაროვნული, ფიზიკურ-სხეულებრივი გაგრძელებაა, არამედ სულიერ მონაცემთა თავისებური სინთეზიცაა. ამიტომ მშობლების პირადი ქცევა და ოჯახური ატმოსფერო ბავშვის ხასიათის გამოკვეთის ძირითადი საფუძველია.

მშობლებს ეკისრებათ აღზარდონ შვილები ფიზიკურად, გონებრივად და ზნეობრივად, იზრუნონ მათი სულიერი და სოციალური განვითარებისათვის. ეს, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს, ბავშვის აღზრდას პატრიოტიზმის პრინციპებზე, სიმართლისადმი, პატიოსნებისადმი, კანონისადმი პატივისცემით, შრომისმოყვარეობისა და სხვისთვის თანაგრძნობის გამოხატვის თვისებათა ჩამოყალიბების საფუძველზე. ამ შემთხვევაში კანონი ადგენს ქცევის წესების ისეთ ზოგად მორალურ და იდეურ პრინციპებს, რომელთა შინაარსშიც მთელი სისრულით ვლინდება პედაგოგიკის პრინციპები ახალგაზრდობის აღზრდასთან დაკავშირებით. სწორედ ამ პრინციპების რეალიზაცია უდევს საფუძვლად შვილების აღზრდას საზოგადოების ღირსეულ

წევრებად[1]. შვილების აღზრდის პროცესში მათი ინტერესები უპირატესად უნდა იქნეს გათვალისწინებული.

შვილების აღზრდის პროცესში სრულად უნდა განხორციელდეს მათი განათლების მიღების უფლება, რომლის მიზანია ბავშვის პიროვნების, ნიჭის, გონებრივი და ფიზიკური უნარის განვითარება. ამ უფლების რეალიზება მშობლებთან ერთად სახელმწიფოსაც ეკისრება. საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების საფუძველზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს უფასო და სავალდებულო დაწყებითი და საშუალო განათლება, პროფესიული საშუალო განათლების სხვადასხვა ფორმის, უმაღლესი განათლების, სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების ხელმისაწვდომობა. განათლების მიღება წარმოადგენს იმ ძირითად საფუძველს, რომლის გარეშე შეუძლებელია საზოგადოებაში კუთვნილი ადგილის დაკავება. განათლება წარმოადგენს სოციალური პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას. ამიტომ მშობლები ყველანაირად უნდა ცდილობდნენ თავიანთ შვილებს შეუქმნან ღირსეული და კვალიფიციური განათლების მიღების შესაძლებლობა.

მშობლებს ევალებათ თავიანთი არასრულწლოვანი შვილების წარმომადგენლობა და ინტერესების დაცვა. მშობლები არიან თავიანთი შვილების ბუნებრივი მეურვეები და მზრუნველები სპეციალური დანიშვნის გარეშე. მშობლებს უფლება აქვთ და მოვალენიც არიან დაიცვან თავიანთი არასრულწლოვანი შვილების ინტერესები ყველა დაწესებულებასა და მათ შორის სასამართლოშიც. მცირეწლოვანი ან არასრულწლოვანი ბავშვი ქმედუუნარო ან შეზღუდულუნარიანია. ამიტომ იგი მოკლებულია უნარს შეიძინოს გარკვეული უფლებები და იკისროს მოვალეობები. შვიდ წელს მიუღწეველი შვილის სახელით მშობელი, როგორც კანონისმიერი მეურვე, გამოდის სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში. შვიდიდან თვრამეტ წლამდე ასაკის შვილის მიერ ამა თუ იმ სახის გარიგების დასადებად საჭიროა მშობლის, როგორც მზრუნველის თანხმობა. თუ ამ ასაკის შვილმა მშობლის თანხმობის გარეშე დადო გარიგება, მშობელს უფლება აქვს მოითხოვოს მისი გაბათილება, თუ, რა თქმა უნდა, იგი ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ არ შეიძლება წარმომადგენლობა ისეთი უფლებების

[1] **რ. შენგელია**, მშობლების უფლება-მოვალეობანი შვილების აღზრდაში, თბ., 1974, გვ.12.

განხორციელებისას, რომელიც უშუალოდ მათ მატარებელ პიროვნებას ახასიათებს. ამიტომ, ბუნებრივია, მშობლები ასეთ სამართლებრივ ურთიერთობებში ვერ გამოვლენ თავიანთი შვილების წარმომადგენლებად (წინასწარი თანხმობა დაქორწინებაზე, ქორწინება 16-დან და 18 წლამდე პერიოდში და სხვ.).

კანონის მიხედვით, მშობლებს გააჩნიათ თავიანთი შვილების რჩენის ვალდებულება. იგი გრძელდება შვილების სრულწლოვანებამდე. ამასთან ერთად, ისინი ვალდებულნი არიან დაიცვან შვილების ქონებრივი ინტერესები, რაც, უპირველეს ყოვლისა, შვილების ქონების მართვასა და გამოყენებაში აქტიურ მონაწილეობას გულისხმობს.

მშობლებს უფლება აქვთ განკარგონ თავიანთი მცირეწლოვანი შვილების ქონება და ნება დართონ არასრულწლოვან შვილებს ქონების განკარგვაზე. საერთო წესის მიხედვით ქალაქად ოჯახში, მშობლებსა და შვილებს შორის ქონება გაყოფადია. მაგრამ, თუ შვილები თავიანთი სახსრებით ან შრომით მონაწილეობას ღებულობენ ქონების შექმნასა და შეძენაში, მაშინ ისინი მშობლების ქონების თანამესაკუთრენი იქნებიან. მათ შეიძლება ქონება გააჩნდეთ საერთო წილობრივი საკუთრების უფლებით. სასოფლო კომლში (ფერმერული მეურნეობა) ქონება თანაზიარი საკუთრებით ეკუთვნის მის ყველა და მათ შორის მცირეწლოვან წევრსაც. რაც შეეხება მშობლებისა და შვილების ქონებას, მისი სამართლებრივი რეჟიმი აქაც იგივეა. შვილს, როგორც კომლის წევრს, თანაზიარი საკუთრების უფლებით ეკუთვნის მთელი კომლის ქონების განსაზღვრული ნაწილი კომლის სხვა, მათ შორის სრულწლოვანი წევრების მსგავსად, ხოლო წილობრივი საკუთრების უფლებით – კომლში შემავალი მშობლების ქონების ის ნაწილი, რომლის შექმნა-შეძენაში მონაწილეობა მიიღო მან. მის ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენს აგრეთვე პირადი მოხმარების ნივთები. შვილებმა შეიძლება მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიიღონ განსაზღვრული ქონება, რომლის დამოუკიდებლად განკარგვის უფლებაც მათ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ ექნებათ. მანამდე მშობლები განკარგავენ მცირეწლოვანი შვილების ქონებას, არასრულწლოვანი შვილები კი თვითონ განკარგავენ, ოღონდ მშობლების თანხმობით.

მშობლების ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა შვილების პირადად აღზრდის უფლება. მხოლოდ მშობლიურმა სიყვარულმა უნდა შექმნას ბავშვებზე ზრუნვისა და მათი აღზრდისათვის საჭირო პირობები. ბავშვის პირადად აღზრდის უფლება მშობლებს შესაძლებლობას

აძლევს გაატარონ ბავშვის ხასიათის ფორმირებისათვის აუცილებელი ლონისძიებანი. მშობლებს უფლება აქვთ თვითონ აღზარდონ შვილები თავიანთ ოჯახში ან სხვას გადასცენ ისინი აღსაზრდელად. აქ ძირითადად იგულისხმება ბავშვების გადაცემა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებებისათვის, რადგან ცალკეული პირებისათვის ბავშვის აღსაზრდელად გადაცემა საქართველოში დიდი ხანია იშვიათი შემთხვევაა. მას უმეტესად დამხმარე და ეპიზოდური ხასიათი აქვს. რადგან შვილების აღზრდა მშობლების უფლებაცაა და მოვალეობაც, ამიტომ მშობლებს შვილების ძირითადი აღზრდის მოვალეობა გააჩნია მაშინაც, როცა მათ დროებით სხვას გადასცემენ აღსაზრდელად. შესაძლებელია ისეთი შემთხვევებიც, როცა ისინი სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო თავიანთი შვილის დროებით აღზრდას სთხოვენ ნათესავებს ან ახლო მეგობრებს, საბავშვო დაწესებულებებს ან მეურვეებს (ხანგრძლივ მივლინებაში გამგზავრება, მძიმე ავადმყოფობა და სხვ.). თუ აღნიშნული პირები ნებაყოფლობით არ უბრუნებენ მათ შვილებს, მშობლებს ყოველთვის შეუძლიათ სასამართლო წესით მოსთხოვონ თავისი არასრულწლოვანი შვილის დაბრუნება ნებისმიერ პირს, რომელიც მას უკანონოდ ამყოფებს თავისთან. მოთხოვნა ბავშვის დაბრუნების თაობაზე სასამართლოში შეტანილ უნდა იქნეს ბავშვის ადგილსამყოფელის მიხედვით. სასურველია სასამართლო განხილვაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მონაწილეობაც.

მართალია, სხვა პირებთან შედარებით მშობლებს გააჩნიათ შვილების უპირატესი აღზრდის უფლება, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლო ვალდებულია ყველა შემთხვევაში დააკმაყოფილოს მშობლების მოთხოვნა. სასამართლო არ დააკმაყოფილებს მშობლების მოთხოვნას ისეთ შემთხვევაში, თუ დარწმუნდება, რომ მათთვის ბავშვის დაბრუნება არ შეესაბამება ამ უკანასკნელის ინტერესებს. ასეთ დასკვნამდე სასამართლო შეიძლება მაშინ მივიდეს, როცა მშობლებს არ შეუძლიათ ბავშვის აღზრდა ან იმ შემთხვევაში, როცა ბავშვი სხვადასხვა გარემოებათა გამო ხანგრძლივი პერიოდით მოხვდა აღსაზრდელად სხვა ოჯახში და მასთან განშორება ძალზე ცუდად იმოქმედებს მასზე ან გამოიწვევს მისი ცხოვრების მნიშვნელოვან გაუარესებას. ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს მშობლებისა და იმ პირების ზნეობრივი სახის გარკვევას, რომელთაც პრეტენზია

გააჩნიათ ბავშვზე[1].

კანონი აწესებს რა მშობლების ძირითად უფლება-მოვალეობებს შვილების მიმართ, ამავე დროს, ადგენს მათი განხორციელების საზღვრებს. **არ შეიძლება მშობლების უფლება-მოვალეობების გამოყენება შვილების ინტერესების საწინააღმდეგოდ.** შვილების ინტერესებში იგულისხმება ზნეობისა და კანონის მოთხოვნათა შესაბამისად მათ აღზრდასთან დაკავშირებული ყველა ინტერესი. მშობლების მხრივ შვილების ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედება გამოიწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას. ამასთან, რადგან მშობლიური უფლება-მოვალეობანი, ძირითადად, ბავშვის პირადად აღზრდის უფლებითაა განპირობებული, ისინი მშობლებს გააჩნიათ ბავშვის სრულწლოვანებამდე. სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ შვილი სრული ქმედუნარიანია და მშობლების მიერ მათი აღზრდისა და ინტერესების დაცვის აუცილებლობა აღარ არსებობს.

შვილების აღზდასთან დაკავშირებულ უფლება-მოვალეობებს მშობლები ურთიერთშეთანხმებით ახორციელებენ. არც ერთ მშობელს არა აქვს უფლება დამოუკიდებლად გადაწყვიტოს შვილის აღზრდასთან დაკავშირებული რომელიმე საკითხი. მაგალითად, იმის გამო, რომ საქართველოში დაწყებითი განათლება სავალდებულოა, მშობლები არა მარტო უფლებამოსილნი არიან გაგზავნონ თავიანთი შვილები სკოლაში, არამედ – მოვალენიც. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში, ერთ-ერთი მშობლის სურვილს, შეიყვანოს თავისი შვილი სკოლაში თუ არა, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. კანონის მოთხოვნა დაწყებითი განათლების სავალდებულო ხასიათის შესახებ, ორივე მშობლისთვის სავალდებულოა. სხვა საკითხია, როცა საქმე ეხება საკითხის გადაწყვეტას იმის შესახებ, ბავშვი არდადეგებზე დასასვენებლად ნათესავთან გაგზავნონ თუ რომელიმე კურორტზე. ასეთ და სხვა მსგავს შემთხვევებში საკითხი მშობელთა გადასაწყვეტია და აუცილებლად – ურთიერთშეთანხმებით. ერთად მცხოვრებ მეუღლეებს შორის ასეთ საკითხებზე დავა, როგორც წესი, იშვიათად წარმოიშობა. მაგრამ, რადგან მათი წარმოშობის შესაძლებლობა გამორიცხული არაა, სადავო საკითხებს გადაწყვეტს სასამართლო მშობლების მონაწილეობით. ასეთ შემთხვევებში მშობლები წარმომადგენლები ვერ იქნებიან. მათ შეუჩერდებათ შვილების წარმომადგენლობის უფლება და მათ

---

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე. თბ., 2003. №1. გვ. 226.

ნაცვლად შვილების ინტერესებს სასამართლოში დაიცავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ დანიშნული პირი.

საოჯახო ურთიერთობებში ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის პრინციპიდან გამომდინარეობს შვილების მიმართ მშობლების თანაბარუფლებიანობა იმ შემთხვევაშიც, როცა ისინი განქორწინებულნი არიან. განქორწინება მხოლოდ მეუღლეებს შორის წყვეტს ადრე არსებულ სამართლებრივ ურთიერთობას. რაც შეეხება შვილებს, მათ მიმართ როგორც დედას, ისე მამას გააჩნია კანონით განსაზღვრული უფლებები და აკისრია შესაბამისი მოვალეობები, რომელიც წარმოიშვა შვილების გაჩენის პერიოდიდან და გრძელდება მათ სრულწლოვანებამდე. განქორწინების შემდეგ შვილების მიმართ მშობლების უფლება-მოვალეობათა განხორციელება შეიძლება გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებოდეს, რაც, ძირითადად, გამოწვეულია ბავშვის დედისა და მამის ცალ-ცალკე ცხოვრებით.

იმ შემთხვევაში, როცა განქორწინების ან სხვა მიზეზის გამო მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული თუ რომელ მშობელთან უნდა ცხოვრობდნენ არასრულწლოვანი შვილები. განქორწინება და ცალ-ცალკე ცხოვრება, მართალია, ყოფილი მეუღლეების უფლებებს შვილების აღზრდასთან დაკავშირებით არ ზღუდავს, მაგრამ ფაქტია, რომ უფრო სრულყოფილად თავისი მშობლიური უფლებების განხორციელება იმ მშობელს შეუძლია, რომელიც შვილთან ერთად ცხოვრობს. ამიტომ დიდ მნიშვნელობას იძენს შვილის ამა თუ იმ მშობელთან ცხოვრების საკითხის გადაწყვეტა. მართალია, ზოგჯერ მტკივნეულად, მაგრამ მაინც უმეტესად მშობლები თვითონ წყვეტენ თუ რომელთან უნდა ცხოვრობდნენ მათი არასრულწლოვანი შვილები. მშობლების შეუთანხმებლობის შემთხვევაში საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სასამართლოს კომპეტენციას. სასამართლო მას განიხილავს ერთ-ერთი ან ორივე მშობლის თხოვნის საფუძველზე. ეს საკითხი შეიძლება მაშინაც წამოიჭრას, როცა მშობლები განქორწინებულნი არ არიან, მაგრამ ცალ-ცალკე ცხოვრობენ და ვერ თანხმდებიან შვილის საცხოვრებელი ადგილის შესახებ. საკითხის გადაწყვეტაში, სასურველია, ჩართულ იქნეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

სასამართლოში საკითხი უნდა გადაწყდეს მშობლების უფლება-მოვალეობათა სრული თანასწორობისა და ბავშვების სწორი აღზრდის ინტერესებიდან გამომდინარე. კანონი არ ცნობს დედის ან მამის

განსაკუთრებულ ან უპირატეს რაიმე უფლებას. არა უფლებათა უპირატესობა, არამედ ბავშვის სწორად აღზრდის ინტერესები უნდა იყოს ამ დროს გადამწყვეტი. ბავშვის აღზრდის ინტერესებში კი იგულისხმება არა მარტო მატერიალური, არამედ მორალური პირობების შექმნა. ამიტომ არ შეიძლება ერთ-ერთ მშობელს უარი ეთქვას შვილის მისთვის გადაცემაზე მხოლოდ იმ მოტივით, რომ მეორე მშობელს უკეთესი მატერიალური მდგომარეობა აქვს. მატერიალური მდგომარეობა შეიძლება გამოსწორდეს კიდეც მეორე მშობლისაგან შვილის სასარგებლოდ ალიმენტის მიღებით. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის აღზრდის მორალურ მხარეს. შედარებით რთულია საკითხი, როცა ორივე მშობელს ბავშვის აღზრდისათვის ერთნაირი პირობები გააჩნია. ასეთ შემთხვევაში ანგარიში უნდა გაეწიოს თვით ბავშვის სურვილს – განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი შედარებით დიდია. მნიშვნელოვანია აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეკომენდაცია. მშობლებს შორის შვილების თაობაზე დავის გადაწყვეტის დროს ყველა შესაძლებელ შემთხვევაში სასამართლო უნდა ეცადოს შვილები მექანიკურად კი არ დაანაწილოს მოდავე მშობლებს შორის, არამედ საცხოვრებლად დატოვოს ერთ მშობელთან იმ დებულებიდან გამომდინარე, რომ ოჯახურ გარემოს კეთილისმყოფელი გავლენის მოხდენა შეუძლია ბავშვების აღზრდაზე. გამონაკლის შემთხვევაში, ბავშვების სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნის საფუძველზე, შესაძლებელია ბავშვების დანაწილება მშობლებს შორის. ყველა შემთხვევაში ცალკე მცხოვრებ მშობელს სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ არ ერთმევა უფლება, რომ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ხელახლა დააყენოს მისთვის ბავშვის გადაცემის საკითხი, თუ მასთან ბავშვის აღზრდისათვის საჭირო აუცილებელი პირობები უკვე შეიქმნა და თანაც მეორე მშობელი სათანადოდ არ ზრუნავს ბავშვის აღზრდაზე. სასამართლომ, შესაძლებელია, ასეთ შემთხვევაში, დააკმაყოფილოს კიდეც მისი თხოვნა.

რადგან შვილების აღზრდაში მონაწილეობის უფლება-მოვალეობა ორივე მშობელს ერთნაირად გააჩნია, ბუნებრივია, ცალკე მცხოვრებ მშობელს უფლება აქვს ურთიერთობა ჰქონდეს ყოფილ მეუღლესთან მცხოვრებ შვილთან და ვალდებულია, მონაწილეობა მიიღოს მის აღზრდაში. მეორე მშობელს უფლება არა აქვს ხელი შეუშალოს მას ამ უფლება-მოვალეობათა განხორციელებაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება

ბავშვის აღზრდის ინტერესებს. თუ ცალ-ცალკე მცხოვრებ მშობლებს შორის შვილის აღზრდაში მონაწილეობაზე დავა არსებობს, მეურ-ვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეუძლია განსაზღვროს თუ რა ვითარებაში, რა დროით და რა წესით უნდა ჰქონდეს ცალკე მცხოვრებ მშობელს ურთიერთობა შვილთან. საკითხისადმი ასეთმა მიდგომამ შესაძლოა უმეტეს შემთხვევებში დადებითი შედეგი გამოიღოს. მაგრამ, ზოგჯერ, შეუგნებელი მშობელი, ყოფილი მეუღლისადმი შურისძიების გრძნობით გამსჭვალული, შვილთან ურთიერთობის შესაძლებლობას არ აძლევს ცალკე მცხოვრებ მშობელს. ამის უფლება კი მას არა აქვს. ერთი მშობლის მიერ მეორისათვის შვილთან ურთიერთობის აკრძალვა არა მარტო ასეთი მშობლის უფლების დარღვევაა, არამედ იგი მნიშვნელოვნად ლახავს თვით შვილის უფლება-მოვალეობებს ცალკე მცხოვრებ მშობელთან ურთიერთობის სფეროში, რომ არაფერი ითქვას იმაზე, თუ რამდენად ეწინააღმდეგება ეს ბავშვის აღზრდის ინტერესებს. ამიტომ დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით, ცალკე მცხოვრებ მშობელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს. ასეთი უფლების არსებობას ადასტურებს ის, რომ სამოქალაქო კოდექსის 1202-ე მუხლის მეორე ნაწილში განსაზღვრულია სასამართლოს ნება, გარკვეული ვადით ჩამოართვას ცალკე მცხოვრებ მშობელს შვილთან ურთიერთობის უფლება. თუ სასამართლოს შვილთან ურთიერთობის ჩამორთმევის უფლება აქვს, იგულისხმება, რომ მას ასეთი ურთიერ-თობის მინიჭების უფლებაც გააჩნია.

შვილთან ურთიერთობის ჩამორთმევა სასამართლოს შეუძლია მხ-ოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ურთიერთობა ხელს უშლის შვილის ნორმალურ აღზრდას და მავნე გავლენას ახდენს მასზე. ასეთი რამ უნდა დადასტურდეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ცალკე მცხოვრები მშობლის ურთიერთობა შვილთან ხელს არ უშლის შვილის ნორმალურ აღზრდას და მავნე გავ-ლენას არ ახდენს მასზე, აგრეთვე, თუ ასეთი ურთიერთობა ბავშვის სწორად აღზრდის ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელიცაა, სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს მისი თხოვნა.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა მშობლებს არ შეუძლიათ ან არ სურთ განახორციელონ შვილების აღზრდასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები, მაშინ ბავშვები, ჩვეულებრივ, გადაეცემა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს. ამიტომ ხშირად, როცა პაპა (ბაბუა) და ბებია არ გამოდიან შვილიშვილების უშუალო აღმზ-

რდელებად, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები სწორედ მათ სთხოვენ მშობლიურ მზრუნველობას მოკლებული ბავშვების აღზრდას. ასეთ შემთხვევებში პაპა და ბებია ინიშნებიან თავიანთი მცირეწლოვანი ან არასრულწლოვანი შვილიშვილების მეურვეებად ან მზრუნველებად. რაც შეეხება ნათესაურ კავშირს პაპა-ბებიასა და შვილიშვილებს შორის, იგი არ არის იმ ხარისხის, რომ აღიარებულ იქნეს ბავშვების აღზრდის მოვალეობის საფუძვლად. თუმცა მათ შორის ტრადიციულად არსებული ურთიერთობა გამორჩეული ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემის გამოხატულებაა. სწორედ ამის გამო, საოჯახო კანონმდებლობა პაპასა და ბებიას მნიშვნელოვან უფლებამოსილებებს ანიჭებს. ეს, უპირველეს ყოვლისა, პაპისა და ბებიის შვილიშვილებთან ურთიერთობას ეხება. იგი განპირობებულია ოჯახის ყველა წევრის, მათ შორის პაპა-ბებიისა და შვილიშვილების ურთიერთგაგებისა და მეგობრობის ატმოსფეროში ცხოვრების შესაძლებლობით. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით პაპასა და ბებიას შვილიშვილებთან ურთიერთობის უფლება გააჩნიათ არა მარ-ტო იმ შემთხვევაში, როცა ისინი მშობლების თხოვნით მონაწილეობას ღებულობენ შვილიშვილების აღზრდაში, არამედ მაშინაც კი, როცა მათ ასეთი მონაწილეობა არ მიუღიათ. თუ ამ უფლების განხორციელებაში მშობლები ან ერთ-ერთი მათგანი ხელს შეუშლის პაპასა და ბებიას, ამ უკანასკნელთა თხოვნის საფუძველზე, სასამართლო უფლებამო-სილია მის მიერვე დადგენილი წესით დაავალდებულოს მშობლები საშუალება მისცენ პაპასა და ბებიას ურთიერთობა იქონიონ თავიანთ არასრულწლოვან შვილიშვილებთან, თუკი, რა თქმა უნდა, ეს ხელს არ შეუშლის ბავშვის სწორად აღზრდას. იმ შემთხვევაში, თუ პაპა და ბებია ცდილობენ შვილიშვილები განაწყონ თავიანთი მშობლების წინააღმდეგ, ჩართონ ისინი სხვადასხვა რელიგიურ სექტაში და სხვ., სასამარლომ მათი თხოვნა არ უნდა დააკმაყოფილოს.

შვილიშვილებთან ურთიერთობის უფლება გააჩნიათ პაპასა და ბებიას როგორც მამის, ისე დედის მხრიდან.

7.3. მშობლის უფლება-მოვალეობათა შეზღუდვა, შეჩერება და შეწყვეტა

შვილების აღზრდის პროცესში მშობლები ვალდებულნი არიან შეასრულონ არა მარტო ზნეობრივი და შიდასახელმწიფოებრივი

სამართლებრივი ნორმები, არამედ საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული მოთხოვნები. ბავშვთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული კონვენციები და საერთაშორისო შეთანხმებები აუცილებელ ღონისძიებათა განხორციელების ფართო სპექტრულ ბაზას ქმნის ამ მხრივ დაინტერესებული სახელმწიფოებისათვის. მათ რიგში საქართველო მისი დამოუკიდებლობის პირველი წლებიდანვე მოიაზრება. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს საოჯახო კანონმდებლობაში უკანასკნელ პერიოდში შეტანილი ცვლილებები და მისი გამდიდრება საერთაშორისო გამოცდილებისა და პრაქტიკის პროგრესული დებულებების ამსახველი ნორმებით. მათი შინაარსი, ძირითადად, ბავშვთა უფლებების დაცვის ხარისხისა და მშობლების მიერ შესაბამისი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის ამაღლების ტენდენციის ნათელი გამოხატულებაა.

ადრინდელი კანონმდებლობისაგან განსხვავებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულია სპეციალური ნორმა, რომელიც ეხება არასრულწლოვანი შვილების უფლებების დაცვის კონკრეტულ მექანიზმს. კოდექსის 1198[1]-ე მუხლში აღნიშნულია, რომ არასრულწლოვანს აქვს დაცვის უფლება მშობელთა და სხვა კანონიერ წარმომადგენელთა მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. არასრულწლოვანი შვილების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევისას, რაც შეიძლება, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატოს მშობლების ან ერთ-ერთი მათგანის მიერ ბავშვის აღზრდასთან, კერძოდ კი – განათლებასთან დაკავშირებული მოვალეობების შეუსრულებლობაში ან არასათანადოდ შესრულებაში, ან მშობლის უფლების ბოროტად გამოყენებაში. არასრულწლოვან შვილს უფლება აქვს დამოუკიდებლად მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს და ითხოვოს შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება. უფრო მეტიც, 14 წლის ასაკის მიღწევიდან მათ მსგავსი თხოვნით შეუძლიათ სასამართლოს მიმართონ. ამ უფლების განსაზღვრა, საგამონაკლისო ნორმის საფუძველზე, არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვანის სამართალსუბიექტობის ზოგად პრინციპებს.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო არასრულწლოვანთა უფლებების დაცვისა და განხორციელების სფეროში სარგებლობს ფართო უფლებამოსილებებით, იგი თითქმის ბავშვთა ომბუდსმენის ფუნქციებს ასრულებს და შეუძლია, დამოუკიდებლად მიიღოს ამ მხრივ

აუცილებელ ღონისძიებათა გატარების გადაწყვეტილება. საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილია საკითხი გადასაწყვეტად დააყენოს სხვა ორგანოებისა და მათ შორის სასამართლოს წინაშეც. რაც შეეხება სასამართლოს, იგი ბავშვთა უფლებების დაცვის ყველაზე კომპეტენტურ და ყველასათვის მისაღებ ორგანოს წარმოადგენს. **სასამართლოს კომპეტენციას მიეკუთვნება მშობლიურ უფლება-მოვალეობათა შეზღუდვის, შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტაც.**

მშობლის უფლებებისა და მოვალეობების **შეზღუდვას** დროებითი ხასიათი გააჩნია. ეს ისეთ შემთხვევებშია შესაძლებელი, როცა მშობლები შვილების აღზრდასთან დაკავშირებულ ფუნქციებს არაჯეროვნად ასრულებენ და კეთილსასურველ გავლენას ვერ ახდენენ ბავშვზე ან მათი განხორციელება შეუძლებელია შექმნილი ობიექტური თუ სუბიექტური გარემოებების გამო (ცალკე მცხოვრები მშობლისათვის მეორე მშობელთან მცხოვრებ შვილთან არაჯანსაღი ურთიერთობა, დროებითი ფსიქიკური მოშლილობის დროს შვილთან ურთიერთობა და სხვ.). მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შეზღუდვა სასამართლოს გარდა, სხვა არც ერთ ორგანოს არ შეუძლია. სასამართლო უფლებამოსილია შეზღუდოს მშობლის ერთი ან რამდენიმე უფლება-მოვალეობა. ასევე, მას შეუძლია შეზღუდვა გაავრცელოს ერთ-ერთი ან ორივე მშობლის მიმართ. როცა ერთ-ერთ მშობელს ეზღუდება ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული ერთი ან რამდენიმე უფლება-მოვალეობა, იგულისხმება, რომ შესაბამის უფლება-მოვალეობის შესრულება დაეკისრება მეორე მშობელს. იმ შემთხვევაში კი, როცა ორივე მშობელს ეზღუდება მშობლის უფლება ან მოვალეობა, მაშინ აუცილებელია არასრულწლოვანი შვილის მიმართ მეურვეობის ან მზრუნველობის დაწესება. მშობლის უფლება-მოვალეობათა შეზღუდვის შემთხვევაში, მშობლებს უნარჩუნდებათ შვილების რჩენის ვალდებულება.

მშობლების უფლება-მოვალეობათა შეზღუდვასთან ერთად კანონი ითვალისწინებს მათ **შეჩერებას**. თუ შეზღუდვა უმეტესად შვილების მიმართ არამართლზომიერი ქცევისათვის (სუბიექტური ხასიათის გარემოება) წესდება, მშობელის უფლება-მოვალეობათა შეჩერება ძირითადად მათი განხორციელების შეუძლებლობის ობიექტური გარემოებებითაა განპირობებული. არ შეიძლება, მაგალითად, მშობლები ბავშვის თაობაზე დავის შემთხვევაში იყვნენ მისი წარმომადგენლები, რომელთაც ბავშვის ინტერესების დაცვა ევალებათ. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მშობლების წარმომადგენლობის უფლება უნდა შე-

ჩერდეს. ასევე უნდა შეჩერდეს იმ მშობლების უფლება-მოვალეობები, რომლებმაც თავიანთი შვილის გაშვილებაზე თანხმობა განაცხადეს კანონით დადგენილი წესით. შეჩერდება ნაპოვნი ბავშვის მშობლების უფლება-მოვალეობანი მანამდე, სანამ: დადგინდება მისი მშობლების ვინაობა და ის დაუბრუნდება თავის ოჯახს; დადგინდება მშობლების ვინაობა და უფლება-მოვალეობათა შესრულებისაგან თავის არიდების გამო სასამართლო შეუზღუდავს ან ჩამოართმევს მშობლის უფლება-მოვალეობებს; ბავშვი სასამართლოს მიერ აღიარებულ იქნება მიტოვებულად.

მშობლის უფლება-მოვალეობათა შეჩერება სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლისას ხდება, ხოლო მისი აღდგენა – მაშინ, როცა მოისპობა შეჩერების საფუძვლები. თუ ორივე მშობელს შეუჩერდა მშობლის უფლება-მოვალეობანი, ბავშვის მიმართ დაწესდება მეურვეობა ან მზრუნველობა.

მშობლის უფლება-მოვალეობათა შეზღუდვისა და შეჩერების საფუძვლების მოსპობის შემთხვევაში სასამართლო აუქმებს მის მიერ დაწესებულ შეზღუდვას ან შეჩერებას და მშობლებს სრულყოფილად ეძლევათ მშობლის უფლება-მოვალეობათა განხორციელების შესაძლებლობა.

კანონის მიხედვით, თუ მშობლები თავიანთ უფლება-მოვალეობებს სათანადოდ ვერ ახორციელებენ და იყენებენ შვილების ინტერესების საწინააღმდეგოდ, **შეიძლება დაისვას საკითხი მათთვის ან ერთ-ერთი მათგანისათვის მშობლის უფლებისა და მოვალეობის ჩამორთმევის შესახებ**. ეს უკიდურესი ღონისძიებაა და მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას. სამოქალაქო კოდექსის 1206-ე მუხლის მიხედვით მშობელს, რომელიც სისტემატურად თავს არიდებს მშობლის მოვალეობის შესრულებას და არაჯეროვნად იყენებს მშობლის უფლებებს – ბავშვს უხეშად ექცევა, მასზე უარყოფით გავლენას ახდენს ამორალური საქციელით, ან რომელიც ქრონიკული ალკოჰოლიკი ან ნარკომანია, ჩამოერთმევა მშობლის ყველა უფლება და მოვალეობა. იგივე შედეგი შეიძლება დადგეს მაშინაც, როცა მშობელს შვილის გაშვილებასთან დაკავშირებით კანონით დადგენილ ვადაში არ განუცხადებია უარი თანხმობაზე ან რომლის შვილიც მიტოვებულადაა აღიარებული. მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ან 14 წელს მიღწეული არასრულწლოვანი

შვილის ინიციატივით.

მშობლის უფლების ჩამორთმევის გავრცელებულ საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, ალიმენტის გადახდისაგან თავის არიდება, ხშირი სიმთვრალე, ბავშვისადმი სასტიკი მოპყრობა, გარყვნილი ან პარაზიტული ცხოვრება, ბავშვის მათხოვრობაში ან პროსტიტუციაში ჩაბმა და სხვა.

ჩვეულებრივ, პირს მშობლის უფლება ჩამოერთმევა ბრალეული მოქმედების გამო. ამიტომ არ შეიძლება მშობლის უფლების ჩამორთმევაზე ლაპარაკი მაშინ, როცა მშობელი თავის უფლება-მოვალეობებს ვერ ასრულებს სულიერი ავადმყოფობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ქრონიკული ავადმყოფობის გამო. კანონი იცნობს მხოლოდ ერთ გამონაკლისს – ქრონიკულ ალკოჰოლიკებსა და ნარკომანებს ართმევს მშობლის უფლებას, მიუხედავად იმისა, რომ შვილების მიმართ მათ არავითარი ბრალი არ მიუძღვით. მაგრამ ასეთი მშობლების ამორალური, ანტისაზოგადოებრივი საქციელი ცუდ გავლენას ახდენს ბავშვზე და ამიტომ დგება საკითხი მათთვის მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ. რადგან მშობლის უფლების ჩამორთმევა მშობლებზე ზემოქმედების უკანასკნელი ღონისძიებაა, მის შესახებ სასამართლოში საკითხის დაყენება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ზემოქმედების სხვა საშუალებებმა სასურველი შედეგი არ გამოიღო. მშობლის უფლების ჩამორთმევა ხორციელდება მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით. არც ერთ სხვა ორგანოს არა აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება როგორც მშობლის უფლების შეზღუდვის ან შეჩერების, ისე მისი ჩამორთმევის შესახებ. მშობლის უფლების ჩამორთმევისას სასამართლო გადაწყვეტილება განპირობებული უნდა იყოს მშობლების მიერ შვილების პირადად აღზრდის უფლების შინაარსით.

მშობლის უფლება შეიძლება ჩამოერთვას არა მარტო ერთ-ერთ, არამედ ორივე მშობელს. იმ შემთხვევაში, თუ ორივე მშობელს ჩამოერთმევა მშობლის უფლება, ბავშვი გადაეცემა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. ასევე მოხდება მაშინაც, როცა, მართალია, მშობლის უფლება ერთ-ერთ მშობელს ჩამოერთვა, მაგრამ მეორე მშობლისათვის ბავშვის გადაცემა შეუძლებელია. ჩვეულებრივ, ერთ-ერთი მშობლისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევისას უნდა დაისვას ბავშვის მეორე მშობლისათვის გადაცემის საკითხი. მისი გადაწყვეტის დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის აღზრდისა და რჩენისათვის ნორმალური პირობების შექმნას. ამიტომ მეორე მშობ-

ლისათვის ბავშვის გადაცემას არ ექნება აზრი, თუ იგი, მართალია, ინარჩუნებს მშობლის უფლებას, მაგრამ არ იმყოფება ქორწინებაში მშობლის უფლებაჩამორთმეულ მშობელთან ან შექმნილი აქვს მეორე ოჯახი და სხვა ბავშვები ჰყავს. მშობლის უფლება შეიძლება პირს ჩამოერთვას ერთი ან სხვა შვილების მიმართ. ერთი შვილის მიმართ მშობლის უფლების ჩამორთმევა, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი მშობელი საერთოდ არ უნდა სარგებლობდეს მშობლის უფლებით და სხვა შვილების მიმართაც უნდა იყოს მოკლებული ამ უფლებას. შესაძლებელია, მშობელი ერთი რომელიმე შვილის მიმართ გამოხატავდეს რაიმე არამართლზომიერ დამოკიდებულებას და სხვებთან კი სამაგალითო ურთიერთობა ჰქონდეს. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია, საერთოდ მშობლის უფლების ჩამორთმევა მიზანშეუწონელი იყოს და ცუდად იმოქმედოს დანარჩენი შვილების აღზრდაზე. ამიტომ სასამართლოს გადაწყვეტილებაში ზუსტად უნდა მიეთითოს თუ რომელი შვილის მიმართ ხდება მშობლის უფლების ჩამორთმევა და რა გარემოებების საფუძველზე. უნდა აღინიშნოს აგრეთვე იმის შესახებაც, თუ რომელ შვილებთან ურთიერთობაში რჩება მას მშობლის უფლება-მოვალეობები. მშობლის უფლების ჩამორთმევის საკითხის განხილვისას აუცილებელია მასში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მონაწილეობა.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩაურთველობა მშობლის უფლება-მოვალეობათა ჩამორთმევის საკითხების განხილვისას, შეიძლება სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი გახდეს[1].

სასამართლო გამოიტანს რა გადაწყვეტილებას ამა თუ იმ პირისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ, ამავე დროს, წყვეტს ასეთი პირის მიერ შვილის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდის საკითხს, რაც გამომდინარეობს კანონის მოთხოვნიდან, რომ მშობლის უფლების ჩამორთმევა არ ათავისუფლებს მშობლებს შვილების რჩენის მოვალეობისაგან. სასამართლოს შეუძლია ასევე დააკისროს ალიმენტის გადახდა მშობლებს იმ ბავშვის სასარგებლოდ, რომელიც აღსაზრდელად გადაეცა მეურვეს ან საბავშვო დაწესებულებას. მშობლის უფლების ჩამორთმევა ნიშნავს მის ჩამოშორებას ბავშვის აღზრდის პროცესისაგან. რაც შეეხება შვილის რჩენის ვალდებულებას, იგი მას

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეებზე. 2002. №2. განჩინება №3კ/480-01.

რჩება უცვლელად. ამ ვალდებულებისაგან მისი გათავისუფლება არ შეიძლება.

მშობლის უფლებაჩამორთმეული პირი კარგავს შვილთან ნათესაობაზე დამყარებულ ყველა უფლებასა და მოვალეობას. აქ იგულისხმება ის უფლებები და მოვალეობები, რომლითაც მშობლები სარგებლობენ შვილების სრულწლოვანებამდე, აგრეთვე სრულწლოვანი შვილებისაგან ალიმენტის მოთხოვნის უფლება. მშობლები, უპირველეს ყოვლისა, კარგავენ შვილების პირადად აღზრდის უფლებას და, აქედან გამომდინარე, ყოველგვარ შესაბამის უფლებამოსილებას. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების ჩამორთმევის შედეგად, ძირითადად, წყდება საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობები მშობლებსა და შვილებს შორის. ჩვეულებრივ, სრულწლოვანი შვილები მოვალენი არიან არჩინონ შრომისუუნარო მშობლები, რომლებსაც მატერიალური დახმარება სჭირდებათ და იზრუნონ მათთვის. მაგრამ შვილებს ასეთი ვალდებულება ეხსნებათ იმ მშობლების მიმართ, რომელთაც ჩამორთმეული აქვთ მშობლის უფლებები და მოვალეობები.

მშობლის უფლება-მოვალეობა ჩამორთმეულ პირს ეკრძალება ზოგიერთი პირადი და ქონებრივი უფლება, თუ ამის შესახებ სპეციალურადაა მითითებული კანონში. მაგალითად, საოჯახო კანონმდებლობის მიხედვით, მშობლის უფლება-მოვალეობაჩამორთმეული პირი არ შეიძლება იყოს მშვილებელი, არ შეიძლება მისი დანიშვნა მეურვედ ან მზრუნველად. ასეთი პირი კარგავს იმ შვილის კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლებას, რომლის მიმართაც ჩამორთმეულ ჰქონდა მშობლის უფლებები და სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის არ ჰქონდა აღდგენილი ადრინდელი უფლებები. მშობლის უფლების ჩამორთმევას თავისთავად არ მოჰყვება ასეთი პირის საბინაო უფლებების შეზღუდვა ან დაკარგვა. ამასთან, განსაკუთრებულ შემთხვევებში, შესაძლებელია დაისვას საკითხი მისი ბინიდან გამოსახლების შესახებ. ეს ისეთ შემთხვევებში უნდა მოხდეს, როცა მშობელი, რომელსაც ჩამოერთვა მშობლის უფლება, სისტემატურად არღვევს დადგენილ საერთო ცხოვრების წესებს და შეუძლებელს ხდის ბავშვის მასთან ერთად ცხოვრებას, ამასთან, არ ემორჩილება გაფრთხილებებს და ზემოქმედების ადმინისტრაციულ ღონისძიებებს. ასეთი მოთხოვნა შეიძლება დააყენოს ყველა დაინტერესებულმა პირმა, მათ შორის მეორე მშობელმა, 14 წელს მიღწეულმა შვილმა, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ და სხვ.

რაც შეეხება შვილს, რომლის მშობელსაც ჩამოერთვა მშობლის უფლება, იგი მხოლოდ თავის მშობელთან პირად ურთიერთობაში იზღუდება. ყველა დანარჩენი უფლების შენარჩუნება სრულყოფილად ხდება. კერძოდ, არ შეიძლება რაიმე მოტივით შეიზღუდოს მისი საბინაო უფლება. ასევე ხელშეუხებელია ნათესაობაზე დამყარებული ყველა ქონებრივი უფლება და მათ შორის – მემკვიდრეობის მიღების უფლებაც. შვილს, რომლის მშობელსაც ჩამოერთვა მშობლის უფლება, მის მიმართ გააჩნია არა მარტო რჩენისათვის აუცილებელი სახსრების გამოყოფის, არამედ ოჯახური მდგომარეობის გამო აუცილებელ დამატებით ხარჯებში მონაწილეობის მოთხოვნის უფლებაც.

მშობლის უფლების ჩამორთმევა უვადო ხასიათისაა. ჩამორთმევა არ ხდება განსაზღვრული დროის მითითებით. მართალია, ამ დროს საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობები ძირითადად წყდება, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ არ შეიძლება მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენა. კანონით განსაზღვრულ პირობებში შესაძლებელია ჩამორთმეული უფლება-მოვალეობების აღდგენა. ასეთი შესაძლებლობის არსებობა კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს მშობლის უფლება-მოვალეობაჩამორთმეულ პირზე და განსაზღვრულ სტიმულს აძლევს მას შვილთან ურთიერთობის აღდგენისათვის.

მშობლის უფლება-მოვალეობის აღდგენა შეიძლება მხოლოდ სასამართლო წესით, მეორე მშობლის, ბავშვის ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ინიციატივით. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დარწმუნდება იმაში, რომ მათი შეზღუდვის ან ჩამორთმევის საფუძველი უკვე აღარ არსებობს. იგულისხმება, რომ მშობლის ყოფაქცევა და ცხოვრების პირობები შეიცვალა და მას უკვე შეუძლია ნორმალურად აღზარდოს შვილი. ამასთან, მშობლის უფლება-მოვალეობების აღდგენა ნაკარნახევი უნდა იყოს ბავშვის სწორად აღზრდის ინტერესებით. მშობლის უფლება-მოვალეობების აღდგენის დროს სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის სურვილსაც თუ მას შეუსრულდა 10 წელი. ამ საერთო წესიდან კანონი უშვებს ერთ გამონაკლისს, რომლის მიხედვითაც მშობლის უფლება-მოვალეობების აღდგენა არ შეიძლება, თუ ბავშვი უკვე სხვამ იშვილა. ასეთი გამონაკლისი დაწესებულია ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე. პრაქტიკაში შესაძლებელია ისეთი შემთხვევები, როცა ის პირი, რომლის შვილიც უკვე სხვაზეა გაშვილებული, ცდილობს მშობლის

უფლება-მოვალეობების აღდგენას იმ მიზნით, რომ შემდეგ დააყენოს შვილად აყვანის გაუქმების საკითხი და შვილი დაიბრუნოს. ასეთ პირობებში შეიძლება მოხდეს შვილად ამყვანი პირის ინტერესების შელახვაც. თუ მშობლის უფლება-მოვალეობების აღდგენის საკითხი დადგა ბავშვის გაშვილების გაბათილების შემდეგ, მაშინ სასამართლო უფლებამოსილია დააკმაყოფილოს მშობლის თხოვნა და აღუდგინოს ჩამორთმეული უფლება-მოვალეობები. ამიტომ მშობლის უფლება-მოვალეობების აღდგენასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას სასამართლოს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს, რომ არ შეილახოს არც მშვილებლის, არც მშობლისა და განსაკუთრებით კი – ბავშვის ინტერესები.

კანონი შესაძლებლად თვლის მშობლებისათვის შვილის ჩამორთმევას მშობლის უფლება-მოვალეობების ჩამორთმევის ან შეზღუდვის გარეშე. ეს უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, როცა ოჯახში ცუდი პირობებია ბავშვის აღზრდისათვის და მათი შექმნა სუბიექტურ მიზეზებზე არ არის დამოკიდებული. ასეთი პირობები ბავშვისათვის საზიანო უნდა იყოს. მაგალითად, მშობლების მძიმე ავადმყოფობა, სტიქიური მოვლენის ან სხვა უბედური შემთხვევის გამო ბავშვის აღზრდისათვის აუცილებელი პირობების მოსპობა და სხვ. ასეთ შემთხვევებში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებმა მშობლების თხოვნის საფუძველზე შეიძლება ბავშვი დროებით მოათავსონ მესამე პირებთან. მშობლებს უნარჩუნდებათ მშობლის უფლებები და მოვალეობები, მიუხედავად იმისა, რომ მესამე პირი (ნათესავი, მეზობელი, საბავშვო დაწესებულება ან სხვ.) ასრულებს ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებულ ჩვეულებრივ საქმიანობას – უვლის ბავშვს, აძლევს განათლებას, ზრუნავს მის ჯანმრთელობაზე და სხვ.

შესაძლებელია აგრეთვე ბავშვის ქონების მართვის უფლების მშობლების მიერ ქონების მეურვისათვის გადაცემა. კონკრეტული ქონების მართვის უფლების გადაცემა უნდა მოხდეს სანოტარო ან მასთან გათანაბრებული ორგანოს მიერ დამოწმებული დოკუმენტის საფუძველზე. ქონებაზე მეურვეობა კი წესდება მევრვეობისა და მზრუნველობის ორგანოების გადაწყვეტილების საფუძველზე.

თავი VIII

საალიმენტო ვალდებულებანი

8.1. საალიმენტო ვალდებულების ცნება და სახეები

„ალიმენტი" ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს სარჩოს, რომელიც ვალდებულმა პირმა უნდა გადაუხადოს მისი მოთხოვნის უფლების მქონეს. იგი არა მარტო საოჯახო სამართალში, არამედ სამართლის სხვადასხვა სფეროშიც გამოიყენება ერთი პირის მიერ მეორისათვის მატერიალური დახმარების ვალდებულების გამოსახატავად. ასეთი ვალდებულებები ჯერ კიდევ რომის სამართლისთვის იყო ცნობილი. იუსტინიანეს დიგესტებში გადმოცემული ულპიანეს მოსაზრება – მშობლები ვალდებულნი არიან არჩინონ თავიანთი შვილები მაშინაც კი, როცა ისინი არ იმყოფებიან მშობლების ხელისუფლების ქვეშ, და პირიქით, შვილები ვალდებულნი არიან არჩინონ მშობლები – ნათლად გამოხატავს საალიმენტო ვალდებულებების შინაარსს.

საოჯახო სამართალში ოჯახის წევრთა ურთიერთობები უმეტესად ზნეობრივი პრინციპების საფუძველზე განისაზღვრება. მათ ერთმანეთზე ზრუნვისა და დახმარების ვალდებულება გააჩნიათ. ასეთი ვალდებულება არაქონებრივი ხასიათისაა და პირადი ურთიერთობის სფეროთი შემოიფარგლება. ოჯახის წევრთა ურთიერთობების ქონებრივი ნაწილის სამართლებრივ რეგულირებას იგივე ზნეობრივი პოსტულატები უდევს საფუძვლად. კანონის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ოჯახის წევრები ვალდებულნი არიან იზრუნონ ერთმანეთის მიმართ, გულისხმობს მათ ქონებრივ ვალდებულებას – აუცილებლობის შემთხვევაში მატერიალურად დაეხმარონ ერთმანეთს, ანუ გაილონ სხვა პირის რჩენისათვის აუცილებელი სახსრები. აქედან გამომდინარე, „ალიმენტის" შინაარსის მქონე თითქმის ადეკვატურ ცნებად იხმარება „სარჩო", თუმცა ლიტერატურაში ალიმენტს უფრო ვიწრო მნიშვნელობასაც ანიჭებენ[1]. სხვა პირისათვის მატერიალური დახმარების გაწევის აპრობირებული და საყოველთაოდ გავრცელებული სისტემა ყველაზე

[1] **შ. ჩიკვაშვილი**, საალიმენტო ვალდებულება. თბ., 1976. გვ. 10.

აშკარა გამოხატულებას საალიმენტო ვალდებულებაში პოულობს.

საალიმენტო ვალდებულებად მიიჩნევა საოჯახო ურთიერთობათა საფუძველზე ერთი პირისათვის მეორის სასარგებლოდ კანონით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცვით სარჩოს გადახდის დაკისრება. საალიმენტო ვალდებულება სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის ნაირსახეობაა და გულისხმობს ალიმენტის მიმღების უფლებასაც – მოითხოვოს ალიმენტის გადახდა.

კანონით გათვალისწინებულია ოჯახის წევრთა მიმართ მატერიალური დახმარების **ნებაყოფლობითი** გაწევის შესაძლებლობა, რომლის საფუძველზეც ოჯახის წევრები თვითონ განსაზღვრავენ ალიმენტის ოდენობას, მისი გადახდის წესს, ფორმასა და ვადებს. **საალიმენტო შეთანხმებას, მისი გაფორმების შემდეგ, სავალდებულო ძალა აქვს.** შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში გამოიყენება კანონით განსაზღვრული ალტერნატიული წესი. ორივე შემთხვევაში საალიმენტო-სამართლებრივი ურთიერთობა მარტო სისხლით ნათესავების წრით არ შემოიფარგლება. შესაძლებელია აგრეთვე საალიმენტო ვალდებულების არსებობა ისეთ პირებს შორისაც, რომელთაც მსგავსი კავშირი არ გააჩნიათ (მამინაცვალ-დედინაცვალი და გერი, მშვილებელი და ნაშვილები და სხვ.).

საალიმენტო ვალდებულებათა იურიდიული ბუნება ვლინდება მათთვის დამახასიათებელ ისეთ თავისებურებებში, როგორიცაა: ქონებრივ-ღირებულებითი ხასიათი, აუნაზღაურებითობა, მკაცრად პირადი შინაარსი, მხარეთა ფორმალური დამოუკიდებლობა და ნების ავტონომიურობა. აქედან გამომდინარე, საალიმენტო ვალდებულებანი წარმოადგენს ფარდობით-სამართლებრივ ურთიერთობას, რომელიც განპირობებულია მატერიალურ სიკეთეთა ალიმენტის გადამხდელიდან მისი მიმღების მფლობელობაში გადასვლით. ამ თავისებურებებით იგი გარეგნულად ჰგავს სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის ისეთ ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიშობა სამისდღემშიო რჩენიდან ან ჩუქების ხელშეკრულებიდან. მიუხედავად ამისა, მათ შორის არსებული შინაარსობრივი სხვაობა საფუძვლად ედება საალიმენტო ვალდებულებათა დამოუკიდებელი ხასიათის განსაზღვრას.

საალიმენტო ვალდებულებათა ობიექტს წარმოადგენს ალიმენტ-ვალდებული პირის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ალიმენტის მიმღებისათვის სარჩოს გადაცემასთან. ასეთი მოქმდება შეიძლება განხორციელებულ იქნეს საალიმენტო შეთანხმების ან არასახელშეკ-

რულებო ურთიერთობის დროს – სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. საალიმენტო ვალდებულებათა მხარეები არიან ალიმენტის გადამხდელი და მისი მიმღები. ალიმენტის გადამხდელს უნდა ახასიათებდეს საალიმენტო უფლებაუნარიანობა, ანუ შესაძლებლობა, დამოუკიდებლად შეასრულოს თავისი ვალდებულება. ასეთად კი ითვლება ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც ნათესაური ან სხვა სახის საოჯახო ურთიერთობით დაკავშირებულია ალიმენტის მიმღებ პირთან. შესაძლებელია, ალიმენტის გადახდა დაეკისროს სრულწლოვანებას მიუღწეველ შეზღუდულქმედუნარიან პირსაც, თუ იგი არარეგისტრირებული ურთიერთობით გაჩენილი ბავშვის მშობელი გახდა. ალიმენტის მიმღებად ითვლება პირი, რომელიც ნათესაურ ან სხვა საოჯახო ურთიერთობაში იმყოფება ალიმენტვალდებულ პირთან. მის უფლებებს დაიცავს მეურვე, რომელიც არ წარმოადგენს მხარეს საალიმენტო ვალდებულებებში. მეურვე სამოქალაქო ურთიერთობაში მონაწილეობას ღებულობს მეურვეობაში მყოფი პირის სახელით. რაც შეეხება შეზღუდულქმედუნარიან პირს, მას შეუძლია თვითონ მიიღოს მონაწილეობა ნებისმიერ და მათ შორის საალიმენტო გარიგებაში, მაგრამ ამისათვის აუცილებელია მისი მზრუნველის წერილობითი თანხმობა. ყველა შემთხვევაში საალიმენტო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად ითვლება ალიმენტის მიმღები, მიუხედავად მისი ქმედუნარიანობის ხარისხისა და არა მისი წარმომადგენელი.

საალიმენტო ვალდებულების შინაარსს შეადგენს ის უფლება-მოვალეობები, რომელიც მხარეებს გააჩნიათ. ალიმენტის გადამხდელის ვალდებულებას შეესაბამება ალიმენტის მიმღების უფლება. ალიმენტის მოთხოვნის უფლება ხორციელდება მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებში, რასაც საფუძვლად უდევს საალიმენტო შეთანხმება ან სასამართლოს გადაწყვეტილება. საალიმენტო ვალდებულების ნებისმიერი მხარის მატერიალურ და საოჯახო მდგომარეობაში შესული ცვლილება, შეიძლება საფუძვლად დაედოს ალიმენტის მოთხოვნის უფლების შეზღუდვას ან გაფართოებას. საალიმენტო ვალდებულების მოცულობის შეცვლა განსხვავდება ცესიისა და ვალის გადატანისაგან. საალიმენტო ვალდებულების პირადული ხასიათიდან გამომდინარე, უფლებებისა და მოვალეობების სხვისთვის გადაცემა, სამემკვიდრეო უფლებამონაცვლეობის სახით, კანონით დაუშვებლად არის მიჩნეული.

საალიმენტო ვალდებულების მონაწილეებს უფლება არა აქვთ კანონით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების შესრულებაზე

უარი თქვან ან შეზღუდონ მათი გამოყენების ფარგლები. ბათილია შეთანხმება განსაზღვრული დროით ალიმენტის მიღებაზე. ალიმენტის მიმღებ პირს შეუძლია მისი მიღების მოთხოვნა დააყენოს ამ უფლების არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში.

საალიმენტო ვალდებულებათა შეწყვეტა ხორციელდება მხარეთა შეთანხმების ან კანონით გათვალისწინებული გარემოებების არსებობის საფუძველზე. გამონაკლის შემთხვევებში საალიმენტო ვალდებულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მაგალითად, შრომისუნარიანობის აღდგენის ფაქტის ცნობისას ალიმენტის გადახდა უნდა შეწყდეს.

საალიმენტო ვალდებულებათა ცალკეულ სახეებად დაყოფას საფუძვლად უდევს სხვადასხვა კრიტერიუმი. გავრცელებულია მათი დაყოფა სუბიექტური ნიშნის მიხედვით. ამ მხრივ აღსანიშნავის: 1. მშობლების საალიმენტო ვალდებულებანი შვილების მიმართ; 2. შვილების საალიმენტო ვალდებულებანი მშობლების მიმართ; 3. მეუღლეთა საალიმენტო ვალდებულებანი; 4. ოჯახის სხვა წევრთა ვალდებულებანი, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს და-ძმების, პაპა-ბებიისა და შვილიშვილების, მამინაცვალ-დედინაცვლისა და გერების, ფაქტობრივი აღზრდილების საალიმენტო ვალდებულებებს.

საალიმენტო ვალდებულებები შეიძლება ერთმანეთისაგან განსხვავებულ იქნეს ცალკეულ სუბიექტთა შორის ნათესაური და სოციალური კავშირის ხარისხის მიხედვით. არსებობს ორი ასეთ ჯგუფი. პირველში შედიან უახლოესი ნათესავები – მშობლები და შვილები, აგრეთვე საოჯახო ურთიერთობათა ძირითადი სუბიექტები – მეუღლეები. მათ შორის წარმოშობილი საალიმენტო ვალდებულებანი პირველხარისხოვანია, დანარჩენი სახის საალიმენტო ვალდებულებები კი – მეორეხარისხოვანი. ეს იმას ნიშნავს, რომ მეორე ჯგუფის საალიმენტო ვალდებულებები მხოლოდ მაშინ წარმოიშობა, თუ სახეზე არ არიან პირველი ჯგუფის საალიმენტო ვალდებულებათა სუბიექტები. მაგალითად, საალიმენტო ვალდებულება პაპა-ბებიასა და შვილიშვილებს შორის მხოლოდ მაშინ წარმოიშობა, თუ შვილიშვილს თავისი მშობლებისაგან არა აქვს ალიმენტის მიღების შესაძლებლობა.

საალიმენტო ვალდებულებათა დიფერენციაციის მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს ალიმენტის გადახდის ვალდებულების საფუძველი. ამ ნიშნის მიხედვით ისინი შეიძლება დაიყოს საალიმენტო შეთანხმებისა და სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე წარ-

მოშობილ ვალდებულებებად. საალიმენტო-სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობის შედარებით გავრცელებული და ტრადიციული საფუძველი სასამართლოს გადაწყვეტილებაა. მისი იურიდიული ბუნება სტანდარტული ხასიათისაა და რაიმე სპეციფიკურ თავისებურებებს არ შეიცავს. რაც შეეხება საალიმენტო შეთანხმებას, იგი საოჯახო სამართლის შედარებით ახალი ინსტიტუტია და მნიშვნელოვანი ნიუანსებითაც ხასიათდება. **საალიმენტო შეთანხმება არის სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება, რომლითაც ალიმენტვალდებული პირი კისრულობს ვალდებულებას მისცეს მატერიალური სარჩო ალიმენტის მოთხოვნის უფლების მქონე პირს ურთიერთშეთანხმებული პირობებით.** საალიმენტო ხელშეკრულება არის ცალმხრივი, აუნაზღაურებელი და კონსენსუალური ხასიათისა. პირველი ორი ნიშანი დამახასიათებელია მთლიანი საალიმენტო ვალდებულებებისათვის. რაც შეეხება მის კონსენსუალურობას, იგი იმაში მდგომარეობს, რომ ალიმენტის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდანვე. ხელშეკრულების გაბათილების თავიდან აცილების მიზნით იგი უნდა გაფორმდეს სანოტარო წესით.

საალიმენტო ხელშეკრულების არსებითი ხასიათის პირობებად ითვლება ალიმენტის ოდენობის, ფორმებისა და გადახდის წესის შესახებ შეთანხმება. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა დამოკიდებულია მხარეთა მატერიალურ მდგომარეობასა და შეთანხმებაზე. არსებული პრაქტიკის მიხედვით მიზანშეწონილად ითვლება მისი განსაზღვრა არანაკლებ დაახლოებით იმ ოდენობისა, რასაც არასრულწლოვანი ბავშვი მიიღებდა სასამართლო წესით მშობლებისათვის ალიმენტის დაკისრების დროს. მაქსიმუმი მხარეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული. მართალია, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის ეს წესი პირობითია და მას არა აქვს იმპერატიული ხასიათი, მაგრამ მასში არასრულწლოვან ბავშვთა აღზრდისათვის აუცილებელი მინიმალური მატერიალური ბაზის გარანტიის შექმნის ცდაა მოცემული. ყველა შემთხვევისათვის ალიმენტის მინიმალური ოდენობა ამა თუ იმ სახით განსაზღვრული უნდა იყოს. შეთანხმება ალიმენტის მინიმალურზე დაბალი ოდენობის შესახებ, მისი გაბათილების საფუძველი უნდა გახდეს. დაახლოებით ასეა გადაწყვეტილი ალიმენტის მინიმალური ოდენობის საკითხი რუსული კანონმდებლობით[1]. ალიმენტის გადახდის ფორმაში იგულისხმება

[1] Комментарий к семейному кодексу Российской Федерации. отв. редактор Кузнецова И. М., М., 1996. с. 267.

მისი გამოანგარიშების წესის დადგენა. იგი შეიძლება იყოს: მყარი თანხით განსაზღვრული, ხელფასის ან შემოსავლის პროცენტით, კომბინირებული წესით, ქონების გადაცემით და ა.შ. თითოეული ფორმის გამოყენება შესაძლებელია ამა თუ იმ გარემოების არსებობისას. მაგალითად, როცა ალიმენტვალდებული პირი დიდი ხნით მიემგზავრება საზღვარგარეთ ან არ შეუძლია ალიმენტი რეგულარულად გადაიხადოს უმუშევრობის გამო და ა.შ. შეიძლება უფრო მიზანშეწონილიც კი იყოს ერთჯერადი მნიშვნელოვანი თანხის გადახდა, საკუთრებაში ბინის, მიწის ნაკვეთის ან სხვა ნივთის გადაცემა. ალიმენტის გადახდის წესი მხარეთა შეთანხმებით ნებაყოფლობითი უნდა იყოს, მაგრამ იგი აუცილებლად უნდა მოიცავდეს გადახდის დროისა (თვიური, კვარტალური და ა.შ.) და გადახდის ადგილის (ალიმენტვალდებული ან ალიმენტის მიმღები პირის ადგილსამყოფელის მიხედვით გადაცემა, საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვა და ა.შ.) შესახებ მონაცემებს.

საალიმენტო ხელშეკრულების დადების მომენტიდან ალიმენტის მიმღები კარგავს სასამართლო წესით ალიმენტის გადახდევინების მოთხოვნის უფლებას. მისი ინტერესების დაცვა შესაძლებელია სასარჩელო წესით ისეთი შემთხვევისათვის, როცა ალიმენტვალდებული პირი არაჯეროვნად ასრულებს ან საერთოდ თავს არიდებს ხელშეკრულებით ნაკისრი ალიმენტის გადახდის ვალდებულებას. ალიმენტის გადამხდელის პასუხისმგებლობა განისაზღვრება გადაუხდელი ალიმენტის იძულებით გადახდევინებითა და ამით მიყენებული ზიანის ანაზღაურებით.

საალიმენტო შეთანხმების გავრცელება პრაქტიკაში დღის წესრიგში აყენებს მისი როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების ფართოდ გამოყენების პერსპექტივებს. საბაზრო მეურნეობის პირობებში, როცა უმუშევრობა არავითარ კავშირში არ არის შრომისუნარიანობის ხარისხთან, საალიმენტო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს საალიმენტო-სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობის კანონით დადგენილი ამ საფუძვლის (შრომისუუნარობის) გარეშე – შრომისუნარიან სუბიექტებს შორის. **საკმარისი უნდა იყოს ალიმენტის მოთხოვნის უფლების დაფუძნება მხოლოდ მატერიალური დახმარების საჭიროების ფაქტზე.**

8.2. მშობლების საალიმენტო ვალდებულებანი შვილების მიმართ

მშობლები ვალდებულნი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი და არაშრომისუნარიანი სრულწლოვანი შვილები, რომლებიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებენ. ეს ვალდებულება ეკისრება როგორც დედას, ისე მამას, მიუხედავად იმისა, ისინი ერთმანეთთან ქორწინებაში იმყოფებიან, თუ მათ შორის ქორწინება უკვე შეწყვეტილია. მშობლები ვალდებულნი არიან აღზარდონ და არჩინონ თავიანთი შვილები სრულწლოვანებამდე. სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ შვილები კარგავენ მშობლებისაგან სარჩოს მიღების უფლებას. ამ წესიდან არავითარი გამონაკლისი არ არსებობს. სულ სხვა მდგომარეობაა მაშინ, როცა შვილი, მართალია, სრულწლოვანია, მაგრამ იგი არაშრომისუნარიანია და საარსებოდ არავითარი მატერიალური წყარო არ გააჩნია. მაგალითად, თუ შრომის ინვალიდი შვილი სახელმწიფოსაგან იღებს პენსიას ან დახმარებას იმ ოდენობით, რაც საკმარისი არ არის აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, მშობლების ვალდებულება შვილის რჩენის თაობაზე ამ უკანასკნელის სრულწლოვანების შემდეგაც გრძელდება. შვილების რჩენის მოვალეობას მშობლები ნებაყოფლობით ასრულებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში სარჩო შვილების სასარგებლოდ მათ უნდა დაეკისროთ სასამართლო წესით. მშობლების საალიმენტო ვალდებულების წარმოშობის საფუძველია შვილთან საოჯახო-ნათესაური ურთიერთობა ან კანონით მასთან გათანაბრებული მდგომარეობა და შვილის შრომისუუნარობის გამო მატერიალური დახმარების საჭიროება. საალიმენტო ვალდებულების შესრულება უმეტესად ეკისრება იმ მშობელს, რომელიც განქორწინების ან სხვა მიზეზის გამო ცალკე ცხოვრობს და არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს მეორე მშობელთან მცხოვრები შვილის მატერიალურ უზრუნველყოფაში.

საალიმენტო-სამართლებრივ ურთიერთობათა აუცილებელი სუბიექტია შვილი, რომელსაც თავისი მშობლისაგან ალიმენტის მოთხოვნის უფლება გააჩნია. ის მშობელი, რომელიც სარჩელს აღძრავს სასამართლოში მეორე მშობლისაგან ალიმენტის გადახდევინების შესახებ, გამოდის შვილის წარმომადგენლად. მას არა აქვს უფლება ალიმენტი მოითხოვოს თავის სასარგებლოდ. ასე რომ არ იყოს, ასეთი მშობლის გარდაცვალების შემთხვევაში, საალიმენტო-სამართლებრივი ურთიერ-

თობა უნდა შეწყვეტილიყო, რაც არასწორი იქნებოდა. საალიმენტო ვალდებულება წარმოიშობა შვილსა და ცალკე მცხოვრებ მშობელს შორის. შვილთან მცხოვრები მშობელი შვილის წარმომადგენელია მხოლოდ და მისი ინტერესების დასაცავად წარადგენს სარჩელს.

შვილების რჩენის მოვალეობა ძირითადად ნებაყოფლობის პრინციპს ემყარება. ამიტომ არა აქვს მნიშვნელობა მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ თუ ერთად. მშობლებისა და შვილების ერთად ცხოვრების შემთხვევაში შვილების რჩენაში მშობელთა მონაწილეობის ხარისხი, ჩვეულებრივ, დღის წესრიგში არ დგება. მშობელთა შორის შვილების რჩენაში ვალდებულებათა გამიჯვნის აუცილებლობა თავს იჩენს ერთ-ერთი მშობლის ცალკე ცხოვრების შემთხვევაში. ამ დროს მშობლების შეთანხმებაზეა დამოკიდებული ის, თუ ვინ რა მონაწილეობას მიიღებს შვილების რჩენაში. მხედველობაში მიიღება თითოეული მშობლის ფულადი შემოსავალი და შვილებთან პირადი ურთიერთობის ხასიათი. შესაძლებელია ისიც, რომ შვილები საცხოვრებლად სხვადასხვა მშობელთან დარჩნენ. ასეთ შემთხვევაში უფრო მეტი შემოსავლიანი მშობელი ურთიერთმოთხოვნათა ჩათვლის საფუძველზე შეთანხმებით განსაზღვრულ თანხას გადაუხდის უფრო ნაკლებად უზრუნველყოფილ მეორე მშობელთან მცხოვრებ შვილს. მშობლებს შეუძლიათ ერთხელ მიღწეული შეთანხმება გადასინჯონ განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ. ამას საფუძვლად შეიძლება დაედოს ცვლილებები მათ მატერიალურ მდგომარეობაში, ან ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული ადრე გაუთვალისწინებელი გარემოებები და სხვ. შესაძლებელია, მშობელთა შეთანხმება შვილის აღზრდასა და რჩენაში მათი მონაწილეობის ხარისხის შესახებ სრულებითაც არ ემთხვეოდეს კანონიდან გამომდინარე ამოსავალ დებულებებს. ეს მათი კომპეტენციაა და ვიდრე საალიმენტო შეთანხმება ძალაშია, არც ერთ მათგანს არა აქვს უფლება თავს მოახვიოს მეორეს მშობლიური ვალდებულების განაწილების სხვა ვარიანტი.

მშობლები შეიძლება ვერ შეთანხმდნენ არა მარტო იმაზე, საერთოდ უნდა გადაიხადოს თუ არა ამა თუ იმ მშობელმა ალიმენტი, არამედ იმაზეც, თუ რამდენი უნდა გადაიხადოს ცალკე მცხოვრებმა მშობელმა. პრაქტიკულად, ხშირ შემთხვევაში, ამ საკითხებზე მშობლები ვერ თანხმდებიან. ამიტომ საჭირო ხდება საალიმენტო დავის გადაწყვეტა სასამართლოს მიერ. ადრინდელი კანონმდებლობით განსაზღვრული იყო ალიმენტის ოდენობა. იგი ძირითადად დამოკიდებული იყო ხელ-

ფასზე, აგრეთვე სხვა შემოსავლებსა და იმაზე, თუ რამდენი ბავშვის სასარგებლოდ ეკისრებოდა მშობელს ალიმენტის გადახდა. საბაზრო მეურნეობის პირობებში ასეთი წესი მიუღებელი აღმოჩნდა, რადგან ხელფასი უკვე აღარ წარმოადგენს მშობლის შემოსავლის რეალურ მაჩვენებელს. კანონი ამჟამად ალიმენტის ოდენობის განსაზღვრას მიაკუთვნებს სასამართლოს კომპეტენციას. სასამართლო კი მას განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ამ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს აგრეთვე მშობლებისა და შვილების რეალურ მატერიალურ მდგომარეობას. შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელი მოთხოვნების გონივრული და სამართლიანი შეფასების საფუძვლად შეიძლება სხვადასხვა გარემოება იქნეს მიჩნეული. მაგალითად, სასამართლოს შეუძლია ჩვეულებრივზე უფრო ნაკლები ოდენობით დააკისროს ალიმენტის გადახდა იმ მშობელს, რომელსაც ჰყავს სხვა არასრულწლოვანი შვილები, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ მატერიალურად უფრო ნაკლებ უზრუნველყოფილ მდგომარეობაში, ვიდრე ის შვილები, ვის სასარგებლოდაც უნდა დაეკისროს მშობელს ალიმენტის გადახდა. გარდა ამისა, სასამართლოს შეუძლია შეამციროს ალიმენტის ოდენობა ან საერთოდ გაათავისუფლოს მშობელი ალიმენტის გადახდისაგან, თუ შვილი სახელმწიფოს ან რომელიმე ორგანიზაციის სრულ კმაყოფაზე იმყოფება. ამ შემთხვევაში საქმე ეხება ბავშვის სარჩენად ალიმენტის გადახდას მეორე მშობლის, მეურვის ან მზრუნველის სასარგებლოდ. შეიძლება ბავშვი სახელმწიფოს სრულ კმაყოფაზე იყოს სასწავლო დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში, მაგრამ არდადეგებზე ან სხვა თავისუფალ დროს ისინი სახლში არიან, სადაც რჩენა და ტანსაცმელი სჭირდებათ. ამიტომ, რა თქმა უნდა, ყველა შემთხვევაში მშობელი არ გათავისუფლდება ალიმენტის გადახდისაგან. საბავშვო დაწესებულებაში მყოფი შვილების შესანახი ხარჯები მშობლებს გადახდებათ ამ დაწესებულებათა სასარგებლოდ. ასეთ დაწესებულებებში ბავშვებს აბარებენ იმის გამო, რომ მშობლები არ ასრულებენ მათ აღზრდასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს ან ჩამორთმეული აქვთ მშობლის უფლება-მოვალეობები. მიუხედავად ამისა, ასეთ მშობლებს კვლავ რჩებათ თავიანთი შვილების რჩენის ვალდებულება. ბავშვის სარჩენად საჭირო სახსრები საბავშვო დაწესებულების სასარგებლოდ გადახდება ორივე მშობელს. მშობლისათვის

დაკისრებული ალიმენტის ოდენობა შეიძლება შემცირებულ იქნეს ისეთ შემთხვევაში, თუ მშობელი ინვალიდია და მას არა აქვს საკმაო შემოსავალი ან მაშინ, თუ არასრულწლოვანი შვილი უკვე მუშაობს და დამოუკიდებელი შემოსავალი გააჩნია.

არასრულწლოვანი შვილების სასარგებლოდ ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის დროს სასამართლომ შეიძლება გაითვალისწინოს როგორც მყარი ოდენობით ფულადი სახსრების გადახდევინება, ისე წლიური შემოსავლის ყოველთვიური სტაბილური ნაწილის განსაზღვრული პროცენტის დაქვითვა. უფრო გავრცელებულსა და პრაქტიკულს წარმოადგენს პირველი მეთოდი.

ალიმენტის ძირითადი დანიშნულებაა ბავშვის ნორმალური აღზრდის მატერიალური უზრუნველყოფა. სალიმენტო სახსრები შეიძლება არ იყოს საკმარისი იმ დამატებითი ხარჯების განსახორციელებლად, რაც გამოწვეულია განსაკუთრებული გარემოებებით, რომელიც არ შეიძლებოდა გათვალისწინებულიყო ალიმენტის განსაზღვრის დროს. ასეთ გარემოებებს მიეკუთვნება, მაგალითად, ბავშვის მძიმე ავადმყოფობა, დასახიჩრება, სწავლის საფასურის გადახდის აუცილებლობა და სხვ. სასამართლო პრაქტიკა დიდი ხანია ასეთ ხარჯებში ალიმენტის გადამხდელი მშობელის ჩართვას შესაძლებლად მიიჩნევს.[1] კანონი, იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ ორივე მშობელი ერთნაირად ვალდებულია შვილების აღზრდაში მიიღონ მონაწილეობა, იძლევა დამატებითი ხარჯების ნაწილის მეორე მშობლისათვის დაკისრების შესაძლებლობას. ეს არის ახალი გარემოების გამო დამატებით ხარჯებში მონაწილეობა და არა ბავშვის სარჩენი ხარჯების დამატებით გადახდევინება. ამიტომ მისი ოდენობა უნდა განისაზღვროს ფაქტობრივად გაწეული ხარჯების გათვალისწინებით, მყარი თანხებით და არ შეიძლება მისი წილობრივი დაკავშირება ხელფასის ან სხვა შემოსავლის ოდენობასთან. განსაკუთრებულ გარემოებათა წარმოშობის გამო გასაწევი ხარჯების განსაზღვრის შემდეგ, სასამართლო, ორივე მშობლის მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, საზღვრავს აუცილებელ ხარჯებში მათი მონაწილეობის ხარისხს და იმ სახსრების ოდენობას, რომელიც მოპასუხეს უნდა დაეკისროს. დამატებით ხარჯებში მოპასუხე მშობელი მონაწილეობს ერთჯერადი გადასახდელის სახით ან განსაზღვრული დროითა და განსაზღვრული სახსრების გადახდით. თუ დამატებით

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე. თბ., 2003. №12. გვ. 3393.

ხარჯებში მეორე მშობლის განმეორებითი ჩართვის აუცილებლობა წარმოიშობა, მოსარჩელეს უფლება აქვს მასთან დაკავშირებით კვლავ მიმართოს სასამართლოს. თავის მხრივ, მოპასუხეს შეუძლია სთხოვოს სასამართლოს დამატებითი ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება, თუ ბავშვის მდგომარეობა უკვე არ მოითხოვს დამატებითი ხარჯების გაღებას. სასამართლოს უფლება აქვს მშობლებს დააკისროს მონაწილეობის მიღება არა მარტო ფაქტობრივად გაღებულ, არამედ მომავალშიც აუცილებლად გასაღებ ხარჯებში.

მეურვეობასა და მზრუნველობას გადაცემული ბავშვების რჩენის ხარჯები მშობლებს შეიძლება დაეკისროთ სამოქალაქო კოდექსის ან სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად. მშობლიურ მზრუნველობას მოკლებული ბავშვები (ობლების გარდა) საბავშვო დაწესებულებებში სწორედ იმისათვის იგზავნებიან, რომ მათი მშობლები არ ასრულებენ მშობლიურ უფლება-მოვალეობებს, ჩამორთმეული აქვთ ან ასეთ უფლება-მოვალეობათა ჩამორთმევის გარეშეც ბავშვების მათთან დატოვება სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენს. ყველა შემთხვევაში მშობლები ვალდებულნი არიან გაიღონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილების სარჩენი სახსრები. მშობლებს ასევე ევალებათ ბავშვის მესამე პირებთან დროებით დატოვების შემთხვევაშიც გაიღონ სახსრები მის სარჩენად. საბავშვო დაწესებულებაში ბავშვის მოთავსების მომენტიდან მშობლები წყვეტენ მის აღზრდასა და რჩენაში მონაწილეობის მიღებას და ორივე მშობელს წარმოეშობა საბავშვო დაწესებულებისათვის ბავშვის სარჩენი სახსრების გადახდის ვალდებულება. მათი ოდენობა განისაზღვრება თითოეული მშობლის რეალური შემოსავლების გათვალისწინებით. საალიმენტო ფულადი სახსრები მშობლებს გადახდებათ საბავშვო დაწესებულების სასარგებლოდ და შეიძლება გაიხარჯოს ამ დაწესებულების მოთხოვნაზე. ეს სახსრები ბავშვის ანგარიშზე არ ჩაირიცხება. ბავშვების რჩენა და აღზრდა ხორციელდება საბავშვო დაწესებულების მიერ ამისათვის განკუთვნილი სახსრების ხარჯზე. საბავშვო დაწესებულებათა სასარგებლოდ ალიმენტის გადახდისაგან შეიძლება კანონით გათავისუფლდნენ მშობელთა გარკვეული კატეგორიები. მათ შეიძლება მიეკუთვნონ: მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლები, აგრეთვე მშობლები, რომელთა ბავშვების მოთავსება საბავშვო დაწესებულებებში გამოწვეულია მათი ფიზიკური ან ფსიქიკური განვითარების დეფექტებით და სხვ. ამ საკითხებში ფართო უფლებამოსილება გააჩნია სასამართლოს. მას შეუძლია მშობლები გაათავისუფლოს ალიმენტის

გადახდის ვალდებულებისაგან სხვა საპატიო მიზეზების გამოც. ისეთ შემთხვევებში, როცა საბავშვო დაწესებულებაში ბავშვის რჩენა-მოვლისათვის დაწესებულია განსაზღვრული საფასური, მშობლები იხდიან მას არა დიფერენცირებულად, როგორც ალიმენტს, არამედ საერთოდ დადგენილი ოდენობით.

ალიმენტის გადახდევინებასთან დაკავშირებული საქმეები სასამართლომ უმოკლეს ვადებში უნდა განიხილოს. ეს იმითაა განპირობებული, რომ ბავშვის აღზრდისა და რჩენის მოვალეობის შესრულების დაყოვნება მისი ინტერესების საწინააღმდეგოა. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა მსგავსი კატეგორიის საქმეთა განხილვის გაჭიანურება ხდება იმის გამო, რომ საალიმენტო-სამართლებრივ ურთიერთობათა მხარეები სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში ცხოვრობენ ან ისინი სხვა ობიექტური მიზეზების გამო (ავადმყოფობა, აუცილებელ მივლინებაში გამგზავრება და სხვ.) ითხოვენ საქმის განხილვის გადადებას. ზოგჯერ საქმის ობიექტურად განხილვას დამატებითი მასალების შეკრება სჭირდება სასამართლოს მიერ. ასეთ შემთხვევებში არ შეიძლება ბავშვების დატოვება სათანადო მატერიალური უზრუნველყოფის გარეშე. სწორედ ამიტომ **კანონი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს საქმის არსებითად განხილვამდე გამოიტანოს განჩინება შვილის შესანახი სარჩოს გადახდევინების შესახებ.** ალიმენტის წინასწარი და დროებითი გადახდევინების წესი ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებზე, როცა მოპასუხე სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნათა საფუძველზე სარეგისტრაციო ორგანოში ჩაწერილია ბავშვის მშობლად. ეს ისეთი შემთხვევებია, როცა მოპასუხე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება ბავშვის დედასთან ან მისი მამობის საფუძველი გახდა ბავშვის მშობლების ერთობლივი განცხადება ან კიდევ, მამობა დადგენილია სასამართლოს მიერ. დანარჩენ შემთხვევებში ეს წესი არ მოქმედებს. მამობის შესახებ შესაბამისი ჩანაწერის არარსებობის შემთხვევაში, ე.ი. როცა ხდება ალიმენტის გადახდევინებისა და მამობის იძულებითი დადგენის შესახებ სარჩელის ერთდროულად შეტანა, სასამართლოს უფლება არა აქვს მამობის საკითხის გადაწყვეტამდე მოპასუხეს დააკისროს ალიმენტის წინასწარ გადახდა, რადგან შესაძლებელია საქმის განხილვის დროს არ დადგინდეს მოპასუხის მამობა, მსგავს შემთხვევებში არ არსებობს მამობის უდავო პრეზუმფცია. სულ სხვა მდგომარეობაა, როცა ბავშვის მამად ჩაწერილ პირს ფორმალური უფლება აქვს სასამართლოში იდავოს ჩანაწერის ნამდვილობის შესახებ. მოპასუხის მამად მიჩნევის

იურიდიული საფუძველი ასეთ შემთხვევაში უფრო სარწმუნოა და მისი შემხვედრი სარჩელი ჩანაწერის გაბათილების შესახებ საფუძვლად უნდა დაედოს ალიმენტის წინასწარი გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებას.

სასამართლოს განჩინებაში მოპასუხისათვის ალიმენტის დროებით, წინასწარ გადახდევინების შესახებ განსაზღვრულ უნდა იქნეს ალიმენტის ოდენობა მთელი იმ პერიოდისათვის, რომლის განმავლობაშიც ვერ ხერხდება საქმის არსებითად განხილვა. გადახდა უნდა მოხდეს ერთჯერადი ან ყოველთვიური გადასახდელის სახით, თუ მოსალოდნელია საქმის განხილვის გადავადება რამდენიმე თვით. გადასახდელი თანხის ოდენობა განისაზღვრება მოპასუხის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით.

არ შეიძლება ბავშვის შესანახი სარჩოს სახით წინასწარ გადახდილი ალიმენტის უკან დაბრუნება ან მომავალ გადასახდელთა თანხაში ჩათვლა, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია სასამართლომ სარჩელი მოპასუხისათვის ალიმენტის დაკისრების შესახებ არ დააკმაყოფილოს ან ალიმენტის ოდენობა განსაზღვროს უფრო ნაკლები თანხით, ვიდრე ამას მოსარჩელე ითხოვდა. მაგრამ, თუ სასამართლომ ალიმენტის ოდენობა უფრო დიდი თანხით განსაზღვრა, მაშინ სხვაობა უკვე გადახდილ თანხასა და დადგენილი ალიმენტის ოდენობას შორის მოპასუხეს დამატებით უნდა გადახდეს, რადგან ალიმენტის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა არა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის, არამედ სასამართლოში სარჩელის შეტანის მომენტიდან.

სასამართლოს მიერ არასრულწლოვანი შვილისათვის განსაზღვრული ალიმენტის ოდენობა არ არის მუდმივი ხასიათის. იგი შესაძლებელია შეიცვალოს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ამისათვის უნდა არსებობდეს სერიოზული საფუძველი. ალიმენტის ოდენობის შეცვლა განპირობებული უნდა იყოს იმ გარემოებათა სტაბილურობის ხასიათით, რომელიც საფუძვლად დაედო ალიმენტის თავდაპირველი ოდენობის განსაზღვრას. ეს, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ახალ გარემოებათა წარმოშობას, რამაც ცვლილება უნდა შეიტანოს ადრე განსაზღვრული ალიმენტის ოდენობაში, მაგალითად, მეორე ქორწინებაში ბავშვის გაჩენა ან კმაყოფაზე მყოფ პირთა რაოდენობის შემცირება. პირველი გარემოება არ არსებობდა სასამართლოს მიერ ალიმენტის ოდენობის თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანის დროს. მეორე გარემოება, მართალია, არსებობდა თავიდან,

მაგრამ შემდეგ კმაყოფაზე მყოფი რომელიმე პირის გარდაცვალების გამო შეიცვალა. პირველი გარემოების არსებობისას, შესაძლებელია, ადრე განსაზღვრული ალიმენტის ოდენობის შემცირება, რადგან მეორე ქორწინებაში გაჩენილი ბავშვი არ უნდა იყოს მატერიალურად ნაკლებად უზრუნველყოფილი იმასთან შედარებით, რომელსაც ალიმენტს უხდის მშობელი. მეორე გარემოების არსებობა კი შეიძლება ალიმენტის გაზრდის საფუძველი გახდეს, რადგან უკვე არ არსებობს ის პირი, რომლის სარჩენადაც საჭირო სახსრები გათვალისწინებული იყო ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის დროს. სასამართლოს შეუძლია როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში შეცვალოს ალიმენტის ოდენობა.

მშობელს, რომელიც არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ იხდის ალიმენტს, უფლება აქვს სარჩელით მიმართოს სასამართლოს ალიმენტის ოდენობის შემცირების შესახებ. სარჩელში მითითებულ უნდა იქნეს ის გარემოება, რაც საფუძვლად უნდა დაედოს ალიმენტის შემცირებას. ზემოაღნიშნული გარემოების გარდა, ალიმენტის შემცირებას შეიძლება საფუძვლად დაედოს აგრეთვე ოჯახური მდგომარეობის გაუარესება, პენსიაზე გასვლა, ინვალიდობა.

ადრე დადგენილი ალიმენტის ოდენობის შემცირება ან გაზრდა შესაძლებელია მშობლების შესაბამისი სარჩელის საფუძველზე. სარჩელის შეტანა შეუძლიათ აგრეთვე სხვა დაინტერესებულ პირებსაც (ალიმენტის გადამხდელი მშობლის ახალი მეუღლე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო და სხვ.). ასევე, ალიმენტის გაზრდა შეიძლება მოითხოვოს მეორე მშობელმა ან მასთან მცხოვრებმა შვილმა, ნათესავმა და სხვ. ყველა შემთხვევაში სასამართლომ სარჩელის დეტალური განხილვის შემდეგ უნდა გამოიტანოს მოტივირებული გადაწყვეტილება ალიმენტის ოდენობის შეცვლის შესახებ.

თუ ალიმენტის ოდენობის შეცვლის შესახებ საკითხი განიხილა არა იმ სასამართლომ, რომელმაც თავდაპირველად განსაზღვრა მისი ოდენობა, მან თავისი გადაწყვეტილების ასლი უნდა გადაუგზავნოს ამ უკანასკნელს, რათა იგი საქმის კურსში იყოს ალიმენტის ოდენობაში შეტანილი ცვლილების შესახებ. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ალიმენტის ოდენობის შემცირებისას ახალი სააღსრულებო ფურცლის მიღებამდე გადახდილი ალიმენტის პირვანდელი და ახალი თანხების სხვაობა მომავალ გადასახდელში არ ჩაითვლება. ახალი საალიმენტო თანხა მოპასუხეს სრულყოფილად უნდა გადახდეს.

8.3. შვილების საალიმენტო ვალდებულებანი მშობლების მიმართ

მშობლების მიერ თავიანთ უფლება-მოვალეობათა სწორად და ეფექტურად განხორციელების ლოგიკური შედეგია ის სულიერი და მატერიალური მხარდაჭერა, რასაც მშობლები შემდეგ ღებულობენ თავიანთი სრულწლოვანი შვილებისაგან. უმრავლეს შემთხვევაში შვილები თავიანთი მშობლებისადმი მატერიალურ მხარდაჭერას ნებაყოფლობით და შეგნებულად გამოხატავენ და ეს ჩვეულებრივ, საოჯახო-სამართლებრივ მოვალეობად მიაჩნიათ. ამიტომ იგი არც შეიძლება საალიმენტო ვალდებულებად ჩაითვალოს, რადგან იძულების ელემენტებს მოკლებულია. იგი ზნეობრივი ვალდებულებაა და არა სამართლებრივი. არიან ისეთი შვილებიც, რომლებსაც შეგნებული არა აქვთ მშობლებისადმი ზრუნვისა და მატერიალური მხარდაჭერის მოვალეობა. ასეთი შვილების მიმართ კანონი ადგენს ვალდებულებას, იზრუნონ მშობლებისთვის და დაეხმარონ მათ. ასეთი ვალდებულების იძულებით შესრულება უზრუნველყოფილია სასამართლოს მეშვეობით. სრულწლოვან შრომისუნარიან შვილებს ევალებათ არჩინონ თავიანთი არაშრომისუნარიანი მშობლები, რომლებსაც მატერიალური დახმარება სჭირდებათ. შვილების საალიმენტო ვალდებულება ორ გარემოებას ეფუძნება. ესენია – მშობლების შრომისუუნარობა და მატერიალური გაჭირვება. ერთი რომელიმე მათგანი ალიმენტის დაკისრების საფუძვლად არ გამოდგება (თუმცა საბაზრო მეურნეობის პირობებში უმუშევრობა და შრომისუუნარობა ადეკვატური შინაარსისაა). შვილი კი უნდა იყოს სრულწლოვანი და შრომისუნარიანი, რომელსაც გააჩნია გარკვეული შემოსავალი. შესაძლებელია, შვილი სრულწლოვანების მიღწევამდე იყოს ჩაბმული შრომით საქმიანობაში და საკმაო შემოსავალიც ჰქონდეს. მას შეუძლია თავის მშობლებს ნებაყოფლობით გაუწიოს მატერიალური დახმარება. მაგრამ, თუ ამას არ აკეთებს, სასამართლოს არ შეუძლია დააკისროს მას ალიმენტი მშობლების სასარგებლოდ მანამ, სანამ იგი სრულწლოვანი არ გახდება, ასეთი მოვალეობა არ დაეკისრება მას მაშინაც, როცა ქორწინების გამო სრულწლოვანებამდე შეიძლება სრული ქმედუნარიანი გახდეს.

კანონმდებლობით განმტკიცებული და იურიდიულ ლიტერატურაში საყოველთაოდ მიღებული ამ დებულების წინააღმდეგ უსაფუძვლოდ

გამოდის ზოგიერთი ავტორი.[1] მაგალითად, დ. მედვედევი თვლის, რომ არასრულწლოვან დაქორწინებულ შვილს მაინც უნდა დაეკისროს ალიმენტი მშობლების სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ამის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს და არც მეცნიერებს მიაჩნიათ ეს მიზანშეწონილად.[2] ჩანს, ამ ავტორისათვის არც კანონსა და არც ავტორიტეტულ მეცნიერულ აზრს მნიშვნელობა არა აქვს, მით უფრო, თუ იგი ქვეყნის პრემიერი ან პრეზიდენტი და საოკუპაციო ჯარების მთავარსარდალი ხდება.

არაშრომისუნარიანად ითვლება მშობელი, რომელმაც საპენსიო ასაკს მიაღწია ან ინვალიდია. ასეთი მშობლების განსაზღვრულ ნაწილს შრომითი სტაჟის გათვალისწინებით ენიშნებათ პენსია და სხვა ოფიციალური დახმარებანი. შვილებს ალიმენტის გადახდევინება ეკისრებათ ისეთ შემთხვევებში, როცა მშობლებს ცხოვრების მატერიალური საშუალებები საერთოდ არ გააჩნიათ. მატერიალური დახმარების საჭიროების ფაქტორს სასამართლო განსაზღვრავს.[3]

მშობლების რჩენის მოვალეობისაგან შეიძლება შვილები გათავისუფლდნენ მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ეს შეიძლება მოხდეს მაშინ, თუ მშობლები თავის მხრივ, თავს არიდებდნენ მშობლის უფლება-მოვალეობათა შესრულებას. მაგალითად, არ იხდიდნენ ალიმენტს, სასტიკად ეპყრობოდნენ შვილებს, რაც მათთვის მშობლის უფლება-მოვალეობების ჩამორთმევის საფუძველი გახდა და სხვ. ასეთ შემთხვევებში სასამართლომ უნდა გამოარკვიოს მშობლიურ უფლება-მოვალეობათა შეუსრულებლობა მშობლების ბრალეული მოქმედების შედეგით იყო განპირობებული თუ ობიექტური მიზეზებით. მაგალითად, შესაძლებელია, მძიმე ავადმყოფობის ან სხვა გარემოების გამო მშობელი ვერ ღებულობს მონაწილეობას თავისი შვილის აღზრდასა და რჩენაში. ასეთ შემთხვევაში მშობლებს, თუ ისინი არაშრომისუნარიანები და მატერიალურად გაჭირვებულები არიან, უფლება აქვთ მოითხოვონ ალიმენტის გადახდა თავიანთი შვილებისაგან.

შვილებისაგან ალიმენტის მოთხოვნის უფლება არა აქვთ იმ

---

[1] Комментарии к Семейному кодексу Российской Федерации. Под редакцией **Кузнецовой И.М.**, М., 1996, с. 257.

[2] **Медведев Д.А.** Алиментные обязательства, в кн. Гражданское право. Учебник. М., 2001. т. 3, гл. 61, с. 483.

[3] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე. თბ., 2003, №9, გვ. 2531.

მშობლებს, რომლებსაც ჩამორთმეული აქვთ მშობლის უფლება-მოვალეობანი. რადგან შესაძლებელია, რომ მშობლის უფლება-მოვალეობანი მხოლოდ რომელიმე შვილის მიმართ ჰქონდეს ჩამორთმეული, ბუნებრივია, რომ მხოლოდ ასეთი შვილისაგან არ გააჩნია ალიმენტის მოთხოვნის უფლება. დანარჩენი შვილების მიმართ კი იგი ასეთ უფლებას ინარჩუნებს. ასევე გააჩნია იმ შვილებისაგან ალიმენტის მოთხოვნის უფლება, რომელთა მიმართ წარსულში, მართალია, ჩამორთმეული ჰქონდა მშობლის უფლება-მოვალეობანი, მაგრამ განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ იგი აღუდგა და კეთილსინდისიერად ასრულებდა შვილების აღზრდისა და რჩენის მოვალეობას. სამოქალაქო კოდექსის 1218-ე მუხლში ლაპარაკია ისეთ შემთხვევაზე, როცა პირს ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება-მოვალეობანი და არ აღმდგარა პირვანდელ მდგომარეობაში.

მშობლის უფლება-მოვალეობების შეჩერება ან შეზღუდვა არ წარმოადგენს შვილისაგან ალიმენტის მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველს.

თუ მშობელს არა აქვს პენსია და ვერც შვილებისაგან ღებულობს ალიმენტს, იგი საარსებო სახსრების გარეშე არ უნდა დარჩეს. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მის მატერიალურ უზრუნველყოფაზე[1]. ასევე საჭიროა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და სისხლისსამართლებრივი ბერკეტების ამოქმედება ისეთი შვილების მიმართ, რომლებიც თავს არიდებენ მშობლების წინაშე კანონით დადგენილ ვალდებულებათა შესრულებას.

შვილების მიერ გადასახდელი ალიმენტის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო მყარი თანხით ყოველთვიური გადასახდელის სახით. მისი ოდენობა დამოკიდებულია მხარეთა მატერიალურ და ოჯახურ მდგომარეობაზე. როცა მშობლები ერთი შვილისაგან ითხოვენ ალიმენტს, სასამართლოს შეუძლია სხვა სრულწლოვანი და შრომისუნარიანი შვილებიც ჩართოს ვალდებულებაში ან იმ შვილის მიერ გადასახდელი ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას, რომლის მიმართაც სარჩელია წარდგენილი, გაითვალისწინოს სხვა შვილებისაგან სარჩოს მიღების შესაძლებლობა. არასწორად უნდა ჩაითვალოს შვილებისათვის ალიმენტის გადახდის დაკისრება რიგრიგობით განსაზღვრული დროის განმავლობაში. ყველა შვილმა საალიმენტო ვალდებულება მშობლების

---

[1] **ჯ. ხეცურიანი,** დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ. თბ., 2006, გვ. 400.

მიმართ ერთდროულად უნდა შეასრულოს. თითოეული შვილის საალიმენტო გადასახდელი შეიძლება სხვადასხვა იყოს, რადგან იგი სასამართლოს მიერ განისაზღვრება თითოეული შვილის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით.

საალიმენტო-სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს მოპასუხისათვის არა მარტო ძირითადი საალიმენტო თანხების გადახდის დაკისრება, არამედ გაუთვალისწინებელ დამატებით ხარჯებში მონაწილეობის აუცილებლობის დადგენაც. იგი არა მარტო მაშინ გამოიყენება, როცა საქმე ეხება მშობლების მიერ შვილების სასარგებლოდ ალიმენტის გადახდას, არამედ მაშინაც, როცა მოპასუხედ შვილები გამოდიან. დამატებით ხარჯებში მონაწილეობის ვალდებულების საფუძვლები იგივე შეიძლება იყოს, რაც მშობლების მიმართ გამოიყენება. სასამართლო დამატებითი ხარჯების ოდენობას განსაზღვრავს მყარი თანხებით ერთჯერადი ან ყოველთვიური გადასახდელის სახით.

არასრულწლოვანი შვილების წინაშე წარმოშობილი საალიმენტო ვალდებულებისაგან განსხვავებით, სრულწლოვანი შვილების სასარგებლოდ ალიმენტის გადახდის საფუძვლად კანონმა აღიარა ამ უკანასკნელთა შრომისუუნარობა და მატერიალური დახმარების საჭიროება. შრომისუუნარობის განმსაზღვრელია მათი ინვალიდობა. მართალია, შრომისუუნარო პირებს ზოგჯერ აქვთ შრომითი ან სხვა შემოსავალი (პენსია, სტიპენდია, დივიდენდი და სხვ.), მაგრამ, რადგან ეს საკმარისი არ არის სარჩენად, მშობლებს ეკისრებათ ალიმენტის გადახდა. იგულისხმება, რომ სასამართლომ ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღო მშობლების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა (შრომისუნარიანობის ხარისხი, შემოსავლების ოდენობა, კმაყოფაზე მყოფ პირთა რაოდენობა და სხვ.). ასევე გათვალისწინებულ იქნა იმ შვილის მდგომარეობაც, ვის მიმართაც ხდება ალიმენტის გადახდა. შესაძლებელია ალიმენტის თანხის ოდენობის დადგენის შემდეგ არსებითად შეიცვალოს ალიმენტის გადამხდელი მშობლების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა – გაუმჯობესდეს ან გაუარესდეს, რაც, თავის მხრივ, ალიმენტის მომატების ან შემცირების საფუძველი გახდეს. ასეთივე საფუძველი იქნება მაშინაც, როცა შვილის მატერიალური ან ოჯახური პირობები იცვლება. ამის გამოც შეიძლება მისთვის გადასახდელი ალიმენტის ოდენობის შეცვლა.

მსგავს სიტუაციასთან გვაქვს საქმე, როცა ალიმენტის გადახდა

ეკისრებათ შვილებს თავიანთი შრომისუუნარო და მატერიალურად გაჭირვებული მშობლების სასარგებლოდ. ალიმენტის ოდენობა საალიმენტო-სამართლებრივ ურთიერთობათა ორივე მხარის – შვილებისა და მშობლების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით განისაზღვრება. ამ მდგომარეობის ყოველი არსებითი ხასიათის ცვლილება მომავალში შეიძლება ალიმენტის ოდენობის მომატების ან შემცირების საფუძველი გახდეს. სწორედ ამიტომ მისცა კანონმა სასამართლოს ერთხელ უკვე განსაზღვრული ალიმენტის ოდენობის შეცვლის შესაძლებლობა. სასამართლოში სარჩელის წარდგენა შეუძლია მშობელსაც და შვილსაც.

8.4. ოჯახის სხვა წევრების საალიმენტო ვალდებულებანი

ოჯახის სხვა წევრებს შორის არსებულ პირად არაქონებრივ სამართლებრივ ურთიერთობებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ქონებრივ ურთიერთობებში საალიმენტო ვალდებულებებს ეკუთვნის. ასეთ ვალდებულებათა შინაარსიდან გამომდინარე, **ვიდრე პირს, რომელიც ალიმენტს საჭიროებს, შესაძლებლობა აქვს მიიღოს იგი მშობლებისაგან, მეუღლისაგან ან შვილებისაგან, უფლება არა აქვს მოითხოვს იგი ოჯახის სხვა წევრებისაგან.** როცა პირველ რიგში ვალდებული პირებისაგან ალიმენტის მიღების შესაძლებლობა არ არსებობს, მხოლოდ მაშინ და ისიც, განსაზღვრულ გარემოებათა არსებობისას შეიძლება ოჯახის წევრებისაგან ალიმენტის მოთხოვნა. ამ უკანასკნელთა საალიმენტო ვალდებულებას საფუძვლად უდევს ახლო ნათესაობა ან მჭიდრო ოჯახური კავშირი. მათ საალიმენტო ვალდებულებას გააჩნია დამატებითი, სუბსიდიალური ხასიათი იმ ძირითად ვალდებულებებთან შედარებით, რომლებსაც ასრულებენ ოჯახის პირველი რიგის წევრები – მეუღლე, მშობლები და შვილები.

სუბსიდიალურ საალიმენტო ვალდებულებებში **კანონი მნიშვნელოვნად მიიჩნევს და-ძმების ურთიერთრჩენის მოვალეობას.** არასრულწლოვანი პირები, რომლებიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებენ და არ შეუძლიათ იგი მიიღონ თავიანთი მშობლებისაგან, უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ შრომისუნარიანი და განსაზღვრული შემოსავლების მქონე დებისაგან ან ძმებისაგან. მშობლები-

საგან სარჩოს მიღების შეუძლებლობა ხშირად განპირობებულია მათი სიკვდილით, ავადმყოფობით, უგზო-უკვლოდ დაკარგვით ან სხვა ობიექტური მიზეზებით. ალიმენტის გადახდა შეიძლება დაეკისროს დას ან ძმას, ან კიდევ ორივეს ერთად. ასეთი ვალდებულება გააჩნია არა მარტო შრომისუნარიან, არამედ შრომისუუნარო და-ძმასაც, თუ მათ საკმაო შემოსავალი გააჩნიათ და შეუძლიათ არასრულწლოვანი და-ძმის რჩენაში მიიღონ მონაწილეობა. მაგალითად, თუ შრომისუ-უნარო ძმას შედარებით დიდი პენსია აქვს, შეიძლება მას ალიმენ-ტის გადახდა დაეკისროს თავისი უმცროსი და-ძმის სასარგებლოდ. სამოქალაქო კოდექსის 1223-ე მუხლში ლაპარაკია სრულწლოვანი და შრომისუნარიანი პირების საალიმენტო ვალდებულებაზე არასრულწ-ლოვანი და-ძმების, აგრეთვე სრულწლოვანი შრომისუუნარო და-ძმების მიმართაც, რომლებიც საჭიროებენ მატერიალურ დახმარებას და მისი მიღების შეუძლებლობაზე მშობლების, მეუღლის ან შვილებისაგან. ყველა შემთხვევაში სასამართლო ალიმენტის ოდენობას განსაზღვრავს ალიმენტის გადამხდელისა და მიმღების მდგომარეობის დეტალური ანალიზის საფუძველზე[1].და-ძმებს შორის საალიმენტო ვალდებულების წარმოშობა არ არის დაკავშირებული იმასთან, ღებულობდა თუ არა მოპასუხე თავისი არასრულწლოვანი ან სრულწლოვანი და-ძმის აღ-ზრდაში მონაწილეობას. კანონმდებელი ასეთ შემთხვევაში გამოდის მათ შორის სისხლით ნათესაობის ფაქტიდან (სხვათა შორის, და-ძმები სისხლით ნათესაობის ხარისხის მიხედვით ყველაზე ახლო დგანან ერთმანეთთან. მათ მშობლების ერთნაირი სისხლი გააჩნიათ). ამით განსხვავდება ეს ვალდებულება მამინაცვალ-დედინაცვლისა და ფაქ-ტობრივი აღმზრდელის ანალოგიური ვალდებულებისაგან.

ახლო ნათესავები არიან აგრეთვე პაპა-ბებია და შვილიშვილები. ბავშვის აღზრდაში მშობლებთან ერთად ხშირად მონაწილეობენ პაპა და ბებია. ისინი, ზოგჯერ ცვლიან კიდეც მშობლებს. ამიტომ სავსებით ლოგიკურია კანონის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ შვილიშვილი ვალ-დებულია არჩინოს თავისი შრომისუუნარო პაპა და ბებია, თუ ისინი მატერიალურ დახმარებას საჭიროებენ. იგულისხმება, რომ შვილიშვილი სრულწლოვანია და საკმაო სახსრებიც გააჩნია. საკმაო სახსრებში მოიაზრება ისეთი მატერიალური მდგომარეობა, როცა შვილიშვილს შეუძლია ირჩინოს თავი და აქვს შესაძლებლობა პაპა-ბებიასაც დაეხ-

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამე-წარმეო და გაკოტრების საქმეებზე. თბ., 2003, №1, გვ. 33.

მაროს კარგი ხელფასის, პენსიისა ან სხვა შემოსავლის საფუძველზე. არა აქვს მნიშვნელობა იმას, შვილიშვილი შრომისუნარიანია თუ არა. რაც შეეხება პაპა-ბებიას, მათ შრომისუუნარობის გარდა, ალიმენტის მიღების შესაძლებლობა არ უნდა ჰქონდეთ შვილებისაგან და როცა ერთ-ერთი ითხოვს ალიმენტს – მეორე მეუღლისაგან. იმ შემთხვევაში, თუ პაპასა და ბებიას სასამართლომ უარი უთხრა ალიმენტის გადახდაზე იმ მოტივით, რომ ისინი თავის დროზე თავს არიდებდნენ შვილების მიმართ მშობლიურ მოვალეობათა შესრულებას, შვილიშვილი არ არის ვალდებული არჩინოს პაპა-ბებია. შვილიშვილს, ჩვეულებრივ, ეს ვალდებულება მხოლოდ მაშინ წარმოეშობა, თუ თავის მშობელს არ გააჩნია ალიმენტის გადახდის ფაქტობრივი შესაძლებლობა. მაგრამ ამ შემთხვევაში სახეზეა რჩენის არა ფაქტობრივი, არამედ იურიდიული შეუძლებლობა; სულ სხვა მდგომარეობაა მაშინ, თუ პაპასა და ბებიას სასამართლომ უარი უთხრა იმ შვილისაგან ალიმენტის გადახდევინებაზე, რომელიც არ არის მოპასუხე შვილიშვილის მშობელი. მაგალითად, პაპასა და ბებიას ჰყავთ შვილიშვილები გარდაცვლილი უფროსი და უმცროსი შვილებისაგან. ისინი ამ უკანასკნელის მიმართ ადრე მშობლიურ ვალდებულებებს არ ასრულებდნენ. ასეთ შემთხვევაში პაპისა და ბებიის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდა დაეკისრება მხოლოდ უფროსი შვილის შვილებს.

საალიმენტო ვალდებულება გააჩნიათ პაპა-ბებიასაც თავიანთი შვილიშვილების მიმართ. სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა შვილიშვილებსა და პაპა-ბებიას შორის როგორც მამის, ისე დედის ხაზით. ამიტომ თუ სარჩელი წარდგენილია მამის ხაზით პაპისა და ბებიის მიმართ, მათ შეუძლიათ მოითხოვონ ვალდებულებაში დედის ხაზით პაპისა და ბებიის ჩართვა. თუ რომელ პაპა-ბებიას უნდა დაეკისროს ალიმენტი და რა რაოდენობით, ამას წყვეტს სასამართლო მხარეთა მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის, შვილიშვილის აღზრდაში მათი მონაწილეობის ხარისხისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით.

სასამართლო სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებას მხოლოდ მაშინ გამოიტანს, როცა დარწმუნდება, რომ უსახსროდ დარჩენილ შვილიშვილს სარჩოს მიღება მშობლებისაგან არ შეუძლია და პაპა-ბებიას გააჩნია საკმაო სახსრები. არ შეიძლება მათ ალიმენტი დაეკისროთ იმ შემთხვევაში, თუ მშობლები ან ერთ-ერთი მათგანი შრომისუნარიანია ან შრომისუუნარო, მაგრამ გააჩნია საკმაო სახ-

სრები შვილის სარჩენად. პაპა-ბებიისაგან ალიმენტის მოთხოვნის უფლება გააჩნიათ არა მარტო არასრულწლოვან, არამედ სრულწლოვან შრომისუუნარო შვილიშვილებსაც. ასეთ შემთხვევაში უკვე აღნიშნულ ორ საფუძველთან ერთად გაითვალისწინება მესამე საფუძველიც – მეუღლისაგან სარჩოს მიღების შეუძლებლობა.

პაპა-ბებიას შეიძლება ალიმენტის გადახდა დაეკისროს დამოუკიდებელი სარჩელის საფუძველზე. ეს შესაძლებელია აგრეთვე მაშინაც, როცა ისინი თანამოპასუხეებად არიან მიჩნეული მშობლების მიმართ სარჩელის წარდგენისას. პრაქტიკაში შვილიშვილების სარჩელები პაპა-ბებიისაგან ალიმენტის გადახდევინების თაობაზე იშვიათობას წარმოადგენს. უმეტესად, პაპა-ბებია, თუ ამის შესაძლებლობა გააჩნიათ, ნებაყოფლობით ასრულებენ თავიანთი შვილიშვილების აღზრდისა და რჩენის ფუნქციებს. ისეთ შემთხვევებში, როცა არასრულწლოვან პირს შესაძლებლობა გააჩნია საალიმენტო სარჩელი წაუყენოს როგორც და-ძმას, ისე პაპა-ბებიას, სასამართლო იქიდან გამომდინარე, თუ ვის რა პირობები გააჩნია, ალიმენტის გადახდას დააკისრებს ერთ-ერთს, რამდენიმეს ან ყველა მათგანს.

სუბსიდიალური საალიმენტო ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას მაშინაც, როცა მოსარჩელისა და მოპასუხის ურთიერთობას სისხლით ნათესაობა კი არ უდევს საფუძვლად, არამედ აღზრდაში ან რჩენაში მონაწილეობის ფაქტი. **კანონი ადგენს მამინაცვლისა და დედინაცვლის საალიმენტო ვალდებულებას** იმ შემთხვევისათვის, როცა გერი მამინაცვლის ან დედინაცვლის ოჯახში იმყოფება აღსაზრდელად ან სარჩენად და მას არ ჰყავს მშობლები ან მშობლებისაგან სარჩოს მიღების შესაძლებლობა არ გააჩნია. აღზრდაში ან რჩენაში მამინაცვლისა და დედინაცვლის მონაწილეობის ფაქტი გადამწყვეტია იმ შემთხვევაშიც კი, როცა ბავშვის აღზრდასა ან რჩენაში ადრე მისი მშობელიც ღებულობდა მონაწილეობას. ეს შეიძლება ხდებოდა მშობლების გარდაცვალებამდე ან მის ქმედუუნაროდ აღიარებამდე, ინვალიდობის დადგომამდე და სხვ.

მამინაცვლის ან დედინაცვლის საალიმენტო ვალდებულება თავიანთი მეუღლის შვილების მიმართ ვრცელდება ამ უკანასკნელთა სრულწლოვანების დროსაც, თუ ისინი შრომისუუნარონი არიან და საჭიროებენ მატერიალურ დახმარებას. იგულისხმება, რომ ისინი სარჩოს ვერ ღებულობენ არა მარტო მშობლებისაგან, არამედ მეუღლისა და შვილებისაგანაც. ასეთ შემთხვევაშიც აუცილებელია, რომ გერი

თავის მამინაცვალთან ან დედინაცვალთან ცხოვრობდეს. აღნიშნული პირობების არსებობისას საალიმენტო ვალდებულება მაინც წარმოიშობა, თუნდაც გერის დედასთან ან მამასთან განქორწინება მოხდეს. თუ განქორწინებულ დედას ან მამას არ შეუძლია შვილის რჩენა, ბუნებრივია, ალიმენტის გადახდის ვალდებულება მამინაცვალზე ან დედინაცვალზე უნდა გადავიდეს.

მამინაცვლის ან დედინაცვლის საალიმენტო ვალდებულება შეწყდება, თუ მშობლების ან ერთ-ერთი მათგანის მდგომარეობა ისე გაუმჯობესდა, რომ შეუძლიათ შვილებს მატერიალური დახმარება გაუწიონ. შეწყდება იგი მაშინაც, როცა მამინაცვალი ან დედინაცვალი, შრომისუუნარობის გამო, თვითონ აღმოჩნდება მატერიალურად გაჭირვებულ მდგომარეობაში ან შეიძლება გერს წარმოეშვას მატერიალური უზრუნველყოფის სხვა საშუალება, მაგალითად, მოთავსებულ იქნეს სასწავლო ან სპეციალურ დაწესებულებაში სახელმწიფოს სრულ კმაყოფაზე, დაენიშნოს პენსია მშობლების გარდაცვალების შემთხვევაში და სხვ.

კანონი ადგენს გერის საალიმენტო ვალდებულებასაც. იგი არ არის დამოკიდებული იმაზე, შეუძლია თუ არა მამინაცვალს ან დედინაცვალს მიიღოს ალიმენტი მეუღლის, მშობლების ან შვილებისაგან. ასეთი ვალდებულება თავისი შინაარსით ჰგავს შვილების ვალდებულებას, არჩინონ თავიანთი მშობლები. მამინაცვალს ან დედინაცვალს, რომელიც შრომისუუნაროა და ესაჭიროება მატერიალური დახმარება, უფლება აქვს მოითხოვოს ალიმენტის გადახდა გერისაგან ისე, როგორც ღვიძლი (ბიოლოგიური) შვილისაგან. ამისათვის საკმარისია გერის აღზრდასა ან რჩენაში ადრე მონაწილეობის ფაქტის არსებობა. რჩენაში ან აღზრდაში მონაწილეობას მაშინ აქვს იურიდიული მნიშვნელობა, თუ იგი ხუთ წელზე მეტი ხნით გრძელდებოდა. კანონით განსაზღვრულია აგრეთვე ის გარემოებანი, რომელთა არსებობა შეიძლება საფუძვლად დაედოს გერის საალიმენტო ვალდებულების შეწყვეტას. სასამართლოს შეუძლია გერი იმ შემთხვევაში გაათავისუფლოს ალიმენტის გადახდისაგან, თუ მამინაცვალი ან დედინაცვალი მას ზრდიდნენ ან არჩენდნენ ხუთ წელზე ნაკლები დროის განმავლობაში. ამ შემთხვევაში გერის გათავისუფლება ალიმენტის გადახდისაგან სასამართლოს უფლებაა და არა ვალდებულება. თუ სასამართლო დარწმუნდება იმაში, რომ გერს მამინაცვალი ან დედინაცვალი სრულწლოვანების მიღწევამდე, მართალია, ხუთ წელზე ნაკლები დროით ზრდიდა ან არჩენდა, მაგრამ

ამას აკეთებდა კეთილსინდისიერად, მაშინ ალიმენტის გადახდისაგან გერის გათავისუფლების საფუძველი არ არსებობს, ხუთწლიანი ვადის განსაზღვრას მაშინ უნდა მიექცეს ყურადღება, როცა იგი მცირეწლოვნობის ან არასრულწლოვნობის პერიოდს ემთხვევა. გერის საალიმენტო ვალდებულებისაგან გათავისუფლების უფრო სერიოზულ საფუძველს წარმოადგენს ის, თუ მამინაცვალი ან დედინაცვალი გერის აღზრდისა და რჩენის მოვალეობას არასათანადოდ ასრულებდნენ. არასათანადოდ შესრულებაში იგულისხმება გერის მიმართ სასტიკი მოპყრობა, მისი ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში, ღვიძლი შვილისაგან განსხვავებით ნაკლები მატერიალური უზრუნველყოფა და სხვ. არასათანადო რჩენისა და აღზრდის ფაქტის დადგენაში დიდი მნიშვნელობა აქვს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების დასკვნას. არ შეიძლება ალიმენტის დაკისრება გერზე, თუ იგი საერთოდ არ იმყოფებოდა მამინაცვლის ან დედინაცვლის კმაყოფაზე. ეს საკითხი შეიძლება დადგეს მაშინ, როცა ბავშვი იზრდებოდა პაპა-ბებიასთან და პერიოდულად სტუმრობდა მამინაცვალთან ან დედინაცვალთან. ამიტომ სასამართლომ ზუსტად უნდა გააანალიზოს ასეთი შემთხვევა და შემდეგ გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სამოქალაქო კოდექსი საალიმენტო-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას უკავშირებს ბავშვების ფაქტობრივი საოჯახო აღზრდისა და რჩენის ფაქტს. მაგრამ სხვა საალიმენტო ვალდებულებებისაგან განსხვავებით, ცალმხრივი ხასიათისაა. თუ ადრე ფაქტობრივ აღმზრდელსაც ეკისრებოდა ალიმენტის გადახდა აღსაზრდელის სასარგებლოდ, ამჟამად მხოლოდ ფაქტობრივად აღზრდილს გააჩნია საალიმენტო მოვალეობა. ეს განპირობებულია აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის წარმოშობილი ფაქტობრივი ურთიერთობის შინაარსით. ფაქტობრივ აღმზრდელად ითვლება პირი, რომელმაც მუდმივ აღსაზრდელად და სარჩენად აიყვანა ბავშვი, ხოლო ეს უკანასკნელი კი – აღსაზრდელად ან აღზრდილად. ამ დროს არ ხდება ბავშვის შვილად აყვანა ან მეურვეობისა და მზრუნველობის გაფორმება. ფაქტობრივი აღმზრდელისა და აღსაზრდელის ურთიერთობა არსებითად განსხვავდება მშობლებისა და შვილების სამართლებრივი ურთიერთობებისაგან, ასეთ შემთხვევაში აღსაზრდელი თავის მშობლებთან დამოკიდებულებაში ინარჩუნებს ყველა უფლებასა და მოვალეობას. მუდმივ აღსაზრდელად და სარჩენად ბავშვის აყვანა იმიტომ განიხილება ფაქტობრივ აღზრდად, რომ პირი თავისი სურვილით,

ნებაყოფლობით იღებს თავის თავზე ბავშვის აღზრდისა და რჩენის ფუნქციას და ეს არ არის დაკავშირებული კანონის მოთხოვნასთან. აქედან გამომდინარე, ფაქტობრივი აღმზრდელისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრება აღსაზრდელის სასარგებლოდ, მიზანშეუწონლად უნდა ჩაითვალოს. გარდა ამისა, მას ნებისმიერ დროს შეუძლია უარი თქვას ბავშვის აღზრდასა და რჩენაზე. ასეთ შემთხვევაში ალიმენტის დაკისრება ფაქტობრივი აღმზრდელისათვის, მისი საოჯახო უფლება-მოვალეობების უსაფუძვლო დარღვევად უნდა იქნეს მიჩნეული. ასეთი დასკვნის ლოგიკურობას ადასტურებს თუნდაც ის, რომ ფაქტობრივი აღმზრდელისა და აღსაზრდელის ერთად ცხოვრება აუცილებელი არ არის. შესაძლებელია, პირი ფაქტობრივ აღმზრდელად იქნეს მიჩნეული, თუ ბავშვის სარჩენად საჭირო სახსრებს იგი სისტემატურად იღებდა, მაგრამ ობიექტური მიზეზების გამო ბავშვთან არ ჰქონდა ხშირი კონტაქტი. არ არის აუცილებელი ისიც, რომ ბავშვი ფაქტობრივი აღმზრდელის სრულ კმაყოფაზე იმყოფებოდეს, ისე როგორც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს აღსაზრდელად ბავშვის მიღებიდან გასულ დროს. ბავშვის მუდმივ აღსაზრდელად და სარჩენად აყვანა ისეთი ნებელობითი, გათვითცნობიერებული აქტია, რომლის ნამდვილობა შეიძლება დადგინდეს სხვადასხვა მტკიცებულებით, ამიტომ სასამართლო ვალდებულია გაარკვიოს სინამდვილეში არსებობს თუ არა ფაქტობრივი საოჯახო აღმზრდელობითი ურთიერთობა. ამის გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს არა ფაქტობრივი აღმზრდელის საალიმენტო მოვალეობის განსაზღვრისათვის, რადგან მას ასეთი ვალდებულება არ გააჩნია, არამედ ფაქტობრივი აღზრდილისათვის ალიმენტის გადახდევინების სამართლებრივი საფუძვლის დასაზუსტებლად.

ფაქტობრივი აღზრდილისათვის საალიმენტო მოვალეობის დაკისრებას საფუძვლად უდევს მის მიმართ აღმზრდელის მიერ ნებაყოფლობით გაწეული ამაგი. პირს, რომელიც იმყოფებოდა მუდმივ აღსაზრდელად და სარჩენად, ფაქტობრივი აღმზრდელის მიმართ დაეკისრება საალიმენტო ვალდებულება იმ შემთხვევისათვის, როცა ეს უკანასკნელი შრომისუუნაროა და საჭიროებს მატერიალურ დახმარებას, ამასთან, ასეთი დახმარების მიღების შესაძლებლობა არ გააჩნია მას მეუღლის ან შვილებისაგან. იგულისხმება, რომ ფაქტობრივად აღზრდილი პირი სრულწლოვანია და საკმაო სახსრები გააჩნია ფაქტობრივი აღმზრდელისათვის მატერიალური დახმარების გასაწევად. ფაქტობრივად აღზრდილი პირი ასეთი ვალდებულებისაგან გათავისუ-

ფლდება იმ შემთხვევაში, თუ მის აღზრდასა და რჩენაში ფაქტობრივი აღმზრდელის მონაწილეობას დროებითი ხასიათი ჰქონდა.

ოჯახის სხვა წევრების განხილულ საალიმენტო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტებისათვის გადასახდელი ალიმენტის ოდენობა განისაზღვრება სასამართლოს მიერ მყარი გადასახდელის სახით. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული როგორც ალიმენტის გადამხდელის, ისე მისი მიმღების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა. ეს დებულება მთელი საალიმენტო-სამართლებრივი ურთიერთობის ამოსავალი პრინციპია და მისი შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ალიმენტის გადახდა მძიმე ტვირთად არ უნდა დააწვეს ალიმენტის გადამხდელსა და მისი ოჯახის სხვა წევრებს. არც აღზრდასა და რჩენას მოკლებული პირები უნდა დარჩნენ მატერიალური დახმარების გარეშე. თუ უფლებამოსილი სუბიექტის მიმართ ალიმენტის გადახდა ერთდროულად რამდენიმე პირის მოვალეობაა, სასამართლო ვალდებულია დეტალურად შეისწავლოს მათი მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა და ამის მიხედვით განსაზღვროს თითოეული მათგანის წილის ოდენობა ამ მოვალეობის შესრულებაში. საალიმენტო ვალდებულებებში არ გამოიყენება სოლიდარული პასუხისმგებლობა და ამიტომ საჭიროა ალიმენტის გადამხდელი ყველა პირის მდგომარეობის გათვალისწინება. არა აქვს მნიშვნელობა იმას, მოსარჩელე ალიმენტს ითხოვს ერთი პირისაგან, რამდენიმე მათგანისაგან თუ ყველასაგან. საალიმენტო ვალდებულებისაგან რომელიმე პირის გამორიცხვამ შეიძლება საალიმენტო თანხის უსაფუძვლო გაზრდა გამოიწვიოს დანარჩენი გადამხდელებისათვის.

სასამართლოს მიერ ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდეს როგორც ალიმენტის მიმღები, ისე მისი გადამხდელი პირების როგორც მატერიალურ, ისე ოჯახურ მდგომარეობაში. შესაძლებელია დამატებითი წყაროს გაჩენა, კმაყოფაზე მყოფი პირის გარდაცვალება ან ოჯახის ახალი წევრის გაჩენა, პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, ავადმყოფობა და სხვ. თითოეული გარემოება შეიძლება ალიმენტის ადრე დადგენილ ოდენობაში ცვლილებების შეტანის საფუძველი გახდეს. სასამართლოს შეუძლია ალიმენტის მიმღები პირის ან მისი გადამხდელის სარჩელის საფუძველზე შეამციროს ან გაზარდოს ადრე დადგენილი ოდენობა.

8.5. ალიმენტის გადახდისა და გადახდევინების წესი

ალიმენტის გადახდა ხდება ნებაყოფლობით ან იძულებითი წესით. იძულება გამოიყენება სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. **ალიმენტის ნებაყოფლობითი გადახდის ყველაზე გავრცელებული და ნორმალური ფორმაა მისი პირადად გადახდა.** ამ დროს ალიმენტის გადამხდელი პირადად აძლევს ფულად სახსრებს ალიმენტის უშუალო მიმღებს ან საფოსტო გზავნილის სახით გადააგზავნის მის მისამართზე. შესაძლებელია აგრეთვე საალიმენტო თანხის ჩარიცხვა ალიმენტის მიმღების საბანკო ანგარიშზე. ალიმენტის ნებაყოფლობითი გადახდის ფორმას მიეკუთვნება ისეთი შემთხვევაც, როცა გადამხდელის განცხადების საფუძველზე თავისი სამსახურის ადმინისტრაცია ხელფასიდან ან სხვა შემოსავლიდან დაუქვითავს ფულადი სახსრების განსაზღვრულ ოდენობას ადრესატისათვის გადასაგზავნად. ასეთ შემთხვევაში ალიმენტის გადამხდელი ვალდებულია აცნობოს ალიმენტის მიმღებს სამუშაო ადგილის ან საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შესახებ და გადაიხადოს ის დავალიანება, რაც გამოწვეული იყო ამ გარემოებებით. ალიმენტის გადახდა ვალდებული პირის ზნეობრივი მოვალეობაა და იგი უმეტესად ნებაყოფლობის საფუძველზე ხორციელდება. ალიმენტის ოდენობაც მისი გადამხდელისა და მიმღების შეთანხმების საფუძველზე განისაზღვრება. როცა შეთანხმება არ ხერხდება, მაშინ საკითხს წყვეტს სასამართლო. ალიმენტის გადახდის ნებაყოფლობითი წესი არ ნიშნავს მისი გამოყენების შესაძლებლობის დაკავშირებას კანონით განსაზღვრულ პირობებთან. იგი მხოლოდ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე გამოიყენება. ამიტომ არ შეიძლება იგი განხილულ იქნეს აუცილებელ სტადიად, სასამართლო წესის გამოყენების წინაპირობად. კანონში პირდაპირაა მითითებული, რომ **ალიმენტის მიმღებს ნებისმიერ დროს შეუძლია სარჩელით მიმართოს სასამართლოს ალიმენტის გადახდის თაობაზე.** ეს უფლება არავითარ პირობებზე არ არის დამოკიდებული. ამიტომ ალიმენტის მიმღებ პირს შეუძლია სასამართლოს მიმართოს იმ შემთხვევაშიც, როცა ალიმენტის გადამხდელი თანახმაა ნებაყოფლობით იხადოს საალიმენტო სახსრები თუნდაც გაზრდილი ოდენობით. არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია იმ მიზეზებსაც, რომელთა გამოც უფლებამოსილი პირი სარჩელით მიმართავს სასამართლოს. ალიმენტის გადახდის ეს წესი მას შეიძლება იმიტომ ერჩივნოს, რომ იგი უფრო

მყარ და გარანტირებულ საფუძველს ქმნის მომავალში სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე სარჩოს მისაღებად.

პირის სამუშაოთი დამსაქმებელი ორგანიზაციის ადმინისტრაცია ალიმენტვალდებულ პირს ხელფასიდან უკავებს შესაბამის სახსრებს არა მარტო მისი განცხადების საფუძველზე, არამედ იმ შემთხვევაშიც, როცა მიღებულია სააღსრულებო ფურცელი, ამიტომ ადმინისტრაცია ალიმენტის გადახდის როგორც ნებაყოფლობითი, ისე იძულებითი წესის განხორციელების ხელშემწყობად გამოდის. ადმინისტრაციის მეშვეობით სააალიმენტო სახსრების დაკავება და ადრესატისათვის გადაგზავნა ალიმენტის გადახდის წესის უთუო შესრულებისა და ალიმენტის მიმღები პირის ინტერესების გარანტირებული დაცვის საშუალებას წარმოადგენს. ამიტომ კანონი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ამაზე.

დამსაქმებელი ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია ალიმენტის გადამხდელს ხელფასიდან ან სხვა შემოსავლებიდან ყოველთვიურად დაუკავოს ალიმენტი თავისი წერილობითი განცხადების ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გამოწერილი სააღსრულებო ფურცლის მიხედვით და გადაუხადოს ან გადაუგზავნოს ამ დოკუმენტებში მითითებულ პირებს. ეს უნდა მოხდეს ხელფასის ან ფულადი სარგოს გაცემიდან სამი დღის ფარგლებში. ალიმენტის გადამხდელის განცხადებაში საკუთარ მონაცემებთან ერთად მითითებულ უნდა იქნეს იმ პირის ვინაობისა და საცხოვრებელი ადგილის შესახებ, ვის მიმართაც ხდება ალიმენტის გადახდა, აგრეთვე არასრულწლოვანი პირის დაბადების თარიღი და გადასახდელი ალიმენტის ოდენობა. მათი ცოდნა მნიშვნელოვნად უადვილებს ადმინისტრაციას ამ მხრივ თავისი ფუნქციის შესრულებას. ალიმენტის გადამხდელის განცხადება უნდა წარედგინოს ორგანიზაციის ადმინისტრაციას განმცხადებლის სამუშაო ადგილის ან პენსიის მიღების ადგილის მიხედვით. ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს ალიმენტის გადახდევინება ყოველგვარი შემოსავლიდან, მიუხედავად იმისა, ამ შემოსავალს ალიმენტის გადამხდელი ღებულობს თავის ორგანიზაციაში თუ მის გარეთ. აღნიშნულის გარდა, ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია: საჭიროების შემთხვევაში სააალიმენტო თანხა ჩარიცხოს სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე; აცნობოს ალიმენტის მიმღებს იმ ხელის შემშლელი გარემოებების შესახებ, რომელთა გამოც ალიმენტის სრულყოფილად გადახდევინება არ ხდება (სხვა ბავშვისათვის ალიმენტის დაკისრება

და სხვ.); დაუყოვნებლივ შეატყობინოს სასამართლო აღმასრულებელს ალიმენტის გადამხდელის სამუშაოდან გათავისუფლებისა და ახალი სამსახურის შესახებ; დადგენილი წესით შეინახოს ყველა ის დოკუმენტაცია, რომელთა საფუძველზეც ხდება ალიმენტის დაკავება, მისი ოდენობის შემცირება ან ალიმენტის გადახდის ვალდებულების შეწყვეტა. მათი შენახვა სავალდებულოა საალიმენტო ვალდებულების არსებობის მთელი პერიოდის მანძილზე. საალიმენტო ვალდებულების შეწყვეტის შემთხვევაში (სრულწლოვანების მიღწევა, ქმედუნარიანად აღიარება, გარდაცვალება, ინვალიდობა და სხვ.) სააღსრულებო ფურცელი უნდა გადაეგზავნოს შესაბამის სასამართლოს. ალიმენტის გადამხდელის განცხადება რჩება ადგილზე, მაგრამ კარგავს უფლების მიმნიჭებელი დოკუმენტის ძალას და განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ პირად საქმეში ინახება. ალიმენტის გადახდის პროცესში ორგანიზაციის ადმინისტრაციის საქმიანობაზე ზედამხედველობა უნდა განახორციელოს სასამართლომ და სამართალდარღვევათა გამოვლენისას უნდა დააყენოს საკითხი დამრღვევ პირთა შესაბამის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

ალიმენტის მოთხოვნის უფლება შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა გარემოების გამო. ყველაზე გავრცელებულია მშობლების განქორწინება, ნებაყოფლობით გადახდის შეწყვეტა, შრომის უნარის დაკარგვა, ინვალიდობა და სხვ. ასეთ გარემოებათა არსებობა ქმნის ალიმენტის გადახდის თაობაზე სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვის შესაძლებლობას. ამ უფლების დაკარგვამდე უფლებამოსილ პირს ნებისმიერ დროს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ალიმენტის გადახდევინება. კანონი ყურადღებას არ აქცევს იმას, თუ რა ვადა გავიდა ალიმენტის მოთხოვნის უფლების წარმოშობის დროიდან. სასამართლო ვალდებულია მიიღოს სარჩელი და დააკმაყოფილოს კანონიერი მოთხოვნა. ასეთი წესის არსებობა ალიმენტის მიმღები პირების ქონებრივი ინტერესების პრიორიტეტული დაცვის შესაძლებლობაზე მეტყველებს. ამასთან ერთად, საალიმენტო ვალდებულებათა შინაარსიდან გამომდინარე, რომლის მიზანია უფლებამოსილი პირისათვის აღზრდისა და რჩენის ნორმალური პირობების შექმნა, **ალიმენტის გადახდევინება ხდება სასამართლოსადმი მიმართვიდან მომავალი დროისათვის. გასული დროისათვის ალიმენტის გადახდევინება, ჩვეულებრივ, არ ხდება.** გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როცა სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელის წარდგენამდე მიღებული

იყო ზომები ალიმენტის მისაღებად, მაგრამ ვალდებული პირი თავს არიდებდა მის გადახდას. კერძოდ, უფლებამოსილი პირი მიმართავდა ვალდებულ პირს სარჩოს გადახდის თაობაზე ან სამართალდამცავ ორგანოებს ასეთი პირისაგან სარჩოს მისაღებად დახმარების გაწევის შესახებ და სხვ. მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ გამოუღია. თავის არიდება შეიძლება წლების განმავლობაში გრძელდებოდეს, სასამართლოს უფლება აქვს წარსული დროის ალიმენტი ვალდებულ პირს გადაახდევინოს მხოლოდ სამი წლის ფარგლებში. მშობლების მიერ ალიმენტის გადახდისაგან თავის არიდების პერიოდში, თუ მათი შვილები სრულწლოვანები გახდნენ, მათ მაინც უნარჩუნდებათ უფლება მიიღონ გასული წლების ალიმენტი სამწლიანი ვადის ფარგლებში. წარსული დროის ალიმენტი იმავე ვადის ფარგლებში შეიძლება დაეკისროთ იმ პირებს, რომლებმაც შეიცვალეს სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილი და ამის გამო წარმოიშვა საალიმენტო დავალიანება. წარსული დროის განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა აქვს სარჩელის აღძვრის მომენტის დადგენას. პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა ალიმენტის გადახდევინების თაობაზე სასამართლოში წარდგენილი სარჩელი თავდაპირველად არ იქნა დაკმაყოფილებული, მაგრამ შემდეგ ასეთი გადაწყვეტილება შეიცვალა და იგი დაკმაყოფილდა. სარჩელის უარყოფასა და დაკმაყოფილებას შორის პერიოდი კი შეიძლება რამდენიმე თვე იყოს. ასეთ დროს მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმას, თუ რა საფუძვლით იქნა უარყოფილი სარჩელი თავიდანვე. თუ სარჩელის უარყოფა მოხდა მოპასუხის მიერ ყალბი ცნობების წარდგენის გამო, ალიმენტის გადახდევინება უნდა მოხდეს სარჩელის წარდგენის მომენტიდან. მაგრამ, თუ მოპასუხე სარჩელის წინააღმდეგ გამოდიოდა მართლზომიერი საშუალებებით და სარჩელის დაუკმაყოფილებლობის საფუძველი გახდა მტკიცებულებათა არასწორი შეფასება ან კანონის არასწორი ახსნა-განმარტება, ალიმენტის გადახდევინება უნდა მოხდეს სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ მეორე გადაწყვეტილების გამოტანის დროიდან. გადაწყვეტილებებს შორის არსებული დროისათვის ალიმენტის გადახდევინება არამართლზომიერი იქნებოდა იმის გამო, რომ ამ პერიოდში მოქმედებდა პირველი გადაწყვეტილება.

საალიმენტო დავალიანების გადახდევინება სააღსრულებო ფურცლის მიხედვით ხდება არა აღსასრულებლად მისი წარდგენის მომენტიდან, არამედ წარსული დროისათვის იმ დღიდან, რომელიც მითითებულია სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შედგე-

ნილ სააღსრულებო ფურცელში. ამასთან, ალიმენტის გადახდევინება უნდა მოხდეს წარსული დროის სამწლიან ფარგლებში; ეს ვადა წინ უნდა უძღოდეს სააღსრულებო ფურცლის გადასახდელად წარდგენას. სამწლიან ვადაზე მეტი პერიოდით ალიმენტის გადახდევინება სააღსრულებო ფურცლით შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა თანხის დაკავება არ ხდებოდა ვალდებული პირის ძებნის გამო, რამაც საალიმენტო დავალიანება შექმნა. ამ დროს გადახდევინება ხდება მთელი დავალიანების პერიოდისათვის. არა აქვს მნიშვნელობა იმას, გავიდა თუ არა ხანდაზმულობის ვადა ან მიაღწია თუ არა ალიმენტის მიმღებმა პირმა სრულწლოვანებას. იმ შემთხვევაში, როცა ვალდებულმა პირმა იცოდა სასამართლოს მიერ მისთვის ალიმენტის გადახდის დაკისრების შესახებ და, მიუხედავად ამისა, იგი უფლებამოსილ პირს არ უხდიდა ალიმენტს, დავალიანების თანხები მან მაინც უნდა გადაიხადოს იმისგან დამოუკიდებლად, მოსარჩელის მიერ წარდგენილი იყო თუ არა სააღსრულებო ფურცელი ან სამართალდამცავი ორგანოების მიერ იძებნებოდა მოპასუხე თუ არა. საკითხის ასეთი გადაწყვეტა ვალდებული პირის მიერ თავის მოვალეობისადმი არამართლზომიერი დამოკიდებულებითაა განპირობებული. ალიმენტვალდებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში შესაძლებელია დავალიანების გადახდევინება მოხდეს სამკვიდრო ქონების ღირებულებიდან. სააღსრულებო ფურცლის მიხედვით გადახდევინებისას გადასახდელი თანხის განსაზღვრასთან, გადახდის ვადებსა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით სასამართლო აღმასრულებელის მოქმედების გასაჩივრება შესაძლებელია შესაბამის სასამართლოში.

საალიმენტო დავალიანების გადახდევინების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი ოდენობის განსაზღვრის წესის ზუსტად შესრულებას. სამოქალაქო კოდექსის 1236-ე მუხლი ალიმენტის დავალიანების განსაზღვრის ორ წესს ადგენს იმისდა მიხედვით, წარმოდგენილია თუ არა დოკუმენტები ვალდებული პირის ხელფასის ან სხვა შემოსავლის შესახებ დავალიანების წარმოქმნის მთელი პერიოდისათვის. შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში საალიმენტო დავალიანება განისაზღვრება ვალდებული პირის მიერ იმ პერიოდში მიღებული ფაქტობრივი ხელფასიდან ან სხვა შემოსავლიდან, რომლის განმავლობაშიც არ მომხდარა გადახდევინება. თუ ხელფასი ან სხვა შემოსავალი შეიცვალა იმის გამო, რომ ვალდებული პირი სამუშაოდ სხვა ორგანიზაციაში გადავიდა, აიმაღლა კვალიფიკაცია ან გადაყვანილ

იქნა დაბალხელფასიან თანამდებობაზე, აუცილებელია განისაზღვროს გასამრჯელოს ოდენობა მის მომატება-შემცირებამდე და ამის შემდეგ, საბოლოოდ უნდა დადგინდეს სახსრების ის ოდენობა, რომელიც ვალდებულმა პირმა მიიღო იმ პერიოდში, როცა მას ალიმენტის გადახდა ევალებოდა. თუ მოვალე ამ პერიოდში არ მუშაობდა და არც სხვა რაიმე შემოსავალი ჰქონდა, ბუნებრივია, იგი ვერ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტებს, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი გახდება აღნიშნულ პერიოდში მიღებული სახსრების ოდენობის განსაზღვრა. ასეთ შემთხვევებში ალიმენტის დავალიანების განსაზღვრა ხდება იმ ხელფასის ან შემოსავლის მიხედვით, რომელსაც ვალდებული პირი იღებდა აღსრულების სამსახურის (აღმასრულებლის) მიერ სააღსრულებო ფურცლის წარდგენის დროს.

ვალდებული პირის ალიმენტის გადახდისაგან გათავისუფლება ან ალიმენტის ოდენობის შემცირება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს მიერ. მასვე შეუძლია საალიმენტო დავალიანების საფუძვლიანობის გადასინჯვაც. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ალიმენტის დაკისრებაცა და მისი პირვანდელი ოდენობის განსაზღვრაც სასამართლოს კომპეტენციაა. ალიმენტის გადახდისაგან გათავისუფლება ან მისი ოდენობის შემცირება უნდა მოხდეს მოპასუხის სარჩელის საფუძველზე. სასამართლო შესაბამის გადაწყვეტილებას გამოიტანს იმ შემთხვევაში, როცა დაადგენს, რომ ამისათვის არსებობს საპატიო მიზეზი. აქ იგულისხმება ვალდებული პირის მატერიალური და ოჯახური პირობების გაუარესება.

სასამართლოს უფლება აქვს ვალდებული პირი გაათავისუფლოს არა მარტო მომავალი პერიოდის ალიმენტის გადახდისაგან ან შეუმციროს მისი ოდენობა, არამედ წარსული დროის საალიმენტო დავალიანებაც შეუმციროს ან მთლიანად გაათავისუფლოს მისგან. ასეთი გადაწყვეტილების მიღების საფუძველია ვალდებული პირის ავადმყოფობა ან სხვა მიზეზი. ასეთია, მაგალითად, სამხედრო სამსახურში ყოფნა, რამაც გამოიწვია საალიმენტო დავალიანება. შეიძლება ალიმენტის გადამხდელი მხოლოდ დავალიანების გადახდისაგან გათავისუფლდეს ან მხოლოდ დავალიანება შეუმცირდეს, ხოლო მომავალი პერიოდის ალიმენტის ოდენობა უცვლელი დარჩეს. ყველა შემთხვევაში სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებაა საჭირო. **საალიმენტო ვალდებულება ყოველთვის მიზნობრივი დანიშნულებისაა და ემსახურება უფლებამოსილი პირის რჩენის უზრუნველყოფას.** ამიტომ არ

შეიძლება ამ ვალდებულების ჩათვლა სხვა რაიმე მოთხოვნის ღირებულებაში. მაგალითად, დაუშვებელია მამის მიერ შვილის სასარგებლოდ გადახდილი ალიმენტი ჩაითვალოს იმ ქონების ღირებულებაში, რომელიც ბავშვის დედამ მის წილთან შედარებით მეტი ოდენობით მიიღო თანაზიარი ქონების გაყოფის დროს. ასევე არ შეიძლება იმ სახსრების უკან გამოთხოვა, რომელიც ალიმენტის გადამხდელმა უკვე გადაიხადა. ამის დაშვება მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩააყენებდა ალიმენტის მიმღებს. გადახდილი ალიმენტის უკან გამოთხოვა, გამონაკლისი შემთხვევის სახით, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სასამართლოს გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა მოსარჩელის მიერ წინასწარ შეცნობით არასწორი მონაცემების წარდგენის ან ყალბი დოკუმენტების საფუძველზე და შემდეგ გაირკვა ეს. თუ ვინმე შეცდომით იხდიდა ალიმენტს, მას შეუძლია სარჩელი წარადგინოს სასამართლოში ნამდვილი მოვალის მიმართ, იმ ზიანის ანაზღაურების შესახებ, რაც მას მიადგა ამ შეცდომის გამო.

საალიმენტო ვალდებულების შეწყვეტის ყველაზე გავრცელებული და ნორმალური საფუძველია მისი ჯეროვანი შესრულება. თუ უფლებამოსილი პირი მიაღწევს სრულწლოვანებას, ბუნებრივია, მას ალიმენტის მოთხოვნის უფლება უწყდება, თუ იგი არ არის შრომისუუნარო და მატერიალურად გაჭირვებული. ასევე შეიძლება საალიმენტო ვალდებულების შეწყვეტის საფუძველი გახდეს იმ პირობების გაუქმება, რომელიც საფუძვლად დაედო სასამართლოს მიერ ალიმენტის დანიშვნას. აღნიშნული დებულება ვრცელდება აგრეთვე ისეთ საალიმენტო ვალდებულებებზე, რომლებიც წარმოიშვა მხარეთა შეთანხმებით. ამასთან, კანონი სპეციალურად ამახვილებს ყურადღებას ვალდებულების შეწყვეტის ისეთ საფუძვლებზე, როგორიცაა საალიმენტო ვალდებულების ერთ-ერთი მხარის გარდაცვალება, შეთანხმების ვადის გასვლა, საალიმენტო შეთანხმებაში გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით. ალიმენტის მიმღების ან გადამხდელის გარდაცვალება უდავოდ იწვევს საალიმენტო ვალდებულების შეწყვეტას. არ შეიძლება ალიმენტის მოთხოვნის უფლება მემკვიდრეობით გადავიდეს ოჯახის რომელიმე წევრზე. ასევე შეუძლებელია ალიმენტის გადახდის ვალდებულების გადასვლა სხვა პირებზე. ასეთი აკრძალვა განპირობებულია საალიმენტო უფლებამოსილებათა პირადული ხასიათით. მხარეთა შორის არსებული შეთანხმებული ვადის გასვლა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ვალდებულების შეწყვეტის საფუძვლად, თუ მის

გასვლამდე მხარეები კეთილსინდისიერად ასრულებდნენ საალიმენტო უფლება-მოვალეობებს. რაც შეეხება შეთანხმებით გათვალისწინებულ სხვა საფუძვლებს, ისინი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საალიმენტო-სამართლებრივ ურთიერთობათა საყოველთაოდ აღიარებულ შინაარსს. თუ შეთანხმება მისი რომელიმე მონაწილის ნების დეფექტური გამოვ-ლენის საფუძველზეა დადებული (მაგალითად, ალიმენტს გადაიხდის ვალდებული პირი იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილი პირი 16 წლიდან სწავლას დაანებებს თავს და მუშაობას დაიწყებს ფოსტალიონად), მასში გათვალისწინებული რომელიმე პირობის იძულებითმა შესრულებამ შეიძლება არ გამოიწვიოს საალიმენტო ვალდებულების შეწყვეტა და ვალდებულ პირს სასამართლო წესით დაეკისროს დარჩენილი მომავალი პერიოდის ალიმენტის გადახდა.

თავი IX

მეურვეობა, მზრუნველობა და მხარდაჭერა

9.1. მეურვეობის, მზრუნველობისა და მხარდაჭერის ცნება და მნიშვნელობა

მეურვეობისა და მზრუნველობის ტრადიციულ ინსტიტუტს 2015 წლის აპრილიდან დაემატა მხარდაჭერის დანესებისა და განხორციელების შესაძლებლობაც. ამით მნიშვნელოვნად გაფართოვდა სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მათი სუბიექტების მონაწილეობის ფარგლები და შინაარსი. მხარდაჭერა, რომელიც შეიძლება მზრუნველობის სპეციფიკურ ფორმად იქნეს მიჩნეული, ახლებურად წარმოადგენს ფიზიკურ პირთა მიმართ სახელმწიფოებრივი პატრონაჟის პერსპექტივებსა და ფართო სპექტრს.

მეურვეობა, მზრუნველობა და მხარდაჭერა არაერთგვაროვანი შინაარსის ცნებებია. მათი გაერთიანება ქმნის სამართლის სპეციფიკურ ინსტიტუტს, რომლის მეშვეობითაც ხდება ასაკობრივი, ფიზიკური თუ გონებრივი შეზღუდულობის დაძლევა და სამართლებრივ ურთიერთობებში ფიზიკურ პირთა სრულფასოვანი ჩართვა. იგი წარმოადგენს იმ ნორმათა ერთობლიობას, რომელიც არეგულირებს ქმედუუნარო, შეზღუდულქმედუნარი და ფსიქოსოციალური მხარდაჭერის საჭიროების მქონე პირების პირადი და ქონებრივი ინტერესების დაცვასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ფართო გაგებით იგი სამოქალაქო-სამართლებრივი, ვიწრო გაგებით კი – საოჯახო-სამართლებრივი ინსტიტუტია. მეურვეობას, მზრუნველობასა და მხარდაჭერაში იგულისხმება აგრეთვე სახელმწიფოებრივი ზრუნვის ერთ-ერთი ფორმა იმ მოქალაქეთა მიმართ, რომლებიც საჭიროებენ სამართლებრივი დაცვის სპეციალურ ღონისძიებებს, კერძოდ – მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების საქმიანობას მეურვეობასა და მზრუნველობაში მყოფი პირების აღზრდასა და მათი უფლებების დაცვაში, ხოლო ფსიქოსოციალური დახმარების საჭიროების მქონე პირებისათვის მხარდაჭერის განხორციელებაში. აღნიშნულ გაგებათა ლოგიკურ ერთობლიობას ქმნის მეურვეობა, მზრუნველობა და მხარდაჭერა, რომელიც წარმოიშობა, ერთი მხრივ, მეურვეს, მზრუნველსა

და მხარდამჭერს და მეორე მხრივ, მეურვეობის, მზრუნველობისა და მხარდაჭერის რეჟიმში მყოფ პირებს შორის. დარღვეული ან სადავო პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვა ხდება კანონით დადგენილი წესით. მაგრამ იმისათვის, რომ პირი გამოვიდეს თავისი უფლებების დასაცავად, აუცილებელია მას ჰქონდეს სამოქალაქო ქმედუნარიანობა, ე.ი. უნარი თავისი მოქმედებით შეიძინოს სამოქალაქო უფლებები და იკისროს შესაბამისი ვალდებულებები. იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებათა შესრულება სრული მოცულობით მათ შეუძლიათ სრულწლოვანების მიღწევიდან იმ გამონაკლისების გარდა, როცა კანონი 18 წლამდე ასაკის პირებს თვლის სრულ ქმედუნარიანებად. იმ შემთხვევებში, როცა უასაკობის, ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური პირობების გამო არ შეუძლიათ დამოუკიდებლად დაიცვან თავიანთი უფლებები და ინტერესები, მათ მიმართ წესდება მეურვეობა, მზრუნველობა და მხარდაჭერა. **ამგვარად, მეურვეობის, მზრუნველობისა და მხარდაჭერის ძირითადი დანიშნულებაა იმ პირთა პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვა, რომლებიც ობიექტურ გარემოებათა საფუძველზე მოკლებული არიან შესაძლებლობას დამოუკიდებლად განახორციელონ თავიანთი უფლებები და შეასრულონ სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულებები.**

მეურვეობას, მზრუნველობასა და მხარდაჭერას, მიუხედავად მათი ზოგადი მიზნების ერთიანობისა, ახასიათებთ გარკვეული კერძო ხასიათის თავისებურებები რომელთა შედარებით დეტალური ანალიზი სრულყოფილ წარმოდგენას შექმნის სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტზე.

სამოქალაქო კოდექსის 1275-ე მუხლის მიხედვით, მეურვეობა და მზრუნველობა უწესდებათ იმ არასრულწლოვან ბავშვებს, რომლებიც მზრუნველობის გარეშე დარჩნენ მშობლების გარდაცვალების, გარდაცვლილად აღიარების, მშობლებისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის, შეჩერების ან შეზღუდვის, მშობლების უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან ბავშვის მიტოვებულად ცნობის გამო. **მეურვეობა და მზრუნველობა მათ უწესდებათ აღზრდის მიზნით, პირადი და ქონებრივი ინტერესების დასაცავად.** არასრულწლოვანი ბავშვი სრულად უნდა იყოს მოკლებული მშობლიურ ზრუნვას. თუ ერთ მშობელთან შენარჩუნებული აქვს საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობა, მას არ უნდა დაუწესდეს მეურვეობა ან მზრუნველობა, რადგან იგულისხმება, რომ ერთ მშობელსაც შეუძლია მისი აღზრდა,

აგრეთვე პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვა. ამ ფუნქციათა განხორციელებაში მეურვეობა და მზრუნველობა ენაცვლება ორივე მშობელს.

მეურვეობა და მზრუნველობა წესდება აგრეთვე იმ სრულწლოვანი პირის პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი პირადი და ქონებრივი უფლებები და შეასრულოს სამოქალაქო ვალდებულებები. როგორც ცნობილია, საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობა მშობლებსა და შვილებს შორის ამ უკანასკნელთა სრულწლოვანების შემდეგ წყდება. გამონაკლის შემთხვევებში, სახეშეცვლილი და უმეტესად შეზღუდული სახით იგი შეიძლება გაგრძელდეს შემდგომ პერიოდშიც, ძირითადად კი, სრულწლოვანი პირი თავისი თავის ამარა რჩება ცხოვრებაში. ამიტომ სრულწლოვანი პირისათვის მეურვეობისა და მზრუნველობის დასაწესებლად შეიძლება მხოლოდ ერთი საფუძველი არსებობდეს – მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება იმ მდგომარეობამდე, როცა უკვე აღარ შეუძლია დამოუკიდებლად დაიცვას საკუთარი ინტერესები. ასეთი საფუძველია, მაგალითად, მხედველობის ან სმენის სრულად დაკარგვა, მოძრაობის შეუძლებლობა, სკლეროზი და სხვ. მსგავს შემთხვევებში, მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესება ერთ მიზანს ემსახურება. ესაა – **მეურვეობასა და მზრუნველობაში მყოფი პირის პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვა.**

ამგვარად, მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტი სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს ამ ურთიერთობებში სრულყოფილად მონაწილეობის დამატებით გარანტიებს უქმნის, რაც ნათლად მეტყველებს მის უდიდეს სამართლებრივ მნიშვნელობაზე.[1]

მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტს არასრულწლოვან და სრულწლოვან პირთა მიმართ არა მარტო განსხვავებული მიზნები და ამოცანები გააჩნიათ, არამედ მეურვეობისა და მზრუნველობის შინაარსშიც მნიშვნელოვანი სხვაობა არსებობს.

როგორც არასრულწლოვანები, ისე სრულწლოვანებიც შეიძლება იყვნენ ქმედუუნარონი ან შეზღუდულქმედუნარიანები. სწორედ იმის შესაბამისად, თუ ვისი უფლება უნდა იქნეს დაცული – ქმედუუნაროსი თუ შეზღუდულქმედუნარიანისა – წესდება მეურვეობა ან მზრუნვ-

---

[1] Nitringer E., Das Betreuungsrecht im internationalen Privatrecht, Frankfurt am Main, S. 101.

ელობა. მზრუნველობა შეიძლება დაუწესდეს ქმედუნარიან პირსაც.

მეურვეობა წესდება ქმედუუნარო პირების მიმართ. ასეთია მცირეწლოვანი ბავშვი, რომელსაც არ მიუღწევია შვიდი წლის ასაკისათვის. ბუნებრივია, მას არა აქვს შესაძლებლობა და არც უფლება, იყოს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. ამიტომ იგი ვერ დაიცავს იმ პირად და ქონებრივ უფლებებსა და ინტერესებს, რაც მას გააჩნია უფლებაუნარიანობის საფუძველზე. მართალია, მისი ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების დონე არ იძლევა სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში სრულად მონაწილეობის შესაძლებლობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას მცირე საყოფაცხოვრებო ხასიათის ურთიერთობებში მონაწილეობის უფლება გააჩნია. მხოლოდ სერიოზულ ურთიერთობებში ენაცვლება მას სხვა პირები.

ასეთ შემთხვევებში **ქმედუუნარო პირების ნაცვლად იურიდიული ხასიათის მოქმედებებს მათი ინტერესებიდან გამომდინარე, ასრულებენ მეურვეები.** ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ქმედუუნარო პირები, რომლებსაც უწესდებათ მეურვეობა, კვლავაც რჩებიან საოჯახო და სხვა სახის სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტებად.

მეურვეობისაგან განსხვავებით, **მზრუნველობა უწესდებათ ისეთ პირებს, რომლებსაც ქმედუნარიანობა სრულად არ გააჩნიათ ან არა აქვთ მისი რეალიზაციის სრული შესაძლებლობა.** მათ რიგს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება შვიდიდან თვრამეტ წლამდე ასაკის არასრულწლოვანი პირები. სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით ასეთი პირები შეზღუდულქმედუნარიანები არიან. ჩვენი აზრით, რადგან ქმედუნარიანობის შეზღუდვა ხდება სასამართლოს მიერ, იგი ეზღუდება იმას, ვისაც სრულად გააჩნია. ასეთი პირი კი სრულწლოვანია. ამიტომ შვიდიდან თვრამეტ წლამდე ასაკის პირი შეზღუდულქმედუნარიანი კი არა, არამედ **ნაწილობრივ ქმედუნარიანია.** სამართლებრივი მდგომარეობის მიხედვით, შვიდიდან თვრამეტ წლამდე ასაკის პირი უთანაბრდება სრულწლოვან შეზღუდულქმედუნარიანს. მზრუნველობა წესდება მათი სწორად აღზრდისა და პირადი და ქონებრივი ინტერესების დაცვის მიზნით. მართალია, აღზრდის შინაარსი ამ ასაკში სულ სხვაა, ვიდრე შვიდ წლამდე ასაკის ბავშვისა, რომელსაც მეურვეობა უწესდება, მაგრამ ეს სხვაობა სრულებითაც არ არის იურიდიული მნიშვნელობის. მთავარია სხვაობა მეურვისა და მზრუნველის სამართლებრივ მდგომარეობაში. მეურვისაგან განსხვავებით, **მზრუნველი არა მარტო თვითონ ასრულებს იურიდიულ მოქმედებებს მზრუნვ-**

ელობაში მყოფი პირის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, არამედ ზედამხედველობს და ნებას რთავს ამ უკანასკნელს ასეთ მოქმედებათა შესრულებაზე. შვიდიდან თვრამეტ წლამდე ასაკის პირს დამოუკიდებლად შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ წვრილმან ყოფით გარიგებებში.

მზრუნველობა შეიძლება დაწესდეს აგრეთვე სრულწლოვანი პირის მიმართ, თუ მას თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავის უფლებები და შეასრულოს მოვალეობები (ფიზიკური ტრავმა, ტოქსიკური მოწამვლა, ხანგრძლივი წოლითი რეჟიმი და სხვ.). ამ დროს მზრუნველობის დაწესების საფუძველია მისი თხოვნა. თანაც, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის ხარისხი ისე მძიმე არ არის, რომ მან საერთოდ ვერ შეასრულოს იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებანი. მას სჭირდება დამხმარე, მრჩეველი, რომელიც კი არ შეცვლის მას სამართლებრივ ურთიერთობებში, არამედ ხელს შეუწყობს თავისი უფლებებისა და მოვალეობების რეალიზაციაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას დასჭირდებოდა არა მზრუნველი, არამედ მეურვე[1]. მზრუნველობის ძირითადი ფუნქცია, ამ შემთხვევაში, არის მზრუნველობაში მყოფი პირების ინტერესების დაცვისათვის ხელის შეწყობა. მზრუნველის თანხმობა გარიგების დასადებად საჭირო არ არის. აღნიშნულის გარდა, მზრუნველობა წესდება იმ სრულწლოვანი პირების მიმართ, რომლებიც სასამართლოს მიერ აღიარებული არიან შეზღუდულქმედუნარიანებად. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, შეზღუდულქმედუნარიანად სასამართლომ შეიძლება ცნოს პირი, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს. ამიტომ, მართალია, ასეთი პირი უფლებამოსილია დადოს ქონების განკარგვასთან დაკავშირებული გარიგებები, აგრეთვე განკარგოს ხელფასი, პენსია ან სხვა სახის შემოსავალი, მაგრამ ყველა შემთხვევაში საჭირო იქნება მზრუნველის თანხმობა, რაც შეეხება წვრილმან ყოფით გარიგებებს, მათი დადება დამოუკიდებლად შეუძლია.

მნიშვნელოვნად შეიცვალა იმ პირთა სამართლებრივი მდგომარეობა, რომელთაც ადრინდელი კანონმდებლობით სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო სასამართლოს მიერ უწესდებოდათ

---

[1] დაწვრილებით იხ.: ა. გუგავა, პირთა სამართალსუბიექტობა და მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტი. თბ., 2005.

მეურვეობა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გაითვალისწინა ბოლოდროინდელი საერთაშორისო ტენდენცია იმის თაობაზე, რომ შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობის მქონე პირთათვის მეტი ავტონომიურობის მინიჭება მათზე გაწეული მზრუნველობითი ღონისძიებების შემცირების ხარჯზე, გაცილებით მეტი სარგებლის მომტანია ასეთი პირებისათვის, ვიდრე მათი ქმედუნარიანობის ინტენსიური შეზღუდვა. ასეთი პირები უმეტეს შემთხვევაში თავიანთი ნების ფორმირებასა და გადაწყვეტილების მიღებას თავიანთი ინტერესების შესაბამისად ახორციელებენ. ამიტომ არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმები, რომლებშიც „სულით ავადმყოფის" ან „ჭკუასუსტის" შინაარსი ითვალისწინებდა ასეთი პირების ქმედუუნაროდ მიჩნევას მათი ინდივიდუალური გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინების გარეშე. შესაბამისი ცვლილებები შევიდა სამოქალაქო კოდექსში. ამჟამად ქმედუნარიანად ითვლება ფსიქოსოციალური დახმარების საჭიროების მქონე ყველა პირი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური და გონებრივ-ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას. ასეთი დაბრკოლებები სათანადო რჩევებისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად ართულებს პირის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვას და გააზრებული არჩევანის გაკეთებას. ფსიქოსოციალური დახმარების საჭიროების მქონედ შეიძლება ჩაითვალოს არა მარტო სრულწლოვანი პირი, არამედ 7-დან 18 წლამდე არასრულწლოვანიც. ამიტომ ასეთ პირს სასამართლოს მიერ უწესდება მხარდაჭერა, მხარდაჭერის მიმღებს კი ენიშნება მხარდამჭერი, რომელიც ვალდებულია სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ფარგლებში განახორციელოს შესაბამისი რჩევები და დახმარება.

მეურვეობისა და მზრუნველობისაგან განსხვავებით, მხარდაჭერა ითვალისწინებს ქმედუნარიან პირთა განსაზღვრული კატეგორიისათვის რჩევა-დარიგებებისა და რეალური დახმარების განხორციელებას სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მათი სრულფასოვნად მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით.

2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილი პირები ასეთებად რჩებიან მათ ინდივიდუალურ შეფასებამდე, სამოქალაქო კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანამდე

მოქმედი ნორმების შინაარსის გათვალისწინებით.

სამოქალაქო კოდექსის 1508[1]-ე მუხლის საფუძველზე ქმედუუნაროდ აღიარებული პირის სტატუსის შეცვლის მიზნით – სამეურვეო პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობისა და მისი ინდივიდუალური შეფასებისათვის – მეურვე, სტაციონარული ფსიქიატრიული და სპეციალიზებული დაწესებულებები ვალდებული არიან მიმართონ სასამართლოს განსაზღვრული დროის განმავლობაში. მანამდე კი შეუფერხებლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს.

მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოებია: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი დაწესებულება-სააგენტო, აგრეთვე მისი ტერიტორიული ორგანოები. მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების მუშაობის წესს განსაზღვრავს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ძირითად ფუნქციებს ადგილობრივი ორგანოები – შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის რაიონული და საქალაქო სამსახურები ახორციელებენ. ისინი თავიანთ საქმიანობას წარმართავენ როგორც ცენტრალური ორგანოს, ისე მუნიციპალური მმართველობის საერთო ხელმძღვანელობით.

9.2. მეურვის, მზრუნველისა და მხარდამჭერების დანიშვნის წესი და პირობები

მეურვე ან მზრუნველი უნდა დაინიშნოს არა უგვიანეს ერთი თვისა, იმ დროიდან, როდესაც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის ცნობილი გახდება მეურვეობის ან მზრუნველობის დაწესების აუცილებლობა. კანონით კი ზუსტად არის განსაზღვრული, თუ როდის უნდა დაწესდეს მეურვეობა და მზრუნველობა. სამოქალაქო კოდექსის 1279-ე მუხლის მიხედვით, ბავშვისათვის მეურვეობა და მზრუნველობა შეიძლება დაწესდეს იმ შემთხვევაში, როდესაც: ა) სასამართლო აცნობებს ბავშვის ორივე მშობლისათვის მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შეზღუდვის ან ჩამორთმევის შესახებ; ბ) შეჩერებულია მშობლის უფლებები და მოვალეობები; გ) გარდაცვლილია ბავშვის ორივე მშობელი; დ) ბავშვისათვის დანიშნული მეურვე

გარდაიცვალა ან მას თავისი ფუნქციები ჩამოერთვა; ე) სასამართლო ბავშვს მიტოვებულად აღიარებს; ვ) მშობელი უგზო-უკვლოდ დაკარგულად არის აღიარებული. ბავშვზე მეურვეობა, საბოლოო ჯამში, უნდა დაწესდეს, მიუხედავად იმისა, მშობლები თავიანთ ფუნქციებს ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით ვერ ასრულებენ სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო. მშობლების ბრალეულობა ასეთ შემთხვევებში გადამწყვეტი არ არის. მთავარია ბავშვის ინტერესები. ამიტომ მეურვეობა შეიძლება დაუწესდეთ ბავშვებს, რომელთაც არ ჰყავთ მშობლები ან ჰყავთ, მაგრამ ავადმყოფობის ან სხვა მიზეზების გამო არა აქვთ შესაძლებლობა განახორციელონ თავიანთი უფლება-მოვალეობანი შვილების აღზრდასთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევებში მშობლების მიმართ ობიექტური კრიტერიუმის არსებობა მათ არაბრალეულობაზე მიანიშნებს. სულ სხვა მდგომარეობაა მაშინ, როცა ბავშვს მშობლები ჰყავს, მაგრამ ისინი თავს არიდებენ აღზრდის მოვალეობას. ასეთ შემთხვევაში სახეზეა მშობლების ის სუბიექტური დამოკიდებულება უფლება-მოვალეობებისადმი, რაც მშობელთა ბრალეულ ქცევაზე მეტყველებს. ასეთ შემთხვევაშიც ხდება მეურვეობის დაწესება. ზემოაღნიშნული არც ერთი კრიტერიუმი იმპერატიულ საფუძველს არ წარმოადგენს ბავშვზე მეურვეობის დასაწესებლად.

სამეურვეო და სამზრუნველო ფუნქციების განსახორციელებლად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები ნიშნავენ მეურვეს ან მზრუნველს. **ერთმანეთისაგან განსხვავდება, ერთი მხრივ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებისა და, მეორე მხრივ, მეურვედ ან მზრუნველად დანიშნული პირების სამეურვეო და სამზრუნველო ფუნქციები.** შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ადგილობრივი სამსახურები შესაბამის სფეროში ახორციელებენ სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციებს. მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესება, აგრეთვე მეურვის ან მზრუნველის დანიშვნა სახელმწიფო ხელისუფლების აქტია. ასეთი აქტი ადმინისტრაციული აქტის ნაირსახეობაა, რომელთანაც დაკავშირებულია განსაზღვრული უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა. რაც შეეხება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ დანიშნული მეურვის ან მზრუნველის საქმიანობას, ეს უკვე სახელმწიფო საქმიანობა კი არა, არამედ უმეტესად ბავშვთა აღზრდის სფეროში ოჯახური ფუნქციის განხორციელებაა. ამიტომაცაა, რომ მეურვეობა და მზრუნველობა, უპირველესად, საოჯახო-სამართლებრივ ინსტიტუტად ითვლება.

კანონში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ **მეურვე ან მზრუნველი შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მათი თანხმობით.** ამ დებულებას დიდი მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა კანონმდებლობით არ იყო აუცილებელი მათი თანხმობა. მეურვეობა და მზრუნველობა ითვლებოდა ნებისმიერი მოქალაქის საჯარო მოვალეობად და მისი ნების გარეშეც შეიძლებოდა იგი დანიშნულიყო მეურვედ ან მზრუნველად. მართალია, შემდეგ ეს წესი უარყოფილ იქნა, მაგრამ იმის საუკეთესო მაგალითად დარჩა, თუ რა დონეზე ერეოდა სახელმწიფო საოჯახო ურთიერთობათა სამართლებრივ რეგულირებაში. მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტის კეთილმყოფელი გავლენა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული ფუნქციების განხორციელება მეურვის ან მზრუნველის მიერ ნებაყოფლობის საწყისებზე ხდება. უფრო მეტიც, მართალია, კანონი მხოლოდ იმ პირის თანხმობას თვლის აუცილებლად, რომელიც მეურვედ ან მზრუნველად უნდა დაინიშნოს, მაგრამ პრაქტიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ასეთი პირის მეუღლის ან ოჯახის სხვა სრულწლოვანი წევრების თანხმობაც. მათი სურვილების გაუთვალისწინებლობა ხშირად გამხდარა შემდგომში მეურვეობისა და მზრუნველობის გაუქმების ან ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძველი. მეურვეობასა ან მზრუნველობაზე პირის თანხმობა სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი აუცილებლად უნდა დაინიშნოს მეურვედ ან მზრუნველად. ამისათვის სხვა მოთხოვნებსაც უნდა პასუხობდეს იგი. მიუხედავად ამისა, სურვილის გამოვლენა იმის შესახებ, რომ პირი თანახმაა ნებაყოფლობით იკისროს მეურვეობის ან მზრუნველობის ფუნქციის განხორციელება, დღევანდელ პირობებში ნებისმიერი მოქალაქის უდიდეს ზნეობრივ მოვალეობას წარმოადგენს.

კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევასაც, როცა არა მარტო იმ პირის ნებართვაა საჭირო, რომელიც შეიძლება მზრუნველად დაინიშნოს, არამედ იმ პირისაც, ვისაც უნდა დაენიშნოს მზრუნველი. ეს იმ შემთხვევაშია სავალდებულო, როცა მზრუნველის შერჩევა ხდება იმ სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირისათვის, რომელსაც ჯანმრთელობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად დაიცვას თავისი უფლებები და ინტერესები. ასეთი წესი უფრო მეტ გარანტიას ქმნის სამზრუნველო ფუნქციების დანიშნულებისამებრ განსახორციელებლად. მიზანშეწონილია ასეთი წესი გავრცელებულ იქნეს არასრულწლოვანისათვის მზრუნველის შერჩევის დროს, განსაკუთრებით მაშინ, თუ იგი ათი წლის ასაკს გადაცილებულია. შესაძლებელია, აგრეთვე სხვა პირის ნების

გამოვლენაც მნიშვნელოვანი იყოს მეურვის ან მზრუნველის დანიშვნის დროს. კანონმა გაითვალისწინა ისეთი სპეციფიკური შემთხვევაც, როცა მეურვე ან მზრუნველი შეიძლება დაინიშნოს გარდაცვლილი მშობლების ადრე გამოხატული მითითებისამებრ ნოტარიალურად ან თუ ნოტარიუსი ხელმისაწვდომი არ არის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დამოწმებული დოკუმენტის – ანდერძის საფუძველზე. თანხმობის მიმცემ პირთა წრის გაფართოება განპირობებულია მეურვის ან მზრუნველის სწორად შერჩევის აუცილებლობით. ამაზე ბევრად არის დამოკიდებული სამეურვეო ან სამზრუნველო პირის შემდგომი ცხოვრება.

მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესების აუცილებლობის წარმოშობიდან მეურვის ან მზრუნველის დანიშვნისათვის დადგენილი ერთთვიანი ვადის განსაზღვრა განპირობებულია იმით, რომ დიდხანს არ დარჩეს პირი სათანადო ზრუნვის გარეშე, ამასთან ერთად, კარგად შეირჩეს მეურვის ან მზრუნველის კანდიდატურა. მეურვის ან მზრუნველის დანიშვნის შესახებ შესაბამისი აქტის მიღებამდე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ეკისრება მეურვის ან მზრუნველის სათანადო სამართლებრივი ვალდებულებების განხორციელება სამეურვეო ან სამზრუნველო პირის მიმართ. ამასთან, უნდა მოხდეს საქმის გარემოებათა დაზუსტება, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ უნდა გაარკვიოს: გასაწევი დახმარების ხასიათი; მეურვეობისა ან მზრუნველობის დაწესების შესახებ შემოსული განცხადების ნამდვილობის საკითხი; იმ პირის მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობები, რომელიც ითხოვს მეურვეობის ან მზრუნველობის დაწესებას; იმ პირთა წრე, რომლისგანაც შეიძლება შეირჩეს მეურვე ან მზრუნველი და მათი პირობები; შესაძლებელია თუ არა ბავშვის მეურვის ან მზრუნველის ოჯახში ცხოვრება და სხვ. შემდეგ კი, მოკვლეული მასალების ანალიზის საფუძველზე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ უნდა გადაწყვიტოს მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესების საკითხი. სწორედ ამ მომენტიდან იანგარიშება მეურვის ან მზრუნველის დანიშვნის ერთთვიანი ვადა. რაც შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილებას პირის შეზღუდულქმედუნარიანად აღიარებისა და მისთვის მზრუნველობის დაწესების მიზანშეწონილობის შესახებ, იგი მზრუნველის დანიშვნისათვის აუცილებელი ერთთვიანი ვადის ათვლის საფუძვლად ხდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში მიღების დღიდან.

გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდება მხარდამჭერის

დანიშვნა. სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ, ვალდებულია იმავე გადაწყვეტილებით დანიშნოს მხარდამჭერი. ამავე დროს, მან უნდა განსაზღვროს მხარდაჭერის ფარგლები და მხარდამჭერის უფლებამოვალეობები. სასამართლოს გადაწყვეტილება, მისი კანონიერ ძალაში შესვლიდან 3 დღის განმავლობაში ეგზავნება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მხარდაჭერის მიმღების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მხარდამჭერად ძირითადად უნდა დაინიშნოს მხარდაჭერის მიმღების ოჯახის წევრი, ნათესავი, ახლობელი. შესაძლებელია აგრეთვე სხვა კომპეტენტური პირის დანიშვნაც. ეს უმეტესად ისეთ შემთხვევებში, როცა სასამართლო მხარდაჭერის მიმღების ახლობლებიდან ვერ ახერხებს შესაბამისი პირის შერჩევას. ასეთ შემთხვევაში იგი მხარდამჭერად ნიშნავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილ პირს, ხოლო თუ მხარდაჭერის მიმღები პირი სპეციალიზებულ დაწესებულებაშია მოთავსებული – ამ დაწესებულების წარმომადგენელს.

მხარდამჭერის შერჩევისას სასამართლო ითვალისწინებს მის პიროვნულ თვისებებს, მხარდამჭერის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულების უნარს, მხარდამჭერისა და მხარდაჭერის მიმღების ურთიერთდამოკიდებულებას, მხარდაჭერის მიმღების ინტერესებსა და ნებას, ხოლო თუ მხარდაჭერის მიმღები არასრულწლოვანია – მისი მშობლების მითითებას. პირი მხარდამჭერად, მეურვისა და მზრუნველის მსგავსად, შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მისი თანხმობით.

მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტის დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აგრეთვე კონკრეტული ფუნქციების სწორად და მეურვეობასა ან მზრუნველობაში მყოფი პირის ინტერესების შესაბამისად განხორციელების აუცილებლობის მხედველობაში მიღებით, კანონი ზოგიერთ პირს უკრძალავს მეურვის, მზრუნველის ფუნქციის შესრულებას. ასეთი აკრძალვა გამომდინარეობს იმ უფლებამოსილებათა შინაარსიდან, რომელიც მეურვის ან მზრუნველისთვისაა დამახასიათებელი. სავსებით ლოგიკურია ის, რომ არ შეიძლება მეურვის, მზრუნველის ფუნქცია შეასრულოს თვრამეტ წელს მიუღწეველმა პირმა. ასეთი პირი არასრულწლოვანია და უმეტესად თავისი უფლებების განხორციელება და ინტერესების დაცვა დამოუკიდებლად არ შეუძლია, ამ ასაკის პირებს თვითონ შეიძლება დასჭირდეთ მზრუნველობა. აღნიშნულ შემთხვევებში, იმ პირთა ბრალი, რომელთაც ეკრძა-

ლებათ მეურვეობა და მზრუნველობა, სახეზე არ არის. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ ასაკობრივ მდგომარეობას. სამოქალაქო კოდექსის 1283-ე მუხლი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებსაც, როცა პირს მეურვეობა ან მზრუნველობა ეკრძალება თავისი ბრალეული მოქმედების გამო. არ შეიძლება მეურვედ ან მზრუნველად დაინიშნოს პირი, რომელიც თავისი შვილის მიმართ სათანადოდ ვერ ასრულებდა მშობლიურ უფლება-მოვალეობებს და ამის გამო მას შეუზღუდეს ან ჩამოართვეს მშობლის უფლება. ასეთი აკრძალვა არ ვრცელდება ისეთ პირებზე, რომელსაც უკვე აღუდგათ პირვანდელი მდგომარეობა. არ შეიძლება აგრეთვე იმ პირის ხელახლა დანიშვნა მეურვედ ან მზრუნველად, რომელიც უკვე იყო ასეთად დანიშნული, მაგრამ, რადგან ჯეროვნად არ ასრულებდა მასზე დაკისრებულ ფუნქციებს, გათავისუფლებულ იქნა მეურვის ან მზრუნველის მოვალეობისაგან. კანონში მითითებული იმ პირთა წრე, რომელთა დანიშვნა მეურვედ ან მზრუნველად არ შეიძლება, ამომწურავი არაა. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, კონკრეტული საქმისა და ცალკეულ კანდიდატთა შესწავლის საფუძველზე, გადაწყვეტს კიდევ ვინ არ შეიძლება დაინიშნოს მეურვედ ან მზრუნველად. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მან კანონის მიერ დადგენილი აკრძალვის მიუხედავად, მასში ჩამოთვლილ პირთაგან დანიშნოს ვინმე მეურვედ ან მზრუნველად. კანონის კატეგორიული აკრძალვა მხოლოდ მასში ჩამოთვლილ პირებს ეხება, დანარჩენთა საკითხს წყვეტს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. მსგავსი კრიტერიუმები არსებობს მხარდამჭერების მიმართაც.

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ქონებაზე მეურვეობის დაწესების შესაძლებლობას. ეს, უპირველეს ყოვლისა, ხდება მაშინ, როცა პირს უწესდება მეურვეობა ან მზრუნველობა და მას ქონება გააჩნია არა საცხოვრებელ, არამედ სხვა ადგილას. საცხოვრებელ ადგილად, როგორც ცნობილია, მიიჩნევა ის ადგილი, რომელსაც ირჩევს პირი, თანაც პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. თუ ქონება არის იმ ადგილას, სადაც მეურვეობაში ან მზრუნველობაში მყოფი პირი ცხოვრობს, იგულისხმება, რომ მეურვე ან მზრუნველი უვლის და მართავს მის ქონებას. მაგრამ, თუ ქონება სხვა ადგილზეა, მისი დაცვა და მართვა, უნდა დაეკისროს არა მესაკუთრის მეურვეს ან მზრუნველს, არამედ სხვა პირს – ქონების მეურვეს (ან მზრუნველს). ეს ხდება მაშინ, თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, რომელსაც ეკისრება მეურვეობაში ან მზრუნველობაში მყოფი პირის ქონებრივი

ინტერესების დაცვა, მივა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია ასეთი პირის ქონებისათვის სპეციალური მეურვის დანიშვნა. ქონებაზე მეურვის დანიშვნა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს: მშობლები; მამკვიდრებელი, რომელიც ქონებას მემკვიდრეობით გადასცემს ბავშვს და დაასახელებს რომელიმე პირს (მშობლების გარდა), რომელიც უნდა გახდეს ქონების მეურვე; მეურვე ან მზრუნველი.

ქონების მეურვე უვლის ქონებას და მართავს მას მესაკუთრის ინტერესების შესაბამისად. ეს წესი ვრცელდება იმ პირთა ქონებაზეც, რომლებიც აღმზრდელობით ან სპეციალურ დაწესებულებებში არიან მოთავსებული. მათი ქონებრივი ინტერესების დასაცავად, აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება დაინიშნოს მათი ქონების მეურვე. ასეთი აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას ისეთ შემთხვევაში, როცა პირი მარტოხელაა და გააჩნია განსაზღვრული ქონება ან მემკვიდრეობით მიიღო ქონება და სხვ. ბუნებრივია, სამეურვეო ან სამზრუნველო პირს, რადგან არა აქვს შესაძლებლობა უშუალოდ განახორციელოს ქონებრივი უფლებები, ქონება მოსავლელად და სამართავად უნდა გადაეცეს სხვა პირს. აღნიშნულ შემთხვევებში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მიერ ქონებაზე მეურვეობის დაწესება და მეურვის დანიშვნა, საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობათა ფარგლებში, პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვის სავალდებულო ხასიათის დანამატს წარმოადგენს. სულ სხვა მდგომარეობაა მაშინ, როცა საქმე ეხება იმ პირის ქონების სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრას, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცხადებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ კანონით მემკვიდრეები მოიპოვებენ უფლებას უკვალოდ დაკარგულის ქონება მართონ მინდობილი საკუთრების სახით. ამ დროს წარმოშობილი ურთიერთობა რეგულირდება სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის ნორმებით (სამოქალაქო კოდექსის სახელშეკრულებო სამართლის მეორე ნაწილის მეთოთხმეტე თავი). მინდობილ მესაკუთრეს უფლება აქვს სამართავად მინდობილი ქონებიდან მიიღოს სარგებელი, აგრეთვე განკარგოს იგი იმ ნაწილში, რომელიც საჭიროა უკვალოდ დაკარგული პირის კმაყოფაზე მყოფთა სარჩენად და ვალების დასაფარად. მინდობილი მესაკუთრე მესამე პირთან ყოველგვარ ურთიერთობაში სარგებლობს მესაკუთრის უფლე-

ბამოსილებით[1]. ამ დროს თუ იგი არ იჩენს სათანადო გულისხმიერებას, ვალდებულია აანაზღაუროს ასეთი მოქმედებით გამონვეული ზიანი. მინდობილი საკუთრების მართვასთან დაკავშირებით, ყველა ხარჯი უნდა ანაზღაურდეს მინდობილი ქონებიდან. მიუხედავად იმისა, რომ უკვალოდ დაკარგული პირის ქონების სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება არა წმინდა საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში, მის ძირითად დანიშნულებად მაინც რჩება არა მარტო უკვალოდ დაკარგული პირის ქონებრივი ინტერესების დაცვა მისი დაბრუნების ან ადგილსამყოფელის აღმოჩენის შემთხვევაში, არამედ მისი ოჯახის წევრთა უფლებებისა და ინტერესების დაცვაც. ამ მხრივ იგი ქონებაზე მეურვეობის დაწესების ინსტიტუტს ემსგავსება.

9.3. მეურვის, მზრუნველისა და მხარდამჭერის უფლება-მოვალეობანი

მეურვისა და მზრუნველის უფლება-მოვალეობათა ანალიზისას მხედველობაშია მისაღები ის, რომ სრულწლოვანებას მიუღწეველი პირის მეურვის ან მზრუნველის უფლებები და მოვალეობები თითქმის იგივეა, რაც ბიოლოგიური მშობლებისა. ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, მათ არ ევალებათ მეურვეობაში მყოფი პირების რჩენა. მართალია, ისინი განსაზღვრულ საქმიანობას ეწევიან რჩენის უზრუნველსაყოფად, მაგრამ ეს ხდება მეურვეობაში მყოფი პირის ქონების ან სხვა ფულადი შემოსავლის და არა საკუთარ ხარჯზე. ამიტომ, როცა მეურვის ან მზრუნველის უფლებებზეა საუბარი, იგულისხმება, რომ ისინი იმავე მოცულობითა და შინაარსით აქვთ მათ როგორც მშობლებს.

მეურვეებსა და მზრუნველებს უფლება აქვთ უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა სამეურვეო ან სამზრუნველო პირის აღზრდაში. მათ უფლება აქვთ აღსაზრდელად და სასწავლებლად გადასცენ ისინი სხვა პირებს ან ამა თუ იმ აღმზრდელობითი ხასიათის საბავშვო დაწესებულებებს (ბაგა-ბაღები, სკოლები და სხვ.). მზრუნველს შეუძლია მოითხოვოს შრომითი ხელშეკრულების გაბათილება, რომელიც დადებულია მზრუნველობაში მყოფი პირის მიერ თავისი ინტერესების ან

[1] დაწვრილებით იხ. **თ. ზამბახიძე**, საკუთრების მინდობის სამართელბრივი პრობლემები. დისერტაცია, თბ., 2001.

ჯანმრთელობის საზიანოდ. ასეთივე უფლება გააჩნია მას ისეთ შემთხვევაშიც, როცა სახეზეა სამოქალაქო-სამართლებრივი კონტრაქტები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთ კონტრაქტს სარგებლის მოტანა შეუძლია არასრულწლოვანისათვის (სამოქალაქო კოდექსის მე-15 მუხლი). ასეთ შემთხვევაში იგულისხმება, რომ არასრულწლოვანის მოქმედება არ არის მისი ინტერესების საწინააღმდეგო. აღნიშნულიდან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურია, რომ მეურვეს ან მზრუნველს უფლება ჰქონდეს მოითხოვოს ბავშვის დაბრუნება ნებისმიერი პირისაგან, რომელსაც უკანონოდ ჰყავს მეურვეობაში ან მზრუნველობაში უკვე მყოფი პირი. თანაც ეს უფლება უზრუნველყოფილია არა მარტო მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს კონფლიქტში ჩარევის, არამედ სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობით. სამოქალაქო კანონმდებლობით მეურვეს გააჩნია საზღვარგარეთ არამართლზომიერად გადაადგილებული ან დაკავებული ბავშვის დაბრუნებისა და მასთან ურთიერთობის უფლება. მეურვეს ან მზრუნველს შეიძლება მხოლოდ მაშინ ეთქვას უარი ბავშვის დაბრუნებაზე, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მეურვის ან მზრუნველის ოჯახში არსებული არაჯანსაღი საყოფაცხოვრებო პირობები ხელს უშლის ბავშვის ნორმალურ აღზრდას, მეურვე ან მზრუნველი ცუდად ეპყრობა მას, არ ახორციელებს მასზე სათანადო ზედამხედველობას და ბავშვის უკან დაბრუნება მისი ინტერესების დარღვევას გამოიწვევს. სასამართლოს უარი მეურვისათვის ან მზრუნველისათვის ბავშვის დაბრუნებაზე, საფუძველი უნდა იყოს მეურვეობის ან მზრუნველობის შეწყვეტისათვის.

მეურვეები და მზრუნველები, ძირითადად, სამეურვეო ან სამზრუნველო პირთა ნათესავები ან ახლობლები არიან. ამიტომ, ბუნებრივია, კანონი თვლის, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის შესრულება მათი ზნეობრივი მოვალეობაა და არ შეიძლება მას ანაზღაურებადი ხასიათი ჰქონდეს, რადგან მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესებაში ნებელობით მხარეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ახლობლებთაგან უარის შემთხვევაში, ბავშვი აღსაზრდელად უნდა გადაეცეს საბავშვო აღმზრდელობით დაწესებულებას, რომლის ადმინისტრაციაც უსასყიდლოდ ასრულებს მეურვის ან მზრუნველის ფუნქციას.

მეურვისა და მზრუნველის მოვალეობათა ანალიზისას მხედველობაშია მისაღები ის სპეციფიკური თავისებურებები, რომლებიც, ერთი მხრივ, არასრულწლოვანისა და მეორე მხრივ, სრულწლოვანი პირების მეურვეობისა და მზრუნველობისთვისაა დამახასიათებელი. არასრულ-

ნლოვანი პირის მეურვე ან მზრუნველი ვალდებულია აღზარდოს იგი სულიერად, ხელი შეუწყოს მის ფიზიკურ განვითარებას, იზრუნოს მისი განათლებისა და ზნეობრივი კულტურის ჩამოყალიბებისათვის. მეურვისა და მზრუნველის ეს ზოგადი მოვალეობები სრულად ემთხვევა მშობლების მოვალეობებს, რითაც ხაზგასმულია ორივე კატეგორიის პირთა უპირველესი ამოცანა – ახალგაზრდა თაობის ნორმალურად აღზრდისათვის ყოველგვარი პირობების შექმნა.

კანონი შედარებით აკონკრეტებს ზოგად მოვალეობებს. კერძოდ, მეურვე და მზრუნველი მოვალენი არიან იზრუნონ ბავშვის რჩენისათვის, შეუქმნან მას აუცილებელი ყოფითი პირობები. მეურვისა და მზრუნველის ოჯახში მეურვეობასა და მზრუნველობაში მყოფი პირისათვის უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, რომელშიც იგი თავს იგრძნობს როგორც მშობლიურ ოჯახში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კვების რეჟიმის დაცვასა და ნორმალური სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შექმნას. მეურვის ან მზრუნველის მხრივ მეურვეობასა და მზრუნველობაში მყოფი პირის რჩენისათვის ზრუნვა სრულებითაც არ ნიშნავს რჩენის ვალდებულებას. ფულადი სახსრები, რომლებიც ერგება სამეურვეო პირს პენსიის, დახმარების, ალიმენტის ან სხვა სახით, გადადის მეურვის განკარგულებაში და იხარჯება მის მიერ სამეურვეო პირის სარჩენად. თუ ეს სახსრები ამ მიზნით საკმარისი არ არის, მაშინ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ნებართვით, შეიძლება მათი მიღება სამეურვეო პირის სხვა ქონებიდან. ასეთი ქონების არარსებობის შემთხვევაში, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო გამოყოფს სამეურვეო პირის რჩენის სახსრებს.

მეურვესა და მზრუნველს სისტემატური კავშირი უნდა ჰქონდეს სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებისა და სკოლის აღმზრდელ პედაგოგებთან და ასრულებდეს მათ რჩევებს. ავადმყოფობის ან აღზრდის პროცესში გამოვლენილ სხვა პათოლოგიურ გადახრათა აღმოსაფხვრელად არასრულწლოვანს უნდა გაეწიოს კვალიფიციური სამედიცინო დახმარება. სამზრუნველო პირი თუ შრომით ურთიერთობაშია ჩაბმული, მზრუნველი უნდა ცდილობდეს იმას, რომ შრომა და სწავლა რაციონალურად იქნეს ერთმანეთთან შეხამებული. ამასთან, მზრუნველი ყურადღებას უნდა აქცევდეს თუ რამდენად გონივრულად განკარგავს სამზრუნველო პირი თავის შრომით შემოსავალს, თუ რამდენად კულტურულად და მისთვის სასარგებლოდ ატარებს დასვენების დღეებს, რამდენად ეფექტურად არის იგი ჩაბმული საოჯახო

მეურნეობის წარმართვაში.

სრულწლოვანი პირების მზრუნველობისათვის აღზრდის მომენტი არ არის დამახასიათებელი. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ მზრუნველი მოვალეა ყველა პირობა შეუქმნას მზრუნველობაში მყოფ პირს სრულფასოვანი ცხოვრებისათვის, თუ მათ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ დამოუკიდებლად განახორციელონ თავიანთი უფლება-მოვალეობანი. ყველა იურიდიულ მოქმედებას მზრუნველობაში მყოფი პირი თავითონ ასრულებს, მზრუნველი კი ხელს უწყობს, ეხმარება მას თავისი ინტერესების დაცვაში. მართალია, კანონი არაფერს ამბობს იმ პირთა მზრუნველობაზე, რომელთაც სასამართლოს მიერ შეზღუდული აქვთ ქმედუნარიანობა (ალკოჰოლიკები და ნარკომანები), მაგრამ იგულისხმება, რომ მათ მზრუნველებს უფრო სპეციფიკური მოვალეობები აკისრიათ. ასეთ შემთხვევებში მზრუნველობა მკაცრად განსაზღვრულ ამოცანებს ემსახურება და მზრუნველი აკონტროლებს ალკოჰოლიკს ან ნარკომანს თავისი ქონების ან შემოსავლის განკარგვაში. კონტროლის მიზანი ის არის, რომ მან განკარგვის უფლებამოსილება არ გამოიყენოს ოჯახისა და თავისი ინტერესების საწინააღმდეგოდ. მართალია, მზრუნველის ვალდებულებათა იურიდიულ საზღვრებში არ შედის სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანთა მიმართ ზრუნვა და დახმარების გაწევა მათი ინტერესების დაცვის მიზნით, მაგრამ ცხოვრებაში მზრუნველები მაინც ასრულებენ ასეთ ფუნქციებს. ამას განაპირობებს ის გარემოება, რომ ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების მზრუნველებად, ჩვეულებრივ, ნიშნავენ მათ მეუღლეებსა და ოჯახის სხვა წევრებს, რომლებიც ისედაც ვალდებული არიან იზრუნონ ასეთ პირებზე. მათ ქმედებაზე კონტროლის განხორციელებაც ოჯახის წევრის მხრიდან უფრო ეფექტური ხასიათისაა. სწორედ ამიტომ კანონმა თავი შეიკავა სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიან პირთა მზრუნველობის მოვალეობათა სპეციფიკურობის განსაზღვრისაგან.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ განსაზღვრული კონკრეტული მეურვე და მზრუნველი, რომელიც დანიშნულ იქნა სამეურვეო ან სამზრუნველო პირის კანონიერ წარმომადგენლად, განსაკუთრებული უფლებამოსილების გარეშე წარმოადგენს სამეურვეო ან სამზრუნველო პირის უფლებებსა და ინტერესებს მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის სასამართლოში.

მეურვესა და მზრუნველს შეუძლიათ ასეთი წარმომადგენლობა

გასწიონ ნებისმიერ დაწესებულებაში, მაგალითად, სკოლაში, საავადმყოფოში და სხვ., სადაც კი მეურვეობაში ან მზრუნველობაში მყოფი პირის ინტერესების დაცვის საკითხი დადგება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეურვეთა და მზრუნველთა გამოსვლა სასამართლოში. სამოქალაქო-საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია, რომ ქმედუუნარო პირთა, ნაწილობრივ ქმედუნარიანთა და შეზღუდულქმედუნარიანთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა სასამართლოში ევალებათ მათ მშობლებს, მშვილებლებს, მეურვეებს ან მზრუნველებს, რომლებიც სასამართლოს წარუდგენენ მათ უფლებამოსილებათა დამადასტურებელ დოკუმენტებს. ეს იმას ნიშნავს, რომ მეურვის ან მზრუნველის უფლებამოსილება სხვადასხვა პროცესუალურ მოქმედებათა შესრულებაზე დასტურდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ გაცემული მოწმობის საფუძველზე და სხვა რაიმე საბუთი ან მინდობილობა სასამართლო საქმისწარმოებისათვის საჭირო არ არის. ასეთ შემთხვევებში სახეზეა მეურვეებისა და მზრუნველების კანონიერი პროცესუალური წარმომადგენლობა. ასეთი წარმომადგენლობა განსხვავდება კანონიერი სამოქალაქო-სამართლებრივი წარმომადგენლობისაგან. ეს უკანასკნელი გულისხმობს მეურვეობაში მყოფი პირის სახელითა და მისი ინტერესებიდან გამომდინარე, მეურვის მიერ ყოველგვარი სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების დადებას, მზრუნველების მიერ კი – მზრუნველობაში მყოფი პირის მიერ გარიგებათა დადების დროს ზედამხედველობის განხორციელებას და თანხმობის მიცემას, წვრილმანი ყოფითი გარიგებების გარდა. ამ მატერიალური ხასიათის სამოქალაქო-სამართლებრივ მოქმედებათა შესრულებასაც არ სჭირდება სპეციალური უფლებამოსილება.

მეურვესა და მზრუნველს უფლება აქვთ, თავის მხრივ, სამეურვეო და სამზრუნველო პირთა უფლებების განხორციელების პროცესში, იურიდიული დახმარებისათვის მიმართონ ადვოკატს ან სხვა პირს, როგორც მათ წარმომადგენელს. ასეთ შემთხვევაში სასამართლოში სამეურვეო ან სამზრუნველო პირის ინტერესები შეიძლება დაიცვას ორმა წარმომადგენელმა – კანონის საფუძველზე დანიშნულმა და ხელშეკრულებით განსაზღვრულმა.

მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საცხოვრებელი ადგილის საკითხს. იგი ეხება არა მარტო მეურვის ან მზრუნველის, არამედ სამეურვეო ან სამზრუნველო პირის საცხოვრებელ ადგილს. მის სწორ გადაწყვეტაზე

მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სამეურვეო და სამზრუნველო ფუნქციების ეფექტურად განხორციელება. ამიტომაა, რომ სამოქალაქო კოდექსში ამ საკითხს ცალკე, 1291-ე მუხლი ეძღვნება. არასრულწლოვნების მიმართ მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესების ამოცანებიდან გამომდინარე, საერთო წესის სახით განსაზღვრულია, რომ მეურვე და მზრუნველი ვალდებული არიან იცხოვრონ არასრულწლოვან სამეურვეო ან სამზრუნველო პირებთან ერთად. ეს უმეტესად ხდება მეურვის ან მზრუნველის ოჯახში. ბავშვთა აღზრდის ინტერესებიდან გამომდინარე, ზოგჯერ აუცილებელია სამეურვეო ან სამზრუნველო პირის ოჯახში ან ბინაში გადავიდეს საცხოვრებლად მეურვე ან მზრუნველი. ყველა შემთხვევაში ლაპარაკია მათი ერთად ცხოვრების აუცილებლობაზე. ამ საერთო წესიდან გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნეს სამზრუნველო პირისა და მისი მზრუნველის მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო დარწმუნდება იმაში, რომ მზრუნველისა და სამზრუნველო პირის ცალ-ცალკე ცხოვრება უარყოფით გავლენას არ მოახდენს სამზრუნველო პირის აღზრდაზე, ან ამით არ შეილახება ამ უკანასკნელის ინტერესები. ასეთ შემთხვევაში საჭიროა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ოფიციალური ნებართვა.

საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის შემთხვევაში მეურვეები და მზრუნველები ვალდებული არიან ამის შესახებ აცნობონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. ამ ვალდებულების მიზანია მეურვეს ან მზრუნველს და სამეურვეო ან სამზრუნველო პირს შორის შეწყვეტილი პირადი კონტაქტის აღდგენა და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მიერ მეურვისა და მზრუნველის საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელების ეფექტურობა.

მეურვეებსა და მზრუნველებს სამეურვეო და სამზრუნველო პირებთან ერთად ცხოვრება ევალებათ ამ უკანასკნელთა მიერ სრულწლოვანების მიღწევამდე. ასეთი ვალდებულება გამომდინარეობს სამოქალაქო და შრომის კანონმდებლობის შინაარსიდან. შვიდ წლამდე მცირეწლოვანის საცხოვრებელ ადგილად მიჩნეულია მისი მშობლების, მშვილებლების ან მეურვის საცხოვრებელი ადგილი. მათი ცალ-ცალკე ცხოვრება არ შეიძლება. მხოლოდ შვიდიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვნისა და მისი მზრუნველის ცალ-ცალკე ცხოვრების შესაძლებლობაა დაშვებული და ისიც განსაზღვრული პირობების არსებობისას. საქართველოს კანონმდებლობით არასრულწლოვან პირთა

ქვედა ზღვარი ძალზე დაბალია და იგულისხმება, რომ 8, 10 ან 12 წლის ასაკის პირისათვის მზრუნველისაგან ცალკე ცხოვრება მიზანშეწონილი არ არის. მზრუნველისა და მზრუნველობაში მყოფი პირის ცალ-ცალკე ცხოვრება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ შეიძლება შესაძლებლად ჩათვალოს სამზრუნველო პირის მიერ 16 წლის ასაკის მიღწევიდან, ე.ი. იმ პერიოდიდან, როცა დგება შრომითი სრული ქმედუნარიანობა, ანუ შრომითი სრულწლოვანება. ამ ასაკიდან არასრულწლოვანს გარკვეული დამოუკიდებლობა ენიჭება, გამოდის სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტად და სხვ. ამიტომ მიზანშეწონილია სწორედ ამ ასაკიდან მიეცეს მას, გამონაკლისის სახით, ცალკე ცხოვრების შესაძლებლობა. რაც შეეხება სრულწლოვან პირებს, მათ ცალკე ცხოვრების უფრო მეტი სამართლებრივი შესაძლებლობა გააჩნიათ. კანონი ადგენს, რომ სრულწლოვანი პირის მზრუნველს არ ევალება მზრუნველობაში მყოფ პირთან ერთად ცხოვრება. ეს სრულებითაც არ ნიშნავს ამ პირთან ერთად ცხოვრების აკრძალვას. ერთად ცხოვრება მათი უფლებაა და არა მოვალეობა.

მეურვისა და მზრუნველის უფლება-მოვალეობათა შორის გამოსარჩევია სამეურვეო და სამზრუნველო პირთა ქონებრივი ინტერესების დაცვა. ქონებრივ ურთიერთობებში მონაწილეობა შესაძლებელია სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებებით. რადგან მეურვე სამეურვეო პირის კანონიერი წარმომადგენელია, იგი ამ უკანასკნელის სახელითა და მისი ინტერესებიდან გამომდინარე, დებს სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის გარიგებებს. სამეურვეო პირს არ გააჩნია სამოქალაქო ქმედუნარიანობა და ბუნებრივია, მას არც გარიგების დადება შეუძლია (მხედველობაში არ არის წვრილმანი ყოფითი გარიგებები). მათ ნაცვლად ქონებრივ ურთიერთობებში სხვა პირი უნდა ჩაებას. ასეთი პირია წარმომადგენელი, რომელიც კანონის საფუძველზე ინიშნება. მეურვის, როგორც სამეურვეო პირის კანონიერი წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგება, წარმოდგენილისათვის, ანუ სამეურვეო პირისათვის წარმოშობს, ცვლის ან წყვეტს სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს. ასეთ შემთხვევაში წარმოდგენილის ან სხვა პირის მიერ წარმომადგენლისათვის რწმუნების გადაცემა მინდობილობის ან სხვა სახის სამართლებრივი დოკუმენტის საფუძველზე სავალდებულო არ არის. მეურვე სამოქალაქო-სამართლებრივ გარიგებებში სამეურვეო პირის სახელით გამოდის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას 7 წლის ასაკისათვის არ მიუღწევია. წვრილმანი ქონებრივი გარიგებები,

რა თქმა უნდა, ვერ უზრუნველყოფს სამეურვეო პირის სერიოზული ქონებრივი ინტერესების განხორციელებას.

შვიდიდან თვრამეტ წლამდე ასაკის პირები ნაწილობრივ ქმედუნარიანები არიან. შედარებით მოზრდილებს, თუ მათ დამოუკიდებელი შემოსავალი გააჩნიათ, უფლება აქვთ თავიანთი ინტერესების შესაბამისად განკარგონ იგი. ასევე დამოუკიდებლად მიიღონ მონაწილეობა ისეთ გარიგებებში, რომელთა ღირებულება საკუთარ შემოსავლებს არ აღემატება და რომლებიც მათი ინტერესების საწინააღმდეგოდ არ იქნება მიმართული. ისინი უმეტესად მაინც ყოველდღიურ ცხოვრებაში გავრცელებული ყოფითი ურთიერთობის სფეროს არ სცილდება. იმ პირებს, რომლებსაც ასაკის ან ჯანმრთელობის გამო არასრული ქმედუნარიანობა გააჩნიათ, ენიშნებათ მზრუნველები, რომლებიც, მართალია, სამზრუნველო პირების კანონიერი წარმომადგენლები არიან, მაგრამ სამოქალაქო-სამართლებრივ გარიგებებში სამზრუნველო პირის სახელით არ ღებულობენ მონაწილეობას. მათი უპირველესი სამოქალაქო-სამართლებრივი მოვალეობაა მესამე პირების მხრივ ხელყოფისაგან დაიცვან სამზრუნველო პირთა ქონებრივი ინტერესები. ეს კი შესაძლებელია სამზრუნველო პირისათვის ამა თუ იმ გარიგებაში მონაწილეობაზე თანხმობის გაცემით. მაგრამ თანხმობის გაცემის შესაძლებლობა შეზღუდულია ასაკით. ჩვეულებრივ, მზრუნველი ენიშნება ნაწილობრივ ქმედუნარიანს, ასეთი კი არის 7-დან 18 წლამდე პირი. ისეთი გარიგების დადებაზე, რომლის დამოუკიდებლად დადების უფლებაც მას არა აქვს, მზრუნველი ყველას კი არ აძლევს თანხმობას, არამედ – მხოლოდ 14-დან 18 წლამდე ასაკის სამზრუნველო პირებს. ასეთი შეზღუდვით, ფაქტობრივად 7-დან 14 წლამდე ნაწილობრივ ქმედუნარიანი პირები სამოქალაქო-სამართლებრივ გარიგებებში თითქმის გაუთანაბრდნენ 7 წლამდე ქმედუუნარო პირებს. თუ მზრუნველის თანხმობის გარეშე იქნა დადებული გარიგება 14-დან 18 წლამდე სამზრუნველო პირის მიერ, იგი შეიძლება ცნობილ იქნეს ბათილად, როცა სამზრუნველო პირის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს მეურვისა და მზრუნველის უფლებამოსილებათა შეზღუდვას. სამოქალაქო-სამართლებრივ უფლება-მოვალეობათა განხორციელების სფეროში მეურვეებსა და მზრუნველებს, როგორც სამეურვეო და სამზრუნველო პირების კანონიერ წარმომადგენლებს, ფართო უფლებამოსილება გააჩნიათ. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ მეურვე ან მზრუნველი

მისთვის კანონით მინიჭებულ ზოგად სამოქალაქო-სამართლებრივ უფლებებს ზოგჯერ შეზღუდული სახით ახორციელებენ. ეს გამოწვეულია იმით, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებმა თავიანთი საკონტროლო ფუნქციების განხორციელების პროცესში უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ სამეურვეო და სამზრუნველო პირების ინტერესების დაცვას, რომ ზოგიერთი გარიგების დადებას სამეურვეო ან სამზრუნველო პირისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და ამიტომ მეურვის ან მზრუნველის ერთპიროვნული გადაწყვეტილება ასეთი გარიგების დადების თაობაზე, სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, შეიძლება არასასურველი სამართლებრივი შედეგების მომტანი გახდეს სამეურვეო ან სამზრუნველო პირისათვის. ამიტომ **ზოგიერთი გარიგების დასადებად მეურვისა და მზრუნველისათვის საჭიროა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი თანხმობა.** ასეთი თანხმობის გარეშე უფლება არა აქვს მეურვეს სამეურვეო პირის სახელით დადოს გარიგება, ხოლო მზრუნველს – სამზრუნველო პირს დასთანხმდეს ისეთ გარიგებაზე, რომელიც დაკავშირებულია ქონების გასხვისებასთან, დაგირავებასთან ან ათ წელზე მეტი ვადით გაქირავებასთან, თხოვებასთან ან სხვა სავალო ვალდებულებათა გაცემასთან. ასეთი გარიგებები მეურვეობაში ან მზრუნველობაში მყოფი პირების ქონების განკარგვას გულისხმობს მუდმივად ან დროებით. ამიტომ მათი დადებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო. ასევე სერიოზულად უნდა გადაწყდეს იმ გარიგებათა დადების საკითხი, რომლებიც ეხება თამასუქთან დაკავშირებულ უფლებებს, აგრეთვე სამეურვეო ან სამზრუნველო პირის კუთვნილ ნებისმიერ უფლებაზე უარის თქმას, სამეწარმეო საზოგადოებაში პარტნიორად შესვლას, სესხის აღებასა და ქონების გაყოფას. ასეთ გარიგებათა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე სხვა გარიგებებიც, რომლებსაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს სამეურვეო ან სამზრუნველო პირის ქონების შემცირება. მართალია, კანონი საკმაოდ დეტალურად ჩამოთვლის იმ გარიგებათა სახეებს, რომელთა დასადებადაც საჭიროა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი ამომწურავი მაინც არ არის. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეუძლია შეზღუდოს ზოგიერთი სხვა გარიგების დადებაც. მაგალითად, სამეურვეო ან სამზრუნველო პირის მიერ ბინის გაცვლა შედარებით ნაკლები ფართისა და ღირებულების ბინაზე და სხვ. ასევე არ შეიძლება მცირეწლოვნის სახელზე შეტანილი ანაბრის განკარგვა

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ნებართვის გარეშე. წინასწარი თანხმობის გარეშე დადებული კანონში მითითებული გარიგებები, შეიძლება ბათილად იქნეს აღიარებული. ამიტომ მეურვე ან მზრუნველი ვალდებულია საქმის კურსში ჩააყენოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო იმ გარიგებათა შესახებ, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო გარიგებათა სახეებს, ეხება სამეურვეო ან სამზრუნველო პირის ქონებრივ ინტერესებს და რომელთა დადებაც ნავარაუდევია ახლო მომავლისათვის.

საერთო წესის მიხედვით, სამეურვეო და სამზრუნველო პირის ყოველგვარი ქონების განკარგვა უნდა მოხდეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი თანხმობით. ქონების გაყიდვა მისი განკარგვის ერთ-ერთი ფორმაა და ამისთვისაც საჭიროა შესაბამისი თანხმობა. ამ საერთო წესიდან კანონი უშვებს გამონაკლისს. კერძოდ, არ არის საჭირო მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი თანხმობა ისეთი ქონების გაყიდვაზე, რომელიც მალფუჭებადია. ასეთი ქონება სამეურვეო ან სამზრუნველო პირს შეიძლება აღმოაჩნდეს იმის შედეგად, რომ აჩუქეს ან მის ოჯახში სამეურნეო საქმიანობის შედეგად იქნა შექმნილი და სხვ. სამეურვეო ან სამზრუნველო პირის ქონებრივი ინტერესითაა განპირობებული ის, რომ ასეთი ქონება სწრაფად გაიყიდოს და დაყოვნებამ ზარალი არ გამოიწვიოს. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსაგან ასეთი ქონების გაყიდვაზე წინასწარი თანხმობის მიღება მოითხოვს განსაზღვრულ დროს, რომელიც გაყიდვის დაყოვნების საფუძველი გახდებოდა. არ არის საჭირო წინასწარი თანხმობა აგრეთვე ისეთი ქონების განკარგვაზე, რომელიც გასაყიდად არის განკუთვნილი. აქ იგულისხმება სამეურვეო ან სამზრუნველო პირის კუთვნილი მოსავალი, საყოფაცხოვრებო ხასიათის ნივთები, კვების პროდუქტები, რომელთა მოყვანა-დამზადება მათი რეალიზაციის მიზნით ხდება. ყველა ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ სამეურვეო და სამზრუნველო პირის ქონებრივი ინტერესები მაქსიმალურადაა დაცული.

კანონის საერთო მოთხოვნა იმის შესახებ, რომ მეურვემ ან მზრუნველმა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი თანხმობის გარეშე არ დადოს სამეურვეო ან სამზრუნველო პირის ქონების განკარგვასთან დაკავშირებული გარიგებები, კონკრეტიზირდება იმპერატიულ დებულებაში – **არ შეიძლება სამეურვეო ან სამზრუნველო პირის სახელით ჩუქების ხელშეკრულების დადება.** ასეთ აკრძალვას

საფუძვლად უდევს სამეურვეო ან სამზრუნველო პირის ქონებრივი ინტერესების შელახვის თავიდან აცილების აუცილებლობა. მათი ინტერესების შელახვის შესაძლებლობა ჩუქების ხელშეკრულებაში საკმაოდაა. როგორც ცნობილია, ჩუქების ხელშეკრულებით (სამოქალაქო კოდექსის 524-ე მუხლი) მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქონების ადრინდელი მესაკუთრე კარგავს განსაზღვრულ ქონებას და ამით მისი ქონებრივი ინტერესი იზღუდება. მით უმეტეს, თუ მის ქონებას განკარგავს სხვა პირი. ჩუქების ხელშეკრულების დადების შემდეგ დასაჩუქრებული პირი, როგორც მესაკუთრე, უფლებამოსილია დაიცვას თავისი საკუთრების უფლება[1]. მართალია, სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებულია რამდენიმე დამცავი დებულება, რომელთა მიხედვითაც პირს უფლება არა აქვს გააჩუქოს ქონება, თუ ეს საარსებო წყაროს უსპობს მჩუქებელს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს და ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ, მაგრამ ეს სრულებითაც არ წარმოადგენს სამეურვეო ან სამზრუნველო პირის ქონებრივი ინტერესების დაცვის სრულ გარანტიას მეურვის ან მზრუნველის მხრივ არამართლზომიერ მოქმედებათა თავიდან ასაცილებლად. ამიტომ კანონმდებელმა საერთოდ აკრძალა სამეურვეო ან სამზრუნველო პირის ქონების ამ ფორმით განკარგვის შესაძლებლობა. არ შეიძლება სამეურვეო ან სამზრუნველო პირის ქონების გაჩუქება მეურვის ან მზრუნველის მიერ მაშინაც კი, როცა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ამაზე თანახმაა.

სამეურვეო და სამზრუნველო პირების უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილი დაცვის, აგრეთვე მეურვეებისა და მზრუნველების მხრივ თავიანთ უფლებამოსილებათა არამართლზომიერად გამოყენების შესაძლებლობის თავიდან აცილების მიზნით, კანონით აკრძალულია განსაზღვრულ მოქმედებათა შესრულება. კერძოდ: 1. მეურვეებსა და მზრუნველებს, აგრეთვე მათ მეუღლეებსა და ახლო ნათესავებს უფლება არა აქვთ გარიგება დადონ სამეურვეო ან სამზრუნველო პირებთან. ახლო ნათესავებად ითვლებიან როგორც პირდაპირი (შვილი, შვილიშვილი, მშობლები, პაპა-ბებია), ისე გვერდითი ხაზის (და-ძმა, მათი შვილები) ნათესავები. ასეთ შემთხვევაში გარიგების მონაწი-

[1] დაწვრილებით იხ. **ზ. ძლიერიშვილი**, ჩუქების სამართლებრივი ბუნება თბ., 2004.

ლეთა ინტერესების სხვადასხვაობას შეუძლია შეზღუდოს გარიგების მონაწილე ერთი მხარის ინტერესები, რომელთა დაცვის ფუნქციას უნდა ახორციელებდეს გარიგების მეორე მხარე, რომელსაც ამ გარიგებაში საკუთარი ინტერესები გააჩნია. ამიტომ კარგავს აზრს ასეთი გარიგების დადება; 2. იმავე საფუძვლით არ შეიძლება მეურვეები და მზრუნველები გამოვიდნენ სამეურვეო და სამზრუნველო პირთა წარმომადგენლებად ისეთ გარიგებებში, რომლებიც უნდა დაიდოს, ერთი მხრივ, სამეურვეო და სამზრუნველო პირებსა და, მეორე მხრივ, მეურვეების ან მზრუნველების მეუღლეებს ან მათ ახლო ნათესავებს შორის; 3. არ შეიძლება მეურვე ან მზრუნველი იყოს სამეურვეო ან სამზრუნველო პირის წარმომადგენელი სასამართლოში, როცა წარმოებაშია საქმე, რომელშიც, ერთი მხრივ, მეურვე ან მზრუნველი და, მეორე მხრივ, მეურვის ან მზრუნველის მეუღლე ან მათი ახლო ნათესავები სხვადასხვა მხარეს წარმოადგენენ. ბუნებრივია, მათი ინტერესები ერთმანეთის საწინააღმდეგოა და ამიტომ მეურვის ან მზრუნველის ჩართვა საქმის განხილვის პროცესში უაზრობაა.

ზემოაღნიშნულ კონკრეტულ შემთხვევებში სამეურვეო და სამზრუნველო პირის ინტერესების დაცვა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ უნდა უზრუნველყოს.

მეურვეები და მზრუნველები ანგარიშვალდებულნი არიან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების წინაშე. ამიტომ ისინი ვალდებული არიან საქმის კურსში ჩააყენონ ეს ორგანოები თავიანთი საქმიანობის შესახებ. ამასთან, მათ უფლებაც აქვთ მოსთხოვონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს მხარდაჭერა – მათ შორის მატერიალურიც, როცა ამის აუცილებლობა არსებობს – სამეურვეო და სამზრუნველო ფუნქციების განხორციელებაში. მეურვეებისა და მზრუნველების უმრავლესობა თავიანთ ვალდებულებებს, კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, პირნათლად ასრულებს. ასეთ პირთა ყოველმხრივ წახალისება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების კომპეტენციაში შედის. ამასთან ერთად, კანონი ითვალისწინებს იმ მეურვეებისა და მზრუნველების მოქმედებათა გასაჩივრების შესაძლებლობას, რომლებიც თავიანთ ფუნქციებს ჯეროვნად ვერ ასრულებენ ან არამართლზომიერი მოქმედებით თვითონ ლახავენ სამეურვეო და სამზრუნველო პირთა კანონიერ ინტერესებს. მათი მოქმედებების გასაჩივრება უნდა მოხდეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებში, სამეურვეო ან სამზრუნველო პირის საცხოვრებელი ადგი-

ლის მიხედვით. საჩივრის წარდგენა შეუძლია არა მარტო ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, არამედ თვით სამეურვეო ან სამზრუნველო პირსაც. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში წარდგენილი საჩივარი განხილულ უნდა იქნეს კანონით განსაზღვრულ ვადებში და მიღებულ უნდა იქნეს შესაბამისი გადაწყვეტილება[1]. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ უნდა ეცნობოს საჩივრის ავტორს.

მხარდამჭერის უფლება-მოვალეობათა განსაზღვრისას სამოქალაქო კოდექსი და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები ძირითადად ეყრდნობა სრულწლოვანი პირის მზრუნველის სტატუსის განმსაზღვრელ ზოგად დებულებებს. ამასთან, მეტი ყურადღება ეთმობა მხარდაჭერის დაწესებასთან უშუალოდ დაკავშირებულ საქმიანობას. ეს უმეტესად მხარდამჭერის ვალდებულებებს ეხება. კანონის მიხედვით მხარდამჭერი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით მხარდაჭერის ფარგლების შეცვლის ან მხარდაჭერის საერთოდ გაუქმების შესახებ ისეთ შემთხვევებში, როცა იცვლება ან უქმდება ის საფუძველი, რის გამოც მხარდაჭერის მიმღებს დაუწესდა მხარდაჭერა. ასეთი ვალდებულება მხარდამჭერს არ ეკისრება თუ ასეთი საკითხები სასამართლოს წინაშე უკვე დააყენა მხარდაჭერის მიმღებმა ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ.

მხარდამჭერი ვალდებულია აგრეთვე გარიგების დადების პროცესში დაეხმაროს მხარდაჭერის მიმღებს კონკრეტული გარიგების პირობებისა და სამართლებრივი შედეგების სრულყოფილად აღქმაში. იგულისხმება, რომ ქონებრივ ურთიერთობებში მისი მონაწილეობის ფარგლები სასამართლოს მიერაა განსაზღვრული. მხარდაჭერის მიმღები მსგავს შემთხვევებში უშუალოდ ღებულობს მონაწილეობას გარიგების დადებაში.

მხარდაჭერის მიმღების მიერ გარიგების წერილობითი ფორმით დადებისას, მხარეების გარდა, მას ხელს აწერს მხარდამჭერი. ამით ის ადასტურებს მხარდაჭერის მიმღების მიერ გარიგების დადებისას სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მხარდაჭერის გაწევას.

მხარდაჭერის მიმღებმა შეიძლება გარიგება დადოს სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მხარდაჭერის მიღების გარეშე. ასეთ შემთხვევაში გარიგების ნამდვილობა დამოკიდებული იქნება იმაზე,

---

[1] **რ. შენგელია**, მეურვეობა და მზრუნველობა. თბ., 1998, გვ. 44.

შემდგომ მოიწონებს თუ არა მას მხარდამჭერი. თუ მხარდაჭერის მიმღები პირი ასეთი გარიდებით სარგებელს იღებს, მაშინ მხარდამჭერის ნება გარიგების ნამდვილობაზე არ მოქმედებს.

შესაძლებელია მხარდაჭერის მიმღებისათვის გარიგების დადების უფლების სრულად შეზღუდვა. გამონაკლის შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მხარდაჭერის მიმღების ნების გამოვლენა ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ობიექტურად შეუძლებელია და მის ნაცვლად გადაწყვეტილების მიღების აკრძალვა მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს მხარდაჭერის მიმღებს, სასამართლო მხარდამჭერს უფლებას აძლევს თვითონ დადოს აუცილებელი გარიგება მხარდაჭერის მიმღების ნაცვლად, ოღონდ ამ უკანასკნელის სახელით და მისი ინტერესებიდან გამომდინარე. მსგავს შემთხვევაში მხარდამჭერი მეურვის ფუნქციის შემსრულებლად გამოდის. კანონით განმტკიცებული აღნიშნული შესაძლებლობა, ერთი მხრივ, მხარდამჭერის ფართო უფლებამოსილების მაჩვენებელია, ხოლო, მეორე მხრივ, მხარდაჭერის მიმღების კანონიერი ინტერესების სრულყოფილად დაცვის საშუალებას წარმოადგენს.

რადგან მეურვის ან მზრუნველის ფუნქციის შესრულება ნებაყოფლობისა და აუნაზღაურებლობის პრინციპზე ხდება, იგულისხმება, რომ იგი მეურვედ ან მზრუნველად შერჩეული პირის პირად პასუხისმგებლობასა და კომპეტენტურობას ეყრდნობა. ამასთან, აღნიშნულ ფუნქციათა განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, კანონი სპეციალურად ავალებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მეურვის, მზრუნველის ან მხარდამჭერის საქმიანობის კონტროლს. იგულისხმება, რომ იგი სამეურვეო, სამზრუნველო პირისა და მხარდაჭერის მიმღების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ახორციელებს ზედამხედველობას. კერძოდ, სისტემატურად აკვირდება მეურვის ან მზრუნველის საქმიანობას, ამოწმებს სამეურვეო და სამზრუნველო პირთა ცხოვრების პირობებს, განიხილავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებში შესულ შეტყობინებებსა და განცხადებებს და სხვ. მხარდამჭერთა საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელებისას მთავარია მათ მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებითა და კანონმდებლობით მათთვის განსაზღვრული მოვალეობების კონტროლი, მხარდაჭერის მიმღების უნარების განვითარების შეფასება და შესაბამისი რეაგირება.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია შეამოწმოს

მხარდამჭერის მიერ განხორციელებული მოქმედებების სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილ ფარგლებთან შესაბამისობა ექვს თვეში ერთხელ ან სასამართლოს მიერ დადგენილი პერიოდულობით, აგრეთვე თავისი ინიციატივით, როცა ამის საჭიროება არსებობს.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ განხორციელებული ზედამხედველობის შედეგები აისახება სპეციალურ დასკვნაში, რომელიც შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შინაარსისა. ზედამხედველობის შედეგების შესახებ დასკვნა შეიტანება ზედამხედველობის მონაცემთა ბაზაში. მონაცემთა ბაზაში შეიტანება ყოველგვარი ინფორმაცია მეურვეობის, მზრუნველობისა და მხარდაჭერის დაწესებასა და შეწყვეტასთან, მეურვის, მზრუნველისა და მხარდამჭერის პირად მონაცემებთან და საქმიანობასთან დაკავშირებით, აგრეთვე ზედამხედველობის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები. მონაცემთა ბაზა სერიოზულ საფუძველს წარმოადგენს შესაბამისი რეაგირებისათვის. თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო დაადგენს, რომ მეურვე, მზრუნველი ან მხარდამჭერი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს კანონმდებლობით და სასამართლოს გადაწყვეტილებით მისთვის განსაზღვრულ მოვალეობებს, არღვევს სამეურვეო, სამზრუნველო პირის ან მხარდაჭერის მიმღების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ატარებს შემდეგ ღონისძიებებს: 1.სოციალური მუშაკის მეშვეობით ეხმარება მეურვეს, მზრუნველს ან მხარდამჭერს, რათა მან უკეთ გააცნობიეროს და შეასრულოს თავისი მოვალეობები; 2. მოვალეობისაგან ათავისუფლებს მეურვეს ან მზრუნველს; 3. მიმართავს სასამართლოს მხარდამჭერის მოვალეობისაგან განთავისუფლების მოთხოვნით. სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე კი მხარდამჭერს უჩერებს უფლებამოსილებას და მისი მოვალეობების შესრულებას აკისრებს მეურვეობისა და მზრუნველობის სპეციალურად უფლებამოსილ პირს. 4. არამართლზომიერ მოქმედებათა ინტენსივობის ხარისხის შესაბამისად აყენებს საკითხს ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ.

9.4. მეურვეობის, მზრუნველობისა და მხარდაჭერის შეწყვეტა

მეურვეობა და მზრუნველობა წესდება არა წინასწარგანსაზღვრული დროის რომელიმე მონაკვეთით, არამედ მთელი იმ პერიოდის მანძილზე, რომელიც საჭიროა სამეურვეო და სამზრუნველო პირების უფლება-მოვალეობების განსახორციელებლად და კანონიერი ინტერესების დასაცავად. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ არ შეიძლება მეურვის ან მზრუნველის გათავისუფლება მათი მოვალეობებისაგან, როცა კი ამის აუცილებლობა დადგება. კანონი ზუსტად ჩამოთვლის ასეთ შემთხვევებს. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მეურვესა და მზრუნველს თავისი მოვალეობისაგან ათავისუფლებს, თუ: 1. ბავშვის მშობლებს დაუბრუნდა შეზღუდული ან ჩამორთმეული უფლება-მოვალეობები და ბავშვი აღსაზრდელად გადაეცა მათ; 2. მოხდა მეურვეობაში ან მზრუნველობაში მყოფი ბავშვის გაშვილება. ორივე შემთხვევაში უქმდება მეურვეობისა და მზრუნველობის გაგრძელების საფუძველი, რადგან ამ ფუნქციების განხორციელება გადადის სხვა პირებზე – მშობელზე ან მშვილებელზე. მშობლები და მშვილებლები სხვა მეურვეებთან და მზრუნველებთან შედარებით ბავშვის აღზრდის უპირატესი უფლებით სარგებლობენ. შესაძლებელია, მეურვეობასა და მზრუნველობაში მყოფი პირი შვილად აიყვანოს მისმა მეურვემ ან მზრუნველმა. ამ შემთხვევაში სამეურვეო ან სამზრუნველო ფუნქციის განხორციელება მას, როგორც მშობელთან გათანაბრებულ პირს, დაეკისრება.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეუძლია მეურვე ან მზრუნველი **გაათავისუფლოს** თავისი მოვალეობებისაგან პირადი თხოვნის საფუძველზე. თხოვნის დაკმაყოფილება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს საპატიო მიზეზი. ასეთ მიზეზებზე ყურადღება გამახვილებულია სამოქალაქო კოდექსის 1299-ე მუხლში. მათ მიეკუთვნება: მეურვის ან მზრუნველის ავადმყოფობა, მათი მატერიალური მდგომარეობის გაურესება, სამეურვეო ან სამზრუნველო პირთან ურთიერთობის გართულება და სხვ. ჩამოთვლილ მიზეზთა გარდა, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ შეიძლება სხვა მიზეზიც ჩათვალოს საპატიოდ. ყველა შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო უნდა დარწმუნდეს, რომ თხოვნის დაკმაყოფილება სამეურვეო ან სამზრუნველო პირის ინტერესებს შეესაბამება. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო თუ ჩათვლის, რომ მეურვის ან

მზრუნველის თხოვნის დაკმაყოფილებისათვის არ არსებობს საპატიო მიზეზი, გამოიტანს გადაწყვეტილებას მეურვის ან მზრუნველის თავის ფუნქციებისაგან გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ.

კანონი ითვალისწინებს მეურვის ან მზრუნველის გადაყენებას ან გათავისუფლებას იმ შემთხვევაში, როცა მათი ფუნქციის შეუსრულებლობა სუბიექტურ ფაქტორზეა დამყარებული. სამეურვეო ან სამზრუნველო ფუნქციის არასათანადოდ შესრულება შეიძლება გახდეს ასეთი საფუძველი. მეურვის ან მზრუნველის დროებით გადაყენება არ იწვევს მეურვეობის ან მზრუნველობის შეწყვეტას, თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო არ დარწმუნდა იმაში, რომ ადგილი აქვს სამეურვეო ან სამზრუნველო ფუნქციების არასათანადოდ შესრულებას. შესაძლებელია, ამ ფუნქციების კვლავ გაგრძელება საქმის გარემოებათა შესწავლის შემდეგ. მაგრამ, თუ დადასტურდა გადაყენებული მეურვის ან მზრუნველის მიერ თავისი ფუნქციების არასათანადოდ შესრულების შემთხვევა, მაშინ მოხდება მისი გათავისუფლება და მეურვეობა ან მზრუნველობა შეწყდება. ასევე შეწყდება იგი, თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო თავისი მოტივირებული გადაწყვეტილებით დაადასტურებს მეურვის ან მზრუნველის მიერ ფუნქციების არასათანადოდ შესრულების ფაქტს. ასეთ შემთხვევაში საჭირო არ არის მეურვის ან მზრუნველის წინასწარი გადაყენება. შეიძლება იგი პირდაპირ გათავისუფლდეს თავისი ფუნქციების შესრულებისაგან.

მეურვის ან მზრუნველის ფუნქციების არასათანადო შესრულება შეიძლება ყოველთვის არ იყოს დაკავშირებული მათ ბრალეულ მოქმედებასთან. შესაძლებელია, მეურვე ან მზრუნველი თავის მოვალეობას ვერ ასრულებდეს იმის გამო, რომ არა აქვს სათანადო ცხოვრებისეული გამოცდილება, ამა თუ იმ სახის საქმიანობის უნარი, შესაბამისი განათლება და ა.შ. ამ შემთხვევაში მთავარია მეურვის ან მზრუნველის მიერ ფუნქციების არასათანადოდ შესრულების ფაქტის არსებობა (სავალდებულო განათლების მიცემაზე უარის თქმა, არაკვალიფიციური მკურნალობა, უზნეო საქციელის წახალისება და სხვ.).

მეურვეობისა და მზრუნველობის შეწყვეტა აუცილებლად უნდა მოხდეს მეურვის ან მზრუნველის მიერ ფუნქციების განხორციელებისას გამოჩენილი არამართლზომიერების დროს. კანონი რამდენიმე ასეთ შემთხვევაზე მიუთითებს. ესენია: მეურვის ან მზრუნველის მიერ თავისი უფლება-მოვალეობების ანგარების მიზნით გამოყენება,

აგრეთვე სამეურვეო ან სამზრუნველო პირის ზედამხედველობისა და აუცილებელი დახმარების გარეშე დატოვება. ანგარებაში იგულისხმება სამეურვეო ან სამზრუნველო პირის ხარჯზე საბინაო, ფინანსური ან სხვა სახის დაუმსახურებელი გამორჩენის მიღება. ბავშვის ზედამხედ-ველობის გარეშე დატოვება საფრთხეში აგდებს მის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. იგივე შეიძლება ითქვას იმ შემთხვევაშიც, როცა პირს მატერიალური, საბინაო ან სხვა სახის აუცილებელი დახმარება სჭირდება. ყველა შემთხვევაში მეურვის ან მზრუნველის მოქმედე-ბაში სამართალდარღვევის ნიშნების არსებობაა შესაძლებელი. ამი-ტომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია არა მარტო გაათავისუფლოს მეურვე ან მზრუნველი მასზე დაკისრებული მოვალეობისაგან, არამედ მის ხელთ არსებული მასალები გადასცეს სამართალდამცავ ორგანოებს მეურვის ან მზრუნველის შესაბამის პასუხისგებაში მიცემის მიზნით. უპირველეს ყოვლისა, ასეთ შემთხ-ვევებში იგულისხმება ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. არამართლზომიერი მოქმედებით სამეურვეო ან სამზრუნველო პირისათვის მატერიალური ზიანის მიყენების შემთხვევა-ში მეურვეს ან მზრუნველს დაეკისრება სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

სრულწლოვანი პირისათვის მზრუნველობის დასაწესებლად, როგორც ცნობილია, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამზრუნველო პირის თანხმობას. იგი ქმედუნარიანია, მაგრამ ფიზიკური ნაკლის ან ავადმყოფობის გამო საჭიროებს სხვა პირის დახმარებას. რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, მას უნდა ჰყავდეს თუ არა მზრუნველი, იგი მხოლოდ მისი გადასაწყვეტია. აქ არ იგულისხმება სრულწლოვანი, მაგრამ სასამართლოს მიერ ქმედუნარიანობაში შეზღუდული პირები. რადგან სრულწლოვან ქმედუნარიან პირს მზრუნველობა თავის თხოვნის საფუძველზე უწესდება, ბუნებრივია, მისივე თხოვნის საფუძველზე უნდა მოხდეს მის მიმართ დაწესებული მზრუნველობის გაუქმება და მზრუნველის გათავისუფლება თავისი მოვალეობისაგან. ამასთან, კანონი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ სამზრუნველო პირის თანხმობით, მას ახალი მზრუნველი დაუნიშნოს. ამ შემთხვევაში მზრუნველობის შეწყვეტა არ ხდება, იგი კვლავ ძალაშია, ოღონდ იცვლება მზრუნველი.

ზემოთ განხილულ შემთხვევებში მეურვეობისა და მზრუნველობის შეწყვეტას საფუძვლად უდევს მეურვის ან მზრუნველის გათავისუ-

ფლება დაკისრებული უფლება-მოვალეობებისაგან. ამასთან ერთად, სამოქალაქო კოდექსის 1302-ე მუხლი ითვალისწინებს **მხოლოდ მეურვეობის საყოველთაოდ აღიარებული შეწყვეტის საფუძვლებს.**

მეურვეობა აუცილებლად უნდა შეწყდეს სამეურვეო პირის გარდაცვალების შემთხვევაში. ამ დროს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ დასტურდება სამეურვეო პირის გარდაცვალების ფაქტი, რაც საფუძვლად ედება მეურვეობის შეწყვეტას. მეურვის გარდაცვალება კი არ წარმოადგენს მეურვეობის შეწყვეტის საფუძველს. ამ შემთხვევაში ხდება მეურვის შეცვლა, მეურვეობა კი კვლავაც ძალაშია. იგივე მდგომარეობაა მაშინაც, როცა მეურვე ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებს ან ხანგრძლივ მივლინებაში მიემგზავრება და სხვ.

მეურვეობა შეწყდება, თუ სამეურვეო მცირეწლოვანმა მიაღწია შვიდი წლის ასაკს. ამ ასაკიდან იგი გადადის სამზრუნველო პირთა კატეგორიაში. მეურვეობის შეწყვეტის ლოგიკურ საფუძველს წარმოადგენს შვიდ წლამდე ბავშვის მშობლებისათვის შეზღუდული ან ჩამორთმეული უფლებებისა და მოვალეობების აღდგენა. ასეთ შემთხვევაში ბავშვი აღსაზრდელად უბრუნდება მშობლებს. შვილის პირადად აღზრდის უფლება პრიორიტეტულია ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული სხვა პირების უფლებებთან შედარებით[1].

განსაზღვრული სპეციფიკა ახასიათებს მეურვეობის შეწყვეტას სამზრუნველო ასაკისათვის მიღწევის გამო. ასეთ შემთხვევებში ძირითადი დებულება ის კი არ არის, რომ სამეურვეო პირი თუ შვიდი წლის ასაკს მიაღწევს, მეურვეობა უნდა შეწყდეს, არამედ ის, რომ **მეურვეობა ავტომატურად გადადის მზრუნველობაში.** ბავშვი სრულწლოვანების მიღწევამდე ყოველთვის საჭიროებს აღზრდა-რჩენასა და კანონიერი ინტერესების დაცვაში სხვა პირთა დახმარებას. ასეთი პირი შეიძლება თვრამეტი წლის მანძილზე ერთი და იგივე იყოს. იგი ჯერ მეურვის, შემდეგ კი მზრუნველის ფუნქციებს შეასრულებს. ამიტომ, როცა მეურვეობიდან მზრუნველობაში გადასვლა ხდება, საჭირო არ არის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ სპეციალური გადაწყვეტილების გამოტანა მეურვეობის შეწყვეტისა და მზრუნველობის დანესების შესახებ. სამეურვეო პირის მიერ შვიდი წლის ასაკის მიღწევიდან იგი ხდება სამზრუნველო პირი, მეურვე კი – მზრუნველი. ყოფილი მეურვე სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონან-

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, თბ., 2003, №11, გვ. 3142.

ილეობისაგან უკვე თავისუფლდება და მათში სამზრუნველო პირი ღებულობს მონაწილეობას მზრუნველის ზედამხედველობით.

კანონით გათვალისწინებულია მხოლოდ მზრუნველობის შეწყვეტის უდავო საფუძვლებიც. ისინი, თავისი შინაარსით, მეურვეობის შეწყვეტისათვის აუცილებელი პირობების ადეკვატურია. სამზრუნველო პირის გარდაცვალება, ბუნებრივია, გამოიწვევს მზრუნველობის შეწყვეტას. მართალია, იგი შეიძლება უდავო საფუძვლად ჩაითვალოს, მაგრამ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ ფაქტის დაფიქსირება აუცილებელია. თანაც გარდაცვალების მიზეზებზე ყურადღების გამახვილება შეიძლება მზრუნველის საქმიანობის შეფასებასაც დაედოს საფუძვლად. მზრუნველის გარდაცვალება არ გამოიწვევს მზრუნველობის შეწყვეტას. მოხდება მხოლოდ მზრუნველის შეცვლა.

მზრუნველობის შეწყვეტის ყველაზე ლოგიკურ და გავრცელებულ საფუძველს წარმოადგენს სამზრუნველო არასრულწლოვანი პირის მიერ თვრამეტი წლის ასაკის მიღწევა. სამზრუნველო ფუნქციებს მშობელი თუ სხვა, სპეციალურად დანიშნული მზრუნველი, ბავშვის სრულწლოვანებამდე სავალდებულოდ ასრულებს, იმ გამონაკლისის გარდა, როცა სრულწლოვანების მიღწევის შემდეგაც აუცილებელია პირს მზრუნველი ჰყავდეს. შესაძლებელია, მზრუნველობის შეწყვეტა სრულწლოვანების მიღწევამდეც. ეს მაშინ ხდება, როცა არასრულწლოვანი პირი დაქორწინდება. როგორც ცნობილია, საოჯახო კანონმდებლობით, შესაძლებელია, მშობლების თანხმობით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დაქორწინება 16 წლიდან. დაქორწინებული არასრულწლოვანი, რადგან სრულ ქმედუნარიანად ითვლება, იგულისხმება, რომ თავის უფლება-მოვალეობებსა და კანონიერ ინტერესებს დამოუკიდებლად დაიცავს. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილებაში სწორედ ამის შესახებ უნდა იქნეს აღნიშნული.

ზემოთ გაანალიზებული საფუძვლების გარდა, მზრუნველობის შეწყვეტა სხვა შემთხვევებშიც შეიძლება. მათი საერთო ზოგადი საფუძველი შეიძლება გამოიხატოს ერთ დებულებაში – მზრუნველობა შეწყდება თუ მოისპო მისი დაწესების მიზეზი, რამაც გამოიწვია მზრუნველის დანიშვნა. მაგალითად, მზრუნველობა შეწყდება, თუ სასამართლომ გააუქმა ალკოჰოლიკის ან ნარკომანის ქმედუნარიანობის შეზღუდვის გადაწყვეტილება და ასეთი პირი აღიარა სრულ ქმედუნარიანად. რადგან სასამართლოს პირველი გადაწყვეტილების საფუძველზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ შეზღუდულ-

ქმედუნარიან პირს დაუნიშნა მზრუნველი, ამჯერად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ასეთი პირის მიმართ მზრუნველობის შეწყვეტის შესახებ. მზრუნველობის შეწყვეტის ყველა შემთხვევაში მზრუნველი ვალდებულია თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიში წარუდგინოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

მეურვეობა და მზრუნველობა კერძო ხასიათის საოჯახო, ქონებრივ და პირად ურთიერთობათა ფართო სპექტრთან არის დაკავშირებული. მისი მეშვეობით, საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების სამართლებრივ ინტერესთა გაფართოებისა და დაცვის რეალური შესაძლებლობები იქმნება. ამიტომ, ბუნებრივია, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების საქმიანობამ, მათი მრავალმხრივი ფუნქციების განხორციელებისას, საზოგადოებაში არაერთგვაროვანი შეხედულება და შეფასება გამოიწვიოს. მეურვეობასა და მზრუნველობასთან დაკავშირებული ყველა სადავო საკითხთა კანონიერად გადაწყვეტის უზრუნველყოფის მიზნით, დადგენილია მათი სასამართლო განხილვისა და გადაწყვეტის წესი. დაინტერესებულ პირს შეუძლია სასამართლოში გაასაჩივროს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ მეურვის ან მზრუნველის დანიშვნის, გადაყენებისა და გათავისუფლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, აგრეთვე, მეურვეობასა და მზრუნველობასთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც. მაგალითად, შესაძლებელია, კონკრეტული მეურვის ან მზრუნველის არამართლზომიერ მოქმედებათა შესახებ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში განხილვის შედეგებით უკმაყოფილო პირმა, საკითხის გადასაწყვეტად ამჯერად უკვე სასამართლოს მიმართოს. ასეთი უფლება კერძო სამართლის სუბიექტთა ინტერესების დაცვის უმნიშვნელოვანეს გარანტიას წარმოადგენს.

რაც შეეხება მხარდაჭერის შეწყვეტას, იგი უფრო მარტივდ ხდება. მხარდაჭერა შეწყდება, თუ გარდაიცვალა მხარდაჭერის მიმღები ან უკვე აღარ არსებობს მხარდაჭერის დაწესების საფუძველი. პირველ შემთხვევაში საჭიროა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, მეორეში კი – სასამართლოს გადაწყვეტილება.

თავი X

შვილად აყვანის სამართლებრივი რეგულირება

10.1. შვილად აყვანის ცნება, დანიშნულება და ზოგადი წესი

შვილად აყვანა (შვილება) იურიდიული ფაქტია, რომელიც შვილად ამყვანსა და ნაშვილებს შორის წარმოშობს ისეთ სამართლებრივ ურთიერთობას, რაც ბიოლოგიურ მშობლებსა და შვილებს შორის არსებობს. შვილად აყვანის ინსტიტუტი იმ საოჯახო-სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობაა, რომელიც არეგულირებს შვილად აყვანის წესსა და პირობებს, მშვილებლისა და ნაშვილების უფლება-მოვალეობებს, შვილად აყვანის შეწყვეტის საფუძვლებს.

შვილად აყვანის ინსტიტუტის ძირითად მიზანს წარმოადგენს იმ არასრულწლოვანი პირებისათვის აღზრდისა და რჩენის ნორმალური პირობების შექმნა, რომლებიც დაობლდნენ ან მათ მშობლებს არ გააჩნიათ შვილების აღზრდისა და რჩენის ჩვეულებრივი პირობები (მშობლის უფლება-მოვალეობების ჩამორთმევა, უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადება, მძიმე მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა და სხვ.). შვილად აყვანა არა მარტო ბავშვების ინტერესებს შეესაბამება, არამედ შვილად ამყვანთა მშობლიური გრძნობის გამოვლენისა და განხორციელების შესაძლებლობაცაა. შვილად აყვანა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი არასრულწლოვანი ბავშვის კეთილდღეობასა და ინტერესების დაცვას უზრუნველყოფს და მშვილებელსა და ნაშვილებს შორის მყარი და მუდმივი საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველი გახდება. მშობლებსა და შვილებს შორის სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობის სხვა საფუძვლებისაგან (ბავშვის დაბადება რეგისტრირებულ ქორწინებაში, მშობლობის ნებაყოფლობითი და მამობის სასამართლო წესით დადგენა) განსხვავებით, შვილად აყვანა წარმოშობს ისეთ სამართლებრივ ურთიერთობებს, რომელსაც სისხლით ნათესაობა არ უდევს საფუძვლად. მიუხედავად ამისა, მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოიშობა სისხლით ნათესაური კავშირის მსგავსი ურთიერთობები. მათ შორის

იურიდიულად არავითარი სხვაობა არ არის. გარდა ამისა, უკანასკნელ პერიოდში შეიმჩნევა ე.წ. სისხლით ნათესაურ ურთიერთობებში მათი გამომრიცხავი ელემენტების შეჭრა. მაგალითად, როცა ბავშვი ჩნდება ხელოვნური განაყოფიერებით ან სუროგატული დედობის გამოყენების საფუძველზე, დედობა ან მამობა შეიძლება აღიარებულ იქნეს იმ პირის მიერ, რომელიც სინამდვილეში არ არის ბავშვის ბიოლოგიური მშობელი. ამავე დროს, თუ ბავშვის შვილად აყვანა ხდება შედარებით ადრეულ ასაკში და ოჯახში მისი აღზრდისა და რჩენის ნორმალური პირობები არსებობს, მის მიმართ გამოვლენილი მშობლიური ზრუნვა და სიყვარული სისხლით ნათესაური ურთიერთობის იდენტური ხდება.

კანონი უშვებს არა მარტო არასრულწლოვანის, არამედ სრულწლოვანი პირის შვილად აყვანასაც. ასეთი შემთხვევები გამონაკლისის სახით არსებობს. მას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როცა მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის უკვე არსებობდა მშობლისა და შვილის ფაქტობრივი ურთიერთობა (როცა მშვილებელი თავის ოჯახში ზრდიდა ძმისშვილს ან შვილიშვილს), იგი არ ეწინააღმდეგება მშვილებლის ან შვილად ასაყვანის ინტერესებს (როცა შვილად ამყვანსაც და შვილად ასაყვანსაც სხვა უფრო ახლო ნათესავები არ ჰყავთ) და შვილება ზნეობრივად გამართლებულია (როცა მომავალშიც მათ შორის ისეთივე ურთიერთობა იქნება, როგორიც არსებობს მშობლებსა და სრულწლოვან შვილებს შორის). სრულწლოვან პირთა შვილად აყვანის შესაძლებლობა მშვილებელსა და ნაშვილებს შორის ადრე არსებულ ფაქტობრივ საოჯახო ურთიერთობათა დაკანონებას წარმოადგენს. სრულწლოვანი პირის შვილად აყვანის კანონით გათვალისწინება საბაზრო მეურნეობის პირობებში ოჯახის წევრებს შორის ქონებრივ ურთიერთობათა ახლებურად მოწესრიგების აუცილებლობითაცაა განპირობებული.

შვილად აყვანის ფაქტი შეიძლება სასამართლომ დაადასტუროს იმ შემთხვევაში, როცა საოჯახო ურთიერთობა ფაქტობრივად არსებობდა შვილად აყვანის მსურველსა და შვილად ასაყვანს შორის და ასეთი ურთიერთობა ორივე მხარის ინტერესებს შეესაბამებოდა. ფაქტობრივი ურთიერთობა კი არ იყო გაფორმებული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. იმ მიზეზებს შორის, რომლის გამოც არ გაფორმდა შვილება, ყველაზე მნიშვნელოვანია შვილად ასაყვანი არასრულწლოვანის აღმზრდელის გარდაცვალება. ამასთან, კანონი ზუსტად განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს

შვილად აყვანის ფაქტის დადასტურებას. ესენია: 1. აღმზრდელის ოჯახში არასრულწლოვანი ბავშვის შვილად მიღება, რაც დასტურდება ოჯახის წევრებისა და სხვა ნათესავების მიერ; 2. მშვილებლის მიერ სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ განცხადების სიცოცხლეშივე შეტანა. განცხადება შეიძლება ეხებოდეს როგორც ოჯახში შვილად მიღებულ ბავშვს, ისე სხვასაც. პირველი საფუძველი ეხება მხოლოდ არასრულწლოვან ბავშვს, მეორე კი – როგორც არასრულწლოვან, ისე სრულწლოვან პირს. ყველა შემთხვევაში ხდება შვილად აყვანის დადასტურება, რაც საფუძვლად უნდა დაედოს შვილად ასაყვანი პირის სტატუსის განსაზღვრას გარდაცვლილ აღმზრდელთან მიმართებაში. რაც შეეხება ბავშვის გარდაცვალებას, იგი სულ სხვა სამართლებრივ შედეგთან არის დაკავშირებული. შვილად აყვანა განსაზღვრულ სამართლებრივ ურთიერთობებს წარმოშობს მშვილებელსა და ნაშვილებს შორის. ამ ურთიერთობის აუცილებელ სუბიექტს წარმოადგენს ნაშვილები. გარდა ამისა, შვილად აყვანის ინსტიტუტი, ძირითადად, შვილად ასაყვანი ბავშვის ინტერესებთანაა დაკავშირებული[1]. სამართლებრივი ურთიერთობა, მისი აუცილებელი სუბიექტის გარეშე, არ შეიძლება წარმოიშვას. ამიტომ, ბუნებრივია, რომ კანონი კრძალავს გარდაცვლილი ბავშვის შვილად აყვანის გაფორმებას, რა სტადიაზეც არ უნდა იყოს ეს პროცესი. ბავშვის გარდაცვალება უდავოდ წყვეტს საქმის შემდგომ მსვლელობას. ამგვარად, ბავშვის გარდაცვალების შემდეგ არანაირი საფუძვლით არ შეიძლება შვილად აყვანის დადასტურება.

შვილად აყვანა, რადგან იგი მშვილებლისა და ნაშვილების ინტერესების დაცვას ისახავს მიზნად, სახელმწიფოებრივ კონტროლს ექვემდებარება. შვილება არ ნიშნავს მშვილებლის მხოლოდ შესაბამისი ნების გამოვლენას და ბავშვის მიმართ ფაქტობრივი ზრუნვის განხორციელებას. **აუცილებელია, რომ ასეთი ურთიერთობა იურიდიულად იქნეს გაფორმებული. ეს ხდება სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანით.** სასამართლოსათვის და არა სხვა რომელიმე ორგანოსათვის ამ ფუნქციის მინიჭება შვილად აყვანის სფეროში კანონიერების დაცვის მეტ გარანტიას ქმნის[2].

---

[1] დანვრილებით იხ. **ლ. ნადიბაიძე**, შვილად აყვანის სამართლებრივი პრობლემები, დისერტაცია. თბ., 1998.

2 დანვრილებით იხ. **შალვა ქურდაძე, ნინო ხუნაშვილი**, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2015.

განცხადება შვილად აყვანის შესახებ მშვილებელმა უნდა შეიტანოს სასამართლოში თავისი ან შვილად ასაყვანი პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. განცხადებაში მითითებულ უნდა იქნეს ცნობები მშვილებლის ოჯახური მდგომარეობის, სამუშაოს, შემოსავლის შესახებ. მას უნდა დაერთოს ავტობიოგრაფია და სამსახურებრივი დახასიათება. განცხადებაში აღინიშნება აგრეთვე აუცილებელი მონაცემები შვილად ასაყვანი პირის შესახებ, კერძოდ, ცნობები ბავშვის ასაკის, მისი მშობლების გარდაცვალების ან სხვა მიზეზების შესახებ, რომელთა გამოც ბავშვი ნორმალური მშობლიური ზრუნვის გარეშე დარჩა.

სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე აუცილებელია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ დეტალურად შეისწავლოს შვილად აყვანის მსურველის საოჯახო-ყოფითი პირობები, მისი და ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვ. გარკვეული წარმოდგენა უნდა შეიქმნას აგრეთვე შვილად ასაყვანი პირის ჯანმრთელობისა და მისი აღზრდისათვის აუცილებელი სპეციფიკურობის შესახებ. სასამართლოსადმი წარდგენილ დასკვნასა და გამოკვლევის მასალებში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო უნდა პასუხობდეს მთავარ კითხვებს – შვილად აყვანა შეესაბამება თუ არა ბავშვის ინტერესებს და შვილად აყვანის მსურველს შეუძლია თუ არა შეასრულოს მშობლის უფლება-მოვალეობანი. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ წარდგენილი მასალები საფუძვლად ედება შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებას. სასამართლოს უარი შვილად აყვანაზე შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ სასამართლო ორგანოში.

შვილად აყვანის უფლება პირად უფლებათა კატეგორიას განეკუთვნება და სხვა საოჯახო უფლებათა მსგავსად (ქორწინება, განქორწინება და სხვ.) არ შეიძლება მისი განხორციელება წარმომადგენელის მეშვეობით. წარმომადგენლობა არა მარტო შვილად ასაყვანი პირის, არამედ შვილად აყვანის მსურველის მხრიდანაც დაუშვებელია. ასეთი აკრძალვის საფუძველი შვილად აყვანის კონკრეტიზებული უფლების ღრმად სუბიექტური ხასიათია. კანონს დაუშვებლად მიაჩნია აგრეთვე შვილად აყვანა რაიმე პირობით (მაგალითად, თუ ბავშვი სკოლაში ფრიადებზე ისწავლის ან საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლას არ გააგრძელებს და მუშაობას დაიწყებს) ან ვადაზე მითითებით (მაგალითად, შვილად აყვანა 10 წლის ვადით ან ნაშვილების მიერ 15 წლის ასაკის მიღწევამდე). ასეთ შეზღუდვას საფუძვლად უდევს შვილად აყვანის ინსტიტუტის დანიშნულება და შინაარსი.

შვილად აყვანის დროს წარმომადგენლობის თაობაზე კანონით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როცა სასამართლოში ხდება მშვილებლის წარმოდგენა ადვოკატის მიერ. სასამართლო წარმოების პროცესში ადვოკატი არის მშვილებლის წარმომადგენელი. ასევე, საერთაშორისო გაშვილებისას, მშვილებელს გააჩნია უფლება წარმომადგენლის მეშვეობით მოიძიოს და მოიპოვოს აკრედიტებული სააგენტოების დახმარება შვილად აყვანის პროცედურების დროს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად.

სასამართლოს გადაწყვეტილება შვილად აყვანის შესახებ რეგისტრირებულ უნდა იქნეს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში. კანონის ამ მოთხოვნას დიდი მნიშვნელობა აქვს. დროთა განმავლობაში შესაძლებელია სასამართლოს გადაწყვეტილება დაიკარგოს ან მისი ნამდვილობა სადავო გახდეს. ამიტომ მისი რეგისტრაცია დამატებითი უდავო საფუძველი იქნება იმისა, რომ შვილად აყვანას ნამდვილად ჰქონდა ადგილი. რეგისტრაციის მეშვეობით შეიძლება დადგინდეს აგრეთვე ისიც, თუ როდის და რომელმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება შვილად აყვანის შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილების რეგისტრაცია შეიძლება მოხდეს ნებისმიერ სარეგისტრაციო ორგანოში განმცხადებლის სურვილისამებრ, სასამართლო ვალდებულია ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში მისი ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ სარეგისტრაციო ორგანოს აცნობოს შვილად აყვანის შესახებ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შესახებ, ხოლო სარეგისტრაციო ორგანო რეგისტრაციას ახდენს ერთი თვის ვადაში. ეს ვადა აითვლება არა გადაწყვეტილების გამოტანის, არამედ მისი კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან. სასამართლოს გადაწყვეტილების რეგისტრაცია, გამონაკლის შემთხვევებში, შეიძლება ერთთვიანი ვადის გასვლამდე ან გასვლის შემდეგაც. ეს განპირობებულია იმით, რომ **შვილად აყვანის რეგისტრაციას უფლების წარმომშობი მნიშვნელობა არ გააჩნია.** კანონით შვილად აყვანა ნამდვილად ითვლება სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან. აქედან გამომდინარე, რეგისტრაციაში ტარდება უკვე არსებული შვილად აყვანის ფაქტი. ამიტომ, თუ რაიმე მიზეზის გამო შვილად აყვანის შესახებ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება არ იყო რეგისტრირებული, ამას გადამწყვეტი იურიდიული მნიშვნელობა არ გააჩნია. მთავარია სახეზე იყოს სასამართლოს გადაწყვეტილება.

შვილად აყვანის უფლება ეძლევა იმ პირს, რომელიც სრულწლოვანი და ქმედუნარიანია. ბუნებრივია, არასრულწლოვან პირს არ შეუძლია მშობლიური უფლება-მოვალეობების განხორციელება. მაგრამ ყველა სრულწლოვან და ქმედუნარიან პირს შეიძლება არ გააჩნდეს შვილად აყვანის უფლება. კანონი კონკრეტულად მიუთითებს ზოგიერთ მათგანზე: არ შეიძლება მშვილებელი იყოს ის პირი, რომელსაც ჩამორთმეული ან შეზღუდული აქვს მშობლის უფლებები და მოვალეობები და არ აღმდგარა პირვანდელ მდგომარეობაში. არა აქვს მნიშვნელობა იმას, ადრე ჰქონდა თუ არა ჩამორთმეული მშობლის უფლება; ხელის შემშლელად ითვლება ის ფაქტიც, რომ მშვილებელს ადრე ნაშვილები ჰყავდა ბავშვი, მაგრამ შვილება გაუქმდა მის მიერ უფლება-მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულების გამო. ეს მითითება არ არის ამომწურავი, რადგან შვილად აყვანა ბავშვის აღზრდისა და რჩენისათვის ნორმალური პირობების შექმნას შეიძლება სხვა მიზეზებითაც ვერ უზრუნველყოფდეს. კერძოდ, არ შეიძლება მშვილებელი იყოს პირი, რომელსაც ავადმყოფობის (თუ იგი დაავადებულია ტუბერკულოზით ან სხვა გადამდები მძიმე ავადმყოფობით ან კიდევ აღრიცხვაზე იმყოფება ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში სულიერ დაავადებათა სახეობის გამოსაკვლევად და სამკურნალოდ) ან მორალური თვისებების გამო (სურს დაეუფლოს შვილად ასაყვანი პირის ბინას ან მიიღოს სხვა, დაუმსახურებელი შემოსავალი), არ შეუძლია განახორციელოს ის ფუნქციები, რასაც შვილად აყვანა ითვალისწინებს. მშვილებლის უფლების მინიჭებისას დიდი მნიშვნელობა აქვს მის პირად დადებით თვისებებსა და ზნეობრივი პრინციპებისადმი ერთგულებას. აქედან გამომდინარე, არაა მიზანშეწონილი, მაგალითად, შვილის აყვანაზე ნება დაერთოს ისეთ პირს, რომელიც პასუხისგებაშია ნამყოფი არასრულწლოვანი შვილისათვის ალიმენტის გადახდისაგან თავის არიდების გამო ან თუ რელიგიურ სექტებში ბავშვების ჩაბმას აღზრდის ფორმად თვლის და სხვ. არ შეიძლება მშვილებლად მიჩნეულ იქნეს პირი, რომელსაც სასამართლომ მსჯავრი დასდო მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. მშვილებლის კანდიდატურის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია სასამართლოს უნდა წარუდგინოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ.

შვილად აყვანა შეუძლიათ ორივე სქესის იმ პირებს, რომლებიც მშვილებლის წინაშე წაყენებულ ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს პასუხობენ. მეუღლეებს შეუძლიათ ბავშვი ერთად იშვილონ. არ შეიძლება

ქორწინებაში მყოფმა პირმა ცალკე იშვილოს ბავშვი კანონით გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა. თუ შვილად აყვანის პროცესში ერთ-ერთი მეუღლე აქტიურობს, ხოლო მეორე მეუღლე მხოლოდ თანხმობას გამოხატავს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქორწინებაში მყოფ მხოლოდ ერთ მეუღლეს მიეცა შვილად აყვანის უფლება. თუ შვილად აყვანა გაფორმდება, იგულისხმება, რომ ორივე მეუღლეს დაეკისრება მშობლის უფლება-მოვალეობათა შესრულება.

მეუღლეების გარდა, არ შეიძლება ბავშვი ორმა პირმა ერთი ან თუნდაც სხვადასხვა სქესისამ იშვილოს, მაგალითად, ორმა დამ ან ბავშვის პაპამ და დეიდამ. ასეთი აკრძალვა განპირობებულია იმით, რომ ბავშვს მშვილებლებმა ოჯახში ნორმალური ყოფისა და აღზრდის პირობები უნდა შეუქმნან ღვიძლი მშობლების მსგავსად. მამისა და დედის შეცვლა მხოლოდ მშვილებელ მეუღლეებს შეუძლიათ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მეუღლეების გარდა არავის არა აქვს შვილად აყვანის უფლება. შესაძლებელია ბავშვი იშვილოს ერთმა პირმაც, თუკი იგი აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს. ხშირად მშვილებლად გამოდის დედინაცვალი ან მამინაცვალი, ძირითადად, როცა ბავშვის მშობლები ცოცხლები არ არიან. შესაძლებელია, აგრეთვე ბავშვი იშვილოს მარტოხელა ქალმა ან მარტოხელა მამაკაცმა. კანონი ამ საერთო წესიდან უშვებს გამონაკლისს და განსაზღვრული პირობების არსებობისას მეუღლეთაგან ერთ-ერთ მათგანს აძლევს ბავშვის შვილად აყვანის უფლებას. ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთ მეუღლეს სურს თავისი ბავშვის, ოღონდ ქორწინების გარეშე გაჩენილის, შვილად აყვანა. იგულისხმება, რომ ასეთი ბავშვი იზრდება მეორე მშობელთან ან საბავშვო დაწესებულებაშია მოთავსებული. შესაძლებელია, აგრეთვე ერთ-ერთმა მეუღლემ იშვილოს თავისი მეუღლის შვილი.

თუ მეუღლეებმა ერთად იშვილეს ბავშვი ან ერთ-ერთმა მეუღლემ იშვილა მეორე მეუღლის შვილი, მათ შორის ქორწინების შეწყვეტა ან მისი ბათილად აღიარება არავითარ სამართლებრივ ზეგავლენას არ ახდენს შვილად აყვანაზე. იგი ძალაში რჩება და ცალ-ცალკე მცხოვრებ მშვილებლებს ან ერთ-ერთ მათგანს კვლავ ეკისრება ნაშვილები პირის რჩენისა და აღზრდის უფლება-მოვალეობა. ყოფილ მეუღლეთაგან თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი ნაშვილები და საალიმენტო ვალდებულება ვის დაეკისრება, ამას დავის შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტს.

შვილად აყვანა მეუღლეთა მიერ ხორციელდება ურთი-

ერთშეთანხმებით. იმ გამონაკლის შემთხვევაშიც, როცა დაშვებულია ერთ-ერთი მეუღლის მიერ ბავშვის შვილება, აუცილებელია მეორე მეუღლის თანხმობა. მის მიღებას დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის აღზრდაზე კეთილისმყოფელი ზეგავლენის მოსახდენად. თუ პირი წინააღმდეგია იმისა, რომ მისმა მეუღლემ იშვილოს ქორწინების გარეშე გაჩენილი თავისი ბავშვი ან გერი, ბუნებრივია, ასეთ პირობებში მშვილებელი თავის ფუნქციას ნაშვილების მიმართ სრულყოფილად ვერ შეასრულებს. ამიტომ აუცილებელია ჯერ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ, ხოლო შემდეგ კი სასამართლომ გაარკვიოს შვილად აყვანაზე მეორე მეუღლის წინააღმდეგობის მიზეზების საფუძვლიანობა და ამის შემდეგ მოხდეს საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. მეორე მეუღლის თანხმობა გამოხატულ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით და უნდა წარედგინოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებსაც, როცა მეორე მეუღლის თანხმობა შვილად აყვანაზე საჭირო არ არის. ეს ისეთი გარემოებებია, რომელთა არსებობა ობიექტურ პირობებზეა დაფუძნებული. არ არის საჭირო მეორე მეუღლის თანხმობა, თუ მეუღლეებს ფაქტობრივად შეწყვეტილი აქვთ საქორწინო ურთიერთობა ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ ქორწინების შეწყვეტა ოფიციალურად ჯერ არ გაფორმებულა. ასევე არ არის საჭირო იმ მეუღლის თანხმობა, რომლის საცხოვრებელი ადგილი უცნობია, მაგალითად, იმის გამო, რომ ხანგრძლივი დროით წასულია სამუშაოდან ან სხვა მიზეზით და ვერ ხერხდება მასთან დაკავშირება. იგულისხმება, რომ ასეთ შემთხვევაში ნაშვილების აღზრდაზე მეორე მეუღლის უარყოფითი ზეგავლენის შესაძლებლობა გამორიცხულია.

შვილად აყვანის საფუძველზე განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობა მყარდება მშვილებელსა და ნაშვილებს შორის. ეს ურთიერთობა თავისი შინაარსით იგივეა, რაც მშობელსა და შვილს შორის არსებობს. ამ ზოგად დებულებას კანონი აკონკრეტებს მეუღლეთა უფლება-მოვალეობების მოცულობის გათვალისწინებით. თუ მეუღლეები ერთად იშვილებენ ბავშვს, ბუნებრივია, მათ ნაშვილების მიმართ ერთნაირად უნდა წარმოეშვათ მშობლიური უფლება-მოვალეობები, მაგრამ, როცა ერთ-ერთი მათგანი იშვილებს მეორე მეუღლის შვილს, მხოლოდ მას წარმოეშობა ასეთი უფლება-მოვალეობანი, რადგან მეორე მეუღლეს უკვე გააჩნია ასეთი უფლება-მოვალეობა. ამიტომ ორივე შემთხვევაში ნაშვილები იძენს მშვილებლებს შორის ქორ-

წინების პირობებში გაჩენილი შვილის სამართლებრივ მდგომარეობას. არ შეიძლება იგივე სამართლებრივი მდგომარეობა ჰქონდეს ბავშვს, რომელიც ქორწინების გარეშეა გაჩენილი და იშვილა ქორწინებაში მყოფმა ერთ-ერთმა მეუღლემ – ბავშვის მშობელმა. ამ შემთხვევაში მეორე მეუღლის მიმართ ნაშვილებ ბავშვს გერის სამართლებრივი მდგომარეობა გააჩნია.

შვილად აყვანა შეიძლება არა მარტო არასრულწლოვანი ბავშვისა, არამედ სრულწლოვანი პირისაც. დაქორწინებაც შეიძლება როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი პირებისა. როცა არასრულწლოვანი პირი ქორწინდება მშობელთა თანხმობით (ან სასამართლოს ნებართვით), იგი სრულ ქმედუნარიანობას იძენს დაქორწინების მომენტიდან. სრულწლოვან დაქორწინებულ პირს ის ისედაც გააჩნია. ამიტომ კანონით ყველა შემთხვევაში, როცა ხდება დაქორწინებული პირის შვილად აყვანა, სხვა პირობების დაცვასთან ერთად საჭიროა მისი მეუღლის თანხმობაც. ასეთი თანხმობა არ იქნება საჭირო, თუ მისი მიღება შეუძლებელია იმის გამო, რომ მეუღლის საცხოვრებელი ადგილი უცნობია.

შვილად აყვანის ინსტიტუტმა რომ თავისი დანიშნულებისამებრ იფუნქციონიროს, აუცილებელია მშვილებელსა და ნაშვილებს შორის ასაკობრივი სხვაობის განსაზღვრა. ფორმალური ხასიათი ექნება, მაგალითად, 15 წლის არასრულწლოვანი ბავშვის შვილად აყვანას 20 წლის სრულწლოვანის მიერ. ასეთ შემთხვევაში აღზრდისა და მშობლიური ზრუნვის განხორციელებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამიტომ კანონი მოითხოვს იმას, რომ მშვილებელი 16 წლით მაინც იყოს უფროსი ნაშვილებზე. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება დედინაცვალ-მამინაცვლისა და გერის ურთიერთობაზე. ასეთი სხვაობა განპირობებულია იმ მინიმალური ასაკით, რომელთანაც დაკავშირებულია ქორწინება ან ბავშვის გაჩენის რეალური შესაძლებლობა. ასაკობრივი სხვაობის მაქსიმუმი დაწესებული არ არის.

კანონით დაწესებული მინიმალური ასაკობრივი სხვაობა სასამართლომ შეიძლება კიდევ უფრო შეამციროს, თუ ამისათვის რაიმე პატივსადები მიზეზი არსებობს. მაგალითად, შესაძლებელია 5 ან 8 წლის ობლად დარჩენილი ბავშვის შვილად აყვანაზე სასამართლო დასთანხმდეს 20 წლის დეიდას, თუ ბავშვს სხვა ახლო ნათესავები არ ჰყავს და შვილად აყვანის მსურველი აქტიურად მონაწილეობდა დისშვილის აღზრდაში. სასამართლომ ყოველი ასეთი საქმის განხილვისას

ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, შეესაბამება თუ არა შვილად აყვანა ბავშვის აღზრდის ინტერესებს და ხომ არ იქნება მშვილებლის მხრიდან ანგარების გამოვლენის შესაძლებლობა.

შვილად აყვანა საოჯახო სამართლის უძველესი ინსტიტუტია. იგი ცნობილია სამართლის თითქმის ყველა სისტემისათვის, თუმცა ყველა ქვეყანაში და ყოველთვის ერთსა და იმავე მიზანს არ ემსახურებოდა. რომაული სამართალი შვილად აყვანას განიხილავდა, როგორც ნაშვილებ პირებზე მშვილებელთა ხელისუფლების გავრცელების შესაძლებლობას. ნაშვილები პირი გამოდიოდა მამის ხელისუფლებიდან და მთლიანად შედიოდა მშვილებლის ოჯახის შემადგენლობაში. შვილად აყვანის ერთ-ერთი დანიშნულება ისიც იყო, რომ ოჯახის უფროსს შეევსო ვაჟიშვილის არყოლით გამოწვეული ოჯახური დანაკლისი. ვაჟიშვილი, ძველი ჩვეულებებით, ოჯახის სიწმინდის დაცვისა და მომავალი წარმატებული ცხოვრების საწინდარი იყო. ამიტომ, თუ ოჯახის უფროსს ღვიძლი ვაჟიშვილი არ ჰყავდა, მას სხვისი ვაჟი უნდა მიეღო შვილად. შვილად აყვანა, გამონაკლის შემთხვევებში, მშობლიურ გრძნობათა დაკმაყოფილების საშუალებასაც წარმოადგენდა. შვილად აყვანა მიწისა და კარ-მიდამოს გასხვისების საშუალებადაც გამოიყენებოდა იმ ეპოქებში, რომლებშიც მიწის ყიდვა-გაყიდვა იზღუდებოდა. მიწის ნაკვეთის გამყიდველს შვილად აჰყავდა მისი მყიდველი და მას როგორც შვილს თავისი მიწებიდან გამოუყოფდა სამკვიდრო წილს. ხოლო ნაშვილები მშვილებელს აძლევდა მიწის ფასის შესაბამის საჩუქარს. ასეთი „ფსევდოშვილება“ საქართველოში, მართალია, გავრცელებული არ ყოფილა, მაგრამ მსგავს მოვლენებს ზოგჯერ ადგილი ჰქონდა. შვილად აყვანის ინსტიტუტი, ძირითადად, დაკავშირებული იყო ქალის ოჯახში მამაკაცის სიძედ შესვლასთან. დავით კურაპალატის სამართლის წიგნში აღნიშნული იყო, რომ, თუ სიძე სიმამრის სახლში ოფიციალურად იქნებოდა შესული, იგი ღვიძლი შვილის უფლებებით სარგებლობდა და თავისი სიმამრის უძრავი ქონების – მამულის მემკვიდრედაც შეიძლებოდა ყოფილიყო აღიარებული, რაც მფლობელობის გასხვისების აკრძალვის პირობებში ფაქტობრივი განკარგვის საშუალება იყო. ანდერძით ქონების განკარგვის შეზღუდვის შემთხვევებში შვილად აყვანა შექმნილი ბდგომარეობიდან გამოსავლის საუკეთესო საშუალებად ითვლებოდა. ამიტომ შვილად აყვანა ანდერძის სუროგატადაც მიიჩნეოდა. მოგვიანებით შვილად აყვანა ნაშვილების ინტერესების გათვალისწინებასაც ისახავდა მიზნად. ვახტანგ VI-ის

სამართლის წიგნის მიხედვით, თუ ერთმა პირმა სხვისი შვილი, ობოლი ვინმე გაგდებული იყიდოს, იპოვოს, იშვილოს და გაზარდოს, თავისი მამული და ქონება შვილისამებრ უნდა მიუსაკუთროს მას და უანდერძოს. კანონმდებელი ავალდებულებდა მებატონეს ნაშვილებისათვის შეენარჩუნებინა ნაანდერძევი ქონება. თავის მხრივ კი, ნაშვილები ვალდებული იყო შეესრულებინა მშვილებლის მიწათმფლობელობასთან დაკავშირებული ბეგარა. შვილად აყვანა შეეძლო არა მარტო ფიზიკურ, არამედ იურიდიულ პირსაც. მეფეს უნდა დაერთო ნება, რომ, მაგალითად, ეკლესიას თავის შვილად აყვანილად გაეფორმებინა რომელიმე საეკლესიო მსახურის მიერ აღზრდილი ბავშვი. გლეხის უკანონო შვილს – ნაბიჭვარს – არ გააჩნდა მემკვიდრეობის უფლება, ხოლო აზნაურის ნაბიჭვარს შეზღუდულად გააჩნდა ასეთი უფლება. ამიტომ გლეხების უკანონო შვილებს ან სხვა უმეთვალყურეოდ დარჩენილ ბავშვებს, ძირითადად, ეკლესია პატრონობდა და შვილად აჰყავდა.

10.2. გასაშვილებელი ბავშვებისა და შვილად აყვანის მსურველ პირთა რეესტრი

გასაშვილებელი ბავშვია 18 წლამდე ასაკის პირი, რომელიც აღრიცხულია გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა ერთიან რეესტრში და აკმაყოფილებს შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ 2009 წლის 18 დეკემბრის კანონის მოთხოვნებს. ამ კანონის მიხედვით, გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი ენიჭება პირს: რომლის მშობელი სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად; რომელსაც არ ჰყავს არც ერთი მშობელი (ობოლი ბავშვი); რომელიც აღიარებულ იქნა მიტოვებულ ბავშვად; რომლის ყველა კანონიერმა წარმომადგენლებმა მის გაშვილებაზე თანხმობა განაცხადა და რომელიც აღრიცხულია ერთიან რეესტრში; რომლის მშობელს ჩამოერთვა მშობლის უფლება. **გასაშვილებელი ბავშვის სტატუსს პირს ანიჭებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.** იგი გამოიტანს შესაბამის გადაწყვეტილებას, რის საფუძველზეც მოხდება გასაშვილებელი ბავშვის შესახებ მონაცემების აღრიცხვა ერთიან რეესტრში.

გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა ერთიანი რეესტრი წარმოადგენს ცენტრალური და ადგილობრივი საინფორმაციო რეესტრების

ერთიან სისტემას, რომელიც მოიცავს გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა შესახებ მონაცემების ერთობლიობას. ერთიანი რეესტრის ცენტრალური ორგანოა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი დაწესებულება – სააგენტო, რომელიც აწარმოებს გასაშვილებელ ბავშთა და მშვილებელთა ერთიან რეესტრს და კანონმდებლობით დადგენილი წესით მონაწილეობს შვილად აყვანის ან გაშვილების პროცედურაში. ადგილობრივ საინფორმაციო რეესტრებს აწარმოებენ მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოები – სააგენტოს რაიონული და საქალაქო სამსახურები (ადრე მსგავს ფუნქციებს ახორციელებდნენ, ძირითადად, განათლების სამინისტროს სტრუქტურები).

გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა ერთიანი რეესტრის შემოღებამ მნიშვნელოვნად გაზარდა სახელმწიფოს მაკონტროლებელი როლი შვილად აყვანისა და გაშვილების (განსაკუთრებით – საზღვარგარეთ გაშვილების) სფეროში და გააფრთოვა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების ფუნქციები. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებში შვილად აყვანასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა ევალებათ **სოციალური** დაცვის **მუშაკებს**. ისინი, როგორც სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირები, შეიმუშავებენ დასკვნას ბავშვისათვის გასაშვილებელის სტატუსის მინიჭებისა და მისი შვილად აყვანის შესახებ, აგრეთვე ახორციელებენ კანონით მინიჭებულ სხვა ფუნქციებს. სხვა ნებისმიერ ორგანოსა და ფიზიკურ პირს აეკრძალა შვილად აყვანასთან დაკავშირებულ პროცედურაში ჩართვა და რაიმე საშუამავლო ფუნქციის განხორციელება. დაწესდა გარკვეული შეზღუდვებიც. აკრძალულია, მაგალითად, შვილად აყვანის მიზნით ფეხმძიმე ქალის წინასწარ შერჩევა და მისი სამშობიაროდ საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა ან ასეთ ქმედებაში ხელის შეწყობა. ასევე აკრძალულია გასაშვილებელი ბავშვისა და მშვილებლის საოჯახო განცხადებით ძებნა ან შეთავაზება. გამონაკლისია საჯარო განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ შვილად აყვანის საკითხებზე უნდა მიმართონ მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოებს ან ცენტრალურ ორგანოს. ასეთ განცხადებაში არ შეიძლება მიეთითოს გასაშვილებელი ბავშვის ვინაობის შესახებ.

გასაშვილებელი ბავშვის სტატუსის მინიჭებამდე ზოგიერთი კატეგორიის ბავშვს კანონით განსაზღვრული ეტაპები აქვს გასავლელი.

მაგალითად, ნაპოვნ ბავშვს უნდა მიენიჭოს მიტოვებული ბავშვის სტატუსი. ნაპოვნად ითვლება 18 წლამდე ასაკის უცნობი პირი მისი აღმოჩენის მომენტიდან ვინაობის დადგენამდე. ასეთი ბავშვის დროებითი განთავსების საკითხს წყვეტს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო, რომელიც საჭირო ინფორმაციის მოპოვების მიზნით დაუყოვნებლივ მიმართავს ადგილობრივ შინაგან საქმეთა ორგანოს. ნაპოვნი ბავშვის აღმოჩენისას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსა და ადგილობრივ პოლიციას ევალებათ განახორციელონ ღონისძიებანი ან ბავშვის, ან მშობლების ვინაობის დასადგენად. თუ ეს ვერ მოხერხდა, მაშინ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო 6-კვირიანი ვადის გასვლის შემდეგ მიმართავს სასამართლოს ნაპოვნი ბავშვის მიტოვებულად აღიარებისათვის. ბავშვი მიტოვებულად აღიარებას ექვემდებარება მაშინაც, როცა მშობელი თავისი ქმედებით გამოხატავს მიტოვებას და თავს არიდებს თავის უფლება-მოვალეობათა შესრულებას. სასამართლო ბავშვის მიტოვებულად აღიარების საკითხს განიხილავს სამოქალაქო-საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. საკმაო საფუძვლების არსებობისას სასამართლო გამოიტანს შესაბამის გადაწყვეტილებას. მისი კანონიერ ძალაში შესავლის დღიდან ბავშვი აღიარებულ იქნება მიტოვებულად. თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსა და პოლიციის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად დადგინდა ბავშვის ან მშობლის ვინაობა, მაგრამ ვერ ხერხდება მშობლის წარდგენა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში ან მასთან სხვაგვარი დაკავშირება და აშკარა ხდება, რომ იგი თავს არიდებს მშობლის უფლება-მოვალეობების შესრულებას, უნდა დაისვას საკითხი ასეთი პირისათვის მშობლის უფლება-მოვალეობათა ჩამორთმევის ან შუზღუდვის შესახებ. ამის თაობაზე სასამართლოს მიმართავს მეურვეობისა და მზრუნველობის ის ორგანო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც რეგისტრაციაშია გატარებული ნაპოვნი ბავშვი.

კანონი, ბავშვების მიტოვების შემთხვევების შემცირებისა და თავიდან აცილების მიზნით, ადგენს სამედიცინო დაწესებულებებში ახალშობილის იდენტიფიცირების ხელშემწყობი ღონისძიების გატარების აუცილებლობას. კერძოდ, სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია აცნობოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ამ დაწესებულებაში პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე შესული მელოგინე ქალის შესვლის შესახებ. მეურვეობისა და მზრუნ-

ველობის ორგანომ კი ამის შესახებ საქმის კურსში უნდა ჩააყენოს ცენტრალური ორგანო. მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო პოლიციასთან ერთად ადგენს ჩვილის მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი დედის სოციალურ მდგომარეობასა და სავარაუდო საცხოვრებელი ადგილის მისამართს. სამედიცინო დაწესებულების (მიუხედავად ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) ადმინისტრაციის მიერ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის მელოგინის გაპარვის შეუტყობინებლობა გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა ერთიან რეესტრში მიტოვებული ბავშვების გარდა სხვა კატეგორიის პირთა რეგისტრაციაც ხდება. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია შვილად აყვანის პროცედურის განმხორციელებელი ორგანოების უფლებამოსილებათა ზუსტად განსაზღვრა და ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალური ორგანო – სააგენტო კოორდინაციას უწევს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოთა მუშაობას; უზრუნველყოფს სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას და შვილად აყვანის საკითხებში ბავშვთა უფლებების დაცვას; შეიმუშავებს ერთიანი რეესტრის წარმოების წესს, უზრუნველყოფს მის სისტემატიზებასა და დამუშავებას; შეიმუშავებს მშვილებლისა და გასაშვილებელი ბავშვის თავსებადობის კრიტერიუმებს და სხვ. **მხოლოდ ცენტრალური ორგანოა უფლებამოსილი განახორციელოს საერთაშორისო გაშვილება.** მისი საბოლოო გაფორმება კი ხდება სასამართლოს გადაწყვეტილებით. ცენტრალური ორგანო ვალდებულია 18 წლის ასაკს მიღწეული პირის მოთხოვნით მიაწოდოს მას ინფორმაცია მისი ბიოგრაფიული მონაცემების, აგრეთვე ბიოლოგიური მშობლის შესახებ ასეთის არსებობის შემთხვევაში. იმავე ფუნქციებს, ოღონდ თავიანთი კომპეტენციის ფარგლები, ახორციელებენ აჭარისა და აფხაზეთის შესაბამისი ორგანოები.

მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო – სააგენტოს ტერიტორიული ერთეული თავის სამოქმედო ტერიტორიაზე ახორციელებს ბავშვთა უფლებების დაცვას და შვილად აყვანის პროცედურის განხორციელების ყველა ეტაპზე გასაშვილებელი ბავშვის წარმომადგენელია. იგი აწარმოებს გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა ადგილობრივ რეესტრს.

შვილად აყვანასთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ არასრულწლოვანთა პრობლემებზე მომუშავე სოციალური

მუშაკი. იგი მოქმედებს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოსთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში. მისი კომპეტენციაა: შეაფასოს მშვილებელი მისი ბიოგრაფიული მონაცემების, პიროვნული თვისებების, სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით; დაადგინოს მშვილებლის მიერ ბავშვის შვილად აყვანის მოტივები და მათი შესაბამისობა შვილად აყვანის მიზნებთან; შეაფასოს გასაშვილებელი ბავშვი ბიოგრაფიული მონაცემების, პიროვნული თვისებების, ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით; განსაზღვროს მშვილებლისა და გასაშვილებელი ბავშვის თავსებადობა; შვილად აყვანის საკითხებზე ჩაატაროს კონსულტაციები და სხვ. სოციალური მუშაკის საქმიანობის ხარისხზე კონტროლს ახორციელებს შესაბამისი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

შვილად აყვანასთან დაკავშირებული ფუნქციების განხორციელებაში მონაწილეობას ღებულობენ აგრეთვე სხვა ორგანოებიც. ამ მხრივ აღსანიშნავია იუსტიციის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა ადგილობრივი ორგანოები, სამედიცინო-სამკურნალო და საბავშვო-სამზრუნველო ორგანოები.

ყველა ტიპის საბავშვო-სამზრუნველო დაწესებულების ხელმძღვანელი, მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და ქვემდებარეობისა, ვალდებულია ობოლი, ნაპოვნი ან მიტოვებული ბავშვის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოს. ასეთივე ინფორმაცია შეიძლება მიაწოდოს ნებისმიერმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირმა. საბავშვო-სამზრუნველო დაწესებულებები ვალდებული არიან, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მოთხოვნის საფუძველზე, მიაწოდონ მათ ინფორმაცია ამ დაწესებულებებში მყოფი ბავშვების ბიოგრაფიული მონაცემების, სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები შეგროვილი ინფორმაციების საფუძველზე აწარმოებენ ადგილობრივ რეესტრს და პარალელურად ინფორმაციებს გადასცემენ ცენტრალურ ორგანოს. გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა რეესტრში აღირიცხებიან აგრეთვე მიტოვებული ბავშვის სტატუსის მქონე პირები და მშობლების მიერ გასაშვილებლად გათვალისწინებული ბავშვები. ერთიანი რეესტრის აღრიცხვიდან ბავშვი მოიხსნება მხოლოდ გაშვილების ან გარდაცვალების შემთხვევაში. მანამდე რეესტრში აღ-

რიცხვაზე მყოფი პირი ინარჩუნებს გასაშვილებელი პირის სტატუსს.

გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა ერთიანი რეესტრის გვერდის ავლით შვილად აყვანა დაუშვებელია. ამიტომ შვილად აყვანის მსურველების რეგისტრაციაც უნდა მოხდეს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს შვილად აყვანის ფაქტის ლეგიტიმაციისათვის, რომ არაფერი ითქვას რიგითობის დაცვის აუცილებლობაზე. კანონი შვილად აყვანის შესახებ ზუსტად განსაზღვრავს შვილად აყვანის მსურველი პირებისა ან ოჯახების აღრიცხვის წესს.

საქართველოს მოქალაქესა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლებიც გამოთქვამენ ბავშვის შვილად აყვანის სურვილს, განცხადება შეაქვს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოში. განცხადებას უნდა დაერთოს დოკუმენტები, რომლებიც გათვალისწინებულია მშვილებელ პირთა ან ოჯახთა აღრიცხვის შესახებ, ცენტრალური ორგანოს მიერ დამტკიცებული წესებით. ამის შემდეგ ხდება წარდგენილი დოკუმენტების დამუშავება და მშვილებლის მდგომარეობის შეფასება. მშვილებლის მონაცემები იგზავნება ცენტრალურ ორგანოში ერთიან რეესტრში შესატანად.

უცხო ქვეყნის მოქალაქეს შვილად აყვანის შესახებ განცხადება თანდართული დოკუმენტებით შეაქვს ცენტრალურ რეესტრში.

ცენტრალური ორგანო ან მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო, სოციალური მუშაკის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე, შეიმუშავებს დასკვნას მშვილებლის ცენტრალურ ან ადგილობრივ რეესტრში აღრიცხვაზე აყვანიდან ერთი კვირის ვადაში. დასკვნაში აღინიშნება: მშვილებლის ბიოგრაფიული მონაცემები; პიროვნული თვისებები; სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა; შვილად აყვანის მოტივი; გასაშვილებელი ბავშვის ბიოგრაფია და მდგომარეობა; ბიოლოგიური მშობლების მდგომარეობა; ბავშვის გაშვილების მოტივი, ვინაობა, თუ იგი ცნობილია; საჭიროების შემთხვევაში შვილად აყვანის შესახებ დასკვნა უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის აღზრდის შესაძლებლობას ეთნიკური, რელიგიური და კულტურული გარემოს გათვალისწინებით. ბავშვის საქართველოს ტერიტორიაზე გაშვილების შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ მომზადებული დასკვნა ერთი კვირის განმავლობაში წარედგინება შესაბამის სასამართლოს, საერთაშორისო გაშვილების შემთხვევაში კი – ცენტრალურ რეესტრში მომზადებული დასკვნა. შვილად აყვანის

შესახებ საქმე განიხილება დახურულ სასამართლო სხდომაზე. აკრძალულია შვილად აყვანის საკითხის განხილვა სასამართლოში მშვილებლის მონაწილეობის გარეშე. პატივსადები მიზეზების არსებობისას სასამართლოს სხდომა შეიძლება გაიმართოს ერთ-ერთი მშვილებლის მონაწილეობით. შვილად აყვანის შესახებ მშვილებლის განცხადება განხილულ უნდა იქნეს სასამართლოს მიერ შეტანიდან ორი კვირის განმავლობაში და მიღებულ უნდა იქნეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შვილად აყვანის უპირატესი უფლების ამა თუ იმ პირისათვის კანონით მინიჭების ფაქტი. შვილად აყვანის შესახებ კანონის მიხედვით გასაშვილებელი **ბავშვის შვილად აყვანის უპირატესი უფლება აქვს მის ნათესავს.** ამ შემთხვევაში ნათესავად ითვლება პირი, რომლისთვისაც გასაშვილებელი ბავშვი არის: შვილიშვილი, დისშვილი, ძმისშვილი, გერი ძმისშვილი, გერი დისშვილი, ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი ან მათი შვილები, დედინაცვალ;ი ან მამინაცვალი. ასეთივე უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირს, აგრეთვე უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც არის გასაშვილებელი ბავშვის ნათესავი. შვილად აყვანის უპირატესი უფლება აქვს ბავშვის აღსაზრდელად მიმღებ ოჯახს, დედობილს ან მამობილს. ეს უფლება გამოიყენება მაშინაც თუ ბავშვის მშობელი და მშვილებელი ერთობლივად მიმართავენ საგენტოს. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ შვილად აყვანის შესახებ დასკვნის მომზადებისას უნდა გაითვალისწინოს შვილად აყვანის უპირატესი უფლების მქონე პირთა ინტერესები. მათ მიმართ არ მოქმედებს შვილად აყვანის რიგითობის პრინციპი.

შვილად აყვანის უპირატესი უფლების მქონე პირთა შორის ყოველგვარი უთანხმოება უნდა გადაწყვიტოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ. თუ მან ეს ვერ მოახერხა, მაშინ დავას გადაწყვეტს სასამართლო.

10.3. მშობლების, მშვილებლებისა და ნაშვილების უფლება-მოვალეობები

შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება ბევრად არის დამოკიდებული ბავშვის მშობლების სურვილზე. თუ ბავშვს

ჰყავს მშობლები და მათ არა აქვთ ჩამორთმეული ან შეზღუდული მშობლის უფლება-მოვალეობები, თანხმობას ბავშვის გაშვილებაზე ისინი გამოხატავენ წერილობითი ფორმით. განცხადებას შვილის გაშვილების თაობაზე მშობელი წარუდგენს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. განცხადებაში მშობლის ნება ბავშვის გაშვილებაზე თანხმობის ან მშობლის უფლებაზე უარის თქმის შესახებ ორი ფორმით გამოიხატება. **მათგან ერთია პირველადი და მეორე კი — ძირითადი.** განცხადების პირველად ფორმაში აისახება მშობლებისა და ბავშვის ბიოგრაფიული მონაცემები. მას თან ახლავს წერილობითი განმარტებები მშობლის უფლება-მოვალეობათა შესრულებისა და კანონმდებლობით დადგენილი შეღავათების გამოყენების შესახებ. ძირითადი ფორმა ბავშვის გაშვილების რეალური საფუძველია. ეს ფორმა შეივსება პირველადი ფორმის წარდგენიდან განსაზღვრული ვადის განმავლობაში. ამ ვადაში მშობელი კიდევ უნდა დაფიქრდეს და მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება. ძირითადი ფორმის შევსების შემდეგ, რომელშიც მშობლების საბოლოო გადაწყვეტილება დასტურდება, მშობლის უფლება-მოვალეობა შეჩერებულად ჩაითვლება და ისინი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაეცემა. სასამართლო ასეთ შემთხვევაში შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილებასთან ერთად გამოიტანს გადაწყვეტილებას ბავშვის მშობლებისათვის მშობლის უფლება-მოვალეობათა ჩამორთმევის შესახებ.

თუ პირველადი ფორმის შევსების მიუხედავად, მშობელი არ გამოცხადდა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში საბოლოო გადაწყვეტილების დასადასტურებლად და ახალშობილი ბავშვი იმყოფება მზრუნველობის გარეშე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მიმართავს სასამართლოს მშობლის უფლება-მოვალეობების ჩამორთმევის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ მშობლები (ან მშობელი) სხვაგან ცხოვრობენ, მაშინ წერილობითი თანხმობა დამოწმებულ უნდა იქნეს დადგენილი წესით. როცა გამშვილებელი მარტოხელა მშობელია, საკმარისია მარტო მისი თანხმობა.

მშობელი ბავშვის გაშვილებაზე თანხმობას, ჩვეულებრივ, იძლევა იმ შემთხვევაში, როცა დარწმუნებულია იმაში, რომ მშვილებელთან ბავშვის აღსაზრდელად უკეთესი პირობები არსებობს და მის მომავალს ცუდი არაფერი ემუქრება. მაგრამ შეიძლება შეიქმნას ისეთი მდგომარეობაც, როცა ბავშვის საჩქაროდ გაშვილება ბავშვის ინტერესების

უკეთ უზრუნველყოფისთვისაც და მშობლების შემდგომი ცხოვრებისათვისაც აუცილებელ და ერთადერთ გამოსავალს წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში მშობლებს შეუძლიათ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში განაცხადონ კონკრეტულ პირზე ან ოჯახზე გაშვილების შესახებ თანხმობა ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიანდონ მშვილებლის შერჩევა. მშვილებლის შერჩევისას ამოსავალ დებულებად მიჩნეულ უნდა იქნეს ის, რომ ასეთი პირის საოჯახო-ყოფითი და მატერიალური მდგომარეობა სავსებით უნდა შეესაბამებოდეს კანონით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნას.

ბავშვის გაშვილებაზე მშობლის თანხმობის შინაარსი გულისხმობს მის უკან გამოთხოვის შესაძლებლობას – ოღონდ სასამართლოს მიერ შვილებაზე გადაწყვეტილების გამოტანამდე. ცხოვრების შეცვლილი პირობები, მშობლიური გრძნობის გაღვიძება, რასაც შეუძლია მშობლების ოჯახში ბავშვის აღსაზრდელად ნორმალური პირობების შექმნა, შვილად აყვანის ხელის შემშლელ გარემოებად უნდა იქნეს მიჩნეული. იგულისხმება, რომ თანხმობის გაცემიდან მის გამოთხოვამდე საკმაო დრო გავიდა იმისათვის, რომ მშობლებს თავიანთი პოზიცია კიდევ ერთხელ შეემოწმებინათ და დარწმუნებულიყვნენ ბავშვის გაშვილების არამიზანშეწონილობაში. ასეთ შემთხვევაში მშობლების თანხმობის უკან გამოთხოვა უდავოდ უნდა გახდეს შვილად აყვანეზე უარის თქმის საფუძველი. ამიტომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ მშობლების განცხადების საფუძველზე უნდა შეცვალოს თავისი დასკვნა და მოითხოვოს სასამართლო პროცესის შეჩერება. სასამართლოში უარის თქმა გაშვილებაზე თანხმობის შესახებ, საფუძვლად უნდა დაედოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ წარდგენილი დასკვნის დაუკმაყოფილებლობას.

ქორწინების გარეშე გაჩენილი ბავშვი, თუ იგი დედასთან ცხოვრობს, შეიძლება დედის თანხმობით იშვილოს დედის მეუღლემ ან სხვა პირმა. ასეთი თანხმობისათვის კანონი ითვალისწინებს წერილობით ფორმას, რაც დედამ უნდა გასცეს ბავშვის დაბადებიდან ექვსი კვირის შემდეგ. თუ ქორწინების გარეშე გაჩენილი ბავშვის შვილება სურს სხვა პირს, იგულისხმება, რომ ასეთი ბავშვის მამამ უარი თქვა შვილის ნებაყოფლობით აღიარებაზე და არც სასამართლოს უმსჯელია მამობის იძულებით დადგენის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჭირო იქნებოდა მამის თანხმობაც. რადგან საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობა ქორწინების გარეშე გაჩენილ ბავშვს მხოლოდ დედასთან

გააჩნია, ამიტომ მისი თანხმობაა ყველა შემთხვევაში აუცილებელი. მესამე პირის მიერ ასეთი ბავშვის შვილად აყვანის პროცესში, სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანამდე, თუ ბავშვის მამამ სასამართლოში განცხადება შეიტანა მამობის დადგენის ან ბავშვის შვილად აყვანის შესახებ, გადაწყვეტილება ასეთი ბავშვის სხვა პირზე გაშვილების შესახებ, არ უნდა იქნეს მიღებული. ეს არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლო აუცილებლად დააკმაყოფილებს ბავშვის მამის განცხადებას. ეს საკითხი შეიძლება სადავოდ გახადოს ბავშვის დედამ. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო არ დააკმაყოფილებს ბავშვის მამის თხოვნას მამობის დადგენის ან ბავშვის შვილად აყვანის შესახებ, შეიძლება დღის წესრიგში ხელახლა დადგეს შვილად აყვანის მსურველ ადრინდელ პირზე ან სულ სხვაზე ბავშვის გაშვილების საკითხი. ასეთი წესი არ მოქმედებს ქორწინების გარეშე გაჩენილი ბავშვის საზღვარგარეთ გაშვილებაზე.

მეურვეობაში მყოფი ბავშვის შვილად აყვანისათვის საჭიროა მეურვის წერილობითი თანხმობა. კანონი ამ პირობას უკავშირებს ისეთ შემთხვევას, როცა ბავშვს მშობლები არა ჰყავს და ამიტომ იმყოფება მეურვეობაში. მეურვის თანხმობაა საჭირო მაშინაც, როცა ბავშვს, მართალია, მშობლები ჰყავს, მაგრამ ისინი აღიარებული არიან უგზო-უკვლოდ დაკარგულებად. თუ მეურვე წინააღმდეგია მეურვეობაში მყოფი პირის გაშვილებაზე, სასამართლოში საქმე არ განიხილება ან იგი არ დააკმაყოფილებს შვილად აყვანის შესახებ განცხადებას თუ მეურვის უარი ცნობილი გახდა გადაწყვეტილების გამოტანამდე.

ბავშვის გაშვილება შეიძლება მოხდეს მშობლების თანხმობის გარეშეც. ეს ისეთი შემთხვევებია, როცა თანხმობის მიღება ფაქტობრივად შეუძლებელია ან თანხმობით მიღებას არავითარი იურიდიული მნიშვნელობა არ გააჩნია. კანონი ზუსტად განსაზღვრავს მშობლების თანხმობის გარეშე ბავშვის გაშვილების საფუძვლებს. ესენია: 1. მშობლის გამოცხადება უგზო-უკვლოდ დაკარგულად; 2. მშობლისათვის მშობლის უფლება-მოვალეობათა ჩამორთმევა; 3. მიტოვებულად ბავშვის აღიარება. **პირველი** საფუძვლის არსებობის შემთხვევაში მშობლის მონახვა შეუძლებელია, მას თავის შვილთან გაწყვეტილი აქვს ყოველგვარი კავშირი, ფაქტობრივად, არ ზრუნავს შვილზე და ამიტომ არცაა საჭირო მისი თანხმობა. იმ შემთხვევაში, თუ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული მშობელი ბავშვის გაშვილების შემდეგ გამოჩნდა თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მას უფლება არა

აქვს ბავშვის გაშვილების გაბათილება მოითხოვოს. **მეორე** გარემოების არსებობა ადასტურებს იმას, რომ ბავშვის აღზრდის პროცესში მშობელი იმდენად ხშირად და ბრალეულად არღვევდა მშობლიურ უფლება-მოვალეობებს, რომ აუცილებელი გახდა მათი ჩამორთმევა. მსგავს შემთხვევებში სამართლებრივი კონტაქტი მშობელსა და შვილებს შორის გაწყვეტილია არა დროებით, არამედ განუსაზღვრელი ვადით და ამიტომ მისი თანხმობა ბავშვის გაშვილებაზე ფაქტობრივად არაფერს ცვლის. თუ განსაზღვრული დროის გასვლისას ბავშვის გაშვილების შემდეგ მოხდება ასეთი მშობლის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა, მას არ ექნება შვილად აყვანის გაბათილებისა და შვილის დაბრუნების უფლება. **მესამე საფუძველი მარტივია.** მშობელმა უარყო თავისი შვილი, მიატოვა იგი და თავი აარიდა მშობლიურ უფლება-მოვალეობათა შესრულებას. ამიტომ საჭირო არაა მოხდეს ასეთი მშობლის მოძებნა და მისგან თანხმობის მიღება. აღნიშნული საფუძვლების გარდა, მშობლის თანხმობას გაშვილებისას, თავისთავად გამორიცხავს ბავშვის ობლობა.

ბავშვის გაშვილებისას მის სურვილს ათი წლის ასაკამდე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მართალია, სამოქალაქო კანონმდებლობით შვიდი წლის ასაკიდან პირს ნაწილობრივი ქმედუნარიანობა გააჩნია და მის სურვილსაც ზოგჯერ შეიძლება ანგარიში გაეწიოს, მაგრამ შვილად აყვანის ინსტიტუტი მხოლოდ ათი წლიდან ითვალისწინებს მის სურვილს. **კანონი კატეგორიულად კრძალავს შვილად აყვანას, თუ ათი წლის ასაკს მიღწეული ბავშვი ამის წინააღმდეგია.** იგი შეიძლება წინააღმდეგი იყოს არა მარტო რომელიმე კონკრეტულ პირზე მისი გაშვილებისა, არამედ, საერთოდ, გაშვილებისა. ასეთ შემთხვევაში, მართალია, ათი წლის ბავშვი სრულყოფილად ვერც კი აცნობიერებს გაშვილების სამართლებრივ შედეგებს და იგი ამა თუ იმ მშვილებლისადმი ან გაშვილების ფაქტისადმი ნათლად ვერ გამოხატავს თავის დამოკიდებულებას, მაგრამ მისი ნება მაინც გადამწყვეტია.

თანახმაა თუ არა ათი წლის ასაკს მიღწეული ბავშვი გაშვილებაზე, გარკვეულ უნდა იქნეს შვილად აყვანის საქმეზე გამართულ სასამართლო სხდომაზე ბავშვის მოსმენის შედეგად. კანონის ეს მოთხოვნა განპირობებულია იმით, რომ მშობლების ჩარევა ამ საკითხის გარკვევაში ობიექტურ სურათს არ იძლევა. თითქმის იგივე მდგომარეობაა, როცა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ცდილობს ნამდვილი სურვილის გარკვევას. ბავშვის შინაგანი ნება მსგავს შემთხვევებში შეიძლება

არც დაემთხვას მის გარეგან გამოხატულებას. ამიტომ ბავშვის ხელწერილს ან მისი ნების გამოხატვის სხვა რომელიმე ფორმას კი არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, არამედ უშუალოდ სასამართლოს მიერ ბავშვის ნების სერიოზული და საფუძვლიანი გამოკვლევაა მთავარი. სწორედ სასამართლომ უნდა დაადგინოს, თანახმაა თუ არა ბავშვი გაშვილებაზე. მართალია, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეუძლია ამ მხრივ მეტად სასარგებლო მონაცემები შეაგროვოს (გააჩნია თუ არა სიმპათიები ბავშვს მომავალი მშვილებლის მიმართ, მოსწონს თუ არა მისი ქცევები და სხვ.), მაგრამ მათზე დაყრდნობით საბოლოოდ ბავშვის თანხმობის საკითხი მაინც სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ბავშვის უშუალოდ მოსმენის საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ათ წელს მიღწეული ბავშვი შვილად ამყვანის მსურველის ოჯახში ცხოვრობდა და ასეთ პირს თავის მშობლად თვლიდა შვილად აყვანის შესახებ საკითხის დაყენებამდე, შვილება შეიძლება შვილად ასაყვანი ბავშვის თანხმობის გარეშეც. ამ დროს ხდება ფაქტობრივ საოჯახო ურთიერთობათა იურიდიული გაფორმება. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ამოცანას ამ დროს წარმოადგენს ბავშვსა და შვილად აყვანის მსურველს შორის არსებული ურთიერთობის ნამდვილი სურათის გარკვევა. კერძოდ, მართლა თვლის თუ არა ბავშვი მშობლად იმ პირს, რომელსაც მისი შვილება სურს; არსებობს თუ არა ნორმალური პირობები ბავშვის შემდგომი აღზრდისათვის და სხვ. ამ საკითხების შესწავლისას ბავშვმა ეჭვი არ უნდა შეიტანოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ ჩატარებული გამოკვლევის ნამდვილ მიზანში.

შვილად აყვანის სურვილის გამოხატვიდან მის რეალურად განხორციელებამდე შეიძლება საკმაო დრო გავიდეს. ამ დროის მანძილზე შესაძლებელია ბევრი რამ შეიცვალოს, უპირველეს ყოვლისა, როგორც გამშვილებლის, ისე შვილად ამყვანის მსურველის მატერიალურ და ოჯახურ მდგომარეობაში, რამაც შეიძლება რადიკალურად შეცვალოს შვილად აყვანის ფაქტისადმი დაინტერესებულ პირთა დამოკიდებულება. ყველაზე მეტად შესაძლებელია ათ წელს მიღწეულმა ბავშვმა შეიცვალოს თავისი აზრი გაშვილების თაობაზე ადრე გამოთქმული თანხმობის შესახებ. სასამართლო და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებული არ არიან არკვიონ ადრე გამოხატული თანხმობის შეცვლის საფუძვლიანობა. აქედან გამომდინარე, მშობლების მსგავსად, შვილად აყვანის მსურველსა და ათ წელს მიღწეულ ბავშვს

სასამართლოს მიერ შვილებაზე დადებითი გადაწყვეტილების გამოტანამდე, ნებისმიერ დროს აქვთ უფლება უარი განაცხადონ თავიანთ ადრინდელ თანხმობაზე. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში, ერთ-ერთი მათგანის უარი შვილად აყვანის შესახებ საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის საფუძველია.

შვილად აყვანისას მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს იმისათვის, რომ თავიანთი ინტერესების შესაბამისად განხორციელდეს პირადი არაქონებრივი ხასიათის უფლებები და მოვალეობები. ეს, ძირითადად, ეხება ნაშვილებისათვის გვარისა და სახელის მიკუთვნების საკითხს. მშვილებლის თხოვნით შეიძლება ნაშვილებს მიეკუთვნოს მისი გვარი. შვილად აყვანისას ბავშვისათვის გვარის გამოცვლა სავალდებულო არ არის. კანონში ამიტომაა ყურადღება გამახვილებული მშვილებლის თხოვნაზე მისი გვარის ნაშვილებისათვის მიკუთვნების თაობაზე. ისეთ შემთხვევაში, როცა ნაშვილები ბავშვის მშობლები ცნობილი პიროვნებები იყვნენ თავიანთი დამსახურებით, შვილად აყვანის შემდეგ ბავშვს შეიძლება დარჩეს თავის მშობლების გვარი. უმეტესად კი, შვილად აყვანის შემთხვევაში, ნაშვილებს მშვილებლის გვარი ეკუთვნება. გვარის გამოცვლის დროს შეიძლება გამოიცვალოს მამის სახელიც. თუ ბავშვი შვილად აჰყავს ქალს, მაშინ ნაშვილებს შეიძლება მიეკუთვნოს მშვილებლის გვარი, ხოლო ჩანაწერი ფორმალური მამის გვარის შესახებ კეთდება მშვილებლის გვარის მიხედვით.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა შვილად აყვანის ფაქტის გახმაურების რეალური საშიშროება არსებობს, მშვილებლის თხოვნით შესაძლებელია ნაშვილებისათვის სახელის შეცვლაც. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ნაშვილების სურვილი, თუ მას ათი წელი უკვე შეუსრულდა. ნაშვილებისათვის სახელის შეცვლა შეიძლება განპირობებული იყოს სხვა გარემოებითაც. მაგალითად, შვილად ამყვანი თუ ქართველია, სავსებით გამართლებული იქნება მისი თხოვნა ნაშვილების ადრინდელი, არაქართული სახელის გამოცვლის შესახებ (გლები, ტიგრანი ან მამედი შეიცვალოს საქართველოში მიღებული სახელებით – გიორგი, ავთანდილი, პაატა და სხვ.).

ნაშვილებისათვის ახალი გვარის მიკუთვნების ან სახელის გამოცვლის შესახებ თხოვნა მშვილებელმა უნდა წარუდგინოს სასამართლოს და გათვალისწინებულ უნდა იქნეს შესაბამის გადაწყვეტილებაში.

სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა მოხდეს ცვლილებების შეტანა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში. იმ შემთხვევაში, თუ შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებაში არაფერია ნათქვამი ნაშვილების გვარისა და სახელის შესახებ, მათი გამოცვლის საკითხი შეიძლება მშვილებელმა შემდეგ დააყენოს საერთო წესის საფუძველზე.

შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შესაძლებელია შეიცვალოს ნაშვილების დაბადების მოწმობა. დაბადების ჩაწერის წიგნში მშვილებლის ჩაწერა ნაშვილების მშობლად, საფუძვლად დაედება ნაშვილების სახელზე ახალი დაბადების მოწმობის გაცემას შესაბამისი ცვლილებებით. ნაშვილების მშობლებად მშვილებლების ჩაწერის შესაძლებლობის შესახებ აღნიშნულ უნდა იქნეს სასამართლოს გადაწყვეტილებაში. იმ შემთხვევაში, თუ ათ წელს მიღწეული ნაშვილები წინააღმდეგია იმისა, რომ მშვილებლები მშობლებად გატარდნენ სარეგისტრაციო ორგანოში, სასამართლოს გადაწყვეტილებით არ იქნება დაკმაყოფილებული მშვილებელთა შესაბამისი თხოვნა. მშობლებად არ შეიძლება მშვილებლები გატარდნენ მაშინაც, როცა რაიმე ობიექტური მიზეზის გამო სასამართლო უარს ამბობს ნაშვილების ადრინდელი გვარის გამოცვლაზე. სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ ნაშვილებისათვის გვარისა და სახელის გამოცვლის საკითხი წყდება საერთო საფუძველზე.

შვილად აყვანა, როგორც იურიდიული ფაქტი, ნაშვილებისათვის იწვევს განსაზღვრულ სამართლებრივ შედეგებს. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ წარმოიშობა ახალი საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობანი ნაშვილების მონანილეობით. შვილად აყვანა თავისი შედეგებით უთანაბრდება სისხლით ნათესაობას. ერთი მხრივ, მშვილებლებსა და მათ შთამომავლობას, ხოლო, მეორე მხრივ, ნაშვილებსა და მის შთამომავლობას შორის შვილად აყვანის მომენტიდან წარმოიშობა შთამომავლობით ნათესაობაზე დამყარებული სამართლებრივი ურთიერთობა. ერთმანეთთან მათ პირად და ქონებრივ ურთიერთობებს ნათესაობა ედება საფუძვლად. მაგალითად, ნაშვილებს მშვილებლის მშობლების ან ბიოლოგიური შვილების მიმართ იგივე საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობა წარმოეშობა, როგორიც შეიძლება არსებობდეს ღვიძლ პაპა-ბებიასა და და-ძმებთან დამოკიდებულებაში. იმ შემთხვევაში, თუ პირმა რამდენიმე ბავშვი იშვილა და ისინი ერთმანეთის ნათესავები არ იყვნენ, იმ დებულებიდან გამომდინარე, რომ

ნაშვილები იძენს ბიოლოგიური შვილის სამართლებრივ მდგომარეობას, ისინი ერთმანეთის მიმართ ურთიერთობაში დებად და ძმებად უნდა ჩაითვალონ. მშვილებლებისა ან მათი შთამომავლობის გარდაცვალების შემთხვევაში ნაშვილები სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობის აუცილებელი მონაწილეა. ასევე, ნაშვილებისა და მისი შთამომავლების გარდაცვალებისას მემკვიდრედ მშვილებელი გამოდის.

მიუხედავად იმისა, მშვილებლები გატარებული არიან თუ არა ნაშვილების მშობლებად ან ნაშვილები თავის ძველ გვარზე რჩება თუ მას იცვლის, შვილად აყვანილი პირი ყველა შემთხვევაში იძენს პირად და ქონებრივ უფლება-მოვალეობებს როგორც მშვილებლის, ისე მისი ნათესავების მიმართ.

შვილად აყვანის სამართლებრივი შედეგების ნაწილი ეხება ნაშ-ვილების სამართლებრივ ურთიერთობას ბიოლოგიურ მშობლებთან და მათ წარმოშობით ნათესავებთან. საერთო წესის მიხედვით ნაშვილები ყოველგვარ სამართლებრივ კავშირს კარგავს ბიოლოგიურ მშობლებთან და მათ ნათესავებთან. ეს დებულება ყოველგვარი პირობის გარეშე ძალაშია მაშინ, როცა მშვილებლის როლში მეუღლეები გამოდიან. ნაშვილები, ასეთ შემთხვევაში, სრულად კარგავს პირად და ქონებრივ უფლებებს და თავისუფლდება ყოველგვარი მოვალეობისაგან თავისი ბიოლოგიური მშობლებისა და მათი ნათესავების მიმართ. ეს იმას ნიშნავს, რომ ნაშვილები არ შეიძლება იყოს მემკვიდრე ბიოლოგიური მშობლების ან მათი ნათესავების გარდაცვალების შემთხვევაში. ასევე არ შეიძლება მემკვიდრედ ჩაითვალოს ბიოლოგიური მშობელი ან მისი ნათესავი გაშვილებული პირის გარდაცვალებისას. ნაშვილებსა და ბიოლოგიურ მშობლებს შორის სამართლებრივი კავშირის შეწყვეტა ვლინდება არა მარტო სამემკვიდრეო-სამართლებრივ, არამედ სხვა ურთიერთობებშიც. მაგალითად, არ შეიძლება მშობელმა ალიმენტი მოითხოვოს გაშვილებული პირისაგან, ისე როგორც ნაშვილებს არა აქვს სარჩოს მიღების უფლება ბიოლოგიური მშობლებისაგან. აღნიშნული შედეგი შეიძლება დადგეს მაშინაც, როცა მშვილებელი ერთი პირია, მაგრამ იგი იმავე სქესისაა, რა სქესისას არის მშობელი. მაგალითად, თუ მარტოხელა დედისაგან ბავშვი იშვილა ქალმა, მაშინ ბიოლოგიური დედა და მისი ნათესავები კარგავენ სამართლებრივ კავშირს გაშვილებულ პირთან, ხოლო ნაშვილები კი – ბიოლოგიურ დედასთან და მის ნათესავებთან.

სხვაგვარად რეგულირდება საკითხი, როცა მშვილებელი და

გასაშვილებელი ბავშვის მშობელი სხვადასხვა სქესისანი არიან. ეს უმეტესად მაშინ ხდება, როცა ბავშვის შვილად აყვანა სურს ერთ პირს. მაგალითად, თუ მშვილებელი ქალია და ბავშვს ორივე მშობელი ჰყავს, ბიოლოგიურ დედასთან სამართლებრივი კავშირი უნდა შეწყდეს, ხოლო მამას უფლება აქვს შეინარჩუნოს ასეთი კავშირი გაშვილებულ ბიოლოგიურ შვილთან. თუ მშვილებელი მამაკაცია, ნაშვილებს კავშირი უწყდება ბიოლოგიურ მამასთან და შეიძლება შეუნარჩუნდეს დედასთან ამ უკანასკნელის სურვილით. ნაშვილები პირი სრულად შეინარჩუნებს სამართლებრივ კავშირებს როგორც მშვილებელთან, ისე ბიოლოგიურ მშობელთან, თუ მშვილებელი ერთი პირია და ბავშვს ერთი მშობელი ჰყავს, თანაც ისინი სხვადასხვა სქესისანი არიან. მაგალითად, თუ ქალმა იშვილა ბავშვი, რომელსაც დედა არა ჰყავს, მაშინ ნაშვილებს მშვილებელთან ერთად სამართლებრივი კავშირი ექნება ბიოლოგიურ მამასთანაც. იგივე მდგომარეობაა მაშინაც, როცა მარტოხელა დედა, რომელსაც შვილი ჰყავს, დაქორწინდება და მისი მეუღლე იშვილებს ცოლის ბავშვს. ამ შემთხვევაში დედასა და მშვილებელს ბავშვის მიმართ ერთნაირი უფლება-მოვალეობები გააჩნიათ. ასევე ერთნაირი სამართლებრივი კავშირი ექნებათ ბავშვთან ბიოლოგიურ მამასა და დედინაცვალს, თუ ეს უკანასკნელი იშვილებს გერს. პრაქტიკა ადასტურებს იმ დებულებას, რომ დედინაცვლის ან მამინაცვლის მიერ გერის შვილად აყვანა ზოგჯერ ბავშვის ინტერესებს არ შეესაბამება. დედინაცვალს ან მამინაცვალს გერის აღზრდასა და რჩენაში განსაზღვრული მონაწილეობა კანონით ეკისრება ან ნებაყოფლობით ზრდიან მას, მაშინ როცა პარალელურად გერს შეიძლება შენარჩუნებული ჰქონდეს კავშირი ბიოლოგიურ დედასთანაც ან მამასთანაც. გერის შვილად აყვანის შემთხვევაში ნაშვილებს ბიოლოგიურ მშობელთან პარალელურად არსებული კავშირი უნდა შეუწყდეს. ასეთი სიტუაცია დეტალურად უნდა იქნეს გაანალიზებული მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ და სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს შვილად აყვანის საკითხის გადაწყვეტისას.

შვილად აყვანისას მშვილებელს ეკისრება იგივე უფლება-მოვალეობები, რაც ბიოლოგიურ მშობელს. მშვილებელს შეიძლება შეუჩერდეს, შეეზღუდოს ან ჩამოერთვას მშობლის უფლება-მოვალეობები თუ გამოირკვევა, რომ ის სისტემატურად თავს არიდებდა ბავშვის აღზრდის მოვალეობის შესრულებას ან არაჯეროვნად იყენებდა მშობლის უფლებებს.

შვილად აყვანის ინსტიტუტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კონფიდენციალობის უზრუნველყოფის საკითხებს. ამაზე სპეციალურად ამახვილებს ყურადღებას სამოქალაქო კოდექსი და კანონიც შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ.

შვილად აყვანისას მშვილებელი ცდილობს არავინ და განსაკუთრებით ნაშვილებმა არ გაიგოს, რომ იგი არ არის ბავშვის ბიოლოგიური მშობელი. ამის უზრუნველყოფა ნაწილობრივ შესაძლებელია მშვილებლების მშობლებად ჩაწერის და ნაშვილებისათვის სახელისა და გვარის გამოცვლის უფლების განხორციელებით. მაგრამ ეს ზოგჯერ არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ფორმალურად დადასტურდეს მშვილებელსა და ნაშვილებს შორის სისხლით ნათესაობის არსებობა. მაგალითად, ყოველთვის შეიძლება დაეჭვება იმის გამო, რომ ნაშვილების დაბადების ადგილად მითითებულია ქალაქი, რომელშიც მშვილებელს არასოდეს არ უცხოვრია და არც შეიძლებოდა ეცხოვრა ან კიდევ, თუ ნაშვილების დაბადების თარიღად მითითებულია ის წელი, როცა მშვილებელს ღვიძლი შვილი შეეძინა და სხვაობა ბიოლოგიური შვილისა და ნაშვილების დაბადების თარიღებს შორის ორი ან სამი თვეა. ამიტომ სამოქალაქო კოდექსის 1264-ე მუხლი დამატებითი გარანტიების სახით მშვილებელს აძლევს უფლებას მოითხოვოს, რომ შეიცვალოს შვილად აყვანილის დაბადების ადგილი და თარიღი. ასეთ შემთხვევაში დაბადების წლის შეცვლა არ არის მიზანშეწონილი, რადგან ნაშვილების ნამდვილი ასაკის განსაზღვრას, უმნიშვნელო ცვლილებების მიუხედავად, დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ნაშვილების ინტერესებისათვის. შესაძლებელია, ნაშვილების დაბადების თარიღის შეცვლა ერთი თვის ფარგლებში, ე.ი. შეიძლება იგი ერთი თვით ადრე ან გვიან გატარდეს დაბადებულად. დაბადების დღედ შეიძლება ნებისმიერი რიცხვის ჩაწერა. აღნიშნული მაგალითის მიხედვით ბიოლოგიური შვილისა და ნაშვილების რეგისტრაციის წიგნში ერთი და იმავე დაბადების ადგილისა და თარიღის მითითება ტყუპი შვილების გაჩენის პრეზუმფციას ემსახურება. ნაშვილების დაბადების ადგილისა და თარიღის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, თუ დადგინდება, რომ სხვაგვარად შეუძლებელია შვილად აყვანის ფაქტის საიდუმლოების დაცვა. დაბადების ადგილისა და თარიღის შეცვლის შესაძლებლობის შესახებ უნდა აღინიშნოს შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

სამოქალაქო აქტების სარეგისტრაციო ორგანო, მართალია,

გასცემს ისეთ დოკუმენტებს (დაბადების მოწმობა, ცნობა და სხვ.), რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია იმის დადგენა, ბავშვი ღვიძლი შვილია თუ ნაშვილები, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ შვილად აყვანასთან დაკავშირებული დოკუმენტები ისპობა. რეგისტრაციის წიგნში კეთდება სათანადო ჩანაწერები, რომლითაც დასტურდება შვილად აყვანის ფაქტი, ნაშვილების ნამდვილი დაბადების ადგილი და თარიღი, სასამართლოს შესახებ, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება. ცნობები ნაშვილები ბავშვის დაბადების ნამდვილი ადგილისა და თარიღის შესახებ შეიძლება მოითხოვოს მშვილებელმა, სანამ ნაშვილებს 18 წელი არ შესრულებია და თვითონ ნაშვილებმა სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ. ამავე წესითა და პირობით შეიძლება შვილად აყვანილი პირის დაბადების ნამდვილი ადგილისა და თარიღის აღდგენა იმ განსხვავებით, რომ აღდგენა შესაძლებელია 10 წლის ასაკს მიღწეული ნაშვილების თანხმობით.

შვილად აყვანილი ბავშვი, რომელსაც არ ახსოვს, თავისი მშობლები ან საერთოდ არაფერი იცოდა მათ შესახებ, მშვილებლებს თვლის თავის ღვიძლ მშობლებად. ამიტომ შვილად აყვანის ფაქტის გაუფრთხილებელი გამჟღავნება ხშირად ბავშვისათვის ტრავმის მიყენების, ხოლო ზოგჯერ კი ტრაგიკული შედეგების საფუძველი ხდება. იმის წარმოდგენა, რომ ნაშვილები უცხოა ოჯახის წევრებისათვის, სერიოზულად ართულებს მშვილებლებისა და ნაშვილების ურთიერთობას, ყველანაირად უშლის ხელს ბავშვის ნორმალურად აღზრდის პროცესს. აქედან გამომდინარე, კანონი მიზნად ისახავს შვილად აყვანის საიდუმლოების დაცვას. ამიტომ იგი კატეგორიულად კრძალავს განსაზღვრული პირების მიერ შესაბამისი ინფორმაციების გავრცელებას. შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ კანონის 25-ე მუხლის მიხედვით, მოსამართლე, რომელმაც გამოიტანა შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილება, აგრეთვე გამშვილებელი, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელი, სამოქალაქო აქტების სარეგისტრაციო ორგანოს თანამშრომელი და შვილად აყვანის პროცედურაში მონაწილე ნებისმიერი პირი ვალდებულია საიდუმლოდ შეინახოს შვილად აყვანასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ასეთი ინფორმაციის შეკრება, გამოქვეყნება ან სხვა ფორმით გამჟღავნება გამშვილებლის, მშვილებლისა და სრულწლოვანი ნაშვილების თანხმობის გარეშე, აკრძალულია.

დიდი სიფრთხილეა საჭირო ისეთ შემთხვევებში, როცა დაეჭვებული არასრულწლოვანი ნაშვილები პირი ცდილობს შვილად აყვანასთან

დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვებას. ბავშვის წარმომავლობის განსაზღვრა ისედაც ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული – განსაკუთრებით მაშინ, როცა ბავშვი გაჩენილია ხელოვნური განაყოფიერების ან ემბრიონის იმპლანტაციის გზით. სრულწლოვანების შემდეგ ნაშვილებს უფლება აქვს გამოიკვლიოს თავისი წარმომავლობის საკითხი და კომპეტენტურმა ორგანოებმა შესაძლებლობის ფარგლებში ხელი უნდა შეუწყონ მას შესაბამისი ინფორმაციის მოპოვებაში. ამას ითვალისწინებს ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენცია.

ცნობები შვილად აყვანის შესახებ შეიძლება გაიცეს სამართალდამცავი ორგანოების ან სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე და ისიც იმ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც მათ წარმოებაში იმყოფება. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა ესა თუ ის პირი, რომლისთვისაც ცნობილი გახდა შვილად აყვანის ფაქტი, მშვილებლისათვის და ზოგჯერ თვით ნაშვილებისათვის ტრავმის მიყენების მიზნით, შეგნებულად ამჟღავნებს მის საიდუმლოებას, რაც ყოვლად დაუშვებელია. უზნეობასთან ერთად იგი სისხლისსამართლებრივ დარღვევასაც წარმოადგენს. განსაკუთრებით მიუღებელია ასეთი მოქმედება იმ პირთა მხრივ, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობის სახით მონაწილეობას ღებულობდნენ შვილად აყვანაში. მშვილებლისა და ნაშვილების ინტერესებიდან გამომდინარე, კანონი არა მარტო კრძალავს შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნებას, არამედ ითვალისწინებს კიდეც შესაბამის პასუხისმგებლობას.

10.4. შვილად აყვანის შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები

შვილად აყვანასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების შეწყვეტა ხდება ორი გზით. ესენია: **შვილად აყვანის გაუქმება და შვილად აყვანის გაბათილება.**

შვილად აყვანის გაუქმება ნიშნავს შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებას, რაც ხორციელდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით და შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლო წარმოების განახლებას. შვილად აყვანის გაბათილება კი ნიშნავს მის აღიარებას ისეთ ფაქტად, რომელსაც არავითარი უფლება-მოვალეობა არავის მიმართ არ წარ-

მოუშვია. შვილად აყვანის გაბათილება ხდება კანონით განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას. შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება ლოგიკურად იწვევს შვილად აყვანის გაბათილებას. ამ გაგებით, შვილად აყვანის გაუქმება და გაბათილება თითქმის იდენტური ცნებებია. მათ სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლები გააჩნიათ, ხოლო საბოლოო შედეგები ერთნაირი აქვთ. ორივე იწვევს შვილად აყვანის შეწყვეტას.

შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს, თუ: 1. შვილად აყვანა განხორციელდა სამოქალაქო კოდექსისა და შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ კანონის მოთხოვნათა დარღვევით; 2. შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნაშვილების ინტერესების გათვალისწინებით. კანონის მოთხოვნათა დარღვევად ითვლება, მაგალითად, შვილად აყვანა გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა ერთიანი რეესტრის გვერდის ავლით, კერძო პირთა შუამავლობის საფუძველზე. შვილად აყვანა ასეთი გზით კანონსაწინააღმდეგოა. თუ მსგავს შემთხვევაში სასამართლომ მაინც დააკმაყოფილა მშვილებლის თხოვნა და გამოიტანა გადაწყვეტილება შვილად აყვანის შესახებ, იგი აუცილებლად უნდა გაუქმდეს. ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად მიიჩნევა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ გამოვლენილი მშვილებლის მიერ ნაშვილების მიმართ მშობლიურ ვალდებულებათა შესრულებისაგან ბრალეულად თავის არიდების ფაქტები. ნაშვილების ინტერესებიდან გამომდინარე, ასეთი ფაქტების წარდგენა ხდება სასამართლოში. მსგავს შემთხვევებში მშვილებელს მშობლის უფლება-მოვალეობები კი არ უნდა ჩამოერთვას, არამედ შვილება საერთოდ უნდა გაუქმდეს. ამიტომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოთხოვნით უნდა გაუქმდეს შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილება.

სასამართლოს შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ ეს შეესაბამება ნაშვილების ინტერესებს. ათი წლის ასაკის მიღწევის შემდეგ შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება დასაშვებია მხოლოდ ნაშვილების თანხმობით. ნაშვილების მიერ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამაზე თანახმა

არიან მშვილებელი, გამშვილებელი და ნაშვილები. სხვა შემთხვევებში სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება აკრძალულია. საქმე ისაა, რომ შვილად აყვანის მიზანს მშობლიური ზრუნვის გარეშე დარჩენილი ბავშვების აღზრდა წარმოადგენს. თუ ეს მიზანი შესრულდა და არასრულწლოვანი ნაშვილები სრულწლოვანი გახდა, არავითარი საფუძველი არ არსებობს მის გასაუქმებლად. საერთოდ, რადგან შვილად აყვანის გაუქმების შესახებ საკითხის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი ნაშვილების ინტერესებს მიეკუთვნება, იგულისხმება, რომ მშვილებელმა ნაშვილების სრულწლოვანებამდე სწორედ მისი ინტერესების შესაბამისად აღზარდა ნაშვილები, მან თავისი მშობლიური მოვალეობა პირნათლად შეასრულა, რის შემდეგაც ნაშვილების ჯერი დგება. მისი სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ წინა პლანზე მშვილებლის ინტერესები ინაცვლებს. ამიტომაც არ შეიძლება შვილად აყვანის გაუქმება. ამ წესიდან გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შვილად აყვანასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის ყველა ძირითადი მონაწილე თანახმაა შვილად აყვანის გაუქმებაზე. მაგალითად, როცა მშობელი გამოცხადებულ იქნა გარდაცვლილად და მისი ბავშვი იშვილა ნათესავმა, ხოლო საკმაო დროის გასვლის შემდეგ მშობელი დაბრუნდა და მოითხოვა შვილად აყვანის გაუქმება. თუ მის სურვილს დაეთანხმა უკვე სრულწლოვანი შვილი და მშვილებელი ნათესავიც, მაშინ სასამართლომ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება შვილად აყვანის გაუქმების შესახებ. სასამართლო პრაქტიკაც ამავე პოზიციაზე დგას[1].

შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით სასამართლოში განცხადების წარდგენა შეუძლიათ: ბავშვის მშობელს, თუ შვილად აყვანა განხორციელდა კანონის მოთხოვნათა დარღვევით და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, თუ ეს აუცილებელია ნაშვილების ინტერესების დასაცავად. მშობლებთან ერთად მხოლოდ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებისათვის შვილად აყვანის გაუქმების მოთხოვნის უფლების მინიჭება ნიშნავს შესაძლებელ მოსარჩელეთა წრის შეზღუდვას. სხვას არავის არა აქვს უფლება სასამართლოში დააყენოს შვილად აყვანის გაუქმების საკითხი. თუ სხვა დაინტერესებულ პირს მიაჩნია, რომ შვილად აყვანა არ შეესაბამება ნაშვილების ინტერესებს და იგი უნდა გაუქმდეს, ამის

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე. 2002, №4. 2003, №6.

თაობაზე მან უნდა აცნობოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, რომელიც გადაწყვეტს შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით განცხადების სასამართლოში წარდგენის საკითხს. განცხადება შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით წარედგინება სასამართლოს მშვილებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მაგრამ, თუ განმცხადებელი ნაშვილების ბიოლოგიური მშობელია და მისთვის უცნობია მშვილებლის ვინაობა, მაშინ განცხადება წარედგინება იმ სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება შვილად აყვანის შესახებ.

შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმისწარმოების განახლების სურვილის შემთხვევაში საქმე განიხილება საერთო სასარჩელო წარმოების წესით და საქმის განხილვაში მოპასუხედ უნდა ჩაებას მშვილებელი. **შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება იწვევს შვილად აყვანის ბათილად ცნობას.** შვილად აყვანის ბათილად ცნობა ხდება მისი გაუქმების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან და ვრცელდება პირველი სასამართლო გადაწყვეტილების მიღებიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე. ამ ეტაპიდან შვილად აყვანის გაუქმებასა და გაბათილებას ერთნაირი სამართლებრივი შედეგები მოჰყვება.

შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების გარდა, კანონმდებლობით გათვალისწინებულია შვილად აყვანის გაბათილების სხვა საფუძვლები. სამოქალაქო კოდექსის 1272-ე მუხლის მიხედვით, შვილად აყვანა შეიძლება სასამართლოს მიერ ბათილად იქნეს ცნობილი იმ შემთხვევებში, თუ: ა) გადაწყვეტილება შვილად აყვანის შესახებ ემყარება ყალბ დოკუმენტებს; ბ) შვილად აყვანა ფიქციურია; გ) მშვილებელს ჩამორთმეული ან შეზღუდული ჰქონდა მშობლის უფლება მშობლიურ უფლება-მოვალეობათა შესრულებისათვის თავის არიდების ან მათი ბოროტად გამოყენების საფუძველზე; დ) გაშვილება მოხდა მშობლების ან მეურვის თანხმობის გარეშე, სადაც ამგვარი თანხმობა საჭირო იყო და თუ აღმოჩნდება, რომ ბავშვის დაბრუნება ბიოლოგიური მშობლებისათვის ან მეურვისათვის შეესაბამება ბავშვის ინტერესებს. კანონით განსაზღვრული საფუძვლები ამომწურავია და შვილად აყვანის ბათილად ცნობის საფუძვლად სხვა რაიმე გარემოების აღიარება დაუშვებელია.

ყველაზე გავრცელებულ საფუძველს წარმოადგენს ყალბ დოკუმენტებზე დაყრდნობით სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანა შვილად აყვანის შესახებ. ასეთია, მაგალითად, დოკუმენტი, რომელიც თითქოს ადასტურებს ორივე მშვილებლის თანხმობას შვილად აყვანის თაობაზე, სინამდვილეში კი შვილად აყვანის თაობაზე ერთ-ერთმა მეუღლემ გამოთქვა სურვილი, მეორე კი – წინააღმდეგი იყო. მაგრამ მისი ყალბი თანხმობა წარადგინა შვილად აყვანის მსურველმა მეუღლემ. ყალბად ითვლება აგრეთვე დოკუმენტები, რომლებითაც თითქოს დასტურდება: ქალისაგან ბავშვის გაჩენის ფაქტი, ათ წელს მიღწეული ბავშვის თანხმობა მის გაშვილებაზე, იმ პირთა გარდაცვალება, რომელთა ნებართვა აუცილებელია შვილად აყვანისას და სხვ.

შვილად აყვანის გაბათილების საფუძვლად არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთი ყალბი დოკუმენტების წარდგენა, რომელთაც დიდი მნიშვნელობა არა აქვს საქმის არსებითად გადაწყვეტის დროს. მაგალითად, თუ შვილად აყვანის მსურველმა წარადგინა ყალბი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ მას თითქოს დიდი ხელფასი ან კარგი საბინაო პირობები აქვს, ეს ფაქტი არ შეიძლება შვილად აყვანის ბათილად ცნობის საფუძვლად იქნეს მიჩნეული.

შვილად აყვანის ბათილად ცნობის მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს მისი ფიქციური ხასიათი. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა შვილად აყვანა ხდება იმ განზრახვის გარეშე, რომ მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოიშვას რეალური საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობა. ასეთი შვილება უმეტესად ანგარებითი ხასიათისაა. მაგალითად, შეიძლება ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევაში მშვილებელს ოჯახის წევრთა რაოდენობის ხელოვნურად გაზრდით სურს, ზედმეტი საცხოვრებელი ფართის მიღება ან გადასახადისაგან ნაწილობრივ გათავისუფლება. იგულისხმება, რომ ასეთ შემთხვევებში ნაშვილები საცხოვრებლად არ გადადის მშვილებელთან და იგი მშობლებთან აგრძელებს ყოფნას. შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც, როცა შვილად აყვანის მომენტისათვის მშვილებელს ამის რეალური განზრახვა არ ჰქონია, მაგრამ შემდეგ დაიწყო ბავშვზე ზრუნვა და აღსაზრდელადაც თავის ოჯახში გადაიყვანა იგი. ასეთ დროს არ შეიძლება შვილად აყვანის ბათილად ცნობა.

შვილად აყვანის გაბათილების სერიოზულ საფუძველს წარმოადგენს ის, რომ მშვილებლად შეიძლება აღმოჩნდეს პირი, რომელსაც არ ჰქონდა შვილად აყვანის უფლება იმის გამო, რომ სასამართლოს

მიერ შეზღუდული ან ჩამორთმეული ჰქონდა მშობლის უფლება-მოვალეობები. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ, მართალია, შვილად აყვანის მომენტში მშვილებელს ჩამორთმეული ჰქონდა მშობლის უფლება, მაგრამ იგი აღდგა ადრინდელ მდგომარეობაში და დაიწყო მშობლიური მოვალეობების ჯეროვნად შესრულება. ასეთ დროს შვილად აყვანის გაბათილება შეიძლება არ მოხდეს, მით უმეტეს, თუ მისი შენარჩუნება ნაშვილების ინტერესებს შეესაბამება. მხოლოდ მაშინ შეიძლება გაბათილდეს შვილად აყვანა, თუ მშვილებელს საქმის განხილვის დროს ჯერაც არ დაბრუნებია ადრე ჩამორთმეული მშობლის უფლება.

კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევების გარდა, ბავშვის გაშვილებაზე მშობლების წერილობითი თანხმობა აუცილებელია. მშობლებს უფლება აქვთ მოითხოვონ შვილად აყვანის გაბათილება იმ საფუძვლით, რომ შვილად აყვანისათვის საჭირო იყო მათი თანხმობა და სასამართლომ ამის გარეშე გამოიტანა გადაწყვეტილება შვილად აყვანის შესახებ. ასეთი რამ შეიძლება მომხდარიყო იმის გამო, რომ სასამართლომ ერთი მშობლის თანხმობა შეცდომით ორივე მშობლის თანხმობად მიიღო, სულიერი მოშლილობის შესახებ ცნობების საფუძველზე ქმედუუნაროდ ჩათვალა, ან მშობლის თანხმობა არ მოითხოვა იმის გამო, რომ იგი არაჯეროვნად ასრულებდა თავის ვალდებულებებს და სხვ. სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება შვილად აყვანის ბათილად ცნობის შესახებ, თუ დარწმუნდება იმაში, რომ მშობლისათვის ან მეურვისათვის ბავშვის დაბრუნება შეესაბამება მის ინტერესებს. ზოგჯერ ნაშვილები ისეა დაკავშირებული მშვილებელთან და მისი ოჯახის წევრებთან, რომ მათგან მოცილება და ბიოლოგიურ მშობელთან დაბრუნება მძიმე ტრავმის საფუძველი ხდება. ბუნებრივია, ასეთ პირობებში შვილად აყვანის ბათილად ცნობა ნაშვილების ინტერესების საწინააღმდეგო იქნება და მიზანშეუწონლად მიიჩნევა, მით უმეტეს, თუ მხედველობაში მშვილებლის მიერ თავისი მოვალეობის ხანგრძლივად კეთილსინდისიერი შესრულებაც იქნა მიღებული. მაგრამ, თუ მშობლების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მათ შეუძლიათ მშობლიურ უფლება-მოვალეობათა ჯეროვნად შესრულება და ბავშვის მშობლებთან დაბრუნება კეთილსასურველ ზეგავლენას მოახდენს მის აღზრდაზე, სასამართლომ ასეთ შემთხვევაში შვილად აყვანა ბათილად უნდა ცნოს და ბავშვი მშობლებს დაუბრუნოს.

კანონით გათვალისწინებული საფუძვლები სასამართლოს უფლებას ანიჭებს და არ ავალდებულებს ბათილად ცნოს შვილად აყვანა. ნებისმიერი საფუძვლით შვილად აყვანის ბათილად ცნობის შესახებ საქმის განხილვისას სასამართლომ უნდა გაარკვიოს, შეესაბამება თუ არა ეს ნაშვილების ინტერესებს და არის თუ არა ამაზე თანახმა ათ წელს მიღწეული ნაშვილები.

კანონი არ ზღუდავს იმ პირთა წრეს, რომლებსაც შეუძლიათ მოითხოვონ შვილად აყვანის გაბათილება. ნებისმიერ პირს აქვს ასეთი უფლება, თუკი შვილად აყვანა მის უფლებებს არღვევს. ასეთი პირები შეიძლება იყვნენ: ნაშვილების მშობლები და მათი ნათესავები, სრულწლოვანი ნაშვილების მეუღლე, მისი მემკვიდრეები და სხვ. შვილად აყვანის გაბათილების მოთხოვნის უფლება გააჩნია აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. თუ შვილად აყვანა არავითარ უფლებას არ ურღვევს პირს, მაგალითად, ნაშვილების შორეულ ნათესავს ან მეზობელს, მას შვილად აყვანის ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება არ გააჩნია.

შვილად აყვანის ბათილად ცნობის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების თაობაზე კანონიერ ძალაში შესვლიდან ხუთი დღის განმავლობაში უნდა ეცნობოს სამოქალაქო აქტების სარეგისტრაციო ორგანოს შვილად აყვანის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

შვილად აყვანის გაბათილება ნიშნავს იმას, რომ იგი არასდროს არ ჩათვლილა ნამდვილად არსებულად და არავითარი უფლება-მოვალეობები მშვილებელსა და ნაშვილებს შორის არც წარმოშობილა. ამიტომ **შვილად აყვანა ბათილად ითვლება მისი გაბათილების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანიდან კი არა, არამედ – შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს პირველი გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან.** მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ასეთ შემთხვევაში ყოფილ მშვილებელს მთელი ამ ხნის განმავლობაში ბავშვის აღზრდაზე გაწეული ხარჯები უნდა აუნაზღაურდეს. ბავშვის აღზრდაზე ნებაყოფლობით გაწეული ხარჯები იძულებით ანაზღაურებას არ ექვემდებარება. იმავე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, როცა შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველზე ხდება შვილად აყვანის ბათილად ცნობა.

შვილად აყვანის ბათილად ცნობის შემთხვევაში მთლიანად აღდგება ყველა უფლება-მოვალეობა ყოფილ ნაშვილებსა და მის ბიოლოგიურ მშობლებს, აგრეთვე წარმოშობით ნათესავებს შორის. ამის

ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს ბავშვის აღსაზრდელად გადაცემა მშობლებისათვის, აგრეთვე ბავშვისათვის გამოცვლილი გვარისა და სახელის დაბრუნება. მაგრამ შესაძლებელია ეს ყოველთვის არ იყოს მიზანშეწონილი. მაგალითად, თუ მშობლები თავის დროზე არაჯეროვნად ასრულებდნენ თავის უფლება-მოვალეობებს და მშობლის უფლების შეზღუდვა ან ჩამორთმევა მხოლოდ იმიტომ არ მოხდა, რომ ბავშვის გაშვილება გაფორმდა, ბუნებრივია, ასეთი მშობლებისათვის ბავშვის დაბრუნება მისი აღზრდის ინტერესების შესაბამისი შეიძლება არც იყოს. ასეთ შემთხვევებში კანონი ითვალისწინებს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ბავშვის გადაცემას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს ბავშვისათვის მეურვეობის ან მზრუნველობის დაწესების საკითხი.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები მშობლიური ზრუნვის გარეშე დარჩენილი ბავშვებისა და სრულწლოვან შრომისუუნარო პირთა მიმართ მნიშვნელოვანი დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობათა ფართო სპექტრს ფლობენ. მშობლების შემდეგ სხვა ახლო ნათესავებთან ერთად, სწორედ ისინი ცდილობენ ყველაზე მეტად ხელი შეუწყონ აღსაზრდელთა და საპატრონო პირთა ინტერესების დაცვასა და მათი უფლება-მოვალეობების განხორციელებას. ზოგჯერ, ამ მხრივ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები მშობლებსა და ნათესავებზეც მაღლა დგანან. მათი ინიციატივით ხდება მშობლებისათვის მშობლის უფლება-მოვალეობათა შეზღუდვა ან ჩამორთმევა, ბავშვისათვის მეურვის ან მზრუნველის დანიშვნა, შვილად აყვანის საკითხის დაყენება და სხვ. სწორედ ამიტომ კანონმა სავალდებულოდ ჩათვალა შვილად აყვანის ბათილად ცნობის საქმეთა განხილვისას, მიუხედავად იმისა, თუ რა საფუძვლით ხდება იგი, აუცილებელი მონაწილეობა მიიღონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებმა. კანონის ეს მოთხოვნა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს პასუხისმგებლობაზე ყურადღების გამახვილება კი არაა იმდენად, რამდენადაც ამ სფეროში მისი დიდი და მნიშვნელოვანი უფლებების აღიარებაა.

10.5. საერთაშორისო შვილება-გაშვილება

საქართველოდან ბავშვის უცხო სახელმწიფოში გაშვილება, აგრეთვე უცხოელი ბავშვის საქართველოში შვილება შესაძლებელია

იმ საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებისა და ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე, რომლებიც საერთაშორისო გაშვილებასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს არეგულირებენ. ამ მხრივ აღსანიშნავია გაეროს 1989 წლის კონვენცია „ბავშვთა უფლებების შესახებ" და ჰააგის 1993 წლის კონვენცია „ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ". მათი ძირითადი დებულებები და რეკომენდაციები გათვალისწინებულია საქართველოს 2009 წლის 18 დეკემბრის კანონში „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ", რომლის მე-19 მუხლი ეძღვნება საერთაშორისო გაშვილებას. აღნიშნული კონვენციები საქართველოში საფუძვლად დაედო შესაბამისი კანონმდებლობის სრულყოფას. ამიტომ, ბუნებრივია, ამ კონვენციების ძირითადი ნორმების რეცეფცია ქართულ სამართალში მის პროგრესულობასა და სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში წარმატებულ ინტეგრაციაზე მეტყველებს.

გაეროს კონვენციის 28-ე მუხლის მიხედვით, ბავშვის უცხო სახელმწიფოში გაშვილება მიჩნეულ უნდა იქნეს როგორც მისი მოვლის ალტერნატიული საშუალება, თუ ბავშვი არ შეიძლება აღსაზრდელად გადაეცეს ან შეუერთდეს ოჯახს, რომელიც შეძლებდა უზრუნველეყო მისი აღზრდა ან შვილად აყვანა; აგრეთვე თუ ბავშვის დაბადების ქვეყანაში (წარმოშობის სახელმწიფო) მისი მოვლის რაიმე უზრუნველყოფა შეუძლებელია. სხვა ქვეყანაში (მიმღები სახელმწიფო) ბავშვის გაშვილების შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთივე ნორმები და გარანტიები, როგორიც გამოიყენება ქვეყნის შიგნით შვილად აყვანის დროს. სხვა ქვეყანაში ბავშვის გაშვილებამ, მასთან დაკავშირებულ პირებს არ უნდა მისცეს გაუმართლებელი ფინანსური შემოსავლები. სახელმწიფოებს შორის მიღწეული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების გზით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სხვა ქვეყანაში შვილებასთან დაკავშირებული საკითხების კომპეტენტური ორგანოების მიერ გადაწყვეტა. ამავე კონვენციით განსაზღვრულია შვილად აყვანის საყოველთაოდ მიღებული პრინციპები[1].

რაც შეეხება ჰააგის კონვენციას, იგი უფრო ფართოდ და დეტალურად არეგულირებს საერთაშორისო გაშვილების უმნიშვნელოვანეს საკითხებს. მის პირველივე მუხლში აღნიშნულია, რომ კონვენციის მიზანია გარანტიების შექმნა იმისათვის, რომ საერთაშორისო გაშ-

[1] **ზ. გაბისონია,** ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი. თბ., 2006. გვ. 325.

ვილება განხორციელდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და საერთაშორისო სამართლით აღიარებული მისი ძირითადი უფლებების დაცვით; სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვთა მოტაცების, გაყიდვისა და ვაჭრობის აცილების გარანტიებს; შვილებასთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულებების მონაწილე სახელმწიფოებში გაშვილების აღიარების უზრუნველყოფას კონვენციით აღიარებული დებულებების შესაბამისად.

ჰააგის კონვენციის მიხედვით, საერთაშორისო გაშვილება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ წარმოშობის სახელმწიფოს კომპეტენტური ხელისუფლება დაადგენს, რომ ბავშვის გაშვილება შესაძლებელია, კერძოდ – შესაბამისი განხილვის შემდეგ განსაზღვრავს წარმოშობის სახელმწიფოში ბავშვის მოწყობის შესაძლებლობებსა და მივა იმ დასკვნამდე, რომ საერთაშორისო გაშვილება პასუხობს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს; დარწმუნდება იმაში, რომ: გაშვილებასთან დაკავშირებული პირები ინფორმირებულნი არიან იმის შესახებ, რომ ბავშვის გაშვილება გამოიწვევს ბავშვსა და მის ოჯახს შორის სამართლებრივი კავშირის შეწყვეტას; ბავშვის გაშვილებაზე არსებობს დაინტერესებული პირების წერილობითი თანხმობა, ასეთი თანხმობა არ იყო გაცემული გასამრჯელოს ან რაიმე სხვა სახის კომპენსაციისათვის და არ იყო გამოთხოვილი უკან, დედის თანხმობა კი გაცემული იყო მხოლოდ ბავშვის დაბადების შემდეგ; ბავშვი ინფორმირებულია გაშვილების შესახებ და მისგან მიღებულია თანხმობა იურიდიულად უხარვეზო წესების საფუძველზე.

საერთაშორისო გაშვილებისათვის აუცილებელია აგრეთვე მიმღები ქვეყნის კომპეტენტურმა ხელისუფლებამ განსაზღვროს: სავარაუდო მშვილებლებს აქვთ თუ არა შვილად აყვანის უფლება და შეეფერებიან თუ არა ისინი მშობლიურ უფლება-მოვალეობათა განხორციელებისათვის აუცილებელ მოთხოვნებს, აქვს თუ არა ბავშვს ამ სახელმწიფოში შესვლისა და ცხოვრების უფლება.

კონვენციის მიხედვით ხელშეკრულების მონაწილე ყოველი სახელმწიფო ნიშნავს ცენტრალურ ორგანოს, რომელსაც დაეკისრება საერთაშორისო გაშვილებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა. თუ სახელმწიფოს ავტონომიური ერთეულები აქვს, შეუძლია რამდენიმე ასეთი ორგანო შექმნას. ცენტრალური ორგანოები ითანამშრომლებენ ერთმანეთთან და ხელს შეუწყობენ თავიანთ სახელმწიფოებში

ხელისუფლების საქმიანობას ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში. ისინი ერთმანეთს წარუდგენენ ინფორმაციებს თავიანთი ქვეყნების იმ კანონების შესახებ, რომლებიც შეეხება გაშვილების საკითხებს და აცნობებენ ერთმანეთს კონვენციის ამა თუ იმ დებულების გამოყენების მხრივ წარმოშობილ დაბრკოლებებს. ცენტრალური ორგანოები აგროვებენ და უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციებს ბავშვის მდგომარეობისა და პერსპექტიული მშვილებლების შესახებ, რაც სავალდებულოა გაშვილების აქტის შესასრულებლად, ცდილობენ დააჩქარონ გაშვილების პროცედურა, გაშვილების შემდეგ ატარებენ კონსულტაციებს თავიანთ სახელმწიფოებში გაშვილების წესისა და არსებული დახმარებების სისტემის შესახებ. ერთმანეთს უზიარებენ საერთაშორისო გაშვილების სფეროში მიღებულ გამოცდილებას.

ჰააგის კონვენციით შესაძლებლად არის მიჩნეული ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების მიერ ისეთი კომპეტენტური დაწესებულების განსაზღვრა, რომელსაც შეეძლება მეორე სახელმწიფოში შეასრულოს საერთაშორისო გაშვილებასთან დაკავშირებული ფუნქციები ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის მიღწეული პირობებისა და უფლებამოსილებათა ფარგლების მიხედვით. ასეთ დაწესებულებებს აკრედიტებული ორგანოები ეწოდება. მათ საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს კომპეტენტური ხელისუფლება.

პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოში და სურთ, იშვილონ მეორე სახელმწიფოში მუდმივად მცხოვრები ბავშვი, მიმართავენ თავის სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოს მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება შესაბამისი სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოს. თუ მიმღები სახელმწიფოს ცენტრალური ორგანო დარწმუნდება იმაში, რომ განმცხადებელს აქვს შვილად აყვანის უფლება და ამისათვის არის შესაფერისი კანდიდატურა, იგი ამზადებს მოხსენებას, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მისი პიროვნების, უფლებების, მშვილებლად შესაბამისობის შესახებ, ბიოგრაფიულ მონაცემებს, ოჯახის ისტორიას, ჯანმრთელობის მდგომარეობის ცნობებს, სოციალური გარემოცვის სურათს, შვილად აყვანის მიზანს, საერთაშორისო გაშვილების განხორციელების შესაძლებლობებს, აგრეთვე ცნობებს იმ ბავშვის შესახებ, რომლის აყვანაც სურს და მასზე მზრუნველობას აპირებს. ამის შემდეგ მსგავს საქმიანობას ახორციელებს წარმოშობის სახელმწიფოს ცენტრალური ორგანო გასაშვილებელი ბავშვის შეს-

ახებ. მის მიერ მომზადებული მოხსენება, რომელშიც დაწვრილებითი ცნობებია მოცემული ბავშვის პიროვნების, მისი მდგომარეობის, ისტორიის, ეთნიკური, რელიგიური და კულტურული წარმომავლობის შესახებ, გადაეცემა მიმღები სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოს. მოხსენებით ბარათს თან უნდა დაერთოს გაშვილებაზე დადგენილი წესით მიღებული თანხმობის დამადასტურებელი ცნობები. მოხსენებაში მიეთითება იმის შესახებ, პასუხობს თუ არა გათვალისწინებული პროგრამა ბავშვის ინტერესებს.

წარმოშობის სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ შესაძლებელია ნდობა სავარაუდო მშვილებლისადმი, შეიძლება მიღებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ: ამ სახელმწიფოს ცენტრალურმა ორგანომ უზრუნველყო სავარაუდო მშვილებლის თანხმობის მიღება ბავშვის შვილად აყვანაზე; მიმღები სახელმწიფო დაეთანხმა წარმოშობის სახელმწიფოს ამგვარ გადაწყვეტილებას; ორივე სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოები შეთანხმდნენ იმის შესახებ, რომ გაშვილება შესაძლებელია; მიმღებმა სახელმწიფომ განსაზღვრა, რომ ბავშვს აქვს იქ შესვლისა და მუდმივად ცხოვრების უფლება (ამ უფლების მიღებაზე ზრუნავენ ორივე სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოები).

აღნიშნული პროცედურების განხორციელება ნიშნავს საერთაშორისო გაშვილებაზე შეთანხმების მიღწევას. ამის შემდეგ უნდა მოხდეს ბავშვის გადაცემა მიმღებ სახელმწიფოში. ორივე სახელმწიფოს ცენტრალური ორგანო უზრუნველყოფს ბავშვის უსაფრთხო გადაცემას შესაბამის პირობებში და თუ ეს შესაძლებელია, მშვილებლის თანხლებით. თუ ბავშვის გადაცემა არ განხორციელდება მიმღები და წარმოშობის სახელმწიფოების ცენტრალური ორგანოების მიერ, მომზადებული მოხსენებები უკან ბრუნდება. იმ შემთხვევაში, როცა ბავშვის გადაცემის შემდეგ მიმღებ სახელმწიფოში მოხდა მისი ხელახალი გაშვილება, და ამ სახელმწიფოს ცენტრალურმა ორგანომ დაადგინა, რომ მშვილებელთან ცხოვრების დროს ადგილი ჰქონდა ბავშვის ინტერესების დარღვევას, იგი ჩამოართმევს ბავშვს მშვილებლებს და ახორციელებს მასზე დროებით მეურვეობას ან მზრუნველობას. წარმოშობის სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოებთან კონსულტაციების შემდეგ შეეცდება ახალი გაშვილების მიზანშეწონილობის საკითხის გარკვევას. თუ მშვილებლის ახალი კანდიდატურაც ვერ პასუხობს დადგენილ მოთხოვნებს, მაშინ ბავშვზე მუდმივ მეურვეობას ან მზრუნველობას ახორციელებს

ცენტრალური ორგანო მანამდე, ვიდრე არ იქნება მიღებული თანხმობა გაშვილებაზე წარმომშობი სახელმწიფოდან. ასეთი თანხმობის მიუღებლობის შემთხვევაში მიმღები სახელმწიფოს ცენტრალური ორგანო ორგანიზაციას უკეთებს ბავშვის დაბრუნებას მისი ინტერესების გათვალისწინებით.

ჰაგის კონვენცია არ ეხება წარმოშობის სახელმწიფოს ნებისმიერ კანონს, რომელიც მოითხოვს, რომ ამ ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები ბავშვის გაშვილება უნდა მოხდეს ამავე სახელმწიფოში, ან კრძალავს ბავშვის გაგზავნას მიმღებ სახელმწიფოში გაშვილების პროცედურის დამთავრებამდე.

შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ საქართველოს კანონის ის ნაწილი, რომელიც საერთაშორისო გაშვილებას ეხება, ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს მაქსიმალურად ითვალისწინებს და განსაზღვრავს ზოგიერთ დამატებით დებულებას. საქართველოში საერთაშორისო გაშვილება შესაძლებლად არის მიჩნეული. მასზე ვრცელდება ქვეყნის შიგნით დადგენილი ნორმების მოქმედება. საზოგადოებაში შეიძლება არსებობდეს განსხვავებული მიდგომა უცხო სახელმწიფოებში ბავშვების გაშვილების დასაშვებობასთან დაკავშირებით. ზოგიერთები მასში მატერიალურად უკიდურეს მდგომარეობაში მყოფი ბავშვებისათვის, მათ გადასარჩენად აუცილებელი დახმარების გაწევის ერთ-ერთ ფორმას ხედავენ. გამოთქვამენ საწინააღმდეგო მოსაზრებასაც, რომ მდიდარი სახელმწიფოების შეძლებული მოქალაქეები სარგებლობენ ღარიბი სახელმწიფოების მდგომარეობით და აქ ბავშვების შვილად აყვანით იქმნიან მშობლიურ გრძნობათა გამოხატვის შესაძლებლობას თუ სხვა, ანგარებითი მიზნები არ დგას ასეთ გაშვილებათა უკან. ყოველი შემთხვევისათვის ნებისმიერმა სახელმწიფომ მაქსიმალური ყურადღება უნდა გამოიჩინოს თავისი მოქალაქის უცხო სახელმწიფოში გაშვილებისას[1].

საქართველოდან გაშვილება დაიშვება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და კანონით მკაცრად განსაზღვრული პირობების არსებობისას. კანონის მიხედვით საქართველოდან უცხო ქვეყანაში ბავშვის გაშვილება შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმა, თუ არ შეიძლება ბავშვი დაუბრუნდეს ბიოლოგიურ ოჯახს ან შვილად იქნეს აყვანილი საქართველოს მოქა-

[1] Kegel G., Sehrang K., Internationales Privatrecht. München, 2000, S. 744.

ლაქის ან საქართველოში მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ და მისი საქართველოში გაშვილება შეუძლებელია. ამ პირობების ერთდროულად არსებობაა აუცილებელი საერთაშორისო გაშვილების პროცედურის დასაწყებად. უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოდან შეუძლია იშვილოს ცენტრალურ რეესტრში აღრიცხვაზე მყოფი გასაშვილებელი ბავშვის სტატუსის მქონე პირი. ასეთ რეესტრს აწარმოებს სააგენტო, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალური ორგანო. მხოლოდ ცენტრალურ რეესტრში ხდება საზღვარგარეთ გასაშვილებელი ბავშვებისა და უცხოელი მომავალი მშვილებლების აღრიცხვა. უცხო ქვეყანაში ბავშვის გაშვილების საკითხი მხოლოდ მაშინ დადგება, თუ იგი ცენტრალურ რეესტრში აღრიცხვაზე აყვანიდან 8 თვის განმავლობაში ვერ იქნა გაშვილებული საქართველოში. ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით შესაძლებელია ეს ვადა სასამართლომ შეამციროს. ამ შემთხვევაში ცენტრალური ორგანოს სოციალური მუშაკი ატარებს კვლევას, რომლის საფუძველზე წარმოდგენილ დასკვნაშიც უნდა აღინიშნოს მიზეზები, რომელთა გამოც ვერ მოხერხდა ამ ბავშვისათვის საქართველოში მშვილებლის გამონახვა. თუ მიზეზები ობიექტურია, საქართველოს ცენტრალური ორგანო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით იწყებს მისი უცხო ქვეყანაში გაშვილების პროცედურის განხორციელებას. იგი ჰააგის კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად უკავშირდება ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ანალოგიურ სამსახურებს და ცვლის ინფორმაციას. თუ რომელიმე ქვეყანა არ არის კონვენციის მონაწილე ხელშემკვრელი მხარე ან ამ ქვეყნის კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული საერთაშორისო გაშვილების საკითხებში ცენტრალური ორგანოს შექმნა, მაშინ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ამტკიცებს მშვილებელი ქვეყნის ცენტრალურ ორგანოსთან (ასეთი ორგანოს არარსებობის შემთხვევაში – ასეთ ქვეყანაში ლიცენზირებულ ან აკრედიტებულ შესაბამის დაწესებულებასთან) დასადები სპეციალური ხელშეკრულების ფორმას. ცენტრალური ორგანოს მიერ მშვილებელი ქვეყნის შესაბამის ორგანოსთან დადებული ხელშეკრულება უნდა შეესაბამებოდეს გაეროსა და ჰააგის კონვენციების, აგრეთვე საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოდან ბავშვის შვილად აყვანა შეიძლება, თუ უცხოელი მშვილებელი აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და აღრიცხუ-

ლია საქართველოს ცენტრალურ რეესტრში. ცენტრალურ რეესტრში გასაშვილებელ ბავშვსა და შვილად აყვანის მსურველ პირს შორის არანაკლებ 16-წლიანი ასაკობრივი სხვაობის მოთხოვნა არ ვრცელდება ისეთ შემთხვევაზე, როცა გასაშვილებელი ბავშვის შვილად აყვანა სურს უცხოელ დედინაცვალს ან მამინაცვალს.

საქართველოდან უცხო ქვეყანაში ბავშვის გასაშვილებლად სავალდებულოა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენა, რასაც ახორციელებს საქართველოს ცენტრალური ორგანოს მიერ შექმნილი კომისია. ასეთი კომისიის მუშაობის წესს, მის შემადგენლობასა და კომისიის მიერ უცხო ქვეყანაში გასაშვილებელი ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გადამოწმების წესს ამტკიცებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო გაშვილება, ძირითადად, ხდება საქართველოსა და შესაბამისი უცხო ქვეყნის ცენტრალურ ორგანოებს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, ქართული მხარის ნების გამოვლენა მაინც ქართული სასამართლოს შესაბამის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. პარტნიორი ქვეყნისათვის კი შეიძლება სასამართლოს ჩარევა შვილებასთან დაკავშირებულ საკითხებში მისი კანონმდებლობით არც იყოს გათვალისწინებული. უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოდან ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევაში, ცენტრალური ორგანო ვალდებულია საერთაშორისო გაშვილების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. ამის აუცილებლობა განპირობებულია საზღვარგარეთ გაშვილებული ბავშვის ინტერესებსა და მდგომარეობაზე ერთობლივი მონიტორინგის განხორციელების ვალდებულებით.

აღნიშნული წესის მიხედვით ხდება უცხო ქვეყნებიდან ბავშვის შვილად აყვანა საქართველოს ცენტრალურ რეესტრში აღრიცხვაზე მყოფ შვილად აყვანის მსურველთა მიერ. საქართველოს ცენტრალური ორგანოს თანამშრომლები – სოციალური მუშაკები ვალდებული არიან იცნობდნენ საერთაშორისო გაშვილების სფეროში მოქმედ საერთაშორისო კონვენციების მონაწილე სახელმწიფოთა საკანონმდებლო მოთხოვნებს. მათ უნდა განუმარტონ ეს მოთხოვნები საქართველოს იმ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომელთაც უფლება აქვთ და სურთ უცხო ქვეყნიდან ბავშვის შვილად აყვანა.

თავი XI

ბავშვის მინდობით აღზრდა (შვილობილობა)

11.1. მინდობით აღზრდის ცნება და მნიშვნელობა

ბავშვთა მოვლისა და აღზრდის ტრადიციული ფორმების (შვილად აყვანა, მეურვეობა, მზრუნველობა) გარდა, საქართველოში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შედარებით ახალი ინსტიტუტი – **მინდობით აღზრდა, ანუ შვილობილობა. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოსა და ცალკეულ ოჯახებს შორის იდება ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ხდება ბავშვის ამ ოჯახისათვის გადაცემა მოსავლელად და აღსაზრდელად.** ეს ხელშეკრულება, დადების წესითა და შინაარსით, მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა სახის სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულებებისაგან. მისთვის დამახასიათებელია ის, რომ: 1. ხელშეკრულება იდება მკაცრად განსაზღვრულ სუბიექტებს შორის. ესენია: ერთი მხრივ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები, რომლებიც ამ შემთხვევაში სახელმწიფოს წარმოადგენენ და, მეორე მხრივ, მიმღები ოჯახები, დედობილ-მამობილის ოჯახები, რომელთაც გადაეცემა შვილობილები მოსავლელად და აღსაზრდელად. სხვა სუბიექტებს შორის ასეთი ხელშეკრულება არ იდება; 2. ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა უფლება-მოვალეობები, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება მათი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იდება, მხოლოდ მათი სურვილით არ განისაზღვრება. უფლება-მოვალეობათა მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფოს მიერ დგინდება; 3. ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი არის შვილობილის მოვლა და აღზრდა. დედობილ-მამობილს განსაზღვრული ვალდებულებები წარმოეშობათ შვილობილის მიმართ, რომელიც თავად წარმოადგენს სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტს და გააჩნია შესაბამისი უფლებები. აღნიშნულის გარდა, სხვა მხრივ, იგი ჩვეულებრივი სამოქალაქო-სამართლებრივი შეთანხმებაა.

მინდობით აღზრდა, ანუ ოჯახში ბავშვის მოსავლელად და აღსაზრდელად მიღება (შვილობილობა) მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკურობით განსხვავდება შვილად აყვანისაგან, აგრეთვე მეურ-

ვეობისა და მზრუნველობისაგან. მათგან განსხვავებით, შვილობილობის საფუძველია ხელშეკრულება და არა სასამართლო გადაწყვეტილება ან ადმინისტრაციული აქტი; ხელშეკრულებას შეიძლება დროებითი ხასიათი ჰქონდეს და არ გაგრძელდეს შვილობილის სრულწლოვანებამდე; შვილობილობის წინაპირობაა მიმღები ოჯახის მომზადება ბავშვის მისაღებად; ხელშეკრულების საფუძველზე ხდება შვილობილის მოვლასა და აღზრდასთან დაკავშირებით გაწეული საქმიანობის მიმღები ოჯახისათვის ანაზღაურება; შვილობილის მოვლისა და აღზრდისათვის გაწეული საქმიანობა ითვლება საერთო შრომით სტაჟში; შვილობილობისას საალიმენტო და მემკვიდრეობითი ურთიერთობები გამორიცხულია.

ზემოაღნიშნული თავისებურებები მნიშვნელოვანწილად განაპირობებს შვილობილობის ინსტიტუტისადმი გამორჩეულ ინტერესს. მასში სრულყოფილად აისახა, ერთი მხრივ, სახელმწიფოს პრიორიტეტული მიზნის – ბავშვების ოჯახურ გარემოში აღზრდის უზრუნველყოფისა და, მეორე მხრივ, დაინტერესებულ პირთა აღმზრდელობით-შრომით საქმიანობაში ჩაბმის შესაძლებლობა.

საქართველოში შვილობილობის ინსტიტუტს საფუძველი ჩაეყარა 1998 წლიდან, როცა პრეზიდენტის სპეციალური ბრძანებულება იქნა მიღებული უდედმამო ბავშვთა მიმართ სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ღონისძიებათა შესახებ. იგი ითვალისწინებდა ხელშეკრულების საფუძველზე ბავშვთა გადაცემას აღმზრდელებისათვის. იმ ოჯახებს, რომლებიც ზრუნვისა და მეურვეობის მიზნით თავის წევრად მიიღებდნენ სახელმწიფო აღმზრდელობით დაწესებულებებში განთავსებულ უდედმამო ბავშვებს, დაუწესდათ ერთჯერადი თანადგომა 500 ლარის ოდენობით, ხოლო ყოველთვიურად ორმაგი მინიმალური ხელფასის ოდენობა ბავშვის სრულწლოვანებამდე. ამ თანხებს მიზნობრივი დანიშნულება ჰქონდა – ბავშვის რჩენას, მის უზრუნველყოფას აუცილებელი ტანსაცმლითა და ნივთებით, აგრეთვე პირადი ჰიგიენის საგნების შეძენას უნდა მოხმარებოდა.

აღმზრდელის შრომის ანაზღაურება ცალკე განსაზღვრული არ იყო. პრეზიდენტის ბრძანებულებაში დაყენებული საკითხებისადმი საყოველთაო ყურადღებამ და ბავშვების აღზრდასთან დაკავშირებული პრობლემების სიმწვავის გათვითცნობიერების მაღალმა დონემ განაპირობა 1999 წლის კანონის – „ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა შვილობილად აყვანის შესახებ" – მიღება. ამ კანონით

შედარებით სრულყოფილად იქნა მოწესრიგებული შვილობილობასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ურთიერთობები – ჩამოყალიბდა ძირითადი პრინციპები. დაწესდა ცალკე ანაზღაურება ბავშვის მოვლასა და აღზრდასთან დაკავშირებული საქმიანობისათვის, ასეთი საქმიანობა ჩაითვალა შრომითი სტაჟის გამოთვლის საფუძვლად და სხვ. ამ კანონმა იმოქმედა რვა წელი. სახელმწიფოში მიმდინარე საკანონმდებლო, პოლიტიკურმა და სტრუქტურულმა ცვლილებებმა გამოიწვია 1999 წლის კანონის ცალკეულ ნორმათა შინაარსის დაზუსტებისა და განსაზღვრული დამატებების გათვალისწინების აუცილებლობა. ამიტომ 2007 წლის 18 დეკემბერს მიღებულ იქნა კანონი „მინდობით აღზრდის შესახებ". 2009 წლის 18 დეკემბერს კი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ ცალ-ცალკე არსებული კანონები უმნიშვნელო დამატებებით გაერთიანდა ერთ აქტად. ამ კანონის მიზანია, მინდობით აღზრდის, ანუ ბავშვის შვილობილად აყვანის სისტემის ამოქმედებით უზრუნველყოს ბავშვების ოჯახურ გარემოში სრული და ჰარმონიული აღზრდის უპირატესი უფლება, ხელი შეუწყოს ბავშვის პიროვნების ფორმირებას, მის სოციალიზაციასა და ადაპტაციას საზოგადოებაში. ბავშვის პიროვნების სოციალურ-კულტურული ჩამოყალიბება, მის მიერ საზოგადოებრივი ქცევის ნორმების ფსიქოლოგიური მექანიზმებისა და სოციალურ ღირებულებათა ათვისების პროცესი უნდა წარიმართოს საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპის მოთხოვნათა შესაბამისად. ამ კანონით გაცნობიერებულია სახელმწიფოს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მომავალი თაობების წინაშე იმ უფლებათა განხორციელების უზრუნველყოფისათვის, რომელიც თანამედროვე ცივილიზებულ საზოგადოებაში ადამიანის აუცილებელ ინგრედიენტს წარმოადგენს.

კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ განსაზღვრავს შვილობილობის სამართლებრივ პრინციპებს, აწესრიგებს მათი განხორციელებისას სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს, ადგენს მინდობით აღზრდის წესს, განხორციელების გარანტიებსა და შვილობილად აყვანის პროცედურას, აგრეთვე განსაზღვრავს ბავშვის მიმართ ზრუნვასთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე სოციალური მუშაკის სტატუსსა და მის უფლებამოვალეობებს შვილობილობის მთელი პერიოდისათვის.

შვილობილობის დროებითი ხასიათიდან გამომდინარე, ძალზე ფართოვდება მისი გამოყენების სფერო. შესაძლებელია, აღზრდის

ფუნქციები ოჯახმა იკისროს არა ხანგრძლივი პერიოდით, რაც, ჩვეულებრივ, ბავშვის სრულწლოვანებამდე უნდა გაგრძელდეს, არამედ მიმღები ოჯახისათვის მისაღები ვადით, მისი მატერიალური და ფიზიკური რესურსების გათვალისწინებით. უმეტესად, მინდობით აღზრდის ხელშეკრულება იდება სამი ან ხუთი წლის ვადით. ყოველთვის არსებობს ახალი ვადით მისი დადების შესაძლებლობა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ შეიძლება ხელშეკრულება თავიდანვე დაიდოს ბავშვის სრულწლოვანებამდე მიღწევის ვადით. პირიქით, დედობილ-მამობილსა და შვილობილს შორის ხანგრძლივი საოჯახო ურთიერთობა უფრო სასარგებლოა ორივე მხარისათვის და ოფიციალურად მისი შეწყვეტის შემდეგ, წარმომავლობით ნათესაობის მსგავსი სიახლოვის შენარჩუნების საფუძველს წარმოადგენს.

შვილობილობის ფართოდ დანერგვასა და გავრცელებას არა მარტო მისი მოკლე დროით განხორციელების შესაძლებლობა, არამედ ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა ქმნის. 2008 წლის აგვისტოში რუსეთის საოკუპაციო ჯარების მიერ საქართველოში გაუგონარი ველურობისა და ბარბაროსობის გამოვლენისას, მათი ცხოველური ინსტინქტების უაზრო განხორციელებას უსამართლოდ შეეწირა უამრავი ადამიანი, დაინგრა და განადგურდა ეკონომიკური პოტენციალი, დაობლდა, დაიჭრა და უსახლკაროდ დარჩა ასეულობით ბავშვი. მათ მიმართ ჰუმანიტარულ მხარდაჭერასთან ერთად ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ბავშვთა მოვლისა და აღზრდის ყველა სამართლებრივი ფორმა და განსაკუთრებით კი – შვილობილობა. შვილობილობის გამოყენების სფეროს გაფართოების მაჩვენებელია ისიც, რომ აღნიშნული კანონის მოქმედება ვრცელდება არა მარტო საქართველოს მოქალაქეებსა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებზე, არამედ უცხოელებზეც. სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეები, აგრეთვე ოჯახები, რომელთაც გადაწყვეტილი აქვთ საქართველოში იცხოვრონ განსაზღვრული პერიოდით, უფლებამოსილი არიან დროის იმ მონაკვეთის მანძილზე, რომელიც მათთვისაა მისაღები, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი ბავშვების მოვლასა და აღზრდაში. ასეთი საქმიანობის დადებითი შედეგები განუსაზღვრელად დიდი და სასარგებლოა.

მინდობით აღზრდასთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციე-

ლებენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადგილობრივი ტერიტორიული სამსახურები. ისინი, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები, აღნიშნულ სფეროში სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარებას უზრუნველყოფენ, სახელმწიფოს სახელით ებმებიან მიმღებ ოჯახებთან სახელშეკრულებო ურთიერთობებში და სახელმწიფოს სახელითვე კისრულობენ განსაზღვრულ ვალდებულებებს. მათი საქმიანობის ყველა დეტალი განისაზღვრება სამინისტროს მიერ მიღებული ნორმატიული აქტებით. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციებს შვილობილობის სფეროში ყველაზე კომპეტენტურად ახორციელებენ სოციალური მუშაკები, რომელთაც გააჩნიათ უმაღლესი განათლება, გაიარეს სპეციალური მომზადება და მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალური ორგანოს მიერ არიან სერთიფიცირებული და შეყვანილი სოციალურ მუშაკთა ერთიან რეესტრში. ისინი თავიანთ მოვალეობას ასრულებენ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებთან დადებული შეთანხმების საფუძველზე. მათთან ერთად, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილებით შეიძლება მინდობით აღზრდასთან დაკავშირებით საჭირო შეიქნეს ცალკეული სპეციალისტების მოწვევა ამა თუ იმ კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად. ასეთ შემთხვევებში შესაბამის ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებს.

აკრძალულია მინდობით აღზრდის მიზნით სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირების საქმიანობა ბავშვის ბიოლოგიურ მშობელს ან მის სხვა კანონიერ წარმომადგენელსა და ცალკეულ ოჯახებს შორის გარიგების მისაღწევად. დაუშვებელია აგრეთვე ასეთი საქმიანობის წაქეზება და ხელის შეწყობა.

11.2. მინდობით აღზრდის ხელშეკრულების გაფორმება

კონკრეტული ხელშეკრულების დადებამდე, საჭიროა განსაზღვრული წინასწარი სამუშაოების ჩატარება. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება იმ ბავშვების გამოვლენა და აღრიცხვაზე აყვანა, რომლებიც მოსავლელად და აღსაზრდელად შეიძლება გადაეცეთ ცალკეულ ოჯახებს. აუცილებელია აგრეთვე იმ ოჯახების რეგისტრირებაც,

რომლებიც მზად არიან მიიღონ ბავშვები. ეს შრომატევადი და საპასუხისმგებლო საქმიანობა ერთჯერადი არ არის, მას მუდმივი ხასიათი აქვს და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს.

კანონის მიხედვით განსაზღვრულია იმ ბავშვთა კატეგორია, რომლებიც შვილობილად აყვანას ექვემდებარებიან. მათ რეგისტრაციას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები ახორციელებენ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

ბავშვი შვილობილად აყვანას ექვემდებარება: ა) თუ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მას უნდა დაენიშნოს მეურვე ან მზრუნველი, მაგრამ ჯერ არ ჰყავს დანიშნული. ასეთი ბავშვის შვილობილად აყვანა მოკლე დროით მოხდება და გაგრძელდება მისთვის მეურვის ან მზრუნველის დანიშვნამდე. შვილობილად აყვანა არ ნიშნავს იმას, რომ მეურვის ან მზრუნველის დანიშვნის საჭიროება მოისპო. მათ სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლები გააჩნიათ და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება შვილობილობა გაგრძელდეს (ბავშვის აღზრდის ინტერესები, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობა) და დღის წესრიგიდან მოიხსნას ასეთი ბავშვისათვის მეურვის ან მზრუნველის დანიშვნის საკითხი; ბ) შვილის ჩამორთმევისას მშობლის უფლებებისა და მოვალეობების ჩამორთმევის ან შეზღუდვის გარეშე. ასეთ შემთხვევებში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია ბავშვი დროებით მოათავსოს მესამე პირთან. ყველაზე კარგი ვარიანტი მიმღები ოჯახისათვის შვილობილად გადაცემაა. მშობლების პირვანდელ სამართლებრივ მდგომარეობაში აღდგენა შვილობილობის შესახებ მიღწეული შეთანხმების გაუქმების საფუძველია, თუ ეს აშკარად არ ეწინააღმდეგება ბავშვის აღზრდის ინტერესებს; გ) თუ ბავშვის დატოვება მეურვესთან ან მზრუნველთან მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ბავშვისათვის საზიანოა და მეურვე ან მზრუნველი ამის თაობაზე მიმართავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. მსგავს შემთხვევებში მეურვეობა ან მზრუნველობა ბავშვის მიმართ არ წყდება. უნდა მოხდეს მეურვის ან მზრუნველის შეცვლა. სამეურვეო ან სამზრუნველო პირსა და მეურვეს ან მზრუნველს შორის ურთიერთობა დაწერილებით უნდა იქნეს შესწავლილი და გამოვლენილი მიზეზების გათვალისწინებით უნდა მოხდეს ახალი მეურვის ან მზრუნველის შერჩევა. ეს კი განსაზღვრულ დროსთან

არის დაკავშირებული. ახალი მეურვის ან მზრუნველის შერჩევამდე შესაძლებელია ბავშვის გადაცემა შვილობილად; დ) თუ მშობლის უფლება – გადაწყვიტოს ვისთან უნდა იცხოვროს ბავშვმა, შეზღუდულია და ბავშვი უნდა განთავსდეს თავისი ოჯახის გარეთ. საოჯახო სამართალში მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს მშობლისათვის იმის განსაზღვრის უფლების მინიჭება, თუ რომელ მშობელთან უნდა იცხოვროს ბავშვმა. ამის საჭიროება, ძირითადად, მაშინ დგება, როცა მშობლები განქორწინების ან სხვა მიზეზის გამო ცალკ-ცალკე ცხოვრობენ. შესაძლებელია ამ უფლების შეზღუდვა, თუ მას მშობლები ვერ იყენებენ შვილის ინტერესების შესაბამისად. შესაძლებელია, ამგვარი შეზღუდვის გაუქმება, მაგრამ, ვიდრე ეს არ მომხდარა და ბავშვის თავისი ოჯახის გარეთ განთავსების აუცილებლობა არსებობს, შვილობილობა საუკეთესო გამოსავალია შექმნილი მდგომარეობიდან; ე) როცა ბავშვის განთავსება თავისი ოჯახის გარეთ განპირობებულია მისი მშობლებისათვის მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შეჩერებით, შეზღუდვით ან ჩამორთმევით. სამივე საფუძველი ერთნაირი ხარისხით შეიძლება გახდეს შვილობილობის ინსტიტუტის გამოყენების მიზეზი, იმ განსხვავებით, რომ შეჩერება ან შეზღუდვა უფრო ხანმოკლე და შედარებით მსუბუქი ღონისძიება შეიძლება იყოს, ვიდრე მშობლის უფლების ჩამორთმევაა მშობლიურ ვალდებულებათა ბრალეული შეუსრულებლობისათვის. ამიტომ, როცა ადგილი აქვს მშობლის უფლების ჩამორთმევას, ამ დროს აუცილებელიცაა შვილობილობის დადებითი ეფექტი ხანგრძლივი პერიოდისათვის იყოს გათვლილი.

ადრე მოქმედი კანონით შედარებით ფართოდ იყო წარმოდგენილი იმ ბავშვთა კატეგორია, რომლებიც შვილობილობას ექვემდებარებოდნენ. მშობელთა მზრუნველობამოკლებულთა კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ ის ბავშვებიც, რომელთა მშობლები ავადმყოფობდნენ ან გარდაცვლილი ჰყავდათ ერთ-ერთი მშობელი და სხვ. მათი შეზღუდვა განაპირობა იმან, რომ შვილობილობა ანაზღაურებითი ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება და ამ მიზნით სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრები მომჭირნედ და მიზნობრივი დანიშნულების მკაცრი დაცვით უნდა დაიხარჯოს. გარდა ამისა, მშობლიურ ზრუნვას მოკლებული ბავშვების არც ერთი კატეგორია ყურადღების გარეშე არ დარჩება, თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების შესაძლებლობები ეფექტურად იქნება გამოყენებული.

შვილობილობის პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს

მიმღები ოჯახების აღრიცხვისა და მათი იმ წევრების დაზუსტება, რომლებსაც დედობილ-მამობილის ფუნქციების განხორციელება დაეკისრებათ. როცა მიმღებ ოჯახზეა ლაპარაკი, აქ იგულისხმება, რომ მთელი ოჯახი მზადყოფნაშია, მოსავლელად და აღსაზრდელად მიიღონ ბავშვი. ასეთ შემთხვევაში ოჯახის შემადგენლობაში მოიაზრება ცოლ-ქმარი, მათი შვილები, და-ძმები, პაპა-ბებია, აგრეთვე შვილიშვილები, რომლებიც ერთად ცხოვრობენ და საერთო მეურნეობას ეწევიან. **ოჯახში ბავშვის შვილობილად მიღებისას თანხმობა უნდა გამოხატოს მისმა ყველა სრულწლოვანმა წევრმა. ხელშეკრულება კი უნდა გაფორმდეს კონკრეტულ აღმზრდელებთან – დედობილ-მამობილთან ან ერთ-ერთ მათგანთან.**

საქართველოს მოქალაქეებმა, საქართველოში მცხოვრებმა მოქალაქეობის არმქონე პირებმა ან უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა, რომელთაც სურთ შვილობილად აიყვანონ ბავშვი, უნდა მიმართონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს თავიანთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

დედობილ-მამობილი შეიძლება იყოს ნებისმიერი სრულწლოვანი პირი, მათ შორის ბავშვის ნათესავიც, გარდა იმ პირისა: ა) რომელიც სასამართლომ ცნო შეზღუდულქმედუნარიანად; ბ) რომელსაც შეჩერებული, შეზღუდული ან ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლებამოვალეობანი, აგრეთვე იმ პირებისა, რომელთა მეურვედ ან მზრუნველად ყოფნა გაუქმებულია, კანონით დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის გამო; გ) რომელსაც არ შეუძლია ბავშვის მოვლა და აღზრდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო; დ) რომელიც ან რომლის ოჯახის წევრიც სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, აგრეთვე ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის და, რომელსაც ან რომლის ოჯახის წევრსაც ნასამართლობა არა აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული საქართველოს კანონმდებლობის დადგენილი წესით; ე) რომელიც არის მშობელი, მშვილებელი, მეურვე ან მზრუნველი, მაგრამ აკისრია სხვა ბავშვის რჩენის ვალდებულება; ვ) რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით, აგრეთვე სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახს შორის დადებული ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის გამო ჩამოერთვა შვილობილი; ზ) რომლის ოჯახის სოციალური სტატუსის შეფასებაში მისი სარეიტინგო ქულა მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ქულაზე ნაკლებია.

დედობილ-მამობილის რეგისტრაციას სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე ახორციელებენ მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოები ცენტრალური ორგანოს მიერ დადგენილი წესით. რეგისტრაციის ვადაა ერთი წელი. იგი ექვემდებარება ყოველწლიურ განახლებას. რეგისტრაციას საფუძვლად უნდა დაედოს დედობილ-მამობილობის მსურველთა მიერ ამისათვის მოსამზადებელი საგანმანათლებლო კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს კომპეტენციაა. ადრე ასეთი გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების უფლებამოსილებათა მნიშვნელოვნად გაფართოებამ განაპირობა ამ მეტად მნიშვნელოვანი აქტის დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობა. გადაწყვეტილება მიიღება სოციალური მუშაკის მიერ ბავშვის საჭიროებებისა და შვილობილად აყვანის მსურველ პირთა შესაძლებლობების თაობაზე ჩატარებული კვლევისა და მომზადებული დასკვნის საფუძველზე.

ბავშვის შვილობილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას დაცულ უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები: ა) გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბავშვის შვილობილად აყვანის მსურველ პირთა სურვილი ასაკთან, სქესთან და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით; ბ) შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ბავშვის ახლო ეთნიკურ, რელიგიურ და კულტურულ გარემოში აღზრდის შესაძლებლობა; გ) ბავშვის შვილობილად აყვანის მსურველ პირთა ოჯახში მცხოვრები ბავშვების, მათ შორის ბიოლოგიური შვილებისა და ნაშვილებთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შვიდს; დ) ათი წლის ასაკს მიღწეული ბავშვის შვილობილად აყვანა უნდა მოხდეს მხოლოდ მისი თანხმობით; ე) დაუშვებელია და-ძმის, დების ან ძმების დაშორება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს შეესაბამება მათ ინტერესებს; ვ) ასაკობრივი სხვაობა დედობილ-მამობილსა და შვილობილს შორის უნდა იყოს არანაკლებ თექვსმეტი წლისა. გამონაკლის შემთხვევაში, გადაუდებელი მინდობით აღზრდისას, არ ხდება ყურადღების გამახვილება მიმღებ ოჯახთან ბავშვის თავსებადობაზე.

აღნიშნულ მოთხოვნათა გათვალისწინების საფუძველზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საფუძვლად ედება შვილობილობის შესახებ შრომითი ხელშეკრულების

დადებას. ხელშეკრულება ფორმდება, ერთი მხრივ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსა და, მეორე მხრივ, ბავშვის შვილობილად აყვანის მსურველ პირს შორის. ამ მომენტიდან მოსავლელად და აღსაზრდელად გადაცემულ ბავშვს ეწოდება შვილობილი, მიმღები ოჯახის წევრ აღმზრდელებს – დედობილ-მამობილი. ხელშეკრულება შვილობილობის შესახებ ფორმდება მარტივი წერილობითი ფორმით. შვილობილობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ნებისმიერი ვადით, შვილობილის მიერ სრულწლოვანების მიღწევამდე. შრომითი ხელშეკრულება აუცილებლად უნდა მოიცავდეს: ბავშვზე ზრუნვისა და მისი აღზრდის პირობებს; დედობილ-მამობილის უფლებებსა და მოვალეობებს; მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლება-მოვალეობებს; შვილობილის უფლებებსა და მოვალეობებს; შვილობილზე ზრუნვის ხარჯების ანაზღაურებისა და დედობილ-მამობილის შრომის ანაზღაურების ოდენობას; მხარეთა პასუხისმგებლობასა და ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებს.

შესაძლებელია შრომითი ხელშეკრულების გადასინჯვა. მასში ცვლილებებისა და დამატებების შესატანად აუცილებელია მხარეთა შეთანხმება.

11.3. მინდობით აღზრდის ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობანი და შვილობილობის შეწყვეტა

ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის დროს მხარეთა უფლება-მოვალეობების ძირითადი ნაწილი, მათი პასუხისმგებლობის საფუძველი და ხელშეკრულების შეწყვეტის იურიდიული შესაძლებლობები კანონითაა განსაზღვრული. მხარეებს შეუძლიათ დამატებით გაითვალისწინონ ისეთი მომენტები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებსა და შვილობილობის ხელშეკრულების დანიშნულებას.

კანონი, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლება-მოვალეობებს. ისინი ხელშეკრულების დადების შემდეგ განსახორციელებელ სფეროს კი არ მიეკუთვნებიან მხოლოდ, არამედ მათთან ერთად, შვილობილობასთან დაკავშირებულ მთელ პროცესს. ამ უფლება-მოვალეობებს შორის განსაკუთრებით

გამოირჩევა შემდეგი: ა) თავის სამოქმედო ტერიტორიაზე შვილობილად აყვანას დაქვემდებარებულ ბავშვთა და მათ შვილობილად აყვანის მსურველ პირთა გამოვლენა, აგრეთვე ასეთი ბავშვების, შვილობილად ბავშვის აყვანის მსურველთა რეგისტრაცია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების კომპეტენციაში შედის უკვე შვილობილთა და დედობილ-მამობილთა რეგისტრაცია, მათ შესახებ ინფორმაციის სისტემატიზაცია და საინფორმაციო ბანკის წარმოება. ეს ფაქტობრივად შვილობილთა და დედობილ-მამობილთა ერთიანი რეესტრია. ბ) დედობილ-მამობილის დროული ფინანსური უზრუნველყოფა მათთვის გამოყოფილი ანაზღაურებით. შვილობილის აღზრდა-რჩენასთან დაკავშირებული სახსრები დედობილ-მამობილმა ცალკე, განსაზღვრული პერიოდისათვის ერთდროულად ან ყოველთვიურად შეიძლება მიიღოს. რაც შეეხება შრომის ანაზღაურებას, იგი უნდა მოხდეს ყოვლთვიური გასამრჯელოს გადახდით; გ) დედობილ-მამობილისათვის გამოყოფილი სახსრების მიზნობრივი ხარჯვის კონტროლი. აქ მხედველობაშია შვილობილის მოვლა-აღზრდის პროცესში მისი კვებით, ტანსაცმლითა და სხვა აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფისათვის გამოყოფილი სახსრები და შრომითი ანაზღაურების სახით მიღებული გასამრჯელო. მიზნობრივი სახსრების არადანიშნულებისამებრ გამოყენება შეიძლება დედობილ-მამობილთა პასუხისმგებლობის საფუძველი გახდეს. ამიტომ, ამ მხრივ, კვალიფიციური მონიტორინგის განხორციელება და გამოვლენილ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ აღმოფხვრისკენ მიმართული ღონისძიების განხორციელებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება; დ) შვილობილის საცხოვრებელი პირობების, აღზრდის, განვითარების, განათლების, ჯანმრთელობის მდგომარეობის, აგრეთვე დედობილ-მამობილის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე ზედამხედველობა. იგი მუდმივ ხასიათს უნდა ატარებდეს, ხოლო პერიოდულად ჩატარებული თემატური შემოწმებების შედეგები სპეციალური მსჯელობის საგანი უნდა ხდებოდეს. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, მისი ფართო კომპეტენციიდან გამომდინარე, შვილობილობასთან დაკავშირებული სხვა უფლება-მოვალეობებიც გააჩნია. მათი რეალიზაციისათვის კონკრეტულ ხელშეკრულებაში ამ უფლება-მოვალეობათა სრულად ჩართვა აუცილებელი არ არის. საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობა მათი განხორციელების საკმაო საფუძველს წარმოადგენს.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლება-მოვალეობის

პარალელურად განსაზღვრულია სოციალური მუშაკის ფუნქციები და მათ განხორციელებასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები. სოციალური მუშაკი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან დადებული ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. სოციალური მუშაკის კონკრეტული უფლება-მოვალეობებია: ა) ბავშვის შვილობილად აყვანის მსურველთა შეფასება მათი ბიოგრაფიის, პიროვნული თვისებების, სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, შესაბამისი დასკვნის მომზადება და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის წარდგენა; ბ) შვილობილად ასაყვანი ბავშვისა და შვილობილად აყვანის მსურველ პირთა თავსებადობის შეფასება და შესაბამისი დასკვნის საფუძველზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს საქმის კურსში შეყვანა; გ) შვილობილად ასაყვანი ბავშვის მდგომარეობის შესახებ დასკვნის მომზადება და წარდგენა; დ) ბავშვის შვილობილად აყვანის მსურველ პირთა, აგრეთვე დედობილ-მამობილის დახმარება და ხელშეწყობა ბავშვის შვილობილად აყვანამდე ან შვილობილის მინდობით აღზრდის პერიოდში. დახმარება შეიძლება ტრენინგსაც მოიცავდეს; ე) ბავშვის ბიოლოგიური ოჯახისათვის, მშვილებლების, მეურვეებისა და მზრუნველებისათვის დაბრუნების შესახებ დასკვნის მომზადება და მისი განხორციელების პერიოდული მონიტორინგი; ვ) შვილობილად ასაყვანი ბავშვის ან შვილობილის საქმიანობის ინდივიდუალური გეგმის შემუშავება და ზრუნვა მისი განხორციელებისათვის.

სოციალური მუშაკის მიერ უფლებამოსილებათა გადამეტების შემთხვევაში მისი პასუხისმგებლობის შესახებ საკითხს სვამს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

მიმღები ოჯახის წევრი დედობილ-მამობილის უფლება-მოვალეობები თავისი შინაარსით ბევრად ემსგავსება მეურვისა და მზრუნველის უფლება-მოვალეობებს. ისინი ვალდებულნი არიან: იზრუნონ შვილობილზე მისი ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად; შეუქმნან შვილობილს ნორმალური ოჯახური გარემო; აცნობონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შვილობილისათვის საზიანო პირობებისა და გარემოს შექმნის შესახებ; ხელი შეუწყონ შვილობილის ურთიერთობას მის კანონიერ წარმომადგენელთან და სხვა ახლო ნათესავებთან; იცხოვრონ შვილობილთან ერთად; აუცილებლობის შემთხვევაში მიმართონ სასამართლოს მშობლის უფლებებისა და მოვალეობების

აღსადგენად, რომელიც შეზღუდული, შეჩერებული ან ჩამორთმეული აქვთ შვილობილის მშობლებს; დედობილ-მამობილს უფლება აქვთ ბავშვის შვილობილად აყვანის შესახებ შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად მიიღონ ანაზღაურება როგორც შვილობილზე ზრუნვის, ისე დედობილ-მამობილის შრომის ანაზღაურების სახსრების სახით.

პასუხისმგებლობა დედობილ-მამობილის მიერ თავიანთ მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის, დაეკისრება მათ საქართველოს კანონმდებლობით და შვილობილობის ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და პირობებით.

შვილობილი, როგორც მინდობით აღზრდის ინსტიტუტის ძირითადი ფიგურანტი, სრულად სარგებლობს ყველა იმ უფლებითა და შეღავათით, რაც დადგენილია საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმებით, სპეციალური კონვენციებითა და საქართველოს კანონმდებლობით. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ შვილობილობა არ წარმოადგენს ბიოლოგიურ მშობლებთან და მათ ნათესავებთან სამართლებრივი ურთიერთობის შეზღუდვის ან შეწყვეტის საფუძველს. მათ უფლება აქვთ ურთიერთობა იქონიონ წარმოშობით ახლობელ ადამიანებთან. ეს იმას ნიშნავს, რომ ნათესაობაზე დამყარებული ურთიერთობა დედობილ-მამობილის მიმართ მათ არ წარმოეშობათ. შვილობილობის შეწყვეტის შემდეგ საალიმენტო და მემკვიდრეობითი უფლება-მოვალეობანი მათ შორის არ წარმოიშობა. შვილობილს საალიმენტო და მემკვიდრეობითი უფლება-მოვალეობები წარმოეშობა თავის მშობლებთან და მათ ნათესავებთან მიმართებაში. ამიტომ საალიმენტო სახსრები, მისთვის დანიშნული პენსიის თანხები და სხვა სახის დახმარებები უნდა გადაირიცხოს საბანკო დაწესებულებაში შვილობილის სახლზე გახსნილ ანგარიშზე და საბოლოოდ მოხმარდეს მისი მოვლისა და აღზრდის ინტერესებს.

შვილობილი სრულად ინარჩუნებს ყველა იმ ქონებრივ უფლებას, რომელიც მას გააჩნდა დედობილ-მამობილის ოჯახში საცხოვრებლად გადასვლამდე.

შვილობილის მნიშვნელოვანი უფლების გამოხატულებას წარმოადგენს ის, რომ მიმღებ ოჯახში შვილობილთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას დაცულ უნდა იქნეს მის მიღებაში შვილობილის მონაწილეობისა და მისი აზრის პატივისცემის პრინციპი.

ბავშვის შვილობილად აყვანის შესახებ შრომითი ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს როგორც მიმღები ოჯახის, ისე მეურვეობისა და

მზრუნველობის ორგანოს ინიციატივით. არსებობს ხელშეკრულების შეწყვეტის ისეთი საფუძვლები, რომელთა ინიცირება მხარეებზე არ არის დამოკიდებული.

შვილობილობის ხელშეკრულება შეიძლება მიმღები ოჯახის ინიციატივით შეწყდეს, თუ არსებობს დასაბუთებული მიზეზი (ავადმყოფობა, ოჯახური ან მატერიალური მდგომარეობის გაუარესება, შვილობილსა და მიმღები ოჯახის წევრებს შორის სერიოზული კონფლიქტი). ასეთ შემთხვევაში, შვილობილის ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება ხელშეკრულების შეწყვეტა. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ინიციატივით მაშინ შეიძლება ხელშეკრულების შეწყვეტა, როცა სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე აშკარა ხდება, რომ მიმღებ ოჯახში შვილობილის აღზრდისათვის საზიანო პირობები და გარემო შეიქმნა.

შვილობილობის ხელშეკრულების შეწყვეტის კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებია: შვილობილის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება; შვილობილის შვილად აყვანა; შვილობილის სრულწლოვანება; შვილობილის დაქორწინება; ბავშვის შვილობილად ასაყვან პირთა კატეგორიაში ჩარიცხვის მიზეზების გაუქმება.

ბავშვის შვილობილად აყვანის შესახებ შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ბავშვი გადაეცემა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიიღებს ბავშვის შემდგომ მოვლასა და აღზრდასთან დაკავშირებულ აუცილებელ ღონისძიებებს.

თავი XII

მემკვიდრეობის სამართლის ზოგადი დებულებანი

12.1. მემკვიდრეობის არსი და მნიშვნელობა

მემკვიდრეობა როგორც დოქტრინის, ისე კანონმდებლობის მიხედვით, **არის გარდაცვლილი პირის ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების სხვა პირებზე გადასვლა მემკვიდრეობის სამართლის ნორმების შესაბამისად.** ზოგჯერ ყურადღება მახვილდება **ქონების** სხვა პირებზე გადასვლის შესახებ. მემკვიდრეობის შინაარსი ორივე შემთხვევაში ერთნაირია. პირის გარდაცვალებით ფაქტობრივად წყდება ყველა ის ურთიერთობა, რომელიც მას აკავშირებდა სხვა პირებთან და თვით ქონებასთან. მაგრამ იურიდიულად ქონებრივი ურთიერთობები არ წყდება. ისინი კვლავ არსებობენ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ გარდაცვლილი პირის ნაცვლად მისი უფლებამონაცვლეები წარმოადგენენ ასეთ ურთიერთობათა სუბიექტებს. მართალია, ზოგიერთი ქონებრივი ხასიათის სამართლებრივი ურთიერთობა, რომელშიც გარდაცვლილი პირი ღებულობდა მონაწილეობას, მისი გარდაცვალებით წყდება, – მაგალითად, სხვა პირის რჩენის უფლება-მოვალეობა, პირადი სერვიტუტები ან ხელშეკრულებები, – მაგრამ ისინი იმდენად იშვიათია და პირადული, რომ წარმოუდგენელია ერთი პირის მეორეთი შეცვლა. უმრავლეს შემთხვევაში გარდაცვლილი პირის უფლებამონაცვლე ხდება საკუთრების, გირავნობის, მოთხოვნისა და სხვა უფლება-მოვალეობათა მატარებელი.

აქედან გამომდინარე, **უფლებამონაცვლეობა უნივერსალურ ხასიათს ატარებს.** გარდაცვლილი პირის ქონებრივი უფლებები და ვალდებულებები სხვა პირებზე გადადის სრულად და უცვლელად ერთსა და იმავე დროს. აქედან გამონაკლისს წარმოადგენს ის უფლება-მოვალეობები, რომელთა გადაცემა კანონმდებლობითაა დაუშვებელი ან ეწინააღმდეგება მათ ბუნებას. თუ ვინ არის გარდაცვლილი პირის უფლებამონაცვლე, რა სამართლებრივ საფუძველზე იკავებს იგი გარდაცვლილი პირის ადგილს, რა უფლება-მოვალეობები გააჩნია მას და როგორ ხდება გარდაცვლილი პირის ქონებისა და ვალების უფლებამონაცვლეზე გადასვლა, ის ძირითადი საკითხებია, რომლებზეც პასუხის გაცემა მემკვიდრეობის სამართლის ფუნქციას წარმოადგენს.

მემკვიდრეობის სამართალი იმ ნორმათა ერთობლიობაა, რომელიც გარდაცვლილი პირის ქონების სხვა პირებზე გადასვლასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არეგულირებს. ქონებაში იგულისხმება არა მარტო აქტივი, არამედ პასივიც. მემკვიდრეობის სამართალი სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. მემკვიდრეობის სამართალი ადგენს და იცავს მემკვიდრეობის უფლებას, ანუ იმ უფლებამოსილებათა ერთობლიობას, რომელთა საფუძველზეც ხდება პირის აღიარება გარდაცვლილის უფლებამონაცვლედ – მემკვიდრედ. მემკვიდრეობის უფლებაში შედის აგრეთვე იმ პირის უფლებამოსილებათა შინაარსი, რომელიც სამკვიდრო ქონების დამტოვებლად, ანუ მამკვიდრებლად გამოდის სამემკვიდრეო ურთიერთობებში.

მემკვიდრეობის უფლება ადამიანის ერთ-ერთ უძველეს ძირითად უფლებას წარმოადგენს. თანამედროვე გაგების სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობამდე დიდი ხნით ადრე, მემკვიდრეობის ინსტიტუტი გარდუვალი აუცილებლობით მკვიდრდებოდა და ვითარდებოდა. ადამიანთა საზოგადოება, საოჯახო ურთიერთობათა წარმოქმნასთან ერთად, მემკვიდრეობის ობიექტურად არსებული ურთიერთობების მონაწილე ხდებოდა.

პირველყოფილი თემური წყობილების დროს, განსაკუთრებით კი მის ადრეულ საფეხურზე, როცა ადამიანის მოთხოვნილებები და მათი დაკმაყოფილების საშუალებები უაღრესად პრიმიტიული და მწირი იყო, მემკვიდრეობა თანამედროვე გაგებით არ არსებობდა, თუნდაც იმიტომ, რომ არ არსებობდა მემკვიდრეობით გადასაცემი ქონება. მართალია, მაშინ მშობლიდან შვილზე გადადიოდა სანადირო და თევზსაჭერი იარაღები, მაგრამ გვარისა და ტომის, ხოლო მომდევნო პერიოდში – ოჯახის მფლობელობასა და სარგებლობაში რჩებოდა საარსებოდ აუცილებელი პროდუქტები, გარეულ ცხოველთა ტყავი, მოსართავი სამკაულები და სხვა, გარდა იმ ქონებისა, რომელიც გარდაცვალებულთან ერთად იმარხებოდა. ამ დროს წარმოშობილი ქონებრივი ურთიერთობები საზოგადოებაში არსებული მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებითა და ჩვეულებით რეგულირდებოდა.

საზოგადოებრივი შრომის დიდი დანაწილების კვალობაზე ხდება შრომის იარაღებისა და საშუალებების სრულყოფა, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქონლის წარმოებას, მის დაგროვებასა და გაცვლითი პროცესების უზრუნველყოფას. ამან, თავის მხრივ, გამოიწვია ცალკეული ოჯახების ქონებრივი დამოუკიდებლობის გაფართოება

და გვაროვნულ-ტომობრივი კავშირების მნიშვნელოვანი შესუსტება. ქონების მეპატრონის გარდაცვალება სულ უფრო აქტუალურს ხდის მისი ქონების ბედის გადაწყვეტის საკითხს. საზოგადოების ქონებრივი და სოციალური დანაწევრება ლოგიკურად იწვევს კერძო საკუთრებისა და მისი დამცავი სამართლებრივი ინსტიტუტების შექმნა-განვითარებას. სახელმწიფოს ინტერესებში საზოგადოების წევრთა ქონებრივი სტატუსის დადგენა და მათი უფლებების დაცვა მნიშვნელოვან ადგილს იჭერს. კერძო საკუთრების აყვავებამ მნიშვნელოვნად გააფართოვა იმ ქონების ფარგლები, რომელიც შეიძლება მემკვიდრეობის საგანი იყოს. ასეთად უკვე ითვლება ყოველგვარი ქონება, რომელსაც შეუძლია მოგების მოტანა, ადამიანთა სხვადასხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილება და გააჩნია როგორც მატერიალური, ისე მორალური ღირებულება. აქედან გამომდინარე, კერძო საკუთრების დამკვიდრება-განვითარება ლოგიკურად აყენებს დღის წესრიგში მემკვიდრეობითი ურთიერთობებისადმი არა მარტო საზოგადოების, არამედ სახელმწიფოს მხრივ ყურადღების გამახვილების აუცილებლობას. განსაკუთრებით ითქმის ეს პოსტსაბჭოური და განვითარებადი ქვეყნების მიმართ, რომლებშიც კერძო საკუთრებითი ურთიერთობები გარკვეული პერიოდით შეიზღუდა და მხოლოდ ამჟამად მიეცათ საბაზრო ურთიერთობათა ფართოდ დამკვიდრების შესაძლებლობა. ვიდრე იარსებებს კერძო საკუთრება და საზოგადოება იცხოვრებს საბაზრო მეურნეობის პრინციპებზე დაყრდნობით, მემკვიდრეობითი ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირებისადმი ინტერესი კვლავაც გაიზრდება.

მემკვიდრეობის ინსტიტუტისადმი ცხოველი ინტერესი განპირობებულია მისი განსაკუთრებული მნიშვნელობით. კერძო სამართალი სანივთო და საოჯახო ურთიერთობებთან ერთად ოდითგანვე მემკვიდრეობის საკითხებს არეგულირებდა. რადგან მემკვიდრეობაში მთავარია გარდაცვლილი პირის სიცოცხლის პერიოდის ქონებრივი უფლება-მოვალეობათა სხვა პირებზე გადასვლის საკითხი, იგულისხმება, რომ მათ შორის ძირითადი ადგილი უკავია საკუთრების უფლებას. მისი სხვა პირებზე გადასვლა განსაკუთრებული ლოგიკითა და კანონზომიერებით უნდა ხდებოდეს. დავუშვათ, რომ გარდაცვლილი პირის ქონებრივი უფლება-მოვალეობები მასთან ერთად კვდება და არ გადადის სხვა პირებზე. ძნელი წარმოსადგენია ის ქაოსი, რასაც იგი შეიტანს იმ სამართლებრივ ურთიერთობებში, რომლებშიც გარდაცვლილი სიცოცხლის პერიოდში მონაწილეობდა. უპირველეს ყოვლისა, ეს უკიდურესად

მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩააგდებდა გარდაცვლილის იმ ახლო ნათესავებს, რომლებსაც არ გააჩნიათ საარსებო საშუალებები; გამოიწვევდა უამრავი სამეწარმეო საზოგადოების კრახს, რადგან მათი შეუფერხებელი და კომპეტენტური მართვა შეუძლებელი გახდებოდა; ცუდ პირობებში აღმოჩნდებოდნენ გარდაცვლილის კრედიტორები, რადგან მათ არ ეცოდინებოდათ ვისთვის უნდა მიემართათ თავიანთი პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად; მნიშვნელოვნად დაეცემოდა ადამიანების შრომითი და საქმიანი აქტივობა, რადგან გაურკვეველი იქნებოდა თუ რა გზებით უნდა გამოეყენებიათ დაგროვილი ქონება ოჯახის წევრებისა და ახლობლების სასარგებლოდ, რომელთა ძიებაში კანონმორჩილი ადამიანი მრავალჯერ გახდებოდა კანონის უნებლიე დამრღვევი. დაბოლოს, მემკვიდრეობის უარყოფა ეწინააღმდეგება თვით საკუთრებისა და საკუთრების უფლების ბუნებას, რადგან მსგავს შემთხვევაში იგი გადაიქცევა დროებით უფლებად – სიკვდილი ხომ გარდუვალია.

მემკვიდრეობის დიდი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოების თითოეულ წევრს აძლევს გარანტირებულ შესაძლებლობას, იცხოვროს და იშრომოს იმის შეგნებით, რომ მის მიერ სიცოცხლეში შექმნილი მატერიალური თუ სულიერი სიკეთე თავისივე ნების საფუძველზე მისი გარდაცვალების შემდეგ გადავა ახლობელი ადამიანების ხელში. გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია, დადგენილი წესის შესაბამისად, ასეთი ქონების ნაწილი გადავიდეს გარდაცვლილის ნებით გაუთვალისწინებელ პირებზეც. ამ ზოგადი დებულებების განუხრელი დაცვა უზრუნველყოფს არა მარტო გარდაცვლილი პირისა და მისი უფლებამონაცვლის, არამედ სამემკვიდრეო ურთიერთობის სხვა მონაწილეთა – კრედიტორების, ფისკალური სამსახურებისა და სხვათა კანონიერი ინტერესების დაცვას. საბოლოო ჯამში, მემკვიდრეობის ინსტიტუტი ხელს უწყობს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სტაბილური დონის შენარჩუნებას. ამასთან, შესაძლებელია მემკვიდრეობას უკავშირდებოდეს ესა თუ ის უარყოფითი მომენტი. მათ შორის ყველაზე მთავარია ის, რომ მემკვიდრეობა ქმნის პარაზიტული არსებობის შესაძლებლობას იმ პირებისათვის, რომლებმაც ამ გზით მიიღეს უძრავი ქონება, აქციები, ანაბრები, კონვერტირებადი ვალუტა და სხვ. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს საზოგადოების სოციალური უთანასწორობის გაღრმავებასა და თვით ამ გზით გამდიდრებულ პირთა დეგრადირებას. ასეთი ტენდენციები განსაკუთრებით

საშიშია კაპიტალის პირველადი დაგროვების პერიოდში. თუმცა, საზოგადოებაზე მათი მავნე ზეგავლენის გაუვნებელყოფა სავსებით შესაძლებელია პროგრესული საგადასახადო პოლიტიკის გამოყენებით. ყველა შემთხვევაში, რა უარყოფითი მომენტიც არ უნდა ახასიათებდეს მემკვიდრეობას, მისი თავისუფლება, უფრო უკეთესი და პროგრესულია, ვიდრე შეზღუდვა. მიზანშეუწონელია ყოველმა ახალმა თაობამ ცხოვრება თავიდან დაიწყოს. გარდა ამისა, მემკვიდრეობით მიღებული ქონება უმრავლეს შემთხვევაში გამოიყენება ოჯახების მატერიალური მდგომარეობის განსამტკიცებლად, საზოგადოებრივი დოვლათის გასამრავლებლად, სხვადასხვა საქველმოქმედო ფონდის შესაქმნელად და სხვა კეთილშობილური მიზნებისათვის, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს საზოგადოების სოციალური, სამეცნიერო და კულტურული დონის ამაღლებას.

მემკვიდრეობისადმი უარყოფითი დამოკიდებულება სათავეებს ადრინდელი მოაზროვნეების პოზიციებიდან იღებს. მაგალითად, სენ-სიმონი და მისი მიმდევრები თვლიდნენ, რომ მემკვიდრეობა შრომის დახარჯვის გარეშე ქონების მოხვეჭის საშუალებაა, ეს კი ბოროტებას წარმოადგენს. მათ შესაძლებლად მიაჩნდათ მემკვიდრეობის გაუქმება კერძო საკუთრების შენარჩუნების პირობებში. მათი აზრით, თუ საზოგადოების თითოეული წევრი მატერიალურ სიკეთეს მიიღებს თავისი უნარისა და შრომის მიხედვით, მემკვიდრეობის ინსტიტუტი საჭირო აღარ იქნება.

მემკვიდერობას არც მარქსიზმის კლასიკოსები სწყალობდნენ. მარქსიცა და ენგელსიც ბურჟუაზიული კერძო საკუთრების მოსპობის აუცილებლობას მემკვიდრეობის გაუქმებას უკავშირებდნენ. მათი აზრით, მემკვიდრეობა კერძო საკუთრების ნაყოფია. ამიტომ, თუ არ იარსებებს კერძო საკუთრება და კაპიტალი, არც მემკვიდრეობის შენარჩუნება იქნება აუცილებელი. თუმცა სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ერთბაშად არ უნდა მოხდეს მისი გაუქმება. მარქსისტებს მიმდევრები ამ სფეროში საკმაოდ გამოუჩნდათ. მათი იდეების პრაქტიკულ განხორციელებას წარმოადგენდა საბჭოთა რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის „დეკრეტი მემკვიდრეობის უფლების გაუქმების შესახებ". მართალია, ამ დეკრეტით მემკვიდრეობა სრულად არ გაუქმებულა, მაგრამ იგი მნიშვნელოვნად შეიზღუდა და სოციალურ-უზრუნველმყოფადი ფუნქცია შეიძინა. ექსპლუატატორული ელემენტების ექსპროპრიაციის შემდეგ მათთვის

საკუთრების უფლების ჩამორთმევა მოხდა მემკვიდრეობის გაუქმების გარეშეც. შემდგომ პერიოდში საბჭოთა ხელისუფლებამ თანდათან აღადგინა საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონზომიერებით შექმნილი მემკვიდრეობის უფლება. აღნიშნული დეკრეტი რუსეთში მემკვიდრეობის უფლების საკანონმდებლო წესით გაუქმების პირველი და უკანასკნელი ცდა აღმოჩნდა მემკვიდრეობის მთელ ისტორიაში.

12.2. მემკვიდრეობის სამართლის ძირითადი ცნებები

მემკვიდრეობითი უფლებამონაცვლეობა. იურიდიულ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ უფლებამონაცვლეობისათვის დამახასიათებელია უფლება-მოვალეობათა ფარდობითი და დამოკიდებული ხასიათი. სხვა პირისათვის გადაცემული უფლება-მოვალეობები გამომდინარეობს გადამცემი პირის უფლება-მოვალეობებისაგან. მემკვიდრეობის დროს ეს თანაფარდობა შედარებით გამოკვეთილ და თვალში საცემ ხასიათს ატარებს. მაგალითად, როცა ლაპარაკია იმაზე, რომ უფლებამონაცვლეზე გადადის გარდაცვლილი პირის ქონებრივი უფლება-მოვალეობები გარდა ისეთებისა, რომლებიც კანონის მოთხოვნიდან ან თვით მათი იურიდიული ბუნებიდან გამომდინარეობს, იგულისხმება უფლება-მოვალეობათა გადასვლა იმ სახით, რითაც ისინი ხასიათდებოდა გარდაცვლილი პირის სიცოცხლეში. უფლება-მოვალეობათა გადასვლა ხდება მათი უზრუნველყოფის საშუალებებითა და დატვირთულობის ყველა ფორმით. თუ ვალდებულება უზრუნველყოფილია პირგასამტეხლოთი ან ბეთი, იგი ძალას ინარჩუნებს უფლებამონაცვლის მიერ კრედიტორის მიმართ ვალდებულების შესრულების მოთხოვნისას. ასევე, თუ უფლებამონაცვლეზე გადასაცემი ქონება დაგირავებულია, ასეთი სტატუსი მას შეუნარჩუნდება ახალი მესაკუთრის ხელშიც. ყველა შემთხვევაში ქონება უფლებამონაცვლეზე უნდა გადავიდეს იმ სახით, რა სახითაც არსებობს. ქონების გადასვლა უნდა მოხდეს მთლიანად, როგორც ყველა სახის ქონებრივ უფლება-მოვალეობათა ერთობლიობისა.

მემკვიდრეობის საფუძვლები. მოქმედი კანონმდებლობით მემკვიდრეობის საფუძვლებს წარმოადგენს **ანდერძი და კანონი.** შესაძლებელია, ქონების ერთი ნაწილი გარდაცვლილი პირის უფლებამონაცვლეზე

ანდერძით გადავიდეს, მეორე ნაწილი კი – კანონის საფუძველზე. **ანდერძი არის პირის განკარგულება მისი გარდაცვალების შემთხვევაში ქონების უფლებამონაცვლეებზე გადაცემის შესახებ.** კანონი კი უფლებამონაცვლეობის საკითხებს განსაზღვრავს იმ შემთხვევებში, როცა: გარდაცვლილ პირს არ დაუტოვებია ანდერძი, ანდერძი ეხება ქონების ნაწილს ან ანდერძი ნაწილობრივ ან მთლიანად ბათილად იქნა ცნობილი. აქედან გამომდინარე, არსებობს ორი სახის მემკვიდრეობა: **ანდერძით (ანდერძისმიერი) მემკვიდრეობა და კანონით (კანონისმიერი) მემკვიდრეობა.** არ შეიძლება მემკვიდრეობის აღნიშნული საფუძვლების დაპირისპირება. მითუმეტეს, რომ შესაძლებელია უფლებამონაცვლეზე ორივე საფუძვლით გადავიდეს ქონება. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ მარტო არც ანდერძი და არც კანონი მემკვიდრეობას არ წარმოშობს. საჭიროა სხვადასხვა იურიდიული ფაქტის არსებობა. მაგალითად, პირის გარდაცვალება, კანონით განსაზღვრულ პირთა შორის უფლებამონაცვლის არსებობა, ანდერძის ფორმის დაცვა და სხვა. ასეთ იურიდიული მნიშვნელობის მოთხოვნებს, ყველა შემთხვევაში, კანონი განსაზღვრავს. მიუხედავად იმისა, რომ მემკვიდრეობის სამართალი რაიმე განსაკუთრებულ უპირატესობას მემკვიდრეობის არც ერთ საფუძველს არ ანიჭებს, მათი შინაარსიდან გამომდინარე, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების პროცესში განმსაზღვრელია ავტონომიურობისა და დისპოზიციურობის პრინციპები, პირველადი მნიშვნელობა მაინც ანდერძისმიერ მემკვიდრეობას უნდა მიენიჭოს. მით უმეტეს, რომ კანონისმიერი მემკვიდრეობა მაშინ მოქმედებს, როცა ანდერძი არ არის სახეზე ან ანდერძს გარეთ დარჩენილი ქონება უნდა გადაეცეს გარდაცვლილი პირის უფლებამონაცვლეს. ასეთი პოზიცია, სასურველია, საბაზრო ურთიერთობების პერიოდის კანონმდებელმაც გაიზიაროს.

მამკვიდრებელი. მემკვიდრეობის სამართლის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა არის სამკვიდროს დამტოვებელი, ანუ მამკვიდრებელი. სწორედ მისი გარდაცვალებაა სამემკვიდრეო-სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობის ძირითადი საფუძველი. **იგი შეიძლება მხოლოდ ფიზიკური პირი იყოს.** არა აქვს მნიშვნელობა ასეთი პირი საქართველოს მოქალაქეა, უცხო სახელმწიფოსი თუ აპატრიდია (მოქალაქეობის არმქონე პირი). არც ერთი საზოგადოებრივი წარმონაქმნი, იქნება იგი იურიდიული პირი თუ არა, არ შეიძლება მამკვიდრებლის როლში გამოვიდეს. იურიდიული პირის რეორგანიზაციის დროს, შეს-

აძლებელია, ადგილი ჰქონდეს უნივერსალურ უფლებამონაცვლეობას, მაგრამ იგი არ იქნება მემკვიდრეობითი უფლებამონაცვლეობა, მიუხედავად იმისა, რომ ყოფით ურთიერთობაში ახლად შექმნილ იურიდიულ პირს რეორგანიზებული წარმონაქმნის მემკვიდრედ მიიჩნევენ.

კანონით მემკვიდრეობის დროს მამკვიდრებელი შეიძლება იყოს როგორც ქმედუნარიანი, ისე ქმედუუნაროც. ამ დროს ქონების სხვა პირის ხელში გადასასვლელად არ არის საჭირო მამკვიდრებლის ნების გამოვლინება ან რაიმე მოქმედების შესრულება. სხვაგვარად დგას საკითხი ანდერძით მემკვიდრეობის დროს. ანდერძი გარიგებაა და, ბუნებრივია, იგი მამკვიდრებლის ნებას გამოხატავს. ეს ნება უნდა იყოს უდეფექტო და უპირველეს ყოვლისა, ქმედუნარიანი პირის მიერ გამოვლენილი. ანდერძის ნამდვილობის ერთ-ერთი პირობაა მისი შედგენა ქმედუნარიანი პირის მიერ. აქედან გამომდინარე, ანდერძით მემკვიდრეობის დროს მამკვიდრებელი უნდა იყოს ქმედუნარიანი პირი. მამკვიდრებლად შეიძლება მიჩნეულ იქნენ აგრეთვე არასრულწლოვანი დაქორწინებული პირები. ისინი, ასაკის მიუხედავად, სრულ ქმედუნარიანად ითვლებიან და მათ მსგავსად შეუძლიათ ანდერძის შედგენა. შეზღუდულქმედუნარიანებს ანდერძის შედგენის უფლება არ გააჩნიათ. მათ მიერ შედგენილი ანდერძი ყოველთვის შეიძლება სადავო გახდეს. უფრო მეტიც, ქმედუნარიანი პირის მიერ მძიმე ავადმყოფობის პერიოდში შედგენილი ანდერძიც, შეიძლება გაბათილდეს სასამართლოს მიერ, თუ ავადმყოფს არ შეეძლო თავისი მოქმედების გაკონტროლება ანდერძის შედგენის მომენტში. აქედან გამომდინარე, მამკვიდრებლის ანდერძუნარიანობის გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს.

მემკვიდრეები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მამკვიდრებლის უფლებამონაცვლის – მემკვიდრის სტატუსის გარკვევას. 1307-ე და მომდევნო რამდენიმე მუხლი როგორც ანდერძით, ისე კანონით მემკვიდრეთა სისტემატიზაციას ეძღვნება. **მემკვიდრედ მიიჩნევა ის, ვისზეც უფლებამონაცვლეობის გზით გადადის მამკვიდრებლის ქონებრივი უფლება-მოვალეობები.** თუ მამკვიდრებელი შეიძლება მხოლოდ ფიზიკური პირი იყოს, მემკვიდრედ ფიზიკურ პირებთან ერთად იურიდიული პირებიც გამოდიან. არა აქვს მნიშვნელობა კერძო თუ საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტები იქნებიან ისინი, კომერციული თუ არაკომერციული ხასიათისა. უფრო მეტიც, ქონების მემკვიდრეობით გადაცემა შესაძლებელია საქართველოს სახელმწიფოსათვის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და

ხელისუფლების მუნიციპალური სტრუქტურებისათვის. იურიდიული პირები მემკვიდრეებად უმეტესად გამოდიან ანდერძით მემკვიდრეობის დროს. კანონით მემკვიდრეობისას, გამონაკლის შემთხვევაში, როცა გარდაცვლილის ქონება ბეითალმანად არის ცნობილი, იგი შეიძლება გადაეცეს სახელმწიფოს ან სხვა საზოგადოებრივ წარმონაქმნს.

იურიდიული პირისათვის ანდერძით მემკვიდრეობის საფუძველზე ქონების გადასაცემად აუცილებელია ის, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტისათვის იურიდიული პირი შექმნილი უნდა იყოს კანონით დადგენილი წესით. არ შეიძლება ანდერძში მიეთითოს იმ იურიდიული პირისათვის ქონების მემკვიდრეობით გადაცემის შესახებ, რომელიც შეიქმნება მომავალში, მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ. თუ ასეთი ანდერძი მაინც შედგა, იგი აუცილებლად უნდა გაბათილდეს.

ფიზიკური პირები ფართოდ ღებულობენ მონაწილეობას ორივე სახის მემკვიდრეობით ურთიერთობებში. საერთო წესის მიხედვით მემკვიდრეებად შეიძლება გამოვიდნენ ის ფიზიკური პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის. მნიშვნელობა არა აქვს იმას, ქმედუნარიანები არიან ისინი თუ ქმედუუნარონი ან შეზღუდულქმედუნარიანები. ამ საერთო წესიდან არსებობს გამონაკლისი თავისებურებები იმათთვის, ვინც ჯერ კიდევ არ დაბადებულა. ანდერძით მემკვიდრეობისას მემკვიდრე შეიძლება იყოს ის პირი, რომელიც ჩაისახა მამკვიდრებლის სიცოცხლის პერიოდში და დაიბადა მისი გარდაცვალების შემდეგ. მემკვიდრე შეიძლება იყოს ნებისმიერი ასეთი პირი – იქნება იგი მამკვიდრებლის შვილი, ახლო ნათესავი თუ სრულიად უცხო. მთავარია, ანდერძში იყოს ასეთ პირზე მითითება. თუ ბავშვი დაიბადა მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, იგი არ შეიძლება მემკვიდრედ იქნეს აღიარებული და ანდერძი უნდა გაბათილდეს. ბავშვის ჩასახვა უნდა ემთხვეოდეს მამკვიდრებლის სიცოცხლის პერიოდს. ბავშვი მამკვიდრებლის სიცოცხლეში ჩასახულად ჩაითვლება, თუ მისი გარდაცვალებიდან ბავშვის დაბადებამდე გასულია არა უმეტეს ათი თვისა.

სხვაგვარად წყდება საკითხი კანონით მემკვიდრეობისას. ამ დროს მემკვიდრედ ითვლება ის შვილი, რომელიც ჩაისახა მამკვიდრებლის სიცოცხლეში და ცოცხალი დაიბადა მისი გარდაცვალების შემდეგ. კანონით მემკვიდრედ ითვლება მამკვიდრებლის მხოლოდ შვილი და არა სხვა პირი – მათ შორის და-ძმა, შვილიშვილი ან მით უმეტეს,

არანათესავი, რომელიც მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ დაიბადა. ყურადღებაა გასამახვილებელი კიდევ ერთ გარემოებაზე – ბავშვი მემკვიდრედ ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, თუ იგი ცოცხალი დაიბადა[1]. მემკვიდრეობის შინაარსიდან გამომდინარე, ბავშვის ინტერესი მხოლოდ ასეთ შემთხვევაში უნდა იქნეს გათვალისწინებული. თუ ბავშვი მკვდარი დაიბადა, მაშინ მისი ჩასახვის მომენტი ყოველგვარ იურიდიულ მნიშვნელობას კარგავს და ითვლება, რომ მისი უფლება-უნარიანობა საერთოდ არ წარმოშობილა. ასეთ შემთხვევაში პირი საერთოდ არ ითვლება მემკვიდრეობის სამართლის სუბიექტად და მის მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ პირის მემკვიდრეობის სტატუსი, რომელიც აღიარებულია მემკვიდრედ, მაგრამ სიცოცხლეში ვერ ასწრებს მემკვიდრეობის მიღებას და ისე გარდაიცვლება. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როცა ანდერძი დატოვებულია მამკვიდრებლის სიცოცხლეში ჩასახული ბავშვის სასარგებლოდ, მაგრამ იგი მკვდარი დაიბადება. ასეთ შემთხვევაში ანდერძი უნდა გაბათილდეს.

მემკვიდრედ ითვლება ქორწინების გარეშე გაჩენილი ბავშვიც. ამასთან, გასათვალისწინებელია ზოგიერთი სპეციფიკაც. ასეთი ბავშვი დედის მემკვიდრედ ყველა შემთხვევაში შეიძლება გამოვიდეს. რაც შეეხება მამის მემკვიდრეობას, იგი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა კანონით დადგენილი წესით მამობა ნებაყოფლობითაა აღიარებული ან დადგენილია სასამართლო წესით. ორივე შემთხვევაში არარეგისტრირებულ ქორწინებაში გაჩენილი ბავშვი ღვიძლი შვილის სტატუსს იძენს. თუკი იგი მამაზე ადრე გარდაიცვლება, მის შვილებს შეუძლიათ მოითხოვონ წილი იმ ქონებიდან, რომელიც მემკვიდრეობით მათ მამას ეკუთვნოდა. ასევე ითვლება მშვილებლების მემკვიდრეებად მათი ნაშვილები პირები.

სამოქალაქო კანონმდებლობით განსაზღვრულია არა მარტო იმ პირთა წრე, რომლებსაც გააჩნიათ მემკვიდრეობის უფლება, არამედ იმათიც, ვისაც შეიძლება ჩამოერთვათ იგი. ჩამორთმევა გულისხმობს მემკვიდრედ გახდომის შესაძლებლობის აკრძალვას. ასეთ პირებს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება **ულირსი მემკვიდრე**. სამოქალაქო კოდექსის 1310-ე მუხლის მიხედვით, არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრე არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც განზრახ ხელს უშლიდა მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში და ამით

[1] **ირმა გელაშვილი**, ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა, თბ., 2012, გვ. 31.

ხელს უწყობდა თავისი ან მისი ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად, ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდას, ანდა ჩაიდინა განზრახი დანაშაული ან სხვა ამორალური საქციელი მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ. ასეთი საქციელი თუ დადასტურებულ იქნა სასამართლოს მიერ, პირი უნდა ჩაითვალოს უღირს მემკვიდრედ. ამ მუხლის პირველ ნახევარში ლაპარაკია უღირსი მემკვიდრის მიერ ჩადენილ სხვადასხვა მოქმედებაზე, რომლებმაც სამემკვიდრეო შეღავათები და უპირატესობები შექმნა თავისი ან ახლობელი პირების მიმართ. ეს ეხება მემკვიდრეობის ორივე სახეს. ამასთან, სასამართლომ უნდა დაადასტუროს, რომ იგი მოქმედებდა **განზრახი ბრალით**. თუ პირი გაუფრთხილებელი მოქმედებით აღწევს აღნიშნულ შედეგებს, მას არ შეიძლება ჩამოერთვას მემკვიდრეობის უფლება და უღირს მემკვიდრედაც არ შეიძლება მისი აღიარება.

ნორმის მეორე ნახევარი კი მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ განზრახი დანაშაულის ან სხვა ამორალური საქციელის ჩადენას ეხება. ასეთ შემთხვევაში პირი შეიძლება უშუალოდ თავის სასარგებლოდ არ მოქმედებდეს, მაგრამ ხელს უშლიდეს მამკვიდრებელს თავისი უკანასკნელი სურვილის განხორციელებაში. ამიტომ უნდა ჩამოერთვას პირს მემკვიდრეობის უფლება. იგულისხმება, რომ მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა ხდება იმ მამკვიდრებელთან ურთიერთობაში, რომლის მიმართაც ჩაიდინა მან უღირსი საქციელი.

უღირს მემკვიდრეებს მიეკუთვნებიან აგრეთვე ის პირები, რომელთა შესახებ კანონი სპეციალურად ამახვილებს ყურადღებას. სამოქალაქო კოდექსის 1311-ე მუხლის მიხედვით, შვილების კანონით მემკვიდრეებად ვერ იქნებიან ის მშობლები, რომლებსაც სასამართლო წესით ჩამოერთვათ მშობლის უფლება და მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტისათვის არ არის აღდგენილი მათი უფლებები. კანონით მემკვიდრეები ვერ იქნებიან აგრეთვე ის პირები, რომლებიც ბოროტად თავს არიდებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას – ერჩინათ მამკვიდრებელი, თუ ეს გარემოება დადასტურებულია სასამართლო წესით.

საერთო წესის მიხედვით, შესაძლებელია მშობლის უფლების ჩამორჩმევა ერთი ან რამდენიმე შვილის მიმართ. ასევე შესაძლებელია მშობლის უფლება ჩამოერთვათ ერთ ან ორივე მშობელს. უღირს მემკვიდრედ უნდა ჩაითვალოს ის მშობელი, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება კონკრეტული შვილის მიმართ. ამიტომ, თუ

გარდაიცვალა ის შვილი, რომლის მიმართაც მშობლის უფლება არ ყოფილა ჩამორთმეული, ასეთ შემთხვევაში მშობელი კანონით მემკვიდრის უფლებას შეინარჩუნებს. სხვა შვილის მიმართ მემკვიდრეობა მას არ გააჩნია, რადგან უღირსი საქციელი ჩაიდინა და მშობლის უფლება ჩამოერთვა. ასეთ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდნენ არა მარტო მშობლები, არამედ სხვა პირებიც – და-ძმა, ბებია და პაპა და სხვ. თუ ისინი ადრე ბოროტად არიდებდნენ თავს მამკვიდრებლის რჩენის მოვალეობას. შეიძლება პირს მშობლის უფლება არ ჰქონდეს ჩამორთმეული, მაგრამ ისე იქცეოდეს შვილის მიმართ უღირსად – ბოროტად თავს არიდებდეს ალიმენტის გადახდას. არასრულწლოვანი და მატერიალური დახმარების საჭიროების მქონე პირის მიმართ რჩენის ვალდებულება შეიძლება სხვა პირებსაც ჰქონდეთ. ნებისმიერ მათგანს ჩამოერთმევა კანონით მემკვიდრეობის უფლება, თუ ამ მოვალეობას არ ასრულებდნენ. ასეთი აკრძალვა ვრცელდება არა მარტო შვილების შესაძლო მემკვიდრეობაზე, არამედ პირიქითაც – მშობლების, ბებიისა და პაპის, და-ძმების, შვილიშვილების და სხვათა კანონით მემკვიდრეობაზე. მაგალითად, ბებიის გარდაცვალებისას უნდა ჩამოერთვას კანონით მემკვიდრეობის უფლება იმ შვილიშვილს, რომელსაც კანონით ევალებოდა მისი რჩენის მოვალეობა, მაგრამ ბოროტად არიდებდა თავს ამ მოვალეობის შესრულებას, რაც დადასტურებულია სასამართლო წესით. ზემოაღნიშნულ შემთხვევებში ლაპარაკია მხოლოდ კანონით მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევაზე. რაც შეეხება ანდერძით მემკვიდრეობას, იგი მსგავს აკრძალვებს არ ითვალისწინებს. ანდერძი ხომ მხოლოდ მამკვიდრებლის ნებას გამოხატავს. მას კი შეუძლია აპატიოს და უანდერძოს ქონება მშობლის უფლებაჩამორთმეულ ღვიძლ მშობელს ან სხვა პირს, მაგალითად, შვილს ან შვილიშვილს, რომელიც ბოროტად არიდებდა თავს მის მიმართ ალიმენტის გადახდას. ასეთ შემთხვევებში ანდერძი სამართლებრივად უხარვეზოდ უნდა ჩაითვალოს.

მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა ყველა შემთხვევაში უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ. სარჩელი ასეთი უფლების ჩამორთმევის შესახებ სასამართლოში შეიძლება შეიტანოს მხოლოდ იმ პირმა, რომლისთვისაც მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა უღირსი მემკვიდრისათვის დადებით ქონებრივ შედეგთან იქნება დაკავშირებული. მაგალითად, თუ მამკვიდრებლის მეუღლე სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნება უღირს მემკვიდრედ და ჩამოერთმევა კანონით მემკვიდრეობის უფლება, მაშინ ქონება მემკვიდრეობით გადავა მამკვიდრებლის და-

ძმაზე, თუ სხვა მემკვიდრეები მას არ ჰყავს. აქედან გამომდინარე, დას ან ძმას უფლება აქვს სარჩელი შეიტანოს სასამართლოში და მოითხოვოს რძლისათვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა. თუკი მამკვიდრებელს მხოლოდ და-ძმა დარჩა მემკვიდრეებად, ერთ-ერთი მათგანის აღიარება უღირს მემკვიდრედ, შესაძლებლობას უქმნის მეორე მათგანს გაუორმაგდეს მემკვიდეობით მიღებული ქონება. ამიტომ მოსარჩელედ გამოსვლის უფლება ამ უკანასკნელს გააჩნია. სასამართლომ დეტალური ანალიზის საფუძველზე უნდა დაადგინოს ის გარემოება, რომელიც საფუძვლად დაედება მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას ან დაეყრდნოს სასამართლოს იმ განაჩენს, რომლითაც დასტურდება მამკვიდრებლის ან მისი მემკვიდრეების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული. საკმაო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება პირისათვის მემ-კვიდრეობის უფლების ჩამორთმევის შესახებ.

სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს უღირსი მემკვიდ-რისათვის პატიების შესაძლებლობას. კოდექსის 1313-ე მუხლში აღნიშნულია, რომ მამკვიდრებელი უფლებამოსილია აპატიოს უღირს მემკვიდრეს მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის გამომწვევი მო-ქმედების ჩადენა. პატიების შესახებ მამკვიდრებლის გადაწყვეტილება აშკარა ფორმით უნდა იყოს გამოხატული ანდერძში. ასეთ შემთხვევაში უღირს საქციელში მხილებული პირი ჩაითვლება კანონით მემკვიდრედ. ანდერძში პატიების შესახებ აღნიშვნას არავითარი კავშირი არა აქვს ანდერძით მემკვიდრეობასთან. ანდერძში მხოლოდ ის აღინიშნება, რომ პირს ეპატია უღირსი საქციელი და ამის საფუძველზე იგი აღიარებულ უნდა იქნეს სრულფასოვან კანონისმიერ მემკვიდრედ. ასეთი პირი ან-დერძისმიერი მემკვიდრეობით მიიღებს ქონებას თუ არა, ეს მამკვიდრე-ბლის ნებაზეა დამოკიდებული. ყველა შემთხვევაში იგი კანონისმიერ მემკვიდრედ დარჩება. პატიების შესახებ გადაწყვეტილების ანდერძში გამოხატვა საკითხის საბოლოო გადაწყვეტას ნიშნავს, რადგან პატიების უკან წაღება არ დაიშვება.

უღირსი მემკვიდრისათვის კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა კონკრეტულ მამკვიდრებელსა და მას შორის ურთიერ-თობის ფარგლებს არ სცილდება. აქედან გამომდინარე:

ა. მემკვიდრეობის უფლების დაკარგვა ხელს არ უშლის მისი ნათესავების მემკვიდრეობას წარმომადგენლობის უფლებით. მაგალი-თად, ძმისშვილი ბიძის კანონისმიერ მემკვიდრედ მაშინაც ჩაითვლება,

როცა ცოცხალი არ არის მისი მამა, თუმცა ცოცხალი რომ ყოფილიყო, ულირს მემკვიდრედ იქნებოდა ცნობილი და მემკვიდრეობის უფლება ჩამოერთმეოდა. ძმისშვილი მემკვიდრეობაში გარდაცვლილი მშობლის წარმომადგენლად გამოდის.

ბ. მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა ხელს არ უშლის უფლებაჩამორთმეულ პირს, იყოს სხვა მამკვიდრებლის მემკვიდრე. ერთი პირი შეიძლება რამდენიმე მამკვიდრებლის მემკვიდრე იყოს, თუ ერთთან ურთიერთობაში მას ჩამორთმეული აქვს მემკვიდრეობის უფლება, უნარჩუნდება იგი სხვების მიმართ. მაგალითად, თუ პირს ჩამოერთვა მშობლის მემკვიდრედ ყოფნის უფლება, ასეთ უფლებას იგი შეინარჩუნებს მეუღლის, შვილებისა და სხვათა მიმართ.

შესაძლებელია პირი ულირს მემკვიდრედ ცნობილ იქნეს მას შემდეგ, რაც მამკვიდრებლის ქონება უკვე მიიღო კანონით მემკვიდრეობის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში იგი ვალდებულია დააბრუნოს არა მარტო ქონება, არამედ მისგან მიღებული ყოველგვარი შემოსავალი და ნაყოფი. ასეთი ვალდებულება მას არ დაეკისრება მაშინ, თუ მამკვიდრებლისაგან ქონება მიიღო ანდერძით მემკვიდრეობის საფუძველზე. ჩვეულებრივ, ულირსი მემკვიდრისათვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა ხდება მამკვიდრებლის სიცოცხლეში ან მისი გარდაცვალებიდან მისი ქონების მემკვიდრეებზე გადაცემამდე. არ არის გამორიცხული მემკვიდრეობის მიღების შემდეგაც დადგეს მემკვიდრის კეთილსინდისიერების საკითხი. მაგრამ მემკვიდრის მდგომარეობა არ შეიძლება მუდმივად იყოს გაურკვეველი. სამოქალაქო კოდექსის 1317-ე მუხლის შესაბამისად, პირის ულირს მემკვიდრედ ცნობის შესახებ სარჩელი დაინტერესებული პირების მიერ სასამართლოში შეტანილ უნდა იქნეს **ხუთი წლის განმავლობაში** იმ მომენტიდან, როცა მემკვიდრე შეუდგა მემკვიდრეობით მიღებული ქონების ფლობას. ამ სპეციალური ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ არ შეიძლება მემკვიდრისათვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა.

პირის ულირს მემკვიდრედ ცნობისა და მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის შემთხვევაში მამკვიდრებლის ქონების ის ნაწილი, რომელიც მას უნდა რგებოდა, გადადის დანარჩენ მემკვიდრეებზე და მათ შორის თანასწორად ნაწილდება.

სამკვიდრო. მემკვიდრეობის სამართალში ყველაზე აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს სამკვიდრო. იგი არის იმ უფლება-მოვალეობათა ერთობლიობა, რომელიც მამკვიდრებლის გარდაცვალების

შემდეგ გადადის მემკვიდრეზე. თუ არ არის სამკვიდრო, არ იქნება მემკვიდრეობაც. უფრო კონკრეტულად – სამკვიდრო შეიცავს მამკვიდრებლის როგორც იმ ქონებრივ უფლებებს, ანუ სამკვიდრო აქტივს, ისე მოვალეობებს, ანუ სამკვიდრო პასივს, რომლებიც მამკვიდრებელს გააჩნდა სიკვდილის მომენტისათვის. სამკვიდრო აქტივისა და პასივის ერთობლიობა სამკვიდრო ქონებას, ანუ სამკვიდრო მასას წარმოადგენს. სამკვიდრო ქონების ფარგლების დასადგენად მიზანშეწონილია რამდენიმე თავისებურების გათვალისწინება:

ა) სამკვიდროში შედის მხოლოდ ის უფლება-მოვალეობები, რომელთა მატარებელი სიცოცხლეში იყო მამკვიდრებელი. თუ უფლება-მოვალეობა მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ წარმოიშობა, მათი მემკვიდრეობით გადასვლაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ასეთი უფლება-მოვალეობა მემკვიდრეობით კი არ გადადის, არამედ ახლად წარმოიშობა სულ სხვა საფუძვლით. თანაც ამისათვის გარდაცვალებასთან ერთად საჭიროა სხვა იურიდიული ფაქტებიც. მაგალითად, დაზღვეული პირის გარდაცვალების შემთხვევაში, პირადი დაზღვევის ხელშეკრულებაში თუ მითითებული არ არის სარგებლის მიმღებ სხვა პირზე, სადაზღვევო თანხა გადადის მემკვიდრეებზე. ასეთ შემთხვევაში სამემკვიდრეო უფლებამონაცვლეობას არა აქვს ადგილი, რადგან მემკვიდრემ მიიღო არა ის უფლება, რომელიც მამკვიდრებელს გააჩნდა სიცოცხლეში, არამედ ის, რომელიც მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ წარმოიშვა. ე.ი. მემკვიდრემ მიიღო ის უფლება, რომელიც თვით მამკვიდრებელს არ გააჩნდა.

ბ) ზოგიერთი უფლება-მოვალეობა არ შეიძლება მემკვიდრეობით გადავიდეს სხვა პირებზე თავისი ბუნების გამო ან კანონი არ მიიჩნევს შესაძლებლად მათ გადასვლას მემკვიდრეზე. ასეთია, მაგალითად, ავტორობის უფლება ან სამსახურში მიუღებელი ხელფასი, რომელიც მამკვიდრებლის ოჯახს უნდა გადაეცეს.

გ) მემკვიდრეობით შეიძლება გადავიდეს არა მარტო ქონებრივი ხასიათის უფლება-მოვალეობები, არამედ არაქონებრივი ხასიათისაც. მაგალითად, შესაძლებელია მემკვიდრეობით მიღებული აქციის საფუძველზე პირმა მიიღოს არა მარტო დივიდენდი, არამედ სააქციო საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლებაც[1].

---

[1] **ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე**, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი (მესამე გამოცემა) თბ., 2002. გვ. 310. **ეკატერინე შენგელია**, სააქციო საზოგადოების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები.თბ., 2002, გვ. 39.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამკვიდროში შედის მამკვიდრებლის სიცოცხლეში წარმოშობილი მისი კუთვნილი ქონებრივი უფლებები – საკუთრების უფლება, აღნაგობის უფლება, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე და სხვ. სამკვიდროში შედის ის ვალდებულებები, რომლებიც მამკვიდრებელს გააჩნდა და არ შეუსრულებია – გაუსტუმრებელი ვალი და სხვ. სამკვიდროში შედის აგრეთვე მამკვიდრებლის წილი საერთო საკუთრებაში. თუ საერთო საკუთრებიდან ამ ქონების ნატურით გამოყოფა შეუძლებელია, მაშინ სამკვიდროში მისი ღირებულება ჩაირთვება. ასეთი ქონება შეიძლება იყოს საცხოვრებელი სახლის ნაწილი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პარტნიორის წილი და სხვ. კანონით მემკვიდრეობის დროს სამკვიდრო ქონება რეალურად უნდა არსებობდეს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი სამკვიდრო აქტივის სახით უნდა იყოს აუცილებლად წარმოდგენილი. შეიძლება მამკვიდრებელს ქონება საერთოდ არ გააჩნდა გარდაცვალების დროს და მხოლოდ ვალები დარჩა. ასეთ შემთხვევაში სამკვიდრო მასა მაინც სახეზეა სამკვიდრო პასივის სახით. ანდერძით მემკვიდრეობის დროს კი მამკვიდრებელს შეუძლია ანდერძში გაითვალისწინოს ისეთი ქონება, რომელიც ანდერძის შედგენის დროს ჯერ კიდევ არ გააჩნდა. აქედან გამომდინარე, თუ მამკვიდრებელმა ანდერძის შედგენის დროს მიუთითა ავტომანქანაზე, რომლის შეძენასაც იგი მომავალში აპირებდა, სამკვიდრო მასაში სხვა ქონებასთან ერთად შევა ანდერძის შედგენის შემდეგ შეძენილი ავტომანქანაც. მსგავს შემთხვევებში არ შეიძლება სადავო გახდეს ანდერძი.

ყველა სახის ქონებრივი უფლება-მოვალეობა მემკვიდრეობით ურთიერთობებში ერთნაირად არ მონაწილეობს. სამკვიდროში ზოგიერთი მათგანი საერთოდ არ შედის. სამოქალაქო კოდექსი ზუსტად განსაზღვრავს უფლება-მოვალეობათა იმ სახეებს, რომლებიც არ შედის სამკვიდრო მასაში. უპირველეს ყოვლისა, მათ მიეკუთვნება **პირადი ხასიათის ქონებრივი უფლება-მოვალეობები.** ისინი მამკვიდრებლის პიროვნებასთან ისე ღრმად არის დაკავშირებული, რომ სხვაზე მათი გადასვლა წარმოუდგენელიცაა. ასეთი უფლება-მოვალეობები მამკვიდრებელთან ერთად კვდება. მაგალითად, პენსიის დანიშვნის უფლება, საალიმენტო უფლება-მოვალეობები და სხვა, უაღრესად პირადულია და მამკვიდრებლისაგან განუყოფადია. **პირადი უფლებები და მოვალეობები შეიძლება არაქონებრივი ხასიათისაც იყოს.** ისინი, მართალია, არ შედის სამკვიდრო მასაში, მაგრამ ეს სრულებითაც არ

ნიშნავს იმას, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ დაუცველი რჩება. პირიქით, მათი დაცვა სახელმწიფოებრივი ინტერესების სფეროშიც შედის. გარდა ამისა, კანონი კონკრეტულად მიუთითებს, რომ მამკვიდრებლის არაქონებრივი უფლებები, რომლებიც სამკვიდროში არ შედის, შეიძლება განახორციელონ და დაიცვან მემკვიდრეებმა. ასეთ უფლებებს მიეკუთვნება, მაგალითად, ავტორობის უფლება, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება, პატივისა და ღირსების უფლება და სხვ. მამკვიდრებლის პირადი არაქონებრივი უფლებების **განხორციელება** მემკვიდრეებს შეუძლიათ კანონით განსაზღვრული დროის მანძილზე (ნაწარმოების გამოცემა საავტორო უფლების მოქმედების ვადით და სხვ.), ხოლო მათ **დაცვაზე** ხანდაზმულობის ვადა არ მოქმედებს. მამკვიდრებლის პირადი არაქონებრივი უფლებების განხორციელება და დაცვა შეიძლება დაკავშირებულ იყოს ქონებრივი ხასიათის შედეგებთან (ჰონორარის მიღება, მორალური ზიანისათვის ანაზღაურების მიღება და სხვ.).

სამოქალაქო კოდექსის 1332-ე მუხლის მიხედვით, სამკვიდროში არ შედის და მემკვიდრეთა შორის არ გაიყოფა საგვარეულო წიგნები ან ჩანაწერები, ოჯახური მატიანე, სულის მოსახსენებელი და სხვა საკულტო საგნები და საფლავი. ეს საგნები მამკვიდრებლის უფლებამონაცვლეს გადაეცემა არა მემკვიდრეობის საფუძველზე, არამედ საკუთრების უფლებით, დამკვიდრებული ჩვეულების მიხედვით. მაგალითად, ჩვეულებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს ასეთი ქონების გადაცემა ოჯახის იმ წევრისათვის, რომელიც მამკვიდრებელთან ცხოვრობდა მის გარდაცვალებამდე, უფროსი ან უმცროსი შვილისათვის, ან მეუღლისათვის და ა.შ. არ უნდა მოხდეს მათი დანაწილება ცალკეულ მემკვიდრეებს შორის, თუ ამით ისინი თავის დანიშნულებას დაკარგავს. აღნიშნული ქონების მიღებაზე პრეტენზია შეუძლია ჰქონდეს იმ მემკვიდრესაც, რომელმაც უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე.

განსხვავებული რეჟიმია დადგენილი იმ დოკუმენტების მიმართ, რომლებიც ეხება მამკვიდრებლის პიროვნებას (დაჯილდოება), მის ოჯახს (სახელმწიფო კმაყოფაზე აყვანა) ან მთელ სამკვიდროს (გადასახადისაგან გათავისუფლება). ისინი რჩება საერთო ქონებად და არ შეიძლება ამა თუ იმ მემკვიდრისათვის მათი მიკუთვნება. შესაძლებელია, ასეთი დოკუმენტები შესანახად რომელიმე მემკვიდრეს გადაეცეს, მაგრამ მათი გამოყენება უნდა მოხდეს ყველა მემკვიდრის ინტერესების გათვალისწინებით.

სამკვიდროში არ შედის აგრეთვე ისეთი უძრავი ქონება, რომლითაც მამკვიდრებელმა ანდერძის შედგენის შემდეგ გაზარდა ნაანდერძები. ამ შემთხვევაზე კანონი ყურადღებას იმიტომ ამახვილებს, რომ პრაქტიკაში სადავო ხდება იმ ქონების იურიდიული ბედი, რომელიც ნაანდერძებ ქონებას ახლავს და ფაქტობრივად მის გაგრძელებას წარმოადგენს. მაგალითად, თუ ანდერძში მითითებულია მამკვიდრებლის კუთვნილ ერთ ჰექტარ მიწაზე, ბუნებრივია, მის მომიჯნავედ ანდერძის შედგენის შემდეგ შეძენილ მეორე ჰექტარზე არ უნდა გავრცელდეს სამკვიდრო ქონების სტატუსი. ასეთი ქონებას სამკვიდროში მხოლოდ მაშინ ჩაირთვება, თუ ამის თაობაზე მამკვიდრებლის ახალი განკარგულება არსებობს.

სამკვიდროს გახსნა. მემკვიდრეობითი სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის საწყის ეტაპს სამკვიდროს გახსნა წარმოადგენს. იგი ისეთი იურიდიული ფაქტია, რომელთანაც დაკავშირებულია მამკვიდრებლის ქონებრივ უფლებამოსილებათა შეწყვეტა და სხვა პირებზე მათი გადასვლა. ასეთი ფაქტები შეიძლება სხვადასხვა იყოს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ ორ ფაქტს იცნობს. ესენია: პირის გარდაცვალება და სასამართლოს მიერ პირის გარდაცვლილად გამოცხადება. სხვა სახის იურიდიული ფაქტები, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს პირის ქონებრივი უფლებების შეზღუდვას (ქონებრივი უფლების ჩამორთმევა, ბერად აღკვეცა და სხვ.), მემკვიდრეობით ურთიერთობებს არ წარმოშობს, თუმცა სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში ისინი სამკვიდროს გახსნის საფუძვლად მიიჩნეოდა[1].

პირის გარდაცვალება სამკვიდროს გახსნის ყველაზე გავრცელებულ და ლოგიკურ საფუძველს წარმოადგენს. სიკვდილის მომენტი განისაზღვრება იმ მედიკო-ბიოლოგიური მონაცემების ანალიზის საფუძველზე, რამაც გამოიწვია ადამიანის ორგანიზმის ფუნქციონირების სრულად შეწყვეტა. თუ ადამიანის სიცოცხლისუნარიანობა დროებით შენარჩუნებულია სხვადასხვა ხელოვნური აპარატის (სუნთქვის, სისხლის მიმოქცევის და სხვ.) გამოყენებით, სამკვიდრო გახსნილად არ ითვლება. პირის გარდაცვალება დადასტურებულ უნდა იქნეს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ გაცემული მოწმობით.

სამართლებრივი შედეგების მიხედვით, პირის გარდაცვალებასთან გათანაბრებულია სასამართლოს მიერ პირის გარდაცვლილად

---

[1] **Шершеневич Г.Ф.**, Учебник русского гражданского прав. М. 1915. м. 2, с. 380.

გამოცხადება, აგრეთვე პირის სიკვდილის ფაქტის დადგენა. მართალია, პირის გარდაცვლილად გამოცხადება ობიექტური ჭეშმარიტების ამსახველად არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს, იგი მაინც სიკვდილის პრეზუმფციას ემყარება და სამართლებრივად უთანაბრდება გარდაცვალებას. ეს იმიტომ ხდება, რომ დროის განსაზღვრულ მონაკვეთში არ მოიპოვება ცნობები პირის ადგილსამყოფელის შესახებ და მისი ქონების სტატუსი არ შეიძლება დიდი ხნის განმავლობაში გაურკვეველი იყოს. იგივე შეიძლება ითქვას სიკვდილის დადგენის შემთხვევაშიც. სასამართლოს გადაწყვეტილება რეგისტრირებულ უნდა იქნეს შესაბამის ორგანოში. რეგისტრაციას არა მარტო იურიდიული ფაქტის დამადასტურებელი სამართლებრივი მნიშვნელობა გააჩნია, არამედ სამკვიდროს გახსნის მომენტის განსაზღვრის საშუალებასაც წარმოადგენს. ამიტომ სამკვიდროს გახსნის ზუსტი ფიქსაცია მნიშვნელოვან სამართლებრივ შედეგებთანაა დაკავშირებული. კერძოდ, სამკვიდროს გახსნის დროის მიხედვით განისაზღვრება მემკვიდრეთა რაოდენობა, სამკვიდროს მიღების, პრეტენზიების წაყენების ვადები და სხვ. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ სამოქალაქო კოდექსი სპეციალურად ამახვილებს ყურადღებას სამკვიდროს გახსნის დროსა და ადგილზე. 1320-ე მუხლის მიხედვით, **სამკვიდროს გახსნის დროდ ითვლება მამკვიდრებლის გარდაცვალების ან პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღე.** სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ გაცემულ გარდაცვალების მოწმობაში, თუ მითითებულია მხოლოდ გარდაცვალების თვე ან წელი, მაშინ სამკვიდროს გახსნის დღედ ითვლება მითითებული თვის ან წლის ბოლო დღე[1].

სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის მიიჩნევა, რომ მემკვიდრე ცოცხალია და ის უნდა იქნეს აღიარებული სამკვიდროს დამტოვებლის უფლებამონაცვლედ. მაგრამ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა ურთიერთმემკვიდრეები, მაგალითად, მეუღლეები, მშობლები და შვილები ერთდროულად იღუპებიან ექსტრემალურ სიტუაციაში – სატრანსპორტო ან ეკოლოგიური კატასტროფის დროს. შესაძლებელია, მათი გარდაცვალება, ერთსა და იმავე მიზეზთან არ იყოს დაკავშირებული. ასეთ შემთხვევებში მათ შორის მემკვიდრეობითი ურთიერთობები არ წარმოიშობა და სამკვიდრო გაიხსნება თითოეულის შემდეგ

[1] **ზურაბ ახვლედიანი**, მემკვიდრეობის სამართალი. თბ., 1997, გვ. 10.

დამოუკიდებლად. მაგალითად, თუ ქმარი გარდაიცვალა დილით, ხოლო ცოლი იმავე დღის მეორე ნახევარში, ეს უკანასკნელი არ შეიძლება ქმრის მემკვიდრედ იქნეს აღიარებული. თითოეულ მათგანთან დაკავშირებით სამკვიდრო იხსნება ცალ-ცალკე, რადგან ისინი ითვლებიან **კომორიენტებად**, ანუ ერთდროულად გარდაცვლილებად. მიუხედავად იმისა, რომ გარდაცვალება მოხდა 10 ან 12 საათის სხვაობით. კომორიენტებად არ ჩაითვლებიან ურთიერთმემკვიდრეები, რომელთაგანაც ერთი გარდაიცვალა შუაღამის დადგომამდე და მეორე კი – შუაღამის შემდეგ, რადგანაც ისინი სხვადასხვა დღეს გარდაცვლილებად ითვლებიან, მიუხედავად იმისა, რომ მათ გარდაცვალებას შორის შეიძლება ერთი საათიც კი არ იყოს სხვაობა; პირველ დღეს გარდაცვლილი ჩაითვლება მამკვიდრებლად, ხოლო მეორე დღეს გარდაცვლილი კი – მემკვიდრედ. ამ შემთხვევაში სამკვიდროდან მის წილ ქონებაზე მემკვიდრეობის უფლებას შეიძენენ გარდაცვლილი მემკვიდრის მემკვიდრეები. კომორიენტებად უნდა ჩაითვალონ პირები იმ შემთხვევებშიც, როცა მათი გარდაცვალების თანმიმდევრობა სადავოა. ამ დროს ყოველგვარი ვარაუდი უნდა გამოირიცხოს. მართალია, კომორიენტებად აღიარების აღნიშნული წესი გარდაცვალების „ერთდროულობას" ზუსტად ვერ გამოხატავს, მაგრამ იმის აუცილებლობას უარყოფს, რომ მომაკვდავ ადამიანს სიცოცხლის უკანასკნელ საათებსა და წუთებს უთვლიდნენ. საკითხის ასეთი გამარტივებული წესით გადაწყვეტა სამართლებრივად სწორად უნდა ჩაითვალოს.

ამ პოზიციის სასარგებლოდ მეტყველებს სამოქალაქო კოდექსის 1322-ე მუხლის შინაარსი, რომლის მიხედვითაც ერთ დღეს გარდაცვლილად ჩაითვლებიან და სამკვიდრო თითოეულის შემდეგ გახსნილად მიიჩნევა მაშინაც, როცა მათ სასამართლო გარდაცვლილად გამოაცხადებს ერთსა და იმავე გარემოებაში დაკარგვის შედეგად. ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს მათი გარდაცვლილად გამოცხადების ან ასეთი გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დროს. მთავარია იმის დადასტურება, რომ ისინი ერთსა და იმავე გარემოებაში დაიკარგნენ უგზო-უკვლოდ. მაგალითად, თუ ცუნამის დროს ზღვის სანაპიროზე მყოფი ცოლ-ქმარი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ისინი ერთ დღეს გარდაცვლილად მიიჩნევიან, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია მათი გარდაცვალების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება სხვადასხვა დროს, ცალ-ცალკეა მიღებული და მათი ძალაში შესვლის დროც სხვადასხვაა.

გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდება სამკვიდროს გახსნა კომლში. უპირველეს ყოვლისა, ეს განპირობებულია კომლში საკუთრების რამდენიმე რეჟიმის არსებობით[1]. კომლის თითოეულ წევრს შეიძლება ჰქონდეს ინდივიდუალური საკუთრება, რომელიც გამიჯნულია კომლის საერთო საკუთრებისაგან. ასეთია, მაგალითად, კომლის წევრის დანაზოგი, ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონება, პირადი მოხმარების ნივთები და სხვ. კომლის წევრთა შორის მყოფ მეუღლეებს შეიძლება ჰქონდეთ თანაზიარი საკუთრება, რომელიც მათი ერთად ცხოვრების პერიოდშია შეძენილი, მაგალითად, ტელევიზორი, ავტომანქანა და სხვ. მეუღლეთა თანაზიარი საკუთრებაც გამიჯნულია კომლის საერთო საკუთრებიდან. კომლის წევრთა ინდივიდუალური საკუთრებისა და კომლის წევრ მეუღლეთა თანაზიარი საკუთრების გარდა სხვა ქონება მთელი კომლის ყველა წევრის, მათ შორის არასრულწლოვანისაც, საერთო თანასაკუთრებას წარმოადგენს. ასეთ ქონებას მიეკუთვნება, მაგალითად, საკომლო მეურნეობა – მიწის ნაკვეთი, საცხოვრებელი სახლი, მანქანა-იარაღები და სხვა მოწყობილობა, რაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველს წარმოადგენს. ასეთ ქონებაზე კომლის ყველა წევრს თანაბარი უფლება გააჩნია. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომლის წევრის გარდაცვალებისას, ან გარდაცვლილად გამოცხადებისას სამკვიდრო იხსნება მისი ინდივიდუალური ქონებისა და მისი წილის მიმართ – მეუღლეთა თანაზიარ საკუთრებაში. სამკვიდრო მასაში არ შედის მისი წილი მთელი კომლის საერთო საკუთრებაში. ასეთი ქონება მემკვიდრეობით გადაეცემა მის მეუღლეს, შვილებს, მშობლებს და სხვ. თუ მემკვიდრეები არა ჰყავს, მაშინ მისი ქონება კომლის საერთო საკუთრებაში გადავა. ასეთ შემთხვევაში სამკვიდროს გახსნა კომლში არ ხდება. კომლის სხვა წევრების მიმართაც იგივე წესი მოქმედებს. კომლის ცოცხალი წევრების საერთო საკუთრება ხდება თითოეული გარდაცვლილი წევრის წილი საერთო საკუთრებაში. ბოლოს კი, როცა ერთი წევრი დარჩება ცოცხალი, იგი ავტომატურად მთელი ამ ქონების მესაკუთრე ხდება. კომლის ბოლო წევრის გარდაცვალება ედება საფუძვლად კომლში სამკვიდროს გახსნას. კომლის საკუთრება მემკვიდრეობით გადადის სამკვიდროს დამტოვებლის უფლებამონაცვლეებზე საერთო წესის მიხედვით. კომლის ბოლო წევრს შეუძლია ანდერძითაც გადასცეს

[1] დაწვრილებით იხ. თამარ ჩიტოშვილი, კომლი ქართულ სამართალში. თბ., 2004

ქონება სხვას. კომლის სხვა წევრის მიერ შედგენილი ანდერძი კომლის საერთო ქონების განკარგვის თაობაზე, მისი გარდაცვალების შემთხვევაში, არ იწვევს სამკვიდროს გახსნას, რადგან კომლის ბოლო წევრი კვლავაც ცოცხალია. მოანდერძეს, ამ შემთხვევაში, შეუძლია მხოლოდ ინდივიდუალური საკუთრებისა და მეუღლეთა თანაზიარ საკუთრებაში მისი წილის მემკვიდრეობით გადაცემა. კომლის საერთო საკუთრების სამკვიდრო მასაში ანდერძით ჩართვა კი ბათილად უნდა იქნეს მიჩნეული. მხოლოდ კომლის უკანასკნელი წევრის ანდერძია ნამდვილი და სამემკვიდრეო ურთიერთობათა წარმოშობის საფუძველი.

დიდი სამართლებრივი მნიშვნელობა გააჩნია **სამკვიდროს გახსნის ადგილის განსაზღვრას.** მასთან არის დაკავშირებული კრედიტორების მიერ პრეტენზიების წარდგენის, სამკვიდრო მოწმობის გაცემის, სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის საკითხები და სხვა. სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილია, რომ **სამკვიდროს გახსნის ადგილად ითვლება მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილი, ხოლო, თუ იგი ცნობილი არ არის, მაშინ სამკვიდრო ქონების ადგილსამყოფელი.** ჩვეულებრივ, პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ის ქალაქი, სოფელი ან დასახლებული პუნქტი, სადაც იგი ცხოვრობს მუდმივად და უპირატესად. საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ქვეყანაში ლტოლვილთა და იძულებით გადასახლებულთა სიმრავლე. საცხოვრებელი ადგილის შეცვლა შეიძლება ნებაყოფლობითაც მოხდეს. ახალ ადგილზე პირის რეგისტრაცია სამკვიდროს უპრობლემოდ გახსნის საფუძველს წარმოადგენს. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის, რომ პირის საცხოვრებელი ადგილი და გარდაცვალების ადგილი შეიძლება ერთმანეთს არ დაემთხვეს; მაგალითად, თუ იგი გარდაიცვალა მივლინების, ნათესავთან ყოფნის დროს ან სხვა, დროებით სამყოფელ ადგილზე. ამიტომ სამკვიდროს გახსნის ადგილად უნდა ჩაითვალოს არა გარდაცვალების, არამედ საცხოვრებელი ადგილი. შესაძლებელია პირი ახალ საცხოვრებელ ადგილზე გადასვლის პროცესში გარდაიცვალა და ამიტომ დაინტერესებული პირებისათვის უცნობია მისი საცხოვრებელი ადგილი. ეს გარემოება ხელის შემშლელად არ უნდა ჩაითვალოს სამკვიდროს გახსნისათვის. ასეთ შემთხვევაში სამკვიდრო ქონების ადგილსამყოფელს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. თუ სამკვიდრო სხვადასხვა ადგილას იმყოფება, მაშინ სამკვიდროს გახსნის ადგილად მიიჩნევა უძრავი ქონების ან მისი ფასეული ნაწილის ადგილ-

სამყოფელი. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ უძრავი ქონება სახეზე არ არის, მაშინ საკითხი გადაწყდება მოძრავი ქონების ან მისი ძირითადი ნაწილის ადგილსამყოფელის მიხედვით. ქონების ადგილსამყოფელის განსაზღვრის დროს უპირატესობა უძრავ ქონებას ან მის ფასეულ ნაწილს ენიჭება. მაგალითად, თუ პირს კაპიტალური საცხოვრებელი სახლი გააჩნდა თბილისში, ხოლო საბაღე მიწის ნაკვეთი საგარეჯოში, სამკვიდროს გახსნის ადგილად თბილისი ჩაითვლება. მხედველობაში არ მიიღება ის, რომ შეიძლება საბაღე ნაკვეთის ავტოფარეხში მას თავის სახლზე უფრო ძვირად ღირებული უცხოური ავტომანქანა დარჩა. ე.ი. სამკვიდრო იხსნება უძრავი ქონების ფასეული ნაწილის და არა მოძრავი, თუნდაც უძრავზე უფრო მეტი ღირებულების ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით.

შესაძლებელია, საქართველოს მოქალაქე სასწავლებლად, მივლინებით ან დროებით სამუშაოდ ყოფნის დროს საზღვარგარეთ გარდაიცვალოს. ასეთ შემთხვევაში სამკვიდრო გაიხსნება არა იმ ქვეყანაში, სადაც იგი გარდაიცვალა, არამედ საქართველოში, საზღვარგარეთ გამგზავრებამდე მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ საქართველოში შეუძლებელია საზღვარგარეთ დროებით წასული პირის საცხოვრებელი ადგილის დადგენა და მისი უძრავი ქონების ადგილსამყოფელიც უცნობია, მაშინ მის უშუალო მფლობელობაში არსებულ მოძრავ ქონებაზე სამკვიდროს გახსნა მოხდება საზღვარგარეთ. ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა სამოქალაქო კოდექსის 1325-ე მუხლის ბოლო ნაწილი, რომელშიც ლაპარაკია სამკვიდროს ან მისი ძირითადი ნაწილის ადგილსამყოფელის მიხედვით სამკვიდროს გახსნაზე.

საზღვარგარეთ მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ სამკვიდროს გახსნის ადგილად ითვლება ის ქვეყანა, სადაც იგი მუდმივად ცხოვრობდა.

საზღვარგარეთ მცხოვრებ პირთა მემკვიდრეებად შეიძლება მიჩნეულ იქნენ როგორც უცხოელები, ისე საქართველოს მოქალაქეები. მათი მემკვიდრეებად გამოცხადება და მათზე სამკვიდრო ქონების გადაცემასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება მოხდება შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობით.

12.3. მემკვიდრეობის სამართლის თავისებურებანი

მემკვიდრეობის სამართლის ცნებაში, უპირველს ყოვლისა, მოიაზრება ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების გადასვლა სამკვიდროს დამტოვებლის უფლებამონაცვლეებზე. არ შეიძლება მათი შემოფარგვლა მხოლოდ ქონებრივი უფლება-მოვალეობებით და მით უმეტეს – ქონებით. ქონებრივის გარდა სამკვიდროში შედის ზოგიერთი არაქონებრივი უფლება-მოვალეობები. ასევე, ქონებასთან ერთად, მემკვიდრეებზე გადადის სამკვიდროს დამტოვებლის ვალების გასტუმრების ვალდებულებაც. სამემკვიდრეო პასივი დატოვებული ქონების ღირებულების ფარგლებში წარმოადგენს სავალო ტვირთს. აქედან გამომდინარე, მემკვიდრეობის ურთიერთობანი ფართო სპექტრს წარმოადგენს და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მხოლოდ ქონებრივი ან სანივთო ურთიერთობებით მათი ამოწურვა. ამიტომ არასწორია იმ ავტორთა პოზიცია (მოსკოვის უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის წევრები), რომლებიც თვლიან, რომ მემკვიდრეობის სამართალი სანივთო სამართლის ან კერძო საკუთრების სამართლის ლოგიკური გაგრძელება და მისი ნაწილია, რომ სამოქალაქო სამართლის სისტემაში მას დამოუკიდებელი ადგილი არ გააჩნია[1]. არადა, რა ფართოდაც არ უნდა იქნეს წარმოდგენილი ქონებრივ უფლება-მოვალეობათა შინაარსი, იგი სრულყოფილად ვერ ასახავს სამემკვიდრეო ურთიერთობათა თავისებურებებს. მასში მკვეთრად არ არის გამოხატული სამკვიდროს დამტოვებლის არაქონებრივი უფლებების სხვაზე გადასვლის შესაძლებლობა და, მით უმეტეს, მისი ვალის გასტუმრების ვალდებულება. აღნიშნული პოზიცია ნაწილობრივ ეყრდნობა კონსტიტუციურ დებულებას იმის შესახებ, რომ „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია". აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ მხოლოდ საკუთრების მემკვიდრეობით გადაცემაა შესაძლებელი. ამ ლოგიკით მამკვიდრებლის ვალების გადახდის ვალდებულებების მემკვიდრისათვის დაკისრების გამო შეიძლებოდა მემკვიდრეობის სამართლის ვალდებულებითი სამართლის შემადგენელ ნაწილად აღიარება. მაგრამ მემკვიდრეობითი ურთიერთობები ასეთ შემთხვევაშიც არასრულად

[1] Гражданское право, в 2-х томах, ответственный редактор Е. А. Суханов. том I, М. 1993

იქნებოდა წარმოდგენილი. ამიტომ მემკვიდრეობის სამართალი სამოქალაქო სამართლის არა რომელიმე ინსტიტუტთან უნდა იყოს დაკავშირებული, არამედ მას სრულიად დამოუკიდებელი ადგილი უნდა გააჩნდეს. ეს ადგილი სამოქალაქო სამართლის სისტემის ბოლოს უნდა იყოს მოთავსებული, რადგან მემკვიდრეობის სამართალი მოიცავს არა მარტო ვალდებულებითი სამართლის, არამედ ინტელექტუალური საკუთრებისა და საოჯახო სამართლის პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებს. მასში სამეწარმეო, შრომის სამართლისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ელემენტებიცაა ჩართული. აქედან გამომდინარე, მემკვიდრეობის სამართალი სამოქალაქო სამართლისა და კერძო სამართლის სხვა დარგების დამაკავშირებელ რგოლად უნდა იქნეს მიჩნეული.

მემკვიდრეობის სამართლის, როგორც სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვედანაყოფის დამოუკიდებელ ხასიათზე მეტყველებს მისი ზოგიერთი პრინციპის სპეციფიკა. სწორედ ასეთ პრინციპებში აისახება მემკვიდრეობის სამართლის შინაარსის განმსაზღვრელი ნიშნები. მათ შორის აღსანიშნავია: მემკვიდრეობითი უფლებამონაცვლეობის უნივერსალურობის პრინციპი, მამკვიდრებლის ნების თავისუფლების პრინციპი, მემკვიდრეთა უფლებებისა და, საერთოდ, მემკვიდრეობის არამართლზომიერი ზემოქმედებისაგან დაცვის პრინციპი და სხვ.

მემკვიდრეობითი უფლებამონაცვლეობის უნივერსალურობის პრინციპი გამოხატულებას იმაში პოულობს, რომ მამკვიდრებლისა და მემკვიდრის ნებას შორის რაიმე განმაპირობებელი რგოლი არ უნდა არსებობდეს, რომ მემკვიდრე მამკვიდრებლის იურიდიული პიროვნების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს მთელი სისრულით. აქ არ იგულისხმება ქმედუუნარო მემკვიდრე, რომლის ნაცვლად მისი კანონიერი წარმომადგენელი გამოდის სამოქალაქო ურთიერთობებში. სხვა შემთხვევებში მემკვიდრე იკავებს ყველა იმ ქონებრივ უფლება-მოვალეობებს, რომლებიც მამკვიდრებელს გააჩნდა სიცოცხლის ბოლო პერიოდში, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მემკვიდრეობა მთლიანად გადადის მამკვიდრებლის უფლებამონაცვლეზე, მიუხედავად იმისა, იცის თუ არა მან რა შედის სამკვიდრო მასაში. დათქმები მემკვიდრეობის მიღებისას დაუშვებელია. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მემკვიდრეობითი უფლებამონაცვლეობა ატარებს უნივერსალურ და არა სინგულარულ ხასიათს, როცა პირი თავისი ქონების გარკვეულ ნაწილს სიკვდილის შემთხვევაში განკარგულებით გადასცემს ამა თუ

იმ პირს, რომელიც არ ითვლება მემკვიდრეობით უფლებამონაცვლედ.

მამკვიდრებლის ნების თავისუფლების პრინციპი უშუალოდ გამომდინარეობს სამოქალაქო სამართალში გავრცელებული დისპოზიციურობისა და ავტონომიურობის პრინციპიდან და იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავის შეხედულებისამებრ განკარგოს ქონება მემკვიდრეთა შორის ან უარი თქვას მის განკარგვაზე. მამკვიდრებელს შეუძლია თავისი ქონება ანდერძით დაუტოვოს სამოქალაქო სამართლის ნებისმიერ სუბიექტს, ჩამოართვას მემკვიდრეობა ცალკეულ პირებს, გასცეს საანდერძო განკარგულებები, შეცვალოს ან გააუქმოს ანდერძი და ა.შ. არავის არა აქვს უფლება ხელი შეუშალოს მას ამ უფლებამოსილებათა განხორციელების პროცესში. ანდერძის შედგენის თავისუფლება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს. აქ იგულისხმება რომაული სამართლით სახელდებული, ე.წ. **აუცილებელი მემკვიდრეები**, რომელთაც მემკვიდრეობაში სავალდებულო წილის უფლება გააჩნიათ.

ასეთი შეზღუდვა მემკვიდრეთა ინტერესების დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარეობს. სამკვიდრო ქონებაში განსაზღვრული წილის აუცილებელი მემკვიდრეებისათვის დაჯავშნა ფაქტობრივად ნიშნავს თავისი ახლობლებისათვის საალიმენტო ვალდებულების სიკვდილის შემდეგ გაგრძელების გარანტიას. მსგავსი შეზღუდვის მიზანშეწონილობას ეჭვქვეშ აყენებს ზოგიერთი ავტორი[1].

მემკვიდრეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა, უპირველეს ყოვლისა, სამკვიდროს მიღების არჩევანის პრინციპში გამოიხატება. მემკვიდრეს შეუძლია მიიღოს სამკვიდრო ან უარი თქვას მის მიღებაზე. უარი შეიძლება განპირობებული იყოს როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური გარემოებებით. ყველა შემთხვევაში მემკვიდრეს თავისი ნების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. როგორც მამკვიდრებლის, ისე მემკვიდრის შინაგანი ნების დეფექტური გამოვლინება შეიძლება გაბათილდეს.

მემკვიდრეობის სამართალში განსაზღვრული მნიშვნელობა **დაცვითი ხასიათის სხვა პრინციპებსაც** ენიჭება. ისინი მთელი მემკვიდრეობითი ურთიერთობების შინაარს ეხება. მაგალითად, უღირსი მემკვიდრისათვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა, ანდერძის

1 Гражданское право. Под редакции А. П. Сергеева, Ю. К. Толстого, Т. 3. М. 2001, с. 594.

საიდუმლოების დაცვა, მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესების აუცილებელი გათვალისწინება და სხვ. ნათლად მიუთითებს სამემკვიდრეო ურთიერთობის სფეროში სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმების დიდ დაცვით მნიშვნელობაზე.

მემკვიდრეობითი ურთიერთობები მრავალგვარია. მათი არსებობა დროის განსაზღვრულ მომენტთან არ არის დაკავშირებული. სამემკვიდრეოა ისეთი ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშობა არა მარტო სამკვიდროს გახსნის მომენტში, არამედ მანამდეც, აგრეთვე შემდეგაც – მემკვიდრეობის უფლების გაფორმებისა და მისი განხორციელების პროცესში. ამ ურთიერთობათა უმნიშვნელოვანესი ნაწილი რეგულირდება სამართლებრივი ნორმებით. ზნეობრივი ნორმები კი უმნიშველო ნაწილს აწესრიგებს. სამართლებრივი ნორმებით რეგულირების შემდეგ მემკვიდრეობითი ურთიერთობები იძენენ სამართლებრივ ურთიერთობათა ფორმას. შინაარსი კი იგივე რჩება. სამართლებრივი რეგულირება არ წყვეტს მემკვიდრეობის საზოგადოებრივ ურთიერთობას. მხოლოდ ფორმას უცვლის მას. მემკვიდრეობითი ურთიერთობები კონკრეტული უფლებებითა და მოვალეობებით შეიმოსება და განისაზღვრება მათი განხორციელების წესი. სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომლის საფუძველზეც რეგულირდება მემკვიდრეობითი ურთიერთობა, წარმოადგენს **მემკვიდრეობის კანონმდებლობას**. იგი სამოქალაქო კანონმდებლობის ნაწილია და მემკვიდრეობის სამართლის საფუძველი. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლში მოცემულია მემკვიდრეობის კანონმდებლობის ძირითადი დებულებები. კონსტიტუციით აღიარებული და უზრუნველყოფილია მემკვიდრეობის უფლება, დაუშვებელია საკუთრების მემკვიდრეობით მიღების უფლების გაუქმება, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია მემკვიდრეობის უფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. ეს დებულებები უდევს საფუძვლად სამოქალაქო კოდექსის მეექვსე წიგნის – მემკვიდრეობის სამართალი – კონკრეტულ სამართლებრივ ნორმებს. მემკვიდრეობის კანონმდებლობა მოიცავს სხვა დარგების ნორმებსაც. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მემკვიდრეობის კანონმდებლობა კომპლექსური ხასიათისაა. მასში უმნიშვნელოვანესი ნაწილი სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმებია. ამასთან, მემკვიდრეობითი ურთიერთობების განსაზღვრული ნაწილი რეგულირდება მიწის, საფინანსო, ადმინისტრაციული, პროცესუალური და სხვა სახის საკანონმდებლო ნორმების დახმარებით. მემკვიდრეობის

კანონმდებლობის მოქმედების სფერო შედარებით ფართოა, ვიდრე მემკვიდრეობის წმინდა სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმებისა. სხვა დარგების ნორმების გამოყენების აუცილებლობა მემკვიდრეობის კანონმდებლობას ანიჭებს კომპლექსურ ხასიათს, რაც, თავის მხრივ, მემკვიდრეობით ურთიერთობათა ყველა დეტალის სამართლებრივი რეგულირების უზრუნველყოფის საფუძველია.

როდესაც ესა თუ ის პირი ანდერძს აფორმებს სანოტარო ბიუროში, იგი მემკვიდრეობის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად მოქმედებს, თუმცა მემკვიდრეობითი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობამდე ჯერ კიდევ ადრეა. შეიძლება რამდენიმე წლის შემდეგ მოხდეს სამკვიდროს გახსნა. მოანდერძის გარდაცვალებამდე კონკრეტული მემკვიდრეობის სამართლებრივი ურთიერთობა არ წარმოიშობა. როცა იგი წარმოიშობა, მოანდერძე არ იქნება ცოცხალი და, ბუნებრივია, არც ამ სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად შეიძლება მისი ჩათვლა. მეორე მხრივ, როცა მემკვიდრე სამკვიდროს მიღებისას იხდის სამკვიდრო მოწმობის გასაცემად დადგენილ მოსაკრებელს, ან გადასახადს, რომლითაც სამკვიდრო ქონებაა დაბეგრილი, იგი მემკვიდრეობის კანონმდებლობის მოთხოვნებს ექვემდებარება და მემკვიდრეობითი სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს წარმოადგენს მანამ, ვიდრე მისი ინტერესების დაცვა აუცილებელი იქნება. აქედან გამომდინარე, **მემკვიდრეობის სფეროში წარმოშობილი ურთიერთობების სამართლებრივად მოსაწესრიგებელი საკითხების წრე გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე კონკრეტული მემკვიდრეობითი სამართლებრივი ურთიერთობა.**

სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობა განვითარების ორი ძირითადი ეტაპით ხასიათდება. პირველი ეტაპი იწყება სამკვიდროს გახსნით, ანუ მამკვიდრებლის გარდაცვალებითა და მისი უფლებამონაცვლის მემკვიდრედ აღიარებით. ამ მომენტიდან მემკვიდრეს წარმოეშობა სამკვიდროს მიღების უფლება. მისი შინაარსი კი გულისხმობს მემკვიდრისათვის სამკვიდროს მიღების ან უარყოფის შესაძლებლობის შექმნას. ამ უფლებას შეესაბამება, ერთი მხრივ, ნებისმიერი პირის ვალდებულება, არ შეუშალოს ხელი მის განხორციელებაში და, მეორე მხრივ, შესაბამისი ორგანოების ვალდებულება – ხელი შეუწყოს მის განხორციელებას. კერძოდ, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო, საბინაო და სანოტარო ორგანოები ვალდებულნი არიან გასცენ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დოკუმენტები. ამიტომ არასწო-

რად უნდა ჩაითვალოს შეხედულება იმის თაობაზე, რომ სამკვიდროს მიღების უფლებას ან მიღებაზე უარის თქმას არავისი ვალდებულება არ ახლავს. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამკვიდროს მიღების უფლება მიეკუთვნება ისეთ უფლებებს, რომლებიც ახალი სახის უფლებებს წარმოშობენ. ამ შემთხვევაში იგულისხმება საკუთრების მფლობელობაში მიღების უფლება. ამ თავისებურებით სამკვიდროს მიღების უფლებაში შეიმჩნევა უფლებაუნარიანობის ელემენტები. სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობა ამ ეტაპზე ატარებს აბსოლუტურ ხასიათს – ყველა ვალდებულია თავი შეიკავოს სამკვიდროს მიღების უფლების დარღვევისაგან. სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობის პირველი ეტაპი მემკვიდრისათვის მთავრდება იმ მომენტში, როცა მან მოახდინა აღნიშნული უფლების რეალიზაცია – მიიღო სამკვიდრო ან უარი თქვა მის მიღებაზე.

მემკვიდრემ თუ სამკვიდრო მიიღო, მაშინ მისთვის იწყება სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობის მეორე ეტაპი. იგი გრძელდება მანამდე, ვიდრე არ გადაწყდება სამკვიდროს ბედი, ვიდრე არ მოხდება სამემკვიდრეო უფლებათა გაფორმება. მემკვიდრეს სამკვიდროს მიღების შემდეგ, სამკვიდროს შემადგენლობიდან გამომდინარე, შეიძლება წარმოეშვას საკუთრების უფლება ქონებაზე, პირადი არაქონებრივი უფლება მამკვიდრებლის ნაწარმოების გამოქვეყნებაზე, მამკვიდრებლის ვალის გადახდის ვალდებულება და სხვ. სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობის მეორე ეტაპზე იგი არ შეიძლება ცალსახად ჩაითვალოს აბსოლუტურად ან ფარდობითად, ქონებრივად ან არაქონებრივად. სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობა სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია ნებისმიერ ხასიათს ატარებდეს.

მემკვიდრემ თუ უარი განაცხადა სამკვიდროს მიღებაზე, იგი ეთიშება სამემკვიდრეო-სამართლებრივ ურთიერთობას პირველსავე ეტაპზე და მეორე ეტაპი მისთვის არ დგება. ამასთან, სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა დაკავშირებულია სხვადასხვა სამართლებრივ შედეგთან. შეიძლება მისი წილი სხვა მემკვიდრეების ხელში გადავიდეს და სხვ.

სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტებია: სუბიექტები, ობიექტი და უფლება-მოვალეობები.

სუბიექტებად გამოდიან მხოლოდ მემკვიდრეები. ლიტერატურაში ზოგჯერ შეცდომით მამკვიდრებელსაც თვლიან სამემკვიდრეო-სამარ-

თლებრივი ურთიერთობის სუბიექტად[1]. მამკვიდრებელი, რომელიც მემკვიდრეობითი ურთიერთობების ყველაზე მთავარი ფიგურაა, არ წარმოადგენს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს, რადგან სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის იგი ცოცხალი აღარ არის. რაც შეეხება ცალკეულ ორგანოებს, რომლებიც ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ მემკვიდრეებს მემკვიდრეობის უფლების რეალიზაციაში, ისინი შეიძლება მხოლოდ პირობითად ჩაითვალონ სუბიექტებად. მემკვიდრეებს მათთან აკავშირებს კანონით განსაზღვრული ურთიერთობანი.

ობიექტი, ანუ მემკვიდრეობის საგანი არის როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ხასიათის სიკეთე, როგორც აქტივი, ისე პასივი. უფლება-მოვალეობათა მნიშვნელოვანი ნაწილის რეალიზაცია ხდება მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების უფლების მემკვიდრეობის უფლებად ტრანსფორმაციისა და მისი განხორციელების პროცესში.

---

[1] Гражданское право, В 2-х томах, ответственный редактор Е. А. Суханов. М, т. I. 1993. с. 222.

თავი XIII

მემკვიდრეობა ანდერძით

13.1. ანდერძის ცნება და შინაარსი

ანდერძი სპარსული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს პირის უკანასკნელ ნება-სურვილს, მითითებას ან დანაბარებს. ამ ტერმინის დამკვიდრებამდე საქართველოში იმავე მნიშვნელობით იხმარებოდა ტერმინი „აღთქუმა". მართალია, იგი უმეტესად პირთა შორის შეთანხმებას ნიშნავდა, მაგრამ ანდერძის მნიშვნელობაც ჰქონდა[1]. სამემკვიდრეო ურთიერთობათა ფართოდ განვითარებამ „ანდერძის" საყოველთაოდ დამკვიდრება განაპირობა. მისი ზოგადი ცნება განსაზღვრულია ივ. ჯავახიშვილის მიერ, რომლის მიხედვითაც „ჩვეულებრივ განსაცდელის მოლოდინში მყოფის ან მომაკვდავის, სიტყვიერად თუ წერილობით გამოთქმულს, სიკვდილის შემდგომ ასასრულებლად განკუთვნილს, უკანასკნელის ნების გამოცხადებას, ანდერძი ეწოდება"[2]. იგივე მნიშვნელობითაა ანდერძი განმარტებული იოანე ბაგრატიონისა და სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონებში.

ანდერძის აღნიშნულ ცნებას ეყრდნობა თანამედროვე კანონმდებლობა. სამოქალაქო კოდექსის 1344-ე მუხლის მიხედვით, „ფიზიკურ პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც". ამ ნორმაში ანდერძის რამდენიმე სპეციფიკურ თავისებურებაზეა ყურადღება გამახვილებული. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ანდერძი არის მამკვიდრებლის ნების გამოხატვის აქტი სიკვდილის შემთხვევაში მისი ქონებრივი აქტივისა და პასივის სხვა პირებისათვის გადაცემის შესახებ. მასში ნათლადაა გამოხატული მემკვიდრეთა თავისუფალი არჩევის შესაძლებლობა. მამკვიდრებელს შეუძლია თავისი ქონება დაუტოვოს

---

[1] ქართული მემკვიდრეობითი სამართლის ისტორიის ფრაგმენტები აქ და ქვემოთაც მოტანილია **ბესარიონ ზოიძის** წიგნიდან „ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი", თბ., 2000.

[2] **ივ. ჯავახიშვილი**, თხზულებანი, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 276.

ნებისმიერ პირს – იქნება იგი კანონით მემკვიდრეთა წრიდან თუ სრულიად უცხო. არავის არა აქვს უფლება ზეგავლენა მოახდინოს მამკვიდრებლის შინაგან ნებაზე, რომლის გარეგანი გამოხატულება ანდერძში კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად უნდა მოხდეს. ანდერძის თავისუფლების პრინციპისათვის დამახასიათებელია ისიც, რომ მამკვიდრებელს ყოველთვის შეუძლია გააუქმოს ანდერძი, შეცვალოს იგი მთლიანად ან ნაწილობრივ და სხვ. ნების თავისუფალი გამოხატვის ფართო შესაძლებლობების გამო ლიტერატურაში ანდერძს მამკვიდრებლის იმპერატიულ განკარგულებადაც მიიჩნევენ.

ანდერძის თავისუფლების აღნიშნული ხარისხი სათავეს ისტორიულ ეპოქებში იღებს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა რომის სამართალი. იგი ანდერძის თავისუფლების კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს. ჯერ კიდევ XII ტაბულის კანონების პერიოდიდან ანდერძის თავისუფლება იმდენად უსაზღვრო იყო, რომ მისი ყოველგვარი შეზღუდვა ბოროტებად ითვლებოდა. უფრო მეტიც, კანონისმიერ მემკვიდრეობასთან შედარებით უპირატესობა ანდერძით მემკვიდრეობას ენიჭებოდა. ეს მაშინ, როცა მამკვიდრებლის ქონება მემკვიდრეზე ან კანონით უნდა გადასულიყო, ან ანდერძის საფუძველზე. ორივე საფუძვლის ერთდროულად გამოყენება შეუძლებელი იყო. რომაულმა მემკვიდრეობის სამართალმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სხვა ქვეყნების სამართალზე. მიუხედავად ამისა, ბიზანტიურ, ებრაულ, გერმანულ, მუსლიმანურ ან რუსულ სამართალში ანდერძის თავისუფლება გარკვეულ შეზღუდვებთან არის დაკავშირებული. ნებისმიერი შეზღუდვა კანონისმიერი მემკვიდრეობისათვის უპირატესობის მინიჭებისაკენ იხრებოდა.

საქართველოში ანდერძი ადრეფეოდალური პერიოდიდანაა ცნობილი. მაშინდელი ანდერძების მცირე ნაწილია ცნობილი. უმეტესად ისინი მეფეთა და დიდებულთა ნება-სურვილს გამოხატავდა. ასეთ ანდერძებში არა მარტო ქონებრივი, არამედ საქვეყნო და საოჯახო ურთიერთობის საკითხები იყო გადაწყვეტილი. მაგალითად, მეფე მირიანმა ანდერძით გადასცა სამეფო გვირგვინი თავის ვაჟიშვილს. ვახტანგ გორგასალმა კი თავისი დის გათხოვების საკითხი ანდერძში ჩართო. ამგვარად, ქართველ მეფეთა ანდერძებს საჯარო ხასიათი ჰქონდა და ისინი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გამოხატულება უფრო იყო, ვიდრე მოანდერძეთა კერძო ინტერესებისა. გვიანფეოდალური პერიოდიდან კი შესამჩნევი ხდება ანდერძების კერძო-სამართლებრივი

ხასიათი, რაც უმეტესად საკუთრების ინსტიტუტის დამკვიდრების დიდი მნიშვნელობით განისაზღვრებოდა. სოციალური კიბის უმაღლეს საფეხურებზე მყოფ პირთა, აგრეთვე მსხვილ მესაკუთრეთა საანდერძო ნება-სურვილის შეუზღუდავი განხორციელება შესაბამისი პერიოდის პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობით იყო განპირობებული. ამიტომ, ქართული მემკვიდრეობის სამართალი, განიცდიდა რა რომაულ-ბიზანტიური სამართლის გავლენას, ანდერძის თავისუფლების საკმაოდ ფართო ხარისხით ხასიათდება.

ანდერძი ყოველთვის გამოხატავს მამკვიდრებლის ნებას. ამიტომ იგი **გარიგებაა**. ნების გამოვლენა იმდენად მნიშვნელოვანია სამართლებრივად, რომ იგი გარიგების სინონიმადაა მიჩნეული, მიუხედავად იმისა, რომ ნება ფსიქოლოგიური კატეგორიაა. ნების გამოვლენა სამართლებრივი შედეგის დადგომასთან არის დაკავშირებული და სამოქალაქო სამართალში მას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ანდერძში რადგან ერთი პირის ნებაა გამოხატული, იგი ცალმხრივი გარიგების ყველაზე გავრცელებულ და კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს. ჩვეულებრივ, თუ ცალმხრივ გარიგებათა ერთი ჯგუფი ნების გამომვლენ პირისათვის წარმოშობს გარკვეულ სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის საფუძველს, მაგალითად, სამკვიდროს მიღებაზე თანხმობის გამოცხადება, მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი ცალმხრივი გარიგებები, რომლებიც უპირატესობებს მესამე პირებს აკუთვნებენ. სწორედ ასეთ გარიგებებს მიეკუთვნება ანდერძი[1]. მამკვიდრებლის ნების საფუძველზე მემკვიდრე იღებს უფლებრივ უპირატესობას – მიიღოს სამკვიდრო. ანდერძის ცალმხრივობას ისიც განაპირობებს, რომ მისი ნამდვილობისათვის არ არის საჭირო სხვა პირის წინასწარი ნების თანდამთხვევა. საკმარისია მხოლოდ მოანდერძის ნება. ანდერძი უნდა შეადგინოს პირადად მოანდერძემ. მართალია, ზოგჯერ წერა-კითხვის არცოდნის ან ფიზიკური ნაკლის გამო, მას ანდერძის შედგენის პროცესში ეხმარება მესამე პირი, მაგრამ ეს არ ნიშნავს ამ პირის ნების ანდერძში ჩართვას. ყველა შემთხვევისათვის, **არ შეიძლება ანდერძის შედგენა წარმომადგენლის მეშვეობით.** მოანდერძის ნების ნამდვილობის გარანტირებულობის აუცილებლობიდან გამომდინარე, კანონმდებელი მას რამდენიმე მოთხოვნას უყენებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა. კანონით მემკვიდრეობის დროს მამკვი-

[1] **ლადო ჭანტურია**, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. თბ., 2011. გვ. 298.

დრებელის მიმართ მსგავსი მოთხოვნები არ არსებობს. სამოქალაქო კოდექსის 1345-ე მუხლის მიხედვით, მოანდერძე შეიძლება იყოს სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირი, რომელსაც ანდერძის შედგენის მომენტში შეუძლია გონივრულად განსაჯოს საკუთარი მოქმედება და ნათლად გამოხატოს თავისი ნება. სრულწლოვანება თავისთავად არ ნიშნავს ქმედუნარიანობას. შეიძლება პირი სრულწლოვანი იყოს, მაგრამ შეზღუდულქმედუნარიანი. ამიტომ მას ანდერძის შედგენა არ შეუძლია. ქმედუნარიანობა სრული მოცულობით პირს 18 წლის ასაკში წარმოეშობა. მხოლოდ სრულწლოვანების პერიოდში აქვს პირს თავისი მოქმედების გონივრული განსჯისა და ნების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა. ამიტომ ანდერძის შედგენის მომენტში პირი ერთდროულად უნდა იყოს სრულწლოვანიც და სრული ქმედუნარიანიც.

პირმა შეიძლება ანდერძის შედგენის შემდეგ დაკარგოს ქმედუნარიანობის განსაზღვრული ხარისხი. ეს ანდერძის ნამდვილობაზე გავლენას არ მოახდენს. მაგრამ ქმედუნარიანი პირი, თუ ანდერძის შედგენის მომენტში ძლიერი ფიზიკური ტკივილის ან სულიერი განცდის პირობებში გონივრულად ვერ განსჯის და ნათლად ვერ გამოხატავს თავის ნებას, შეიძლება ანდერძის გაბათილების საკითხი დადგეს. ამ დროს არაა აუცილებელი მოანდერძის შეზღუდულქმედუნარიანად სასამართლო წესით აღიარება. სასამართლომ იმაზე უნდა იმსჯელოს, შეიძლებოდა თუ არა ასეთ პირობებში მოანდერძეს თავისი ნება უხარვეზოდ გამოევლინებია.

სამოქალაქო კანონმდებლობით სრული ქმედუნარიანობა პირმა შეიძლება 18 წლის ასაკამდეც შეიძინოს. მაგალითად, დაქორწინების შემთხვევაში პირი 16 წლიდან შეიძლება იყოს სრული ქმედუნარიანი. დაქორწინებულ არასრულწლოვანს შუძლია დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა ნებისმიერ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობაში. მას შეუძლია ანდერძის შედგენაც. მაგრამ, რაც შეეხება არასრულწლოვანის ემანსიპაციის საკითხს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის სფეროში, იგი გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლის მიხედვით, თუ კანონიერი წარმომადგენელი 16 წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს ანიჭებს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას, მაშინ ამ სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში იგი შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება. ეს წესი გამოიყენება როგორც საწარმოს დაფუძნების, ასევე ლიკვიდაციისა და შრომითი ურთიერთობების დაწყების ან შეწყვეტის

მიმართაც. რა ფართოდაც არ უნდა იქნეს წარმოდგენილი ასეთი არასრულწლოვნის ქმედუნარიანობა, იგი მაინც არ ცდება სამეწარმეო ურთიერთობის ფარგლებს. სხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებში იგი, ჩვეულებრივ, შეზღუდულქმედუნარიან პირად რჩება. ამიტომ მას არა აქვს უფლება შეადგინოს ანდერძი. მართალია, სხვა სახის სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მას შეუძლია კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით მიიღოს მონაწილეობა, მაგალითად დაქორწინდეს, იყიდოს საცხოვრებელი სახლი ან მიწის ნაკვეთი, მაგრამ იგივეს თქმა არ შეიძლება საანდერძო ურთიერთობებზე. ანდერძის შედგენისას კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა აზრს უკარგავს ცალმხრივი გარიგების სამართლებრივ ხასიათს. ანდერძი უნდა გამოხატავდეს ერთი პირის – მოანდერძის ნებას. ვინმეს თანხმობა, ზოგჯერ დაძალებაც ან, მით უმეტეს, უარი თანხმობაზე, ყოველთვის მოანდერძის შინაგანი ნების საწინააღმდეგო შედეგებთან იქნება დაკავშირებული. ამიტომაც არ შეიძლება არასრულწლოვანმა შეადგინოს ანდერძი. იგივე შეიძლება ითქვას სრულწლოვანი შეზღუდულქმედუნარიანი პირის მიმართაც. არსებობს ამ საკითხისადმი განსხვავებული მიდგომაც.

ახალი სამოქალაქო კანონმდებლობის მიღების პროცესში შეიქმნა შესაძლებლობა საანდერძო უფლებაუნარიანობა მინიჭებოდა 16-დან 18-წლამდე არასრულწლოვანს იმ შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავდა კანონით მემკვიდრეები. მოგვიანებით იგი უარყოფილ იქნა. ასეთი პოზიცია ეფუძნებოდა ზოგიერთი ქვეყნის საკანონმდებლო პრაქტიკას. მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მესამე განყოფილებაში, რომელიც ანდერძს ეძღვნება, საანდერძო უფლებაუნარიანობის ქვედა ზღვრად მიჩნეულია 16 წელი. ამასთან, 2229-ე მუხლში მითითებულია, რომ არასრულწლოვანის მიერ ანდერძის შედგენისას საჭირო არაა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 904-ე მუხლის საფუძველზე 16-დან 18-წლამდე არასრულწლოვნებს შეუძლიათ ანდერძის საფუძველზე თავიანთი ქონების ნახევრის განკარგვა. მთლიან ქონებაზე ანდერძის შედგენა მხოლოდ მაშინ შეუძლიათ, თუ არა ჰყავთ კანონისიმიერი მემკვიდრეები. ინგლისის მემკვიდრეობის სამართალი სამხედრო მოსამსახურეებსა და მეზღვაურებს აძლევს არასრულწლოვნების პერიოდში ანდერძის შედგენის შესაძლებლობას. ამერიკის შტატების უმრავლესობაში 18 წლის და ზოგან უფრო მეტის შემდეგ იწყება საანდერძო უფლებაუნარიანობა. ზოგიერთ შტატში ეს შესაძლებელია 14 წლიდან, თუ იგი დაქორწინე-

ბულია, ემანსიპირებულია ან იმყოფება ექსტრემალურ სიტუაციაში. საქართველოს კანონმდებლობა არასრულწლოვანისათვის საანდერძო უფლებაუნარიანობის მინიჭების საკითხში ზომაზე მეტად ფრთხილობს.

იურიდიულ ლიტერატურაში ზოგჯერ აყენებენ საკითხს სრულწლოვანი, მაგრამ შეზღუდულქმედუნარიანი პირებისათვის ანდერძის დამოუკიდებლად შედგენის უფლების მინიჭების თაობაზე. მათი აზრით, შეზღუდულქმედუნარიან პირს მხოლოდ ეზღუდება ქმედუნარიანობა, თანაც, ანდერძის აღსრულება ასეთი პირის გარდაცვალების შემდეგ ხდება და არ შეიძლება ნაანდერძევი ქონება ოჯახის ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოყენების საშუალებად იქცეს მოანდერძის სიცოცხლეში. მაგრამ აქაც, ანდერძის ღრმად პირადულ ხასიათზე მითითებით ხდება ასეთ წინადადებათა უარყოფა.

სასამართლო პრაქტიკა ჯერჯერობით მკაცრად იცავს საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილ წესს.

ანდერძში, როგორც ცალმხრივ გარიგებაში, მხოლოდ ერთი პირის ნება უნდა იყოს გამოვლენილი. მოანდერძე, თავის ქონებაზე ან თავის წილზე საერთო საკუთრებაში, აკეთებს შესაბამის განკარგულებას. აქედან გამომდინარე, არ დაიშვება ორი ან მეტი პირის მიერ ერთობლივად ანდერძის შედგენა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილია ერთი გამონაკლისი. **მხოლოდ მეუღლეებს შეუძლიათ შეადგინონ ერთობლივი ანდერძი ურთიერთმემკვიდრეობის შესახებ.** მათ შეუძლიათ შეთანხმდნენ არა იმაზე, რომ ერთ-ერთი მათგანის გარდაცვალების შემთხვევაში მათი თანაზიარი საკუთრება გადაეცეს სხვა რომელიმე პირს, არამედ ურთიერთმემკვიდრეობაზე. ერთი მეუღლის გარდაცვალებისას მეორე მეუღლე უნდა ჩაითვალოს მის მემკვიდრედ. დანარჩენ მემკვიდრეებს ფაქტობრივად ერთმევათ მემკვიდრეობის უფლება. ეს არის ანდერძში გამოხატული შეთანხმება ერთმანეთის შემდეგ მემკვიდრეობის შესახებ. მეუღლეთა ერთობლივი ანდერძი შეიძლება გაუქმებულ იქნეს ორივე მეუღლის ნებით. ეს ლოგიკურიცაა. შესაძლებელია ერთობლივი ანდერძის გაუქმება ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნითაც. მაგრამ ეს აუცილებლად ორივე მეუღლის სიცოცხლეში უნდა მოხდეს. მეუღლეთა ურთიერთმემკვიდრეობის ერთობლივი ანდერძი თავისი შინაარსითა და შედეგებით ზოგჯერ ემთხვევა კანონით მემკვიდრეობისას მათ შორის არსებულ სამემკვიდრეო ურთიერთობებს. ეს უმეტესად ეხება იმ მეუღლეებს, რომელთაც კანონით მემკვიდრეები არა ჰყავთ.

ერთობლივი ანდერძის შედგენის შესაძლებლობა, ზოგჯერ საკმაოდ

ფართო გაგებითაც, გათვალისწინებულია სხვა ქვეყნების კანონმდებლობაშიც. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 2265-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ერთობლივი ანდერძი შეუძლიათ შეადგინონ მხოლოდ მეუღლეებმა. შემდგომ მუხლებში მოცემულია ასეთი ანდერძის დეტალური რეგლამენტაცია. ერთობლივი იქნება ანდერძი მაშინაც, როცა მას შეადგენს ერთ-ერთი მეუღლე, ხოლო მეორე კი ხელს მოაწერს და ამით გამოხატავს თავისი ნების ნამდვილობას. ამასთან, ამ უკანასკნელმა ანდერძში უნდა მიუთითოს ანდერძს როდის და რა ადგილზე მოაწერა ხელი. ქორწინების გაბათილების ან განქორწინების შემთხვევაში ერთობლივი ანდერძი გაუქმებულად ითვლება. იგივე შედეგი დგება მაშინაც, როცა ერთ-ერთმა მეუღლემ თანხმობა განაცხადა განქორწინებაზე ან სარჩელი შეიტანა ქორწინების გაბათილების შესახებ. ქართული კანონმდებლობისაგან განსხვავებით, გერმანიაში მეუღლეები არ იფარგლებიან ურთიერთმემკვიდრეობის უფლებით. მათ აგრეთვე შეუძლიათ ანდერძში მიუთითონ მესამე პირის შესახებ, რომელზეც უნდა გადავიდეს მეუღლეთა ქონება ცოცხლად დარჩენილი მათგანის გარდაცვალების შემთხვევაში. ერთობლივი ანდერძის გაუქმების უფლება მეუღლეებს სიცოცხლის პერიოდში გააჩნიათ. ერთ-ერთის გარდაცვალების შემდეგ ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს ასეთი უფლება მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს, თუ იგი უარს იტყვის სამკვიდროს მიღებაზე.

ერთობლივი ანდერძის შედგენის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს საფრანგეთისა და რუსეთის კანონმდებლობა. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 968-ე მუხლით აკრძალულია ასეთი ანდერძის შედგენა. იგივეა დაფიქსირებული რუსეთის სამოქალაქო კოდექსის 1118-ე მუხლში. შვეიცარიის კანონმდებლობაში არაფერია ამ მხრივ აღნიშნული, მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში აშკარადაა გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულება. სასამართლოები ბათილად ცნობენ ერთობლივ ანდერძებს, თუნდაც ისინი მეუღლეთა მიერ იყოს შედგენილი.

ანდერძი, როგორც ქონების განკარგვის აქტი, განსხვავდება მსგავსი შინაარსის შემცველი ჩუქებისა და მემკვიდრეობის ხელშეკრულებებისგან. ბევრი ქვეყნისა და მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული ქონების ჩუქება სხვა პირებისათვის გამჩუქებლის სიკვდილის შემთხვევისათვის. ასეთი გარიგება ბათილია და არავითარ სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს. არ მიიჩნევა იგი ანდერძის ნაირსახეობადაც.

ზოგიერთ ქვეყანაში სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს **მემკვიდრეობის ხელშეკრულებას**. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მამკვიდრებელსა და ერთ ან რამდენიმე პირს შორის იდება ხელშეკრულება სიკვდილის შემთხვევისათვის მისი მემკვიდრედ დანიშვნის შესახებ. ასეთი ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევის მომენტიდან. გერმანიის სამოქალაქო კოდექსში ასეთ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ურთიერთობების რეგულირებას მემკვიდრეობის სამართლის სპეციალური განყოფილება ეძღვნება. მემკვიდრეობის ხელშეკრულება მეუღლეებს შორის მაშინაც შეიძლება დაიდოს, როცა ერთ-ერთი მათგანი, რომელიც მემკვიდრედ უნდა იქნეს ცნობილი, შეზღუდულქმედუნარიანია. ამ დროს აუცილებელია ამ უკანასკნელის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. ხელშეკრულება იდება სასამართლოში ან ნოტარიუსთან. შესაძლებელია, მემკვიდრეობის ხელშეკრულება საქორწინო ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილადაც იქნეს მიჩნეული. მემკვიდრეობის ხელშეკრულება დადგენილი წესით გაფორმების შემდეგ შესანახად გადაეცემა ოფიციალურ ორგანოებს. მემკვიდრეობის ხელშეკრულებით ფაქტობრივად პირის მემკვიდრედ დანიშვნა ხდება. რადგან იგი ორმხრივი გარიგებაა, მისი გაუქმება, მხოლოდ ერთ-ერთი მხარის სურვილით არ შეიძლება. ამიტომ, როცა მამკვიდრებელი ხელშეკრულებით დანიშნული მემკვიდრის ინტერესების საზიანოდ მესამე პირს საჩუქრად გადასცემს თავის ქონებას ან მის ნაწილს, სამკვიდროს გახსნის შემდეგ ხელშეკრულებით მემკვიდრეს წარმოეშობა უფლება დასაჩუქრებულისაგან სამი წლის განმავლობაში მოითხოვოს საჩუქარი, როგორც უსაფუძვლოდ მიღებული ქონება. მსგავსადაა წარმოდგენილი მემკვიდრეობის ხელშეკრულება შვეიცარიის კანონმდებლობაში, ხოლო საფრანგეთში ეს ინსტიტუტი გამოიყენება გამონაკლისის სახით და ისიც მხოლოდ მეუღლეთა შორის.

ქონების **გაჩუქება** სიკვდილის შემთხვევისათვის შეიძლება ანდერძის სუროგატად ჩაითვალოს. მისი დამკვიდრება ანდერძის თავისუფლების შეზღუდვით უნდა იყოს განპირობებული. ამ გაგებით ანდერძის ჩანაცვლება ჩუქებით შესაძლებლად იყო მიჩნეული ძველ საქართველოშიც. მემკვიდრეობის სავალდებულო წილის ინსტიტუტის შემოღება საკმაო საფუძვლად მიიჩნეოდა იმისათვის, რომ პირს თავისი ქონება სრულად არ გადაეცა სხვისთვის. თავდაპირველად ჩუქება არავითარ შეზღუდვას არ ითვალისწინებდა. ამიტომ სიკვდილის შემ-

თხვევისათვის ქონების გაჩუქება მესაკუთრეს იმის შესაძლებლობას უქმნიდა, რომ მისთვის არასასურველ კანონისმიერ მემკვიდრეს არ დარჩენოდა მისი ქონება. იმ შემთხვევაში, თუ ჩუქებასაც რაიმე შეზღუდვა დაემუქრებოდა, მაგალითად, გაზრდილი ბაჟი, მაშინ სხვა უფრო მარტივი გზის ძებნა დგებოდა დღის წესრიგში. ერთ-ერთი ასეთი გზა იყო ქონების სხვა პირებისათვის გადაცემა შეწირულობის წესით. ქონების შეწირვა, ანუ ანდერძით გადაცემა უმეტესად ეკლესია-მონასტრების მიმართ ხდებოდა. ეს გზა მამკვიდრებლის სულისათვის ზრუნვის გამოხატულებასაც წარმოადგენდა. თანამედროვე პირობებში ქონების ჩუქება ან შეწირვა გარდაცვალების შემთხვევისათვის მემ-კვიდრეობის არქაულ წესად ითვლება.

ანდერძი, როგორც გარიგება, ვადიანია და ცალმხრივი გარიგების სახით მოქმედებს სამკვიდროს გახსნამდე. მოანდერძის სიკვდილი გარდუვალია. ადრე თუ გვიან იგი დადგება. ამიტომ მოანდერძეს სიცოცხლეში შეუძლია ანდერძი გააუქმოს ან შეცვალოს. აქედან გამომდინარე, ანდერძს, როგორც ცალმხრივ გარიგებას, პირობითო-ბის ელემენტებიც ახასიათებს. ანდერძის შედგენის აქტი, მოანდერძის სიკვდილამდე, სრულებითაც არ წარმოადგენს შეუცვლელსა და მყარ საფუძველს სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობის წარ-მოსაშობად. უფრო მეტიც, ანდერძის შედგენა, რა შინაარსისაც არ უნდა იყოს იგი, თავისთავად ასეთ ურთიერთობებს არ წარმოშობს. მას სხვა ფაქტთან ერთად სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს. იგი პირველადი იურიდიული ფაქტია, რომელიც სხვა იურიდიულ ფაქტთან – სამკვიდროს გახსნასთან ურთიერთკავშირში იწვევს სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას და ანდერძში მითითებულ პირთა მემკვიდრეებად აღიარებას.

13.2. ანდერძი და სამკვიდრო ქონება

ანდერძის, როგორც გარიგების ცალმხრივობა, განაპირობებს მოანდერძის ფართო უფლებამოსილებებს სამკვიდრო ქონების გან-კარგვის სფეროში. ამ დროს საჭირო არ არის იმ პირის თანხმობა, ვის სასარგებლოდაც ხდება ანდერძის შედგენა. მოანდერძე არა მარტო ირჩევს მემკვიდრეს, არამედ მასზე გადასაცემი ქონების ოდენობა-საც განსაზღვრავს. არა აქვს მნიშვნელობა მემკვიდრედ ერთი პირია

დანიშნული თუ რამდენიმე. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ანდერძი შეიძლება შეეხოს როგორც მთელ სამკვიდრო ქონებას, ისე მის ნაწილს. სამოქალაქო კოდექსი დეტალურად არეგულირებს ამ სფეროში წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. 1348-ე მუხლის მიხედვით მოანდერძეს შეუძლია ანდერძით განსაზღვროს დანიშნულ მემკვიდრეთა წილი სამკვიდროს ქონებიდან ან მიუთითოს თუ რომელ მემკვიდრეზე კონკრეტულად რომელი ქონება გადავა. მაგალითად, თუ მოანდერძეს გააჩნია საცხოვრებელი სახლი, ავტომანქანა და ფულადი დანაზოგი და ჰყავს ანდერძით დანიშნული ორი მემკვიდრე – მას შეუძლია ერთს უანდერძოს მთელი ქონების 40%, მეორეს კი – 60%. ასევე შესაძლებელია ერთს დაუტოვოს საცხოვრებელი სახლი, ხოლო მეორეს – ავტომანქანა და ფულადი დანაზოგი. მაგრამ, თუ ანდერძში არც წილია განსაზღვრული და არც კონკრეტულ ქონებაზეა მითითება, მაშინ მთელი სამკვიდრო თანაბრად ნაწილდება მემკვიდრეებს შორის. მოცემულ შემთხვევაში საცხოვრებელი სახლისა და ავტომანქანის ღირებულებას დაემატება ფულადი დანაზოგის ოდენობა და შუაზე გაიყოფა.

შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც, როცა ანდერძით რამდენიმე მემკვიდრეა დანიშნული, მაგრამ მასში მხოლოდ ერთი პირის წილია განსაზღვრული, დანარჩენისა კი არა. ამ დროს დანარჩენი მემკვიდრეები თანაბრად მიიღებენ წილით განუსაზღვრელ ქონებას. მაგალითად, თუ მოანდერძემ სამკვიდროს ნახევარი უანდერძა შვილიშვილს, მაშინ მეორე ნახევარი თანაბრად განაწილდება ანდერძით მემკვიდრეებად დანიშნულ მეუღლესა და შვილს შორის.

მოანდერძის უფლებამოსილება მემკვიდრეების არჩევისა და მათ შორის წილების გაყოფის თაობაზე შესაძლებელია შინაგანი წინააღმდეგობით იყოს დატვირთული. მაგალითად, მრავალთაგან ერთ მემკვიდრეს აქვს მიკუთვნებული მთელი სამკვიდრო, სხვებისათვის კი არაფერი რჩება. ასეთ შემთხვევაში განმსაზღვრელია მოანდერძის ნება მემკვიდრეებად პირთა დანიშვნის შესახებ. მათ შორის სამკვიდროს განაწილების პროცესში დაშვებული შეუსაბამობა კანონით შეიძლება გამოსწორდეს. 1349-ე მუხლი სწორედ ასეთ შემთხვევას ითვალისწინებს. მასში აღნიშნულია, რომ თუ ანდერძით რამდენიმე მემკვიდრეა დანიშნული და ერთ-ერთი მემკვიდრისათვის განსაზღვრული ქონება მთელ სამკვიდროს მოიცავს, მაშინ ყველა ანდერძით მემკვიდრემ თანაბარი წილი უნდა მიიღოს. ე.ი. ანდერძით ერთი მემკვიდრის

მიმართ განსაზღვრული წილი მხედველობაში არ მიიღება და მთელი სამკვიდრო თანაბრად გაიყოფა ყველა მემკვიდრეს შორის.

ზოგჯერ ანდერძით დანიშნულ მემკვიდრეებს შორის განაწილებული ქონება მთლიანად არ მოიცავს მთელ სამკვიდროს. ანდერძით მემკვიდრეების მიერ მიღებული ქონების გარდა, მამკვიდრებელს რჩება სხვა ქონებაც. ასეთ ქონებას, ჩვეულებრივ, **ანდერძის გარეთ დარჩენილ ქონებას** უწოდებენ. იგი უნდა განაწილდეს კანონით მემკვიდრეებს შორის.

სამოქალაქო კოდექსის 1350-ე მუხლის საფუძველზე, ანდერძის გარეთ დარჩენილი ქონების მემკვიდრეობაზე შეიძლება პრეტენზია ჰქონდეს იმ მემკვიდრეს, რომელმაც სამკვიდროს ნაწილი უკვე მიიღო ანდერძის საფუძველზე, მაგრამ, ამავე დროს, იგი კანონისმიერი მემკვიდრეც არის. მაგალითად, თუ მამკვიდრებლის ორი შვილიდან ერთმა ანდერძით მიიღო სამკვიდრო ქონების ნახევარი, მეორე ნახევარი, როგორც ანდერძის გარეთ დარჩენილი ქონება, განაწილდება პირველი რიგის კანონისმიერ ყველა მემკვიდრეს შორის. მათ რიცხვში (მეუღლე და მეორე შვილი) შევა ანდერძით მემკვიდრედ დანიშნული შვილიც და იგი დამატებით მიიღებს სამკვიდრო ქონების მეორე ნახევრის ერთ მესამედს. ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ანდერძით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მაგალითად, ანდერძში შეიძლება მითითებულ იქნეს, რომ ანდერძის გარეთ დარჩენილი ქონება განაწილდეს სხვა კანონისმიერ მემკვიდრეებს შორის. ასეთ შემთხვევაში ის კანონისმიერი მემკვიდრე, რომელმაც ანდერძით მიიღო სამკვიდროს ნაწილი, კანონით მემკვიდრეობის საფუძველზე ვერ მიიღებს წილს ანდერძის გარეთ დარჩენილი სამკვიდრო ქონებიდან. ასეთი ქონება განაწილდება სხვა იმ კანონისმიერ მემკვიდრეებს შორის, რომელთა მოწვევაც რიგითობის მიხედვით უნდა მოხდეს მემკვიდრეობის მისაღებად (მეუღლე და მეორე შვილი).

ანდერძის გარეთ დარჩენილი ქონება შესაძლებელია ანდერძით მემკვიდრეებს შორისაც განაწილდეს. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როცა მოანდერძეს არა ჰყავს კანონისმიერი მემკვიდრეები, ხოლო ანდერძით მემკვიდრეებს შორის განაწილებული ქონება მთლიანად არ ამოწურავს სამკვიდროს. მაგალითად, თუ მოანდერძემ დანიშნულ მემკვიდრეებს უანდერძა თავისი ქონების 30% და 50%, და კანონისმიერი მემკვიდრე არ დარჩენია, მაშინ სამკვიდროს დარჩენილი 20%-იც ანდერძისმიერ მემკვიდრეებზე თანაბრად განაწილდება. ანდერძის გარეთ დარჩენილი

ქონების ანდერძისმიერ მემკვიდრეებზე განაწილებისას, არა აქვს მნიშვნელობა ანდერძით მათ თანაბრად მიიღეს წილი სამკვიდროდან თუ არა. ყველა შემთხვევაში დამატებითი სამკვიდრო მათ თანაბრად ეკუთვნით.

ანდერძი მამკვიდრებლის შინაგანი ნების გამოხატვის უშუალო და საუკეთესო საშუალებაა. ამიტომ სავსებით ლოგიკურია კანონის მითითება იმაზე, რომ **მოანდერძეს უფლება არა აქვს სხვას მიანდოს მემკვიდრის დასახელება**, ანუ მოანდერძეს არ შეუძლია ანდერძში დაასახელოს პირი, რომელსაც დაევალება იმის განსაზღვრა, თუ ვინ უნდა მიიღოს სამკვიდრო და რა რაოდენობით, ეს თვითონ მოანდერ-ძემ უნდა გააკეთოს. მაგალითად, ანდერძში ჩაიწერა იმის შესახებ, რომ სამკვიდრო ქონება ან მისი ნაწილი უნდა გადაეცეს ორიდან ერთ ძმისშვილს. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ანდერძში მიეთითოს, თუ კონკრეტულად რომელი ძმისშვილი არის მემკვიდრე. ამ უკანასკნე-ლის მშობელი არ შეიძლება განხილულ იქნეს იმ პირად, რომელსაც მოანდერძემ მემკვიდრის დანიშვნის უფლება მისცა. იგი საერთოდ არ მონაწილეობს სამემკვიდრეო-სამართლებრივ ურთიერთობაში.

სხვა ვითარებაა მაშინ, როდესაც მამკვიდრებელმა მემკვიდრის პიროვნება განსაზღვრა ისეთი ზოგადი ნიშნებით, რომლებიც დამახა-სიათებელია რამდენიმე პირისათვის და შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელი პირი ჰყავდა მხედველობაში მამკვიდრებელს. ასეთ შემ-თხვევაში სამოქალაქო კოდექსის 1353-ე მუხლის საფუძველზე, ყველა მათგანი ჩაითვლება მემკვიდრედ თანაბარი წილის უფლებით. მაგალი-თად, თუ მამკვიდრებელმა ანდერძში მიუთითა, რომ თავის ქონებას გადასცემს შვილიშვილს, მაგრამ არ დააკონკრეტა, კერძოდ რომელს – თავისთან მცხოვრებს თუ სხვა ქალაქში მცხოვრებ შვილიშვილს, მაშინ მემკვიდრედ ჩაითვლება ორივე შვილიშვილი და ანდერძში მითითებული სამკვიდრო ქონება მათ შორის თანაბრად გაიყოფა.

რადგან მამკვიდრებლის ნება-სურვილზეა დამოკიდებული, თუ ვის დანიშნავს ანდერძით მემკვიდრედ, ბუნებრივია, რომ მას შეუძლია ანდერძით მემკვიდრეობა ჩამოართვას ერთ, რამდენიმე ან ყველა კანონით მემკვიდრეს. ასეთ შემთხვევაში იგი ვალდებული არ არის ანდერძში მიუთითოს მოტივზე. მამკვიდრებელს კანონით მემკვიდრეე-ბისათვის ანდერძით მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა შეუძლია ორი გზით: ანდერძში იმის პირდაპირი მითითებით, რომ ამა თუ იმ მემკვიდრეს ან ყველა მათგანს ერთმევა მემკვიდრეობა ან ანდერძით

ქონების განაწილებისას ამა თუ იმ კანონით მემკვიდრისათვის ან ყველა მათგანისათვის გვერდის ავლით. **პირველ შემთხვევაში** ანდერძში მიეთითება, მაგალითად, იმის შესახებ, რომ შვილებს ერთმევა ანდერძით მემკვიდრეობის უფლება და მთელი სამკვიდრო რჩება მეუღლეს. პირი, რომელსაც ანდერძის პირდაპირი მითითებით ჩამოერთვა მემკვიდრეობა, ვერც კანონით მემკვიდრე იქნება იმ ქონებაზე, რომელიც ანდერძში არ შესულა. ასევე ვერ იქნება იგი კანონით მემკვიდრე იმ შემთხვევაშიც, როცა ანდერძით მემკვიდრეებმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე. **მეორე შემთხვევაში** სხვა გარემოებასთან გვაქვს საქმე. კანონით მემკვიდრეები, რომლებიც მითითებული არ არიან ანდერძში, ვერ მიიღებენ მემკვიდრეობას ანდერძში აღნიშნული სამკვიდროდან, მაგრამ ისინი ინარჩუნებენ უფლებას სამკვიდროს იმ ნაწილზე, რომელსაც ანდერძი არ შეხებია. ისინი აგრეთვე მიიღებენ ანდერძით გათვალისწინებულ ქონებასაც, თუ სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის ცოცხლები არ არიან ანდერძით მემკვიდრეები ან ყველა მათგანმა უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე. ამ დროს, ბუნებრივია, აზრს კარგავს საანდერძო -სამართლებრივი ურთიერთობა და მამკვიდრებლის მთელი ქონება გადადის კანონით მემკვიდრეებზე.

მოანდერძის შინაგანი ნების შეუვალობას გამოხატავს სამოქალაქო კოდექსის 1356-ე მუხლის შინაარსი. მასში აღნიშნულია, რომ, თუ ანდერძით მთელი სამკვიდრო ქონება განაწილებული იყო ანდერძით მემკვიდრეებს შორის, მაგრამ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ერთ-ერთი მემკვიდრე **ცოცხალი არ არის**, მის წილ ქონებაზე კანონით მემკვიდრეობა კი არ წარმოიშობა, არამედ იგი ანდერძში მითითებულ სხვა მემკვიდრეებს შორის განაწილდება თანაბრად. იგივე შედეგი დადგება მაშინაც, როცა ანდერძით მემკვიდრეებიდან ერთ-ერთმა მათგანმა **უარი თქვა** მისი წილის მიღებაზე, მაგრამ არ მიუთითა, თუ ვის სასარგებლოდ თქვა უარი სამკვიდროს მიღებაზე. აღნიშნულ შემთხვევებში, გარდაცვლილი ანდერძისმიერი მემკვიდრის ან ცოცხალი, მაგრამ თავისი წილის უარმყოფელი პირის სანაცვლოდ კანონით მემკვიდრეთა მოწვევა მემკვიდრეობის მისაღებად, მოანდერძის ნების საწინააღმდეგო იქნებოდა. მამკვიდრებელს სურვილი რომ ჰქონოდა თავისი ქონების ნაწილი კანონით მემკვიდრეებისთვისაც დაეტოვებინა, მაშინ ანდერძში იგი მთელ სამკვიდრო ქონებას არ შეიტანდა და ანდერძით მემკვიდრეებს შორის არ გაანაწილებდა. სულ სხვა შემთხვევაა, როცა მოანდერძემ მთელი სამკვიდრო ქონება გაანაწილა

ანდერძით მემკვიდრეებს შორის, მაგრამ ერთ-ერთი ან რამდენიმე ანდერძით მემკვიდრის მიმართ **ანდერძი ბათილად იქნა** ცნობილი. ამ დროს იმ მემკვიდრის წილი, რომლის მიმართაც გაბათილდა ანდერძი, სხვა ანდერძისმიერ მემკვიდრეებს შორის კი არ განაწილდება, არამედ გადავა კანონისმიერ მემკვიდრეებზე.

ამ უკანასკნელთ შეიძლება ანდერძით განკარგულ ქონებაზე სხვა სამართლებრივი საფუძვლითაც წარმოეშვათ განსაზღვრული უფლება (სამოქალაქო კოდექსის მეექვსე წიგნის მეექვსე თავი).

მოანდერძის სურვილის მაქსიმალურად გათვალისწინების დასტურია **სათადარიგო მემკვიდრის** დანიშვნის შესაძლებლობა. ეს განპირობებულია იმით, რომ მოანდერძემ არ შეიძლება წინასწარ იცოდეს მემკვიდრედ დანიშნული პირის სიცოცხლის ხანგრძლივობა ან სამკვიდრო ქონებასთან მისი ურთიერთობის ფსიქიკურ-სამართლებრივი საფუძვლები. შეიძლება ანდერძით დანიშნული მემკვიდრე სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვალოს, უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე ან ჩამოერთვას მემკვიდრეობის უფლება. ასეთი შემთხვევაში მოანდერძე გარანტირებული უნდა იყოს მისი ნების შემდგომი რეალიზაციის სამართლებრივი მექანიზმით. სწორედ ამიტომ, სამოქალაქო კოდექსის 1370-ე მუხლის საფუძველზე, მოანდერძეს უფლება აქვს ძირითად მემკვიდრესთან ერთად დაასახელოს მემკვიდრის მემკვიდრე, ანუ სათადარიგო მემკვიდრე იმ შემთხვევისათვის, თუ მის მიერ დანიშნული ძირითადი მემკვიდრე სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვლება, არ მიიღებს სამკვიდროს ან სასამართლო წესით ჩამოერთმევა მემკვიდრეობის უფლება. მოანდერძის ამ უფლების განხორციელებას არ სჭირდება რაიმე დამოუკიდებელი ფორმით გამოხატვა. ანდერძში შეიძლება მიეთითოს როგორც ძირითადი, ისე სათადარიგო მემკვიდრის შესახებ. სამოქალაქო სამართლის თეორიაში სამკვიდრო ქონების გადასვლას ძირითადი მემკვიდრიდან სხვა პირზე, **სუბსტიტუცია** ეწოდება. არსებობს ორდინალური და ფიდეიკომისარული სუბსტიტუცია. საქართველოს კანონმდებლობა იზიარებს მხოლოდ ორდინალური სუბსტიტუციის პრინციპს, რომლის მიხედვითაც, შესაძლებელია, ანდერძით ძირითად მემკვიდრესთან ერთად, წინასწარ განსაზღვრული შემთხვევებისათვის, დაინიშნოს სათადარიგო მემკვიდრე. ეს უკანასკნელი მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში ჩაენაცვლება ძირითად მემკვიდრეს. ფიდეიკომისარული სუბსტიტუციის დროს მოანდერძე, რომელმაც დანიშნა მემკვიდრე, განსაზღვრავს არა მარტო მისგან

მემკვიდრეზე ქონების გადასვლის საკითხს, არამედ ასეთი ქონების შემდგომ ბედსაც. იგი ანდერძში მიუთითებს იმ პირს, რომელზეც უნდა გადავიდეს ქონება სამკვიდროს მიმღები მემკვიდრის გარდაცვალების შემდეგ. გამოდის, რომ მემკვიდრე, რომელმაც ანდერძით მიიღო სამკვიდრო ქონება, თავისი სურვილით ვერ განკარგავს მას გარდაცვალების შემთხვევისათვის. ამიტომ ეს პრინციპი ქართულმა კანონმდებლობამ უარყო.

ძირითადი მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა გულისხმობს მის ზოგად შინაარსს, ე.ი. უარის თქმას საერთოდ და არა ვინმეს სასარგებლოდ. იგულისხმება, რომ ასეთ შემთხვევაში ცნობილია პირი, რომელმაც უნდა მიიღოს ძირითადი მემკვიდრის წილი.

სათადარიგო მემკვიდრედ შეიძლება დაინიშნოს ნებისმიერი პირი, რომელსაც სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად გააჩნია სამემკვიდრეო უფლებაუნარიანობა. არა აქვს მნიშვნელობა კანონით მემკვიდრეთა წრიდან იქნება იგი თუ სხვა, ფიზიკური პირი იქნება თუ იურიდიული. მას არჩევს და ნიშნავს მხოლოდ მოანდერძე.

13.3. ანდერძის ფორმა

მამკვიდრებლის საანდერძო ნება გამოვლენილ უნდა იქნეს კანონით დადგენილი ფორმით. აუცილებელი ფორმის დაუცველობა ანდერძის გაბათილების საფუძველს წარმოადგენს. ეს ბუნებრივიცაა. ანდერძის შედგენა არსებითად ეხება არა მარტო მოანდერძის, არამედ მასთან დაკავშირებული სხვა პირების მნიშვნელოვან ინტერესებს. მოანდერძე დაინტერესებულია იმით, რომ ანდერძის აღსრულების დროს არ მოხდეს მისი ნების შეცვლა, სამკვიდრო ქონების ბედი განისაზღვროს ისე, როგორც მას სურდა. თავის მხრივ, მემკვიდრეები არა მარტო მატერიალური, არამედ ზნეობრივ-ეთიკური და თუნდაც სამართლებრივი მოსაზრებებით დაინტერესებული უნდა იყვნენ მოანდერძის უკანასკნელი ნების მართლზომიერად განხორციელებით. სწორედ ამისათვისაა აუცილებელი სამკვიდროს დამტოვებლის ნების მკვეთრად, გასაგებად და არაორაზროვნად გამოხატვა ანდერძში. უნდა არსებობდეს სრული გარანტია იმისა, რომ ანდერძის შედგენის შემდეგ არ მოხდება მისი შინაარსის გაყალბება და მოანდერძის ნების დამახინჯება.

ისტორიულად ანდერძის როგორც ზეპირი, ისე წერილობითი

ფორმებია ცნობილი. პირველად ზეპირი ფორმა დამკვიდრდა[1]. რომაული სამართლის მიხედვით გავრცელებული იყო სახალხო კრების, აგრეთვე სალაშქროდ გამზადებული ჯარის წინაშე წარმოთქმული ანდერძები. ზეპირი ანდერძის ნამდვილობის დადასტურება შესაძლებელი ხდება რამდენიმე მოწმის თანდასწრებითაც. მაგალითად, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში შესული ბერძნულ-რომაული სამართალი ნამდვილად ცნობს ორსული ქალის ანდერძს, რომელიც მან დაიბარა აბანოში ბანაობის დროს სიკვდილის წინ ცხრა-ათი სხვა მობანავე მოწმის თანდასწრებით. ასევე ნამდვილად ითვლებოდა დაბადებიდანვე ბრმა პირის ანდერძი, რომელიც ექვსი-შვიდი მოწმის თანდასწრებით ითქვა ან მოლაშქრე მხედრის ანდერძი სამ-ოთხ მოწმესთან შესრულებული. პარალელურად მკვიდრდება წერილობითი ანდერძები, როგორც უფრო საიმედო და მოანდერძის ნების სრულად გამომხატველი ფორმა. ანდერძს ჰქონდა როგორც საჯარო, ისე კერძო ხასიათი. წერილობითი ანდერძები უმეტესად შესანახად ბარდებოდა მოსამართლეებს, ნოტარიუსებსა და სასულიერო პირებს, რომლებსაც მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ ანდერძი უნდა მიეტანათ და მემკვიდრეებისათვის წაეკითხათ. ანდერძი იწერებოდა მოანდერძის ხელით ან სხვა პირის მიერ, რაც დასტურდებოდა მოანდერძის ან მოწმეთა ხელმოწერით.

თანამედროვე სამოქალაქო სამართალი ანდერძის მხოლოდ წერილობით ფორმას ითვალისწინებს. ამასთან, ეს ფორმა იმდენად მრავალი კუთხითაა წარმოდგენილი, რომ ტრადიციული ზეპირი ანდერძის საჭიროებას აშკარად გამორიცხავს. სამოქალაქო კოდექსის 1357-ე მუხლის მიხედვით, ანდერძი უნდა შედგეს წერილობითი ფორმით. ასეთი ანდერძი შეიძლება დადასტურდეს სანოტარო წესით, ხოლო იქ, სადაც ნოტარიუსი არ არის – თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ. სავალდებულო არ არის ყველა ანდერძის დადასტურება. კანონი არ განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაში უნდა დადასტურდეს ანდერძი ნოტარიალურად და როდის არაა საჭირო ამის გაკეთება. ამ საკითხს წყვეტს თვითონ მოანდერძე. სანოტარო ფორმა მოითხოვს, რომ ანდერძი შედგენილ და ხელმოწერილ იქნეს მოანდერძის მიერ და დადასტურებულ იქნეს ნოტარიუსის ან მასთან გათანაბრებული პირების მიერ.

როცა ანდერძი დგება სანოტარო ფორმის გარეშე, წერილობით

---

[1] Е. О. Харитонов, История частного (гражданского) права европы. Одесса 1998, с. 268

ანდერძზე მამკვიდრებლის ხელმოწერას სანოტარო წესით დამოწმება არ სჭირდება.

სანოტარო წესით დასამოწმებელი ანდერძი შეიძლება ორნაირი წესით შედგეს. ერთი, როცა ანდერძს დამოუკიდებლად ადგენს მოანდერძე და ადასტურებს ნოტარიუსი და მეორე, როცა ანდერძს მოანდერძის სიტყვებით ჩაიწერს ნოტარიუსი ორი მოწმის თანდასწრებით. მოანდერძის სიტყვებით ნოტარიუსის მიერ ჩაწერილი ანდერძი უნდა წაიკითხოს მოანდერძემ და ნოტარიუსისა და მოწმეების თანდასწრებით მოაწეროს ხელი. ანდერძის ჩაწერისას შესაძლებელია ტექნიკური საშუალებების გამოყენებაც. ამ გზით ჩაწერილი ანდერძი ქაღალდზე უნდა იქნეს გადატანილი. მოანდერძესთან ერთად ანდერძს ხელი უნდა მოაწეროს ნოტარიუსმა და მოწმეებმა. ანდერძში უნდა მიეთითოს იმის შესახებ, რომ მისი ჩაწერა ხდებოდა კონკრეტული მოწმეების თანდასწრებით.

მართალია, ანდერძის დადასტურება ნოტარიუსის პრეროგატივას წარმოადგენს, მაგრამ ზოგჯერ ამა თუ იმ ადგილზე ან ამა თუ იმ მდგომარეობაში მყოფ მოანდერძეს არა აქვს შესაძლებლობა მიმართოს ნოტარიუსს. მას კი დამოწმებული ანდერძი მეტი სიმშვიდის საფუძველს აძლევს. სწორედ ასეთ შემთხვევებს ითვალისწინებს კანონი და განსაზღვრულ პირებს აძლევს ანდერძის დადასტურების შესაძლებლობას. ანდერძის დადასტურებისას ნოტარიუსთან გათანაბრებულნი არიან:

ა. საავადმყოფოს, ჰოსპიტლისა და სხვა სამკურნალო დაწესებულების, სანატორიუმის მთავარი ექიმი, უფროსი, მათი მოადგილე სამედიცინო დარგში, მორიგე ექიმი, მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლის დირექტორი ან მთავარი ექიმი, თუ მოანდერძე ამ დაწესებულებაში მკურნალობს ან ცხოვრობს;

ბ. საძიებო, გეოგრაფიული ან სხვა მსგავსი ექსპედიციის უფროსი, თუ მოანდერძე ასეთ ექსპედიციაში იმყოფება;

გ. გემის კაპიტანი ან საჰაერო ხომალდის მეთაური, თუ მოანდერძე გემზე ან საჰაერო ხომალდზე იმყოფება;

დ. სამხედრო ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სასწავლებლის მეთაური, თუ სამხედრო ნაწილების დისლოკაციის პუნქტში ნოტარიუსი არ არის და თუ მოანდერძე სამხედრო მოსამსახურე ან სამხედრო ნაწილში მომსახურე სამოქალაქო პირი ან მათი ოჯახის წევრია;

ე. თავისუფლების აღკვეთის ადგილის უფროსი, თუ მოანდერძე

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იმყოფება.

ჩამოთვლილი თანამდებობის პირები ნოტარიუსს მხოლოდ ანდერძის დამოწმებაში უთანაბრდებიან და არა სხვა სახის სანოტარო მოქმედების შესრულებაში. თანაც მათ ნებისმიერი მოანდერძის ანდერძის დამოწმების უფლება კი არა აქვთ, არამედ მხოლოდ კანონით განსაზღვრული პირებისა, რომლებსაც ობიექტურად არსებული მიზეზების გამო არ შეუძლიათ მიმართონ ნოტარიუსს.

ნოტარიუსთან გათანაბრებული პირების მიერ დადასტურებული ანდერძი ძალაში რჩება მაშინაც, როცა უკვე აღარ არსებობს ის პირობები, რომლებიც საფუძვლად დაედო ანდერძის დამოწმების ასეთ წესს. თუ სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი მოანდერძე განიკურნა და სახლში დაბრუნების შემდეგ კვლავაც სურს ქონება იმ პირს დაუტოვოს, რომელიც მთავარი ექიმის მიერ დადასტურებულ ანდერძში იყო მითითებული, ასეთ ანდერძს არ სჭირდება ნოტარიუსის მიერ ხელახალი დადასტურება. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოანდერძეს არ შეეძლოს ანდერძის შეცვლა ან საერთოდ გაუქმება. ზემოაღნიშნულ თანამდებობის პირთა მიერ დადასტურებული ანდერძი შესაბამისად ეგზავნება სანოტარო ორგანოს მოანდერძის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამით ხაზი ესმება ანდერძის დადასტურების სხვადასხვა წესის სამართლებრივი შედეგების ერთგვაროვნებას.

მოანდერძეს, ფიზიკური ნაკლის ან ავადმყოფობის გამო, თუ არ შეუძლია ანდერძზე ხელის მოწერა, შესაძლებელია, მისი თხოვნით, ეს გააკეთოს სხვა პირმა. ამასთან, უნდა აღინიშნოს მიზეზი, რის გამოც მოანდერძემ ვერ შეძლო ანდერძზე ხელის მოწერა. მოანდერძის ნაცვლად ანდერძზე ხელის მოწერა შეუძლია ნებისმიერ პირს, გარდა იმისა, ვის სასარგებლოდაც არის შედგენილი იგი. იგულისხმება, რომ თვით ნოტარიუსი ან მასთან გათანაბრებული პირები, აგრეთვე მოწმეები ამ ფუნქციას ვერ შეასრულებენ. მოანდერძის ნაცვლად ხელმომწერ პირს უფლება აქვს გაეცნოს ანდერძის შინაარსს. ანდერძის გაცნობა სავალდებულო არ არის. ამიტომ ნოტარიუსს ან მოანდერძეს უფლება არა აქვს უარი უთხრას ასეთ პირს ანდერძის გაცნობის მოთხოვნაზე ან ნოტარიუსმა არ დაადასტუროს ანდერძი იმის გამო, რომ ხელის მომწერი უარს ამბობს ანდერძის შინაარსის გაცნობაზე. ანდერძზე სხვა პირის მიერ ხელის მოწერას აუცილებლად უნდა ესწრებოდეს მოანდერძე და ნოტარიუსი.

გარკვეული თავისებურებები ახასიათებს ყრუ-მუნჯისა და ბრმა

პირის ანდერძების გაფორმებას. ამ მხრივ, კანონის მომეტებული ყურადღება მოანდერძეთა ინტერესების დაცვის გარანტირებულობის მაღალი ხარისხის აუცილებლობითაა განპირობებული. ასეთი კატეგორიის პირთა ნამდვილი ნების გამოვლენა გასაგებ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ამიტომ კანონმა დამატებითი პირობები გაითვალისწინა. სამოქალაქო კოდექსის 1361-ე მუხლის მიხედვით, თუ მოანდერძე ყრუმუნჯია და, ამავე დროს, წერა-კითხვის უცოდინარიც, მან საანდერძო განკარგულება უნდა გააკეთოს ნოტარიუსთან ორი მოწმისა და ისეთი პირის თანდასწრებით, რომელსაც შეუძლია გააგებინოს მას საქმის არსი და დაადასტუროს თავისი ხელმოწერით, რომ ანდერძის შინაარსი შეესაბამება მოანდერძის ნებას. მოანდერძემ, რომელიც ბრმაა ან არ შეუძლია წერა-კითხვა, საანდერძო განკარგულება უნდა გააკეთოს ნოტარიუსთან სამი მოწმის თანდასწრებით. ამის შესახებ უნდა გაკეთდეს სათანადო ჩანაწერი და წაეკითხოს მოანდერძეს. ჩამწერი და წამკითხველი, სხვა პირების მსგავსად, შეიძლება იყვნენ მოწმეებიც, მაგრამ ჩამწერი, ამავე დროს, არ უნდა იყოს წამკითხველიც. ჩანაწერში მითითებულ უნდა იქნეს, თუ ვინ გააკეთა ჩანაწერი და ვინ წაუკითხა მოანდერძეს. ჩანაწერს ხელი უნდა მოაწერონ მოწმეებმა და დაადასტუროს ნოტარიუსმა. ასეთი დოკუმენტი სრულფასოვანი ანდერძია.

გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული ისეთი შემთხვევები, როცა აღმოჩნდება, რომ ნოტარიუსმა ან მათთან გათანაბრებულმა თანამდებობის პირმა არ იცის ის ენა, რომელზეც შედგენილია ანდერძი. ასეთ დროს მოწვეულ უნდა იქნეს მთარგმნელი. მან უნდა თარგმნოს ანდერძის ტექსტი და თარჯიმნობაც გასწიოს ანდერძის დადასტურების პროცესში. მთარგმნელის ვინაობისა და მისი მოწვევის საფუძვლის შესახებ ანდერძში უნდა გაკეთდეს სპეციალური აღნიშვნა.

ანდერძის სიმტკიცის მნიშვნელოვან საფუძველს მასში მოწმეთა მონაწილეობა წარმოადგენს. ანდერძის მოწმედ შეიძლება ნებისმიერი პირი გამოვიდეს. ამასთან, კანონი განსაზღვრავს პირთა იმ წრეს, რომლებიც არ შეიძლება იყვნენ ანდერძის მოწმეები. მათ რიგს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება არასრულწლოვნები. ეს გასაგებიცაა. მათი ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა ანდერძის სანდოობას ვერაფერს შემატებს. ასევე გამორიცხულია იმ პირთა მოწმეობა, რომელთაც შესაძლებელია ანდერძში მატერიალური ინტერესები გააჩნდეთ. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან: ანდერძით მემკვიდრე და მისი ნათესავები როგორც დაღმავალი, ისე აღმავალი ხაზით, აგრეთვე

დები, ძმები, მეუღლე და საანდერძო დანაკისრის მიმღები. ჩამოთვლილ პირთა წრე განსაზღვრულია. არ შეიძლება მისი გაფართოება. ამიტომ არასწორად უნდა ჩაითვალოს იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, მართალია, კანონი გვერდითი ხაზის ნათესავებიდან აკრძალვას მხოლოდ დებისა და ძმების მიმართ ავრცლებს, მაგრამ აქ იგულისხმებიან ამ უკანასკნელთა ნათესავებიც[1]. ანდერძის მოწმეებად ნათესავთა და მოყვარეთა ფართო წრის მოწვევა ისტორიულადაც არ მიიჩნეოდა მიზანშეწონილად. კერძო ანდერძები საქართველოში უმეტესად სამი-შვიდი მოწმის თანდასწრებით დგებოდა. ნათესავები და მოყვრები იშვიათად მონაწილეობდნენ მოწმეთა სახით. თუმცა სპეციალური აკრძალვა არ გამოიყენებოდა, სამაგიეროდ მოწმეთა სხვაგვარი შეზღუდვა არსებობდა. ვახტანგ VI-ის სამართლის მიხედვით, ანდერძის მოწმედ ღვთის მოშიში, ჭკვიანი, სამართლიანი და სანდო პირი უნდა ყოფილიყო მოწვეული. სხვა მოწმედ ვერ გამოდგებოდა. მხოლოდ ასეთ მოწმეს დაეჯერებოდა.

საჯარო ანდერძებში მოწმეთა ოდენობის განსაზღვრა და სხვაგვარი შეზღუდვა არ გვხვდება. მემატიანის გადმოცემით მირიან მეფის ანდერძის მოწმეები არიან მისი შვილი ბაქარი და ცოლი ნანა. ვახტანგ გორგასალი ოსებზე ლაშქრობის წინ საიდუმლოდ წერს ანდერძს ყოველგვარი მოწმის გარეშე და შესანახად დედას აბარებს. სამაგიეროდ სიკვდილის პირას მისული მეფე ვახტანგი ანდერძს წარჩინებულთა წინაშე წარმოთქვამს. დავით აღმაშენებლის ანდერძებში ერთადერთ მოწმედ მისი მოძღვარი, სულიერი მამა არსენ ბერი მონაწილეობს.

სანოტარო წესით ანდერძის დადასტურება ყოველთვის არაა სავალდებულო. შესაძლებელია წერილობითი ანდერძის შედგენა სანოტარო დადასტურების გარეშეც. ეს მნიშვნელოვანი სიახლეა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მას შინაურული და დახურული ანდერძის სახით წარმოადგენს.

შინაურული ეწოდება ისეთ ანდერძს, რომელიც მოანდერძემ თავისი ხელით დაწერა და ხელიც თვითონვე მოაწერა. ასეთი ანდერძი ინახება მოანდერძესთან და მას სრული იურიდიული ძალა გააჩნია. შესაძლებელია აგრეთვე ასეთი ანდერძი დალუქული კონვერტით შესანახად გადაეცეს ნოტარიუსს ან მასთან გათანაბრებულ შესა-

[1] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე. თბ., 2000. გვ. 418.

ბამის თანამდებობის პირს. კანონი ასეთი შემთხვევისათვის აწესებს ფორმალურ მოთხოვნას. გადაცემას უნდა ესწრებოდეს სამი მოწმე და ისინი კონვერტზე ხელმოწერით უნდა ადასტურებდნენ ამ ფაქტს. ნოტარიუსისათვის ანდერძის ოფიციალური მიბარება მისი შენახვის გარანტირებულ უზრუნველყოფას წარმოადგენს. მოანდერძესთან ან მის ახლობელთან ანდერძის შენახვას მისი დაკარგვის, გაფუჭების ან მოსპობის გარკვეული რისკი ახლავს. ამიტომ, უმჯობესია, შინაურული ანდერძი ინახებოდეს იმ პირთან, რომლისთვისაც ეს ფუნქცია მისი საქმიანობის ერთ-ერთი მახასიათებელია.

დახურულია ანდერძი, როცა იგი შედგენილია პირადად მოანდერძის მიერ და დადასტურებულია მოწმეების მიერ მისი შინაარსის გაუცნობლად. იგულისხმება, რომ მოწმეები ესწრებოდნენ ანდერძის შედგენას. კანონის ფორმალური მოთხოვნა, რომ მოწმეები ესწრებოდნენ ანდერძის მოანდერძის მიერ პირადად შედგენას, მაგრამ ანდერძის შინაარსს არ გასცნობიან, ასახულ უნდა იქნეს ანდერძის დადასტურებისას. მოწმეების მოწვევა მოანდერძის სურვილზეა დამოკიდებული. შინაურული ანდერძისაგან განსხვავებით, მოწმეები დახურული ანდერძის შედგენის ფაქტს ადასტურებენ. მოანდერძის სურვილზეა აგრეთვე დამოკიდებული, ანდერძის შინაარსს გააცნობს თუ არა მოწმეებს. თუ მოწმეები ანდერძის შინაარსს გაეცნობიან, მაშინ ანდერძი დახურული არ იქნება და შინაურულის სახეს მიიღებს. ასევე, შინაურული ანდერძი თუ მოანდერძესთან არ ინახება და ამისათვის ნოტარიუსს ჩაბარდა ოფიციალურად, ანდერძი სანოტარო წესით დადასტურებულს ემსგავსება. როგორც შინაურულ, ისე დახურულ ანდერძში მთავარია მოანდერძის ნების უხარვეზოდ გამოვლენა, რაც სხვადასხვა ფორმაში მოწმეთა სხვადასხვანაირი სტატუსით დასტურდება. შინაურული და დახურული ანდერძების ფართოდ გავრცელებას ხელს უწყობს ანდერძის შედგენის პროცესის გამარტივება, მოანდერძის ნების საიდუმლოების დაცვის მეტი ხარისხი და გაყალბების შეუძლებლობა. ამიტომ უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს ლიტერატურაში გამოთქმული აზრი იმის თაობაზე, რომ ასეთი ანდერძების შედგენისას მაინც რჩება მოანდერძის ნებაზე ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედების შესაძლებლობა[1].

კანონი ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესაძლებლობას უშვებს არა მარტო მაშინ, როცა ნოტარიუსი ან მასთან გათანაბრე-

---

[1] **შალვა ჩიკვაშვილი,** საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი. თბ., 1999. გვ. 452.

ბული პირი ახდენს მოანდერძისაგან ანდერძის ჩაწერას, არამედ თვით მოანდერძის მიერ ანდერძის შედგენისასაც. პირველთან შედარებით მეორე შემთხვევაში ანდერძის დადასტურების პროცესი შედარებით რთულ სახეს ატარებს. საბეჭდ მანქანაზე ან კომპიუტერზე შედგენილი ანდერძი ხელმოწერილ უნდა იქნეს მოანდერძის მიერ. ასეთ შემთხვევაში ანდერძის შედგენა და მოანდერძის ხელის მოწერა უნდა მოხდეს ორი მოწმის თანდასწრებით. მოწმეებმა უნდა დაადასტურონ, რომ ანდერძი შედგენილი იყო მათი თანდასწრებით და ტექნიკური საშუალების გამოყენებით. მოწმეთა მიერ ანდერძის დადასტურება უნდა მოხდეს მოანდერძის მიერ ანდერძზე ხელის მოწერის შემდეგ დაუყოვნებლივ – მოანდერძისა და ორივე მოწმის თანდასწრებით. ამასთან, ზუსტად უნდა მიეთითოს მოწმეების სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

ნებისმიერი ფორმით შედგენილი ანდერძის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს თარიღი. ანდერძში მითითებული უნდა იყოს მისი შედგენის თარიღი. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ანდერძის ნამდვილობისათვის. თარიღის არარსებობა იწვევს ანდერძის ბათილობას. გარდა ამისა, მოანდერძეს შეუძლია ნებისმიერ დროს გააუქმოს ან ნაწილობრივ შეცვალოს ანდერძი. ასეთ შემთხვევებში აუცილებელია მოანდერძის უკანასკნელი ნების გამოვლენის თარიღის დადგენა. შესაძლებელია ეჭვქვეშ დადგეს ანდერძის სიახლე, როცა მისი შედგენის თარიღი არ არის მითითებული, მით უმეტეს, თუ რამდენიმე ანდერძია შედგენილი. მნიშვნელოვნად რთულდება საქმე, როცა იგი დაკავშირებულია მოანდერძის ქმედუნარიანობასთან. თუ პირი შეზღუდულქმედუნარიანად იქნა ცნობილი ანდერძის შედგენის შემდეგ, ეს, ბუნებრივია, გავლენას არ მოახდენს ანდერძის ნამდვილობაზე. მაგრამ, როცა ანდერძში თარიღი მითითებული არ არის, შესაძლებელია ეს სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმის თაობაზე, თუ როდისაა შედგენილი ანდერძი – მოანდერძის შეზღუდულქმედუნარიანობის თუ სრული ქმედუნარიანობის პერიოდში. ასეთი ეჭვი შეიძლება გაქარწყლდეს სხვადასხვა დამამტკიცებელი საბუთით. თუ ეს შეუძლებელი გახდა, ანდერძი უნდა გაბათილდეს.

ანდერძის საიდუმლოების დაცვასა და მისი შინაარსით დაინტრესებულ პირთათვის გაცნობის წესს ეხება სამოქალაქო კოდექსის 1363-ე და 1369-ე მუხლები.

ანდერძის საიდუმლოების შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველგვარი ცნობა ანდერძის შესახებ უნდა გაიცეს მხოლოდ მოანდერ-

ძის გარდაცვალების შემდეგ. მანამდე კი, ნოტარიუსს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც დაადასტურა ანდერძი, მოწმეს, აგრეთვე სხვა პირებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ანდერძს მოანდერძის ნაცვლად, უფლება არა აქვთ სამკვიდროს გახსნამდე გაამხილონ ცნობები ანდერძის შინაარსის, მისი შედგენის, შეცვლის ან გაუქმების შესახებ. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს აღნიშნულ პირთა პასუხისმგებლობას. კერძოდ, თუ ანდერძთან დაკავშირებული ცნობების გავრცელებამ ზიანი მიაყენა მემკვიდრეს, იგი უნდა აანაზღაუროს დამრღვევმა პირმა. მართალია, კანონი ჩამოთვლის პოტენციურ დამრღვევ პირებს, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ პასუხისმგებლობა არ დაეკისრებათ იმათ, ვისთვისაც ანდერძის შინაარსი ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით (მაგალითად, სანოტარო ბიუროს სხვა მუშაკი) და მან გაამჟღავნა ანდერძის საიდუმლოება. ასეთ შემთხვევაში მასაც უნდა დაეკისროს სამოქალაქო პასუხისმგებლობა. ერთადერთი პირი, ვისაც უფლება აქვს გაამჟღავნოს ანდერძის საიდუმლოება, არის თვითონ მოანდერძე.

ანდერძთან დაკავშირებული ცნობების გამჟღავნება, ჩვეულებრივ, მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ ხდება. ამას აკეთებს ნოტარიუსი. იგი ნიშნავს დღეს, მოიწვევს დაინტერესებულ პირებს და მათ გააცნობს ანდერძის შინაარსს. ეს ეხება არა მარტო იმ ანდერძს, რომელიც ნოტარიუსმა დაადასტურა, არამედ მისთვის შესანახად მიბარებულ ნებისმიერ ანდერძს. ნოტარიუსმა ყველა დაინტერესებულ პირს უნდა აუხსნას ანდერძთან დაკავშირებული მათი უფლება-მოვალეობები.

13.4. სავალდებულო წილი

ანდერძის თავისუფლების პრინციპისათვის დამახასიათებელ თავისებურებას ოდითგანვე წარმოადგენდა მისი აბსოლუტური ხასიათის ერთგვარი შეზღუდვა. მოანდერძეს არ უნდა ჰქონოდა მთელი თავისი ქონების ანდერძით მემკვიდრეთა შორის სრულად განაწილების უფლება. ქონების განსაზღვრული ნაწილი უნდა დარჩენილიყო ანდერძის მიღმა და გამოყენებულიყო ოჯახის წევრთა ინტერესების უზრუნველსაყოფად. მათ გარანტირებული უნდა ჰქონოდათ მოანდერძის ქონებიდან წინასწარ განსაზღვრული წილის მიღების შესაძლებლობა.

მას მემკვიდრეობაში სავალდებულო წილი ერქვა. ანდერძის თავისუფლების ასეთი შეზღუდვა დღემდე მემკვიდრეობის სამართლის პროგრესულ ნიშნად ითვლება.

ამგვარად, სავალდებულო წილი მემკვიდრეობაში ნიშნავს მოანდერძის ქონებიდან კანონით განსაზღვრული პირების მიერ წინასწარ დადგენილი ოდენობით წილის მიღების უფლებას, ანდერძის შინაარსის მიუხედავად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის საფუძველზე მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა. ამ ნორმიდან გამომდინარე, სავალდებულო წილის მიღების უფლება გააჩნიათ მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს. მისი ოჯახის სხვა წევრები მსგავსი უფლებით არ სარგებლობენ. სავალდებულო წილის ოდენობაც განსაზღვრულია. იგი უნდა იყოს იმ ქონების ნახევარი, რასაც აღნიშნული პირები მიიღებდნენ ანდერძი რომ არ ყოფილიყო. სავალდებულო წილის მიღების უფლება არა აქვთ ულირს მემკვიდრეებს. მათ, საერთოდ, ჩამორთმეული აქვთ მემკვიდრეობის უფლება.

შესაძლებელია, მოანდერძემ ანდერძით მემკვიდრედ გაითვალისწინა, მაგალითად, მეუღლე და სამკვიდრო ქონების ნაწილი მას დაუტოვა. მეუღლეს ყოველთვის ექნება მისთვის ანდერძით დატოვებული ქონების კუთვნილ სავალდებულო წილამდე გაზრდის მოთხოვნის უფლება.

განსახვავებული წესი არსებობდა ადრე მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. სხვაგვარად იყო განსაზღვრული სავალდებულო წილის უფლების სუბიექტები და წილის ოდენობაც. სავალდებულო მემკვიდრეებად ითვლებოდნენ მამკვიდრებლის არასრულწლოვანი და სრულწლოვანი, მაგრამ არაშრომისუნარიანი შვილები, არაშრომისუნარიანი მეუღლე, მშობლები და მამკვიდრებლის რჩენაზე მყოფი სხვა კანონისმიერი მემკვიდრეები. არაშრომისუნარიანობას განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა. სავალდებულო წილის ოდენობა კი არ უნდა ყოფილიყო იმ ქონების ორ მესამედზე ნაკლები, რაც პირს კანონით მემკვიდრეობის დროს უნდა მიეღო. ახალი კანონმდებლობით ზუსტად განისაზღვრა სავალდებულო წილის უფლების მქონე პირთა რიცხვი. მასში არ შედიან მამკვიდრებლის კმაყოფაზე მყოფი სხვა მემკვიდრეები. სავალდებულო წილის მისაღებად არასრულწლოვანება და

არაშრომისუნარიანობა აუცილებელი არ არის. შედარებით შემცირდა სავალდებულო წილის ოდენობა. იგი კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს მისაღები ქონების ორი მესამედის ნაცვლად გახდა ნახევარი. აღნიშნული ცვლილებები ნაკარნახევია ახალი რეალობის შესაბამისი გარემოებებით. ამიტომ არასწორად უნდა ჩაითვალოს ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ სავალდებულო წილის მიღების უფლება უნდა ჰქონდეთ მხოლოდ შრომისუუნარო მემკვიდრეებს, რომ სავალდებულო წილი უნდა იქცეს მათთვის არსებობის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ.[1] ასეთი პოზიცია თავისი შინაარსით საბჭოური ხასიათისაა და არსებითად ეწინააღმდეგება საბაზრო ურთიერთობათა პრინციპებს. იგი არ გამომდინარეობს აგრეთვე ოჯახის წევრთა ინტერესებიდანაც. თუ სავალდებულო წილის ინსტიტუტი უმეტესწილად მამკვიდრებლის ახლობელ პირთა უსახსრობის აღმოფხვრის საშუალებად მოიაზრებოდა, ეს ამოცანა მას ახალ ვითარებაშიც შერჩა. შრომისუნარიანი უმუშევარი შვილი, მშობელი ან მეუღლე არსებობისათვის საჭირო სახსრების მოპოვების პროცესში არავითარი უპირატესობით არ სარგებლობს შრომისუუნაროსთან შედარებით. გარდა ამისა, სავალდებულო წილისადმი კანონის ახლებური მიდგომა ოჯახის წევრებისადმი ზნეობრივი ვალდებულებების რეალურად შესრულების გამოხატულებაცაა.

სავალდებულო წილის ინსტიტუტის დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ანდერძის დადასტურებისას მოანდერძეს უნდა განემარტოს მის შესახებ და ეს აისახოს კიდეც ანდერძში, რათა თავიდან იქნეს აცილებული ანდერძის აღსრულებისას შესაძლო გაუგებრობანი.

სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება მემკვიდრეს წარმოეშობა სამკვიდროს გახსნის მომენტიდან. ასეთი მოთხოვნის უფლება გადადის მემკვიდრეობით. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ სამკვიდროს გახსნის შემდეგ მემკვიდრე გარდაიცვალა და მან ვერ მოასწრო სავალდებულო წილის მიღება, მაშინ მემკვიდრის მემკვიდრეებს უფლება წარმოეშობათ მოითხოვონ ის სავალდებულო წილი, რაც გარდაცვლილ მემკვიდრეს ერგებოდა. სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება მემკვიდრეობით გადადის არა ყველა მემკვიდრეზე, არამედ იმათზე, რომელთაც გარდაცვლილი მემკვიდრისგან ეკუთვნით სავალდებულო წილი, ე.ი. მხოლოდ შვილებზე, მშობლებსა და მეუღლეზე. თუ მემკვიდ-

[1] **შალვა ჩიკვაშვილი**, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი. თბ., 1999. გვ. 461.

რის მემკვიდრე, რომელსაც სავალდებულო წილის მიღების უფლება გააჩნია, რამდენიმეა, მათ მემკვიდრის კუთვნილი სავალდებულო წილი თანაბრად ეკუთვნით. იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრის მემკვიდრემ ვერ მოასწრო სავალდებულო წილიდან ქონების მიღება და ისე გარდაიცვალა, მაშინ შესაბამისად მის მემკვიდრეებზე გადავა სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება.

სავალდებულო წილის განსაზღვრის დროს აუცილებელია კანონით განსაზღვრული რამდენიმე მოთხოვნის მკაცრად დაცვა. უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს სამკვიდრო ქონების მთელი მოცულობა. **სწორედ მთელი სამკვიდრო ქონებაა სავალდებულო წილის განსაზღვრის საფუძველი და არა ანდერძში მითითებული ქონება.** აქედან გამომდინარე, სავალდებულო წილი უნდა განისაზღვროს არა მარტო ანდერძში მითითებული, არამედ ანდერძს გარეთ დარჩენილი ქონებიდანაც.

სამკვიდრო ქონების მთლიან მოცულობაში უნდა ჩაირთოს ის ქონებაც, რომელიც გათვალისწინებულია საანდერძო დანაკისრის, ანუ სხვა პირის სასარგებლოდ რაიმე ვალდებულების ან საერთოსასარგებლო მიზნით რაიმე მოქმედების შესასრულებლად. მაგალითად, თუ მოანდერძემ 5000 ლარი დაუტოვა თავის ყოფილ თანამშრომელს, რომელსაც, ამავე დროს, დააკისრა შვილიშვილისათვის სწავლის საფასურის 3 000 ლარის ოდენობით გადახდა და ანდერძში არაფერი აღნიშნა მისი დანარჩენი 12 000 ლარის ქონების შესახებ, სავალდებულო წილის განსაზღვრა უნდა მოხდეს არა ანდერძის გარეთ დარჩენილი ქონებიდან (12 000 ლ.) ან ანდერძით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი ქონების ჯამიდან (17 000 ლ.), არამედ მთელი სამკვიდრო ქონებიდან (20 000 ლ.).

სავალდებულო წილის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია კანონით მემკვიდრეთა რიცხვის დადგენაც. სწორედ, კანონით მემკვიდრეთა წრიდან ხდება ზოგიერთისათვის სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების მინიჭება. ამიტომ აუცილებელია დადგინდეს, თუ რამდენია ასეთი პირი. რაც უფრო მეტია სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების მქონე პირი, მით უფრო ნაკლები ქონება ერგება თითოეულს კანონით მემკვიდრეობის დროს და ბუნებრივია, რომ თითოეულის სავალდებულო წილიც შესაბამისად შემცირდება. კანონით მემკვიდრეთა რიცხვი კი განისაზღვრება მოანდერძის გარდაცვალების მომენტისათვის. მემკვიდრეთა რიცხვში შევა უღირსი მემკვიდრეც. თუ

მას ჩამოერთმევა მემკვიდრეობის უფლება, მისი წილი ქონება უნდა განაწილდეს სხვა მემკვიდრეებს შორის, რამაც შეიძლება სავალდებულო წილის გაზრდა გამოიწვიოს. მას შემდეგ, რაც დადგინდება კანონით მემკვიდრეთა ის წრე, რომელთაც მემკვიდრეობის მიღების უფლება აქვთ ანდერძის არარსებობის შემთხვევაში, სამკვიდრო ქონების მთელი მოცულობა უნდა გაიყოს ასეთ პირთა რიცხვზე. მიღებული სიდიდის ნახევარი იქნება თითოეული წევრის სავალდებულო წილი. მაგალითად, თუ სამკვიდრო ქონების მთელი მოცულობა 20 000 ლარის ღირებულებისაა და სავალდებულო წილის უფლების მქონე კანონისმიერი მემკვიდრეები არიან მამკვიდრებლის ორი შვილი, მშობლები და მეუღლე, თითოეული მათგანი ანდერძის არარსებობის შემთხვევაში, რადგან 4000 ლარის ქონებას მიიღებდა, ანდერძით სხვა პირისათვის ქონების დატოვების შემთხვევაში, აღნიშნული ხუთი მემკვიდრიდან თითოეული სავალდებულო წილის სახით 2000 ლარის ქონებას მიიღებს. მაგრამ, თუ მამკვიდრებელს მხოლოდ ერთი შვილი დარჩა და მასაც ანდერძით ჩამოართვა მემკვიდრეობა და სხვას გადასცა, მაშინ მთელი სამკვიდრო ქონება შუაზე გაიყოფა. ერთ ნახევარს შვილი მიიღებს სავალდებულო წილის სახით, ხოლო მეორე ნახევარს – ანდერძისმიერი მემკვიდრე.

კანონისმიერი მემკვიდრე, რომელსაც სავალდებულო წილის მიღების უფლება გააჩნია, ვალდებულია სამკვიდროს გახსნამდე მამკვიდრებლისაგან მიღებული მთელი ქონება ჩათვალოს სავალდებულო წილში. ამისათვის კი აუცილებელია, რომ არსებობდეს სპეციალური დათქმა მამკვიდრებლისაგან მიღებული ქონების სავალდებულო წილში ჩართვის შესახებ. თუ ასეთი დათქმა არ არებობს, მაშინ მამკვიდრებლისაგან მიღებული ქონება ჩაირთვება საერთო-სამკვიდრო ქონებაში და მისგან მოხდება სავალდებულო წილის განსაზღვრა.

სავალდებულო წილის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს მამკვიდრებლის მიერ სხვაზე გაჩუქებული ქონების ღირებულებაც. ასეთი წესი სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების მქონე პირთა ინტერესების დაცვის მაღალი ხარისხითაა ნაკარნახევი და სრულებითაც არ გულისხმობს მამკვიდრებლის შეზღუდვას თავისი ქონების განკარგვის საქმეში ან დასაჩუქრებული პირის ინტერესების საწინააღმდეგო ღონისძიების გატარებას – ვთქვათ, ჩუქების ხელშეკრულების გაბათილებასა და დასაჩუქრებულისაგან საჩუქარის გამოთხოვას. აქ საქმე ეხება სამკვიდრო ქონებიდან სავალდებულო წილის გამოთვლის განსხვავებულ წესს. მაგალითად, თუ მამკვიდრე-

ბელმა ანდერძის გაფორმების შემდეგ თავისი ქონებიდან სხვა პირზე გააჩუქა 1000 ლარის ღირებულების ქონება და დარჩენილი სამკვიდრო ქონების ღირებულებამ 4000 ლარი შეადგინა, სავალდებულო წილი, სამკვიდროს გახსნის შემთხვევაში, გამოანგარიშებულ უნდა იქნეს არა 4000 ლარიდან, არამედ 5000 ლარიდან. თუ სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე ორი პირია, თითოეული მიიღებს არა 1000 ლარის (4000:2=2000, რომლის ნახევარი 1000-ია), არამედ 1250 ლარის (5000:2=2 500, რომლის ნახევარი 1250-ია) ღირებულების ქონებას. ამ შემთხვევაში გაჩუქებული ქონების ღირებულების სამკვიდრო ქონებაში გათვალისწინება სავალდებულო წილის ოდენობას ზრდის 250 ლარით. გაჩუქებული ნივთის ღირებულების გათვალისწინება უნდა მოხდეს სავალდებულო წილის უფლების მქონე კანონისმიერი მემკვიდრის მოთხოვნის საფუძველზე. ასეთი მოთხოვნის დაყენება კი შესაძლებელია ქონების გაჩუქებიდან 10 წლის ფარგლებში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება ისპობა და სავალდებულო წილი გამოიანგარიშება გაჩუქების შემდეგ დარჩენილი სამკვიდრო ქონებიდან.

შესაძლებელია, მამკვიდრებელმა ქონება ანდერძით დაუტოვოს ისეთ პირს, რომელსაც სავალდებულო წილის მიღების უფლება გააჩნია. ასეთ შემთხვევაში ანდერძით მემკვიდრემ ქონება უნდა მიიღოს. იგი სავალდებულო წილს ვერ მიიღებს, რადგან ეს შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ იგი ანდერძში მემკვიდრედ არ იქნებოდა მოხსენიებული. მაგრამ ნაანდერძევი ქონება თუ იმაზე ნაკლებია, რასაც სავალდებულო წილის სახით მიიღებდა ანდერძისმიერ მემკვიდრედ რომ არ ყოფილიყო მიჩნეული, მას უფლება აქვს მოითხოვოს ნაანდერძევი ქონების გაზრდა სავალდებულო წილის ოდენობამდე. მაგალითად, 1200 ლარის ღირებულების ქონება მამკვიდრებელმა ანდერძით დაუტოვა თავის მეუღლესა და მეუღლის მშობლებს. მეუღლე სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლებით სარგებლობს. ანდერძით მას ეკუთვნის 400 ლარის ქონება. სავალდებულო წილის სახით იგი მიიღებდა 600 ლარის ქონებას ანდერძში საერთოდ რომ არ ყოფილიყო ნახსენები. ე.ი. ანდერძით მას უფრო ნაკლები ქონება ერგება, ვიდრე სავალდებულო წილის სახით შეიძლებოდა მიეღო. სხვაობა 200 ლარია, რომლის დამატებით მოთხოვნის უფლება გააჩნია მეუღლეს. სულ მან უნდა მიიღოს 600 ლარის ქონება. მეორე 600 ლარი კი განაწილდება სიდედრ-სიმამრს შორის.

მემკვიდრეს ყოველთვის შეუძლია უარი თქვას სამკვიდრო ქონების

მის კუთვნილ წილზე. უფრო მეტიც, მას შეუძლია უარი თქვას თავის წილზე სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ. ამ საერთო წესიდან გამონაკლისი სავალდებულო წილს ეხება. სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას მის მიღებაზე, მაგრამ ეს არ გამოიწვევს სხვა თანამემკვიდრეების სავალდებულო წილის გაზრდას. სავალდებულო მემკვიდრეების ნაცვლად, მისი წილი განაწილდება ანდერძით მემკვიდრეებს შორის. მაგალითად, თუ მამკვიდრებელს ჰყავს მეუღლე, შვილი და მშობლები, მაგრამ ანდერძით მან თავისი ქონება დაუტოვა სიდედრსა და მშობლებს, გაბრაზებულ მეუღლეს შეუძლია უარი თქვას თავისი კუთვნილი სავალდებულო წილის მიღებაზე, მაგრამ არ შეუძლია ეს უარი თავისი შვილის სასარგებლოდ გამოიყენოს. მას ასევე არ შეუძლია უარის თქმა ანდერძით მემკვიდრეთაგან რომელიმეს სასარგებლოდ. მისი კუთვნილი სავალდებულო წილი ასეთ შეთხვევაში თანაბრად განაწილდება მამკვიდრებლის სიდედრსა და მშობლებს შორის.

სავალდებულო წილის მიღება ან მასზე უარის თქმა უნდა მოხდეს იმ ვადებში, რაც სამკვიდროს მიღების ან მასზე უარის თქმისათვის არის დადგენილი. ასეთ ვადად, შესაბამისად, დადგენილია ექვსი და სამი თვე. რადგან კანონით დადგენილია მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მემკვიდრეობის უფლებაჩამორთმეულ პირს ავტომატურად ჩამოერთმევა სავალდებულო წილის უფლებაც. მართალია, სავალდებულო წილის მიღების უფლება შეიძლება ჩამორთმეულ იქნეს იმ საფუძვლების არსებობისას, რომელიც იწვევს საერთოდ მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას, მაგრამ მას სპეციფიკური თავისებურება ახასიათებს. სავალდებულო წილის მიღების უფლება მემკვიდრეს შეიძლება ჩამოერთვას მამკვიდრებლის სიცოცხლეში, თუ ეს უკანასკნელი ამის შესახებ მიმართავს სასამართლოს. სასამართლოს გადაწყვეტილებაც შეიძლება მამკვიდრებლის სიცოცხლეშივე იქნეს მიღებული, მაგრამ იგი ამოქმედდება მისი გარდაცვალების შემდეგ – სამკვიდროს გახსნის მომენტიდან. ასეთივე შედეგი დადგება მაშინაც, როცა მამკვიდრებელმა ჯერ კიდევ სიცოცხლეში მიმართა სასამართლოს, მაგრამ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მისი გარდაცვალების შემდეგ. მამკვიდრებლის გარდა სხვა დაინტერესებულ პირებსაც შეუძლიათ მოითხოვონ სავალდებულო წილის ჩამორთმევა. ეს უნდა მოხდეს არა მამკვიდრებლის სიცოცხლეში, არამედ სამკვიდროს გახსნის შემდეგ. იმ მემკვიდრის წილი, რომელსაც

სავალდებულო წილის მიღების უფლება ჩამოერთმევა, ანდერძის გარეშე დარჩენილ ქონებად კი არ ჩაითვლება და განაწილდება სხვა სავალდებულო მემკვიდრეებს შორის, არამედ გადადის ანდერძით მემკვიდრეებზე და მათ შორის ნაწილდება თანაბრად და არა თითოეული მათგანის წილის შესაბამისად. მაგალითად, მამკვიდრებელმა მეუღლეს ჩამოართვა სავალდებულო წილის მიღების უფლება სასამართლოს მეშვეობით, ხოლო 1000 ლარის ღირებულების ქონებიდან 600 ლარის ქონება უანდერძა ორ შვილს თანაბრად და 200-200 ლარისა – მშობლებს. ასეთ შემთხვევაში მეუღლის სავალდებულო წილი – 100 ლარი გაიყოფა ოთხად და თითოეული ანდერძისმიერი მემკვიდრე დამატებით მიიღებს 25 ლარს.

სავალდებულო წილის ოდენობის განსაზღვრაზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენს საანდერძო დანაკისრი. როცა პირი სავალდებულო მემკვიდრეცაა და საანდერძო დანაკისრის მიმღებიც, შეუძლია სავალდებულო წილი სრულად მოითხოვოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უარს იტყვის საანდერძო დანაკისრის შესრულებისათვის გათვალისწინებული ქონების მიღებაზე. იგულისხმება, რომ საანდერძო დანაკისრის შესასრულებლად სავალდებულო მემკვიდრეს სამკვიდრო მასიდან ქონება არ უნდა გამოეყოს. თუკი იგი საანდერძო დანაკისრზე უარს არ იტყვის, მაშინ სავალდებულო წილს სრულად ვერ მიიღებს. მას უფლება ექნება მოითხოვოს ქონების ის ნაწილი, რომელიც სავალდებულო წილის ფარგლებში აღემატება საანდერძო დანაკისრს. აქედან გამომდინარე, თუ საანდერძო დანაკისრი სავალდებულო წილის ტოლფასია ან მასზე მეტი, სავალდებულო მემკვიდრე ვერაფერს მიიღებს სავალდებულო წილის სახით. მაგალითად, თუ საანდერძო დანაკისრი ითვალისწინებს მემკვიდრისათვის 500 ლარის ღირებულების ქონების გადაცემას, ხოლო სავალდებულო წილის ოდენობა 800 ლარია და მემკვიდრე საანდერძო დანაკისრის მიღებაზე უარს არ იტყვის, მაშინ მას უფლება ექნება მიიღოს საანდერძო დანაკისრი მთლიანად, ანუ 500 ლარი და სავალდებულო წილიდან მხოლოდ 300 ლარი (800-500), რითაც ნაკლებია საანდერძო დანაკისრი სავალდებულო წილზე. მაგრამ, თუ საანდერძო დანაკისრი 500 ლარია და სავალდებულო წილი კი – 400 ლარი, მემკვიდრე მიიღებს მხოლოდ 500 ლარს საანდერძო დანაკისრის სახით, სავალდებულო წილიდან იგი ვერაფერს ვერ მიიღებს. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში მემკვიდრე ვალდებულია შეასრულოს საანდერძო დანაკისრით გათვალისწინებული ვალდებულება.

სავალდებულო წილის ინსტიტუტი შეიძლება მემკვიდრეობის სპეციფიკურ სახედ იქნეს მიჩნეული. იგი ცალსახად არც კანონისმიერ და არც ანდერძისმიერ მემკვიდრეობას არ მიეკუთვნება. მასში ორივე სახის მემკვიდრეობის ელემენტების პოვნა შეიძლება. სავალდებულო წილის მემკვიდრეობით მიღება კანონით მემკვიდრეობის სახესხვაობა იმიტომ არ არის, რომ იგი მთლიანად არის განპირობებული ანდერძის არსებობით. ანდერძით მემკვიდრეობისაგან კი იმით განსხვავდება, რომ გულისხმობს ანდერძის შეზღუდვას და კანონით იმ პირთა განსაზღვრას, რომელთაც გააჩნიათ სავალდებულო წილის მიღების უფლება. სწორედ ამიტომ წარმოადგენს იგი მემკვიდრეობის ორივე სახის მიჯნაზე აღმოცენებულ და მთელი სამემკვიდრეო ურთიერთობის შინაარსისა და ფუნქციის განმსაზღვრელ აუცილებელ ინგრედიენტს[1].

სავალდებულო წილის მსგავსი ინსტიტუტი ცნობილია უმრავლესი ქვეყნის კანონმდებლობისათვის. მათ შეიძლება სხვადასხვა სახელწოდება, ამ უფლების მქონე პირთა სხვადასხვა შემადგენლობა და წილის სხვადასხვა ოდენობა ჰქონდეთ განსაზღვრული. ყველგან ეს ინსტიტუტი ითვალისწინებს სამკვიდროს დამტოვებლის ახლობელთა გარანტირებულ უზრუნველყოფას სამკვიდროდან განსაზღვრული წილის მიღებით.

ზოგიერთ ქვეყანაში (საფრანგეთი, იტალია და სხვ.) ცნობილია ე.წ. „სარეზერვო სისტემა", რომლის მიხედვითაც მოანდერძეს უფლება აქვს თავისი ქონების განსაზღვრული ნაწილი განკარგოს ანდერძის შედგენისას. ქონების ასეთი თავისუფალი ნაწილის ოდენობა შეიძლება იყოს ნახევარი ან უფრო ნაკლები იმის მიხდვით თუ რამდენი შვილი და პირდაპირი აღმავალი შტოს ნათესავი ჰყავს. მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, მამკვიდრებელს შეუძლია ანდერძით განკარგოს თავისი ქონების ნახევარი თუ ერთი შვილი ჰყავს, მესამედი – თუ ორი შვილი ჰყავს და მეოთხედი – თუ სამი და მეტი შვილი ჰყავს. დარჩენილი ქონება ითვლება რეზერვად შვილების, მეუღლისა და სხვა ახლო ნათესავების ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

სავალდებულო წილის მოდელის მსგავსი ინსტიტუტი არსებობს რუსეთსა და გერმანიაში. რუსეთის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით

---

[1] დანვრილებით იხილეთ: **ზ. ახვლედიანი**, ანდერძით მემკვიდრეობის ზოგიერთი საკითხი საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით. ჟ. „ქართული სამართლის მიმოხილვა", თბ., 1998. **ნ. ძნელაძე**, სავალდებულო წილის ინსტიტუტის პრობლემები მემკვიდრეობით სამართალში, ჟ. „სამართალი", 2000, №6-7.

სავალდებულო წილის, ანუ სამკვიდრო ქონების წინასწარ „დაჯავშნული" ნაწილის მიღების უფლება აქვს არაშრომისუნარიან მეუღლეს, მშობლებსა და არასრულწლოვან შვილებს იმ ქონების არანაკლებ ორი მესამედის ოდენობით, რასაც მიიღებდნენ კანონით მემკვიდრეობის დროს. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მეხუთე განყოფილება, რომელიც სავალდებულო წილის საკითხებს ეხება, ქართული სამემკვიდრეო სამართლის ნორმების ანალოგიურია.

ინგლისური სამართლისათვის უცნობია როგორც სარეზერვო სისტემა, ისე სავალდებულო წილის ინსტიტუტი. იგი ეყრდნობა ანდერძის სრული თავისუფლების პრინციპს. ამიტომ არაშრომისუნარიან მეუღლესა და შვილებს გააჩნიათ უფლება, მიმართონ სასამართლოს რჩენისათვის აუცილებელი გონივრული წილის განსაზღვრისა და მათთვის მიკუთვნების თაობაზე. სამკვიდრო ქონებიდან ალიმენტის დანიშვნა მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა.

ამერიკის ბევრ შტატში (ნიუ-იორკი, პენსილვანია, მიჩიგანი და სხვ.) დამკვიდრებულია მამკვიდრებლის მეუღლის მიერ „წილის არჩევის" სისტემა, რომლის მიხედვითაც მას შეუძლია აირჩიოს მემკვიდრეობის სახე – კანონისმიერი ან ანდერძისმიერი, რაც საშუალებას მისცემს მას უკეთესი შესაძლებლობა გამოიყენოს სამკვიდრო ქონებიდან „გონივრული წილის" მისაღებად. წილის ოდენობა დამოკიდებულია პირდაპირი დაღმავალი ხაზის მემკვიდრეთა რაოდენობაზე. იგი არ შეიძლება აღემატებოდეს სამკვიდრო ქონების ნახევარს.

13.5. საანდერძო დანაკისრი

საანდერძო განკარგულებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია **საანდერძო დანაკისრს**. იგი მოანდერძის ნების სრულად გამოხატვისა და სამკვიდრო ქონების რაციონალურად განკარგვის საშუალებას წარმოადგენს. მისი ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, **რომ მოანდერძეს შეუძლია დააკისროს მემკვიდრეს ერთი ან რამდენიმე პირის სასარგებლოდ რაიმე ვალდებულების შესრულება სამკვიდროს ხარჯზე.**

საანდერძო დანაკისრი მემკვიდრეობითი სამართლის უძველესი ინსტიტუტია. იგი სრულყოფილი სახით რომის სამართლის ეპოქაში ჩამოყალიბდა და დღემდე თითქმის უცვლელად არსებობს. მაშინდელი

სამართლის მიხედვით მოანდერძეს შეეძლო ანდერძში აღენიშნა, რომ სამკვიდრო ქონებიდან განსაზღვრული ნაწილი გადასულიყო არა მემკვიდრის, არამედ სხვა პირთა ხელში. ასეთ განკარგულებას ლეგატი (Legatum) ეწოდებოდა. ლეგატის დანიშნულება იყო ლეგატარისათვის, ანუ საანდერძო დანაკისრის მიმღებისათვის განსაზღვრული სარგებლის მოტანა. იგი გამორიცხავდა მემკვიდრის მდგომარეობის გაუარესებას. თუ ასეთი რამ გამოვლინდებოდა, ლეგატი ბათილად ცხადდებოდა. ამიტომ საკვლევით ბუნებრივად ითვლებოდა ის, რომ მემკვიდრე არა მარტო ვალდებული იყო ლეგატარისათვის გადაეცა გარკვეული ნივთი, არამედ დახმარებოდა მის მიღებაში და ხელი არ შეეშალა სერვიტუტისა თუ უზუფრუქტის გამოყენებაში.

ლეგატის შესახებ განკარგულება თავდაპირველად ანდერძში შედიოდა. შემდგომ დაუშვეს მისი ცალკე გაფორმების შესაძლებლობა. ასეთ განკარგულებებს კოდიცილები (Codicili) ეწოდებოდა. თუ ლეგატარი უარს იტყოდა ლეგატზე, შესაბამისი ქონება მემკვიდრეს რჩებოდა. მემკვიდრის უარი სამკვიდროს მიღებაზე არ ნიშნავდა ლეგატის გაუქმებას. ლეგატარი მაინც ღებულობდა კუთვნილ ლეგატს სამკვიდრო ქონების ხარჯზე.

ლეგატი ადრეც და ამჟამადაც ითვლებოდა და ითვლება არა მემკვიდრეობით, არამედ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობად. ასეთი ურთიერთობა წარმოიშობა მემკვიდრესა და ლეგატარს შორის. მასში კრედიტორია ლეგატარი, ხოლო მოვალე – მემკვიდრე. მართალია, ამ ვალდებულებაში ლეგატარის სამართლებრივი მდგომარეობა განპირობებულია ანდერძის არსებობით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს სრულფასოვან მემკვიდრედ. ამიტომაა, რომ ლეგატარს უფლება აქვს მოსთხოვოს მემკვიდრეს ანდერძით გათვალისწინებული ლეგატის შესრულება. მას არ გააჩნია არავითარი ვალდებულება მემკვიდრის წინაშე თუნდაც სამკვიდროს დამტოვებლის ვალის გასტუმრების თვალსაზრისით. მემკვიდრე კი ვალდებულია ლეგატარს გადასცეს შესაბამისი ქონება და უფლება აქვს მოითხოვოს მისი მიღების დროული შესრულება და იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც ლეგატით გადასაცემი ქონების შენახვასა და მოვლასთან არის დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, ლეგატარი შეიძლება ჩაითვალოს განსაკუთრებული სახის კრედიტორად და პრივილეგირებულ პირობით მემკვიდრედ.

მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საანდერძო დანაკის-

რის სპეციალური დოკუმენტით გაფორმებას. იგი მხოლოდ ანდერძში უნდა იყოს აღნიშნული. ანდერძის გარეშე საანდერძო დანაკისრი არ შეიძლება არსებობდეს. ანდერძისაგან დამოუკიდებლად მისი გაფორმება და ვინმესთვის სხვა პირის სასარგებლოდ რაიმე ქონების გადაცემის დაკისრება არავითარ სამართლებრივ შედეგს არ გამოიწვევს. ანდერძის გარეშე მემკვიდრეც არ არის გარკვეული, რომ არაფერი ითქვას, კანონით დადგენილი ფორმის დაუცველობაზე.

საანდერძო დანაკისრის მიმღები შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი – როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშეც. მოანდერძე არ არის შეზღუდული ლეგატარის არჩევაში. საანდერძო დანაკისრის შესრულება შეიძლება დაევალოს მხოლოდ ანდერძით მემკვიდრეს – ფიზიკურ ან იურიდიულ პირს. რომის სამართლისათვის ცნობილი ფიდეიკომისი (fideicomissum), რომელიც კანონით მემკვიდრისათვის ითვალისწინებდა ლეგატის მსგავსი ვალდებულების დაკისრებას, მისი შესრულების ქმედითი სამართლებრივი მექანიზმების არარსებობის გამო, არაეფექტური გახდა და იუსტინიანეს დროს ლეგატთან გაერთიანდა[1]. ამჟამად, საანდერძო დანაკისრი ყოველთვის მხოლოდ ანდერძით მემკვიდრესთან დაკავშირებით მოიაზრება. მხოლოდ ანდერძით მემკვიდრე იტვირთება ლეგატით.

საანდერძო დანაკისრი სრულდება სამკვიდრო ქონების ხარჯზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მემკვიდრე არაა ვალდებული თავისი სახსრები გამოიყენოს ლეგატის შესრულების პროცესში, მაგრამ არ ნიშნავს იმას, რომ ლეგატით გათვალისწინებული ქონება შემოიფარგლოს სამკვიდროთი ან ლეგატით მხოლოდ ქონების გადაცემა იყოს გათვალისწინებული. ამიტომ მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს ლეგატის საგანი. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით საანდერძო დანაკისრის საგანი შეიძლება იყოს: 1. ლეგატარისათვის სამკვიდროში შემავალი ქონებიდან ნივთის გადაცემა საკუთრებაში, სარგებლობაში ან სხვა სანივთო უფლებით; 2. მისთვის ისეთი ქონების შეძენა ან გადაცემა, რომელიც არ შედის სამკვიდროში; 3. განსაზღვრული სამუშაოს შესრულება; 4. მომსახურების გაწევა და ა.შ.

მართალია, ლეგატი უმეტესად სამკვიდროს ქონებიდან ლეგატარისათვის რაიმე ნივთის გადაცემას ავალებს მემკვიდრეს, მაგრამ შესაძლებელია მემკვიდრეს სხვა ნივთის შეძენა და გადაცემაც დაე-

[1] ვ. მეტრეველი, რომის სამართლის საფუძვლები, თბ., 1995. გვ. 96. გ. ლობჟანიძე, რომის სახელმწიფო და სამართალი, ნაწილი მეორე, ქუთაისი, 2009, გვ. 104.

ვალოს. მაგალითად, მოანდერძემ შეიძლება ანდერძში მიუთითოს იმის შესახებ, რომ მეუღლე, ვისაც თავის ქონებას ანდერძით უტოვებს, ვალდებულია მისი კუთვნილი ავტომანქანა გადასცეს ერთ ძმისშვილს, ხოლო მეორეს შეუძინოს კომპიუტერი. ლეგატარისათვის ქონების გადაცემა არაა აუცილებელი. მაგალითად, თუ მემკვიდრეს დაეკისრა უმაღლეს სასწავლებელში ლეგატარის სწავლის საფასურის გადახდა, ესეც ლეგატის საგანი იქნება. ლეგატის საგანი კონკრეტულად განსაზღვრული არ არის. ლეგატი არ შეიძლება მემკვიდრის ინტერესების საწინააღმდეგოდ იქნეს გამოყენებული. დაუშვებელია შეიზღუდოს მემკვიდრეობით მიღებული ქონების გამოყენების შესაძლებლობა. მაგალითად, თუ მოანდერძეს სურს, რომ მისმა მემკვიდრე შვილმა გაყიდოს მემკვიდრეობით მიღებული აგარაკი და შვილიშვილს შეუძინოს ავტომანქანა, ასეთი ანდერძი არ უნდა იქნეს დადასტურებული. მსგავსი შინაარსის დადასტურებული ანდერძი უნდა გაბათილდეს, რადგან იგი ეწინააღმდეგება ლეგატის შინაარსის განმსაზღვრელ პრინციპებს.

სპეციფიკური თავისებურება ახასიათებს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობას საანდერძო დანაკისრის საფუძველზე. სამოქალაქო კოდექსის 1385-ე მუხლის მიხედვით, შესაძლებელია მემკვიდრისათვის იმის დაკისრება, რომ მან მემკვიდრეობით მისაღები საცხოვრებელი სახლი, ბინა ან სხვა საცხოვრებელი ნაგებობა გადასცეს ლეგატარს. საერთოდ, ასეთი გადაცემა უნდა მოხდეს განსაზღვრული ვადით. გამონაკლის შემთხვევაში, შესაძლებელია გადაცემა მოხდეს სამისდღემშიო სარგებლობის უფლებით. გამონაკლისი ეხება მხოლოდ იმ პირს, რომელიც მამკვიდრებელთან ერთად ცხოვრობდა სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში. ასეთი ლეგატარი მთელი სიცოცხლის მანძილზე სარგებლობს მისთვის გადაცემული საცხოვრებელი ნაგებობით ან მისი ნაწილით. მას უფლება არა აქვს განკარგოს ასეთი ქონება. რაც შეეხება სარგებლობის უფლებას, იგი ყოველთვის ლეგატართან რჩება, მიუხედავად იმისა, მემკვიდრე ამ ნაგებობას გაყიდის, გააჩუქებს, გაცვლის თუ მემკვიდრეობით გადასცემს სხვას. საცხოვრებელი ნაგებობით სამისდღემშიო სარგებლობის უფლება გაუსხვისებელია და იგი არ გადადის საანდერძო დანაკისრის მიმღების მემკვიდრეებზე. ამიტომ ლეგატარის გარდაცვალება იწვევს აღნიშნული სამისდღემშიო უფლების შეწყვეტას. საცხოვრებელი ნაგებობით სამისდღემშიო სარგებლობის უფლება ეძლევა მხოლოდ ლეგატარს და არა მისი ოჯახის წევრებს. ამ უფლების პირადი ხასი-

ათის გამო, იგი არ წარმოადგენს საცხოვრებელ ნაგებობაში საანდერძო დანაკისრის მიმღების ოჯახის წევრთა ცხოვრების საფუძველს. გამონაკლისი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ამის შესახებ მითითებულია ანდერძში. ასეთ შემთხვევაში ლეგატარის ოჯახის წევრები დროებით სარგებლობენ ასეთი უფლებით და არა სამისდღემშიოდ. იგი შეიძლება გაგრძელდეს ლეგატარის გარდაცვალებამდე.

საცხოვრებელი ნაგებობით ან მისი ნაწილით სარგებლობის უფლების გადაცემა როცა იმ პირზე ხდება, რომელიც მამკვიდრებელთან ერთად არ ცხოვრობდა ერთი წლის განმავლობაში, მიუხედავად ამ უფლების დროით განსაზღვრულობისა, იგი მაინც ინარჩუნებს გაუსხვისებლობასა და პირადულ ხასიათს. ამიტომ არც ასეთ ლეგატარს შეუძლია სარგებლობის უფლება სხვას გადასცეს მთლიანად ან ნაწილობრივ.

საანდერძო დანაკისრის შესრულების გარანტიას წარმოადგენს მოანდერძისაგან მემკვიდრეობით მიღებული ქონება. რომის სამართალში ცნობილი იყო ლეგატის ისეთი სახეც, როცა სამკვიდრო ქონებიდან წინასწარ გამოიყოფოდა ქონების განსაზღვრული ნაწილი საანდერძო განკარგულების შესასრულებლად. ასეთი ქონება მემკვიდრეთა წილების განსაზღვრის დროს აღარ გაითვალისწინებოდა. შემდგომ ლეგატის ასეთი სახე თანდათან გაქრა და საანდერძო დანაკისრის შესრულება მემკვიდრის ტვირთი გახდა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1387-ე მუხლი განსაზღვრავს საანდერძო დანაკისრის შესრულების ფარგლებს. მის მიხედვით მემკვიდრემ, რომელსაც საანდერძო დანაკისრის შესრულება დაევალა, უნდა შეასრულოს იგი ნაანდერძევი სამკვიდროს ნამდვილი ღირებულების ფარგლებში მამკვიდრებლის ვალების იმ ნაწილის გამოკლებით, რომლის გასტუმრებაც მას შეხვდა. ამ ნორმიდან გამომდინარე, ლეგატარს, როგორც მემკვიდრის კრედიტორს, უფლება აქვს საანდერძო დანაკისრის შესრულება მოითხოვოს არა ყველა მემკვიდრისგან, არამედ მხოლოდ იმისგან, რომელსაც მოანდერძისაგან დაეკისრა მისი შესრულება და ასეთი მემკვიდრის არა მთელი წილისაგან, არამედ მხოლოდ იქიდან, რაც დარჩა მას მამკვიდრებლის ვალის გასტუმრებაში მონაწილეობის შემდეგ. მამკვიდრებლის ვალის გასტუმრება ყველა მემკვიდრეს ევალება მემკვიდრეობით მიღებული სამკვიდრო ქონების წილის შესაბამისად. საანდერძო დანაკისრი მამკვიდრებლის ვალს არ წარმოადგენს და მის შესრულებაში სხვა მემკვიდრეები არ მონაწილეობენ.

მემკვიდრემ საანდერძო დანაკისრი უნდა შეასრულოს მემკვიდრეობით მიღებული სუფთა წილის ღირებულების ფარგლებში. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ლეგატის ნაწილობრივი შესრულება თუ მემკვიდრის წილი ნაკლებია, ვიდრე ლეგატის ოდენობა. პრაქტიკაში ასეთი შემთხვევები იშვიათია. თუ მემკვიდრეს მამკვიდრებლის ვალიც აქვს გასასტუმრებელი, საანდერძო დანაკისრიც შესასრულებელი და მას ამის შემდეგ რეალურად არაფერი რჩება, იგი, ჩვეულებრივ, უარს ამბობს სამკვიდროს მიღებაზე. საანდერძო დანაკისრის შესრულების მოტივაცია მემკვიდრისათვის საბოლოოდ სამკვიდრო ქონების განსაზღვრული ნაწილის რეალურ მიღებასთან არის დაკავშირებული. მაგალითად, თუ მემკვიდრის წილი სამკვიდრო ქონებიდან 5000 ლარია, მამკვიდრებლის ვალის გასტუმრებაში სხვა მემკვიდრეებთან ერთად მონაწილეობა უნდა მიიღოს 1000 ლარით და საანდერძო დანაკისრის შესრულებას 2000 ლარი სჭირდება, მაშინ მას საბოლოოდ 2 000 ლარი მაინც დარჩება. ასეთ შემთხვევაში მემკვიდრისათვის საანდერძო დანაკისრის შესრულება ლოგიკურია.

სამკვიდროს მიღებაზე მემკვიდრემ შეიძლება უარი არა მარტო მაშინ თქვას, როცა იგი მისთვის სარფიანი არ არის, არამედ სხვა მოტივითაც, მაგალითად, მამკვიდრებელთან ცუდი ურთიერთობის გამო. თუ ასეთ მემკვიდრეს საანდერძო დანაკისრის შესრულება ევალებოდა, ბუნებრივია, ეს არ მოხდება და ამ ეტაპზე ლეგატის საკითხი ღიად რჩება. იგივე მდგომარეობა იქმნება მაშინაც, როცა ლეგატით დატვირთული მემკვიდრე სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვლება. მსგავს შემთხვევებში საანდერძო დანაკისრის შესრულების ვალდებულება გადადის სხვა მემკვიდრეებზე, რომლებმაც, შესაბამისად, დამატებით მიიღეს სამკვიდრო ქონების წილი. საანდერძო დანაკისრის შესრულების ვალდებულების გამონაკლისის სახით სხვა მემკვიდრეებზე გადატანა, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს უკანასკნელნი მოვალენი არიან შეასრულონ საანდერძო დანაკისრი სამკვიდროდან მიღებული ძირითადი წილის ღირებულების ფარგლებში. მათ მხოლოდ იმ ქონების ფარგლებში ევალებათ ამის გაკეთება, რაც მათ დამატებით მიიღეს იმის გამო, რომ ლეგატით დატვირთულმა მემკვიდრემ უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე ან იგი მამკვიდრებელზე ადრე გარდაიცვალა. მაგალითად, მემკვიდრემ, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა 5 000 ლარის გადახდა ლეგატარისათვის, უარი თქვა სამკვიდრო ქონებიდან 10 000 ლარის წილის მიღებაზე. მაშინ იგი თანაბრად განაწილდება

ანდერძით გათვალისწინებულ სხვა ორ მემკვიდრეს შორის. მათზე გადავა საანდერძო დანაკისრის შესრულებაც თითოეულისათვის 2 500 ლარის ოდენობით.

სხვა მემკვიდრეებზე საანდერძო დანაკისრის ვალდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში გადადის, თუ ანდერძით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. შეიძლება ანდერძში მითითებული იყოს იმის შესახებ, რომ თუ მემკვიდრემ უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე ან იგი სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვალა, მისი ვალდებულება საანდერძო დანაკისრის შესრულების შესახებ სხვა მემკვიდრეებზე არ გადავა. ასეთ შემთხვევაში საანდერძო დანაკისრი გაუქმდება. იგივე მდგომარეობა შეიქმნება მაშინაც, როცა საანდერძო დანაკისრის შესრულება შეუძლებელია იმ მემკვიდრის გარეშე, რომელსაც საანდერძო დანაკისრის შესრულება დაევალა. მაგალითად, საგვარეულო წამლის დამზადების საიდუმლოების შვილიშვილისათვის გადაცემა შეუძლებელია მისი მცოდნე მემკვიდრე შვილის გარეშე. ამიტომ, ბუნებრივია, თუ იგი უარს ამბობს მემკვიდრეობის მიღებაზე ან სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვალა, შეუძლებელი ხდება საანდერძო დანაკისრის შესრულება. თუ პირადი მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია მემკვიდრისათვის დავალებული საანდერძო დანაკისრის შესრულება, ასეთი ვალდებულება უპირობოდ შეწყდება.

შესაძლებელია, მამკვიდრებელმა საანდერძო დანაკისრის შესრულება ერთს კი არა, რამდენიმე მემკვიდრეს დააკისროს. თუ ანდერძით თითოეული მემკვიდრის წილი განსაზღვრული არ არის, იგულისხმება რომ სამკვიდრო ქონება მათ თანაბრად ეკუთვნით და აქედან გამომდინარე, საანდერძო დანაკისრის შესრულებაც თანაბრად უნდა დაევალოს ყველა მემკვიდრეს. მაგრამ, თუ სამკვიდრო ქონება მემკვიდრეებს სხვადასხვა ოდენობით აქვთ განაწილებული, საანდერძო დანაკისრის შესრულებაში ყველა ღებულობს მონაწილეობას, ოღონდ სამკვიდრო ქონებაში თავისი წილის პროპორციულად. მაგალითად, თუ მთელი სამკვიდრო ქონების ღირებულებიდან ერთ მემკვიდრეს ერგო 5 000 ლარი, მეორეს – 3000, მესამეს კი – 1000 ლარი და საანდერძო დანაკისრის ღირებულება 4500 ლარია, მემკვიდრეები შესაბამისად გადაიხდიან 2500, 1500 და 500 ლარს. ამ წესიდან გამონაკლისი შეიძლება ანდერძში იყოს გათვალისწინებული. მაგალითად, პირველ და მეორე მემკვიდრეს საანდერძო დანაკისრის შესრულება დაევალოთ თანაბრად – თითოეულს 1900 ლარის, მესამეს კი – 700 ლარის ოდენობით.

საანდერძო დანაკისრის მიმღები ყველა შემთხვევაში გამოდის მემკვიდრის კრედიტორის როლში. მემკვიდრე ვალდებულია შეასრულოს მოანდერძის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობა. ლეგატარი უფლებამოსილია მოითხოვოს ლეგატის შესრულება სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში. ამ ვადის დენა იწყება არა იმ დღიდან, როცა ლეგატარმა გაიგო ან უნდა გაეგო ლეგატის არსებობის შესახებ ან იმ დღიდან, როცა მემკვიდრემ უარი თქვა ლეგატის შესრულებაზე, არამედ სამკვიდროს გახსნის დღიდან. საანდერძო დანაკისრის შეუსრულებლობისას ლეგატარს შეუძლია სასამართლო ჩართოს საქმეში. შემხვედრი ვალდებულება ლეგატარს არ გააჩნია. იგი არ ითვლება მემკვიდრედ და პასუხსაც არ აგებს მამკვიდრებლის ვალებისათვის. მისი მოთხოვნის უფლება კი უზრუნველყოფილია კანონით.

კანონისმიერმა მემკვიდრემ შესაძლებელია ანდერძითაც მიიღოს ქონება. აქედან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია ასეთ მემკვიდრეს სავალდებულო წილის მიღების უფლებასთან ერთად წარმოეშვას საანდერძო დანაკისრის შესრულების ვალდებულებაც. ასეთ შემთხვევაში მისი ინტერესები მაქსიმალურად უნდა იქნეს დაცული. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით თუ ანდერძით მემკვიდრეს, რომელსაც საანდერძო დანაკისრის შესრულება ევალება, სავალდებულო წილის მიღების უფლებაც აქვს, მაშინ იგი საანდერძო დანაკისრს ასრულებს მისთვის ნაანდერძები სამკვიდროს მხოლოდ იმ წილის ფარგლებში, რაც სავალდებულო წილის ზემოთ მიიღო. სავალდებულო მემკვიდრის საანდერძო დანაკისრის შესრულების ზუსტი მოცულობის დასადგენად ჯერ უნდა განისაზღვროს სავალდებულო წილის ოდენობა ანდერძის არარსებობის შემთხვევისათვის; შემდეგ – ანდერძით მისთვის მიკუთვნებული ქონების ოდენობა. უნდა გაირკვეს აგრეთვე მამკვიდრებლის ვალი და საანდერძო დანაკისრის შემსრულებელი სავალდებულო მემკვიდრის წილი მის გასტუმრებაში. ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება ლეგატის მოცულობის განსაზღვრა. მაგალითად, თუ მოანდერძის სამკვიდრო ქონების ღირებულება 6 ათასი ლარია, ვალად დარჩა 2 ათასი ლარი, მეუღლეს კი უანდერძა 3 ათასი ლარის ქონება და მასვე დააკისრა 500 ლარის გადახდა შვილის სასარგებლოდ. მაშინ სამკვიდროს გახსნისას ვალის გასტუმრების შემდეგ დარჩენილი ქონებიდან (4 ათასი ლარი) მეუღლის სავალდებულო წილი იქნება (4 ათასი:2) 2 ათასის ნახევარი – 1000 ლარი. საანდერძო დანაკისრი კი მან შვილს უნდა შეუსრულოს (1000 ლარს – 500 ლარი) 500 ლარის ოდენობით. ეს

ისეთი შემთხვევაა, როცა სავალდებულო მემკვიდრისათვის ნაანდერძევი ქონება მის სავალდებულო წილს აღემატება. მაგრამ, თუ იგი სავალდებულო წილზე ნაკლებია ან მისი ტოლი, მაშინ მემკვიდრე საერთოდ თავისუფლდება საანდერძო დანაკისრის შესრულებისაგან.

საანდერძო დანაკისრის მიმღებს უფლება აქვს უარი თქვას დანაკისრის მიღებაზე. მემკვიდრესაც გააჩნია სამკვიდრო ქონებიდან წილის მიღებაზე უარის თქმის უფლება, მაგრამ მისგან განსხვავებით, ლეგატარს უფლება არა აქვს უარი თქვას სხვა მემკვიდრეების სასარგებლოდ. ამიტომ საანდერძო დანაკისრის შესასრულებლად გათვალისწინებული ქონება დარჩება იმ მემკვიდრეს, რომელსაც ანდერძით ევალებოდა საანდერძო დანაკისრის შესრულება. თუ საანდერძო დანაკისრის შესრულება რამდენიმე მემკვიდრეს ევალებოდა, მაშინ ეს ქონება შესაბამისად მათვე დარჩებათ. მსგავს შემთხვევებში საანდერძო დანაკისრით დატვირთული მემკვიდრე თავისუფლდება მისი შესრულების მოვალეობისაგან. ამიტომ ყოფილ ლეგატარს უფლება არა აქვს სავალდებულო წილის მიღებაზე უარის თქმის შემდეგ კვლავ დააყენოს მემკვიდრისაგან საანდერძო დანაკისრის მიღების საკითხი. მსგავსი მდგომარეობაა მაშინაც, როცა ლეგატარი სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვლება. იგულისხმება, რომ მას საანდერძო დანაკისრის მიღების უფლება არც წარმოშობია. სხვა მდგომარეობაა, თუ საანდერძო დანაკისრის მიმღები სამკვიდროს გახსნის შემდეგ გარდაიცვალა, მაგრამ ვერ მოასწრო თანხმობის გამოთქმა დანაკისრის მიღებაზე. ასეთ შემთხვევაში, რადგან სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის იგი ცოცხალი იყო, საანდერძო დანაკისრის მოთხოვნის უფლებაც წარმოეშვა, ამის შემდეგ, გარდაცვალებისას, მოთხოვნის უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე. საანდერძო დანაკისრით დატვირთულმა მოანდერძის მემკვიდრემ იგი ლეგატარის მემკვიდრეებს უნდა შეუსრულოს.

საანდერძო დანაკისრთან ერთად საანდერძო განკარგულების ნაირსახეობას წარმოადგენს **საანდერძო დანაკისრი საერთო-სასარგებლო მიზნით**. სამოქალაქო კოდექსის 1397-ე მუხლის საფუძველზე, მოანდერძეს შეუძლია დააკისროს მემკვიდრეს რაიმე მოქმედების შესრულება საერთო-სასარგებლო მიზნით, რასაც შეიძლება ჰქონდეს როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ხასიათი. მაგალითად, შესაძლებელია მოანდერძემ მემკვიდრეებს დაუტოვოს საცხოვრებელი სახლი და თან დააკისროს სახლის განსაზღვრული ნაწილის გამოყენება რეგიონის ეთნოგრაფიული მუზეუმის მოსაწყობად, ანდა მემკვიდრეს დაევალოს

მისთვის ნაანდერძები ცნობილი მხატვრის სურათების პერიოდული ჩვენების მოწყობა დაინტერესებულ პირთა წრისათვის. საანდერძო დანაკისრისაგან განსხვავებით, რომელიც ყოველთვის ქონებრივ ხასიათს ატარებს, საერთო-სასარგებლო მიზნით განსახორციელებელი მოქმედება შეიძლება არაქონებრივი ხასიათისაც იყოს. გარდა ამისა, საანდერძო დანაკისრი, თუ კონკრეტული პირის სასარგებლოდ სრულდება, საერთო-სასარგებლო მიზნის მოქმედება მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის. მოანდერძის მიერ რაიმე საერთო-სასარგებლო მიზნის მოქმედების დაკისრება მემკვიდრისათვის უმეტესად არაქონებრივ ხასიათს ატარებს. გამონაკლის შემთხვევებში მოქმედება შეიძლება ქონების გადაცემას გულისხმობდეს საერთო-სასარგებლო მიზნის მისაღწევად; მაგალითად, ბიბლიოთეკის ან ეკლესიის ასაშენებლად. ასეთ შემთხვევაში წარმოშობილ ურთიერთობათა მოწესრიგება უნდა მოხდეს საანდერძო დანაკისრის მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე.

საერთო-სასარგებლო მიზნის მოქმედებით დატვირთული მემკვიდრის გარდაცვალების შემთხვევაში, ამ ვალდებულების შესრულება გადადის იმ სხვა მემკვიდრეებზე, რომელთაც თავიანთი წილი მიიღეს სამკვიდრო ქონებიდან. სამკვიდროს მიღებაზე რომელიმე მემკვიდრის უარის თქმა იწვევს მისი ვალდებულების შეწყვეტას. მემკვიდრისაგან საერთო-სასარგებლო მიზნის მოქმედების შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს სპეციალურად დანიშნულ ანდერძის აღმსრულებელს, ყოველ მემკვიდრეს, აგრეთვე დაინტერესებულ საზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციებს, ფონდებს, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს. მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტთა სიმრავლე განპირობებულია ამ საანდერძო განკარგულების შინაარსით – საერთო-სასარგებლო მიზნის მისაღწევად დაკისრებული მოქმედების შესრულება განუსაზღვრელ პირთა ინტერესებს ეხება. მოთხოვნის უფლების რეალიზაცია ხდება სასამართლოს მეშვეობით.

13.6. ანდერძის შეცვლა, მოშლა და ბათილობა

ანდერძით მემკვიდრე სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი ხდება მხოლოდ სამკვიდროს გახსნის შემდეგ. მანამდე, სამკვიდრო ქონების მიმართ შეუზღუდავი უფლებებით სარგებლობს მხოლოდ მამკვიდრებელი. რადგან ამ უფლებათა სამომავლო განკარგვის ყველაზე ეფექტური ფორმა ანდერძია, ყოველთვის შეიძლება მისი შეცვლა ან მოშლა, ანუ გაუქმება მოანდერძის ნების გათვალისწინებით. სამოქალაქო კოდექსის 1398-ე მუხლში მოცემულია ანდერძის შეცვლისა და მოშლის საშუალებები. ანდერძის შეცვლა შესაძლებელია ახალი ანდერძის შედგენით. მოანდერძეს ახალ ანდერძში შეუძლია მიუთითოს, თუ რა ცვლილებები შეაქვს ძველ ანდერძში. თუ ახალ ანდერძში ცვლილებების შესახებ არაფერია აღნიშნული, მაშინ გაუქმებულად ჩაითვლება წინა ანდერძის ის ნაწილი, რომელიც ახალ ანდერძს ეწინააღმდეგება; ახალი ანდერძი თუ მთლიანად ეწინააღმდეგება ძველს, იგულისხმება, რომ ძველი ანდერძი მთლიანადაა გაუქმებული. ასევე შესაძლებელია მოანდერძემ მიუთითოს ახალ ანდერძში, რომ ძველს მთლიანად აუქმებს. ანდერძის გაუქმება ახალი ანდერძის შედგენის გარდა, შესაძლებელია სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანით და ანდერძის ყველა ეგზემპლარის მოსპობით. სანოტარო ორგანოში განცხადება მხოლოდ მაშინაა აუცილებელი, როცა გასაუქმებელი ანდერძი დადასტურებულია სანოტარო წესით. განცხადების შეტანა შეიძლება ნებისმიერ სანოტარო ბიუროში, რომელიც ვალდებულია იგი გადაუგზავნოს ანდერძის დამადასტურებელ სანოტარო ორგანოს. ადრინდელი ანდერძის ეგზემპლარების მოსპობა ხდება მოანდერძისა და ნოტარიუსის მიერ. თუ მხოლოდ მოანდერძესთან არსებული ეგზემპლარი მოისპო ან მასში გარკვეული ცვლილებები იქნა შეტანილი გადაშლით ან შესაბამისი მინაწერების გაკეთებით, ეს არ გამოიწვევს ანდერძის შეცვლას ან მოშლას. ანდერძის ეგზემპლარებიდან იურიდიული ძალა ნოტარიუსთან შენახულ ანდერძს გააჩნია. ასეთი ეგზემპლარის მოსპობას ნოტარიუსი ახდენს მოანდერძის განკარგულების საფუძველზე.

ანდერძი, რომელიც გაუქმდა შემდგომში შედგენილი ანდერძით, არ შეიძლება აღდგენილ იქნეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ უფრო გვიან შედგენილი ანდერძი შემდგომში გაუქმდება სანოტარო ორგანოში

განცხადების შეტანით. ჩვეულებრივ, ერთხელ გაუქმებული ანდერძის აღდგენა ავტომატურად არ ხდება. ეს შესაძლებელია იმავე შინაარსის ახალი ანდერძის შედგენის გზით. მაგრამ, როცა ახალი აუქმებს ძველ ანდერძს, ახალი ანდერძი კი უქმდება მოანდერძის განცხადების საფუძველზე ისე, რომ მესამე ანდერძი არ არის შედგენილი, ასეთ შემთხვევაში პირველი ანდერძის აღდგენა დაუშვებელია. მაგალითად, თუ მამკვიდრებელმა თავისი ქონება პირველად მეუღლეს უანდერძა, შემდგომ მასზე გაბრაზებულმა იგივე ქონება ანდერძით საყვარელს მიაკუთვნა, მაგრამ მეუღლესთან შერიგებისას სანოტარო ორგანოს მიმართა მეორე ანდერძის გაუქმების თაობაზე, ასეთ შემთხვევაში უკანასკნელი ანდერძი გაუქმდება. მამკვიდრებლის მეუღლეს უფლება არა აქვს მოითხოვოს პირველი ანდერძის აღდგენა და მისი აღიარება ანდერძით მემკვიდრედ.

მამკვიდრებლის მიერ რამდენიმე ანდერძის შედგენის შემთხვევაში, მთავარია იმის გარკვევა, თუ რამდენად ეწინააღმდეგება ისინი ერთმანეთს და როდისაა თითოეული მათგანი შედგენილი. ამის მიხედვით გადაწყდება ანდერძის ნამდვილობა და იურიდიული ძალის საკითხი. მაგრამ, თუ ანდერძები არ ეწინააღმდეგება და მხოლოდ ავსებს ერთმანეთს, მაშინ ყველა ანდერძი ინარჩუნებს ძალას. იგულისხმება, რომ მოანდერძის ადრინდელი განკარგულებები შეცვლილი არ არის შემდგომი ანდერძით. სავსებით შესაძლებელია, როცა მოანდერძემ ქონების ერთ ნაწილი უანდერძა ერთ მემკვიდრეს, ხოლო ქონების მეორე ნაწილი ახალი ანდერძით გაითვალისწინა მეორე მემკვიდრისათვის. ასეთ შემთხვევაში სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის ძალაშია ორივე ანდერძი. ან კიდევ, თუ მოანდერძის ძველი განკარგულებებიდან ახალი ანდერძით ყველა კი არ უქმდება, არამედ რამდენიმე, მაშინ იურიდიულ ძალას ინარჩუნებს ყველა ის განკარგულება, რომელსაც ახალი ანდერძი არ შეხებია. მაგალითად, თუ ანდერძით საცხოვრებელი სახლი და ავეჯი მიეკუთვნა მეუღლეს, ხოლო აგარაკი და ავტომანქანა – ქალიშვილს, ახალი ანდერძით კი მეუღლეს ეანდერძა სახლი, ავეჯის ნაწილი და ავტომანქანა, ქალიშვილს კი ავტომანქანის სანაცვლოდ – როიალი, ასეთ შემთხვევაში მოანდერძის ქალიშვილი იყო და კვლავაც რჩება აგარაკზე მემკვიდრეობის მოთხოვნის უფლების სუბიექტად, რადგან სამკვიდრო ქონების ამ ნაწილს მოანდერძის ახალი განკარგულება არ შეხებია.

ანდერძის სამართლებრივი ძალის გარკვევისას დიდი მნიშვნელობა

ენიჭება მისი ფორმის საკითხსაც. თუ მამკვიდრებელმა რამდენიმე ანდერძი შეადგინა, რომელთაგან ერთ-ერთი შედგენილია სანოტარო ფორმით, დანარჩენი კი არა, უპირატესობა სანოტარო ფორმით შედგენილ ანდერძს მიენიჭება. მისი უპირატესობა იმაშიც ვლინდება, რომ იგი არ შეიძლება მოიშალოს სხვა ფორმის ანდერძით. სანოტარო ფორმით შედგენილი ანდერძი შეიძლება შეიცვალოს ან მოიშალოს მხოლოდ ამავე ფორმით შედგენილი ანდერძით ან სანოტარო ორგანოში შეტანილი განცხადებით. შინაურული ანდერძის შესაცვლელად ან მოსაშლელად სავალდებულო არ არის სანოტარო ფორმით შედგენილი ანდერძი. ეს შეიძლება ახალი შინაურული ანდერძითაც მოხდეს. ანდერძთა კონკურენცია არ დაიშვება მაშინ, როცა მამკვიდრებელმა ქონების ერთი ნაწილი გაითვალისწინა სანოტარო ფორმით შედგენილი ანდერძით, ხოლო მეორე ნაწილი კი მოგვიანებით სხვა ფორმის ანდერძით გაანაწილა სხვა მემკვიდრეებს შორის. ასეთ შემთხვევაში ორივე ანდერძი ძალაშია, რადგან შემდგომი ანდერძი არ ცვლის და არც აუქმებს წინა ანდერძს. იგი მხოლოდ ავსებს ნოტარიალურად დადასტურებულ ანდერძს. ანდერძებს შორის უპირატესობის განსაზღვრა მაშინ დგება დღის წესრიგში, როცა ისინი სხვადასხვანაირად წყვეტენ სამკვიდრო ქონების მემკვიდრეებს შორის განაწილების საკითხს.

ანდერძმა რომ სამართლებრივი შედეგები გამოიწვიოს, ამისათვის კანონი ადგენს განსაზღვრულ წინაპირობებს: უნდა მოხდეს სამკვიდროს გახსნა, სახეზე უნდა იყოს სამკვიდრო ქონება და მემკვიდრემ უნდა მიიღოს თავისი წილი სამკვიდრო. თუ რომელიმე პირობა არ არსებობს, მაშინ ანდერძი ცხადდება ძალადაკარგულად. ანდერძს ძალა არ ექნება, თუ:

1. პირი, რომლის სასარგებლოდაც შედგენილი იყო ეს ანდერძი, გარდაიცვალა მოანდერძეზე ადრე; 2. ნაანდერძევი ქონება დაიკარგა მოანდერძის სიცოცხლეში ან მოანდერძემ გაასხვისა იგი; 3. ერთადერთი მემკვიდრე უარს იტყვის სამკვიდროს მიღებაზე. სამივე შემთხვევაში გამორიცხულია სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, რადგან პირველ და მესამე შემთხვევაში სახეზე არ არის სუბიექტი, მეორეში კი – ობიექტი. ანდერძის ძალადაკარგულად გამოცხადება სასამართლოს პრეროგატივაა.

რადგან ანდერძი გარიგების ნაირსახეობაა, მის მიმართ გამოიყენება ის სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები, რომლებიც გარიგებას ეხება, ანდერძის ნამდვილობა და ბათილობა განპირობებულია იმ

გარემოებებით, რომლებიც გარიგებისთვისაა დამახასიათებელი. ეს გარემოებები კი ეხება გარიგების მონაწილეთა სამართალსუბიექტობას, მათ მიერ შინაგანი ნების გარეგან გამოხატულებას, კანონისადმი გარიგების მიზნების შესაბამისობასა და გარიგების ფორმას. ამ გარემოებათა შინაარსის გაუთვალისწინებლობა ანდერძის გაბათილების საფუძველია. სამოქალაქო კოდექსის 1403-ე მუხლი სპეციალურად ამახვილებს ყურადღებას ისეთ გარემოებებზე, რომელიც უფრო ხშირია პრაქტიკაში და დავაც მათ თაობაზე წარმოიშობა. ასეთია, მაგალითად, საანდერძო განკარგულების კანონისა და საზოგადოებრივი ინტერესების საწინააღმდეგო ხასიათი. ასეთი გარემოების არსებობისას ანდერძი უნდა გაბათილდეს. ბათილია ანდერძი მაშინაც, როცა განკარგულების შინაარსი გაუგებარია, ან ერთი განკარგულება ეწინააღმდეგება მეორეს. თუ ანდერძში აღნიშნულია, რომ პირი საცხოვრებელ სახლს უტოვებს მეზობელს, რომელიც კეთილად იყო მის მიმართ განწყობილი, და არ არის დაკონკრეტებული თუ რომელი მეზობელია მემკვიდრე, ბუნებრივია, იგი უნდა გაბათილდეს. იგივე შედეგი დადგება თუ მამკვიდრებელმა აგარაკი მეუღლის სამკვიდრო ქონების წილშიც ჩართო და შვილისაშიც. არ შეიძლება საანდერძო დანაკისრი კანონსაწინააღმდეგო ან საზოგადოებრივი ინტერესებისადმი აშკარად შეუსაბამო მოქმედების შესრულებას ავალებდეს მემკვიდრეს. ანდერძი სასამართლოს მიერ შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ იგი შედგენილია კანონით დადგენილი წესების დარღვევით, მაგალითად, მოწმეთა თანდასწრების გარეშე. ასევე შეიძლება გაბათილდეს არა მარტო შეზღუდულქმედუნარიანი პირის მიერ შედგენილი ანდერძი, არამედ თუნდაც ქმედუნარიანი პირის მიერ ისეთ მდგომარეობაში შედგენილი ანდერძი, როცა მას არ შეეძლო შეეგნო თავისი მოქმედების მნიშვნელობა და წარემართა იგი. ასეთ მდგომარეობად შეიძლება მიჩნეულ იქნეს უეცარი სულიერი ტრავმა ან ძლიერი ფიზიკური ტკივილი.

კანონი ითვალისწინებს ცალკეული საანდერძო განკარგულებების ბათილობას. მათ რიცხვს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება ის საანდერძო განკარგულება, რომლის საფუძველზედაც ხდება სამკვიდროში არარსებულ ნივთზე მემკვიდრედ მოწვევა. მაგალითად, თუ ანდერძში მითითებულია, რომ შვილს სხვა ნივთებთან ერთად ეანდერძა კომპიუტერი, მაგრამ სამკვიდრო ქონებაში იგი არ აღმოჩნდა იმის გამო, რომ მამკვიდრებელმა სიცოცხლეში ვერ მოასწრო შეძენა, მაშინ საანდერძო განკარგულება კომპიუტერის შესახებ ბათილი იქნება. სხვა,

რეალურად არსებული ნივთების მიმართ, განკარგულება ძალაშია. საანდერძო განკარგულება ბათილია მაშინაც, როცა განკარგულებით ნაანდერძები ფულადი თანხა არ აღმოჩნდება სამკვიდრო ქონებაში. მაგალითად, პირს ეანდერძა საცხოვრებელი სახლი და ათასი ლარი, მაგრამ სამკვიდროს გახსნისას მასში ფული არ აღმოჩნდა. ასეთ შემთხვევაში მემკვიდრეს შეუძლია მოითხოვოს ანდერძით გათვალისწინებული ქონება – საცხოვრებელი სახლი. ფულის მოთხოვნის უფლება სხვა ქონებიდან, თუნდაც იგი ანდერძის გარეთ იყოს დარჩენილი, მას არ გააჩნია.

ბათილია საანდერძო განკარგულება იმის თაობაზე, რომ მემკვიდრე სამკვიდრო ქონებას მიიღებს განსაზღვრული დროით, მაგალითად, აგარაკს – ორი საკურორტო სეზონით ანდა განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ, მაგალითად, ორი წლით გაქირავებული აგარაკის დაცლის შემდეგ. ასევე გაბათილდება საანდერძო განკარგულება, რომლითაც განსაზღვრულია ის, თუ ვისზე უნდა გადავიდეს სამკვიდრო ქონება მემკვიდრის გარდაცვალების შემდეგ. მაგალითად, თუ მამკვიდრებელმა თავისი სახლი უანდერძა მეუღლეს და იქვე მიუთითა, რომ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ სახლი უნდა გადავიდეს მეუღლის ძმაზე, ასეთი განკარგულება ცოლისძმაზე სახლის მემკვიდრეობით გადასვლის თაობაზე უნდა გაბათილდეს. მართალია, სამემკვიდრეო კანონმდებლობით შესაძლებელია მემკვიდრის მემკვიდრე დანიშნოს მამკვიდრებელმა, მაგრამ ეს დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, როცა მემკვიდრე სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვალა, სამკვიდროს მიღებაზე ნებაყოფლობით თქვა უარი ან სასამართლომ იძულებით ჩამოართვა მემკვიდრეობის უფლება. ასეთ შემთხვევებში სათადარიგო მემკვიდრე ძირითადი მემკვიდრის ადგილს იჭერს სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობამდე, ამიტომ საანდერძო განკარგულება სათადარიგო მემკვიდრის დანიშვნის შესახებ კანონიერია და მისი გაბათილება არ შეიძლება.

ისეთი საანდერძო განკარგულება, რომლის შესრულებაც მემკვიდრეს არ შეუძლია ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა ობიექტური მიზეზების გამო, შეიძლება სასამართლოს მიერ ბათილად იქნეს ცნობილი. აქ ძირითადად მხედველობაშია საანდერძო დანაკისრის შესრულების საკითხი, მაგალითად, მემკვიდრეს ავადმყოფობის გამო არ შეუძლია ეკლესიის გუმბათის პირადად მოხატვა. საანდერძო დანაკისრი კი ამას ითვალისწინებს. საანდერძო განკარგულების ბათილობა მისი

შესრულების შეუძლებლობის გამო, შესაძლებელია მხოლოდ მემკვიდ-რის სარჩელის საფუძველზე.

ერთი ანდერძი შეიძლება რამდენიმე განკარგულებას შეიცავდეს და ზოგი მათგანი ერთმანეთთან არც იყოს დაკავშირებული. ასეთ შემ-თხვევაში მათი ნამდვილობის საკითხი ცალ-ცალკე უნდა გადაწყდეს. თუ რამდენიმე საანდერძო განკარგულებიდან ერთ-ერთი ბათილია ან ძალა დაკარგა, მაშინ დანარჩენი საანდერძო განკარგულებები ძალაში რჩება თუ მამკვიდრებელს სხვა განკარგულება არ დაუტოვებია. აქე-დან გამომდინარე, ზოგიერთი საანდერძო განკარგულების ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანი ანდერძის გაბათილებას. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ მამკვიდრებელს ახალი განკარგულებით, ანდერძით უკვე გათვალისწინებულ განკარგულებათა ნამდვილობის საკითხი ეჭვქვეშ ხომ არ დაუყენებია.

ანდერძის ბათილად ცნობის შემთხვევაში, მემკვიდრეს თუ ამ ანდერძით მემკვიდრეობის უფლება ჰქონდა ჩამორთმეული, შეუძლია მიიღოს სამკვიდრო ქონება საერთო საფუძვლებით. ანდერძის გაბა-თილებამ გააუქმა მემკვიდრეობის ჩამორთმევის უფლება, რის გამოც მემკვიდრეს მიეცა შესაძლებლობა, შეუზღუდავად მიეღო მონაწილეობა სამემკვიდრეო-სამართლებრივ ურთიერთობებში. მაგალითად, თუ მოანდერძემ თავის შვილს ჩამოართვა მემკვიდრეობა და ამის შესახებ ანდერძშიც აღნიშნა ან იგი საერთოდ არ მოიხსენია ანდერძში, მისი გაბათილების შემთხვევაში შვილს უფლება აქვს კანონით მემკვიდრე იყოს და იქიდან მიიღოს სამკვიდრო ქონების კუთვნილი ნაწილი.

ანდერძის ნამდვილობა შეიძლება სადავოდ გახადონ და აქედან გამომდინარე, სასამართლოში სარჩელი შეიტანონ კანონით მემკვი-დრეებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა. სარჩელის საფუძველი უნდა იყოს კონკრეტული გარემოება, რომელიც კანონის შესაბამისად იწვევს გარიგების ბათილობას. მოსარჩელეთა წრე განსაზღვრული არ არის. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს სა-სამართლოს.

სარჩელი ანდერძის ბათილობის შესახებ წარდგენილ უნდა იქნეს სამკვიდროს გახსნიდან ორი წლის განმავლობაში. ხანდაზმულობის ეს სპეციალური ვადა არ ვრცელდება იმ მესაკუთრის სარჩელზე, რომლის ქონება მამკვიდრებელმა არასწორად უანდერძა მემკვიდრეს. მაგალითად, მამკვიდრებელმა სამკვიდრო მასაში შეცდომით შეიტანა ადრე გასხვისებული ქონება და იგი უანდერძა თავის მემკვიდრეს.

ასეთ შემთხვევაში მესაკუთრეს უფლება აქვს თავისი ქონების მიმართ საკუთრების უფლების აღიარების შესახებ სარჩელის სასამართლოში წარდგენა განახორციელოს არა ორნლიან შემცირებულ ვადაში, არამედ უფრო ხანგრძლივ, ხანდაზმულობის საერთო ვადებში.

ანდერძის შეცვლა და გაუქმება ცნობილი იყო ძველ ქართულ სამართალშიც. ბექას სამართლის წიგნში მითითებულია, რომ მოანდერძეს თავის სიცოცხლეში ხელეწიფება მისი შეცვლაც და გაუქმებაც. პრაქტიკაც ამას ადასტურებს. მაგალითად, დავით აღმაშენებელი შესაძლებლად მიიჩნევს სალაშქროდ წასვლის წინ ნაჩქარევად შედგენილი ანდერძის შეცვლას. თუ ღმერთმა ინება და ცოცხლად დავბრუნდი ანდერძი „უმჯობესად შეიცვალოს, თუ არა და ესე იყოს აწინდელის"-ო. ბერძნული სამართლის ქართულ ვერსიაში ასეთი დებულებაც არსებობს: თუ პირმა უცხო კაცს უანდერძა მამული და თავისი შვილი უმკვიდროდ დატოვა, შვილის შეწყალების შემთხვევაში, მას უფლება აქვს მოშალოს ასეთი ანდერძი და ახალი დანეროს თავისი შვილის სასარგებლოდ. ანდერძის შეცვლა ცნობილია მხითარ გოშის სამართლის ქართული ვერსიისთვისაც, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია, ავადმყოფმა თავისი ნებით ანდერძი გამოცვალოს და ძალაში დარჩეს ბოლო ანდერძი. ახალი ანდერძი ძველს ყოველთვის აუქმებდა. შუა საუკუნეებში ანდერძის გაუქმების ძირითად მოტივად მემკვიდრის მიერ მამკვიდრებლის სიცოცხლეში მისდამი გამოვლენილი უპატივცემულობა იყო. მემკვიდრეები ნაადრევად ცდილობდნენ ნაანდერძები ქონების დაუფლებას და ამით მოანდერძეთა რისხვას იმსახურებდნენ.

13.7. ანდერძის აღსრულება

ანდერძის შედგენა და მისი კანონიერად გაფორმება ჯერ კიდევ არ ნიშნავს მამკვიდრებლის ნების სრულად განხორციელებას. მთავარია, ანდერძით გათვალისწინებული განკარგულებების შესრულება. ამიტომ სამოქალაქო კოდექსი დეტალურად არეგულირებს ანდერძის აღსრულების პროცესს.

საერთო წესის მიხედვით ანდერძის აღსრულება ევალებათ მემკვიდრეებს. ასეთი მოვალეობა აკისრიათ მხოლოდ ანდერძით მემკვიდრეებს. შესაძლებელია, ანდერძში მითითებული იყოს ერთი ან რამდენიმე მემკვიდრე, რომელთაც ევალებათ ანდერძის აღსრულება.

თუ ასეთი რამ მითითებული არ არის, შესაძლებელია, ერთ-ერთ მემკვიდრეს მიენდოს ანდერძის აღსრულება. ასეთ შემთხვევაში საჭიროა სხვა მემკვიდრეთა თანხმობა. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მათ შეუძლიათ ანდერძის აღსრულება მიანდონ არამემკვიდრესაც. მაგალითად, მამკვიდრებლის ნათესავს, მეგობარს და ა.შ. თუ ანდერძში არაფერია ნათქვამი ანდერძის კონკრეტული აღმსრულებლის შესახებ და ვერც ანდერძით მემკვიდრეები შეთანხმდნენ ასეთი პირის შესახებ, მაშინ ანდერძის აღსრულება თანაბრად ევალება ყველა მემკვიდრეს. როცა მამკვიდრებელი ანდერძით ნიშნავს აღმსრულებელს, საჭიროა ამ უკანასკნელის თანხმობა, თუ იგი არ არის ანდერძით მემკვიდრეთა წრიდან. თანხმობა მან უნდა გამოხატოს ანდერძზე გაკეთებული წარწერით ან ანდერძზე დართული განცხადებით. თუ ანდერძის აღმსრულებლად მამკვიდრებელი ანდერძით მემკვიდრეს დანიშნავს, მისი თანხმობა საჭირო არ არის. ანდერძის აღმსრულებლად დანიშნულ პირს, მიუხედავად იმისა, ანდერძით მემკვიდრეა იგი თუ გარეშე პირი, ნებისმიერ დროს შეუძლია უარი თქვას მოანდერძის მიერ დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე. ამისათვის საჭიროა მხოლოდ ის, რომ მან უარის თაობაზე წინასწარ გააფრთხილოს ანდერძით მემკვიდრეები.

მამკვიდრებელს შეუძლია თვითონ კი არ დანიშნოს ანდერძის აღმსრულებელი, არამედ სხვას დაავალოს ეს ფუნქცია. ამისათვის აუცილებელია ანდერძში მიუთითოს იმ პირის შესახებ, რომელსაც ავალებს ანდერძის აღმსრულებლის დანიშვნას. ასეთი დავალებისათვის პირის წინასწარი თანხმობა საჭირო არ არის. ანდერძის აღმსრულებლის დამნიშნავმა პირმა ეს მოვალეობა უნდა შეასრულოს სამკვიდროს გახსნისას. მან დაუყოვნებლივ უნდა დანიშნოს ანდერძის აღმსრულებელი და ამის შესახებ აცნობოს ანდერძით მემკვიდრეებს. მას შეუძლია უარი თქვას ამ დავალების შესრულებაზე, მით უმეტეს, რომ იგი მასთან წინასწარ არ ყოფილა შეთანხმებული. უარის შესახებ მან დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ანდერძით მემკვიდრეებს.

ანდერძის აღმსრულებელს შეიძლება დაეკისროს ანდერძის მთლიანად ან მისი ცალკეული ნაწილების – ამა თუ იმ საანდერძო განკარგულების აღსრულება. მაგალითად, თუ ანდერძის აღმსრულებელს ანდერძით დავალებული აქვს მხოლოდ საანდერძო დანაკისრის აღსრულება, ანდერძის სხვა ნაწილს მემკვიდრეები აღასრულებენ.

სამკვიდროს გახსნის მომენტიდან მემკვიდრეობის მიღებამდე სამკვიდრო ქონებას მეპატრონე არ ჰყავს, მისი ადრინდელი მფლობელი

სამართლებრივი ურთიერთობიდან გამოვიდა, ხოლო ახალი ჯერ არ შესულა.[1] ამიტომ აუცილებელია სამკვიდრო მასის დაცვის ღონისძიებათა განხორციელება. ასეთი ფუნქციის შესრულება ევალება ანდერძის აღმსრულებელს. იგი მოვალეა სამკვიდროს გახსნის მომენტიდანვე შეუდგეს სამკვიდროს დაცვასა და მართვას. დაცვაში შედის მისი მოვლა-პატრონობა, დაღუპვის, დატაცებისა და გაფუჭების თავიდან აცილებისათვის ზრუნვა. მართვაში კი იგულისხმება გადასახადების გადახდა, გაქირავებული ქონების საფასურის მიღება, მამკვიდრებლის მოვალეებისაგან დაბრუნებული ვალის მიღება და სხვ. ანდერძის აღმსრულებელი უფლებამოსილია შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც აუცილებელია ანდერძის აღსრულებისათვის. მას უფლება აქვს, მაგალითად, შეატყობინოს ანდერძით მემკვიდრეებს სამკვიდროს გახსნის შესახებ, გაყოს სამკვიდრო ქონება მემკვიდრეებს შორის, განუმარტოს მემკვიდრეებს თავიანთი მოვალეობანი მამკვიდრებლის ვალის გასტუმრებასთან დაკავშირებით და სხვ. ანდერძის აღმსრულებლის უფლებამოსილების ფარგლებში სამკვიდროს მართვის უფლებას კარგავენ ანდერძით მემკვიდრეები. მათ არ შეუძლიათ იმ მოქმედებათა შესრულება, რაც მამკვიდრებლისაგან ანდერძის აღმსრულებელს აქვს დაკისრებული. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ანდერძით მემკვიდრეებს ეკრძალებათ სამკვიდრო ქონების დაცვასა და მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული ქმედებების განხორციელება.

მამკვიდრებელმა თუ ანდერძის რამდენიმე აღმსრულებელი დანიშნა, მაშინ ისინი მის აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს ურთიერთშეთანხმებით უნდა წყვეტდნენ. მათ უფლება არა აქვს იმოქმედონ ერთპიროვნულად, გარდა ერთი შემთხვევისა – როცა საკითხი ეხება სამკვიდროს დაცვას. ასეთ შემთხვევაში თითოეული აღმსრულებელი უფლებამოსილია იმოქმედოს ერთპიროვნულად და მიიღოს სამკვიდრო ქონების საიმედოდ დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე გადაწყვეტილება.

ანდერძის აღმსრულებელი მამკვიდრებლის მიერ მასზე დაკისრებულ მოვალეობას, ჩვეულებრივ, უსასყიდლოდ ასრულებს. შესაძლებელია, მან გასამრჯელოც მიიღოს თუ ეს ანდერძით იქნება გათვალისწინებული. რაც შეეხება სამკვიდრო ქონების დაცვასა და მართვაზე გაწეულ აუცილებელ ხარჯებს, მათი ანაზღაურების მოთხოვნის

[1] **Шершеневич Г.Ф.**, Учебник русского гражданского права. м.г. М., 1915, см 328. **Гуляев А. М.**, Русское гражданское право. С. Петербург 1913, с. 599

უფლება ანდერძის აღმსრულებელს უპირობოდ გააჩნია, მიუხედავად იმისა, ანდერძში ამის შესახებ მითითებული იყო თუ არა. არამემკვიდრე ანდერძის აღმსრულებელი შედარებით შეზღუდული უფლებებით სარგებლობს. მას უფლება აქვს სამკვიდრო ქონებიდან გაიღოს ხარჯები – მხოლოდ მამკვიდრებლის მოვლისა და მკურნალობისათვის მისი ავადმყოფობის დროს და დაკრძალვისათვის; მამკვიდრებლის რჩენაზე მყოფი პირების შენახვისათვის; ხელფასის გასტუმრებისა და სამკვიდროს დაცვისა და მართვისათვის. სხვა ხარჯების გაღება მას არ შეუძლია. უფლებამოსილების ეს ფარგლები დადგენილია სამოქალაქო კოდექსის 1427-ე მუხლით და იგი ეხება არა მარტო ანდერძით დანიშნულ აღმსრულებელს, არამედ კანონით მემკვიდრეობის დროს იმ მემკვიდრეს, რომელიც ვადაზე ადრე შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას.

ანდერძის აღსრულების შემდეგ მისი აღმსრულებელი მოვალეა მემკვიდრეების მოთხოვნით წარუდგინოს მათ ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ. ანგარიშის წარდგენა უნდა მოხდეს ანდერძის სრულად აღსრულების შემდეგ, რადგან ანდერძის აღმსრულებელი თავის ფუნქციას ასრულებს ყველა მემკვიდრის მიერ სამკვიდრო ქონებიდან თავისი წილის მიღებამდე.

ანდერძის აღმსრულებლის მიერ თავისი მოვალეობის შეუსრულებლობისას კანონი შესაძლებლად მიიჩნევს მის გადაყენებას. გადაყენების მოთხოვნის უფლება აქვთ მემკვიდრეებს, სამემკვიდრეო-სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილეების მეურვეებსა და მზრუნველებს, მათ წარმომადგენლებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს. ანდერძის აღმსრულებლის გადაყენება უნდა მოხდეს სასამართლოს მეშვეობით. გარდა ამისა, ანდერძის აღმსრულებელს შეიძლება მემკვიდრის სასარგებლოდ დაეკისროს ქონებრივი პასუხისმგებლობა იმ ზიანისათვის, რომელიც მასზე ანდერძით დაკისრებული მოვალეობის განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობის შედეგია. თუ უმნიშვნელო ზიანი გამოწვეულია ანდერძის აღმსრულებლის უბრალო გაუფრთხილებლობით, ამისათვის მას ქონებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

ანდერძის აღსრულებას ძველ ქართულ სამართალშიც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. ივანე ჯავახიშვილის აზრით, ანდერძის დამტოვებელი თავისი ანდერძის აღმსრულებლად, ჩვეულებრივ, განსაკუთრებულ პირს ასახელებდა. ასეთად მოანდერძეს

შეეძლო აერჩია მემკვიდრე ან სხვა პირი. ვახტანგ გორგასალი ოსებზე გალაშქრების წინ დაწერილი ანდერძის აღსრულებას თავის დედას ავალებს, დავით აღმაშენებლის ანდერძის აღმსრულებლად გამოდის მეფე დემეტრე, რომელიც, ამავე დროს, მემკვიდრეცაა. ქართლის ერისთავი გრიგოლ სურამელი ანდერძის აღმსრულებლად თავის ძმას ივანესა და შვილს ბეგას ნიშნავს. მელქისედეკ კათალიკოსის ანდერძში მისი აღსრულების ფუნქცია სასულიერო პირებს ეკისრებათ. ძველ ანდერძებში ხაზგასმულია ის, რომ აღმსრულებელმა ყველა განკარგულება ისე უნდა აღასრულოს როგორც დაიბარა მოანდერძემ. მოანდერძის ნება ყოველთვის სავალდებულო უნდა ყოფილიყო აღმსრულებლისათვის. თუმცა ზოგჯერ კეთილი სურვილებით ხსნიდნენ მისი დარღვევის შესაძლებლობებს. მაგალითად, წმინდა ნინომ ანდერძით დაიბარა, რომ იგი დაეკრძალათ „ზედა კუხეთს". აღმსრულებლები კი მიიჩნევდნენ, რომ ქრისტიანობის გამავრცელებელი საპატიო ადგილას – მცხეთას უნდა დაეკრძალათ. მაგრამ ლეონტი მროველის გადმოცემით, ვერ გადაუხვიეს მოანდერძის ნებას და „დამარხეს ძლევით შემოსილი გვამი მისი ადგილსავე ზედა კუხეთსა, დაბასა, ბოდბისასა... მწუხარე იყო მეფე და ყოველნი წარჩინებულნი მუნ დაფლვასა მისსა, არამედ ცნებისა და ანდერძისა მისისა აღსრულებისათვის დაფლეს მუნ".

ანდერძის შედგენისას მოანდერძე აღმსრულებლისაგან კატეგორიულად მოითხოვდა მის ზუსტ შესრულებას და უმნიშვნელო გადახვევასაც კრძალავდა. მოანდერძე ითხოვდა ანდერძის დაცვას არა მარტო აღმსრულებელთაგან, არამედ ყველასაგან, ვისაც კი რაიმე შემხებლობა ექნებოდა მათთან. მოანდერძე წყევლა-კრულვას უთვლიდა მათ, ვინც მის ანდერძს დაარღვევდა. წყევლა-კრულვასა და ანათემაზე გადაცემას სოციალური დანიშნულება ჰქონდა. ხალხში იყო იმის რწმენა, რომ წყევლას შეეძლო ფიცისა და ანდერძის გამტეხი პირისათვის ცუდი რამ შეემთხვია. წყევლა-კრულვის გვერდით ანდერძებში იმათი დალოცვაც იყო აღნიშნული, ვინც ანდერძს მოანდერძის ნების შესაბამისად შეასრულებდა.

თავი XIV

მემკვიდრეობა კანონით

სამკვიდრო ქონების გადასვლა მემკვიდრეებზე ხდება არა მარტო ანდერძით, რომელშიც გამოხატულია მამკვიდრებლის ინდივიდუალური ნება, არამედ კანონის საფუძველზეც, რომელიც საუკუნეების მანძილზე საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ჩვეულებების ანარეკლია და კოლექტიური ნების გამომხატველი. კანონი თვითონ განსაზღვრავს პირის გარდაცვალების შემდეგ თუ ვისზე უნდა გადავიდეს მისი ქონება. მასში მაქსიმალურად უნდა აისახოს მემკვიდრეთა ინტერესები. თუმცა ანდერძის თავისუფლება და კანონით მემკვიდრეობის მიღების გარანტიაც, სამკვიდრო ქონების განაწილების სფეროში ობიექტური სამართლიანობის სრულ საფუძველს მაინც ვერ ქმნის. ანდერძით მემკვიდრეობის დროსაც შეიძლება დაიჩაგროს მამკვიდრებლის ახლობელი, თუ ანდერძით ქონება სუბიექტური გადაწყვეტილებით სხვა პირს გადაეცემა და კანონით მემკვიდრეობის დროსაც, როცა მას დადგენილი წესისა და რიგის მიხედვით არ უწევს მემკვიდრედ მოწვევა სამკვიდროს გახსნის დროს, მიუხედავად იმისა, რომ მას გაცილებით უფრო მეტი სიახლოვე ჰქონდა მამკვიდრებელთან, ვიდრე სხვა კანონისმიერ მემკვიდრეს. ყოველ შემთხვევაში მემკვიდრეობის ორივე სახე, ცალ-ცალკე აღებული, სრულყოფილად ვერ გამოხატავს მემკვიდრეობის შინაარსს. ისინი ერთმანეთს ავსებენ და ურთიერთგანპირობებულნიც არიან.

კანონით მემკვიდრეობა **საოჯახო ან ნათესაურ** საწყისებს ემყარება. პირველ შემთხვევაში პირის ახლო მემკვიდრეებად ითვლებიან მამკვიდრებლის ოჯახის წევრები – მეუღლე, შვილები, მშობლები და სხვ. შვილებთან გათანაბრებულია შვილად აყვანილები. მეორე შემთხვევაში მემკვიდრეობა სისხლით ნათესაობას ემყარება. მეუღლე კი სისხლით ნათესავი არ არის. მამკვიდრებელთან ფიზიოლოგიური კავშირი ყოველთვის არ შეესაბამება თანამედროვე ინდივიდუალიზმის პირობებში არსებულ ზნეობრივ წარმოდგენებს. ამიტომაა, რომ კანონმდებლობათა უმეტესობა კანონით მემკვიდრეობას ნათესაობის განსაზღვრული ხარისხის ოდენობის ფარგლებში აწესებს.

საქართველოში მემკვიდრეობა ტრადიციულად ოჯახურ საწყისებს ეყრდნობოდა. განსაზღვრული მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ნათესაობასაც. ცნობილი მკვლევრების (გ. ნადარეიშვილი, დ. ფურცელაძე,

ბ. ზოიძე) აზრით, ჩვენში იმდენად ძლიერი იყო ერთად ცხოვრების მოთხოვნილება, რომ მემკვიდრედ მოწოდების საკითხი ბევრად იყო დამოკიდებული მასზე. ამ მხრივ ქართული და რომაული სამართალი თითქმის ერთმანეთს ემსგავსება. ოჯახის გაყრის შემდეგ ნათესაობას აღარ ჰქონდა ის ძალა, რომელიც საკმარისი იქნებოდა მემკვიდრედ მოწოდებისათვის. მემკვიდრეა არა ჩვეულებრივი, არამედ ერთ ოჯახად მცხოვრები ნათესავი. გაუყრელი პირის მდგომარეობა უკეთესი იყო, ვიდრე გაყრილისა. ამ უკანასკნელს უფლება ჰქონდა დაუფლებოდა მხოლოდ ბეითალმან, ანუ უმემკვიდრეო ქონებას და ისიც სათანადო ნებართვით. ვახტანგ VI-ის სამართლის მიხედვით, ქალაქური მემკვიდრეობა ინდივიდუალურ ოჯახში ცოლ-შვილის ფარგლებს გარეთ არ გადიოდა. მემკვდრეებად მიიჩნეოდნენ შვილები – ვაჟიშვილი და ზოგჯერ ქალიშვილიც და მეუღლეც. ამის შემდეგ ქონება ბეითალმანად ცხადდებოდა. მემკვიდრეთა წრე ადრე უფრო ფართოდ იყო წარმოდგენილი. ჯერ მთელი გვარია თავისი წევრებით კანონით მემკვიდრეებად აღიარებული, შემდეგ ვიწროვდება ეს წრე და გარეთ დარჩენილთა ადგილს სახელმწიფო იკავებს. რაც უფრო იშლება დიდი ოჯახები, უფრო ფართოვდება სახელმწიფოს უფლებები სამკვიდრო ქონებაზე. მეფე და ბატონი ენაცვლება მემკვიდრეობის ადრინდელ სუბიექტებს, გაყრილ ოჯახებში გვერდით ნათესავებზე მემკვიდრეობა არ ვრცელდებოდა. მემკვიდრეობის ხაზი, ძირითადად, დაღმავალი ნათესავებით იწყებოდა. აღმავალი ნათესაობაც ზოგჯერ მიიჩნეოდა მემკვიდრეებად. კანონით მემკვიდრეობის ასეთი წესის პირობებში დიდ ოჯახებში გაუყრელად, ერთად ცხოვრება გარკვეული საშუალება იყო ოჯახის ქონებრივ ურთიერთობებში სახელმწიფოს ჩარევის თავიდან ასაცილებლად. ალბათ, ესეც იყო გაუყრელ ოჯახთა სიძლიერის საფუძველი.

მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობით საკმაოდ დეტალურადაა განსაზღვრული კანონით მემკვიდრეობის ძირითადი მიმართულებები, მასში გათვალისწინებულია ქართული მემკვიდრეობითი სამართლის ისტორიული ნიუანსები და თანამედროვე იურისპრუდენციის მიღწევებიც, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა სამემკვიდრეო ურთიერთობის ახლებურად მოწესრიგება.

კანონით მემკვიდრეობა მაშინ არის ეფექტური და სრულყოფილად ასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციას, როცა ანდერძით მემკვიდრეობის სფეროში მოუწესრიგებელი რჩება საზოგადოებრივ ურთიერთობათა განსაზღვრული ნაწილი. გარდაცვლილის ქონების გადასვლა

კანონში მითითებულ პირებზე მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა: მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი; ანდერძი ეხება სამკვიდრო ქონების მხოლოდ ნაწილს; ანდერძი ნაწილობრივ ან მთლიანად იქნა ცნობილი ბათილად და მემკვიდრე გარდაიცვალა სამკვიდროს გახსნამდე ან უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე. ასეთ შემთხვევებში კანონი ერევა საქმეში. იგი მამკვიდრებლის ნების შესაძლო ვარაუდს კოლექტიური ნების ხასიათს აძლევს და ზოგად სამემკვიდეო სამართლებრივ პრინციპებს უსადაგებს. ამიტომაა, რომ მემკვიდრეობის ამ ორ სახეს შორის არსებითი ხასიათის წინააღმდეგობა ფაქტობრივად არ არსებობს. ორივე სახისათვის მამკვიდრებელთან საოჯახო და ნათესაური ურთიერთობის საწყისია განმსაზღვრელი. ამ კრიტერიუმებით შესაძლებელი ხდება მამკვიდრებლისათვის ყველაზე ახლობელი ადამიანების სამემკვიდრეო უფლებების მაქსიმალურად დაცვა.

კანონით მემკვიდრეთა წრე, ადრე მოქმედი კანონმდებლობისაგან განსხვავებით, მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ყველა მათგანს სხვადასხვა დონის სიახლოვე აკავშირებს მამკვიდრებელთან. ზოგიერთი ახლო ნათესავია, მაგალითად, შვილი ან მშობელი, ზოგიერთიც — ოჯახის წევრი, მაგალითად, მეუღლე, შვილი და შვილიშვილი და ა.შ. შესაძლებელია მემკვიდრეთა წრეში აღმოჩნდეს ისეთი პირი, რომელიც არ იცნობდა მამკვიდრებელს ან მისი შორეული ნათესავია. სამკვიდრო ქონების მემკვიდრეთა შორის სამართლიანად განაწილების უზრუნველყოფის მიზნით, სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლი ადგენს კანონით მემკვიდრეთა ხუთ რიგს. თითოეულ რიგში გაერთიანებული მემკვიდრეები სამკვიდრო ქონებიდან თანასწორი წილის მიღების უფლებით სარგებლობენ.

კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან:

პირველ რიგში — გარდაცვლილის შვილები; შვილი, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ დაიბადა; მეუღლე და მშობლები.

— ნაშვილები და მისი შთამომავლები, როგორც მშვილებლის ან მისი ნათესავების მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან მშვილებლის შვილებთან და მათ შთამომავლებთან. ამიტომ ნაშვილები აღარ მიიჩნევა კანონით მემკვიდრედ მისი მშობლებისა და აღმავალი ხაზის სხვა ღვიძლი ნათესავების, აგრეთვე დებისა და ძმების გარდაცვალების შემდეგ.

— შვილიშვილები, შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები კანონით მემკვიდრეებად ჩაითვლებიან, თუ სამკვიდროს

გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო და თანასწორად იღებენ იმ წილს, რაც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ეკუთვნოდა. ისინი ვერ გახდებიან მემკვიდრეები, თუ მათმა მშობლებმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე.

— მშვილებელი და მისი ნათესავები, როგორც ნაშვილებისა და მისი შთამომავლების მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან ნაშვილების მშობლებსა და სხვა ღვიძლ ნათესავებთან. ამიტომ ნაშვილების მშობლებს, აღმავალი ხაზის სხვა ღვიძლ ნათესავებსა და და-ძმებს, აღარ ეკუთვნით კანონით მემკვიდრეობა ნაშვილების ან მისი შთამომავლების გარდაცვალების შემდეგ.

მეორე რიგში – გარდაცვლილის დები და ძმები. მამკვიდრებლის დისწულები და ძმისწულები, აგრეთვე მათი შვილები კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ იყო მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე იქნებოდა. ისინი თანასწორად იღებენ სამკვიდროს იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობლებს ერგებოდათ.

მესამე რიგში – ბებია და პაპა როგორც დედის, ისე მამის მხრიდან. ბებიის დედ-მამა და პაპის დედ-მამა კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ბებია და პაპა ცოცხლები აღარ არიან.

მეოთხე რიგში – ბიძები (დედის ძმა და მამის ძმა), დეიდები და მამიდები.

მეხუთე რიგში – ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები, ხოლო თუ ეს უკანასკნელები არ არიან, მაშინ მათი შვილები.

ნიშანდობლივია, რომ კანონით მემკვიდრეობა იწყება დაღმავალი ხაზით და გრძელდება ნათესაობის ოთხი ხარისხის ჩათვლით. აღმავალი ხაზით იგი სამ ხარისხს მოიცავს. გვერდითი ხაზით მემკვიდრეობაც მხოლოდ სამი ხარისხით შემოიფარგლება.

შვილები მხოლოდ მაშინ ჩაითვლებიან კანონით მემკვიდრეებად, თუ ისინი რეგისტრირებული ქორწინების შედეგად გაჩნდნენ. ქორწინების გაბათილება გავლენას არ ახდენს მანამდე გაჩენილი ბავშვის მემკვიდრეობის უფლებაზე. რაც შეეხება არარეგისტრირებულ ქორწინებაში გაჩენილ ბავშვს, იგი კანონისმიერი მემკვიდრე შეიძლება იყოს მხოლოდ დედისა. ფაქტობრივი მამის გარდაცვალების შემდეგ

იგი მემკვიდრედ არ მოიწვევა. აქედან გამონაკლისია დაშვებული მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, როცა სავარაუდო მამამ ნებაყოფლობით აღიარა მამობა ან მამობა იძულებით დაადგინა სასამართლომ. ორივე შემთხვევაში მამობა უნდა გაფორმდეს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში. თუ ქორწინების გარეშე გაჩენილი ბავშვი მამად ცნობილ პირზე ადრე გარდაიცვლება, მის შვილებს შეუძლიათ მოითხოვონ წილი იმ სამკვიდრო ქონებიდან, რომელიც მათ მამას ეკუთვნოდა. კანონისმიერ მემკვიდრედ ითვლება აგრეთვე შვილი, რომელიც მშობლის გარდაცვალების შემდეგ ცოცხალი დაიბადა. მამის გარდაცვალებიდან შვილის დაბადებამდე არ უნდა იყოს გასული ათ თვეზე მეტი, წინაალმდეგ შემთხვევაში ეჭვქვეშ დადგება მამობაც და ბავშვის მემკვიდრეობის უფლებაც.

ნაშვილები სრულად უთანაბრდება ღვიძლ შვილს ყოველგვარ სამემკვიდრეო ურთიერთობაში. შვილად აყვანის ფაქტი საფუძვლად ედება მშვილებელსა და ნაშვილებს შორის საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას. ნაშვილები თავის ღვიძლ მშობლებთან და სხვა ნათესავებთან არსებულ სამართლებრივ ურთიერთობას წყვეტს. ამიტომ, ბუნებრივია, იგი მშვილებლის და არა მშობლების კანონიერ მემკვიდრედ ითვლება. მას მშვილებლის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ ანდერძით ქონება სხვას გადაეცა, გააჩნია მემკვიდრეობაში სავალდებულო წილის მიღების უფლებაც. შესაძლებელია ნაშვილებს ღვიძლი მშობლებიდან ერთ-ერთთან შეუნარჩუნდეს ნათესაობაზე დამყარებული ურთიერთობა, თუ იგი იშვილა მარტოხელა პირმა. როცა მშვილებელი ქალია, ნაშვილები ღვიძლი დედის კანონით მემკვიდრე ვერ იქნება, მაგრამ მამასა და შვილს შორის ორმხრივი სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობა შენარჩუნებული იქნება. მშვილებელი თუ კაცია, ნაშვილებს ღვიძლ მამასთან უწყდება, ხოლო დედასთან უნარჩუნდება მსგავსი ურთიერთობა. ნაშვილები არ ითვლება ღვიძლი და-ძმის მემკვიდრედაც. მათ ადგილს სამემკვიდრეო-სამართლებრივ ურთიერთობაში მშვილებლის შვილები, ანუ ნაშვილების შეძენილი და-ძმები იჭერენ. შვილად აყვანის გარდა ოჯახში ბავშვის აღსაზრდელად მიღების არც ერთი ფორმა აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის არ წარმოშობს მშობლებსა და შვილებს შორის არსებულ სამართლებრივ კავშირს და, ბუნებრივია, მათ შორის კანონისმიერი ურთიერთმემკვიდრეობაც გამორიცხულია. შვილება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ფორმდება. სასამართლო ახდენს მის გაბათილებასაც.

ასეთ შემთხვევაში სამემკვიდრეო ურთიერთობა პირვანდელ მდგომარეობაში აღდგება.

ძველ ქართულ სამართალში შვილებიდან უპირატესი სამემკვიდრეო უფლებები ვაჟიშვილებს გააჩნდათ. ისინი ითვლებოდნენ პირველი რიგის მემკვიდრეებად. ამავე დროს, უცნობი იყო ერთმემკვიდრეობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც მშობლის ქონების მემკვიდრე მხოლოდ უფროსი ვაჟიშვილი (მაიორატი) ან მხოლოდ უმცროსი ვაჟიშვილი (მინორატი) უნდა ყოფილიყო. ცნობილი იყო ვაჟიშვილთა მხოლოდ განსაკუთრებული წილი – საუფროსო, სასაშუალო და საუმცროსო. რაც შეეხება ქალიშვილთა მემკვიდრეობას, მიუხედავად მისი ფართო შინაარსისა, იგი ვაჟიშვილების მემკვიდრეობასთან არ გათანაბრებულა. მათ შედარებით შეზღუდული სამემკვიდრეო უფლებაუნარიანობა გააჩნდათ. მშობლის ქონებაში ქალიშვილთა წილი უმეტესად მზითვში გამოიხატებოდა. მშობელი ყველა შემთხვევაში ვალდებული იყო უზრუნველეყო ქალიშვილები მზითვით. მზითვში ხშირად სხვა ნივთებთან ერთად მამულებიც შედიოდა. უშუალო მემკვიდრედ გათხოვილი ქალიშვილი მხოლოდ ანდერძით შეიძლებოდა ჩათვლილიყო. მას კანონით მემკვიდრეობა არ ეკუთვნოდა. გაუთხოვარი ქალიშვილი კი ძმასთან ერთად იყო მშობლის ქონების მემკვიდრე და შეეძლო მიეღო მშობლის საქონლის ნახევარი ან მზითვი. თუ იგი არ გათხოვდებოდა და დარჩებოდა მშობლის ოჯახში, მაშინ მზითვზე მეტი ქონება ეძლეოდა. გაუთხოვარი ქალიშვილი მშობლის სრული მემკვიდრე გახდებოდა მხოლოდ მაშინ, როცა სახეზე არ იყვნენ ტრადიციული მემკვიდრეები – ვაჟიშვილი, გაუყრელი ძმა, ბიძა და სხვ.

ვაჟიშვილების უპირატესობა სამემკვიდრეო-სამართლებრივ ურთიერთობებში განპირობებული იყო მათი სოციალური და საოჯახო მდგომარეობით – მათ უნდა ემსახურათ არმიაში, მამის სიბერეში მეფისადმი სამსახურით შეეცვალათ იგი, მოევლოთ მამულისათვის, სისხლის აღებაც მათი ვალი იყო და სხვ. ქალიშვილს კი ასეთი ფუნქციების განხორციელება არ შეეძლო. ამან განაპირობა ზედსიძეობის ინსტიტუტის ჩამოყალიბება. ოჯახში ქალის ადგილს აღნიშნულ ურთიერთობებში სიძე იჭერდა. მას ზოგჯერ შვილობილ სიძესაც უწოდებდნენ. ზედსიძეს მამულის პატრონი უნდა შეეცვალა მეფის სამსახურში. ქალიშვილი მაშინაც ხდებოდა მშობლის უძრავ-მოძრავი ქონების სრული მემკვიდრე, როცა ქმარს მშობლის სახლში მოიყვანდა საცხოვრებლად. ნაშვილებიც იმავე სამემკვიდრეო უფლებებით სარგე-

ბლობდა, რითაც ღვიძლი შვილები. რაც შეეხება ბუშს, ანუ ნაბიჭვარს, იგი მემკვიდრედ არ ითვლებოდა, მაგრამ არსებობისთვის აუცილებელ საზრდოს მოთხოვნის უფლება კი გააჩნდა.

მეუღლეთა ურთიერთმემკვიდრეობის უფლება წარმოიშობა მათი ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან და გრძელდება ერთად ცხოვრების მთელი პერიოდის მანძილზე. ეს უფლება წყდება განქორწინების შედეგად. განქორწინებული მეუღლეები არ შეიძლება ერთმანეთის მემკვიდრეები იყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი საოჯახო ურთიერთობა, მაგალითად საალიმენტო, განსაზღვრული დროით კვლავაც შეიძლება შენარჩუნებული იყოს. მაგრამ განქორწინების შესახებ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანა, რადგან ჯერ კიდევ არ ნიშნავს ქორწინების შეწყვეტას და საჭიროა მისი რეგისტრაცია, განქორწინებიდან მის რეგისტრაციამდე პერიოდში, თუ ერთ-ერთი მეუღლე გარდაიცვალა, მის კანონიერ მემკვიდრედ უნდა ჩაითვალოს ცოცხალი მეუღლე. მეუღლეთა ურთიერთმემკვიდრეობის უფლება შეწყდება განქორწინების, როგორც სამოქალაქო აქტის, რეგისტრაციის მომენტიდან.[1] არარეგისტრირებული ქორწინება მამაკაცსა და ქალს შორის ურთიერთმემკვიდრეობის უფლებას არ წარმოშობს, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მათ საერთო ბავშვი ჰყავდეთ და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში მის მშობლებადაც იყვნენ გატარებული. ასეთი მდგომარეობა მხოლოდ შვილის მიმართ, ედება საფუძვლად სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, ისიც კანონით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას. მამაკაცსა და ქალს შორის არსებული მსგავსი ურთიერთობა კანონის მიერ განიხილება მათ უბრალო თანაცხოვრებად და ერთ-ერთის გარდაცვალების შემთხვევაში ცოცხლად დარჩენილის ქონებრივი პრეტენზიები განიხილება არა სამემკვიდრეო, არამედ სანივთო-სამართლებრივი ნორმების საფუძველზე იმის მხედველობაში მიღებით, თუ რა წვლილი ჰქონდა შეტანილი მას გარდაცვლილთან ერთად შექმნილ საერთო საკუთრებაში.

შესაძლებელია, მეუღლეს კანონით მემკვიდრეობის უფლება ჩამოერთვას სასამართლოს მიერ, თუ დადასტურებულ იქნება, რომ ქორწინება მამკვიდრებელთან ფაქტობრივად შეწყვეტილი იყო სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ სამი წლის განმავლობაში და

---

[1] **რომან შენგელია**, საოჯახო სამართალი. თბ., 1999. გვ. 46.

მეუღლეები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. იგულისხმება, რომ უკანასკნელ სამ წლამდე მეუღლეები ერთმანეთის ურთიერთმემკვიდრეებად ითვლებოდნენ. სხვა მდგომარეობაა, როცა ქორწინების გაბათილების საფუძველი არსებობს. ქორწინების ბათილობა მეუღლეებს შორის აუქმებს ყოველგვარ სამართლებრივ ურთიერთობას. ამიტომ ცოცხლად დარჩენილი მეუღლე დაკარგავს მემკვიდრეობის უფლებას, თუ არსებობდა ქორწინების ბათილად ცნობის საფუძველი და მამკვიდრებლის მიერ სარჩელი იყო წარდგენილი. აქ სახეზეა ისეთი მდგომარეობა, როცა მამკვიდრებელმა სასამართლოში შეიტანა სარჩელი ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ, მაგრამ გარდაიცვალა გადაწყვეტილების მიღებამდე. ქორწინების ბათილად აღიარების სერიოზული საფუძველი უნდა არსებობდეს და სასამართლომ სარჩელი უნდა დააკმაყოფილოს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში დაკარგავს ცოცხლად დარჩენილი მეუღლე კანონით მემკვიდრეობის უფლებას. თუ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ცოცხალი მეუღლე ჩაითვლება მემკვიდრედ. მაგრამ თუ მამკვიდრებლის სიცოცხლეში მოესწრო სარჩელის განხილვა და იგი დაკმაყოფილდა, ქორწინება საერთოდ არავითარი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძვლად არ იქნება მიჩნეული და, ბუნებრივია, არ იარსებებს ყოფილ მეუღლეთა ურთიერთმემკვიდრეობის უფლებაც.

მეუღლის წილის განსაზღვრა უნდა მოხდეს მამკვიდრებელთან ერთად ცხოვრების პერიოდში შექმნილი ქონების სტატუსის გათვალისწინებით. ჩვეულებრივ, მეუღლეებს ასეთი ქონება თანაზიარი საკუთრების უფლებით ეკუთვნით, შესაძლებელია, თანაბრობის პრეზუმფციის დარღვევა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე მაშინაც, თუ ეს საქორწინო ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული. ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებისას სამკვიდრო იხსნება არა მეუღლეთა მთლიან თანასაკუთრებაზე, არამედ მხოლოდ მამკვიდრებლის წილზე. თანასაკუთრებიდან, როგორც წესი, ნახევარი ცოცხალი მეუღლის საკუთრებაა. მეორე ნახევარი კი წარმოადგენს სამკვიდრო ქონებას, რომელშიც სხვა პირველი რიგის კანონით მემკვიდრეებთან ერთად შესაბამისი წილი მეუღლესაც ერგება. გარდა აღნიშნულისა, სამკვიდრო მასაში შევა ის ქონებაც, რომელიც მამკვიდრებლის ინდივიდუალური საკუთრებაა. კომლში სამკვიდროს გახსნის შემთხვევაში მემკვიდრეობა გავრცელდება მამკვიდრებლის წილზეც კომლის საერთო ქონებიდან. შესაძლებელია, მეუღლეებმა თანაზიარი საკუთრება ქორწინების პერიოდშიც გაიყონ. ეს შეიძლება არათანაბრადაც მოხდეს.

ამიტომ მამკვიდრებლის სამკვიდრო ქონებაში თანაზიარი საკუთრების ნახევარი ყოველთვის არ მოიაზრება. საქორწინო ხელშეკრულებაც უმეტესად იმისათვის იდება, რომ კანონის მოთხოვნებისაგან განსხვავებული, მეუღლეთა შორის ქონების განაწილების სხვა წესი იქნეს განსაზღვრული. აღნიშნულ შემთხვევებში სამკვიდრო ქონებაში უნდა ჩაირთოს მამკვიდრებლის რეალურ საკუთრებაში არსებული ნივთები, ფული და სხვა აქტივები.

ძველი ქართული სამართლის მიხედვით ცოლ-ქმარი ერთმანეთის მემკვიდრეებად ითვლებოდნენ. სამკვიდროს მიღების საკითხი არაერთგვაროვნად წყდებოდა ცალკეული ეპოქებისა და საკანონმდებლო ძეგლების მიხედვით. ყველა შემთხვევაში ცოლის მზითვი და საცოლის ოჯახში ქმრის მიერ მიტანილი საჩუქარი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მემკვიდრეობის განსაზღვრაში[1].

აღბუღას სამართლით, როცა ცოლ-ქმარი უშვილო იყო, ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში ქალს რჩებოდა თავისი მზითვი, ხოლო ცოლის გარდაცვალებისას ქმარი მზითვს ვერ ღებულობდა, იგი გადადიოდა ცოლის მშობლების ოჯახზე. უშვილო ცოლ-ქმარი ფაქტობრივად არ მკვიდრობდნენ ერთმანეთს. თითოეულის უფლება თავისი პირადი ქონებით განისაზღვრებოდა. თუ ცოლ-ქმარი შვილიანი იყო, ქმრის გარდაცვალებისას ცოლის უფლება ვრცელდებოდა სასაქონლოზე – უსულო მოძრავ ქონებაზე. მამული კი შვილებს ეკუთვნოდათ. ცოლის გარდაცვალების შემთხვევაში მისი ქონება ქმარსა და შვილებს რჩებოდათ. ვახტანგ VI-ის სამართლის მიხედვით, ცოლის გარდაცვალებისას ქმარი მზითვის სრული მემკვიდრე იყო, თუ დიდი ხნის მანძილზე ცხოვრობდნენ ერთად, წინააღმდეგ შემთხვევაში, მზითვის მესამედზე ვრცელდებოდა მისი უფლება. საერთოდ, შვილიანი ქვრივი ქმრის სასაქონლოს მემკვიდრედ ითვლებოდა. მამული კი შვილებს რჩებოდათ. უშვილო ქვრივი, თუ ოჯახში ზედსიძეს შემოიყვანდა, მაშინ იგი გარდაცვლილი ქმრის ქონება-მამულის სრული მემკვიდრე ხდებოდა. სხვა შემთხვევაში მზითვის ნაწილსა და სარჩოზე შეიძლებოდა უფლება ჰქონოდა. შვილიანი ქვრივი ოჯახში დიდი პატივით სარგებლობდა. შვილიანი ქვრივი ქალი თუ ოჯახიდან წავიდოდა, მას უნდა მისცემოდა თავისი მზითვი და სარჩოც. სამკვიდრო ქონების ძირითად ნაწილს სწორედ სარჩო წარმოადგენდა.

---

[1] დაწვრილებით იხ. ლელა შოშიაშვილი, ქორწინების ინსტიტუტი ძველ ქართულ და რომაულ სამართალში. თბ., 2003.

მშობლები შვილების აღმავალი ხაზის პირველი რიგის მემკვიდრეები არიან. დედა ყოველთვის არის შვილის მემკვიდრე. არა აქვს მნიშვნელობა შვილი მას რეგისტრირებულ ქორწინებაში გაუჩნდა თუ არა. მამა კი მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინებაში გაჩენილი შვილის კანონიერ მემკვიდრედ ითვლება. არარეგისტრირებულ ქორწინებაში გაჩენილი შვილის მემკვიდრედ პირი მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, როცა მან მამობა ნებაყოფლობით აღიარა ან იგი სასამართლომ დაადგინა. ორივე შემთხვევაში მამას მშობლის უფლება-მოვალეობები ეკისრება და, აქედან გამომდინარე, იგი შვილის მემკვიდრედაც უნდა იქნეს აღიარებული. მშობლები მაშინაც არიან შვილის მემკვიდრეები, როცა მათ შორის ქორწინება შეწყვეტილია. არა აქვს მნიშვნელობა განქორწინების შემდეგ რომელ მშობელთან ცხოვრობდა შვილი და რომელი იხდიდა ალიმენტს. განქორწინება მხოლოდ მეუღლეებს შორის წყვეტს სამართლებრივ ურთიერთობას და არა შვილებთან.

მამინაცვალ-დედინაცვალი და გერები არ არიან ერთმანეთის მემკვიდრეები. მშობელი კარგავს მემკვიდრეობის უფლებას შვილის გარდაცვალებისას, თუ მას ჩამორთმეული ჰქონდა მშობლის უფლება და ამ მომენტისთვის არ იყო აღდგენილი პირვანდელ მდგომარეობაში.

მშობლებთან არიან გათანაბრებული მშვილებლები, იმ შემთხვევაში, თუ გაუქმებული ან გაბათილებული არ არის შვილება. ნაშვილების გარდაცვალების შემთხვევაში მისი ღვიძლი მშობლების ნაცვლად, კანონით მემკვიდრეობის პირველი რიგის მემკვიდრედ მშვილებელი გამოდის. სხვა რიგის მემკვიდრეებადაც, მამკვიდრებლის შთამომავლობასთან ერთად, მშვილებლის ნათესავები მიიჩნევიან.

ძველ საქართველოში მშობლები, მართალია, მეორე რიგის მემკვიდრეებად ითვლებოდნენ, მაგრამ მემკვიდრეობას ღებულობდნენ მხოლოდ ისინი, რომლებიც შვილებთან გაუყრელად ცხოვრობდნენ. გაყრილი შვილის მემკვიდრედ მშობელი არ ითვლებოდა, ისე როგორც გაყრილი შვილი არ იყო მშობლის მემკვიდრე. აღმავალი ხაზის ნათესავებთან შედარებით უპირატესობა გვერდითი ხაზის ნათესავებს გააჩნდათ.

შვილიშვილები, შვილიშვილის შვილები და მათი შვილები კანონით მემკვიდრეთა დამოუკიდებელ რიგში არ შედიან. ისინი მემკვიდრეებად მხოლოდ მაშინ ჩაითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროს ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო. მაგალითად, თუ მამკვიდრებლის შვილი სამკვიდროს გახ-

სნამდე გარდაიცვალა, მისი წილი სამკვიდრო გადავა მამკვიდრებლის შვილიშვილზე, მისი გარდაცვალების შემთხვევაში – შვილიშვილის შვილზე, ხოლო თუ ეს უკანასკნელიც არ არის ცოცხალი, მაშინ მემკვიდრე გახდება მისი შვილი, ანუ მამკვიდრებლის დაღმავალი შტოს მეოთხე ხარისხის შთამომავალი. პრაქტიკაში ასეთი რამ არარეალურ იშვიათობას წარმოადგენს. ჩვეულებრივ, შვილიშვილები ან მათი შვილები შეიძლება გახდნენ კანონით მემკვიდრეები. მემკვიდრეობის ასეთი წესი სპეციფიკურ ხასიათს ატარებს. ამის გამო მან მიიღო სახელწოდება **მემკვიდრეობა წარმომადგენლობის უფლებით.** მის კიდევ ერთ თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ, თუ წარმომადგენლობითი მემკვიდრის მშობელს ჩამორთმეული ჰქონდა მშობლის უფლება და სამკვიდროს გახსნამდე ისე გარდაიცვალა, რომ არ აღმდგარა მისი ძველი უფლებები, ეს გავლენას არ მოახდენს მემკვიდრეობის შინაარსზე. სამკვიდრო მაინც გადავა წარმომადგენლობით მემკვიდრეზე. შვილიშვილები მხოლოდ მაშინ ვერ გახდებიან მემკვიდრეები, თუ მათმა მშობლებმა უარი თქვეს სამკვიდრო ქონებიდან თავიანთი წილის მიღებაზე. ასეთ შემთხვევაში მემკვიდრეობა გამოირიცხება დაღმავალი ხაზის შემდგომი შთამომავლებისთვისაც.

დები და ძმები გვერდითი ხაზის ძირითადი მემკვიდრეები არიან. კანონით მემკვიდრეობა ვრცელდება გარდაცვლილის არა მარტო ღვიძლ დებსა და ძმებზე, არამედ დედით ერთ ან მამით ერთ დებსა და ძმებზე, რომელთაც საერთო დედა ან მამა ჰყავთ. დედინაცვლის შვილებსა და მამინაცვლის შვილებს შორის ნათესაური კავშირი არ არსებობს და ისინი ურთიერთმემკვიდრეებიც არ არიან.

მამკვიდრებლის დისწულები და ძმისწულები წარმომადგენლობითი მემკვიდრეები არიან და თანასწორად გაინაწილებენ სამკვიდრო ქონების იმ ნაწილს, რომელიც მათ მშობელს ერგებოდა სამკვიდროს გახსნამდე რომ არ გარდაცვლილიყო.

ბებია და პაპა როგორც დედის, ისე მამის მხრიდან ერთნაირად მაშინ მიიჩნევიან კანონით მემკვიდრეებად, თუ გარდაცვლილის შვილიშვილი რეგისტრირებულ ქორწინებაში იყო გაჩენილი. თუ ეს ასე არ იყო, მაშინ დედის მხრივ ბებია და პაპა უპირობოდ იქნებიან მემკვიდრეებად აღიარებული, ხოლო მამის მხრიდან ბებია და პაპა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მამკვიდრებელსა და მის მამას შორის სამართლებრივი ურთიერთობა ჩამოყალიბებული იყო მამობის ნებაყოფლობითი აღიარების ან სასამართლო წესით დადგენის საფუძველზე.

რაც შეეხება ბებიის დედ-მამისა და პაპის დედ-მამის კანონით მემკვიდრეობას, იგი წარმომადგენლობითი ხასიათისაა და ვრცელდება მამკვიდრებლის როგორც დედის, ისე მამის ხაზით. ისინი მაშინ მიიღებენ მემკვიდრეობას, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ბებია და პაპა ცოცხლები აღარ არიან.

ბიძები, დეიდები და მამიდები ძირითადი მემკვიდრეები არიან. მათთან არ არის დაკავშირებული წარმომადგენლობითი მემკვიდრეობა. ამიტომ მომდევნო და კანონით მემკვიდრეთა ბოლო რიგში შედიან **ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები** როგორც ძირითადი მემკვიდრეები, ხოლო მათი შვილები წარმომადგენლობითი მემკვიდრეობის საფუძველზე თანაბრად მიიღებენ სამკვიდროს გახსნამდე გარდაცვლილი მშობლის წილს.

ზემოაღნიშნული პირების გარდა, არავინ არ შეიძლება ჩაითვალოს კანონით მემკვიდრეთა წრეში, რა ახლობლობაც არ უნდა აკავშირებდეს მას მამკვიდრებელთან. ადრე მოქმედი კანონმდებლობით, მამკვიდრებლის კმაყოფაზე არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში მყოფი პირი ითვლებოდა კანონისმიერ მემკვიდრედ. ახალმა კოდექსმა გამორიცხა ასეთი პირების მემკვიდრეობა, თუმცა მათ მიეცათ სამკვიდრო ქონებიდან სარჩოს მოთხოვნის უფლება. სარჩოს ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო. ეს უფლება არ წარმოიშობა მაშინ, თუ მამკვიდრებელმა მის კმაყოფაზე მყოფი არაშრომისუნარიანი ისეთი პირისთვის, რომელსაც დამოუკიდებლად თავის რჩენა არ შეუძლია, ანდერძით გაითვალისწინა სამკვიდრო ქონების განსაზღვრული ნაწილის გადაცემა.

სამკვიდროს გახსნის შემდეგ მემკვიდრეთა მოწვევა ხდება რიგითობის მიხედვით. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით წინა რიგის თუნდაც ერთ-ერთი მემკვიდრის არსებობა გამორიცხავს შემდგომი რიგის მემკვიდრეობას. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ პირველი რიგის მემკვიდრეებიდან ერთ-ერთი მაინც ცოცხალია, ის მოიწვევა სამკვიდრო ქონების მისაღებად და მეორე რიგის ვერც ერთი მემკვიდრე ვერ მიიღებს წილს ამ ქონებიდან. მაგალითად, თუ მამკვიდრებელს მხოლოდ მეუღლე დარჩა ცოცხალი, სამკვიდროდან წილს ვერ მიიღებს ვერც და-ძმა, ვერც ბებია და პაპა, ვერც ბიძა, დეიდა, მამიდა და მით უმეტეს, მათი შვილები და შვილიშვილები. ყოველი შემდგომი რიგის კანონის მემკვიდრის მოწვევა სამკვიდროს მისაღებად არა მარტო მაშინ ხდება, როცა წინა რიგის არც ერთი მემკვიდრე არ არის, არამედ მაშინაც, როცა წინა რიგის ყველა მემკვიდრემ უარი თქვა მემკვიდრეობის მიღებაზე

ან წინა რიგის ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება.

კანონით მემკვიდრეთა ხუთრიგიანი სისტემა ქართული კანონმდებლობისათვის სიახლეა. ადრე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსით გათვალისწინებული იყო მხოლოდ ორი რიგი. პირველში შედიოდნენ: მეუღლე, შვილები და მშობლები; მეორეში კი – და-ძმები და პაპა-ბებიები. გათვალისწინებული იყო წარმომადგენლობითი მემკვიდრეობა შვილიშვილების, დისშვილებისა და ძმისშვილების მიმართ. მამკვიდრებელის კმაყოფაზე მყოფი პირის მემკვიდრეობა განისაზღვრებოდა მოწვეული მემკვიდრის რიგითობის შესაბამისად. საოჯახო მოხმარების საგნები მემკვიდრეობით გადადიოდა მამკვიდრებელთან მცხოვრებ კანონით მემკვიდრეებზე, მიუხედავად მათი რიგითობისა და მამკვიდრებლის კმაყოფაზე ყოფნისა. კანონით მემკვიდრეობის ეს სქემა მომდინარეობდა საბჭოთა სინამდვილიდან. თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკა იმეორებდა მას. მათ უმრავლესობაში იგი ამჟამადაც შენარჩუნებულია.

რუსეთის სამოქალაქო კოდექსში კანონით მემკვიდრეთა ორრიგიანი სისტემაა განსაზღვრული ზემოაღნიშნული შემადგენლობით. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, კანონით მემკვიდრეები მამკვიდრებელთან ნათესაური სიახლოვის მიხედვით ოთხ რიგად იყოფიან. პირველში შედიან დაღმავალი ხაზის ნათესავები – შვილები, შვილიშვილები, შვილიშვილის შვილები; მეორეში – მშობლები, და-ძმები და მათი დაღმავალი ნათესავები; მესამეში – აღმავალი ხაზის ნათესავები მშობლების გარდა: ბებია და პაპა, ბებიისა და პაპის მშობლები; მეოთხეში – გვერდითი ხაზის ნათესავები და-ძმის გარდა: ბიძები, დეიდები, მამიდები და მათი შთამომავლობა. მოქმედებს წარმომადგენლობითი მემკვიდრეობა. გერმანიაში კანონით მემკვიდრეთა რიგითობას საფუძვლად უდევს ერთი წინაპრიდან წარმოშობილი სისხლით ნათესავთა ჯგუფების სისტემა. ასეთ ჯგუფებს **პარენტელები** ეწოდებათ. პირველ პარენტელში შედიან – მამკვიდრებლის შვილები და სხვა დაღმავალი ხაზის ნათესავები; მეორეში – მშობლები და მათი დაღმავალი ხაზის ნათესავები; მესამეში – ბებია და პაპა და მათი დაღმავალი ხაზის ნათესავები; მეოთხეში – ბებიისა და პაპის მშობლები და დაღმავალი ნათესავები და ა.შ. პარენტელთა რაოდენობა განსაზღვრული არ არის.

სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდება მეუღლის მემკვიდრეობა. საფრანგეთის კანონმდებლობით იგი ფორმალურად

მემკვიდრეთა არც ერთ რიგში არ შედის. ფაქტობრივად კი მეოთხე რიგის მემკვიდრეთა წინ დგას, გამორიცხავს მათ მემკვიდრეობასა და შესაბამის ქონებას საკუთრებაში იღებს თვითონ. ეს ქონება შეიძლება იყოს სამკვიდროს ნახევარი, თუ არიან გვერდითი ხაზის ნათესავები მხოლოდ დედის ან მხოლოდ მამის ხაზით. დანარჩენ შემთხვევებში ცოცხლად დარჩენილი მეუღლე უზუფრუქტით მიიღებს სამკვიდრო ქონების ერთ მეოთხედს პირველი რიგის მემკვიდრეთა მოწვევისას და ნახევარს – დანარჩენ შემთხვევებში. არც გერმანიაშია ცოცხლად დარჩენილი მეუღლე რომელიმე პარენტელში გათვალისწინებული. მიუხედავად ამისა, მისი მოწვევა ხდება პირველი ან მეორე პარენ-ტელის მემკვიდრეებთან ერთად. თუ პირველ პარენტელთან ერთად ხდება მეუღლის მოწვევა, იგი სამკვიდრო ქონების მეოთხედს მიიღებს, მეორე პარენტელთან მოწვევისას – ნახევარს. თუ არ არიან პირველი და მეორე პარენტელის მემკვიდრეები, მთელი სამკვიდრო ქონება მეუღლის ხელში გადავა.

ინგლისში ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს სამემკვიდრეო ურთ-იერთობაში პრივილეგირებული მდგომარეობა უჭირავს. მისი წილი სამკვიდრო ქონებაში იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი კატეგორიის მემკვიდრე დარჩა გარდაცვლილ მეუღლეს. კანონით მემკვიდრეები კი შვიდ რიგად არიან განაწილებული: პირველი რიგი – დაღმავალი ხაზის ნათესავები; მეორე – მშობლები; მესამე – ღვიძლი დები და ძმები; მეოთხე – არაღვიძლი დები და ძმები; მეხუთე – ბებია და პაპა; მეექვსე – ღვიძლი ბიძები და დეიდები; მეშვიდე – არაღვიძლი ბიძები და დე-იდები. მეუღლე, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ რიგში არ შედის, ფაქტობრივად მეოთხე რიგის წინ დგას. წინა რიგების მემკვიდრეებთან ერთად იგი განსხვავებული წესით ღებულობს მემკვიდრეობას. სამი რიგის შემდეგ მთელი სამკვიდრო მასზე გადადის. მეოთხე და შემდეგი რიგის მემკვიდრეები ქონებას ღებულობენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცოცხალი მეუღლე არ არსებობს. დაღმავალი ხაზის სრულწლოვანი ნათესავები და მშობლები ქონებას იღებენ საკუთრების უფლებით, ხოლო დანარჩენი მემკვიდრეები კი – მინდობილი საკუთრების უფლე-ბით. მაგალითად, თუ მემკვიდრეებად მოწვეული არიან დაღმავალი ხაზის ნათესავები სამკვიდროს მისაღებად, მაშინ ცოცხალ მეუღლეს ფიქსირებული ფულადი თანხის მიღების უფლება გააჩნია. გარდა ამისა, იგი მუდმივი სარგებლობისთვის იღებს ვალების გასტუმრების შემდეგ დარჩენილი ქონების ნახევარს; მეორე ნახევარი კი დაღმავალი ხაზის

ნათესავებზე გადადის. თუ დაღმავალი ხაზის ნათესავები არ არიან, მაშინ მემკვიდრეებად მოიწვევიან მშობლები და და-ძმები. ცოცხალ მეუღლეს უფლება აქვს ფიქსირებულ თანხაზე და ვალებისაგან სუფთა სამკვიდრო ქონების ნახევარზე. მეორე ნახევარი ეკუთვნით მშობლებს. თუ ისინი არ არიან, მაშინ და-ძმებს. ფიქსირებული თანხები სხვადასხვა ოდენობით განისაზღვრება. ორივე შემთხვევაში ცოცხალ მეუღლეს რჩება საოჯახო მოხმარების საგნები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა კანონით მემკვიდრეთა რიგი ორიგინალურად განსაზღვრა. მამკვიდრებელთან ნათესაური სიახლოვის ხარისხი მიიჩნია რიგითობის კრიტერიუმად. ცოცხლად დარჩენილი მეუღლე ყოველგვარი დათქმებისა და პირობების გარეშე ჩართო პირველი რიგის ყველაზე ახლო სისხლით ნათესავ მემკვიდრეებს შორის. ამით მან მემკვიდრეობის საოჯახო-სამართლებრივი საწყისი ნათესაურს გაუთანაბრა.

ორიგინალურადაა გადაწყვეტილი აგრეთვე **უმკვიდრო ქონების** სამართლებრივი მდგომარეობა. შესაძლებელია სამკვიდრო ქონება ან მისი ნაწილი დარჩეს მემკვიდრის გარეშე. ასეთ შემთხვევაში ქონებას ვიღაც უნდა დაეპატრონოს. სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლი – „უმკვიდრო ქონების გადასვლა სახელმწიფოზე" – განსაზღვრავს ამისათვის აუცილებელ გარემოებებს: 1. არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან; 2. არც კანონითა და არც ანდერძით მემკვიდრეებმა სამკვიდრო არ მიიღეს; 3. ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება. ასეთ შემთხვევაში უმკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფოზე. შესაძლებელია, ყველა მემკვიდრემ ზოგადად კი არ თქვა უარი სამკვიდროს მიღებაზე, არამედ – სახელმწიფოს სასარგებლოდ. ასეთ შემთხვევაშიც ქონება უმკვიდროდ უნდა ჩაითვალოს. უმკვიდროდ ითვლება მთელი სამკვიდრო ქონება. გამონაკლის შემთხვევაში, როცა მამკვიდრებელმა თავისი ქონების ნაწილი უანდერძა სახელმწიფოს ან სხვა მემკვიდრეს, ხოლო კანონით მემკვიდრეები კი არ არიან, სამკვიდრო ქონების ბეითალმანად დარჩენილი ნაწილი, უმკვიდრო ქონებად ჩაითვლება და სახელმწიფოს ხელში გადავა.

სახელმწიფოს ხელში ქონების გადასვლა დღის წესრიგში მისი სტატუსის გარკვევის საკითხს აყენებს – ზემოაღნიშნულ შემთხვევებში სახელმწიფო უბრალო მესაკუთრის როლში გამოდის თუ იგი მემკვიდრის უფლება-მოვალეობებით არის დატვირთული. მემკვიდრის როლში

სახელმწიფოს გამოსვლა ჩვეულებრივი მოვლენაა ანდერძით მემკვიდრეობისას. მამკვიდრებელს შეუძლია თავისი ქონება ან მისი ნაწილი სახელმწიფოს უანდერძოს. რაც შეეხება კანონით მემკვიდრეობას, იგი თითქოს არ ვრცელდება სახელმწიფოზე. მემკვიდრეთა არც ერთ რიგში იგი არ შედის. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო უმკვიდრო ქონების კანონისმიერ მემკვიდრედ გამოდის. ანდერძით მემკვიდრეობის მსგავსად სახელმწიფოზე უმკვიდრო ქონების გადასვლა ხდება კანონით მემკვიდრეობის ჩარჩოებში უნივერსალური უფლებამონაცვლეობის წესით. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ სახელმწიფო სხვა მემკვიდრეების მსგავსად, სამოქალაქო კოდექსის 1492-ე მუხლის საფუძველზე პასუხს აგებს მამკვიდრებლის ვალებზე უმკვიდრო ქონების შესაბამისი ნაწილით. სახელმწიფოს მონაწილეობა კანონით მემკვიდრეობაში სპეციფიკურობით ხასიათდება. იგი უფლებამოსილი არ არის უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე. აქ იგულისხმება არა მარტო ანდერძით სახელმწიფოსათვის დატოვებული ქონება, არამედ უმკვიდრო ქონების კანონით სახელმწიფოზე გადასვლის შემთხვევაც (1444-ე მუხლი). ამ სპეციფიკის გათვალისწინებით, **სახელმწიფო შეიძლება ჩაითვალოს კანონით მემკვიდრეთა მეექვსე რიგის მემკვიდრედ.**

უმკვიდრო ქონება სახელმწიფოზე არ გადადის მაშინ, თუ მამკვიდრებელი მოხუცთა, ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრდელობით და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებათა რჩენაზე იმყოფებოდა. ასეთ შემთხვევებში უმკვიდრო ქონება ამ დაწესებულებათა საკუთრებაში გადავა, სანივთო-სამართლებრივი და არა სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე. საკითხის ასეთ გადაწყვეტას მამკვიდრებლის რჩენის ფაქტი განაპირობებს. მნიშვნელობა არა აქვს იმას, მამკვიდრებელი ცხოვრობდა თუ არა ასეთ დაწესებულებაში.

განსხვავებულად წყდება საკითხი, როცა იგი ეხება არა მთელ უმკვიდრო ქონებას, არამედ მის მხოლოდ ნაწილს. ეს ნაწილი შეიძლება იყოს სამეწარმეო საზოგადოებაში მამკვიდრებლის წილი ან აქცია, ასევე კოოპერატივში კუთვნილი პაი. თუ ასეთი ქონება უმკვიდროდ იქნა ჩათვლილი, იგი გადავა ზემოაღნიშნულ სუბიექტთა საკუთრებაში. უმკვიდრო ქონების სხვა ნაწილი მემკვიდრეობით გადავა სახელმწიფოს ხელში.

უმკვიდრო ქონების საკუთრებაში მიღება არ ავალდებულებს მამკვიდრებლის ვალების გასტუმრებას არც სარჩოს მიმცემ დაწესებულებას და არც სამეწარმეო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს.

თავი XV

სამემკვიდრეო უფლება-მოვალეობათა განხორციელება

15.1. სამკვიდროს მიღება

სამკვიდროს გახსნის მომენტში წარმოშობილი სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსში შედის მემკვიდრის უფლება, მიიღოს სამკვიდრო ქონება ან უარი თქვას მის მიღებაზე და ნებისმიერი სხვა პირის ვალდებულება, თავი შეიკავოს ისეთი მოქმედებებისაგან, რომელიც ხელს უშლის მემკვიდრეს ამ უფლებათა განხორციელებაში. როგორც ანდერძით, ისე კანონით სპეციალურად გათვალისწინებულ პირებს, ამ უფლებათა განხორციელებაში მემკვიდრისათვის ხელის შეწყობაც კი ევალებათ.

სამკვიდროს მიღების ან უარის თქმის უფლება მემკვიდრეს ენიჭება მისი ნების გარეშე, ძირითადად, მამკვიდრებლის გარდაცვალების საფუძველზე. ეს უფლება მემკვიდრეს აძლევს მხოლოდ ალტერნატიულ შესაძლებლობას, მიიღოს ან არ მიიღოს მემკვიდრეობა და სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი გახდა. იგი ჯერ კიდევ არ ითვლება მამკვიდრებლის უფლებამონაცვლედ. იმისათვის, რომ გახდეს მამკვიდრებლის უფლებებისა და მოვალეობების მატარებელი, მან უნდა მიიღოს მემკვიდრეობა. **სამკვიდროს მიღება ნიშნავს მემკვიდრედ მოწოდებული პირის ნების გამოხატვას სამემკვიდრეო-სამართლებრივ ურთიერთობებში შესვლის შესახებ.** ამ მომენტიდან მემკვიდრე ითვლება სამკვიდრო ქონების მესაკუთრედ, მამკვიდრებლის ვალდებულებების კრედიტორად და მოვალედ. სამკვიდროს მიღების შემდეგ მემკვიდრე სამართლებრივი ურთიერთობის სრულფასოვანი სუბიექტი ხდება.

სამკვიდროს მიღების უფლების განხორციელება შეიძლება მოხდეს როგორც ნების პირდაპირი გამოვლენის საფუძველზე, როდესაც მემკვიდრე სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ, ისე კონკლუდენტური მოქმედებებით, რაც ადასტურებს მემკვიდრის სურვილს სამკვიდროს მიღების თაობაზე. ასეთი მოქმედება შეიძლება გამოიხატოს იმაში,

რომ მემკვიდრე შეუდგა იმ ქონების ფლობას ან მართვას, რომლითაც მამკვიდრებელთან ერთად სარგებლობდა მის სიცოცხლეში. ასეთი მოქმედება უდავოდ ადასტურებს სამკვიდროს მიღებას.

ქონების ფაქტობრივ ფლობაში უმეტესად იგულისხმება დაკავება იმ საცხოვრებელი სახლისა, რომელშიც მემკვიდრე მამკვიდრებელთან ერთად ცხოვრობდა. იმავე შინაარსისაა მემკვიდრის მიერ მამკვიდრებლის ნივთების თავის საცხოვრებელ ადგილზე გადატანა, ფასიანი ქაღალდების შენახვა და სხვ. სამკვიდროს მიღების აქტად ითვლება ერთ-ერთი მემკვიდრის მიერ სამკვიდროს გაყოფის თაობაზე სასამართლოში სარჩელის წარდგენაც.

სამკვიდროს ფაქტობრივი მართვაა ისეთი შემთხვევა, როცა მემკვიდრე, მართალია, არ ფლობს მამკვიდრებლის ქონებას, მაგრამ მისი მოქმედებებიდან დასტურდება, რომ თავისად მიიჩნევს – იხდის ქონების გადასახადს, განკარგავს ამ ქონებიდან მიღებულ შემოსავალს და სხვ.

სამკვიდროს მიღების აქტი უნივერსალურ ხასიათს ატარებს. იგი ვრცელდება მთელ სამკვიდრო ქონებაზე, რაშიც არ უნდა იყოს გამოხატული და სადაც არ უნდა იყოს; თუ სამკვიდროს ქონება სხვადასხვა ადგილას იმყოფება, სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით სამკვიდროს მიღება ნიშნავს სხვა ადგილებზე არსებული ქონების მიღებასაც. სამკვიდროს მიღებისას მემკვიდრეს შეიძლება სრული წარმოდგენა არც ჰქონდეს სამკვიდრო ქონების ზუსტ შემადგენლობაზე. ამიტომ, თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო. ასევე, თუ ერთ-ერთი მემკვიდრე სამკვიდროს ნაწილის მიღებაზე უარს იტყვის სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ, ჩაითვლება, რომ იგი თანახმაა სამკვიდროს სხვა ნაწილის მიღებაზე. ასეთი მოქმედება სამკვიდროს მიღებას ნიშნავს.

სამკვიდროს მიღების აქტი უპირობო ხასიათისაა. სამკვიდროს მიღება რაიმე პირობით ან დათქმით არ დაიშვება. სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს მთლიანად. არ შეიძლება მისგან რაღაც ნაწილის გამორჩევა და მხოლოდ მისი მიღება. აქ იგულისხმება მამკვიდრებლის არა მთელი სამკვიდრო, არამედ მისი ის ნაწილი, რომელიც მემკვიდრეს სამკვიდრო წილის სახით ეკუთვნის.

სამკვიდროს მიღების აქტს გააჩნია შეუქცევადი და უკუქცევის ხასიათი. თუ მემკვიდრემ სამკვიდროს მიღების თაობაზე განცხადებით მიმართა სანოტარო ორგანოს და იგი რეგისტრაციაში გატარდა, ით-

ვლება, რომ სამკვიდრო მიღებულია და განცხადების უკანგათხოვა არ შეიძლება, ანუ სამკვიდროს მიღება ძალაშია. იგი მოქმედებს არა სამკვიდროს მიღების აქტის დაფიქსირებიდან, არამედ სამკვიდროს გახსნის მომენტიდან. სამკვიდრო ქონების მესაკუთრედ მემკვიდრე ითვლება მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან და არა სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანისა და რეგისტრაციის მომენტიდან.

სამკვიდროს მიღება ან უარის თქმა მის მიღებაზე ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე ხდება. ამიტომ მისი, როგორც გარიგების, ნამდვილობისათვის აუცილებელია მემკვიდრე იყოს ქმედუნარიანი. ასეთ პირს შეუძლია სამკვიდრო მიიღოს პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით. ამ შემთხვევაში წარმომადგენლობა განხორციელდება რწმუნებულების საფუძველზე. თუ მემკვიდრე შეზღუდულქმედუნარიანია, იგი სამკვიდროს მიიღებს კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით.

შვიდ წლამდე ქმედუუნარო პირის კანონიერი წარმომადგენელი მისი მშობელია ან მეურვე და მემკვიდრის სახელით ის მიიღებს სამკვიდროს. მაგრამ შვიდიდან თვრამეტ წლამდე მემკვიდრეს თვითონ შეუძლია მიიღოს სამკვიდრო. ამისათვის კი აუცილებელია მშობლის ან კანონის საფუძველზე დანიშნული მზრუნველის თანხმობა. შესაძლებელია, ასეთი თანხმობა არ იყოს საჭირო, თუ აშკარაა, რომ სამკვიდროს მიღება შეზღუდულქმედუნარიანი მემკვიდრისათვის სარგებლის მომტანია. თუ სამკვიდროს მიღება მამკვიდრებლის ვალების გასტუმრებასაც არ ეყოფა, მაშინ სამკვიდროს მიღების საკითხი შეზღუდულქმედუნარიანმა მემკვიდრემ დამოუკიდებლად არ უნდა გადაწყვიტოს.

მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღება უნდა მოხდეს კანონით განსაზღვრულ დროში. სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლის მიხედვით, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. მემკვიდრემ ამ დროის განმავლობაში უნდა მიმართოს სანოტარო ორგანოს განცხადებით სამკვიდროს მიღების თაობაზე ან შეასრულოს სამკვიდროს მიღების დამადასტურებელი მოქმედებები. თუ ექვსი თვის განმავლობაში მემკვიდრე არ მიიღებს სამკვიდროს, შემდეგ იგი კარგავს მისი მიღების უფლებას. **სამკვიდროს მიღების დადგენილი ვადა მიეკუთვნება პრეკლუზიურ ვადებს,** რომლის გასვლა წყვეტს სამკვიდროს მიღების თვით უფლებას, განსხვავებით სასარჩელო ხანდაზმულობის ვადისაგან, რომლის გასვლაც კონკრეტულ უფლებას კი არ წყვეტს, არამედ მისი იძულებითი დაცვის შესაძლებლობას სპობს. სამკვიდროს მიღების

ვადაზე არ მოქმედებს ვადის დენის დაწყების, შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის ხანდაზმულობის ვადისათვის დამახასიათებელი წესი[1]. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ დაუშვებელია სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება. ობიექტური გარემოება ან სხვა საპატიო მიზეზი შეიძლება ამ ვადის გაგრძელების საფუძველი გახდეს. თუ მემკვიდრეს სამკვიდროს მიღების უფლება წარმოეშვა მოგვიანებით, სამკვიდროს გახსნიდან რამდენიმე თვის გასვლის შემდეგ იმის გამო, რომ წინა რიგის მემკვიდრეებმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე, სამკვიდროს მიღება უნდა მოხდეს ექვსთვიანი ვადის დარჩენილი დროის განმავლობაში. ხოლო თუ ეს ვადა სამ თვეზე ნაკლებია, იგი გრძელდება სამ თვემდე. ყველა შემთხვევაში მემკვიდრეს სამკვიდროს მისაღებად მინიმუმ სამთვიანი ვადა გარანტირებული აქვს. სამკვიდროს მიღების უფლება, ასეთ შემთხვევაში, მემკვიდრეს სამთვიანი ვადის დაწყების წინა პერიოდში წარმოეშვა და არა მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტიდან. ასეთ ვადას სამოქალაქო კოდექსი სამკვიდროს მიღების **სპეციალურ ვადას** უწოდებს.

სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ექვსთვიანი ვადა საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ. წინასწარ არ არის განსაზღვრული, თუ რომელი მიზეზი უნდა ჩაითვალოს საპატიოდ. ეს სასამართლოს პრეროგატივაა. როცა სასამართლოში სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების საკითხი დგას, იგულისხმება, რომ სხვა მემკვიდრეებმა გასულ ექვსთვიან ვადაში უკვე მიიღეს სამკვიდრო ან სამკვიდრო გადაეცა სახელმწიფოს. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიერ სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება სრულებითაც არ ნიშნავს დამატებითი დროის დანიშვნას. ვადის გაგრძელებაში იგულისხმება ის დრო, რომელიც გავიდა სამკვიდროს მისაღებად დადგენილი დროის გასვლიდან სასამართლოს მიერ ვადის გაგრძელების თაობაზე სარჩელის განხილვამდე, ამიტომ ვადის გაშვების მიზეზს სასამართლო თუ საპატიოდ თვლის, მაშინ გადაწყვეტს სამკვიდროში მის ხვედრ ქონებაზე უფლების ცნობის საკითხსაც. ვადის გაშვება თუ არასაპატიოდ ჩათვალა სასამართლომ, მაშინ არც მემკვიდრედ ცნობის საკითხი განიხილება, რადგან ვადის გასვლა წყვეტს სამკვიდროს მიღების უფლებას.

სასამართლოს მიერ სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების

---

[1] დაწვრილებით იხ. **დავით სუხიტაშვილი**, სამართალი და დრო, თბ., 2004.

შედეგად ვადის გამშვებ მემკვიდრეს მისი წილი ქონებიდან, რომელიც სხვა მემკვიდრეებმა მიიღეს ან გადავიდა სახელმწიფოს საკუთრებაში, ნატურად უნდა მიეცეს ის, რაც შენარჩუნებულია, დანარჩენი ნაწილი კი უნდა აუნაზღაურდეს მისი ღირებულების ოდენობით. ამ თანხაში არ უნდა შევიდეს ნატურად მიღებული ნივთების ცვეთის, შემთხვევით გაფუჭების საზღაური და სხვ. სხვა მემკვიდრეები არ არიან ვალდებული ვადის გამშვებ მემკვიდრეს სამკვიდრო ქონებასთან ერთად დაუბრუნონ ის შემოსავალი, რომელიც მათ მიიღეს ამ ქონებიდან მათ მფლობელობაში არსებობის პერიოდში, თუ მათი მფლობელობა მართლზომიერად ითვლებოდა.

სამკვიდროს მიღების ვადის გასვლის შემდეგ ზოგჯერ სასამართლოსათვის მიმართვა მისი აღდგენის თაობაზე შეიძლება არც იყოს საჭირო. მაგალითად, თუ ყველა მემკვიდრე თანახმაა, მიღებული სამკვიდრო ქონების თავიანთი წილიდან ახალ მემკვიდრეს გამოუყონ კუთვნილი ქონება, ეს უკვე სამკვიდროს მიღებად ჩაითვლება.

სამკვიდროს მიღების გაშვებული ვადის აღდგენისას სამკვიდრო ქონების ადრინდელი მფლობელების ქონებრივი ვალდებულებებისაგან გათავისუფლების საფუძვლები შესაძლებელია სხვა შემთხვევებშიც იქნეს გამოყენებული. ეს ზოგადი დებულება დაკონკრეტებულია სამოქალაქო კოდექსის 1428-ე მუხლში. მასში მითითებულია იმ შემთხვევებზე, როცა: 1. კანონით მემკვიდრემ, რომელიც შეუდგა სამკვიდროს ფლობას, არ იცოდა ანდერძის არსებობის შესახებ. ანდერძით კი ეს ქონება მამკვიდრებელმა სხვას დაუტოვა; 2. ანდერძით მემკვიდრემ, რომელმაც სამკვიდრო მიიღო, არ იცოდა ანდერძის ბათილობის საფუძვლების არსებობის შესახებ. ეს საფუძვლები კი შემდგომში ანდერძის გაბათილების მიზეზი გახდა; 3. კანონით მემკვიდრემ არ იცოდა წინა რიგის მემკვიდრის არსებობის შესახებ და შეუდგა სამკვიდროს ფაქტობრივ ფლობას. შემდეგ აღმოჩნდა, რომ თვითონ ყოფილა მეორე რიგის მემკვიდრე და არ დაელოდა საზღვარგარეთ წასული პირველი რიგის მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებას; 4. ანდერძით მემკვიდრემ არ იცოდა სხვა ანდერძის არსებობის შესახებ. სამკვიდროს მიღების შემდეგ აღმოჩნდა ახალი ანდერძი, რომლითაც გაუქმებული იყო მისი მემკვიდრეობა; ყველა ამ შემთხვევაში სამკვიდრო ქონების ფლობა არამართლზომიერია. ამიტომ ნამდვილ მემკვიდრეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს და მოითხოვონ სამკვიდრო ქონების განსაზღვრულ წილზე მემკვიდრეობის უფლება. სარჩელის დაკმაყოფილების

ამ შემთხვევაში სამკვიდრო ქონების ადრინდელ მფლობელებს უფლება აქვთ დაიტოვონ ის შემოსავალი, რაც მათ მიიღეს სარჩელის აღძვრამდე. მათ უფლება აქვთ აგრეთვე მოითხოვონ ის თანხები, რაც მათ დააბანდეს სამკვიდრო ქონების მოვლა-პატრონობაში. ასეთი შედეგების დადგომის საფუძველი არის სამკვიდრო ქონების შეცდომით მიღება და მიმღებთა ბრალის არარსებობა. სამკვიდრო ქონების შეცდომით მიმღებმა, თუ ზოგიერთი ნივთი დავის აღძვრამდე გაყიდა, ნასყიდობის ხელშეკრულება არ უნდა გაბათილდეს. ამ შემთხვევაში მყიდველიცა და გამყიდველიც კეთილსინდისიერად მოქმედებდნენ. მაგრამ გამყიდველმა, როგორც არამართლზომიერმა მფლობელმა, გაყიდული ნივთის ღირებულება ნამდვილ მემკვიდრეს უნდა გადაუხადოს. თუ დავის აღძვრის შემდეგ გაიყიდა სამკვიდროში შემავალი რომელიმე ნივთი, ნასყიდობის ხელშეკრულება აუცილებლად უნდა გაბათილდეს.

მემკვიდრე, რომელმაც სამკვიდრო მიიღო, მაგრამ არ დაელოდა სხვა მემკვიდრეების გამოცხადებას და სამკვიდრო ფლობას ან მართვას შეუდგა, არ არის უფლებამოსილი განკარგოს სამკვიდრო ქონება სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის გასვლამდე ან სამკვიდრო მოწმობის მიღებამდე. ამ წესიდან კანონი ითვალისწინებს გამონაკლისს. მემკვიდრეს შეუძლია გაიღოს ხარჯები მხოლოდ: მამკვიდრებლის მოვლისა და მკურნალობისათვის მისი ავადმყოფობის დროს და დაკრძალვისათვის; მამკვიდრებლის რჩენაზე მყოფი პირების შენახვისათვის; ხელფასის გასტუმრებისა და სამკვიდროს ქონების დაცვა-მართვისათვის. ეს ხარჯები უნდა დაიფაროს სამკვიდროში შემავალი ფულადი სახსრებიდან. თუ სამკვიდროში ფული არ არის, მაშინ სხვა ქონებიდან. მიზნობრივი დანიშნულების გარდა, ხარჯების გაღება შეიძლება სამკვიდრო ქონების შემცირების საფუძველი გახდეს. სამკვიდროს მიღება და უარის თქმაც მის მიღებაზე მემკვიდრის ნებელობითი აქტია. ასეთ შემთხვევებში ნათლად ჩანს მისი დამოკიდებულება იმ უფლება-მოვალეობათა მიმართ, რომელთა პოტენციური მატარებელიც შეიძლება გახდეს. ამასთან, არის შემთხვევები, როცა სამკვიდროს მიღება შეუძლებელი ხდება მემკვიდრის ნებისაგან დამოუკიდებლად. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა მემკვიდრე სამკვიდროს გახსნის შემდეგ, მაგრამ სამკვიდროს მიღებამდე გარდაიცვლება. რადგან მან ვერ მოასწრო სამკვიდროს მიღება, ეს უფლება გადავა მის მემკვიდრეებზე. **მემკვიდრის გარდაცვალების გამო სამკვიდროს მიღების უფლების გადასვლას მის მემკვიდრეებზე, მემკვიდრეობითი ტრანსმისია ეწო-**

დება. მემკვიდრეს, რომლის სამკვიდროს მიღების უფლება გადადის სხვა პირზე, **ტრანსმიტენტი ჰქვია,** ხოლო იმ პირს, რომელზეც მემკვიდრეობით გადადის სამკვიდროს მიღების უფლება – **ტრანსმისარი.** მაგალითად, თუ გარდაიცვალა მამა და მისი სამკვიდროს მისაღებად მიიწვიეს შვილი, მაგრამ მან სამკვიდროს მიღება ვერ მოასწრო, ისე გარდაიცვალა სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გასვლამდე, მაშინ მისი წილი სამკვიდროს მიღების უფლება გადავა ამ უკანასკნელის მემკვიდრეებზე. ამ შემთხვევაში შვილი ტრანსმიტენტია, ხოლო მისი მემკვიდრე კი – ტრანსმისარი. მემკვიდრეობით-სამართლებრივ ურთიერთობაში ტრანსმიტენტი მამკვიდრებლის როლში თავის ქონებასთან ერთად გამოდის იმ წილის საფუძველზე, რაც მას მთელ სამკვიდრო მასაში ეკუთვნოდა გარდაცვალებამდე. ტრანსმისარი ტრანსმიტენტის უშუალო მემკვიდრეა, მაგრამ გარკვეული სამართლებრივი კავშირი ტრანსმიტენტის მამკვიდრებელთანაც გააჩნია, რაც, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ მას არა მარტო ტრანსმიტენტის, არამედ ტრანმისტენტის მამკვიდრებლის ვალების გასტუმრებაც ეკისრება. მემკვიდრეობითი ტრანსმისია გარეგნულად ჰგავს სათადარიგო მემკვიდრეს ანდერძით მემკვიდრეობისას და წარმომადგენლობით მემკვიდრეობას კანონით მემკვიდრეობისას, თუმცა მათ შორის არსებითი სხვაობაა. ჯერ ერთი, ტრანსმისია გამოიყენება როგორც ანდერძით, ისე კანონით მემკვიდრეობის დროს. მეორე, მემკვიდრეობით ტრანსმისიას მაშინ აქვს ადგილი, როცა მემკვიდრედ მოწოდებული პირი სამკვიდროს მიღებამდე გარდაიცვლება. სამკვიდროს გახსნის დროს იგი ცოცხალი იყო. სათადარიგო მემკვიდრე კი ინიშნება იმ შემთხვევისათვის მოანდერძის მიერ, თუ ანდერძით მემკვიდრე სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვლება, უარს იტყვის სამკვიდროს მიღებაზე ან ჩამოერთმევა მემკვიდრეობა. ასევე წარმომადგენლობით მემკვიდრეობასაც მაშინ აქვს ადგილი, თუ კანონით მემკვიდრე სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვლება. გარდა ამისა, წარმომადგენლობითი მემკვიდრეობის უფლება კანონით განსაზღვრულ პირებს გააჩნიათ მხოლოდ (შვილიშვილები, დისწულები და ძმისწულები და ა.შ.). ტრანსმისიისას მემკვიდრეობის უფლება შეიძლება მოიპოვოს ნებისმიერმა მემკვიდრემ, მათ შორის შვილიშვილმაც. განსხვავება ტრანსმისიასა და წარმომადგენლობით მემკვიდრეობას შორის ამ შემთხვევაშიც იქნება შენარჩუნებული. თუ შვილიშვილი მემკვიდრედ იქნა მოწვეული იმის გამო, რომ პირველად გარდაიცვალა მისი მშობელი, რომელიც ბებიის ან პაპის მემკვიდრე

იქნებოდა, შემდეგ კი – ბებია ან პაპა, ადგილი ექნება მემკვიდრეობას წარმომადგენლობის უფლებით. ხოლო თუ პირველად გარდაიცვალა ბებია ან პაპა, ხოლო შემდეგ მათი მემკვიდრე შვილი, რომელმაც ვერ მოასწრო სამკვიდროს მიღება დადგენილ დროში, შვილიშვილი სამკვიდროს მიიღებს მემკვიდრეობითი ტრანსმისიის საფუძველზე.

წარმომადგენლობითი მემკვიდრეობით სამკვიდროს მიღებისას ქონების გადასვლა ერთი მამკვიდრებლიდან (ბებია ან პაპა) ხდება მეორეზე (შვილიშვილი) შუალედური მემკვიდრის (შვილიშვილის ადრე გარდაცვლილი მშობლები) გამოტოვებით. ტრანსმისიის დროს სხვა მდგომარეობაა. სახეზეა ორი მამკვიდრებელი, რომლებიც ერთმანეთს ცვლიან. ერთია ბებია ან პაპა და მეორე – შვილიშვილის მშობელი. შვილიშვილი მემკვიდრეობით იღებს თავისი მშობლის სამკვიდრო ქონებას, რომლის შემადგენლობაშიც შედის ბებიის ან პაპის ქონებაზე მემკვიდრეობის უფლება. აქედან გამომდინარე, ტრანსმისიით მემკვიდრეობისას შვილიშვილი თუ ორივე მამკვიდრებლის ვალებისათვის აგებს პასუხს, წარმომადგენლობითი მემკვიდრეობისას შვილიშვილს მხოლოდ ბებიის ან პაპის ვალების გასტუმრება დაეკისრება. მაგალითად, თუ შვილიშვილს ჯერ გარდაეცვალა მშობელი, რომლისგან მიიღო სამკვიდრო 500 ლარი. შემდეგ გარდაიცვალა პაპა, რომლის სამკვიდრო ქონება 300 ლარია. შვილიშვილი მიიღებს მშობლის სამკვიდროს ცალკე და პაპისას – წარმომადგენლობის უფლებით – ცალკე. შვილიშვილი მიღებული სამკვიდროს ღირებულების ფარგლებში ვალდებულია გადაიხადოს მამკვიდრებლის ვალები. თუ მშობელს 600 ლარი, ხოლო პაპას – 100 ლარი ჰქონდა ვალი, შვილიშვილი ვალდებულია გადაიხადოს, მშობლის ვალი – 500 ლარი და პაპის ვალი – 100 ლარი, შვილიშვილს კი დარჩება 200 ლარი, რადგან მან სამკვიდრო ქონებიდან ცალ-ცალკე გაისტუმრა შესაბამისი ვალები. თუ შვილიშვილმა ტრანსმისიის საფუძველზე მიიღო მშობლის სამკვიდრო, რომელშიც ჩართული იყო პაპის სამკვიდრო ქონების მიღების უფლებაც, საბოლოოდ შვილიშვილი მემკვიდრეობით მიიღებს ერთიან 800 ლარს, საიდანაც მან უნდა გაისტუმროს ორივე მამკვიდრებლის ვალი სრულად 700 ლარის ოდენობით. შვილიშვილს კი დარჩება 100 ლარი.

მემკვიდრეობითი ტრანსმისიის დროს გარდაცვლილი მემკვიდრის მემკვიდრეებმა სამკვიდრო უნდა მიიღონ სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ექვსთვიანი ვადის დარჩენილი დროის განმავლობაში. თუ ეს დრო სამ თვეზე ნაკლებია, იგი სამ თვემდე უნდა გაგრძელდეს. მხედ-

ველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მემკვიდრის გარდაცვალება იწვევს სამკვიდროს გახსნას მის მფლობელობაში არსებულ ქონებაზე, რომელშიც, თავის მხრივ, დამატებით უნდა ჩაირთოს იმ სამკვიდროს მიღების უფლებაც, რომელიც მემკვიდრემ ვერ განახორციელა სამკვიდროს მიღების ვადის განმავლობაში. გამოდის, რომ გარდაცვლილი მემკვიდრის ძირითადი სამკვიდროს მისაღებად უფრო მეტი ვადაა დადგენილი, ვიდრე მასში ჩართული სხვა სამკვიდროს მიღებისათვის. მაგალითად, თუ პირველადი მამკვიდრებელი გარდაიცვალა 1 მარტს, მის მემკვიდრეს სამკვიდროს მიღების უფლება აქვს 1 სექტემბრამდე. მაგრამ მან ვერ მოასწრო სამკვიდროს მიღება ისე გარდაიცვალა 20 მაისს. მემკვიდრეობითი ტრანსმისიის საფუძველზე მისი ხვედრი სამკვიდრო ქონება ეკუთვნის მის მემკვიდრეს. ამ უკანასკნელმა ამ წილზე სამკვიდროს მიღება უნდა განახორციელოს 1 სექტემბრამდე, რადგან ამისათვის სამ თვეზე მეტი ვადაა დარჩენილი. ამასთან, გარდაცვლილი მემკვიდრის, ანუ შემდგომი მამკვიდრებლის სამკვიდრო ქონების მიღების ვადა მემკვიდრის მემკვიდრეს აქვს 20 ნოემბრამდე, ამიტომ შესაძლებელია, რომ პირველადი მამკვიდრებლის სამკვიდრო ქონების წილის მიღების ვადა გავიდეს, ხოლო მეორადი მამკვიდრებლის სამკვიდროს მიღების ვადა კი – არა. ასეთ შემთხვევაში ტრანსმისიით მისაღები სამკვიდრო ქონება უნდა გადანაწილდეს პირველადი მამკვიდრებლის სხვა მემკვიდრეებს შორის ან გადაეცეს სახელმწიფოს.

ტრანსმისიით სამკვიდროს მიღებაზე შეიძლება უარი თქვას ტრანსმისარმა. სამკვიდროს მიუღებლობა არ ართმევს მას შესაძლებლობას, მიიღოს ის სამკვიდრო, რომელიც უშუალოდ ეკუთვნოდა ტრანსმიტენტს. მემკვიდრეობითი ტრანსმისიით ქონების მიღებაზე უარის თქმისას ქონება გადადის იმ პირებზე, რომლებიც მოწვეული იყვნენ სამკვიდროს მისაღებად გარდაცვლილ მემკვიდრესთან ერთად. თუ მემკვიდრის მემკვიდრე უარს იტყვის იმ ძირითად სამკვიდროზე, რომელიც ტრანსმიტენტს ეკუთვნოდა, მაშინ სამკვიდრო ქონების ეს ნაწილი გარდაცვლილი მემკვიდრის სხვა მემკვიდრეებზე გადავა.

სამკვიდროს მიღების შემდეგ მემკვიდრეს უფლება აქვს მოითხოვოს სამკვიდრო ქონების აღწერა, რისთვისაც უნდა მიმართოს სანოტარო ორგანოს. ნოტარიუსი არა უმეტეს ორი თვის განმავლობაში მოახდენს ქონების აღწერას, რაზედაც შეადგენს შესაბამის ოქმს. სამკვიდრო ქონების აღწერა მისი დაცვისა და მემკვიდრის ინტერესების უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს.

ხშირად სამკვიდროს გახსნას მაშინვე არ მოსდევს მისი მიღება. ექვსთვიან ვადაში ყოველთვის შეიძლება სამკვიდროს მიღება. სამკვიდროს გახსნიდან მის მიღებამდე გაშვებული დრო უარყოფითად არ მოქმედებს სამკვიდროს სტატუსზე. მემკვიდრე სამკვიდროს მესაკუთრედ ითვლება სამკვიდროს გახსნის და არა მიღების დღიდან. ამიტომ მემკვიდრეს სამკვიდრო ქონებიდან მიღებულ შემოსავალზე უფლება აქვს სამკვიდროს გახსნის დღიდან. ამ მომენტიდან არის იგი ვალდებულიც გასწიოს სამკვიდროსათვის აუცილებელი ხარჯები.

15.2. უარის თქმა სამკვიდროს მიღებაზე

მემკვიდრეს აქვს სამკვიდროს არა მარტო მიღების, არამედ მიღებაზე უარის თქმის უფლებაც. სამკვიდროს მიღების უფლებისაგან განსხვავებით, უარის თქმის უფლება თითქოს შემთხვევით ელემენტს წარმოადგენს მემკვიდრეობაში. არ არის აუცილებელი უარის თქმა, თუ იგივე მიზანი მიღწეულ იქნება სამკვიდროს მიღებისაგან თავის არიდებით. მით უმეტეს თუ სამკვიდროს მიღებაზე თავის არიდების გახანგრძლივება სრულებითაც არ აღიქმება მისი მიღების სასარგებლოდ შესრულებულ მოქმედებად. თავის არიდებაა, მაგალითად, როცა მემკვიდრე არ მიმართავს სანოტარო ორგანოს განცხადებით სამკვიდროს მიღების თაობაზე. იგულისხმება, რომ მას არ სურს სამკვიდროს მიღება. მაგრამ ასეთი ქცევა გაურკვეველ ვითარებაში აყენებს სხვა მემკვიდრეებსა და მამკვიდრებლის კრედიტორებსაც. ამიტომ უმჯობესია მემკვიდრის ნება თავიდანვე აშკარად იყოს გამოხატული. უარის თქმა სამკვიდროს მიღებაზე თავისი შინაარსით აშკარად განსხვავდება სამკვიდროს მიღებაზე თავის არიდებისაგან. უარის თქმა არის ერთჯერადი აქტი, ნების გამოხატვა, ცალმხრივი გარიგება, ხოლო თავის არიდება, ანუ მიუღებლობა გაურკვევლობის მდგომარეობაა განსაზღვრულ დრომდე. აქედან გამომდინარე, კანონი არეგულირებს სამკვიდროს მიღებაზე მხოლოდ უარის თქმასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. მათგან ყველაზე მთავარია მემკვიდრედ მოწვეული პირის განცხადება იმის თაობაზე, რომ მას არ სურს მიიღოს სამკვიდრო და ჩაებას სამემკვიდრეო-სამართლებრივ ურთიერთობებში. ასეთი განცხადება წარდგენილ უნდა იქნეს სანოტარო ორგანოში. ამისათვის დადგენილია განსაზღვრული დრო. მემკვიდრეს

შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა მან შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი მოწვევის შესახებ სამკვიდროს მისაღებად. საპატიო მიზეზის არსებობისას ეს ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, მაგრამ არა უმეტეს ორი თვისა. სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის ძირითადი და გაგრძელებული ვადის გასვლა ნიშნავს იმას, რომ მემკვიდრე თავს არიდებს სამკვიდროს მიღებას, რაც უარის თქმის ტოლფასია. იგი, იმ მიზეზით, რომ თავის დროზე კატეგორიულად არ გამოხატა თავისი ნება, არ არის უფლებამოსილი მომავალში სამკვიდროს მიღების უფლების აღდგენის საკითხი დააყენოს. მან კონკლუდენტური მოქმედებით გამოხატა სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის კატეგორიული სურვილი, რამაც შეწყვიტა სამემკვიდრეო-სამართლებრივ ურთიერთობებში ჩართვის შესაძლებლობა.

სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, არ დაიშვება სამკვიდროს მიღება ან მასზე უარის თქმა ნაწილობრივ, რაიმე დათქმით ან ვადით. მემკვიდრემ მთლიანად უნდა მიიღოს სამკვიდრო ან მთლიანად უარი თქვას მასზე. არც რაიმე დათქმა დაიშვება და არც რაიმე ვადის განსაზღვრა. მაგალითად, არ შეიძლება მემკვიდრემ უარი თქვას სამკვიდროს ნაწილის მიღებაზე იმ მოტივით, რომ სხვა მემკვიდრეები შეჰპირდნენ მისი ღირებულების გადახდას გაზრდილი ოდენობით, ან უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე იმ დრომდე, ვიდრე სხვა მემკვიდრე სამუშაოს იშოვნის. თუ მემკვიდრე უარს იტყვის სამკვიდროს ნაწილზე ან დათქვამს რაიმე პირობას, ითვლება, რომ ის უარს ამბობს სამკვიდროს მიღებაზე. სამკვიდროს ნაწილზე უარის თქმად ითვლება არა მთელი სამკვიდროდან მის კუთვნილ ნაწილზე უარის თქმა, არამედ მისი კუთვნილი წილიდან განსაზღვრულ ნაწილზე უარის თქმაც. მაგალითად, თუ მამკვიდრებელს მხოლოდ მეუღლე და შვილი დარჩა, ხოლო მისი სამკვიდრო 1000 ლარის ღირებულებისაა, მეუღლის უარი შვილის წილის მიღებაზე არ ითვლება სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმად. მაგრამ, თუ იგი უარს იტყვის თავისი წილი სამკვიდროდან მხოლოდ 300 ლარის ღირებულების ნივთის მიღებაზე, ხოლო 200 ლარის ქონებას მაშინ მიიღებს, თუ ვადაზე ადრე გაუშვებენ პენსიაზე, ჩაითვლება რომ მან საერთოდ უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე.

სამკვიდროს ნაწილობრივ მიუღებლობის დებულებიდან შეიძლება გამონაკლისის დაშვება, როცა ეს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს გამოყენების მიზანშეწონილობასთან არის დაკავშირებული. მაგალითად,

მემკვიდრეს, რომელიც არ მისდევს სოფლის მეურნეობას, შეუძლია უარი თქვას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის, სხვადასხვა მოწყობილობის, შრომის იარაღებისა და პირუტყვის მიღებაზე. მან შეიძლება მთელი სამკვიდროდან მიიღოს მხოლოდ საცხოვრებელი სახლი და ავტომანქანა. ასეთი ნაწილობრივი უარი არ ჩაითვლება საერთოდ უარის თქმად სამკვიდროს მიღებაზე. საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტა მემკვიდრის ინტერესების საწინააღმდეგოდ უნდა იქნეს მიჩნეული. არ ჩაითვლება მთელ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმად ის, თუ მემკვიდრეს სხვადასხვა საფუძვლით სამკვიდროდან რამდენიმე წილი ეკუთვნის და ერთ-ერთის მიღებაზე ამბობს უარს. მაგალითად, ანდერძით მემკვიდრე, ამავე დროს, კანონით მემკვიდრეცაა და ანდერძის გარეთ დარჩენილი ქონებიდანაც ეკუთვნის წილი. ასეთ შემთხვევაში მემკვიდრეს შეუძლია ნაანდერძებ ქონებაზე უარი თქვას და დარჩეს მხოლოდ კანონით მემკვიდრედ. ანდა პირიქით მოიქცეს, თუ კანონით მისაღები სამკვიდრო ნაანდერძებთან შედარებით უმნიშვნელო ღირებულებისაა. წილებს შორის არჩევა მემკვიდრისათვის სავალდებულო არაა. მას შეუძლია ყველა წილზე თქვას უარი. ასევე შეუძლია მემკვიდრეს უარი თქვას სამკვიდრო ქონების იმ ნაწილზე, რომელიც სხვა მემკვიდრის მიერ თავისი წილის მიღებაზე უარის თქმის გამო გადანაწილდა დარჩენილ მემკვიდრეებს შორის და მის ხვედრ წილს დამატებით შეემატა. მემკვიდრის უარი ასეთ შემატებულ წილზე არ ნიშნავს უარის თქმას საერთოდ. მას უფლება აქვს მიიღოს სამკვიდრო შემატებული ნაწილის გარეშე.

მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე სხვა პირთა სასარგებლოდ. ისინი შეიძლება მიეკუთვნებოდნენ როგორც ანდერძით, ისე კანონით მემკვიდრეებს. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი წილი სამკვიდრო უნდა გადავიდეს იმ პირებზე, რომელთა სასარგებლოთაც თქვა უარი მოწვეულმა მემკვიდრემ.

სამკვიდროს მიღებაზე შესაძლებელია პირველი რიგის მემკვიდრემ უარი თქვას მეორე ან მესამე რიგის მემკვიდრის სასარგებლოდ, თუ პირველი რიგის სხვა მემკვიდრეები სახეზე არიან. მამკვიდრებელთან ან მემკვიდრესთან ასეთი პირის ნათესაური ან საოჯახო ახლობლობა სავალდებულო არ არის. ამასთან, განსაზღვრულია ის პირები, რომელთა სასარგებლოდაც არ დაიშვება სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა. მათ მიეკუთვნებიან ისინი, რომლებიც სასამართლოს მიერ ცნობილი არიან ულირს მემკვიდრეებად ან, რომელთაც ანდერძის

პირდაპირი მითითებით ჩამოერთვათ მემკვიდრეობის უფლება.

სხვა პირთა სასარგებლოდ გაკეთებული მემკვიდრის უარი სამკვიდროს მიღებაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში დანარჩენი მემკვიდრეების მიერ. გასაჩივრების საფუძველი განსაზღვრული არ არის. იგი შეიძლება იყოს მემკვიდრის მიერ თავისი წილის არამართლზომიერად სხვისთვის გადაცემის სხვადასხვა შემთხვევა, რაც სხვა მემკვიდრეთა კანონიერი ინტერესების უგულებელყოფას იწვევს.

თუ მემკვიდრემ უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე, მაგრამ არ განუცხადებია, თუ ვის სასარგებლოდ ამბობს უარს, მაშინ მისი წილი შეემატება მემკვიდრეებად მოწოდებულ კანონით მემკვიდრეთა წილს, ხოლო, თუ მთელი სამკვიდრო ანდერძით იყო განაწილებული, მაშინ – ანდერძით მემკვიდრეთა წილს. მემკვიდრის წილი განანილებულ უნდა იქნეს სხვა მემკვიდრეთა წილის პროპორციულად. მაგალითად, თუ მამკვიდრებელმა თავისი ქონებიდან მეუღლეს უანდერძა 1200 ლარის, ხოლო შვილებს 600-600 ლარის ღირებულების ქონება და ერთი შვილი უარს იტყვის სამკვიდროს მიღებაზე, მაშინ მისი წილი 600 ლარიდან 200 ლარი, შეემატება მეორე შვილის სამკვიდროს, ხოლო 400 ლარი – მეუღლისას. შესაძლებელია, ანდერძით იყოს განსაზღვრული იმ წილის განაწილების წესი, რომლის მიღებაზეც უარს იტყვის ერთერთი მემკვიდრე. ასეთ შემთხვევაში პროპორციულობის პრინციპი არ იმოქმედებს.

კანონით მემკვიდრეობის დროს თუ მემკვიდრე ერთადერთია თავის რიგში და იგი უარს იტყვის სამკვიდროს მიღებაზე, მაშინ სამკვიდრო გადავა მომდევნო რიგის მემკვიდრეებზე. მაგალითად, თუ მამკვიდრებლის ერთადერთმა შვილმა უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე, მაშინ სამკვიდრო განაწილდება მამკვიდრებლის დასა და ძმას შორის. თუ სამკვიდროს მისაღებად მონვეული ერთადერთი ძმა უარი იტყვის მის მიღებაზე, სამკვიდრო გადავა მამკვიდრებლის ბებიასა და პაპაზე.

შესაძლებელია, მემკვიდრემ უარი თქვას არა ერთი, არამედ რამდენიმე მემკვიდრის სასარგებლოდ. ასეთ შემთხვევაში მისი წილი თანაბრად განაწილდება სხვა მემკვიდრეებს შორის, თუ მითითებულ არ იქნა თითოეულის წილზე. ზემოაღნიშნული მაგალითის მიხედვით თუ მეუღლე უარს იტყვის სამკვიდროს მიღებაზე შვილების სასარგებლოდ, თითოეული მათგანი ცოცხალი მშობლის წილიდან 600 ლარის ქონებას მიიღებს. მაგრამ, თუ ანდერძში მითითებული იყო, რომ მეუღლის მიერ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მისი წილის

ორი მესამედი უფროსი შვილის სამკვიდროს შეემატება, ხოლო ერთი მესამედი – უმცროსისას, მაშინ შვილები, შესაბამისად დედის წილიდან მიიღებენ 800 და 400 ლარის ღირებულების სამკვიდრო ქონებას.

გარკვეული თავისებურება ახასიათებს შვილიშვილის სასარგებლოდ უარის თქმას სამკვიდროს მიღებაზე. კანონით მემკვიდრეობის დროს შვილიშვილი სამკვიდროს იღებს წარმომადგენლობითი მემკვიდრეობის უფლებით. სხვა შემთხვევაში იგი მემკვიდრედ არ ითვლება. ამიტომ შვილიშვილის სასარგებლოდ ბებიამ ან პაპამ მხოლოდ მაშინ შეიძლება უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, თუ სამკვიდროს გახსნის დღისათვის ცოცხალი არ არის ის მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო. ანდერძით მემკვიდრეობისას შვილიშვილი უპირობოდ ითვლება მემკვიდრედ, ამიტომ მის სასარგებლოდ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა ყოველთვის შეიძლება. ერთადერთი სუბიექტი, ვისაც კანონით მემკვიდრეობისას უფლება არა აქვს უარი თქვას უმკვიდრო ქონების მიღებაზე – ეს სახელმწიფოა. უარის თქმის აკრძალვა ამ შემთხვევაში გამომდინარეობს სამკვიდროს სტატუსის განსაკუთრებულობიდან. სახელმწიფოს შემდეგ ბეითალმანი ქონების მემკვიდრე არ შეიძლება ვინმე იყოს. ამიტომ სახელმწიფომ აუცილებლად უნდა მიიღოს კანონიერი სამკვიდრო.

სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა არ დაიშვება მას შემდეგ, რაც მემკვიდრემ სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით შეიტანა განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ. ეს თანხმობა თუ რეგისტრირებულია, მისი უარყოფა არ შეიძლება თუნდაც იმ დროში, რაც დადგენილია სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმისათვის. ასევე არ შეიძლება უარის თქმა სამკვიდროს მიღებაზე, თუ მემკვიდრემ უკვე მიმართა სანოტარო ორგანოს სამკვიდრო მოწმობის მიღების შესახებ. ასეთ შემთხვევებში მემკვიდრისათვის უარის თქმის ტოლფასია თავის არიდება სამკვიდროს მიღებაზე.

მემკვიდრის განცხადებაში გამოხატული ნება სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ შეუქცევადია. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთხელ გამოხატული ნება, როგორც გარიგება, ძალაში შევიდა და მისი გაუქმება არ შეიძლება. უფრო მეტიც, მემკვიდრეს არ შეუძლია უარის თქმის განცხადებაში გარკვეული ცვლილებები შეიტანოს ისე, რომ საბოლოოდ უარის თქმის არსი შეიცვალოს. მაგალითად, თუ მემკვიდრემ უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე ზოგადად, არ შეიძლება ამის შემდეგ მან მოითხოვოს ამ უარის ვინმეს სასარგებლოდ გამოხატვა.

ერთხელ მიღებული გადაწყვეტილება არ უნდა შეიცვალოს.

მემკვიდრეს, რომელიც განცხადებით მიმართავს სანოტარო ორგანოს სამკვიდროს მიღების შესახებ, უფლება არა აქვს შემდეგ უარი თქვას მის მიღებაზე. მაგრამ, თუ მან სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი დაუფლებით ან მართვის დაწყებით გამოხატა თანხმობა სამკვიდროს მიღებაზე, ეს არ ითვლება შეუქცევად ნების გამოხატვად და მას სამკვიდროს მისაღებად დადგენილი დროის განმავლობაში ყოველთვის შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე. ამისათვის აუცილებელია მემკვიდრემ განცხადებით მიმართოს სანოტარო ორგანოს. სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობა ან მართვა, ამ შემთხვევაში, შეიძლება ჩაითვალოს მემკვიდრის ნების წინასწარ გამოვლინებად, რომელიც ძალაში მხოლოდ მაშინ დარჩება, თუ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ ოფიციალურად არ განაცხადებს. სანოტარო ორგანოსადმი უარის თქმის შესახებ განცხადებით მიმართვა აბათილებს ფლობის ან მართვის ფორმით გამოხატულ თანხმობას სამკვიდროს მიღების შესახებ.

სამკვიდროზე უარის თქმის უფლება, ისე როგორც თანხმობის უფლებისა, მემკვიდრეობით გადადის. ეს კონკრეტულ გამოხატულებას იმაში პოულობს, რომ მემკვიდრის მემკვიდრესაც აქვს უფლება უარი თქვას იმ წილის მიღებაზე, რომელიც გარდაცვლილ მემკვიდრეს ეკუთვნოდა. თუ მემკვიდრე გარდაიცვალა სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმისათვის დადგენილი ვადის გასვლამდე, მაშინ ეს ვადა არ დასრულდება დარჩენილი დროის ამოწურვამდე. მაგალითად, თუ მემკვიდრე გარდაიცვალა ორი თვის შემდეგ იმ დღიდან, რაც მან შეიტყო სამკვიდროს მისაღებად თავისი მოწვევის შესახებ და რადგან სწორედ ამ დღიდან იწყება მემკვიდრისათვის სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის სამთვიანი ვადა, ამიტომ გარდაცვლილი მემკვიდრის მემკვიდრემ დარჩენილი ერთი თვის ვადაში შეიძლება უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე. თუ გარდაცვლილ მემკვიდრეს რამდენიმე მემკვიდრე დარჩა, თითოეულს შეუძლია უარი თქვას მხოლოდ მის წილზე სამკვიდრო ქონებაში. ერთი მემკვიდრის უარი არ ნიშნავს სხვა მემკვიდრეების უარს. თავისი ხვედრი ქონების ნაწილზე უარის თქმა კი – გარდაცვლილი მემკვიდრის მემკვიდრეს სამკვიდროს მთლიან წილზე ართმევს მემკვიდრეობის უფლებას.

სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა, ჩვეულებრივ, მემკვიდრის მიერ ხორციელდება. შესაძლებელია, ეს უფლება მან წარმომადგენლის

მეშვეობითაც გამოხატოს. ამისათვის აუცილებელია მემკვიდრის მიერ გაცემულ მინდობილობაში სპეციალურად იყოს მითითება იმის შესახებ, რომ წარმომადგენელს გააჩნია სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის რწმუნება. ასეთი მითითების გარეშე წარმომადგენელი ამ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში ვერ შეცვლის მემკვიდრეს.

სამკვიდროს მიღებაზე თანხმობის გამოცხადების მსგავსად, შეიძლება უარის თქმაც სადავო გახდეს. ამიტომ დაინტერესებულმა პირებმა კანონით განსაზღვრულ ვადაში უნდა მიმართონ სასამართლოს. ასეთი ვადაა ორი თვე იმ დღიდან, როცა სხვა მემკვიდრეებმა, მათმა ნათესავებმა, მეურვეებმა, მზრუნველებმა ან სხვა დაინტერესებულმა პირებმა შეიტყვეს, რომ ამისათვის არსებობს სათანადო საფუძველი. სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, თუ უარის თქმისათვის დადგენილი ვადის განმავლობაში როდის იყო ის გამოთქმული, სამკვიდროს მიღების უფლება წყდება სამკვიდროს გახსნის მომენტიდან.

15.3. სამკვიდროს გაყოფა

სამკვიდრო მასა, როგორც უნივერსალური უფლებამონაცვლეობის ობიექტი, მიუხედავად იმისა, იგი ერთ ადგილზე არის თავმოყრილი თუ არა, სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის იურიდიულად ერთი კომპლექსის სახით მოიაზრება. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა კონკრეტული უფლებამონაცვლეობები შედის მის შემადგენლობაში. სამკვიდრო ქონება ყოველთვის შეიძლება გაიყოს მემკვიდრეებს შორის ისე, რომ თითოეულმა ნაწილმა არ დაკარგოს თავისი პირვანდელი სტატუსი. იგი კვლავაც დარჩება სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტად. ისეთ შემთხვევებში, როცა სამკვიდროს მისაღებად ერთი პირის მოწვევა ხდება, ანდერძისმიერი მემკვიდრე იქნება იგი თუ კანონისმიერი, სამკვიდროს გაყოფის საკითხი არ დგას. შეიძლება გასარკვევი იყოს მიეკუთვნება თუ არა ესა თუ ის ნივთი სამკვიდროს, მაგრამ გაყოფასთან ამას არავითარი კავშირი არა აქვს. ყველაზე ხშირად გაურკვევლობა ცოცხლად დარჩენილი მეუღლის წილის განსაზღვრისას წარმოიშობა. მეუღლეთა თანაზიარი საკუთრების ამ ნაწილზე სამკვიდრო საერთოდ არ იხსნება. მეუღლეთა ქონების კანონით განსაზღვრული რეჟიმიდან სახელშეკრულებოზე

გადასვლისას, რომლის დროსაც მეუღლეები თავიანთი შეხედულების მიხედვით წყვეტენ ქონების ამა თუ იმ ნაწილისათვის ინდივიდუალური თუ თანაზიარი საკუთრების რეჟიმის მიკუთვნებას, ძნელი ხდება იმის გარკვევა, ქონების რა ნაწილი უნდა შევიდეს სამკვიდროში და რა რჩება ხელუხლებელი. მეუღლეთა ქონების გაყოფა არ ნიშნავს სამკვიდრო ქონების გაყოფას, თუმცა ცოცხლად დარჩენილი მეუღლის სამკვიდროს სწორად განსაზღვრისათვის, მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. გაურკვევლობა და უფრო მეტი დავა მაშინ წარმოიშობა, როცა რამდენიმე მემკვიდრეს შორის უნდა მოხდეს სამკვიდროს გაყოფა[1].

მემკვიდრეთა შორის სამკვიდროს გაყოფა ხდება სამოქალაქო კოდექსის ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინებით. სამკვიდრო ქონების გაყოფა ნიშნავს თითოეული მემკვიდრისათვის საერთო მასიდან იმ ნაწილის განსაზღვრას, რაც მათ კანონით ან ანდერძით ერგებათ. გაყოფის ძირითადი კრიტერიუმი არის სამკვიდროში თითოეული მათგანის წილის ოდენობა. მაგრამ გამორიცხული არ არის მემკვიდრეები შეთანხმდნენ სამკვიდროს ისეთ განაწილებაზე, რომელიც არ იქნება კანონით ან ანდერძით განსაზღვრული წილის შესაბამისი. მემკვიდრეთა შორის შეთანხმება ყველა შემთხვევაში აუცილებელია. პრობლემა იხსნება მაშინ, როცა მემკვიდრეებს ეანდერძათ კონკრეტული ნივთები და ამით მამკვიდრებელმა თვითონ გადაწყვიტა მემკვიდრეთა შორის სამკვიდროს განაწილების საკითხი. მოანდერძეს შეუძლია ანდერძით განსაზღვროს სამკვიდროს გაყოფის წესი. მას შეუძლია სამკვიდროს გაყოფა მიანდოს მესამე პირსაც. არ არის გამორიცხული, რომ ამ დროს სამკვიდრო ქონება არამართლზომიერად განაწილდეს. მაგალითად, როიალი ასეთმა პირმა მიაკუთვნა არა მუსიკოს მემკვიდრეს, არამედ – პროფესიით მძღოლს, რაც მათ შორის უკმაყოფილების საბაბი გახდა. მესამე პირის გადაწყვეტილება არ არის სავალდებულო მემკვიდრეებისათვის, თუ ისინი თვლიან, რომ ასეთი გადაწყვეტილება აშკარად უსამართლოა. ასეთ შემთხვევაში ერთ-ერთის ან ორივე მემკვიდრის სარჩელის საფუძველზე სამკვიდროს გაყოფა უნდა მოხდეს სასამართლოს გადაწყვეტილებით.

სამკვიდროს გაყოფისას თითოეულ მემკვიდრეს შეუძლია მოითხოვოს თავისი წილის გამოყოფა ნატურით. არა აქვს მნიშვნელობა ქონება მოძრავია თუ უძრავი. აუცილებელია ის, რომ არსებობდეს ქონების

---

[1] **ეკა ზარნაძე.** მემკვიდრეობის სამართალი. კრებულში – სასამართლო პრაქტიკის კომენტარი სამოქალაქო და საკორპორაციო სამართალში. თბ., 2003. გვ.94.

ნატურით გამოყოფის შესაძლებლობა ან აკრძალული არ იყოს იგი კანონით. ნატურით გაყოფის შესაძლებლობაში იგულისხმება ნივთის ისეთი გაყოფა, რომელიც ცალკეულ ნაწილებს არ დაუკარგავს სამეურნეო ან სხვა მიზნობრივ დანიშნულებას. ასეთია ყველა გაყოფადი ნივთი, მათ შორის ხორბლის ან სიმინდის მოსავალი, საცხოვრებელი სახლი ან მიწის ნაკვეთი და სხვ. არ შეიძლება ავტომანქანის ნატურით გაყოფა მემკვიდრეებს შორის და სხვ. გაუყოფადი ნივთი მემკვიდრეთა შეთანხმებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება მემკვიდრეთა საერთო წილობრივი საკუთრება გახდეს ან ერთ-ერთს დარჩეს და მეორემ სანაცვლოდ სხვა ნივთი ან მისი წილის ღირებულების ტოლფასი ანაზღაურება მიიღოს. კანონით არ დაიშვება მემკვიდრეებს შორის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დანაწევრება და დაყოფა, თუ ამის გამო შეუძლებელი იქნება სრული და ეფექტური მეურნეობის შენარჩუნება. მსგავს შემთხვევებში სამკვიდროს ნატურით გაყოფა არ უნდა მოხდეს. აქედან ლოგიკური გამოსავალი ის არის, რომ მოხდეს მიწის ნაკვეთისა და მასზე მდებარე მეურნეობის გაყიდვა და მემკვიდრეებმა მიიღონ თავიანთი წილის ფულადი ანაზღაურება. ერთი მემკვიდრისათვის მიწის ნაკვეთის მიკუთვნების შემთხვევაში, სხვებმა სამკვიდრო წილი სხვა ქონებით ან შესაბამისი ანაზღაურებით უნდა მიიღონ. ერთი მემკვიდრის გამორჩევის აუცილებლობისას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმას, ვინც მამკვიდრებელთან ერთად ცხოვრობდა და მასთან ერთად ეწეოდა მეურნეობას. თუ ასეთი მემკვიდრე არ აღმოჩნდა, მაშინ მიწის ნაკვეთი უნდა მიეკუთვნოს იმას, რომელსაც აქვს უნარი და სურვილი გაუძღვეს მეურნეობას.

სამკვიდროს გაყოფისას თითოეული მემკვიდრის წილში ჩაითვლება იმ ქონების ღირებულება, რომელიც მან საჩუქრის სახით მიიღო მამკვიდრებლისაგან სამკვიდროს გახსნამდე ხუთი წლის განმავლობაში. საჩუქრის ასეთი სტატუსი მნიშვნელოვნად არის განპირობებული საბაზრო მეურნეობის პრინციპების მოქმედებით. კერძო საკუთრების ობიექტების თავისუფალი ბრუნვა სამოქალაქო ურთიერთობებში, შესაძლებელს ხდის მნიშვნელოვანი ღირებულების ნივთების გაჩუქებას. ამჟამად შესაძლებელია ავტომანქანის, მიწის, საცხოვრებელი სახლის, საწარმოს და მისგან მიღებული დივიდენდების გაჩუქება და სხვ. ამიტომ გაჩუქებული ნივთის სტატუსის განსაზღვრაში გამჩუქებლის ინტერესისადმი ყურადღების გამახვილება სავსებით ლოგიკურად უნდა ჩაითვალოს. ადრინდელი კანონმდებლობით მამ-

კვიდრებელი თავის სიცოცხლეში მემკვიდრისათვის ნაჩუქარ ქონებას არ ტვირთავდა რაიმე ფუნქციით. ალბათ, იმიტომ, რომ სახელმწიფო საკუთრების მონოპოლიური მდგომარეობის პირობებში მამკვიდრებელი პირადი საკუთრების უმნიშვნელო ღირებულების ნივთის ჩუქებას თუ შეძლებდა მხოლოდ და მისი ინტერესიც გაჩუქებულ ნივთზე ამ მომენტში შეწყდებოდა. მაგალითად, საათის, ჰალსტუხის, პერანგის ან ფეხსაცმლის გაჩუქება დიდხანს არ შეიძლებოდა დამახსოვრებოდა გამჩუქებელს ან დასაჩუქრებულს. მოქმედი სამოქალაქო კოდექსი საჩუქარს კანონზომიერად თვლის სამკვიდრო ქონების შემადგენელ ნაწილად. სამკვიდროს გახსნამდე მამკვიდრებლისაგან ნაჩუქარი ქონება, რა დიდი მნიშვნელობისაც არ უნდა იყოს იგი, სამკვიდრო ქონებაში ჩაითვლება. სამკვიდროში ნაჩუქარი ქონების ჩათვლა სხვა მემკვიდრეების ინტერესების დაცვის აუცილებლობითაცაა ნაკარნახევი. თუ ადრე დასაჩუქრებულ მემკვიდრეს სამკვიდროში საჩუქარი ჩაეთვლება, ამით საჩუქრის შესაბამისი ქონება სხვა მემკვიდრეებზე გადანაწილდება და შესაბამისად გაიზრდება მათი წილი.

თანამემკვიდრეთა შეთანხმებით დასაშვებია მთელი სამკვიდროს გაყიდვა და მემკვიდრეთა შორის ფულის განაწილება თითოეული მათგანის წილის შესაბამისად. სამკვიდროს ამგვარი გაყოფა პირობითად ნატურით გაყოფის ნაირსახეობად შეიძლება ჩაითვალოს. ყველა მემკვიდრე სამკვიდრო ქონების ნატურით გაყოფისას მიღებული წილის ფულად ანაზღაურებას ღებულობს. შესაძლებელია თანამემკვიდრეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ მთელი სამკვიდრო ქონება ერთ მემკვიდრეს გადაეცეს იმ პირობით, რომ იგი დანარჩენებს გადაუხდის შესაბამის კომპენსაციას. მაგალითად, თუ სამკვიდროს ღირებულება 5000 ლარია, რომელიც მამკვიდრებლის ხუთ მემკვიდრეს შორის უნდა განაწილდეს თანაბრად, მათ შორის მიღწეული შეთანხმებით, თუ სამკვიდრო ერთ-ერთ მათგანს დარჩება, იგი ვალდებული იქნება დარჩენილი ოთხი მემკვიდრიდან თითოეულს მისცეს კომპენსაცია 1000 ლარის ოდენობით. თუ სამკვიდროში თანამემკვიდრეებს სხვადასხვა ოდენობის წილი ეკუთვნით, მაშინ კომპენსაცია მათი წილის შესაბამისი უნდა იყოს.

თანამემკვიდრეები შეიძლება შეთანხმდნენ იმაზე, რომ სამკვიდროს გაყოფა შეჩერდეს განსაზღვრული დროით. ეს უმეტესად მაშინ ხდება, როცა ერთი ან რამდენიმე მემკვიდრე ობიექტური მიზეზების გამო მონაწილეობას ვერ ღებულობს სამკვიდროს გაყოფაში. თუ სამკვიდროს გაყოფა შეჩერდა განსაზღვრული დროით, მაშინ მის განმავლობაში

მთელი სამკვიდრო ჩაითვლება **თანამემკვიდრეთა საერთო წილობრივ** საკუთრებად. ასეთი ქონების სტატუსი და თანამესაკუთრეთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საერთო საკუთრების მარეგულირებელი ნორმებით. იგულისხმება, რომ თანამემკვიდრეების მიერ დადგენილი დროის გასვლის შემდეგ სამკვიდრო გაიყოფა და მემკვიდრეებს შორის დანაწილდება ინდივიდუალური საკუთრების ობიექტებად. თანამემკვიდრეები შეიძლება იმაზეც შეთანხმდნენ, რომ სამკვიდრო საერთოდ არ გაიყოს და დარჩეს იგი საერთო წილობრივ საკუთრებაში. ეს მაშინ მოხდება, თუ სამკვიდროს გაყოფა გამოიწვევს მისი სამეურნეო დანიშნულების მოშლას ან შესუსტებას. გარდა ამისა, თანამემკვიდრეებს სამკვიდრო ქონების გაყოფის სხვა მისაღები ფორმა არ უნდა გააჩნდეთ. თანამემკვიდრეებს შორის შეთანხმების მომენტისათვის სამკვიდრო ქონების საერთო წილობრივ საკუთრებაში გადასვლა მისი გამოყენების ყველაზე საუკეთესო ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს.

გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება საადგილმამულო მეურნეობის გადასვლა მემკვიდრეობით. თუ საადგილმამულო მეურნეობა კომლს ეკუთვნის საერთო თანაზიარი საკუთრებით, მაშინ იქიდან გამომდინარე, რომ კომლის შიგნით შეიძლება არსებობდეს კომლის წევრთა ინდივიდუალური საკუთრება და მეუღლეთა თანაზიარი საკუთრება, კომლის ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნება მისი ბოლო წევრის გარდაცვალების შემთხვევაში. კომლის ბოლო წევრს აქვს უფლება, ანდერძით განკარგოს კომლის მთელი ქონება. მის მიერ ანდერძით რამდენიმე მემკვიდრის დანიშვნის შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს საადგილმამულო მეურნეობის მემკვიდრეობით გადასვლის ზემოთ აღნიშნული საერთო წესი. თუ კომლის ბოლო წევრს ანდერძი არ დაუტოვებია, მაშინ კომლის საერთო ქონება გადავა კანონით მემკვიდრეებზე იმ პირობით, რომ კომლის მეურნეობა არ დაიშალოს. კომლის საერთო ქონების მემკვიდრეებს შორის გაყოფის დროს ამოსავალ დებულებას უნდა წარმოადგენდეს საადგილმამულო მეურნეობის შენარჩუნებისა და მისი შემდგომი განვითარების აუცილებლობა. თუ ეს შეუძლებელია, თანამემკვიდრეთა შეთანხმებით კომლის მიწა და მასზე მოწყობილი საადგილმამულო მეურნეობა შეიძლება არ გაიყოს და დარჩეს მათ საერთო საკუთრებაში. ანდერძით მემკვიდრეობისას კომლის ქონება მემკვიდრეებს ექნებათ საერთო წილობრივი საკუთრებით, თუ ანდერძში მითითებულია თითოეულის წილი. თუ მემკვიდრეთა წილები არ არის გამოყოფილი, მაშინ – საერთო თანაზიარი

საკუთრებით. რაც შეეხება კანონით მემკვიდრეებს, ისინი მხოლოდ თანაზიარი საკუთრების უფლებით მიიღებენ კომლის ქონებას. კომლის ქონების გაუყოფლობის შესახებ შეთანხმება არ ნიშნავს მის მუდმივ ხასიათს. თანამემკვიდრეებს შეუძლიათ ხელახლა დააყენონ სამკვიდროს გაყოფის საკითხი, თუ უკვე არ არსებობს გაყოფის ხელის შემშლელი პირობები.

ჩასახული, მაგრამ ჯერ არშობილი მემკვიდრის ინტერესებიდან გამომდინარე, სამკვიდროს გაყოფა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა იგი დაიბადება. მემკვიდრის დაბადებამდე სხვა მემკვიდრეებს უფლება აქვთ მიიღონ სამკვიდრო, მაგრამ მისი გაყოფის უფლება არ გააჩნიათ. თუ ჩასახული მემკვიდრე ცოცხალი დაიბადება, მაშინ დანარჩენ მემკვიდრეებს უფლება აქვთ გაიყონ სამკვიდრო ახალშობილი მემკვიდრის წილის გათვალისწინებით. ახალშობილის ინტერესების დასაცავად გაყოფაში მონაწილეობისათვის მოწვეულ უნდა იქნენ მისი წარმომადგენლები.

სამკვიდროს გაყოფისას თითოეულ მემკვიდრეზე თავისი წილის შესაბამისად უნდა გადანაწილდეს მამკვიდრებლის ვალების დაფარვის მოვალეობა. თანამემკვიდრეთა შეთანხმებით დასაშვებია სავალო მოთხოვნები მთლიანად დაეკისროს ერთ-ერთ მემკვიდრეს, მისთვის სამკვიდროდან შესაბამისად გაზრდილი წილის მიცემის სანაცვლოდ. მაგალითად, თუ მამკვიდრებელს 1000 ლარი დარჩა ვალად და მისი ორი მემკვიდრიდან ერთი თანახმაა გადაიხადოს იგი, მაშინ 3 000 ლარის ღირებულების სამკვიდროდან მან უნდა მიიღოს 2000 ლარი, მეორემ კი – 1000. მსგავს შემთხვევებში სამკვიდრო, ბურებრივია, არათანაბრად გაიყოფა.

სამკვიდროს გაყოფის დროს მოქმედებს თანამემკვიდრეთა ურთიერთდახმარებისა და სამკვიდრო წილის მიღებაში ხელშეწყობის პრინციპი. თითოეული მემკვიდრე მოვალეა უზრუნველყოს სხვა თანამემკვიდრეთა მიერ შესაბამისი წილის მიღება. განსაკუთრებით აღსანიშნავია კანონის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ, თუ ერთ-ერთი თანამემკვიდრე სამკვიდროს გაყოფის დროს მოთხოვნის უფლებას იძენს, სხვა მემკვიდრეები ვალდებულნი არიან მოვალის გადახდისუნარიანობა უზრუნველყონ თავიანთი სამკვიდრო წილის მიხედვით. ეს იმას ნიშნავს, რომ მოთხოვნის უფლების მქონე მემკვიდრისათვის, თუ ეს უფლება ვერ განხორციელდა, ანუ მან ვერ მიიღო მამკვიდრებლის მიერ სხვაზე გასესხებული ვალი, მაშინ იგი სხვა თანამემკვიდრეების მიერ უნდა

იქნეს უზრუნველყოფილი. ამ დროს ფაქტობრივად ხდება მოთხოვნის უფლების რეალიზაცია არა ერთი, არამედ ყველა თანამემკვიდრის მონაწილეობით. თანამემკვიდრეთა ასეთი ვალდებულება უნდა შესრულდეს არა მარტო მაშინ, როცა სამკვიდროს გაყოფა ხდება, არამედ მაშინაც, როცა დადგება მოთხოვნის უფლების სამკვიდროს გაყოფის შემდეგ შესრულების დრო. **სამკვიდროს გაყოფისას თუ აღმოჩნდა, რომ ანდერძით განსაზღვრულ წილთა ჯამი აღემატება მთელ სამკვიდროს, მაშინ თითოეული მემკვიდრის წილი შემცირდება პროპორციულად.** მემკვიდრეთა შორის განაწილდება რეალურად არსებული სამკვიდროს ღირებულება. კანონით მემკვიდრეობისას ასეთი რამ გამორიცხულია, რადგან სამკვიდრო თავიდან არ არის განსაზღვრული და მემკვიდრეებს შორის რეალურად არსებული სამკვიდრო ნაწილდება.

სამკვიდროს გაყოფის თაობაზე შეიძლება თანამემკვიდრეები ვერ შეთანხმდნენ. შეუთანხმებლობა უმეტესად სამკვიდროში შემავალი ნივთის მიზნობრივი დანიშნულებისა და თითოეული მემკვიდრის პროფესიის გაუთვალისწინებლობის შედეგი ხდება. მაგალითად, თუ ერთ-ერთი მემკვიდრე დანტისტია, მაშინ მიზანშეწონილი იქნება შესაბამისი სამკურნალო მოწყობილობა მის წილში იქნეს ჩართული. გათვალისწინებულ უნდა იქნეს თითოეულის წილის შესაბამისი ღირებულებაც. დავის განხილვისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ყოველივე ეს სამკვიდროს გაყოფისას ყველა მემკვიდრის ინტერესებიდან გამომდინარე.

თითოეულ თანამემკვიდრეს შეუძლია განკარგოს თავისი წილი სამკვიდროში. აქ იგულისხმება წილის განკარგვის უფლება სამკვიდროს გაყოფამდე. სანამდე გაირკვეოდეს კონკრეტულად, თუ რა საგნები შევა სამკვიდროდან მის წილში, მანამდე მემკვიდრეს შეუძლია გაყიდოს, გაცვალოს ან გააჩუქოს იგი. ამ შემთხვევაში წილის განმსაზღვრელს ცალკეული ნივთები კი არ წარმოადგენს, არამედ საერთო მოცულობის ზოგადი საზომი. მაგალითად, თუ მემკვიდრეს სამკვიდროში ეკუთვნის ერთი მეხუთედი, მას შეუძლია ეს ნაწილი განკარგოს ისე, რომ ზუსტად არ იცოდეს არც მან და არც შემძენმა კონკრეტულად რა ნივთებისაგან შედგება იგი. ეს სამკვიდროს გაყოფის შემდეგ გაირკვევა. ამიტომ მანამდე თანამემკვიდრეს არ შეუძლია განკარგოს ცალკეული საგნები თავისი წილიდან. გამორიცხული არ არის, რომ ასეთი საგანი სამკვიდროს გაყოფის დროს სხვა თანამემკვიდრის წილში შევიდეს. ამიტომ აუცილებელია ნოტარიუსის მიერ დადასტურდეს ის ხელშეკ-

რულება, რომლითაც ერთ-ერთი თანამემკვიდრე განკარგავს თავის წილს. თანამემკვიდრის მიერ თავისი წილის განკარგვის შემთხვევაში სხვა თანამემკვიდრეებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეიძლება ჰქონდეთ ამ **წილის უპირატესი შესყიდვის უფლება**. ასეთი უფლებით თანამემკვიდრეები სარგებლობენ წილის გასხვისების გამოცხადებიდან განსაზღვრული ვადის განმავლობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ თანამემკვიდრეს არა აქვს უფლება სხვა თანამემკვიდრეთა თანხმობის გარეშე გაასხვისოს თავისი წილი დადგენილი დროის განმავლობაში. ამ დროში ნებისმიერ თანამემკვიდრეს შეუძლია გამოთქვას სურვილი წილის შეძენის შესახებ. თუ ხელშეკრულება წილის გასხვისების შესახებ ამ მოთხოვნის უგულებელყოფით დაიდო, იგი უნდა გაბათილდეს. შესაძლებელია წილის შეძენის სურვილი რამდენიმე თანამემკვიდრემ გამოთქვას. მაშინ თითოეულ მათგანს შეუძლია შეიძინოს გასასხვისებელი წილის შესაბამისი ნაწილი.

წილის შესყიდვის უპირატესი უფლება გადადის მემკვიდრეობით. თუ ამ უფლების მქონე მემკვიდრე გარდაიცვალა ისე, რომ ვერ მოასწრო მისი განხორციელება, მაშინ ეს უფლება გადავა მის მემკვიდრეებზე, ანუ მემკვიდრის მემკვიდრეებს გაუჩნდებათ უპირატესი შესყიდვის უფლება. ეს უფლება უნდა განხორციელდეს დადგენილი ვადის დარჩენილ პერიოდში. წინააღმდეგ შემთხვევაში სამკვიდროს წილის შესყიდვის უპირატესი უფლება დაიკარგება.

თანამემკვიდრეთა უპირატესი შესყიდვის უფლება მოქმედებს დადგენილი ვადის განმავლობაში მანამდე, სანამ მემკვიდრეს სამკვიდროდან თავისი წილი გამოეყოფა და გადაეცემა. თუ ამის შემდეგ მემკვიდრე მისთვის გამოყოფილ წილს გაყიდის, თანამემკვიდრეებს უპირატესი შესყიდვის უფლება არ ექნებათ. მემკვიდრე ასეთ შემთხვევაში საერთო-სამკვიდრო ქონების თანამესაკუთრე კი არ არის, არამედ ინდივიდუალური საკუთრების უფლებით ფლობს და განკარგავს თავის წილ სამკვიდროს.

წილის გასხვისების შემთხვევაში შემძენზე გადადის მამკვიდრებლის კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილების მოვალეობა, შეძენილი წილის ოდენობის შესაბამისად. შემძენი იხდის იმდენს, რასაც გადაიხდიდა თანამემკვიდრე თავისი წილი რომ არ გაესხვისებინა. მაგალითად, მამკვიდრებლის ოთხ მემკვიდრეს თანაბრად ეკუთვნით 12 000 ლარის ღირებულების სამკვიდრო. ამავე დროს, მამკვიდრებელს ვალად დარჩა 6000 ლარი. ერთ-ერთი მემკვიდრის მიერ სამკვიდროდან თავისი ერთი

მეოთხედი წილის გასხვისების შემთხვევაში, წილის შემძენი ვალდებული იქნება შეძენილი 3 000 ლარის ღირებულების ქონებიდან მამკვიდრებლის ვალის დასაფარად გადაიხადოს 1500 ლარი.

სამოქალაქო კოდექსის 322-ე მუხლის საფუძველზე, სამკვიდროს გახსნამდე არ შეიძლება სამკვიდრო ქონებაზე, მათ შორის – სავალდებულო წილის ან საანდერძო დანაკისრის გასხვისების თაობაზე სხვა პირებს შორის ხელშეკრულების დადება. დადებული ხელშეკრულება კი უნდა გაბათილდეს. ასეთი აკრძალვა არ მოქმედებს **მომავალ კანონით მემკვიდრეებს შორის** სამემკვიდრეო ან სავალდებულო წილის თაობაზე დადებული ხელშეკრულების მიმართ.

სამკვიდროს გაყოფისას ზოგიერთ მემკვიდრეს შეიძლება წარმოეშვას **თანამესაკუთრეებთან ქონებრივი გათანაბრების უფლება.** სამოქალაქო კოდექსის 1473-ე მუხლის მიხედვით, მემკვიდრეები, რომლებიც მოწვეული იქნებიან სამკვიდროს მისაღებად, ვალდებულნი არიან წილთა გათანაბრებისათვის, გაყოფამდე, სამკვიდროს მიათვალონ ყოველივე ის, რაც მათ მიიღეს მამკვიდრებლისაგან მის სიცოცხლეში – მშობლების ქონებიდან გამოყოფის სახით. წილის გათანაბრების მიზანია სამკვიდრო ქონებიდან განსაზღვრული ნაწილის გამოკლება და იმ თანამემკვიდრის წილისათვის მიმატება, რომელსაც ასეთი მოთხოვნის უფლება აქვს. ამით ყველა თანამემკვიდრე ფაქტობრივად ერთნაირ წილს მიიღებს სამკვიდროდან. მაგალითად, მამკვიდრებელს გარდაცვალების შემდეგ დარჩა პირველი რიგის კანონით მემკვიდრეები – მეუღლე და სამი შვილი. სამკვიდროს ღირებულება 12 000 ლარია. სამკვიდროს გაყოფისას გაირკვა, რომ უფროსმა შვილმა გარდაცვლილი მშობლის სიცოცხლეში ცალკე ცხოვრება დაიწყო და გამოყოფის სახით მიიღო 1000 ლარის ღირებულების ქონება. ასეთ შემთხვევაში უმცროს შვილებს წარმოეშობათ გათანაბრების უფლება, რის გამოც მათ უფლება აქვთ სამკვიდრო ქონებიდან მოითხოვონ 2 000 ლარის გამოკლება თავიანთ წილზე დასამატებლად და დარჩენილი 10 000 ლარის ღირებულების ქონების თანაბრად გაყოფა. თითოეულ მემკვიდრეს სამკვიდროდან წილის სახით ერგება 2 500 ლარი, უმცროს შვილებს კი დამატებით ერგებათ გათანაბრების თანხა თითოეულს 1000 ლარი. საბოლოოდ უფროსი შვილი თუ 2 500 ლარის ქონებას მიიღებს სამკვიდროდან წილის სახით, უმცროსი ორი შვილიდან თითოეულს ერგება 3500 ლარის ქონება. წილის გათანაბრების საფუძველზე სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინება მემკვიდრეთა ქონებრივი

უფლებების დაცვის საუკეთესო საშუალებაა. წილთა გათანაბრება არ მოხდება მაშინ, თუ მამკვიდრებელმა უკვე გაითვალისწინა თავის მემკვიდრეთა ინტერესების დაცვის სხვა საშუალებები, მაგალითად, ანდერძის საშუალებით მათი წილის საბოლოო გათანაბრება და სხვ. წილის გათანაბრების მოთხოვნის გავრცელებულ საფუძველს წარმოადგენს ქალიშვილისათვის მზითვის გამოყოფა. სხვა შვილებს სამკვიდროს გაყოფისას მზითვის ღირებულების გათვალისწინების მოთხოვნის უფლება გააჩნიათ.

წილის გათანაბრების საკითხი დადგება მაშინაც, როცა სამკვიდროს გახსნამდე ან გახსნის შემდეგ გარდაიცვლება ის შთამომავალი, რომელიც, როგორც მემკვიდრე ვალდებული იყო გაეთანაბრებინა წილი. ასეთ შემთხვევაში წილის გათანაბრებაზე ზრუნვის ვალდებულება გადავა გარდაცვლილი მემკვიდრის მემკვიდრეზე. მაგალითად, ორი კანონისმიერი მემკვიდრიდან ერთმა მამკვიდრებლისაგან გამოყოფის სახით მიიღო 1000 ლარის ღირებულების ქონება. მამკვიდრებელს კი 5000 ლარის ღირებულების ქონება დარჩა. მამკვიდრებლისაგან გამოყოფილი მემკვიდრე სამკვიდროს გახსნამდე ან მისი გახსნის შემდეგ გარდაიცვალა. რადგან მისი კუთვნილი წილი მემკვიდრეობით მის ორ შვილზე უნდა გადავიდეს, ცოცხლად დარჩენილ მემკვიდრეს უფლება აქვს წილის გათანაბრება მოითხოვოს გარდაცვლილი მემკვიდრის შვილებისაგან 1000 ლარის ოდენობით, იმ წილიდან, რომელიც 2 500 ლარის ღირებულებისაა. საბოლოოდ ცოცხალი მემკვიდრე მიიღებს (2500+1000) 3500 ლარს, ხოლო გარდაცვლილი მემკვიდრის შვილები, გათანაბრების შემდეგ, დარჩენილი ქონების (2500-1000) ნახევარს, თითოეული 750 ლარის ღირებულების ოდენობით. მამკვიდრებლის შთამომავალს, რომელიც საოჯახო მეურნეობაში გაწეული შრომით, მამკვიდრებლის პროფესიულ და კომერციულ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობით, მამკვიდრებლის ქონებაზე მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევით ან სხვა სახის საქმიანობით განსაკუთრებული წვლილი შეიტანა მამკვიდრებლის ქონების შენარჩუნებასა და გაზრდაში, სამკვიდროს გაყოფისას უფლება აქვს მოითხოვოს წილის გათანაბრება იმ ნათესავებისაგან, რომლებიც მასთან ერთად კანონით მემკვიდრეები არიან და ითხოვენ სამკვიდროს. ასეთ შემთხვევაში გათანაბრება უნდა მოხდეს იმ ოდენობით, რითაც შენარჩუნებულ იქნა სამკვიდრო ან გაიზარდა იგი. სამკვიდროს გაყოფისას გათანაბრების თანხა ემატება იმ მემკვიდრის წილს, რომელსაც მისი მოთხოვნის უფლება აქვს. სამკვიდრო კი

ამ თანხის გარეშე ნაწილდება მემკვიდრეებს შორის.

გათანაბრების მოთხოვნის უფლება არ წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ მომსახურებისათვის ნათესავი იღებდა გასამრჯელოს ან გასამრჯელო წინასწარ იყო შეთანხმებული. გათანაბრების მოთხოვნა არ დაიშვება იმ შემთხვევაშიც, როცა არსებობს სხვა სამართლებრივი საფუძველი. მაგალითად, თუ ნათესავი მამკვიდრებლის ქონების გაზრდაში იღებდა მონაწილეობას, მაგრამ, ამავე დროს, იგი შესაბამის წილს ღებულობდა.

გათანაბრების საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მარტო გაწეული მომსახურების ეფექტურობა, არამედ თვით სამკვიდროს მოცულობა. მცირე მოცულობის სამკვიდროს მომსახურება, ბუნებრივია, მის მნიშვნელოვან ზრდას არ გამოიწვევს და ამიტომ გათანაბრების მოთხოვნაც არ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული. აუცილებელია, მომსახურების ეფექტურობამ და სამკვიდროს საკმაო მოცულობამ შექმნას გათანაბრების აუცილებლობა.

სამკვიდროს გაყოფისას აუცილებელია ყველა მემკვიდრის ინტერესი იქნეს დაცული. თუ მემკვიდრეთა შორის არიან ისეთებიც, რომელთა ადგილსამყოფელი ცნობილი არ არის, დანარჩენი მემკვიდრეები მოვალენი არიან მიიღონ გონივრული ზომები მათი ადგილსამყოფელის დასადგენად, რათა ისინი მონწვეულ იქნენ სამკვიდროს მისაღებად.

მემკვიდრის გამოუცხადებლობა სამკვიდროს მისაღებად სხვადასხვა შედეგებს იწვევს იმის მიხედვით, დადგენილია თუ არა მისი ადგილსამყოფელი. თუ სამკვიდროს მისაღებად მოწვეული მემკვიდრე, რომლის ადგილსამყოფელი დადგენილია, მაგრამ ადგილზე არ იმყოფება, სამი თვის განმავლობაში უარს არ იტყვის სამკვიდროზე, მაშინ დანარჩენი მემკვიდრეები ვალდებულნი არიან შეატყობინონ მას თავიანთი განზრახვა სამკვიდროს გაყოფის თაობაზე. თუ ასეთი მემკვიდრე შეტყობინებიდან სამი თვის განმავლობაში არ აცნობებს დანარჩენ მემკვიდრეებს ქონების გაყოფის თაობაზე შეთანხმებაში მონაწილეობის შესახებ, მაშინ დანარჩენ მემკვიდრეებს უფლება აქვთ ურთიერთშეთანხმებით გაყონ სამკვიდროს ქონება და გაითვალისწინონ ადგილზე არამყოფი მემკვიდრის წილიც. მაგრამ, თუ მემკვიდრის ადგილსამყოფელი ვერ დადგინდა სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის განმავლობაში და არც რაიმე ცნობა არსებობს მისგან სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ, მაშინ დანარჩენ მემკვიდრეებს შეუ-

ძლიათ გაყონ სამკვიდრო და გამოუცხადებელ მემკვიდრეს თავისი კუთვნილი წილი დაუტოვონ ხელუხლებლად.

სამკვიდრო ქონების გაყოფის დროს აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს **უპირატესი მემკვიდრეობის უფლება**, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ უფლების მქონე მემკვიდრეებს კანონით განსაზღვრული ქონების თავის წილში აუცილებელი ჩართვის შესაძლებლობა გააჩნიათ. დანარჩენ თანამემკვიდრეებს ამით თავიანთი წილი არ უმცირდებათ. ისინი სამკვიდროს წილს სხვა ქონებიდან მიიღებენ. მაგალითად, მემკვიდრეებს, რომლებსაც მამკვიდრებელთან ერთად გააჩნიათ საერთო საკუთრება ქონებაზე, უპირატესი უფლება აქვთ საერთო საკუთრებაში შემავალი ქონების მემკვიდრეობაზე. თუ მამასა და შვილს საერთო საკუთრებაში გააჩნდათ 600 ლარის ღირებულების კომპიუტერი, მამის გარდაცვალების შემთხვევაში 1000 ლარის ღირებულების სხვა ქონებასთან ერთად სამკვიდროში ჩაირთვება 300 ლარი მამის წილი კომპიუტერის ღირებულებიდან. სამკვიდრო მთლიანად იქნება 1300 ლარის ქონება. 600-ლარიანი კომპიუტერი ერგება მამკვიდრებლის თანამესაკუთრე შვილს, მან, ამავე დროს, დამატებით უნდა მიიღოს 350 ლარის ქონება. ხოლო მეორე შვილის სამკვიდრო იქნება 650 ლარის ქონება. საბოლოოდ ორივე მემკვიდრეს თანაბარი ღირებულების სამკვიდრო წილი შეხვდება.

უპირატესი მემკვიდრეობის უფლება შეიძლება მემკვიდრეს სხვა შემთხვევებშიც წარმოეშვას. კანონის მიხედვით, ქონების გაყოფისას მემკვიდრეს, რომელიც სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ ერთი წლის მანძილზე ცხოვრობდა მამკვიდრებელთან ერთად, აქვს სამკვიდროდან საცხოვრებელი სახლის, ბინის ან სხვა საცხოვრებელი ნაგებობის, ასევე საოჯახო მოხმარების საგნების მიღების უპირატესი უფლება. პრაქტიკაში შეიძლება სადავო გახდეს ის, თუ რა მიეკუთვნება საოჯახო მოხმარების საგნებს – ავეჯი, ტელევიზორი, ბიბლიოთეკა, სატრანსპორტო საშუალება, პირუტყვი, ფრინველი, ხელოვნების ნაწარმოებები თუ სხვ. ასეთ დავებს განიხილავს სასამართლო დამკვიდრებული პრაქტიკის გათვალისწინებით.

ადრინდელი ქართული კანონმდებლობით საოჯახო მოწყობილობასა და საყოფაცხოვრებო საგნებზე მემკვიდრეობის განსაკუთრებული რეჟიმი ვრცელდებოდა. ასეთი საგნები სამკვიდროს ცალკე ნაწილს წარმოადგენდა და იგი გადადიოდა იმ მემკვიდრეებზე, რომლებიც მამკვიდრებელთან ერთად ცხოვრობდნენ არანაკლებ ერთი წლის

განმავლობაში მის გარდაცვალებამდე. მამკვიდრებელთან ერთად მცხოვრებ მემკვიდრეს საერთო მეურნეობა უნდა ჰქონოდა მასთან ან მის კმაყოფაზე უნდა ყოფილიყო. მნიშვნელობა არ ჰქონდა რიგს. ამიტომ შეიძლებოდა ასეთი ქონება მემკვიდრეობით გადასულიყო და-ძმაზე, მაშინ როცა მამკვიდრებელს ცალკე მცხოვრები შვილებიც ჰყავდა. საოჯახო მოწყობილობა და საყოფაცხოვრებო საგნები სამკვიდროს დამტოვებელთან მცხოვრებ მემკვიდრეზე გადადიოდა არა უპირატესი მემკვიდრეობის უფლებით, არამედ დამატებით იმ წილზე, რაც მას ეკუთვნოდა ამ საგნების გამოკლებით მიღებული სამკვიდრო მასის სხვა თანამემკვიდრეებთან თანაბრად გაყოფის შემთხვევაში. აღნიშნული საგნების მემკვიდრეობის საერთოდ გამორჩეული წესი მიზნად ისახავდა მამკვიდრებლის სიცოცხლეში ჩამოყალიბებული ყოფითი პირობების სტაბილურობის უზრუნველყოფას.

მოქმედმა კანონმდებლობამ აღნიშნული საგნები ჩართო საერთო სამკვიდროში და მათ მიმართ გაავრცელა უპირატესი მემკვიდრეობის რეჟიმი. უპირატესი მემკვიდრეობის უფლების განხორციელების დროს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული იმ სხვა მემკვიდრეთა ქონებრივი ინტერესები, რომლებიც სამკვიდროს გაყოფაში მონაწილეობენ. თუ ქონება საკმარისი არ იქნება მათი კუთვნილი წილის მისაღებად, მაშინ უპირატესი უფლების მფლობელმა მემკვიდრეებმა უნდა მისცენ მათ შესაბამისი ფულადი ან ქონებრივი კომპენსაცია. მაგალითად, თუ მამასა და მასთან მცხოვრებ ერთ შვილს ჰქონდა 10 000 ლარის ღირებულების ბინა, ხოლო სხვა სამკვიდრო ქონება 8000 ლარის იყო, საერთო-სამკვიდრო ქონება 18 000 ლარის ღირებულებისა იქნება. აქედან, მამკვიდრებელთან მცხოვრები შვილი უპირატესი მემკვიდრეობის უფლებით მიიღებს ბინას, ხოლო ცალკე მცხოვრებ მეორე შვილს უფლება აქვს მოითხოვოს კომპენსაცია თავისი ძმისაგან 1000 ლარის ოდენობით.

საკომპენსაციო თანხა ზოგჯერ შეიძლება ბევრად აჭარბებდეს უპირატესი მემკვიდრეობის უფლების მქონე მემკვიდრის რეალურ წილს სამკვიდროში. ასეთ შემთხვევაში თუ იგი ერთდროულად ვერ გადაიხდის საკომპენსაციო თანხას, მაშინ სასამართლო განუსაზღვრავს მას გადახდის ვადას. ასეთი ვადა არ უნდა აღემატებოდეს ათ წელს.

15.4. მამკვიდრებლის კრედიტორთა დაკმაყოფილება

მემკვიდრე ვალდებულია გაისტუმროს მამკვიდრებლის ვალები მიღებული სამკვიდროს ფარგლებში. მემკვიდრეობის სამართლის ეს ზოგადი დებულება კონკრეტულ გამოხატულებას სრულყოფილად პოულობს სამოქალაქო კოდექსის ნორმებში. ისინი ერთნაირად არეგულირებენ ანდერძითა და კანონით მემკვიდრეობის დროს ამ მხრივ წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. სამკვიდროს ღირებულება, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს მამკვიდრებლის ვალების გასტუმრება, უნდა განისაზღვროს სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის. სამკვიდროს მიღებამდე მიღებული ყოველგვარი შემოსავალი ამ ღირებულებაში არ ჩაითვლება. ასევე, სამკვიდროს პირვანდელი ღირებულებიდან არ გამოირიცხება ის ხარჯები, რომელთა გადახდაც სამკვიდროს გახსნის შემდეგ ევალებათ მემკვიდრეებს. მხოლოდ სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის დაფიქსირებული ღირებულება არის მთავარი. ეს ღირებულება სამკვიდრო ქონების სახით ნაწილდება მემკვიდრეებს შორის. თითოეული მემკვიდრე ვალდებულია გადაიხადოს მამკვიდრებლის ვალი მიღებული წილის ღირებულების პროპორციულად. როცა სამკვიდროს ერთი მემკვიდრე ღებულობს, მამკვიდრებლის ვალის გასტუმრების საკითხი მარტივად წყდება – მემკვიდრე ვალდებულია დაფაროს მთელი ვალი მიღებული სამკვიდროს ღირებულების ფარგლებში. მაგრამ, თუ სამკვიდრო ქონება რამდენიმე მემკვიდრეს შორის იყოფა, მაშინ უნდა განისაზღვროს თითოეული მემკვიდრის წილის ღირებულება და მთელ სამკვიდრო ქონებასთან მისი პროპორცია. მაგალითად, თუ მთელი სამკვიდრო ქონების ღირებულება 10 000 ლარია, ხოლო ერთმა მემკვიდრემ მისი გაყოფისას მიიღო 4000, მეორემ კი 6000 ლარის ღირებულების ქონება, მათი პროპორცია მთელ სამკვიდროსთან მიმართებაში იქნება შესაბამისად ორი მეხუთედი და სამი მეხუთედი. მამკვიდრებლის 2 000 ლარის ვალის გადახდა პირველ მემკვიდრეს დაეკისრება ორი მეხუთედის – 800 ლარის, ხოლო მეორეს – სამი მეხუთედის – 1200 ლარის ოდენობით. ორივე მემკვიდრე მიღებული წილის ღირებულების ფარგლებში, მაგრამ თავიანთი წილის პროპორციულად ისტუმრებენ მამკვიდრებლის ვალს. თუ მამკვიდრებელი სოლიდარული მოვალე იყო, მაშინ მემკვიდრეებიც სოლიდარულად აგებენ პასუხს. სოლიდარულად გადასახდელი თანხა

არ უნდა ასცდეს მიღებული სამკვიდროს წილის ფარგლებს. მამკვიდრებლის ვალებისათვის პასუხისმგებელი არიან სავალდებულო წილის მიმღები მემკვიდრეებიც. ამ შემთხვევაში, ვალის გადახდა უნდა მოხდეს მხოლოდ სავალდებულო წილის სახით მიღებული ქონებისა და არა ანდერძის არსებობისას მისაღები ქონების ღირებულების ფარგლებში.

მამკვიდრებლის ვალები შეიძლება უფრო მეტი აღმოჩნდეს, ვიდრე მემკვიდრის მიერ მიღებული წილის ღირებულებაა. თუ სამკვიდრო ქონება ნოტარიუსის მიერ იყო აღწერილი, საქმე მარტივად გადაწყდება და მემკვიდრე ვალის გადახდისაგან გათავისუფლდება. მაგრამ, თუ სამკვიდროს აღწერა არ ჩატარებულა, მაშინ მემკვიდრემ უნდა დაამტკიცოს, რომ მამკვიდრებლის ვალები აღემატება სამკვიდროს. საბოლოო სიტყვა ასეთ შემთხვევაში სასამართლოს ეკუთვნის.

ანდერძით მემკვიდრეობისას, თუ მამკვიდრებელმა მისი ვალის გადახდა დააკისრა ერთ ან რამდენიმე მემკვიდრეს და ეს ვალი ამ მემკვიდრეთა წილის ღირებულების ფარგლებშია, მაშინ სხვა მემკვიდრეები ვალის გადახდისაგან თავისუფლდებიან. მაგრამ, თუ ვალი აღემატება ამ მემკვიდრეთა წილის ღირებულებას, მის გადახდაში აუცილებლად უნდა ჩაირთოს სხვა მემკვიდრეებიც. ისინი გადაიხდიან ვალის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც აღემატება მამკვიდრებლის მიერ ვალის გადამხდელებად განსაზღვრული მემკვიდრეების წილის ღირებულებას.

მემკვიდრეები ვალდებულნი არიან შეატყობინონ მამკვიდრებლის კრედიტორებს სამკვიდროს გახსნის შესახებ. ეს მოვალეობა მათ მაშინ ეკისრებათ, თუ იციან იმის შესახებ, რომ მამკვიდრებელს ვალები დარჩა. მაგრამ თუ ეს არ იციან, მაშინ ამ მოვალეობას სანოტარო ორგანოები და სხვა დაინტერესებული პირები ასრულებენ. კანონი ზუსტად განსაზღვრავს იმ ვადებს, რომელთა განმავლობაში კრედიტორებს თავიანთი უფლებების განხორციელების შესაძლებლობა ეძლევათ. მამკვიდრებლის კრედიტორებმა სამკვიდროს მიმღებ მემკვიდრეებს ვალის გადახდის მოთხოვნა უნდა წარუდგინონ ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის შესახებ ცნობების მიღებიდან. მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ როდის დადგა გადახდის მოთხოვნის უფლება. შეიძლება საერთოდ არც იყოს ჯერ დამდგარი ვალის გადახდის ვადა. კრედიტორმა მაინც უნდა წარადგინოს მოთხოვნა. სხვა შემთხვევაა, როცა მამკვიდრებლის კრედიტორებმა არ იცოდნენ სამკვიდროს გახსნის შესახებ და გაიგეს მოთხოვნის ვადის დადგომის დღეს ან უფრო ადრე. მაშინ მათ მოთხოვნა მემკვიდრეებს უნდა წა-

რუდგინონ მოთხოვნის ვადის დადგომიდან ერთი წლის განმავლობაში. მაგალითად, თუ მამკვიდრებელსა და კრედიტორს შორის დადებული სესხის ხელშეკრულებით ვალის გადახდა უნდა მომხდარიყო ორი წლის თავზე, მაგრამ მემკვიდრე ხელშეკრულების დადებიდან ერთ წელიწადში გარდაიცვალა და კრედიტორმა სამკვიდროს გახსნის შესახებ არაფერი იცოდა, მაშინ მას უფლება აქვს ვალის გადახდის მოთხოვნა წარუდგინოს მემკვიდრეს ერთი წლის განმავლობაში, არა სამკვიდროს გახსნიდან, არამედ მოთხოვნის უფლების წარმოშობიდან. ამ შემთხვევაში მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან გასულ ერთ წელს დაემატება ის ერთწლიანი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც უნდა იქნეს მოთხოვნა წაყენებული. ზემოაღნიშნული წესების დაუცველობა, ანუ დადგენილი ვადების გადაცილება გამოიწვევს კრედიტორების მიერ ვალის გადახდის მოთხოვნის უფლების დაკარგვას.

კრედიტორების მიერ მოთხოვნის წარდგენის ვადა არ ვრცელდება იმ დანახარჯების მოთხოვნებზე, რომლებიც გამოწვეული იყო მამკვიდრებლის უკანასკნელი ავადმყოფობის დროს მოვლითა და მკურნალობით, ხელფასის გასტუმრებით, დაკრძალვით, სამკვიდროს დაცვითა და მართვით. კრედიტორების მოთხოვნის ვადა არ ვრცელდება აგრეთვე მესამე პირების იმ მოთხოვნებზე, რომლებიც ეხება ქონებაზე საკუთრების უფლების ცნობას და მათი კუთვნილი ქონების გამოთხოვას მემკვიდრეებისაგან. აღნიშნული ყველა მოთხოვნის მიმართ გამოიყენება ხანდაზმულობის საერთო ვადები. თუ კრედიტორმა მოთხოვნა წარადგინა ვადაზე ადრე, ანუ ხელშეკრულების შესრულებისათვის განსაზღვრულ დღემდე, მემკვიდრეს უფლება აქვს გადადოს მოთხოვნის შესრულების ვადა ამ დღემდე. მაგალითად, თუ მამკვიდრებლის მიერ სესხად მიღებული ფულის გადახდის ვადა, მისი გარდაცვალებიდან ორი წლის თავზე დადგება, მემკვიდრეს უფლება აქვს ამ ვალის გადახდის მოთხოვნა გადაავადოს ორი წლით. გადახდის ვადის დადგომიდან კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს შესრულება სასარჩელო ხანდაზმულობის საერთო ვადის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში კრედიტორი არ არის შეზღუდული მოთხოვნის წარდგენის ერთწლიანი ვადით.

შესაძლებელია, კრედიტორები ჰყავდეთ მემკვიდრეებსაც და სწორედ სამკვიდროს გახსნა და მისი მიღება გახდეს ვალის დაფარვის მოთხოვნის წარდგენის საფუძველი. ასეთ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებათ მამკვიდრებლის კრედიტორებს. პირველ რიგში, ისინი უნდა

დაკმაყოფილდნენ, ხოლო შემდეგ კი – მემკვიდრის კრედიტორები. კრედიტორთა დაკმაყოფილება უმკვიდრო ქონებიდან უნდა მოხდეს სახელმწიფოსათვის მოთხოვნის ნაყენების საფუძველზე. სახელმწიფო მემკვიდრეა და მამკვიდრებლის ვალის გასტუმრებაც მას ეკისრება. მემკვიდრის ზემოაღნიშნული უფლება-მოვალეობანი ვრცელდება სახელმწიფოზეც.

თუ მამკვიდრებელმა ქონება თავის კრედიტორს უანდერძა, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს კრედიტორის მოთხოვნის უფლების გაქვითვად, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ანდერძი მამკვიდრებლის სიცოცხლეში ყოველთვის შეიძლება შეიცვალოს და, მეორეც, მამკვიდრებლის მიერ ვალის გადახდის ვადის დადგენა აზრს კარგავს. სამართლებრივად ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს ვალდებულებაში მოვალისა და კრედიტორის უფლება-მოვალეობების ერთი პირის ხელში თავმოყრას. როცა მოვალე და კრედიტორი ერთი და იგივე პირია, ვალდებულება უნდა შეწყდეს. ვალდებულების შეწყვეტა ლოგიკურია ყველა შემთხვევაში, როცა მამკვიდრებელმა მთელი თავისი ქონება უანდერძა პირს, რომელიც მისი ერთადერთი კრედიტორია. ამ დროს მოვალეც გარკვეულია თავისი ქონებით და კრედიტორიც – თავისი მოთხოვნის უფლებით. მაგრამ სიტუაცია რთულდება, თუ მემკვიდრე-კრედიტორის გარდა სამკვიდროს მისაღებად სხვა მემკვიდრეებიც არიან მოწვეული და თანაც მემკვიდრე-კრედიტორის მოთხოვნა საკმაოდ აღემატება მისთვის ნაანდერძევი ქონების ღირებულებას. ასეთ შემთხვევაში ვალდებულების შეწყვეტის მოდელი არ იმოქმედებს. რჩება ორი ვარიანტი – პირველი, თუ იგი სამკვიდროს მიიღებს, უნდა დაკმაყოფილდეს მიღებული ქონებით. მას არა აქვს უფლება ნაანდერძევი ქონებით დაუფარავი ვალი სხვა მემკვიდრეებს მოსთხოვოს და, მეორე, მას შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე და როგორც კრედიტორმა, სხვა მემკვიდრეებს წაუყენოს მამკვიდრებლის ვალის დაფარვის მოთხოვნა.

კრედიტორთა მოთხოვნები მემკვიდრეებმა უნდა დააკმაყოფილონ ერთჯერადი გადახდის გზით. შესაძლებელია, კრედიტორები და მემკვიდრეები შეთანხმდნენ დროის განსაზღვრულ პერიოდში მამკვიდრებლის ვალის ნაწილ-ნაწილ გადახდის თაობაზე.

15.5. სამკვიდროს დაცვა

სამკვიდროს გახსნიდან მის მიღებამდე განსაზღვრული დრო გადის. ამ პერიოდში ქონება გამოსულია მამკვიდრებლის მფლობელობიდან, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გადასული მის უფლებამონაცვლეზე. ამიტომ საჭიროა სამკვიდრო ქონების სპეციალური დაცვა, რომ არ მოხდეს მისი განადგურება, განიავება და დატაცება. სამოქალაქო კოდექსის 1495-ე მუხლის მიხედვით, ადგილზე არმყოფი მემკვიდრეების, საანდერძო დანაკისრის მიმღებთა და საჯარო ინტერესების დასაცავად სამკვიდროს გახსნისას ნოტარიუსი დაინტერესებული პირების, ანდერძის აღმსრულებლის ან თავისი ინიციატივით იღებს სამკვიდროს დაცვისათვის აუცილებელ ზომებს. სამკვიდრო ქონების დაცვა გაგრძელდება სამკვიდროს მიღებამდე ან სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გასვლამდე. უმეტესად სამკვიდრო ქონების დაცვის აუცილებლობის საფუძველია ის, რომ: სრულად არ არის გარკვეული მემკვიდრეთა ვინაობა; ზუსტად არ არის განსაზღვრული სამკვიდრო ქონების შემადგენლობა; სამკვიდროს გახსნის შემდეგ მემკვიდრეები ადგილზე არ არიან და სხვ. მართალია, ზოგჯერ სამკვიდრო ქონების დაცვას ახორციელებენ ის მემკვიდრეები, რომლებიც ადრე შეუდგნენ მის ფლობას ან მართვას, მაგრამ ნოტარიუსმა მაინც უნდა შეამოწმოს თუ რამდენად სრულყოფილად და კვალიფიციურად მიმდინარეობს ეს ღონისძიება. თუ სამკვიდრო ქონების დასაცავად ზომების მიღება შეუძლებელია იმის გამო, რომ ქონების აღწერის წინააღმდეგი არიან მემკვიდრეები, სამკვიდრო ქონება გადატანილია სხვა ადგილას და ა.შ., ნოტარიუსმა უნდა შეადგინოს აქტი და ამის შესახებ შეატყობინოს დაინტერესებულ პირებს, საჭიროების შემთხვევაში კი – სამართალდამცავ და საფინანსო ორგანოებს შესაბამისი ღონისძიებების გასატარებლად.

სამკვიდრო ქონების დაცვა შეიძლება გაგრძელდეს სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გასვლის შემდეგაც. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როცა სამკვიდროს მიღების უფლება წარმოიშობა შედარებით გვიან, ძირითადი მემკვიდრის მიერ მასზე უარის თქმის გამო, რადგან შესაძლებელია ეს ვადა გაგრძელდეს განსაზღვრული დროით. გაგრძელებულ ვადაში ახალ მემკვიდრეს შეუძლია მიმართოს ნოტარიუსს სამკვიდროს მიღების შესახებ. ამიტომ ექვსთვიანი საერთო ვადის გასვლის შემდეგაც უნდა გაგრძელდეს სამკვიდროს დაცვა, მანამ ახალი

მემკვიდრე მიიღებს სამკვიდროს.

საქართველოს მოქალაქის საზღვარგარეთ გარდაცვალების შემთხვევაში იქ არსებული ქონების დაცვა ევალება საკონსულო დაწესებულების შესაბამის თანამდებობის პირს.

დაცვის გარეშე დარჩენილ ქონებას სამკვიდროს გახსნის ადგილის ნოტარიუსი დეტალურად აღწერს და შესანახად ჩააბარებს მემკვიდრეს ან სხვა პირს. პარალელურად იღებს ზომებს იმ მემკვიდრეთა მოსაძებნად, რომლებიც ადგილზე არ იმყოფებიან. სამკვიდროში შემავალი ფულადი სახსრები მემკვიდრეებზე გადაცემამდე შეინახება დეპოზიტზე. ასევე ხდება ბანკში მამკვიდრებლის იმ ქონების შენახვა, რომელიც სპეციალურ დაცვას საჭიროებს. ასეთ ქონებას მიეკუთვნება: ოქრო, ვერცხლი, პლატინა და პლატინის ჯგუფის ლითონები – მონეტებში, ზოდების ან ნედლეულის სახით და უცხოური ვალუტის ბანკნოტები, სახაზინო ბილეთები, ფასიანი ქაღალდები – ჩეკების, თამასუქების, აქციების, ობლიგაციების, აკრედიტივების სახით და სხვა, აგრეთვე ძვირფასი ლითონის ნაკეთობანი და ძვირფასი ქვები.

მამკვიდრებლის ქონებაში თუ საბრძოლო იარაღი და ფეთქებადი საშუალებები აღმოჩნდა, ისინი შინაგან საქმეთა ორგანოებს უნდა ჩაბარდეს და მათი მფლობელობის მართლზომიერების გარკვევის შემდეგ, შეიძლება სამკვიდრო ქონებაში ჩაირთოს და გადაეცეს მემკვიდრეებს. სამეცნიერო და ლიტერატურული შრომები, ისტორიული მნიშვნელობის წერილები უნდა აღიწეროს და ისე ჩაბარდეს შესანახად მამკვიდრებლის ახლობლებს ან შესაბამის ორგანიზაციებს. მათ შენახვაზე პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებულ უნდა იქნენ შემნახველები. საჭიროების შემთხვევაში ნოტარიუსს შეუძლია დალუქოს ის ადგილი, სადაც მნიშვნელოვანი დოკუმენტები ინახება. აღწერის აქტში ნოტარიუსის მიერ შეიტანება არა მარტო სამკვიდრო ქონების ცალკეული ნაწილები, არამედ მათი შეფასებაც. ასევე, მეზობლების ან მამკვიდრებლის ახლობლების განცხადებები იმის შესახებ, რომ აღწერაში მოხვედრილი ესა თუ ის ნივთი, მათი საკუთრებაა და არ ეკუთვნის მამკვიდრებელს. თუ სამკვიდრო ან მისი ნაწილი სამკვიდროს გახსნის ადგილას არ იმყოფება, სანოტარო ორგანო ავალებს ქონების ადგილსამყოფელის ადგილის სანოტარო ორგანოს ზომების მიღებას ამ ქონების დასაცავად. გატარებული ღონისძიებების შესახებ საქმის კურსში უნდა იყოს სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანო.

სამკვიდროს დაცვის ვადის ამოწურვისას ნოტარიუსმა წინასწარ

უნდა შეატყობინოს მემკვიდრეებს დაცვის ზომების შეწყვეტის შესახებ.

იმ შემთხვევებში, როცა სამკვიდრო ქონების მხოლოდ დაცვა საკმარისი არ არის, სამოქალაქო კოდექსის 1498-ე მუხლი ითვალისწინებს **სამკვიდროს მმართველის** დანიშვნას, რომელსაც სამკვიდროს დაცვასთან ერთად მისი მართვაც დაევალება. მასში აღნიშნულია, რომ, თუ სამკვიდრო მართვას საჭიროებს, აგრეთვე, როდესაც მამკვიდრებლის კრედიტორების მიერ წარდგენილია სარჩელი, სანოტარო ორგანო ნიშნავს სამკვიდროს მმართველს. იგი არ დაინიშნება, თუ ერთ-ერთმა მემკვიდრემ მაინც მიიღო სამკვიდრო ან თუ უკვე დანიშნულია ანდერძის აღმსრულებელი.

15.6. სამკვიდრო მოწმობა

სამოქალაქო კოდექსის მიხედვით მემკვიდრეებს შეუძლიათ სანოტარო ორგანოებს მოსთხოვონ სამკვიდრო მოწმობა. სამემკვიდრეო ურთიერთობის ბოლო ეტაპი სამკვიდრო მოწმობის გაფორმება და გაცემაა. სამკვიდრო მოწმობა კი ის ოფიციალური დოკუმენტია, რომელიც ადასტურებს სამკვიდროს მიღების ფაქტს მამკვიდრებლის უფლებამონაცვლეობის საფუძველზე. იგი მემკვიდრის უფლება-მოვალეობათა კანონიერების მაჩვენებელია. სამკვიდრო მოწმობა სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მემკვიდეობით მიღებული ქონების საფუძველზე მონაწილეობის ლეგიტიმური საშუალებაა. ამიტომ კანონი მასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებას მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს.

სამკვიდრო მოწმობის მიღება მემკვიდრის უფლებაა და არა მოვალეობა. მისი მიუღებლობა არ გამოიწვევს სამკვიდროზე უფლების დაკარგვას. მთავრია, რომ სამკვიდროს მიღების პროცესში კანონის მოთხოვნები არ იყოს დარღვეული. სამკვიდრო მოწმობის გარეშე შეუძლია მემკვიდრეს განახორციელოს თავისი უფლება-მოვალეობების მნიშვნელოვანი ნაწილი. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია აუცილებელი სამკვიდრო მოწმობის მიღება. სამკვიდრო მოწმობის სავალდებულობის შემთხვევებს კანონი განსაზღვრავს.

სამკვიდრო მოწმობის მისაღებად მემკვიდრემ უნდა მიმართოს სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოს. არც ერთი სხვა ორგანო ან სტრუქტურა არაა უფლებამოსილი გასცეს სამკვიდრო

მოწმობა. სანოტარო ორგანოს განცხადებით უნდა მიმართონ იმ მემკვიდრეებმა, რომლებიც ფაქტობრივად ფლობენ ან მართავენ სამკვიდროს, აგრეთვე მათ, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს სამკვიდროს მიღების თაობაზე. განცხადებასთან ერთად წარდგენილ უნდა იქნეს დოკუმენტები, რომლებითაც დასტურდება მემკვიდრეობის ნამდვილობა. მათ საფუძველზე კანონით მემკვიდრეობის დროს უნდა დადგინდეს მამკვიდრებლის გარდაცვალების ფაქტი, სამკვიდროს გახსნის ადგილი და დრო, ნათესაური ან საოჯახო ურთიერთობა მამკვიდრებელსა და მემკვიდრეს შორის, სამკვიდროს შემადგენლობა და ადგილსამყოფელი, სამკვიდრო ქონების სამართლებრივი მდგომარეობა და სხვ. სანოტარო ორგანოს შეუძლია საჭიროების შემთხვევაში დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა მოითხოვოს. ანდერძით მემკვიდრეობისას დამატებით საჭიროა ანდერძის არსებობის დადასტურება, აგრეთვე იმ პირთა წრის გარკვევა, რომელთაც სავალდებულო წილის მიღების უფლება გააჩნიათ. სამკვიდრო მოწმობაში შეიძლება მემკვიდრის თხოვნით აღინიშნოს მამკვიდრებელთან ნათესაური ან ოჯახური ურთიერთობის შესახებ. სამკვიდრო მოწმობა გაიცემა არა მარტო ქმედუნარიან პირებზე, არამედ ქმედუუნარო და შეზღუდულქმედუნარიან პირთა, აგრეთვე იურიდიული პირების სახელზეც.

მცირეწლოვანის, არასრულწლოვანის, ნაწილობრივქმედუნარიანის ან სრულწლოვანი შეზღუდულქმედუნარიანის სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემის შესახებ ნოტარიუსმა უნდა შეატყობინოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მემკვიდრის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

კანონით მემკვიდრეობისას სახელმწიფოზე უმკვიდრო ქონების გადასვლისას სანოტარო ორგანო გასცემს სახელმწიფოს მემკვიდრეობის დამადასტურებელ სპეციალურ დოკუმენტს ან სამკვიდრო მოწმობას. სახელმწიფოს, როგორც მემკვიდრეს, უფლება არა აქვს უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე და, აქედან გამომდინარე – მემკვიდრეობის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტზე. რაც შეეხება სხვა იურიდიულ პირებს, ისინი ანდერძით მიღებული სამკვიდროს თაობაზე ღებულობენ სამკვიდრო მოწმობას. სამემკვიდრეო ურთიერთობის სუბიექტთა განსხვავებულ სტატუსს სანოტარო ორგანოების მიერ სამკვიდრო მოწმობის გაცემისას მნიშვნელობა არა აქვს. ყველა სუბიექტის მიმართ ერთნაირი მოთხოვნები არსებობს.

სამკვიდრო მოწმობა მემკვიდრეებს ეძლევათ სამკვიდროს გახსნი-

დან ექვსი თვის შემდეგ. კანონით დადგენილია არა ის ვადა, რომლის განმავლობაში შესაძლებელია სამკვიდრო მოწმობის გაცემა, არამედ ის, რომელშიც აკრძალულია გაცემა. ამ ვადის გასვლის შემდეგ ყოველთვის შესაძლებელია სამკვიდრო მოწმობის მიღება. სამკვიდროს გახსნიდან ექვსთვიანი ვადა დადგენილია იმისათვის, რომ სანოტარო ორგანომ და დაინტერესებულმა პირებმა მიიღონ განსაზღვრული ზომები მემკვიდრეების გამოსავლენად, სამკვიდრო ქონების დასაზუსტებლად, სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განსახორციელებლად და სხვ. აქედან გამომდინარე, ექვს თვეზე ადრე სამკვიდრო მოწმობა გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სანოტარო ორგანოს მოეპოვება ცნობა, რომ მოწმობის მთხოვნელ პირთა გარდა, სხვა მემკვიდრეები არ არიან. განცხადება კი სამკვიდრო მოწმობის გაცემის შესახებ ნოტარიუსმა ექვსი თვის გასვლამდეც უნდა მიიღოს.

შესაძლებელია, მემკვიდრისათვის დამატებითი სამკვიდრო მოწმობის გაცემაც. ეს მაშინ ხდება, როცა ადრე გაცემულ მოწმობაში ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოხვდა სამკვიდრო ქონების განსაზღვრული ნაწილი. სხვა ქონებაზე დამატებითი სამკვიდრო მოწმობის გაცემის დროს თუ გამოცხადდნენ ისეთი მემკვიდრეები, რომლებიც შეყვანილი არ იყვნენ თავდაპირველ მოწმობაში, შესაძლებელია მათი შეყვანა დამატებით მოწმობაში მხოლოდ იმ მემკვიდრეთა წერილობითი თანხმობით, რომლებმაც უკვე მიიღეს მემკვიდრეობა.

მემკვიდრე, რომელიც მოწვეული იყო სამკვიდროს მისაღებად, თუ გარდაიცვალა სამკვიდროს გახსნის შემდეგ ისე, რომ ვერ მოასწრო მისი მიღება დადგენილ ვადაში, მაშინ მის მემკვიდრეებს შეუძლიათ მიიღონ სამკვიდრო მოწმობა ქონებაზე, რომელიც დარჩა თავდაპირველი მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ. ამ შემთხვევაში მთავარია მემკვიდრის მემკვიდრეზე ქონების გადასვლა ტრანმისიით, ხოლო სამკვიდრო მოწმობის გაცემა ამ პროცესის თანამდევი ლოგიკური გაგრძელებაა.

სამოქალაქო კოდექსის 1503-ე მუხლში მოცემულია სამკვიდრო მოწმობის თანამემკვიდრეებისათვის სამკვიდრო მოწმობის მიცემის წესი. მასში აღნიშნულია, რომ სამკვიდრო მოწმობა შეიძლება გაიცეს როგორც მთელ სამკვიდროზე, ასევე მის ნაწილზე. მოწმობა მიეცემა ყველა მემკვიდრეს ერთად ან თითოეულს ცალ-ცალკე მათი სურვილისამებრ. მაგალითად, შესაძლებელია ერთმა მემკვიდრემ, რომელმაც სანოტარო ორგანოში სამკვიდროს მისაღებად აუცილე-

ბელი დოკუმენტები დროულად წარადგინა, სხვა მემკვიდრეების მიერ დოკუმენტების წარდგენამდე, მოითხოვოს სამკვიდრო მოწმობა ინდივიდუალურად და თანაც არა მთელ მის კუთვნილ წილზე, არამედ მის შემადგენელ ერთ რომელიმე ნივთზე. სამკვიდრო მოწმობის მიცემა ერთი მემკვიდრისათვის სამკვიდროს ნაწილზე არ ართმევს უფლებას სხვა მემკვიდრეებს, მიიღონ მოწმობა სამკვიდროს დანარჩენ ნაწილზე. მემკვიდრეს, რომელმაც ადრე სამკვიდრო ქონების მხოლოდ ნაწილზე მიიღო სამკვიდრო მოწმობა, უფლება აქვს მიიღოს დამატებითი მოწმობა.

სამკვიდრო მოწმობის მისაღებად მემკვიდრე იხდის განსაზღვრულ საზღაურს. ეს არის სამემკვიდრეო უფლების გაფორმებისათვის დადგენილი გადასახადი, რომელიც მხოლოდ სანოტარო მოქმედების შესრულებასთანაა დაკავშირებული. რაც შეეხება მემკვიდრეობით მიღებული ქონების სახელმწიფო გადასახადს, იგი რეგულირდება საგადასახადო კანონმდებლობით. მემკვიდრეობა და ჩუქება დასაბეგრ შემოსავლებად არის მიჩნეული. საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში ჩუქებისა და მემკვიდრეობის გადასახადი დამოუკიდებელი ხასიათისაა და ადგილობრივ გადასახადთა რიგს მიეკუთვნება[1]. საქართველოში ასეთი გადასახადი ცალკე არ არის გათვალისწინებული. ჩუქება და მემკვიდრეობა ფიზიკური და იურიდიული პირების შემოსავლების არცთუ ისე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადი და იურიდიული პირების მოგების გადასახადი სახელმწიფო გადასახადების ძირითადი სახეებია.

გადასახადის ოდენობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ ნათესაობის რა ხარისხი აკავშირებთ ერთმანეთთან გამჩუქებელსა და დასაჩუქრებულს, მამკვიდრებელსა და მემკვიდრეს. მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საჩუქრისა და სამკვიდრო ქონების ღირებულებას.

---

[1] **რომან შენგელია**, საზღვარგარეთის ქვეყნების საფინანსო სამართალი, თბ., 2004. გვ. 113.

დანართები

I. სამართლებრივი აქტები

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

(ამონარიდი)

თავი XXIV

დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ

მუხლი 171. არასრულწლოვნის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში

1. არასრულწლოვნის დაყოლიება მათხოვრობაზე ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე, –

ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას სამოცდაათიდან ორას ორმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. არასრულწლოვნის ჩაბმა გამაბრუებელ ან სამკურნალწამლო საშუალებათა არასამედიცინო მოხმარებაში, –

ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

3. არასრულწლოვნის ჩაბმა პროსტიტუციაში ძალადობის, ძალადობის მუქარის ან მოტყუების გარეშე, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

მუხლი 172. არასრულწლოვნის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელება შვილად აყვანის მიზნით

არასრულწლოვნის ყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება შვილად აყვანის მიზნით, – ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე.

მუხლი 1721. შვილად აყვანის მიზნით ფეხმძიმე ქალების წინასწარი შერჩევა და მშობიარობისათვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა ან ასეთ გაშვილებაში ხელის შეწყობა

1. შვილად აყვანის მიზნით ფეხმძიმე ქალების წინასწარი შერჩევა და მშობიარობისათვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა ან ასეთ გაშვილებაში ხელის შეწყობა, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის ან პირთა ჯგუფის მიერ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე.

მუხლი 173. შვილად ან შვილობილად აყვანის წესის დარღვევა

1. შვილად ან შვილობილად აყვანის წესის დარღვევა, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ოთხ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

მუხლი 174. ბავშვის შეცვლა

ბავშვის შეცვლა ანგარებით ან სხვა ქვენაგრძნობით, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით სამიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

მუხლი 175. შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება

1. შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება მშვილებლის ნება-სურვილის გარეშე, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ექვს თვემდე.

2. იგივე ქმედება:

ა) იმის მიერ, ვინც ვალდებულია დაიცვას შვილად აყვანის ფაქტი, როგორც სამსახურებრივი ან პროფესიული საიდუმლოება;

ბ) რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

მუხლი 176. ალიმენტის გადახდისაგან ჯიუტად თავის არიდება

სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ალიმენტის გადახდისაგან ჯიუტად თავის არიდება, –

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოცდან ორას ორმოც საათამდე ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე.

2. საქორწინო ხელშეკრულება

ქ. ——————————————— „——" ——————————— წ.
ხელშეკრულების დადების ადგილი თარიღი

———————————————————————————————————
——————————————————————— (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადობის მოწმობის რეკვიზიტები),

———————————————————————————————————
——————————————————————— (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადობის მოწმობის რეკვიზიტები), რომლებიც, შემდგომში იწოდებიან მეუღლეებად, ურთიერთშეთანხმებით, საკუთარი ნებითა და სურვილით, ქორწინების განმავლობაში ან განქორწინების შემთხვევაში, თავიანთი ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრის მიზნით, დებენ წინამდებარე საქორწინო ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მეუღლეები თანხმდებიან, რომ მთელ ქონებაზე, რომელიც მათ შეიძინეს თანაცხოვრების პერიოდში, იმის მიუხედავად, თუ ვისი შემოსავლით იქნა შეძენილი ეს ქონება, დგინდება თანასაკუთრების სამართლებრივი რეჟიმი. ქონების ცალკეული სახეებისათვის, რომლებიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში, ამავე ხელშეკრულებით შეიძლება დაწესდეს განსხვავებული რეჟიმი.

1.2. ქონება, რომელიც ეკუთვნოდა თითოეულ მეუღლეს ქორწინებამდე, ასევე ის ქონება, რომელიც მეუღლეებმა მიიღეს ქორწინების განმავლობაში საჩუქრად ან მემკვიდრეობით, წარმოადგენს მათ ინდივიდუალურ საკუთრებას.

1.3. წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტისათვის მოქალაქე ——————————————————კუთვნილებაშია:
სახელი, გვარი

ა. საცხოვრებელი სახლი, მდებარე – (საჯარო რეესტრის მონაცემები);

ბ. ავტოსატრანსპორტო საშუალება ——————————————, სახელმწიფო ნომერი————————, ფერი——————————, გამოშვების წელი ——————————, მარკა ——————————, ძარა ————————, ძრავის ნომერი ————————, საიდენტიფიკაციო ნომერი ——————————, რეგისტრაციის ნომერი ——————————;

გ. მოძრავი ნივთები ხელშეკრულებაზე თანდართული სიის მიხედვით——————————————————————————————————

(ავეჯი, ძვირფასეულობა, პროფესიული მოხმარების ნივთები და სხვა).

1.4. მოქალაქე ——————————————— გვარი, სახელი კუთვნილებაში, წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, არის:

ა. .....

ბ. .....

გ. .....

1.5. ქორწინების განმავლობაში შეძენილ საერთო ქონებას განეკუთვნება თითოეული მეუღლის შრომითი, კომერციული და ინტელექტუალური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, მათ მიერ მიღებული პენსია, დახმარება და სხვაგვარი ფულადი თანხა, რომელსაც არა აქვს სპეციალური დანიშნულება. საერთო საკუთრების განკარგვა ხდება მეუღლეთა შეთანხმებით.

1.6. საერთო საკუთრებაზე უფლება აქვს იმ მეუღლესაც, რომელიც ქორწინების პერიოდში ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზით არ ჰქონდა დამოუკიდებელი შემოსავალი.

1.7. ინდივიდუალური მოხმარების ნივთები (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვ.), ძვირფასეულობისა და ფუფუნების საგნების გამოკლებით, რომლებიც შეძენილია მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში, ითვლება იმ მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებად, რომელიც სარგებლობს ამ ნივთებით.

1.8. მიზნობრივი დანიშნულების შემოსავლები (მატერიალური დახმარების თანხები, შრომისუნარიანობის დაკარგვის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის სხვაგვარი გაუარესების გამო ერთ-ერთი მეუღლისათვის გაცემული სახსრები) ითვლება იმ მეუღლის საკუთრებად, ვის სახელზეც გაიცა იგი.

1.9. მეუღლეებს შეუძლიათ საერთო ქონება განკარგონ ურთიერთშეთანხმებით. მეუღლის თანხმობა მეორე მეუღლის მიერ გარიგების დადებაზე ივარაუდება, თუ იგი არ გამოთქვამს საწინააღმდეგო პოზიციას გარიგების დადების თაობაზე მის დადებამდე. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ან ისეთი გარიგების დასადებად, რომელიც საჭიროებს სანოტარო წესით დამოწმებას ან/და სახელმწიფო რეგისტრაციას, აუცილებელია მეორე მეუღლის წინასწარი წერილობითი თანხმობა.

1.10. მეუღლეებს ურთიერთშეთანხმებით შეუძლიათ შეცვალონ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საერთო საკუთრების რეჟიმი. შეცვლა შესაძლებელია ქორწინების მთელი პერიოდის განმავლობაში.

2. მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. თითოეული მეუღლე ვალდებულია გამოიჩინოს სათანადო მზრუნველობა საერთო საკუთრებისა და მეორე მეუღლის ინდივიდუალური საკუთრების მიმართ, თავიდან აიცილოს ასეთი ქონების დაზიანება ან განადგურება.

2.2. მეუღლეები ვალდებული არიან თავი შეიკავონ ისეთი სარისკო გარიგებების დადებისაგან, რომელთა საფუძველზე წარმოშობილ ვალდებულებებს შეიძლება მოჰყვეს საერთო საკუთრების ან შემოსავლების მნიშვნელოვანი შემცირება.

2.3. თითოეულ მეუღლეს უფლება აქვს ისარგებლოს მეორე მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ქონებით, მისი დანიშნულების შესაბამისად.

2.4. ქორწინების პერიოდში თითოეულ მეუღლეს უფლება აქვს საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგოს თავის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ქონება, რომლისგანაც მიღებული შემოსავალი მათი შეთანხმების საფუძველზე ითვლება საერთო საკუთრებად.

2.5. ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში საერთო ქონება იყოფა თანაბრად თუ მეუღლეთა შორის სხვა შეთანხმება არ ყოფილა ამ ხელშეკრულებით.

2.6. ქორწინებამდე თითოეული მეუღლის საკუთრებაში არსებულ ან ქორწინების პერიოდში მემკვიდრეობით მიღებულ ქონებას თუ ამ

ხელშეკრულებით განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი მიენიჭა, მისი გაყოფა მოხდება ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

3. მეუღლეთა პასუხისმგებლობა

3.1. მეუღლე არ არის პასუხისმგებელი მისი თანხმობის გარეშე მეორე მეუღლის მიერ დადებული გარიგებიდან გამომდინარე ვალდებულებებზე.

3.2. თითოეული მეუღლე პასუხისმგებელია თავისი კრედიტორების წინაშე ნაკისრი ვალდებულებებისათვის მისი კუთვნილი ინდივიდუალური ქონების ფარგლებში. თუ ასეთი ქონება საკმარისი არ არის ვალდებულების შესასრულებლად, კრედიტორს უფლება აქვს გადახდევინება მიაქციოს მოვალე მეუღლის წილზე თანაზიარ საკუთრებაში.

3.3. მეუღლეთა საერთო ვალის დასაფარად გადახდევინების მიქცევა მოხდება მეუღლეთა თანაზიარ საკუთრებაზე, უკმარისობის შემთხვევაში გადახდევინება მოხდება მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრებიდანაც თანაბარწილად.

4. დავების გადაწყვეტის წესი

4.1. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმირი დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთშეთანხმების გზით.

4.2. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გადაწყვეტს სასამართლო.

5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, შეცვლა და შეწყვეტა

5.1. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მეუღლეები ადასტურებენ, რომ იგი არ შეიცავს ბუნდოვან დებულებებს და მიიღეს მასში აღნიშნული პირობები.

5.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ქორწინების რეგისტრაციის

დღიდან.

5.3. ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

5.4. მეუღლეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით ნებისმიერ დროს შეიტანონ ცვლილებები და დამატებები წინამდებარე ხელშეკრულებაში ან შეწყვიტონ მისი მოქმედება. ცალმხრივად შეტანილ ცვლილებებსა და დამატებებს იურიდიული ძალა არ გააჩნიათ. დაუშვებელია ცალმხრივი უარი საქორწინო ხელშეკრულების შესრულებაზე. განქორწინებით წყდება საქორწინო ხელშეკრულებაც.

5.4. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი ქონებრივი ურთიერთობები, აგრეთვე პირადი არაქონებრივი ხასიათის საკითხების რეგულირება ხდება კანონის საფუძველზე.

5.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგანაც ორი რჩება მეუღლეებს, ერთი კი ინახება ქ. ..... ნოტარიუსის სანოტარო ბიუროში.

3. საალიმენტო შეთანხმება

ქ. ———————————————— „————“ ——————————— წ.
ხელშეკრულების დადების ადგილი თარიღი

ერთი მხრივ ბავშვის დედა – ლელა კანდელაკი (ალიმენტის მიმღები) და მეორე მხრივ მისი განქორწინებული მეუღლე, ბავშვის მამა – გიორგი აბესაძე (ალიმენტის გადამხდელი) ვმოქმედებთ რა საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად მონიჭებული უფლებამოსილებით ვთანხმდებით წინამდებარე ხელშეკრულების დადებაზე.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს ალიმენტის გადამხდელსა და ალიმენტის მიმღებს შორის ალიმენტის თაობაზე წარმოშობილ ურთიერთობებს.

1.2. ალიმენტის გადამხდელი კისრულობს ვალდებულებას, თავის

არასრულწლოვან შვილს — ბესიკ აბესაძეს გადაუხადოს შეთანხმებით განსაზღვრული საალიმენტო თანხა.

2. საალიმენტო თანხის ოდენობა, გადახდის წესი და პირობები

2.1. ალიმენტის გადამხდელი ვალდებულია თავისი შვილის სარჩო გადაუხადოს ალიმენტის მიმღებს, მტკიცედ განსაზღვრული საალიმენტო თანხის — 400 ლარის ოდენობით.

2.2. შვილი — ბესიკ აბესაძე ცხოვრობს დედასთან თბილისში, მშვიდობის პროსპექტზე. იგი დაბადებულია 2010 წლის 10 ნოემბერს.

2.3. ალიმენტის თანხის გადახდა უნდა მოხდეს ყოველთვიურად ალიმენტის მიმღების საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით.

2.4. გიორგი აბესაძე ალიმენტს იხდის ნებაყოფლობით სახელფასო შემოსავლიდან, რომელიც შეადგენს თვეში 1200 ლარს.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. ალიმენტის გადამხდელი ვალდებულია აუცილებლობის შემთხვევაში (შვილის ავადმყოფობა, მძიმე საოჯახო პირობები და სხვ.) მონაწილეობა მიიღოს დამატებითი ხარჯების გაღებაში.

3.2. დამატებითი ხარჯების გადახდა არის ერთჯერადი ხასიათისა.

3.3.ალიმენტის გადამხდელის ხელფასის ოდენობის გაზრდის შემთხვევაში ალიმენტის ოდენობა გაიზრდება მომატებული ხელფასის 40%-ით.

3.4. ალიმენტის გადახდა ხდება ხელფასის მიღებიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში.

3.5. ალიმენტის გადამხდელს უფლება აქვს მატერიალური ან ოჯახური მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში ალიმენტის მიმღებისაგან მოითხოვოს საალიმენტო თანხის გონივრული შემცირება.

3.6. ალიმენტის მიმღებს უფლება აქვს ალიმენტის გადამხდელის მატერიალური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისა (მემკვიდრეობის მიღება, დამატებითი შემოსავლების გაჩენა და სხვ.) მოითხოვოს ალიმენტის გადამხდელისგან საალიმენტო თანხის

გონივრულ ფარგლებში გაზრდა.

3.7. ალიმენტის მოთხოვნის უფლების მქონე მხარეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, საალიმენტო ვალდებულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს შეუძლია სასამართლოს მეშვეობით მოთხოვოს ალიმენტვალდებულ პირს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და დავის გადაწყვეტის წესი

4.1. ალიმენტის გადახდა იწყება წინამდებარე ხელშეკრულების სანოტარო წესით გაფორმების შემდეგ მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პერიოდიდან.

4.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მხარეთა უფლება-მოვალეობები მოქმედებს ბესიკ აბესაძის სრულწლოვანებამდე.

4.3. ხელშეკრულება შეწყდება თუ: ა) მხარეთა მიერ შეთანხმება იქნა მიღწეული; ბ) ალიმენტვალდებული პირის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა უკიდურესად გაუარესდა; გ) ხელშეკრულების მოქმედების ვადა გავიდა; დ) ალიმენტის მოთხოვნის უფლების მქონე მხარე ან ალიმენტვალდებული პირი გარდაიცვალა;

4.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების პროცესში წარმოშობილი დავა უნდა გადაწყდეს მხარეთა შეთანხმების გზით. თუ მხარეთა შორის წარმოშობილი დავის გადაწყვეტა შეუძლებელია მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, მაშინ მათ უფლება აქვთ დავის გადასაწყვეტად მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

ალიმენტის გადამხდელი:	ალიმენტის მიმღები:
გიორგი აბესაძე	ლელა კანდელაკი
თბილისი, უზნაძის 20	თბილისი, რუსთაველის გამზირი,
ტელეფონი....	ტელეფონი ....
ელ.ფოსტა	ელ.ფოსტა ....

ნოტარიუსი: ე. შენგელია

4. ხელშეკრულება ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ

ქ. ———————————— „——“ ——————— წ.
ხელშეკრულების დადების ადგილი თარიღი

ერთი მხრივ მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო, წარმოდგენილი ————————————————————
(სახელი, გვარი, თანამდებობა) და მეორეს მხრივ, ბავშვის მინდობით აღზრდის მსურველი პირები ————————————————————
(სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადობის მოწმობის რეკვიზიტები) შემდგომში წოდებული დედობილ/მამობილად, ურთიერთშეთანხმებითა და საკუთარი ნებასურვილით, არასრულწლოვანი ბავშვის ————————————————
————— (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, ადგილი, დაბადების მოწმობის რეკვიზიტები) ცხოვრების ნორმალური და ღირსეული პირობების შექმნის მიზნით, ვხელმძღვანელობთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის № 51/6 ბრძანებით „მინდობით აღზრდის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ და ვდებთ ხელშეკრულებას მინდობით აღზრდის შესახებ (შემდგომში „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

მიმღები ოჯახის მიერ ბავშვზე (სახელი, გვარი) ზრუნვისა და მისი აღზრდისათვის ნორმალური პირობების შექმნა, ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებაში, მის სოციალიზაციასა და საზოგადოებაში ადაპტაციაში ხელის შეწყობა.

2. დედობილის/მამობილის უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა

2.1. დედობილ/მამობილის მინდობით აღსაზრდელის მიმართ აკისრია შემდეგი მოვალეობანი:

ა) იზრუნოს მინდობით აღსაზრდელზე მისი ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესაბამისად;

ბ) შეუქმნას მინდობით აღსაზრდელს ნორმალური ოჯახური გარემო;

გ) აცნობოს სააგენტოს მინდობით აღსაზრდელისათვის საზიანო პირობებისა და გარემოს შექმნის შესახებ;

დ) მინდობით აღსაზრდელს ხელი შეუწყოს მის კანონიერ წარმომადგენელთან და სხვა ნათესავებთან ურთიერთობაში;

ე) იცხოვროს მინდობით აღსაზრდელთან ერთად;

ვ) განახორციელოს სხვა უფლება—მოვალეობები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2.2. პასუხისმგებლობა დედობილის/მამობილის მიერ საკუთარი მოვალეობების ჯეროვნად შეუსრულებლობისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

3. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლება-მოვალეობები

ამ ხელშეკრულებით დადგენილი ვადის განმავლობაში სოციალური მუშაკი ვალდებულია:

3.1. ბავშვის მინდობით აღზრდაში გადაცემიდან ერთი თვის განმავლობაში, არანაკლებ კვირაში ერთხელ აწარმოოს მიმღებ ოჯახში ვიზიტი წინასწარ შეთანხმებით ან შეთანხმების გარეშე.

3.2. ბავშვის მინდობით აღსაზრდელად გადაცემიდან ერთი თვის შემდეგ მიმღებ ოჯახში ვიზიტი განახორციელოს არანაკლებ თვეში ერთხელ.

3.3. იმ შემთხვევაში თუ სოციალური მუშაკი გამოავლენს მინდობით აღსაზრდელისათვის საზიანო გარემოს, იგი ვალდებულია მოამზადოს დასკვნა ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ.

3.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მოხდეს დედობილის/მამობილის რეგისტრაციის საკითხის გადასინჯვა.

4. მინდობით აღსაზრდელის (შვილობილის) უფლება-მოვალეობები

4.1. მინდობით აღსაზრდელი სარგებლობს ბავშვებისათვის კანონმდებლობით დადგენილი ყველა უფლებით.

4.2. მიმღებ ოჯახში მინდობით აღსაზრდელთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას დაცული უნდა იქნეს მისი აზრის პატივისცემის პრინციპი.

4.3. მინდობით აღზრდა არ ზღუდავს მინდობით აღსაზრდელის უფლებებს ბიოლოგიური მშობლებისა და წარმოშობით ნათესავების მიმართ.

5.შვილობილად აყვანის (მინდობით აღზრდის) ანაზღაურების გაცემის წესი და პირობები

5.1. შვილობილად აყვანის (მინდობით აღზრდის) ანაზღაურების გასაცემი თანხა განისაზღვრება გადაწყვეტილების მიღების დღისათვის.

5.2. არსებული მდგომარეობით და დაფინანსება გრძელდება ხელშეკრულების ვადის განმავლობაში, მიუხედავად მინდობით აღზრდის პირობების შეცვლისა.

5.3. შვილობილად აყვანის (მინდობით აღზრდის) ანაზღაურების გაცემა მოხდება ხელშეკრულების ვადის განმავლობაში ყოველთვიურად, საანგარიშო თვის 25 რიცხვამდე ..... ლარის ოდენობით.

5.4. შვილობილად აყვანის (მინდობით აღზრდის) ანაზღაურება გაიცემა დედობილზე/მამობილზე საბანკო დაწესებულების მეშვეობით.

5.5. შვილობილად აყვანის (მინდობით აღზრდის) ხელშეკრულების შეწყვეტისას არასრულ თვეზე გაიცემა შვილობილად აყვანის (მინდობით აღზრდის) ანაზღაურება სრული ოდენობით.

5.6. წლის განმავლობაში სააგენტო ვალდებულია პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყოს განაცდური პერიოდის შვილობილად აყვანის (მინდობით აღზრდის) ანაზღაურების სრულად დაფარვა.

6. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

6.1. მინდობით აღზრდა წყდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) ხელშეკრულების ვადის გასვლისას, როდესაც მინდობით აღსაზრდელი გახდება სრულწლოვანი;

ბ) დედობილის/მამობილის მიერ რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნის შესახებ განცხადების გაკეთებისას;

გ) დედობილის/მამობილის გარდაცვალებისას;

დ) ბავშვის გარდაცვალებისას;

ე) მინდობით აღსაზრდელის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნებისას;

ვ) მინდობით აღსაზრდელის შვილად აყვანისას;

ზ) თუ მინდობით აღსაზრდელი დაქორწინდა;

თ) მიმღები ოჯახის ინიციატივით, თუ არსებობს დასაბუთებული მიზეზი (ავადმყოფობა, ოჯახური ან მატერიალური მდგომარეობის გაუარესება, მინდობით აღსაზრდელისა და მიმღები ოჯახის წევრებს შორის კონფლიქტი);

ი) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ინიციატივით, თუ მიმღებ ოჯახში შექმნილია მინდობით აღსაზრდელზე ზრუნვისა და მისი აღზრდისათვის საზიანო პირობები და გარემო;

კ) „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6.2. მინდობით აღზრდის შეწყვეტასთან დაკავშირებით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია მიიღოს ზომები ბავშვის ალტერნატიული განთავსების უზრუნველსაყოფად.

7. დავების გადაწყვეტის წესი

7.1. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთშეთანხმებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გადაწყვეტს სასამართლო.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან

და მოქმედებს მინდობით აღსაზრდელის (შვილობილის) მიერ სრულწლოვანების მიღწევამდე.

8.2. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9. მხარეთა რეკვიზიტები

მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო	მიმღები ოჯახი — დედობილ/მამობილი
	სახელი, გვარი
მისამართი	მისამართი
საბანკო ანგარიში	საბანკო ანგარიში

5. სანოტარო აქტები

სამკვიდროს მიღება

2014 წლის 15 ოქტომბერს მე, ნინო შოშიაშვილს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში მომმართა რევაზ კაკაბაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ იგი არის გარდაცვლილი გიორგი კაკაბაძის კანონისმიერი მემკვიდრე (შვილი) და სურს მიიღოს სამკვიდრო ქონება.

წარმოდგენილი დოკუმენტებით შევამოწმე მისი პირადობა და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად რევაზ კაკაბაძემ მომმართა და მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არსებობს. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, განვუმარტე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, რის შემდეგაც შევადგინე განცხადება, რომელიც წავუკითხე მას.

ხელმომწერმა პირადად წაიკითხა ეს განცხადება და აღნიშნა, რომ იგი სრულად შეესაბამება მის ნებას და ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი შემდეგ განცხადებას:

განცხადება

2014 წლის 15 მაისს გარდაიცვალა გიორგი კაკაბაძე, მისი კანონისმიერი მემკვიდრე ვარ მე – მისი შვილი რევაზ კაკაბაძე. სამკვიდრო ქონებაა საცხოვრებელი ბინა, მდებარე თბილისში, ანაგის ქუჩის 8-ე კორპუსში, ბინა 36. ამ განცხადებით ვღებულობ სამკვიდროს. გთხოვთ მომცეთ მემკვიდრეობის უფლების მოწმობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის შესაბამისად. ჩემს გარდა სხვა მემკვიდრეები არ არსებობენ.

ხელმოწერა: რ. კაკაბაძე
15.V.2014 წ.

განცხადება

სამკვიდროზე უარის თქმის შესახებ

მე, მაია რუსაძე ვაცხადებ შემდეგს: 2002 წლის 20 დეკემბერს გარდაიცვალა ჩემი დედა – ქეთევან რუსაძე. მემკვიდრეები ვართ შვილები: ელენე რუსაძე და მაია რუსაძე.

სამკვიდრო ქონება არის გარდაცვლილი ქეთევან რუსაძის სახელზე არსებული სააქციო საზოგადოება „გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" 230 აქცია, ორას ოცდაათი ლარის ღირებულებით, აგრეთვე 1200 ლარის დანაზოგი.

მე, მაია რუსაძე უარს ვაცხადებ სამემკვიდრეო ქონებაზე ელენე რუსაძის სასარგებლოდ და თანახმა ვარ მემკვიდრეობა მიიღოს ელენე რუსაძემ.

ხელმოწერა: მ. რუსაძე
20.V. 2014

განცხადება

სამკვიდროდან სავალდებულო წილზე უარის თქმის შესახებ

ჩემთვის ცნობილია, რომ გარდაცვლილი ჩემი დედის ნადეჟდა კოპაძის მემკვიდრეობას ანდერძის საფუძველზე იფორმებენ ჩემი შვილები გელა კოპაძე და გივი კოპაძე, რაზედაც თანახმა ვარ. არანაირი პრეტენზია არ მაქვს და სავალდებულო წილს არ მოვითხოვ.

ხელმოწერა: ზ. კოპაძე

15.V.2013 წ.

ანდერძის შედგენა

ორი ათას ხუთი წლის 20 დეკემბერს მე, ნინო შოშიაშვილს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში მომმართეს შემდეგმა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირებმა: ქ-მა ნესტარ ბრეგვაძემ, ქ-მა ასმათ ქორიძემ და ქ-მა თინათინ გურგენიძემ. ნესტან ბრეგვაძემ განაცხადა, რომ სურს მოწმეების თანდასწრებით შეადგინოს ანდერძი, რომელსაც ჩავწერ და დავამოწმებ, მე – ნოტარიუსი. მან განაცხადა, რომ მოწმეებად იქნებიან ასმათ ქორიძე და თინათინ გურგენიძე. მე შევამოწმე მოანდერძისა და მოწმეების სამართალსუბიექტობა. დავადგინე მოანდერძის ნება და დავრწმუნდი, რომ მას ნამდვილად სურდა ქვემოთ მითითებული შინაარსის ანდერძის შედგენა. მოანდერძეს განვუმარტე ანდერძის შედგენისას და სანოტარო წესით დამოწმების სამართლებრივი შედეგები, ხოლო მოწმეებს – მათი ვალდებულებები, კერძოდ:

1. მოანდერძეს უფლება აქვს ანდერძში მითითებული ქონება განკარგოს (გააჩუქოს, გაყიდოს, გაცვალოს, დატვირთოს ვალდებულებებით...) თავისი შეხედულებისამებრ და განკარგვის უფლებას არ ზღუდავს წინამდებარე ანდერძის არსებობა;

2. მოანდერძეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეცვალოს ან გააუქმოს წინამდებარე ანდერძი; შეადგინოს ახალი ანდერძი. რამდენიმე ანდერძის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება უფრო გვიანდელ შედგენილ ანდერძს; ამასთანავე, თუ არსებობს რამდენიმე

ანდერძი და ერთ-ერთი მათგანი არის სანოტარო ანდერძი, ხოლო სხვა არასანოტარო, უპირატესობა მიენიჭება სანოტარო ანდერძის, მიუხედავად მისი შედგენის თარიღისა.

3. მიუხედავად წინამდებარე ანდერძის არსებობისა, მოანდერძის გარდაცვალების დღისათვის მის საკუთრებაში არსებულ ქონების ნაწილს მემკვიდრეობით მაინც მიიღებენ მოანდერძის მეუღლე და შვილები, მათი წილი იქნება იმის ნახევარი, რასაც ისინი მიიღებდნენ წინამდებარეს არარსებობის შემთხვევაში.

4. მოწმეები არ შეიძლება იყვნენ ანდერძით მემკვიდრეები, ანდერძით მემკვიდრის ნათესავები აღმავალი და დაღმავალი ხაზით, დები, ძმები, მეუღლე, საანდერძო დანაკისრის მიმღები.

5. მოწმეებს არა აქვთ უფლება მოანდერძის გარდაცვალებამდე გაამხილონ ცნობები ანდერძის შედგენისა და მისი შინაარსის შესახებ.

ამ განმარტებების მოსმენის შემდეგ მოწმეებმა განაცხადეს, რომ ისინი არ არიან მოანდერძის ნათესავები და არ არიან დაინტერესებული ანდერძის შინაარსით. ეს განცხადება დაადასტურა მოანდერძემაც.

მოანდერძემ აგრეთვე მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ სურს ანდერძის შედგენა და ჩემი და მოწმეების თანდასწრებით მიკარნახა შემდეგი საანდერძო განკარგულება:

„მე, ნესტან ბრეგვაძემ, ჯანსაღ გონებაზე მყოფმა, ჩემი ნებით, რაიმე იძულების გარეშე, მოწმეების: ასმათ ქორიძისა და თინათინ გურგენიძის თანდასწრებით შევადგინე ეს ანდერძი, რომლითაც ჩემს კუთვნილ ჩემს საცხოვრებელ ბინას, მდებარე თბილისში, ლესელიძის ქ. N 82-ში, და სხვა ქონებას, რომელიც იქნება ჩემს საკუთრებაში გარდაცვალების დღისთვის, ვუანდერძებ შვილიშვილს – ფატმან კობერიძეს – დაბადებულს 1998 წელს, მცხოვრებს მშობლებთან ქუთაისში, ნიკოლაძის ქ. N 79-ში. უფლის წყალობით ფატმან კობერიძემ ჩემი ნაანედერძევი ქონება მოიხმაროს, მშვიდობით, სიყვარულითა და სიკეთით. 20 დეკემბერი, 2005 წელი“.

ნესტან ბრეგვაძემ ამით დაასრულა ანდერძის კარნახი, რომელიც ჩავწერე მე, ნოტარიუსმა ნინო შოშიაშვილმა. მე მოანდერძეს მოწმეების თანდასწრებით წავუკითხე ანდერძი. მოანდერძემ მოიწონა იგი, შემდეგ ნესტან ბრეგვაძემ და მოწმეებმა, ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე ანდერძს.

დოკუმენტი შედგა ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეინახება სანოტარო

არქივში, ხოლო მეორე გადაეცემა მოანდერძეს.

1. მოანდერძე – ნესტან ბრეგვაძე
2. მოწმე – ასმათ ქორიძე
3. მოწმე – თინათინ გურგენიძე

ნოტარიუსი – ნინო შოშიაშვილი

20.XII.2005

ანდერძი

ბინის სამისდღემშიო სარგებლობის უფლების დაკისრებით

ქ. თბილისი, 20 ნოემბერი, 2002 წელი

მე, საღ გონებაზე მყოფი იური ივანოვი, დაბადებული 1935 წელს, ბაქოში, მცხოვრები თბილისში, წერეთლის ქ. N 25-ში, წინამდებარე ანდერძით ვიძლევი შემდეგი სახის განკარგულებას.

1. ჩემს საკუთრებაში არსებულ ორ პრივატიზებულ საცხოვრებელ ბინას, რომელიც შედგება ერთი 60 კვ.მეტრისაგან და მეორე – 90 კვ. მეტრისაგან და მდებარეობს თბილისში, ჩემი გარდაცვალების შემდეგ ვუანდერძებ შემდეგ პირებს: იმ ბინას, რომელიც 90 კვ.მეტრია და რომელშიც ამ ანდერძის შედგენის მომენტისათვის ცხოვრობენ ჩემი მეუღლე, უმცროსი ვაჟი, რძალი თამარი და შვილიშვილი ნიკა ვუანდერძებ ჩემს შვილიშვილს ნიკოლოზ ივანოვს და მის დედას – თამარ გოძიაშვილს. ხოლო საცხოვრებელ ბინას, რომელიც 60 კვ. მეტრია და სამი ოთახისაგან შედგება, ვუანდერძებ ჩემს უმცროს ვაჟიშვილს – მიხეილ ივანოვს. ჩემს უფროს ვაჟიშვილს გენადი ივანოვს ეძლევა უფლება ისარგებლოს ერთი ოთახით მისი სიცოცხლის მანძილზე, მხოლოდ თვითონ, სხვა (უცხო) პირების თანაცხოვრების გარეშე. ვთხოვ ჩემს ანდერძისმიერ მემკვიდრეებს, რომლებიც ამ ანდერძში გავითვალისწინე, უზრუნველყონ ჩემი უფროსი ვაჟიშვილისათვის ერთი ოთახის გამოყოფა სამიდღემშიო სარგებლობისათვის.

2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის შინაარსი მე, მოანდერძეს, იური ივანოვს განმემარტა ნოტარიუსის მიერ.

3. ეს ანდერძი შედგენილია მოწმეების: ნათელა სიხარულიძისა და

იზოლდა გეგეჭკორის თანდასწრებით, ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომლის ერთი ეგზემპლარი რჩება ქ. თბილისის ნოტარიუს ნარგიზა ჯანხოთელის სანოტარო ბიუროში, ხოლო ერთი ეგზემპლარი მიეცა მოანდერძე – იური ივანოვს.

1. მოანდერძე – ი. ივანოვი
2. მოწმე – ნ. სიხარულიძე
3. მოწმე – ი. გეგეჭკორი
4. ნოტარიუსი – ნ. ჯანხოთელი.

განცხადება

ანდერძის გაუქმების შესახებ

ორი ათას ოთხი წლის 18 ივლისს, მოქალაქე ლალი შერვაშიძე აცხადებს, რომ აუქმებს 1998 წლის 20 ოქტომბერს ქ. თბილისის ნოტარიუსის ჯუმბერ ქისიშვილის მიერ დადასტურებულ ანდერძს, რითაც ლალი შერვაშიძემ ბაქარ ამილახვარს უანდერძა „მთელი ქონება".

სანოტარო აქტი შედგენილია ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცა ლალი შერვაშიძეს, ხოლო ერთი ეგზემპლარი რჩება ნოტარიუს ჯულიეტა არჩვაძის სანოტარო არქივში.

მოწმეები:
1. – გ. ტაბიძე
2. – მ. ჯიბლაძე
ნოტარიუსი – ჯულიეტა არჩვაძე
18.VIII.2004 წ.

ანდერძის გამოქვეყნების ოქმი

ორი ათას ხუთი წლის 20 აპრილს, ჩემს სანოტარო ბიუროში სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირების აპოლონ გეგეშიძის, დავით ჯაფარიძის და ნანული გომართელის თანდასწრებით სანოტარო მოქმედების შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის საფუძველზე

გამოვაქვეყნე ანდერძი და შევადგინე ანდერძის გამოქვეყნების წინამდებარე ოქმი.

ანდერძი მოთავსებული იყო კონვერტში. ანდერძის გახსნამდე მე შევამოწმე კონვერტის მთლიანობა და ვადასტურებ, რომ კონვერტის მთლიანობა არ იყო დარღვეული, კონვერტში აღმოჩნდა შემდეგი შინაარსის ანდერძი.

1. მოანდერძე – გერასიმე ანთაძე

2. ანდერძის შედგენის თარიღი – 2003 წლის 12 აპრილი

3. ნოტარიუსი, რომლის მიერ არის დამოწმებული ანდერძი – ჯულიეტა არჩვაძე

4. ანდერძის შინაარსი: „მე, გერასიმე ანთაძემ, ჯანსაღ გონებაზე მყოფმა, ჩემი ნებით, რაიმე იძულების გარეშე, მოწმეების: დავით ჯაფარიძისა და ნანული გომართელის თანდასწრებით შევადგინე ეს ანდერძი, რომლითაც ჩემი საცხოვრებელი ბინა, მდებარე თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე და სხვა ქონება, რომელიც იქნება ჩემს საკუთრებაში ჩემი გარდაცვალების დღისათვის, ვუანდერძე აპოლონ გეგეშიძეს, დაბადებული 1980 წელს, მცხოვრებს ქ. თბილისში, ჭავჭავაძის ქ. N 15-ში".

ანდერძი შედგენილია და განთავსებული ერთი ფურცლის ორ გვერდზე. ანდერძში გადაშლილი, ამოფხეკილი ან სხვა დაზიანება არ არის.

წინამდებარე ოქმი შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გერასიმე ანთაძის გარდაცვალების მოწმობის ასლთან ერთად ერთვის ანდერძს, ხოლო ერთი გადაეცა აპოლონ გეგეშიძეს. ოქმის შედგენის შესახებ ინფორმაცია ჩაიწერა ანდერძისმიერი ალფავიტის რეესტრში. ჩემს სანოტარო ბიუროში აღნიშნული ანდერძი გაუქმებული ან შეცვლილი არ არის. დაინტერესებულ პირებს მოთხოვნის შემთხვევაში გაეცემათ ოქმისა და ანდერძის დამოწმებული ასლები.

ანდერძის გამოქვეყნების შესახებ ოქმის შედგენა დაიწყო 14 საათზე და დამთავრდა 15 საათსა და 40 წუთზე.

მოწვეული პირები:

1. აპოლონ გეგეშიძე

2. დავით ჯაფარიძე

3. ნანული გომართელი

ნოტარიუსი – ჯულიეტა არჩვაძე

20.IV. 2005

სამკვიდრო მოწმობის გაცემა

ორი ათას ექვსი წლის თოთხმეტ ივლისს, მე, ქ. თბილისის ნოტარიუსს მარიამ გოგვაძეს, სანოტარო ბიუროში მომმართა ირინე ცხოიძემ, დაბადებული 22.03.1960 წელს ქ. თბილისში, და განაცხადა, რომ იგი არის 2005 წლის 13 იანვარს გარდაცვლილი მოქალაქე ბარბარე გორდელაძის მემკვიდრე და სურს, მიიღოს გარდაცვლილი ბარბარე გორდელაძის დანაშთი ქონება მისი ვინაობა დავადგინე, ქმედუნარიანობა და უფლებამოსილება შევამოწმე, შევისწავლე მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დავრწმუნდი, რომ ბარბარე გორდელაძის გარდაცვალებით გაიხსნა სამკვიდრო. სამკვიდროს გახსნის ფაქტი დასტურდება ბარბარე გორდელაძის გარდაცვალების მოწმობით, რომელიც გაცემულია ქ. თბილისის გარდაცვლილთა სარაიონოთაშორისო სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილების მიერ. სამკვიდროს გახსნის დრო დასტურდება ბარბარე გორდელაძის გარდაცვალების მოწმობით; სამკვიდროს გახსნის ადგილია ქ. თბილისი, ირინე ცხოიძე არის მამკვიდრებლის ანდერძისმიერი მემკვიდრე, რაც დასტურდება ბარბარე გორდელაძის ანდერძით, რომელიც დამოწმებულია 2000 წლის 25 თებერვალს ნოტარიუს ა. მამისაშვილის მიერ. ირინე ცხოიძე არის აგრეთვე მამკვიდრებლის ბარბარე გორდელაძის მეორე რიგის მემკვიდრე – ძმის შვილი. მემკვიდრის განცხადებით სავალდებულო წილის უფლების მქონე მემკვიდრეები არ არიან. მემკვიდრეობა გაიხსნა მთელ სამკვიდრო ქონებაზე სრულად; მემკვიდრემ სამკვიდრო მიიღო საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით. სამკვიდრო ქონება არის მამკვიდრებლის კუთვნილი საცხოვრებელი ბინა, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში. სამკვიდრო ქონება საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა მამკვიდრებელს, ბარბარე გორდელაძეს. სამკვიდრო ქონებას ყადაღა არ ადევს, რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქ. თბილისის ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული ცნობით.

ყოველივე ზემოთქმულისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის საფუძველზე მე. ქ. თბილისის ნოტარიუსმა, მარიამ გოგვაძემ ორი ათას ექვსი წლის თოთხმეტ ივლისს გავეცი წინამდებარე სამკვიდრო მოწმობა:

სამკვიდრო მოწმობა

ორი ათას ექვსი წლის თოთხმეტ ივლისს, მე, ქ. თბილისის ნოტარიუსი მარიამ გოგვაძე, ამ სამკვიდრო მოწმობით ვადასტურებ, რომ ირინე ცხოიძე, დაბადებული 22.03.1960 წელს ქ. თბილისში, არის 2005 წლის 13 იანვარს გარდაცვლილ ბარბარე გორდელაძის II რიგის (ძმისშვილი), და ამავე დროს, ანდერძისმიერი მემკვიდრე. მან, როგორც ანდერძისმიერმა მემკვიდრემ, საკუთრებაში მიიღო სამკვიდრო ქონება, რომელიც არის უძრავი ქონება – საცხოვრებელი ბინა, წილობრივი მონაცემით – 18,02 კვ.მ. ქ. თბილისში, მემკვიდრემ სამკვიდრო მიიღო მის წილ მიწის ნაკვეთთან ერთად.

ირინე ცხოიძე სამკვიდრო ქონებაზე საკუთრების უფლებას იძენს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. ეს სამკვიდრო მოწმობა შედგენილია ქართულ ენაზე 4 (ოთხ) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს სანოტარო ბიუროში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მემკვიდრეს.

მემკვიდრის განცხადებით, სამკვიდრო ქონების ღირებულებაა 3000 (სამი ათასი) ლარი.

ნოტარიუსი — მარიამ გოგვაძე
14.VII. 2006

სამკვიდრო მოწმობა

მე, ლუიზა ქამუშაძე, ნოტარიუსი ქალაქ ქ. თბილისში, ამ სამკვიდრო მოწმობით ვადასტურებ, რომ თამარ გამყრელიძე და ვიტალი ქიქავა არიან გოჩა ქიქავას პირველი რიგის მემკვიდრეთა წრიდან, თამარ გამყრელიძე – მეუღლე, ვიტალი ქიქავა – მამა. მათ, როგორც კანონისმიერმა მემკვიდრეებმა პირველი რიგის მემკვიდრეთა წრიდან, საკუთრებაში მიიღეს თანაბარ წილად სამკვიდრო ქონება. სამკვიდრო ქონება არის მამკვიდრებლის კუთვნილი მთელი საცხოვრებელი სახლის 38„316 წილის გოჩა ქიქავას კუთვნილი 1„4 ნაწილი.

თამარ გამყრელიძე და ვიტალი ქიქავა სამკვიდრო ქონებაზე საკუთრების უფლებას იძენენ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

ეს სამკვიდრო მოწმობა შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს სანოტარო ბიუროში, ხოლო დანარჩენი გადაეცათ მემკვიდრეებს.

საცხოვრებელი ბინის 1„4 ნაწილი მემკვიდრეების მიერ შეფასებულია 6000 ლარად.

ნოტარიუსი — ლუიზა ქამუშაძე
12.VII.2005

II. ტესტები და კაზუსები

საოჯახო სამართალში

№1

კანონით ვის შორის არ შეიძლება დაქორწინება?

1. შიდსით დაავადებულთა შორის;
2. ბიძაშვილ-მამიდაშვილებს შორის;
3. ერთსქესიან პირებს შორის;
4. საქართველოს მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს შორის;

№2

ნიკოლოზ ბუკია სასამართლომ უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოაცხადა 2002 წლის ივნისში. მისმა მეუღლემ 2004 წელს განქორწინება გააფორმა დაკარგულ მეუღლესთან. 2005 წლის მაისში ნ. ბუკია, რომელიც საზღვარგარეთ იძულებით სამუშაოდ გაუყვანიათ, დაბრუნდა და თავის ცოლთან გააგრძელა ოჯახური ურთიერთობა. 2007 წელს ნ. ბუკიას მეუღლე გარდაიცვალა. სამკვიდროს მიღებაზე მას უარი უთხრეს სანოტარო ბიუროში.

სწორია თუ არა ნოტარიუსის პასუხი?

1. არ არის სწორი, რადგან ნ. ბუკია და მისი მეუღლე დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ ერთად და ფაქტობრივად მათ საოჯახო ურთიერთობა არც შეუწყვეტიათ.

2. სწორია, რადგან განქორწინება საფუძვლად დაედო ქორწინების შეწყვეტას და ნ. ბუკია არ შეიძლება ყოფილი მეუღლის მემკვიდრედ იქნეს აღიარებული.

3. არ არის სწორი, რადგან პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადება, გარდაცვლილად აღიარებისაგან განსხვავებით, არ წარმოადგენს ქორწინებისა და საოჯახო ურთიერთობათა შეწყვეტის საფუძველს.

4. სწორია, რადგან ნ. ბუკიას მეუღლეს შეეძლო ანდერძით დაეტოვებინა მისთვის ქონება, მაგრამ ეს არ გააკეთა იმიტომ, რომ ნ. ბუკიას არ თვლიდა კანონიერ მეუღლედ.

№3

რევაზ გურჩიანს ჩადენილი დანაშაულისთვის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლის ვადით. სასჯელის მოხდის დროს მან არასრულწლოვანი შვილისაგან შეიტყო, რომ მეუღლე – ცისანა ამაღლობელი მას ღალატობდა, რის გამოც მოითხოვა განქორწინება. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ტერიტორიულ სამსახურში წარდგენილი განცხადება არ იქნა დაკმაყოფილებული იმ მოტივით, რომ საქმე სასამართლოს ქვემდებარეა. **სწორია თუ არა გამოხატული პოზიცია?**

1. სწორია, რადგან მეუღლეთა შორის განქორწინების საკითხი ყოველთვის სასამართლომ უნდა განიხილოს.

2. არასწორია, რადგან ერთ-ერთი მეუღლისათვის სამ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთისას განქორწინების საქმე უნდა განიხილოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ტერიტორიულმა სამსახურმა.

3. სწორია, რადგან განქორწინებას პატიმარი მეუღლე ითხოვს, მისი ინტერესები ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა დაიცვას.

4. არასწორია, რადგან თუ მეუღლეებს არასრულწლოვანი შვილი ჰყავთ, განქორწინების საქმე სასამართლომ უნდა განიხილოს.

№4

გოგი კავსაძემ სასამართლოს მიმართა სარჩელით თავის ორსულ ცოლთან განქორწინების თაობაზე. ცოლმა – ნათელა უგულავამ განქორწინებაზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ, ამავე დროს, მოითხოვა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ავტომანქანის მისთვის მიკუთვნება. სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ ქმარს არ ჰქონდა განქორწინების უფლება. **სწორია თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება?**

1. სწორია, რადგან ქმარს ცოლის ორსულობის დროს უფლება არა აქვს მიმართოს სასამართლოს განქორწინების თაობაზე.

2. არასწორია, რადგან თუ ცოლ-ქმარს განქორწინება სურთ, სასამართლომ უნდა განაქორწინოს ისინი.

3. სწორია, რადგან ქმარი მსგავს შემთხვევაში განქორწინების უფლებას მოიპოვებს ბავშვის დაბადებიდან სამი წლის შემდეგ.

4. არასწორია, რადგან ავტომანქანის ცოლისათვის მიკუთვნება ეწინააღმდეგება თანაზიარი საკუთრების მეუღლეთა შორის გაყოფის მოქმედ წესს.

№5

გვანცა ლებანიძე გაშვილებიდან ხუთი წლის გასვლის შემდეგ დაქორწინდა ნოდარ გეგეჭკორზე, რომელიც მისი ბიოლოგიური დედის ძმისშვილია. მშვილებელმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში ქორწინების გაბათილების შესახებ. სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა. **სწორია თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება?**

1. სწორია, რადგან ნაშვილები ბიოლოგიურ მშობლებთან და მათ ნათესავებთან კვლავაც ინარჩუნებს სისხლით კავშირსა და ასეთ ნათესავებს შორის ქორწინება აკრძალულია.

2. არასწორია, რადგან ბიძაშვილ-მამიდაშვილებს შორის ქორწინება არაა აკრძალული.

3. სწორია, რადგან სახეზე არ იყო მშვილებლის წერილობითი თანხმობა დაქორწინებაზე.

4. არასწორია, რადგან შვილად აყვანის ფაქტი საფუძვლად ედება ნაშვილების იურიდიული კავშირის გაწყვეტას ბიოლოგიურ მშობლებთან და მათ ნათესავებთან და ასეთი კავშირების წარმოშობას მშვილებლის ხაზით.

№6

გიული ჩოგოვაძეს დაქორწინებამდე გააჩნდა საცხოვრებელი სახლი. ფრიდონ ახალაიასთან დაქორწინების შემდეგ მასთან გააფორმა საქორწინო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც განქორწინების შემთხვევაში ეს სახლი ისევ გ. ჩოგოვაძეს დარჩებოდა, მიუხედავად

იმისა, საერთო სახსრებით კაპიტალურად შეაკეთებდნენ თუ არა. სახლს მართლაც ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი და მისი ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა.

განქორწინებისას ფ. ახალაიამ წილი მოითხოვა თითქმის განახლებული სახლიდან. **როგორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ?**

1. სახლი უნდა ჩათვალოს თანაზიარ საკუთრებად და ორივე მეუღლეს თანაბრად გაუყოს იგი.

2. სარჩელი არ უნდა დააკმაყოფილოს, რადგან საცხოვრებელი სახლი ქორწინებამდე გ. ჩოგოვაძეს ეკუთვნოდა და მასვე უნდა დარჩეს განქორწინების შემდეგაც.

3. სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, რადგან კაპიტალური რემონტის შემდეგ სახლი უნდა ჩაითვალოს თანასაკუთრებად და გ. ჩოგოვაძის ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებელია მისი გაყოფა არათანაბრად.

4. სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს იმ შემთხვევაში, თუ ფ. ახალაიას არ გააჩნია სხვა საცხოვრებელი ფართი.

№7

ქეთევან გილაურმა და სიმონ ჩოჩელმა ქორწინების პერიოდში შეიძინეს აგარაკი, რომელსაც დასასვენებლად და სამკურნალოდ წლების განმავლობაში იყენებდა მთელი ოჯახი. აგარაკი რეგისტრირებული იყო ს. ჩოჩელის სახელზე. წარუმატებელი სამეწარმეო საქმიანობის საფუძველზე წარმოშობილი ვალის დასაფარად ს. ჩოჩელმა გადაწყვიტა აგარაკის გაყიდვა. შესაბამისი ხელშეკრულება დაიდო ქ. გილაურის თანხმობის გარეშე, რის გამოც მან მიმართა სასამართლოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაბათილების მოთხოვნით. **როგორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ?**

1. სარჩელი არ უნდა დააკმაყოფილოს, რადგან აგარაკი რეგისტრირებულია ს. ჩოჩელის სახელზე და მას შეეძლო გაეყიდა იგი.

2. სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან აგარაკი წარმოადგენს მეუღლეთა თანაზიარ საკუთრებას და არ შეიძლება ერთი მეუღლის მიერ მისი განკარგვა.

3. სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან ს. ჩოჩელის საქმი-

ანობით გამოწვეული ვალი მეუღლეთა საერთო ვალია და მისი დაფარვა უნდა მოხდეს ორივე მეუღლის ქონების საფუძველზე.

4. სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან ს. ჩოჩელის ვალის დაფარვა უნდა მოხდეს მისი ინდივიდუალური საკუთრებისა და მეუღლეთა თანასაკუთრებაში მისი წილის ღირებულების ფარგლებში. ქ. გილაურის კუთვნილი ქონება ხელშეუხებელია.

№8

რომელია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო?

1. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები.

2. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები.

4. იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.

№9

გიორგი შარაშიძეს უარი უთხრეს 17 წლის თამარ გოგუაძის შვილად აყვანაზე იმ მოტივით, რომ იგი გათხოვილი იყო და მეუღლესთან ცხოვრობდა. **სწორია თუ არა უარი?**

1. სწორია, რადგან დასაშვებია მხოლოდ ორივე მეუღლის ერთად შვილება.

2. სწორია, რადგან საჭიროა შვილად ასაყვანი პირის მშობლების თანხმობა.

3. არასწორია, რადგან სახეზე უნდა იყოს თამარ გოგუაძის მეუღლის თანხმობა.

4. არასწორია, რადგან შვილად აყვანა არ შეიძლება მხოლოდ არასრულწლოვანი პირისა.

№10

რა სამართლებრივ საფუძველზე ხორციელდება ბავშვის მინდობით აღზრდა?

1. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებთან დედობილ-მამობილის მიერ დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

3. მშვილებელსა და გასაშვილებელი პირის მშობლებს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე.

4. მუნიციპალური წარმომადგენლობითი ორგანოების გამგეობების გადაწყვეტილების საფუძველზე.

* * *

№1

თელაველი 16 წლის ნათია სტუმრად ჩავიდა თბილისში თავის დეიდაშვილ გიორგი აგლაძესთან. მეორე დღეს გიორგის ოჯახში მან გაიცნო გიორგის ბიძაშვილი 18 წლის თემურ ჯაიანი. იგი მოეწონა და მასთან შეხვედრასაც დასთანხმდა. გაცნობიდან სამი დღის შემდეგ თემურმა თავის აგარაკზე წაიყვანა ნათია და იქ რამდენიმე დღე დარჩნენ. მობრუნებისას მათ ცოლ-ქმრად გამოაცხადეს თავი. თემურის მშობლები ნაჩქარევი ქორწინების წინააღმდეგ გამოვიდნენ. მიუხედავად ამისა, წყვილმა სვეტიცხოველში დაიწერა ჯვარი და შემდეგ მიმართეს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მცხეთის ტერიტორიულ სამსახურს, რათა მას დაუყოვნებლივ მოეხდინა ფაქტობრივი და საეკლესიო წესით განმტკიცებული ქორწინების რეგისტრაცია.

რეესტრის სამსახურში მათ განუმარტეს, რომ:

1. მათი დაქორწინების რეგისტრაცია შეუძლებელი იყო მექორწინეთა მშობლების წერილობითი თანხმობის გარეშე.

2. ქორწინების რეგისტრაცია უნდა მომხდარიყო არა მცხეთაში, არამედ თბილისში ან თელავში.

3. ქორწინების რეგისტრაცია ნათესავებს შორის უნდა მომხდარიყო იუსტიციის სამინისტროს ნებართვით.

სწორია თუ არა სარეგისტრაციო ორგანოს პოზიცია?

კანონით რა აუცილებელი მოთხოვნების დაცვაა საჭირო ქორწინების რეგისტრაციისათვის?

№2

ნელი გაბრიჩიძე და გიორგი პაპუნაშვილი დაქორწინდნენ 2002 წლის ოქტომბერში. წლისთავზე შეეძინათ შვილი. 2004 წლის მარტში გიორგი დააპატიმრეს და ნარკოტიკული დანაშაულისათვის მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით. მეუღლის უღირსი საქციელით განაწყენებულმა ნელიმ იმავე წლის მაისში განქორწინების თაობაზე განცხადებით მიმართა აქტების რეგისტრაციის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს. იქ განუმარტეს, რომ განქორწინების საქმე უნდა განიხილოს სასამართლომ, რადგან მეუღლეებს ჰყავთ არასრულწლოვანი ბავშვი და თანაც განცხადებას არ ერთვის გიორგი პაპუნაშვი-

ლის წერილობითი თანხმობა განქორწინებაზე. სასამართლოშიც საქმე განხილება მას შემდეგ, როცა ბავშვი მიაღწევს ერთი წლის ასაკს.

სწორია თუ არა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს განმარტება?

რა თავისებურებები ახასიათებს სააგენტოს სამსახურში ერთ-ერთი მეუღლის განცხადების საფუძველზე განქორწინებას?

№3

შრომისუუნარო ნათელა მურვანიძე და პედაგოგი გიორგი თაბაგარი დაქორწინებამდე წერილობით შეთანხმდნენ იმაზე, რომ ქორწინების პერიოდში ერთმანეთისაგან არ მოითხოვდნენ მატერიალურ დახმარებას, ხოლო განქორწინების შემთხვევაში ნათელა მურვანიძეს ექნებოდა უფლება გიორგი თაბაგარისაგან მოეთხოვა სარჩო შრომისუუნარობის მთელი პერიოდის მანძილზე. შეთანხმებას ესწრებოდნენ მექორწინეთა ნათესავები. დაქორწინებიდან სამი წლის შემდეგ ისინი განქორწინდნენ. ნათელა მურვანიძემ სასამართლოში დააყენა საკითხი მისთვის ალიმენტის დანიშვნის შესახებ. შეთანხმების ლეგიტიმურობისათვის მოითხოვა ხელშეკრულების დადებისას დამსწრე მოწმეთა დაკითხვა.

როგორ უნდა გადაწყდეს საქმე?

№4

ზუგდიდელი გელა ფიფია ორი დღით ჩავიდა თბილისში ყოფილ თანაკლასელ მანანა ამაშუკელთან ოჯახის შექმნასთან დაკავშირებული მომავალი ურთიერთობების გასარკვევად. გელას თბილისში ჩასვლა მანანას ნაქირავებ ბინაში სუფრით აღინიშნა რამდენიმე მეზობელთან ერთად. გელა ღამის გასათევად მანანასთან დარჩა. მათ ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. 9 თვის თავზე მანანას ბავშვი შეეძინა. გელას მას შემდეგ პირადად არ უნახავს მანანა და სხვა ქალზე დაქორწინდა. მანანამ სასამართლოში შეიტანა სარჩელი მამობის იძულებით დადგენისა და ბავშვისათვის ალიმენტის დანიშვნის შესახებ. სარჩელი იმით დაასაბუთა, რომ: 1. ბავშვის ჩასახვისა

და გელას თბილისში სტუმრობის პერიოდი ერთმანეთს ემთხვევა და ბავშვი ნამდვილად გელასაგან ჰყავს; 2. როცა ნათესავისაგან გაიგო, რომ მანანა ორსულად იყო, გელამ აბორტის გაკეთება შესთავაზა მას. უარის მიღების შემდეგ სხვა ქალზე დაქორწინდა.

გელამ სარჩელი უარყო და მიუთითა შემდეგ საფუძველზე: 1. მანანასთან სტუმრობის დროს იგი ნასვამი იყო და არც ახსოვს მასთან ჰქონდა თუ არა რაიმე ურთიერთობა; 2. მეზობლებს შეუძლიათ დაადასტურონ მხოლოდ სტუმრობის ფაქტი და სხვა არაფერი. თუმცა არ გამორიცხავს იმას, რომ შეიძლება ბავშვის მამა იყოს.

რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ?

№5

გრიგოლ კუპრავა 2002 წელს დაქორწინდა გალინა ნესტეროვაზე, რომელსაც პირველი ქორწინებიდან ჰყავდა 14 წლის ქალიშვილი თამარ ახობაძე. გრიგოლს თავისი ბინა არ ჰქონდა ქალაქში და საცხოვრებლად მეუღლის ბინაში გადავიდა. სამივენი ერთად ცხოვრობდნენ თამარის სრულწლოვანებამდე. 18 წლის თამარმა ერთ-ერთ ფირმაში მენეჯერად დაიწყო მუშაობა და რამდენიმე თვეში გათხოვდა კიდეც. გრიგოლმა განათლების სისტემაში განხორციელებული რეფორმების შედეგად დაკარგა მაღალანაზღაურებადი თანამდებობა. გალინა ნესტეროვას კი მეორედ დაქორწინებიდან ორ წელიწადში შრომისუუნარობის გამო დაენიშნა პენსია 38 ლარის ოდენობით. 2007 წლის მაისში გრიგოლ კუპრავა და გალინა ნესტეროვა განქორწინდნენ. უბინაოდ და უსახსროდ დარჩენილმა სარჩო მოსთხოვა გალინა ნესტეროვასა და თამარ ახობაძეს, რაზედაც მათგან უარი მიიღო.

როგორ უნდა გადაწყდეს დავა?

№6

შოთა კილაძეს ავტოავარიაში მოხვედრის შემდეგ დაუნიშნეს ინვალიდობის პენსია, რომელიც მას კვებისა და ჯანმრთელობის

რეაბილიტაციისათვის არ ჰყოფნის. ამიტომ სარჩოს მოთხოვნით მან მიმართა უფროს ვაჟიშვილს, რომლისგანაც უარი მიიღო იმის გამო, რომ სკოლაში სწავლის პერიოდში ზარმაცობისათვის მას და მის უმცროს ძმას სასტიკად ეპყრობოდა, აშიმშილებდა, სახლიდან ხშირად აგდებდა, რის გამოც მათ მეზობლებთან და ნათესავებთან უხდებოდათ ყოფნა. ასეთი ქცევისათვის შოთა კილაძეს სასამართლომ ჩამოართვა მშობლის უფლება. სკოლის დამთავრების შემდეგ მშობლის უფლება მას აღუდგა ჯერ უფროსი, ხოლო შემდეგ უმცროსი შვილის მიმართ. რამდენიმე წლის შემდეგ უფროსი შვილი დაქორწინდა და ცალკე დაიწყო ცხოვრება. უმცროსი შვილი სკოლიდანვე ავადმყოფობდა და მამის ავარიამდე გარდაიცვალა. მას უფროსი ძმის დახმარებით შეძენილი სახლი და ავტომანქანა დარჩა. შოთა კილაძემ მოითხოვა უმცროსი შვილის დარჩენილი ქონების მისთვის გადაცემა, რისი წინააღმდეგაც გამოვიდა უფროსი ვაჟიშვილი.

1. უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა შოთა კილაძის მოთხოვნა?

2. რა სამართლებრივ შედეგებს იწვევს მშობლის უფლების ჩამორთმევა?

№7

ზურაბი და თამილა დაქორწინების შემდეგ 1998 წელს საცხოვრებლად გადავიდნენ ზურაბისათვის მშობლების მიერ ნაჩუქარ აგარაკზე. მათ საბანკო სესხის დახმარებით სახლს დააშენეს მეორე სართული, აგრეთვე თამილასათვის შეიძინეს 10 ათასლარიანი მსუბუქი ავტომანქანა. ზურაბს კი ქორწინებამდელი ავტომანქანა დარჩა. 2001 წელს შვილის შეძენის შემდეგ მთლიანად გამოცვალეს ავეჯი, რომლის ღირებულებამ 30 ათასი ლარი შეადგინა. 2005 წელს ზურაბი დააპატიმრეს და უკანონო სამენარმეო საქმიანობისათვის მიუსაჯეს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენში აღნიშნული იყო, რომ არამართლზომიერი გზით მითვისებული სახსრების ერთი ნაწილი მან გამოიყენა ავეჯის შესაძენად, ხოლო მეორე კი ანაბრის სახით შეიტანა ბანკში. ანაბრის შესახებ თამილამ არაფერი იცოდა. 2008 წლის იანვარში გავიდა საბანკო სესხის დაფარვის ვადა. დავალიანებამ შეადგინა 45 ათასი ლარი. თამილამ ჩათვალა, რომ საბანკო სესხის დაფარვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მის მეუღლესა და სასამართლოში შეიტანა

სარჩელი ზურაბთან განქორწინებისა და საერთო თანაზიარი ქონების გაყოფის შესახებ.

1. როგორ უნდა გადაწყდეს განქორწინების საქმე?

2. როგორია მეუღლეთა ქონების კანონით გათვალისწინებული რეჟიმი?

3. რომელი ქონებით უნდა დაიფაროს საბანკო სესხი?

№8

თამარ ლელაძემ 1990 წელს შვილად აიყვანა თავისი ძმისშვილი, 1975 წელს დაბადებული ბადრი ლელაძე. თამარი 1998 წლიდან მარტოხელაა, შრომისუუნარო პენსიონერი. ხშირად ავადმყოფობს და პერიოდულად საჭიროებს მატრიალურ დახმარებას. მან სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა შვილად აყვანის გაუქმება იმ საფუძვლით, რომ ბადრი სამი წელია საცხოვრებლად გადავიდა თავისი მეუღლის ოჯახში, არავითარ ყურადღებას არ აქცევს მას და უპატივცემულოდ ეპყრობა. თამარის აზრით, ბადრის სურვილია მისი საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის მემკვიდრეობით მიღება, რასაც ბადრი სხვა ნათესავებთან საუბარში არც მალავს და ადასტურებს, რომ მათ შორის მშობლისა და შვილის ურთიერთობა ფაქტობრივად შეწყვეტილია.

ბადრი ლელაძე უარყოფს სარჩელს და მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ თამარ ლელაძის სამკურნალოდ დახარჯული აქვს 600 ლარი, ხოლო ყოველი ზამთრის წინ მისთვის შეშის შესაძენად – 400 ლარი. თუ ეს უყურადღებობა და უპატივცემულობაა, მაშინ იგი ამ თანხების უკან დაბრუნებას ითხოვს და ამის შემდეგ – სარჩელის განხილვას.

ბაღდადის რაიონულმა სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა უსაფუძვლობის გამო. ქუთაისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატამ კი შესაძლებლად ჩათვალა შვილად აყვანის გაუქმება სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე.

დავის გაგრძელების შემთხვევაში რა პოზიცია უნდა დაიკავოს საკასაციო სასამართლომ?

№9

დაქორწინებისას გენადი ჩოხელმა თავის მეუღლეს – ანა კივაძეს დაუმალა, რომ მას თავის თანაკურსელ იამზე ტაბატაძესთან არაოფიციალურად ჰყავდა 2 წლის გოგონა, რომელიც ამ უკანასკნელთან იზრდებოდა მძიმე მატერიალურ პირობებში. რადგან ანასთან 3 წლის განმავლობაში ბავშვი არ შესძენია, გენადიმ გადაწყვიტა შვილად აეყვანა თავისი ქალიშვილი. იამზე ტაბატაძე დაეთანხმა ბავშვის გაშვილებას. სასამართლომ დააკმაყოფილა გენადის სურვილი. სამივეს ერთად ცხოვრების 5 წლის თავზე გენადი და ანა განქორწინდნენ. საქორწინო ხელშეკრულებით ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონება ანას საკუთრება გახდა. უკეთესი მატერიალური მდგომარეობის გამო მან მოითხოვა ბავშვის მისთვის მიკუთვნება, მით უმეტეს, რომ ბავშვი მას შეეჩვია და მასთან სურს ცხოვრება. თავის მხრივ, იამზე ტაბატაძემ მოითხოვა შვილად აყვანის გაუქმება და ბავშვის დაბრუნება, რადგან მან უკვე შეიქმნა ბავშვის აღსაზრდელად საჭირო პირობები.

როგორ უნდა გადაწყდეს დავა?

№10

მერი უკლებამ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ თავის ნათესავ კოტე დგებუაძესა და მის მეუღლეს მიაშვილა თავისი ქალიშვილი – თეო კორინთელი. სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება წლისთავზე გაუქმებულ იქნა იმის გამო, რომ კოტემ და მისმა მეუღლემ ვერ უზრუნველყვეს მშვილებლის მოვალეობის შესრულება. თეო დაუბრუნდა თავის ბიოლოგიურ მშობელს. კოტე დგებუაძის ოჯახური პირობების გაუმჯობესების შემდეგ, რადგან თეოს მეორჯერ შვილება უხერხული იქნებოდა, კოტემ დააყენა საკითხი მერი უკლებას ვაჟიშვილის – ბესო კორინთელის მისი ოჯახისათვის აღსაზრდელად გადაცემის თაობაზე. მერი უკლებამ ამაზე თანხმობა განაცხადა. სოციალურმა მუშაკმა შვილობილობისათვის აუცილებელი დოკუმენტები წარუდგინა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. საქმის განხილვის პროცესში, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში შევიდა კოტე დგებუაძის მეზობლის – გიული ჭონქაძის საჩივარი, რომელშიც მიუთითებდა, რომ

კოტეს არა აქვს ბავშვის აღზრდის უფლება, რადგან ბათილად იქნა ცნობილი მის მიერ ადრინდელი შვილად აყვანა. გარდა ამისა, თვითონაა იგი მზად, თუ მერი უკლება თანახმა იქნება, აღზარდოს ბესო კორინთელი, რომელიც მის ნათესავთან ერთად დადიოდა საბავშვო ბაღში და მას კარგად იცნობს. იგი თანახმაა იმაზეც, რომ და-ძმა ერთმანეთს არ დააცილოს და ორივე მიიღოს აღსაზრდელად საშუალო სკოლის დამთავრებამდე.

თავის მხრივ, კოტე დგებუაძე აღნიშნავს, რომ იგი ბავშვის ნათესავია და უპირატესობა მას ეკუთვნის. გარდა ამისა, გიულის ქმარი 4 წელია სასჯელს იხდიდა და ახლახან გათავისუფლდა. ამიტომ მას არავითარი პირობა არ გააჩნია თავისი პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად.

1. როგორ უნდა გადაწყდეს დავა?

2. რა პირობები უნდა იყოს დაცული შვილად აყვანისა და ბავშვის მინდობით აღზრდისათვის?

III. ტესტები და კაზუსები

მემკვიდრეობის სამართალში

№1

მამის გარდაცვალების შემდეგ სავანელს სავალდებულო წილის სახით მემკვიდრეობით გადაეცა 20 ათას ლარად ღირებული ქონება. როგორც შემდგომში გაირკვა, მამკვიდრებელს გარდაცვალებამდე 15 წლით ადრე თავისი თანამშრომლისათვის უჩუქებია 10 ათას ლარად ღირებული სურათი. სავანელმა მოითხოვა მისთვის გადაცემული სავალდებულო წილის გაზრდა გაჩუქებული სურათის ღირებულებიდან.

შეიძლება თუ არა სავანელის მოთხოვნის დაკმაყოფილება?

1. დიახ, რადგან მამკვიდრებლის მიერ გარდაცვალებამდე 15 წლით ადრე გაჩუქებული სურათი შედის სამკვიდროში და, შესაბამისად, სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლებით სავანელს უფლება აქვს მოითხოვოს გაჩუქებული ნივთიდან წილის გაზრდა.
2. არა, რადგან საჩუქარი სამკვიდროს ანგარიშში არ ჩაითვლება, თუკი სამკვიდროს გახსნის დროისათვის ნივთის გაჩუქებიდან ათი წელია გასული.
3. დიახ, რადგან სავალდებულო წილზე უფლების მქონე პირს უფლება აქვს მოითხოვოს მისი შევსება იმ თანხით, რითაც გაიზრდება მისი სავალდებულო წილი, თუკი გაჩუქებული ნივთი სამკვიდოში შევა.
4. არა, რადგან მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე გაჩუქებული ნივთიდან სავალდებულო წილის შევსება დაუშვებელია.

№2

სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრეს დაეკისრა ლეგატი 2000 ლარის ფარგლებში. სავალდებულო წილის ზემოთ მემკვიდრეს ეანდერძა 1500 ლარის ღირებულების ქონება.

რა ფარგლებში უნდა შეასრულოს მემკვიდრემ საანდერძო დანაკისრი?

1. მემკვიდრე ლეგატს შეასრულებს მისი ღირებულების – 2000 ლარის ფარგლებში.

2. მემკვიდრე ლეგატს შეასრულებს 1500 ლარის ფარგლებში.

3. მემკვიდრე ვალდებულია, ლეგატი შეასრულოს მთლიანი სამკვიდროს ღირებულების ფარგლებში.

4. თუ ლეგატი არ შეიცავს იმ ღირებულების ოდენობის ქონებას, რომლითაც განისაზღვრება დაკისრებული დავალების შესრულება, საანდერძო დანაკისრი ბათილად უნდა ჩაითვალოს.

№3

კვესიტაძემ მამის სიცოცხლეში თავის ძმასთან დადო ხელშეკრულება, რომლითაც იგი გარკვეული თანხის საფასურად თავის ძმას გადასცემდა მამის გარდაცვალების შემდეგ კანონით მემკვიდრეობის საფუძველზე მიღებულ ავტომობილს.

წარმოშობს თუ არა სამართლებრივ შედეგებს კვესიტაძესა და მის ძმას შორის დადებული ხელშეკრულება?

1. დიახ, რადგან სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად, პირის სიცოცხლეში მისი სამკვიდროდან გამომდინარე ხელშეკრულების დადება შესაძლებელია მხოლოდ ანდერძის საფუძველზე მისაღები ქონების თაობაზე.

2. არა, რადგან პირის სიცოცხლეში, მისი სამკვიდროს თაობაზე სხვა პირებს შორის დადებული ხელშეკრულება ბათილია.

3. დიახ, რადგან სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად, მომავალ კანონით მემკვიდრეებს შორის ერთ-ერთი მათგანის კანონით სამემკვიდრეო წილისა და სავალდებულო წილის თაობაზე ხელშეკრულების დადება შესაძლებელია.

4. არა, რადგან პირის სიცოცხლეში მისი სამკვიდროდან გამომდინარე სავალდებულო წილის ანდა საანდერძო დანაკისრის შესახებ დადებული ხელშეკრულებები ბათილია.

№4

ზეზვა ხიდურელმა უარი თქვა მამის – გივი ხიდურელის სამკვიდროს მიღებაზე ძმის, კოტე ხიდურელის სასარგებლოდ. მამის მოქმედებით უკმაყოფილო ზეზვა ხიდურელის შვილმა გადაწყვიტა თვითონ ჩართულიყო სამემკვიდრეო-სამართლებრივ ურთიერთობაში და მოითხოვა წილი პაპის ქონებიდან.

კანონით ეკუთვნის თუ არა მამკვიდრებლის ქონების წილი ზეზვა ხიდურელის შვილს?

1. არა, ვინაიდან შვილიშვილები ვერ გახდებიან მემკვიდრე ები, თუ მათმა მშობელმა უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე.

2. არა, ვინაიდან შვილიშვილების მიერ პაპის სამკვიდროს მიღების შესაძლებლობას კანონი არ ითვალისწინებს.

3. დიახ, ვინაიდან შვილიშვილი პაპის გარდაცვალების შემდეგ უფლებამოსილია მიიღოს სამკვიდრო წარმომადგენლობის უფლებით იმ ოდენობით, რაც მის მშობელს ეკუთვნოდა კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს.

4. დიახ, ვინაიდან შვილიშვილი პაპის მემკვიდრეა სხვა კანონისმიერ მემკვიდრეთა მსგავსად.

№5

პელაგია თუხარელმა სანატორიუმის მთავარი ექიმის მიერ დამოწმებული ანდერძით მთელი თავისი ქონება დაუტოვა შვილიშვილს – ტრისტან ჭიჭინაძეს იმ პირობით, თუ იგი დაქორწინდებოდა მისი ყოფილი მომვლელის ქალიშვილზე. ტრისტანმა პირობა არ შეასრულა. ამიტომ დედამისმა მოითხოვა ანდერძის გაბათილება და მთელი სამკვიდრო ქონების გადაცემა მისთვის, როგორც კანონისმიერი მემკვიდრისათვის.

გააჩნია თუ არა კანონიერი საფუძველი პელაგია თუხარელის ქალიშვილის მოთხოვნას?

1. არა, ვინაიდან არსებობს ანდერძი, სამკვიდრო უნდა მიიღოს ანდერძისმიერმა მემკვიდრემ.

2. დიახ, ვინაიდან სანატორიუმის მთავარ ექიმს ანდერძის დადასტურების უფლება არ გააჩნია.

3. არა, ვინაიდან მან როგორც პირველი რიგის მემკვიდრემ უნდა მიიღოს მხოლოდ სავალდებულო წილი.

4. დიახ, ვინაიდან ბათილია საანდერძო განკარგულება იმის შესახებ, რომ მემკვიდრე სამკვიდროს მიიღებს განსაზღვრული პირობით ან არა მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან, არამედ უფრო გვიან.

№6

ნერონ ხუბუტიას გარდაცვალების შემდეგ სამკვიდროს მისაღებად სანოტარო ბიუროში წარდგენილ იქნა ორი ანდერძი. ერთი – სანოტარო წესით დადასტურებული, შედგენილი სამკვიდროს გახსნამდე სამი წლით ადრე, რომლითაც მამკვიდრებელი მთელ თავის ქონებას უტოვებდა თავის ბიძაშვილს და მეორე – შინაურული, შედგენილი ორი მოწმის თანდასწრებით, ნერონ ხუბუტიას გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე, რომლითაც იგი თავის ქონებას უტოვებდა ვაჟიშვილს.

ვისზე უნდა გაიცეს სამკვიდრო მოწმობა?

1. ვაჟიშვილზე, ვინაიდან შინაურული ანდერძი უფრო გვიან იყო შედგენილი, ვიდრე სანოტარო წესით დადასტურებული ანდერძი და ახალი აუქმებს ძველ ანდერძს.

2. ვაჟიშვილზე გაიცემა სამკვიდრო მოწმობა, რომელიც დაადასტურებს მის უფლებას სავალდებულო წილზე, ხოლო ბიძაშვილზე გაიცემა დანარჩენ ქონებაზე ანდერძით მემკვიდრეობის დამადასტურებელი სამკვიდრო მოწმობა.

3. სამკვიდრო მოწმობა მთელ ქონებაზე უნდა გაიცეს ნერონ ხუბუტიას ბიძაშვილზე, ვინაიდან სანოტარო წესით დამოწმებული ანდერძი არ შეიძლება მოიშალოს შინაურული ანდერძით.

4. სამკვიდრო მოწმობა უნდა გაიცეს ორივე მემკვიდრეზე სამკვიდრო ქონების თანაბარი წილის აღნიშვნით.

№7

მამკვიდრებელმა თავისი ნათესავებიდან ერთს უანდერძა საცხოვრებელი სახლი, მეორეს – ავტომანქანა, ხოლო მესამეს 5 ათასი ლარი. სამკვიდროს გახსნისას მამკვიდრებლის ქონებაში ჩაითვალა მხოლოდ სახლი და ავტომანქანა. ფული არ აღმოჩნდა არც სახლში და არც რომელიმე შემნახველ დაწესებულებაში. მესამე მემკვიდრემ დანარჩენებს მოსთხოვა ფულის შესაბამისი ქონება, რაზედაც უარი მიიღო.

როგორ უნდა გადაწყდეს დავა?

1. სამკვიდრო ანდერძით მემკვიდრეებს შორის თანაბრად უნდა განაწილდეს.

2. ანდერძი მთლიანად უნდა გაბათილდეს და ქონება განაწილდეს კანონით მემკვიდრეებს შორის.

3. საანდერძო განკარგულება, რომლითაც მემკვიდრეს ეანდერძა არარსებული ფული, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

4. სხვა მემკვიდრეები ვალდებული არიან 5 ათასი ლარის ღირებულების ქონება თანაბრად გადასცენ სამკვიდროს გარეშე დარჩენილ მემკვიდრეს.

№8

გრიგოლ მუშკუდიანმა თავისი სამკვიდრო ქონება ანდერძით დაუტოვა თავის ყოფილ მძღოლს – არტურ მიქოიანს. მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ მისმა შვილმა სავალდებულო წილის მიღებაზე უარი განაცხადა. გრიგოლ მუშკუდიანის მეუღლემ მოითხოვა შვილის სავალდებულო წილის მასზე გადაცემა.

კანონიერია თუ არა გრიგოლ მუშკუდიანის მეუღლის მოთხოვნა?

1. დიახ, რადგან სავალდებულო წილის მიღებაზე უარის თქმა გამოიწვევს სხვა კანონისმიერი მემკვიდრეების წილის თანაბრად გაზრდას.

2. დიახ, რადგან სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას მის მიღებაზე სხვა თანამემკვიდრის სასარგებლოდ.

3. არა, რადგან სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრის უარი გამოიწვევს მისი წილის ანდერძით მემკვიდრეებზე გადასვლას. ამიტომ გრიგოლ მუშკუდიანის შვილის უარი სავალდებულო წილის მიღებაზე საფუძვლად დაედება არტურ მიქოიანისათვის მის გადაცემას.

4. არა, რადგან სავალდებულო წილზე უარის თქმის შემთხვევაში იგი სხვა მემკვიდრეებზე არ ნაწილდება და გადაეცემა სახელმწიფოს.

№9

მზაღო კიკვაძემ კანონის მოთხოვნათა დაცვით იშვილა ოთარ კავაძე. ოთარის ღვიძლი მამა მისი გაშვილებიდან მესამე წელს გარდაიცვალა. მზაღო კიკვაძემ დააყენა საკითხი ოთარისათვის მამის სამკვიდრო ქონებიდან მისი ღვიძლი დის თანაბარი წილის მიღების თაობაზე.

ითვლება თუ არა გაშვილებული ოთარ კავაძე ღვიძლი მამის კანონისმიერ მემკვიდრედ?

1. არა, რადგან გაშვილების შემთხვევაში პირადი და ქონებრივი უფლებები ღვიძლი მშობლების მიმართ წყდება.

2. დიახ, რადგან გაშვილებისას ღვიძლ მამასთან მას შეუნარჩუნდა საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობა. შეუწყდა მხოლოდ ღვიძლი დედის მიმართ.

3. დიახ, რადგან გაშვილებამდე მამამისის მიერ შეძენილი ქონების თანამემკვიდრეა დასთან ერთად.

4. არა, რადგან სამემკვიდრეო უფლებები მას წარმოეშვა მხოლოდ მშვილებლის მიმართ.

№10

მამკვიდრებელმა მთელი თავისი ქონების ნახევარი უანდერძა ვაჟიშვილს, მეორე ნახევარი კი – თავის კრედიტორს.

ჩაითვლება თუ არა კრედიტორის მიერ სამკვიდროს მიღება მემ-

კვიდრის მიმართ მოთხოვნის უფლების გამოქვითვად?

1. არა, რადგან მამკვიდრებლის კრედიტორს არა აქვს სამკვიდროს მიღების უფლება.

2. დიახ, რადგან კრედიტორის მიერ სამკვიდროს მიღებით მოთხოვნის უფლება გაქვითულად ითვლება, თუ სამკვიდროს წილი და მოთხოვნის უფლება თანაბარია.

3. არა, რადგან კანონით, თუ მამკვიდრებელმა ქონება თავის კრედიტორს უანდერძა, ეს არ ჩაითვლება მოთხოვნის გაქვითვად.

4. დიახ, რადგან მამკვიდრებლის კრედიტორი სამკვიდროს მიღებით მისი უფლებამონაცვლე ხდება.

* * *

№1

2005 წლის 20 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე მომხდარ ავტო-ავარიაში დაიღუპნენ მეუღლეები გიორგი ზაზაშვილი და ელენე გორხელაშვილი. ქმარი გარდაიცვალა ავარიიდან ხუთ საათში, ცოლი კი 21 სექტემბრის დილას. მეუღლეებს დარჩა ერთი შვილი, რომელიც ცალკე ცხოვრობდა თავის ოჯახთან ერთად; ასევე დარჩა გიორგის – ძმა და ელენეს – პენსიონერი დედა.

ვინ უნდა ჩაითვალოს გარდაცვლილ მეუღლეთა მემკვიდრედ?

№2

გიული მოლოდინის გარდაცვალებიდან მეორე დღეს მის ბინაში აღმოჩნდა შვილიშვილის, მამით ობოლი ნათია ხორავას წერილი, რომელშიც იგი მადლობას უხდიდა ბებიას იმისათვის, რომ მის სახელზე აპირებდა ანდერძის დატოვებას და ძვირად ღირებული საკერავი მან-ქანის გადაცემას. ნათიას დედამ აღნიშნული წერილი მამკვიდრებლის ნების დასტურად წარადგინა სანოტარო ბიუროში, ხოლო მისმა მამიდამ დედის გარდაცვალების შემდეგ ერთადერთ მემკვიდრედ ჩათვალა თავი და მოითხოვა სამკვიდროს მიღება.

ჩაითვლება თუ არა ნათია ხორავა მემკვიდრედ?

№3

თედო ბურჯანაძე ისე გარდაიცვალა, რომ ვერ მოასწრო ანდერ-ძის შედგენა. მისი საცხოვრებელი სახლი და სხვა ქონება, რომელიც სამკვიდრო მასაში შედიოდა, დავის საგანი გახდა თეა გუდავაძესა და ირაკლი ნათენაძეს შორის. თეა გუდავაძე ბურჯანაძის მეუღლის შვილია პირველი ქორწინებიდან. იგი ბავშვობიდანვე მამინაცვალთან და დედასთან ერთად ცხოვრობდა. ირაკლი ნათენაძე კი ბურჯანაძის დისშვილია და თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობს მეზობელ სოფელში. იგი ხშირად ჩამოდიოდა ავადმყოფ ბიძასთან და ეხმარებოდა წამლების შეძენაში. თითოეული მოდავე მხოლოდ თავის თავს თვლის მემკვი-

დრედ. დავაში არ ჩაბმულან ბურჯანაძის მეუღლე და უფროსი და.

როგორ უნდა განაწილდეს თედო ბურჯანაძის სამკვიდრო ქონება?

№4

2003 წლის 15 დეკემბერს გარდაიცვალა არტემ ხურცილავა. იგი თავის მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა ზუგდიდის რაიონში. სახლის ნახევარზე სამკვიდროს მიღება მოითხოვა რძალმა – ნინო წიფურიამ, რომელიც ქ. თბილისში ცხოვრობს თავისი მეუღლის, ლერი ხურ-ცილავას გარდაცვალების შემდეგ. ლერი ხურცილავა კი 2001 წლის ნოემბერში გარდაიცვალა.

შესაძლებელია თუ არა ნინო წიფურიას მემკვიდრედ ცნობა და მისთვის სამკვიდრო ქონების გადაცემა?

№5

თორნიკე სუპატაშვილმა თავისი ქონება უანდერძა შვილს – ვაჟა სუპატაშვილს. ამასთან, ანდერძში მიუთითა იმის შესახებაც, რომ, თუ ვაჟა ცოცხალი არ იქნებოდა სამკვიდროს გახსნის დროს ან უარს იტყოდა მის მიღებაზე, მაშინ ქონება გადავიდოდა მოანდერძის დისშ-ვილზე – სერგო კორინთელზე. თორნიკე სუპატაშვილის გარდაცვა-ლების შემდეგ გაირკვა, რომ მისი შვილი იყო უღირსი მემკვიდრე და ვაჟა სუპატაშვილს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება. ამის გამო სამკვიდრო ქონებაზე პრეტენზია განაცხადა ვაჟა სუპატაშვილის შვილმა, ლელა სუპატაშვილმა.

ვის ეკუთვნის თორნიკე სუპატაშვილის ქონება?

№6

ჯუმბერ ჩოხელმა მთელი ქონება ანდერძით დაუტოვა თავის შვილიშვილს, გოდერძი კანდელაკს. მასვე დაავალა მდიდარი საოჯახო ბიბლიოთეკის იმ სკოლისათვის გადაცემა, რომელიც მოანდერძემ დაამთავრა და, რომელშიც გოდერძი სწავლობდა. ჯუმბერ ჩოხელის გარდაცვალების შემდეგ გოდერძი კანდელაკმა უარი განაცხადა

სამკვიდროს მიღებაზე დედის – მაგული ჩოხელის სასარგებლოდ. ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა საანდერძო დანაკისრის შესრულებაზე იმ მოტივით, რომ იგი კანონით მემკვიდრეა და ყველა შემთხვევაში სავალდებულო წილი მაინც ეკუთვნის სამკვიდრო ქონებიდან. გარდა ამისა, მან საშუალო სკოლა სხვა რაიონში დაამთავრა და არ მიაჩნია მორალურ ან სამართლებრივ ვალდებულებად შვილის მიმართ არსებული დანაკისრის შესრულება.

ეკისრება თუ არა მაგული ჩოხელს გოდერძი ჩოხელისადმი არსებული საანდერძო განკარგულების შესრულება?

№7

ზაურ კიკნაველიძემ თავისი ქონებიდან საცხოვრებელი სახლი ანდერძით დაუტოვა მეუღლეს, აგარაკი – ვაჟიშვილს, ხოლო სხვა ქალაქში თავის ოჯახთან ერთად მცხოვრებ ქალიშვილს – 10 000 ლარი. სამკვიდროს გახსნამდე ქალიშვილი გარდაიცვალა. ზაურ კიკნაველიძის გარდაცვალების შემდეგ კი მისმა მეუღლემ და ვაჟიშვილმა უარი უთხრეს ქალიშვილის შვილს სავალდებულო წილის მიღებაზე იმ მოტივით, რომ დედამისი ანდერძით მემკვიდრეა. გარდა ამისა, ნაანდერძები თანხა ბევრად უფრო მეტია, ვიდრე სავალდებულო წილის ღირებულება.

ეკუთვნის თუ არა შვილიშვილს წილი სამკვიდრო ქონებაში და როგორ უნდა განაწილდეს იგი?

№8

ელგუჯა თვალავაძემ თავის ქალიშვილს საქორწინო მოგზაურობაში გამგზავრების წინ აჩუქა 20000 ლარი. ორი წლის შემდეგ იგი გარდაიცვალა და დარჩა 100 ათასი ლარის ქონება. სამკვიდროს გაყოფის დროს ელგუჯა თვალავაძის ვაჟიშვილმა დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ თავისი დისთვის მამის მიერ ნაჩუქარი ფული მხედველობაში ყოფილიყო მიღებული, რათა შვილებს შორის მშობლის ქონება თანაბრად განაწილებულიყო.

გააჩნია თუ არა ამგვარ მოთხოვნას სამართლებრივი საფუძველი?

№9

კირილე კორსანტიამ თავისი საცხოვრებელი სახლი, აგარაკი, ავტომანქანა და 10 ათასი ლარი სანოტარო წესით დადასტურებული ანდერძით დაუტოვა თავის ქალიშვილს და დაავალა მას, რომ სახლის ერთი ოთახი სამისდღემშიო სარგებლობის უფლებით დაეთმო დედამისისთვის – კირილეს მეორე მეუღლისათვის. სახლი შეძენილი იყო პირველ მეუღლესთან ცხოვრების პერიოდში. გარდაცვალების წინ, საავადმყოფოში მან შეადგინა ახალი ანდერძი, რომლის მიხედვითაც ავტომანქანას უტოვებდა თავის ძმას, 10 ათას ლარს კი ძმისშვილს. სახლისა და აგარაკის შესახებ ახალ ანდერძში არაფერი იყო აღნიშნული. კირილე კორსანტიას მიერ შედგენილი და ხელმოწერილი ანდერძი მისმა ძმამ წარადგინა სანოტარო ორგანოში და მოითხოვა ადრინდელი ანდერძის გაუქმება და სამკვიდრო მოწმობის მიღება მთელ ქონებაზე.

ვის ეკუთვნის სამკვიდრო მოწმობის მიღების უფლება და რომელ ქონებაზე უნდა გავრცელდეს მემკვიდრეობა?

№10

2005 წლის მარტში გარდაიცვალა მარტოხელა პელაგია ჯანდიერი. მისი საცხოვრებელი სახლი, რომლის ღირებულება შეადგენდა 2 000 ლარს, როგორც უმკვიდრო ქონება, 2005 წლის დეკემბერში გადაეცა სახელმწიფოს. 2006 წლის დასაწყისში კი გარდაცვლილის მეზობელმა – მართა გომართელმა მოითხოვა პელაგიასათვის ნასესხები 500 ლარი, რაც დასტურდებოდა შესაბამისი ხელწერილით. მოთხოვნის დაგვიანება კი ახსნა ხანგრძლივი მივლინებით. სანოტარო ბიუროში მას განუმარტეს, რომ პელაგია ჯანდიერის ქონება სახელმწიფოს ხელში გადავიდა, როგორც უმკვიდრო ქონება და მასში გაიხსნა სოფლის ვეტერინარული სამსახური, რომ მართა გომართელს უფლება აქვს ამ სამსახურს მოსთხოვოს პელაგია ჯანდიერისათვის ნასესხები თანხა და ისიც იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაგვიანებით წარდგენა საპატიოდ ჩაითვლება.

ვინ უნდა აუნაზღაუროს მართა გომართელს 500 ლარი?

რომან შენგელია
ეკატერინე შენგელია

საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2015

ან ქონებრივი ცენზის გამომხატველი სხვა ვალდებულების შესრულებას ქორწინების აუცილებელ პირობად. ყოველგვარი რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, სოციალური და სხვა სახის შეზღუდვები განიხილება როგორც ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევა და ქორწინების რეგისტრაციის ხელის შემშლელ გარემოებებად არ ჩაითვლება.

3.4. ქორწინების რეგისტრაცია

ქორწინების რეგისტრაცია დაწესებულია როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების უზრუნველსაყოფად, ისე თვით მეუღლეთა და მათი შვილების პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით. ქორწინების რეგისტრაცია საშუალებას აძლევს სახელმწიფოს თავის საქმიანობაში გაითვალისწინოს სხვადასხვა დემოგრაფიული მონაცემები, მაგალითად, მოსახლეობის შემადგენლობა, შობადობის მდგომარეობა, ქორწინებათა და განქორწინებათა ტენდენცია და სხვ. იგი ამარტივებს მეუღლეთა შორის ურთიერთობას სხვა სახის საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში და შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოს ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში მყოფთაგან განსხვავებით, გამორჩეულად დაიცვას მეუღლეებისა და მათი შვილების ინტერესები, ყოველნაირად ახალისებს მყარი საოჯახო ურთიერთობის შექმნის სურვილს, აძლევს რა ქორწინებას ოფიციალურ ხასიათს. რეგისტრირებული ქორწინება მეუღლეებსა და მათ შვილებს უქმნის საბინაო, მატერიალური, სამემკვიდრეო, საპენსიო და სოციალური დაცვის სხვა უფლებათა განხორციელების გარანტირებულ შესაძლებლობას. ქორწინების რეგისტრაციის საფუძველზე სახელმწიფოს შეუძლია გააკონტროლოს ქორწინებათა კანონიერება და თავიდან აიცილოს იმ პირთა დაქორწინება, რომელთაც არ შეუძლიათ შექმნან მყარი ოჯახი და ჰყავდეთ სრულფასოვანი შთამომავლობა.

ქორწინების რეგისტრაციის შესახებ მონაცემების არარსებობისას, თუ ამავე დროს ქორწინების მოწმობაც დაკარგულია, შესაძლებელია სასამართლომ სხვა დამამტკიცებელი საბუთების საფუძველზე ცნოს ქორწინების რეგისტრაციის ფაქტი, რაც არსებითად განსხვავდება ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობათა კანონიერად ცნობისაგან. ასევე შესაძლებელია ადრინდელი წესების შესაბამისად ეკლესიებსა და სამხედრო ნაწილებში განხორციელებული ქორწინების რეგისტრა-

პასუხისმგებლობას. ასეთ გარემოებათა დაფარვის თავიდან აცილება მომავალში მრავალი ოჯახის დანგრევისაგან გადარჩენის გარანტიაა. ამიტომ სარეგისტრაციო ორგანოები ჯერ უნდა დარწმუნდნენ იმაში, რომ მექორწინეთათვის არ არსებობს ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები, ისინი იცნობენ ერთმანეთის ჯანმრთელობასა და ოჯახურ მდგომარეობას და შემდეგ მოახდინონ ქორწინების რეგისტრაცია.

საოჯახო კანონმდებლობა ქორწინების რეგისტრაციისას არ უშვებს რომელიმე მექორწინის გამოუცხადებლობის შესაძლებლობას. ორივე მექორწინე აუცილებლად უნდა გამოცხადდეს ქორწინების რეგისტრაციის დღეს და უშუალოდ მიიღოს მასში მონაწილეობა. სარეგისტრაციო ორგანო ამისათვის ყველა პირობას ქმნის. მაგრამ, თუ ერთ-ერთ დასაქორწინებელ პირს პატივსადები მიზეზის გამო არ შეუძლია გამოცხადდეს ქორწინების რეგისტრაციისათვის, კანონი შესაძლებლად მიიჩნევს იმას, რომ ქორწინების რეგისტრაცია ჩატარდეს სარეგისტრაციო ორგანოს გარეთ. პატივსადებ მიზეზად, უპირველეს ყოვლისა, დასაქორწინებელი პირის ავადმყოფობა უნდა ჩაითვალოს. იგი შეიძლება თავის ბინაში ან სამკურნალო დაწესებულებაში იმყოფებოდეს. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია ავადმყოფი მექორწინის სურვილითა და სამკურნალო დაწესებულების ნებართვით, სარეგისტრაციო ორგანოს წარმომადგენელმა მეორე მექორწინისა და მოწმეთა თანდასწრებით, ავადმყოფი მექორწინის ადგილსამყოფელის მიხედვით მოახდინოს ქორწინების რეგისტრაცია. შესაძლებელია ერთ-ერთი მეუღლის სარეგისტრაციო ორგანოში გამოუცხადებლობის მიზეზი მისი დაპატიმრებაც იყოს. მსგავს შემთხვევებში ქორწინების რეგისტრაცია შეიძლება მოხდეს საპატიმრო დაწესებულებაში, თუ, რა თქმა უნდა, მექორწინე პატიმარს იგი სურს და საპატიმროს ადმინისტრაციაც თანახმაა ამაზე. შეიძლება ისეთი ვითარებაც შეიქმნას, როცა ორივე დასაქორწინებელ პირს გააჩნია პატივსადები მიზეზი სარეგისტრაციო ორგანოში გამოუცხადებლობისათვის, მაგალითად, სამკურნალო დაწესებულებაში ერთად მოხვედრისას. ასეთ შემთხვევებშიც შესაძლებელია ქორწინების რეგისტრაცია მექორწინეთა ადგილსამყოფელის მიხედვით. ქორწინების რეგისტრაციის შესაძლებლობამ სარეგისტრაციო ორგანოს ადგილსამყოფელის გარეთ, მნიშვნელოვნად გააფართოვა საქორწინო უფლებების განხორციელების შესაძლებლობა და შექმნა ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობათა მნიშვნელოვნად შემცირების გარანტია.

ქორწინებისათვის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშ-

თავი IV

ქორწინების შეწყვეტა

4.1. ქორწინების შეწყვეტის ცნება და სახეები

ქორწინება არ შეიძლება შემოიფარგლოს განსაზღვრული ვადით. იგი მეუღლეთა მუდმივი კავშირია. ამიტომ ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალება ან მისი გარდაცვლილად აღიარება, ბუნებრივია, გამოიწვევს ქორწინების შეწყვეტას. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში არაა აუცილებელი მოხდეს ქორწინების შეწყვეტის რეგისტრაცია. აუცილებელია მხოლოდ მეუღლის გარდაცვალების ან სასამართლოს მიერ მისი გარდაცვლილად გამოცხადების ფაქტის დაფიქსირება მოხდეს სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოში. ცოცხალ მეუღლეს უფლება აქვს ხელახლა იქორწინოს.

პირის გარდაცვალება ან გარდაცვლილად გამოცხადება ცოცხალი მეუღლისათვის საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობათა ერთ ნაწილს წყვეტს, ხოლო მეორე ნაწილის შენარჩუნებას არ ეწინააღმდეგება. მაგალითად, წყდება მეუღლეთა თანაზიარი საკუთრება, იხსნება მემკვიდრეობა გარდაცვლილი ან გარდაცვლილად გამოცხადებული მეუღლის ქონებაზე. ამასთან, შესაძლებელია, ცოცხალმა მეუღლემ შეინარჩუნოს ქორწინების დროს მიღებული გვარი იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი ხელახლა დაქორწინდება. რაც შეეხება გარდაცვლილად გამოცხადებულ პირს, თუ იგი მოგვიანებით ცოცხალი აღმოჩნდა, ქორწინება თავის მეუღლესთან ავტომატურად აღუდგება. ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი ხელახლა არ დაქორწინებულა. მაგრამ თუ მას ქორწინების აღდგენა არ სურს, მაშინ სხვასთან დასაქორწინებლად აუცილებლად დასჭირდება ცოცხლად დარჩენილ მეუღლესთან განქორწინება.

ცოცხალ მეუღლეებს შორის ქორწინების შეწყვეტა ხდება განქორწინების საფუძველზე. განქორწინებისას იგულისხმება, რომ ქორწინება თავიდან მოხდა კანონის მოთხოვნათა საფუძველზე, განსაზღვრული დროის განმავლობაში არსებობდა, მეუღლეებს შორის წარმოშობილი იყო საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობანი, მაგრამ შემდეგ იგი, ისევ მეუღლეთა ნების გამოვლენის საფუძველზე, შეწყდა. განქორ-